

7(05)  
6-405

6. 405

შ ა ნ ი 25 ბ ა ბ.

# გამოცემები



№

7

აბს. ვალდაანი

სრ. საკავშირო ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირების  
ტექსის პრეზიდიუმის წევრი (წარმომადგენელი საქ. ხელოვნების  
მუშაკთა მე-1 ყრილობაზე).

საქართველოს სსრ-ის მუშაკთა კავშირის ორგანიზაცია

1925

# სახელმწიფო თეატრების პროგრამები:

სამსახური 17 თებერვალი  
ა. გედგინიშვილის

## ს ი ნ ა თ ე ე

ზღაპარი ფერია 9 სურათად  
მ. შიკოლიძის პირნი:  
მეფე ჯიმშერი—უშ. ჩხვიძე  
დიდეთალო—ც. აბრამიძე  
ამათი შვილები: ათანადი—ბ. შა-  
ვიშვილი, გორდისანი—ბ. გამ-  
რეკელი  
სასახლარი—პ. კანდელაკი  
ფეხი—ვ. ლიპია  
დიდეთალო—1. ბ. წულაძე 2. ა.  
ხელაია  
მსახური—1. ვ. აბაშიძე 2. ბ.  
სვანი  
დემანები—1. გ. სარჩიშვილი  
დ. შავჯია  
შირკი—1. მ. მჭედლიძე 2. გ.  
ოსევაშვილი  
კარისკები—1. შ. წერეთელი  
ნ. ჩხვიძე  
გლები—1. ნ. გვარამე 2. მ.  
ვარდოშვილი 3. მ. მჭედლიძე  
4. პ. ბერაძე  
დაერიშ—ა. ხორავა  
ჯალოსანი—ს. ბეგანიშვილი  
ენმაკები—1. ვ. გოძიშვილი 2.  
ს. სულაიაური 3. კ. კობა-  
ხიძე 4. პ. მურდულია 5. ი.  
ქანთარია 6. მ. ბერიშვილი  
7. ს. ჟორჯოლიანი  
ფერიები: პირიშე—თ. წულუკი-  
ძე მთვარია—ლამაზიძე ბო-  
ლისანე—ე. დონაური ნათელა  
—მ. ღორთქვიანიძე წყრია-  
ლა—ბ. მაღლაკელიძე ანკარა  
—თ. ქავჭავაძე  
სეფე ქალები—1. ი. თუთბერიძე  
2. ე. თოფურიძე 3. ნ. დო-  
ლიძე 4. მ. მრეველიშვილი, ბ.  
ს. მესხიშვილი, ნ. ე. კელია  
ძიძები—1. ნ. დავითაშვილი, 2.  
ნ. ჯავახიშვილი, 3. ც. წუწუ-  
ნავა 4. შოთაძე.  
დაღმა: კ. მარჯანიშვილისა და  
ანაშტაღისა.

ხუთშაბათს 19 თებერვალს

## მ ა ლ უ ტ რ ე მ

გრ. რობაქიძის დრამა ნ მოქმედებ.  
მომქმედნი პირნი:  
პირ. მოქმ.  
ფინკელშტეინი—ნ. გოცირიძე რეს.  
სახ. არტისტი, პენუტიე—დავ. ჩხმ-  
იძე, გულგერბი—ალ. ჟორჯოლია-  
ნი, უცხოები—გ. დავითაშვილი,  
როკველერი—ა. ხორავა, ახე-  
ფულ—ა. ვასაძე, მოროლა—თ.  
ქავჭავაძე, მეპაპირისები—ბ. შა-  
ვიშვილი, ე. კელია, ელ. თოფუ-  
რიძე, ნ. აღუქსი-მესხიშვილი,  
კრკრაბი—გ. სარჩიშვილი, შვეი-  
ციარი—ბ. წულაძე, ორი კოკოტი:  
ნ. დოლიძე, ელ. თოფურიძე, გა-

ზეთის გამყიდველი: ს. სულაია-  
ური, ზ. ოსევაშვილი, მ. მრევე-  
ლიშვილი, ლოლოტა—ნ. დავითაშ-  
ვილი, ბალანტი—ბ. გამრეკელი,  
პიკოლო: ბ. ქვიჩინაძე, შ. წერეთელი,  
კარტის მოთამაშენი: რაბა-  
ქიძე, ბ. მაღლაკელიძე, მ. მჭედ-  
ლიძე, ნ. ახვლედიანი, ი. აბაშიძე,  
პ. კანდელაკი, პ. კობახიძე,  
მეორე მოქმ.

მორეკლა—თ. ქავჭავაძე, მეჩქი-  
ვილე—პლ. კორიშვილი, უცხოები—  
გ. დავითაშვილი, ვაჟი—დ. შავჯია,  
ქალაქელი—ვ. ანჯაფარიძე, მე-  
წისქვილეს შვილი-ბილი—მ. ბე-  
რიაშვილი, შეთევზები: პ. ბერიძე,  
მ. ვარდოშვილი, გ. ხელაია, უშან-  
გი, ჩხვიძე, წულაძე, მღვდარი:  
კ. ახვლედიანი, ი. აბაშიძე.

მესამე მოქმ.

ზარიფა—ელ. დონაური, დედა—  
ს. ბეგანიშვილი, მამა—ს. ქვიჩი-  
ძე, ძმა—ს. ლამაზიძე, ფინკელ-  
შტეინი—ნ. გოცირიძე, პენუტიე—  
დ. ჩხვიძე, გულები: მ. ვარდო-  
შვილი ნ. მჭედლიძე, მოამბე—პ.  
მურდულია, ბოშები: პ. კანდ-  
ელაკი, ბ. მაღლაკელიძე, ნ. ახვ-  
ლედიანი, ბ. წულაძე, კ. ახვლე-  
დიანი, ბ. მაღლაკელიძე, ზ. ოსე-  
ვაშვილი, ვალ. რობაქიძე, ნ.  
აღუქსი-მესხიშვილი, მ. მრევე-  
ლიშვილი, ელ. თოფურიძე.

მეოთხე მოქმ.

მორეკლა—თ. ქავჭავაძე, როკვე-  
ლიშვილი—ა. ხორავა, კეთილგონი:  
ბ. ბერაძე, ბ. სვანი, ნ. ახვლე-  
დიანი, კ. ახვლედიანი, ნ. ღორ-  
თქვიანიძე, ბ. მაღლაკელიძე.

მესუთე მოქმ.

დადაისტები: შ. ლამაზიძე, მ.  
ღორთქვიანიძე, დ. შავჯია, გ. სარ-  
ჩიშვილი, პ. კორიშვილი, პ. კან-  
დელაკი, კოკოტები: ე. თოფური-  
ძე, ც. წუწუნავა, ა. შოთაძე, ი.  
მრეველიშვილი, ე. კელია, ბ. ქე-  
ვიჩინაძე, მორეკლა—თ. ქავჭავაძე,  
მარჩიელი—უშ. ჩხვიძე, ფილკ-  
შტეინი—ნ. გოცირიძე, პენუტიე—  
დ. ჩხვიძე, გულგერბი—ალ. ჟორ-  
ჯოლიანი, ოუციკრი—პ. კობახიძე,  
კეთილგონები: ბ. ბერაძე, მ. ვარ-  
დოშვილი, ნ. ახვლედიანი, კ.  
ახვლედიანი, ზ. ოსევაშვილი, მ.-  
ლამაზიძე, შ. ჩხვიძე, სტუმრები:  
ვალ. რობაქიძე, მ. მჭედლიძე, ი.  
აბაშიძე, ს. სულაიაური, ბ. სვა-  
ნი, ბ. ხელაია, ია. ქანთარია.

მეექვსე მოქმ.

ანუფულა—ა. ვასაძე, აგნტი ნ. გ-  
ვარამე, უცხოები—გ. დავითაშვი-  
ლი, კეთილგონთა დიდთალო—  
თ. ქავჭავაძე, დარაჯები: კ. წულ-  
აძე, პ. მურდულია, რეკლამე.  
ციონებები: პ. ბერაძე, გ. გოძია-  
შვილი, შ. ჩხვიძე, დიდი მასხა.

გუსთავის თეატრი  
შაბათს 21 თებერვალს

უ. ზოლიერის  
კავსიაურები მდებრი

მ მოქმ. კრებია ინტერმედებში და  
ლიულის მქრითი, თორე კონსტან-  
დონისა.

მომქმენი პირნი:

ურდენი—ნ. გოცირიძე რეს. სახ.  
არტისტი  
ქნი ურდენი—ნ. ჯავახიშვილი  
ლუისილ—ბ. გამრეკელი ნი-  
კოლ—პ. შოთაძე კლუნტი—  
გ. დავითაშვილი დირანტი—  
დ. ჩხვიძე დირმენა—ე. დონ-  
აური მესქის მასწავლებელი  
—დ. შავჯია  
მისი მოწვევნი ვ. გველესიანი,  
პ. ბერაძე შ. ცაგურია  
ცეცქის მასწავლებელი—ალ. ჟორ-  
ჯოლიანი  
მისი მოწვევნი—ე. კელია ი. თუთ-  
ბერიძე თ. წულუკიძე 6. მეს-  
ხიშვილი  
ფარიკაობის მასწავლებელი—უშ.  
ჩხვიძე  
ფილოსოფიის მასწავლებელი—პ.  
კორიშვილი  
თარი—ნ. გვარამე  
მისი მოწვევნი—მ. ბერიშვილი  
ნ. გოძიშვილი ბ. მაღლაკე-  
ლიძე პ. კობახიძე  
ლაქები 1. ბ. წულაძე 2. შ. ჩხაი-  
ძე 3. კ. ახვლედიანი 4. პ.  
მურდულია 5. ი. აბაშიძე  
6. ბ. სვანი 7. ს. სულაიაური  
8. ვ. ხელაია 9. ი. ქანთარია  
10. ნ. ახვლედიანი 11. შ.  
მაღლაკელიძე  
სკარამუშო ინტერმედია  
1 სკარამუშო—თ. ქავჭავაძე 2. სკა-  
რამუშო—ე. თოფურიძე არ-  
ლეკინი—ვ. ანჯაფარიძე კო-  
ლომბინა—ბ. მაღლაკელიძე  
მისი მამა—მ. მრეველიშვილი  
მზარეული ინტერმედია  
უფროსი მზარეული—გ. ბაღლა-  
შვილი  
მისი მზარეულები—პ. კანდელაკი  
ბ. შავიშვილი ი. თუთბერიძე  
მ. მჭედლიძე  
ოსმალური ცერემონია  
მზარეული—ა. ხორავა მოლა პ.  
ჩხარტიშვილი დერვიში—პ.  
კანდელაკი ოსმალ საწილე-  
ბით—მ. მჭედლიძე ი. აბაშიძე  
ოსმალ ხმლიბით—პ. ბერაძე  
შ. მაღლაკელიძე ოსმალის  
მსახური—ნ. ახვლედიანი 3.  
გოძიაშვილი გ. ხელაია შ.  
ჩხვიძე პაქევი დ. ღორია ნ.  
დოლიძე მ. ქვიჩინაძე პატარა  
არაბები—მ. ქორქაშვილი შ.  
წერეთელი

# ხელოვნება

ჩადაჭების მისამართი: რუსთაველის კროსკაბტი, მუხათა სასახლე. ოთახი № 40. ტელეფონი 14-08.

№ 7 | სრ. საკრიტიკოსო ხელოვნების მუშაკთა კრეკ. კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 7

## ჩვენი ჟურნალი და სპ. ხელოვნების მუშაკთა მე-V ყრილობა.

გუშინ დასრულდა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა მე V ყრილობა, რომლის სრული ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი ჟურნალის შემდეგ ნომერში. ამ ნომერში კი გვინდა შევხებით ჩვენი ჟურნალის საკითხს, რომელიც წამოყენებული იყო ყრილობაზე და რომლის გარშემო გაიმართა ვაცხოველებული კამათი.

ცენტრალურ გამგეობის მოსენებებიდან ნათლად გამოიკვია, თუ რა ცუდი მატერიალური მდგომარეობა ახლავს ჩვენს ჟურნალს, რომელსაც წარსული წლის ნომერიდან (.ხელოვნების დროისა\* მეხუთე ნომერიდან) არაკეთილმო მატერიალური დახმარება არ მიუღია კავშირის კულტურულ ფონდიდან, რადგან ეს უკანასკნელი სრულიად იხარჯებოდა და არ ყოფილა კიდევ კავშირის სხვა კულტურულ მუშაობას.

გამოირკვია, რომ ჟურნალი არსებობდა და არსებობს შემთხვევითი შემოსავლებით, რაც ნიშნავს ჟურნალისათვის ფინანსური ბაზის არ ქონებას.

აღნიშნავდნენ რა ასეთ მდგომარეობას დღევანდები მოითხოვდნენ, რათა მომავალში ჩვენი ჟურნალისათვის კავშირმა გამოეძინოს სხვა და სხვა წყაროები და შეუქნას მას მატერიალური ბაზა.

რაც შეეხება ჩვენი ჟურნალის არსებობის საკითხს თითქმის ყველა დღევანდები, რომლებიც ეხებოდნენ ამ საკითხს, ერთხმად აღიარებდნენ მისი არსებობის აუცილებლობას.

ისინი აღნიშნავდნენ, რომ ჩვენი ჟურნალი ერთდროულად ჟურნალია დღეს საქართველოში, რომელიც ერთგულად

ლათ ემსახურება ხელოვნებას. არკვევს და აშუქებს მის საკითხებს და მით ნიადგს უზბადებს საქართველოში ხელოვნების წარმოების აყვავებას. ამავე დროს დადებით მხარესთან ერთად დღევანდები აღნიშნავდნენ ჩვენი ჟურნალის სუსტ მხარეებსაც, განსაკუთრებით ეხებოდნენ იმ გარემოებას, რომ ჩვენს ჟურნალში არ შექმდება ხელოვნების მდგომარეობა პროვინციაში. ამ სუსტ მხარეს მიუთითებდნენ თვით მომხსენებლები ცენტრალურ გამგეობიდან. ამნაირად სრულიად საქართველოს ხელოვნების მუშაკთა ყრილობის შეხედულება ჩვენი ჟურნალის შესახებ. დადებითია, რაც სასიხარულოა ყველა იმათთვის, რომლებიც ჟურნალისათვის არ იშურებდნენ და არ იშურებენ თავიანთ ძალღონეს. მაგრამ ეს ცოტაა.

საკვირ არის რომ ახალმა გამგეობამ დაწვეული საქმე არ შეაჩეროს და ჟურნალის გამოცემა განაგრძოს...

ამისათვის საკვირო არის, რომ მან გამოუწახოს ჟურნალს არსებობის წყაროები და შეიქნას საკვირო—მატერიალური ბაზა.

რაც შეეხება ჟურნალის ხელმძღვანელებს, მითმართებთ ენერჯის გაათქვება, რათა ჟურნალის წინარის გამიღორღეს და გამოსწორებული იქნას ის სუსტი მხარეები, რომლებიც აღნიშნულია ახლა ყრილობაზე...

ჩვენი ჟურნალი ხელოვნების მუშაკთა კავშირის პირმო შეიღია და საკვირია, რომ მშობელი ზიო, ჩვენი კავშირი უღიღეს მას რათა ეს უკანასკნელი დაუკავშირდეს და შეიქნეს მშობლის სიამაყე.



# ფორმალური ხელოვნების მესნიერებაში.

(გაგრძელება)

ეს არის გაბატონებული კლასი, რომელსაც არ ესა-  
კირება თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება, შინაგა-  
გნად უიღბო, ე. ო. რომელსაც ღიარ სწამს თავისი მო-  
წოდება და რომელსაც იმედი არ აქვს, რომ თანვე გაუ-  
გებს მას თავის განცდებს. ის კლასი, რომელსაც, რო-  
გორც ცეცხლის, ისე ეშინია, რომ მის გვერდით არ აღ-  
მოცენდეს მეორე კლასი, თავის თავისადმი რწმენით სავსე,  
რომელიც სულით და გულით ისწრაფის თავის  
მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ და საზოგადოებრივ  
წყობილების გარდაქმნისაკენ, რომელიც მდიდარია მიმ-  
ზიდულ იდეებითა და გრძნობებით. გაართობს და განზე-  
დააყენოს ასეთი კლასი, ჩამოაშოროს მას სხვა კლასები,  
ცხადია, მნიშვნელოვანი ამოცანა იქნება სათანადო სა-  
ხელმწიფოებრივობისათვის, გამოფიტულ ბატონების შე-  
გნებისა და ინსტიტუტისათვის.

ბისმარკი ამბობდა: „შენ თუ მეზობელზე უფრო  
ძლიერი ხარ — დასცე მას: ყოველთვის მოიძებნება პრო-  
ფესორი, რომელიც დამტკიცებს შენი თავდასხმის კანო-  
ნიკურობას მარადიულ უფლების თვალსაზრისითა“. ყვე-  
ლაზე უარესი ის არის, რომ ასეთი პროფესორი მთე-  
ლი თავისი არსებით ეძლევა ამ ამოცანას და არ იშუ-  
რავს თავის ყოველგვარ ძალდონეს იმ ძაღლივით, რომე-  
ლიც მთავრებს რძის ატარებას.

თანამედროვე ბურჟუაზია შეუძლია შეიყვაროს და  
გაიგოს მხოლოდ უშინაარსო, ფორმალური ხელოვნება-  
მას სურვილი აქვს იგვეც ჩაუტერგოს ხალხის სხვა წრეებ.  
საქ. ამ მოთხოვნისათვის საპასუხოდ წერილ-ბურჟუაზი-  
ულმა ინტელიგენციამ წამოაყენა მთელი ფაღანავა ფორ-  
მალისტ-მხატვრებისა და ფორმალისტ-ხელოვნების მცო-  
დნებისა.

ყველაზე ნაკლებ მოსალოდნელი იყო, რომ ამ ფა-  
ღანავის ზოგიერთ რაზმს რაიმე ვასავალი და გავლენა  
ექნებოდა თითქმის საესტეტიკო უბურჟუაზიო რუსეთში.

შევეცადით გაეცით, როგორ მოხდა, რომ თანდა-  
თან მოხარდნ რევოლუციონერ ხელოვნების და დაწყე-  
ბულ მარქსისტულ ხელოვნების მკოდნობის უძლიერესი  
მოქმეზე შეიქმნა მხატვრული და მხატვრულ-მეცნიერუ-  
ლი ფორმალისმი? როგორ მოხდა, რომ მოქ. ეიხენაუმი,  
მავალითა თითქმის გამარჯვებულად კი ლაპარაკობს,  
მართალია, უსაფუძვლოდ, მაგრამ, როგორც სჩანს, სუბ-  
იექტიურად პატიოსნად?

## 2.

რუსეთი, რომელსაც თავისებური ლიტერატურა  
ჰქონდა მე XIX საუკუნეში, ამ საუკუნის დასასრულს სავს-  
ებით დაემორჩილა დასავლეთ-ევროპის მოდებსა და მიმ-  
დინარეობებს. ეს ამბავი დაიწყო ლიტერატურულ სიმბო-

ლიზმის, მხატვრულ იმპრე-იონიზმის და სხვ. პირველი  
გაჩენის დღეებიდან.

რით აიხსნება ასეთი გადასვლა ევროპეზაციისაკენ  
ლიტერატურისა და სახვითი ხელოვნების, რომლებიც  
მეტად თავისებური იყვნენ? ეს აიხსნება რუსეთის ინტე-  
ლიგენციის მდგომარეობის ძირითადად შეცვლით. და  
ჩვენ კი ვიცი, რომ ყველა ჩვენი მხატვარი სწორედ ამ  
წრიდან იყო გამოსული.

პირველ ხანებში ეს პირები უმთავრესად გამოდიო-  
დნენ მოწინავე ახალურთა ორიგინიდან და შემდეგ ე. წ.  
„რაზნოჩინელებიდან“, აპგვარად რუსულმა ხელოვნებამ  
ნაროდნიკობაში ჰპოვა თავისი არსებობის ღერძი.  
ნაროდნიკული ტენდენციებს დასავლეთ ევროპაში ასეთი  
ძალა არა ჰქონდათ. და ნაროდნიკული წყაროები კი,  
რომელნიც ასახროდობდა შემოქმედებას, საკმაოდ ძლიე-  
რი იყო, რომ შეექმნა მუსორგსკი და „ჩვეუნი“, რუსუ-  
ლი რომანი, რეჟინი და სურიაკოვი, ანტოკოლსკი და  
სსატოვი დასავლეთის ოდნავი ზედგავლენით.

80-იანი წლების შემინდების შემდეგ გამოიჩინა  
რუსეთის კაპიტალის პოზიციის გაძლიერება, რომელ-  
მაც დაიწყო საზოგადოებრივობის ახალი ფორმების შექ-  
მნა. კერძო კაპიტალისტურ მეურნეობისა და სახელმწიფო  
კაპიტალიზმის გაფართოებამ ხელი შეუწყო საკმაოდ უზ-  
რუნველყოფილ ინტელიგენციის შექმნას, რომელიც ეთ-  
ფა-ცხორების მხრივ ნელ-ნელა თანქიფვობდა კაპიტა-  
ლისტურ ბურჟუაზი და თანდათანობით თავისკენ იზი-  
დავდა უფროდნევი ნიქს „რაზნოჩინურ“ ინტელიგენციის  
წყებებიდან.

ინტელიგენციის კულტურულ ყავარჯნათ შეიქმნა  
პოლიტიკაში კადეტური ლიბერალიზმი და კერძო ევრო-  
პის კულტურისა და კონსტიტუციონალიზმი.

რუსეთში, როგორც სარკემ, თუმცა ოდნავ ელამმა,  
დაიწყო ევროპის ანარქიკის გამოხატვა. წმინდა ხელო-  
ვნებამ მაღლა ასწია თვისი დროსა. თანდათანობით მწი-  
ფდებოდა ამასთანავე ფორმალისმის თეორიული პოზი-  
ციებიც. და ყველაფერი ის სწორედ ასეც უნდა მომხდა-  
რჩიო თებერლის რევოლუციის სრულებითაც არ ემეჩ-  
რებოდა ამ მდგომარეობას, რადგანაც ამ რევოლუციის  
სათავეში აღმოჩნდნ სწორედ გაცეროპივლებულ ბურ-  
ენუაზის ბელადები და მთელი მოცენი და მენშუეკური  
ინტელიგენცია, რომელიც ჩათრული იყო ბურჟუაზიულ,  
ინტელიგენტურ ორგანიზაციაში ახალგაზრდა-რუსული  
ორგანიზაციის ტენდენციის სახით. შინაური უთანხმოებანი  
სრულებითაც არ უშლიდა ხელს მათი პრაქტიკული  
ლოზუნგების მომილინობას.

რომ მომხდარიყო სოციალური სასწაული და ზე-  
მოთაღნიშნულ შემდეგლობის ზედაპირს შესაძლებლად  
რევოლუციონერი ვულკანის შეჩერება, მაშინ შეგველო

დარწმუნებით გვეტყვა, რომ რუსეთში ხელოვნების დირ- გში გამიარაგებდნენ წმინდა ფორმალისტები.

აღბად, ხელოვნებაში ჩვენ გვექნებოდა მოვარაყე- ბული რეალისტი, მორიაულ-მოკაზმული აქმეზიმიქ და მძიმე ბარბანული ფუტურზიმიქ—ყველაფერი ეს დაყრ- ნობილი იქნებოდა „შინაარისადმი“ სრულ უყრადღე- ბრბაზე, ე. ი. მატერობის მეტად ცარიელ, უსიცოცხლო და ხშირად პირდაპირ სულ უმხავსო განცდებზე, და ყველაფერი ეს დაფარული იქნებოდა გაირიდან ვირტუო- ზულ სიტყვათა ჯამბაზობით.

ოქტომბრის რევოლუციამ და სამოქალაქო ომმა დროებით თითქმის საესგებით შეაჩერეს ყვენი კულტურუ- ლი ნაკადები. როდესაც მოვიდა ვაზი კულტურული ცხო- ვრების თანდათანობითი აღდგენისა, ბევრი რამ შეე- ვლილი გვეგონა. ხალხმა ე. ი. პროლეტარიატმა და გლე- ხობამ დაიწყო ბათვის ინტელიგენციის შექმნა. პოტენ- ციალურად ამ ინტელიგენციას ბათის არსებამა აქვს ყვე- ლაფერი, რაც საჭიროა ხელოვნების განვითარებისათუ- ს რომელმაც უნდა გამოხატოს უდიდესი განცქევილი „გა- დანდოს“ იგი სხეებს. პრინციპიალურის მხრივ, ეს ინტე- ლიგენცია ინსტიტუტურად გრძნობს ანტიპათიას წმინდა ფორმალურ ხელოვნებისადმი. მაგრამ ამ მეტად ახალ- გახდრა ინტელიგენციამ ჯერჯერობით ვერ შესძლო თა- ვის საყოფარო პოზიციებისა და ტენდენციების გამოარ- კვევა, მან ვერ მოსძებნა, აგრეთვე სათანადო ფორმა თა- ვის მხატვრულ შინაარისის გამოხატადაც. იგი ამჟამად იმყოფება ბავნის იმ პერიოდში, როდესაც მას კარგად ენა ვერ აუდგამს და, შეიძლება, ბეზიმენსკის ლექსებში პირველად ქმნის იგი რაღაცას, რაც შეიძლება დარჩეს რუსულ ლიტერატურაში.

ყველაფერი ეს გვიჩვენებს ახალი ინტელიგენციის პოზიციების უმწობასა და სისუსტეს, რაც გამოიხატება მასზე როგორც ძველი ინტელიგენციის ძლიერ ზედგაე- ლენაში, ისე „ნაპოსტოვლების“ გულმოსულ ბრახუნში.

მეორეს მხრივ, პროლეტარიატის პოზიციის უდიდესი დიდებება გამოიხატება იმაში, რომ ინტელიგენციის ნაწილი ხდება „თანამგზავრი“ ამ ახალი ფორმაციისა. ბათის თავად ცხადია, რომ მე არა თუ ერთას წუთითაც

(გაგზავლება იქნება)

### აკაკი შირეთელი.

გამიხურე ჰანეთი გული,  
ეგებ დასდნეს მწუხარება.

აკაკი

იმეჟ ჰიროთ ვარ სნეული,  
რაც შენ გატყუა წყლულად!  
ვაჟა—აკაკი.

მზედალული მუმებარია—ქარაველი ლონგერინი —  
აკაკი წერეთელი კეთილშობილი ღიმილით იზიდავდა

არ უარეფურ ახალი ინტელიგენციის მიერ ძველის კულ- ტურით სარგებლობას, არამედ დაინებით ვამტყიკებ, რომ ეს აუციალბებელია მისთვის. ეს კიდევ ცოტაა, მე აღვიარებ, რომ ასეთი სარგებლობა შეიძლება არა მარ- ტო კლასიკებიდან და ნაროდნიკებიდან, არამედ ზოგა- ერთ კერძო შეთხვევებში ფორმალისტ მხატვრებიდანაც.

მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ძველი ინტელი- გენცია დასთანხმდება იმაზე, რომ ცუდილ ძროხასათი თათვის ჩნით გამოკვევებს მოხარდი გმირთა-გმირი. არა მარტო მისი სახელარ-გარეთელი ნაწილი, არამედ ჩვენ- ში მისი მარჯვენა ფრთა და ცენტრი—ჩვენი კულტურუ- ლი ცხოვრების აღორძინებით აღსდგენ თათვის ძველი ტენდენციებით. შეიძლება ითქვას მხოლოდ, რომ ფორმა- ლიზმი ოქტომბრამდე იყო მხოლოდ სენონის პოსტნეუ- ლი, ესლა კი იგი—ძველის ცოცხალი ნაშთია, ეს არის პალადუმე, რომლის გარშემოც სწარმოებდა თავდაცვა ბურჟუაზიულ—ვეროპულად მოაზროვნე ინტელიგენცი- ისა, რომელმაც კარგად იცის, რომ შეტევა თავდაცვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ გაშლილი ბრძოლა კადეტინებისა კომუ- ნიზმთან მ გრამ ადვილი დასაშეგია გაშლილი ბრძოლა ფორმალისტთა მარქსიზმთან, და ეს ძალიან კარგია: მარქსიზმი ამ დარგში ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, მას შე- უძლია ამ ბრძოლაში გაძლიერდეს. მაგრამ მას მარქსიზმს, უყვარს სისწორით იცილებს ყოველგვარი იდეოლოგიის კლასიკური საფუძველი და ამიტომ, სანამ არსებითად ბრძო- ლას დაიწყებდნენ, იგი გადაჭრით აცხადებს: ფორმალის- მი რაგორც ხელოვნებაში, ისე ხელოვნების მეცნიერება- ში არაა მდებრი დავიანებულ სიშფიციის, ან და ბურ- ეუაზის დრე ვადამწიფების, რომელიც ვადამტანილია მონათესავე წრეში, რესეთში.

ამ წერილის მიზანი არსებითად და უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ რამდენაააც შეიძლება სის- წორით გამოარკვიოს ფორმალისტის სოციალური ადგი- ლი. მაგრამ მე მინდა რამდენიმე მოსაზრება გამოვსიტყვა ეინებუაშუის სხვა და ახვა დებულეებზე, რომელიც ყვე- ლაზე უფრო ძლიერ დამცეკვლია რუსეთში ფორმა- ლიზმისა.

აკაკი

ყველას: იგი უთუოდ იყო ქართული რასის ეკერო სილა- მაზის უყეთესი ხატი. თუ ბაირონი ქალკური სილამაზით კლასიკური სახეა პოეტის—აკაკი ეკერო სილამაზით იმავე სიმაღლეზე სდგას. შეიძლება მიტომ ხედა მას წი- ლად დიდი სიყვარული; შეიძლება მიტომ იყო იგი პო- პულიარული... არა... მისი სახე მხოლოდ პოეზიით ვა- ნათებულა ასე მომხიბლავი. თუმცა მისი ფართი და მა- ლალი მყერდი ფეარადა დასეროდ გულს, მაგრამ სახე არ იმჩნედა გულის ტკივილებს: გული ეკლებს ეჩებებო-

და, იბრძოდა, ეყენოდა — სახე შუგს ეთამაშებოდა, მშენს უკნოდა. ეყოილშობილი ღობილით იეკებოდა. ამიტომ დასწერა მან: „თავი ჩემი ბედი არ გიწერია“ რომელსაც მთელი ხალხი მღერის. ქართველი ერის ამღერებულ ელ გული — ე. საზაგაშვილი კი მელოდიად დილივარა აკაის ამ სიტყვებზე ამღერებდა. მხოლოდ აკაის შეეძლო ეთქვა: რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლები მჭარია. არ შეიძლებოდა მის ცხოვრებაში სიცილი და ცრემლი არ შეედღებულა იყო. იგი, ბრწყინვალე თვალი, პირად ცხოვრებაში ყველაფრით სრული და ბედნიერი, დრომ დაიმორჩილა და ერის, ჩაგრული ხალხის, ბედზე ატერია. მაგრამ ეს ტირილი არაა ბარათაშვილისებური: ტირილი მეტ გამწარებთი კვილში გადასული. აკაკიმ უფრო ფრანგულ — იმერული — არტისტიკი ატერება. მას აკალია რამა ინა ეთილალური განცდა, მაგრამ მისი გულწრფელია და მათაოდი, როცა იგი ხალხის ბედზე მოსთქვამს და ცდილობს ტანჯული ხალხი გათავაზიხლოს და იხსნას. მისი პოეზია დიდაქტიური და მიხანს აღწევს: აკაის პიუმორი, სატირა, ალლეგორია ხალხური და ყველას ესწის. მისი ნაივი ღირიკა ყველას იხიდავს, ყველა დატყვევებულია მისი პოეზიით, იგი ყველას მიერ აღიარებულია დიდ პოეტად სიცოცხლეშივე. მისი ლექსები ატეტყველები ბელიდან ატეტყველ ხელში გადადის: კითხვის უკოდინარმა ზეპირად იცის. მის მიერ ლექსის წაკითხვა გრამფონის ფირფიტებზეც არის გადაღებული. აქ პოეტის უდიდესი გამარჯვებაა და ეს გამარჯვება აკაის

წილად ხედა სიცოცხლეშივე. საქართველოს მიუვალ კუთხეებშიც აკაის პირად ნახვას ნატრულობდენ. მკონია იგი ყველა თანამედროვე ქართველს ჰყავს ნახული! ამიტომ იყო მისი იუბილე დიდი ეროვნული სიხარული და უჩვეულო გრანდიოზულობით. მიუვალ სენატიც ხელით შემოატარეს და ეს ეგზოტიკური სურათი, რომ ისტორიისათვის არ დაკარგულიყო, კინოს ლენტზე გადაიღეს. ასეთი დიდი პოეტური დეფურა იყო აკაი. ეთქვა იმითი უძღვნა მას: „სალამი, გრძობის ნატური“ და უწერა „შობილი ქვეყნის მოაზრე“. მაგრამ მას არ ამბავებდა დიდი სახელი. თითონ სწერდა: უმეტეს ჩემ ნაწერს ღღეს იმდენა და აკაი გული აქვს მნიშვნელობა. რამდენადაც დრო და ეთი იცვალაო. აქ სჩანს, რომ დიღურ ვარამზე დაწერილი, მას არ მიახნა და სწავლისოდ. მაგრამ, როგორც მწერალი პროფესიონალი, თვის არ ზოგადა: სწერდა იგაიებს, აბაიებს, პუბლიცისტურ წერილებს, მოთხრობებს. და დრამებს. რამდენიც არ ეწეროთ საკითხის ამოწურვა შეუძლებელია. მისი ნაწერები და მასალები მისი ცხოვრების შესახებ გაზიწულია. საქორების დროს ვერ იშოვნის; ვარაყვეალის ათი წლის თავზე პოეტები არ იგონებენ მას! მაგრამ მჯერა რომ ქართული კოიტაკა უთუვად დაუბრუნდნა აკაის, მისწავლის მის შემოქმედებს და მისივე სიტყვებით დაიწყებს: ნურვის ცდილობს იმ ცრემლებში ნახოს კერძო სიცოცხელი, იქ იქნება საიღუმლო გულ-განხეთქი, დეფარული!.. თებერვლის 12 თამაზ ბირკლი.

# ა კ ა კ ი

წესრულდა ათი წელიწადი სწორეთ მას შემდეგ, რაც მთაწმიდის სასაფლაოზე დიდის ამბით დაემარხეთ ქართველთა ეროვნული დიდი მგოსანი, მეტყაპიეტე საულუნის რუსთაველი — აკაი. აკაი სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა იმ დროს, როცა ეთრიმის ომში დამარცხებული ბუმბერაზი რუსეთი და მასთან ერთად საქართველოც იფიქტბდა. მობდა ჩვენში რაღაც დიდი ამბავი, და რაღაც უხილავი მა ძალამ სულ შეარგია წყვილიდით მოკული: ცხოვრება და ძლიერთაუც დასძრა იგი ერთი ადგილიდან. დამარა აზმარდა და იბრძვის ეს ცხოვრება, რომელსაც ამეტიოდან ვერ შეარგებს ვერაეითარი ბოროტი ძალი. მას აქით ამ ერთი ადგილიდან დაძრული ცხოვრება დლით დიდ ყოველ ადგილს, ყოველ დღე. ახალ ახალ პატარასწაულუმს გვიჩვენებს და ჩვენებური კაცის გრძნობა-გონებას ნათლად ვერც გაუჩვენებია, თუ საიდან არის ყველა ეს მოვლენილი, საიდან იწყება საბამი ამ ძლიერი, რაღაც ახალი ხმაურობის, რა ჩქვეს ასე დიდი სიცოცხელია და მლიდმარებით. დასაბამი ამ ახალი ძლიერ და რამა მოძრაობის ჩვენ უნდა ვეყოთ იმ დიად სტიტორიულ ამბავში — ცმებვის განთავიუფლებაში, რომელმაც განაღდა, გააღრმავა ნიადაგი ახალი კაპიტა-

ლისაც და ახალი, ჯერ ჩვენში არნახულის თავისუფალი შრამისაც. ამ გვართ, საქართველოს არე-მარეზეც დაიწყო წარმოების ახალი ხანა და განახლებულს ცხოვრებას ძლიერთაუ დებუერა ახალმა სიცოცხლის მომგერულმა ძალამ... დიადობა ქართველი ერის ახალი სულისა გამობინატა ლიტერატურაში, რომელსაც აღიწინდეს ახალი იდენების, გრძნობისა და ფიქრების, ახალი ნებობის კაცები და სათავეში მოეტყვენ მას. ასე წოდებული, „თერგ-დალეულები“ იყვენ ჩვენში პირველი პიონერნი, რომელნიც სასიხარულით მოველინენ ქართველთა ახალ ცხოვრებას და ლიტერატურას. მათ რამათ, ნიჭიერთა ჩიხედეს ქართველი კაცის გულში, მშენიერი, მდიდარი ქართული ენით ხელგონურათ აღწერეს მისი ცხოვრება, სურვილები და მისწრაფებანი. იმ დროის ერთმა დიდმა ამირანმა — აკაკიმ უკედენების სული ჩაებრა და საუკუნით მიაჩნა ქართული ლირიკის და ლიტერატურის უთავბირივი, ანგელოზივით ტურფა, უნახესი ფორპები მსუბუქათ გამოთქმისა და აღმადერნისა. აკაკიმ მიანიჭა მრავალგერობა და მრავალფეროვნება დიდისაგან დიდი სახიერება მთლად საქართველოს ქვეყნის შვილთა ნიჭიერებას ყოველნაირი სა-



აკაკი

გარდაცვალებიდან 10 წლის შესრულების გამო.

შეაღებთ დიდად თავის გამოჩენისა, ამაღლებისა, აღმატებისა და საუკუნო უკეთავეობისა...

აკაკიმ ჩაუღდა სული ქართულს ახალ მწერლობას, ქართველობას გულში ჩაუნერგა სასიცოცხლო დიდი იმედები მრმავლისა, დიდად სულგრძელი და ფაშაქური მტკიცე ხასიათი კირში მოთიხებისა, ქველობისა, ღრმათ ტანჯვისა და შხიარულებისაყ.

ქართული ლირიკა დიადი მგოსნის მადლიანი მოღვაწეობით აღვიდა უღარეს, უმესანიშნავეს ხარისხამდე.

არ არის ლიტერატურის არცერთი დარგი, საცა აკაკის წვლილი არ შეეტანოს, წვლილი თავისი დიდი ნიჭის ნამდვილ შესაფერი. ლირიკის გარდა, სადაც იგი მეფეთა მეფის ტახტზე სის. პუბლიცისტიკა, ფელოტონი, დიდი მახვილი, საჩასტული, ცოცხალი, დიდი მღელვარე ძლიერი ტალანტი აღსასვე „ცხელ ცხელი ამბები“ იმისი ბელტრისტიკა და დრამა-კომედიები, მეცნიერული ნაშრომები და ლექციები, პედაგოგიური და ისტორიული ნაწერები,—ყველა ამ ნაწარმოებით გამდიდრებულია ქართული ლიტერატურის საღარი, რომელიც ერთს უდიდეს, უმდიდრესგანს წარმოადგენს ქართველთაგანბა—გონების განვითარების ისტორიაში.

ამ რიგათ, აკაკის შემოქმედებითა ტალანტმა უქართველით, აუშფოთებლათ, სისხლის დაუღვრელათ ქართველთა ცხოვრებაში მოახდინა დიადი, ფასდაუღებელი მშეიდობიანი რევილიუცია, რომლის მეოხებითაც ძირს დაეცა ძველი ქვეყნის ტახტზე ბრძანებულნი, ძველი, დიდიკაქური ენა, სიტყვა-პასუხი, რატორიკა, კერპები, ძველი ჩვეულებანი, აჯათები, ხასიათები და შესანიშნავა მემკვიდროებით, ჩამამეღობით არისტოკრატმა, ამ ჩვენი დროის დიდა ივერიელმა შექნა და გაახორციელა სრული, სპეტაკი უბრალოება, აალამბართლობა და ხალხის შემპირტი დემოკრატიზმი...

აკაკის მიზალღებული ჭონდა რალეც განსაკუთრებული იუმორისტული ტალანტი. დიადი მგოსნის ცოცხალი, მგზნებარე გრძნობა-გონება ძალიან ადვილათ, სრულიად დამოუციღებლათ, ორგინალუჯათ კვეთდა უღამობელი ცხოვრების მოვლინებათა წინააღმდეგობას, დილექტიკის და, როცა მპატერულათ გამოხატავდა მის ხილმე, მითხველსა და მაუერებელში იწვევდა სიამის, დიდი ნეტარების მომგერულს სიცილს და თან ნახ, მეტდ მწარე სიცილსაც. ამ გვარი განსაკუთრებული, მარტო და მხოლოთ მისი ტალანტის თვისება, მთელ მის თაობაში და ამხანავობაში, მარტო იმას ერთს ხვდა საჩუქრათ ბუნებისაგან და ამან უფრო განსაკუთრებით შეავარა მთლად ქართველობას ეს საოცარი ჩვენი ქვეყნის მუღამ შუზღაშლილი და საოცნებოთ მომღმირი შვილი.

1908 წელს ამ უპირველეს ქართველ მგოსანს შეუსრულდა ორმდაათი წელიწადი მას შემდეგ, რაც იგი სალიტერატურო ასპარაზზე გამოსული იღვწოდა თავისი დიდად დაჩაგრული და დამონებული ერის სასახელით.

ამისთვის დიდად მაღლიგრმა საქართველოს ხალხმა, აკაკი ყოველგან დიდი დიდებით გადაუხადა იუბილე და ეს იუბილე იღვსასწავლავა ჯერ ჩვენში არ ნახული, არც ვაგონილი სეიშთა და ძლიერებით. ასეთივე დიდებით გადაუხადა მას იუბილე მსოკვმა და პეტერბურღმაც, სადაც რუსეთის გამოჩენილმა პროფესორებმა სიტყვებით ხუბხიეს.

აკაკის სახელი ქართველთა ამაყობის და დიდ-სულღვენების შემოქმედობის სიმბოლოა და ამ სახელს ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს და ექნება იმისთვის, როცა გავრცედა დამებნარე მიკვიკის პოლონილათთვის და აღუკსანდრე პუშკინს—რუსეთისათვის. დიადი ამწერილ ტალანტიტ ბუნებისაგან ჭუხუღად დაჯიღოდებულს, რომლის ნიშნობილი თვისება იმაში გამოიხატება, რომ მას სრულიათ დამორჩილებული ჭონდა ქართული ენა, მისი სამხატვრო სალიტერატურო ფორმები, რომლის წყალობითაც მან შექმნა მთელი შოლოა ლირიკოსთა და მეფეღვტონეთა და თვისი მეტდ მძღავრი, უნახესი, უმწვენიერესი გრძნობებით ცოცხლათ დაბატა მთლად ქართულთა პირსა და ლხინში, წარსულუჯათ და ამწეკოშიაც. მგოსანი ერთი უდიდესი მოტრეწილე იყო სახალხო ქართული ზეპირ-სიტყვებისა, ლღვენებისა და პოეზიისა, მთლად, მთელის არსებოთ ჩაყალბული იყო ქართველი

ერის სახალხო შემოქმედებით და იქიდან, ამ უძირო და-წმენილ ზღვის უსუსკრულებიდან იღებდა ძვირფას მარგალიტებს და ქმნიდა გასაოცარ ხმებსა და მელოდებს.

აკაის ქართველი მუშა ხალხი, აგრეთვე ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზრდობა აღმერთებდა. ქართველი მანდილოსნებიც მისდამი ღრმა სიყვარულით და პატივისცემით იყვნენ გამსჭვალულნი. მეაკრი და ულმო-ბეღელ კრიტიკა ვერ უპოვის მას და მის ნაწარმოებს ვერაფერია ნაკლს, ვერაფერიათარ ხინჯს ამ დიდათ მოსიყვარულე გულის, იშვიათი ტემპერატურის პატრონს, რომელმაც ნახევარ საუკუნეზე მეტი იშრომა ეკლეთა და ნართი მოიხვედრს ჩვენი სამშობლო ლიტერატურის ასპარეზზე.

აკაი გასული საუკუნის სამოციან წლების მწერალთა გუნდს ეკუთვნოდა და ამ მწერალთა შორის მას ეტირა უპირველესი ადგილი ეთათარცა ლირიკოსი მას საქართველოში ბადალი დღესაც არა ყვეს, და თავის შესწავლისთვის ტოლანტიოთ, გრძნობათა სიღრმით, ძლიერებით და სინაზით მას უთანასწორდებთან მხოლოთ ორი დიდი იტერალი—შოთა რუსთაველი და ნიკოლოზ ბარათაშვილი.

როგორც პროზაიკი, აკაი დიდი მხატვარია ცხოვრების, ადამიანთა სულისა და გულის ღრმად მცოდნე და ყველგან თავის ნაწარმოებში იძლევა დახატულ ხასიათებს და ტიპებს, რაც შეადგენს ხელოვნურ ნაწარმოებთა დიდსა და მდიდარს სამყაროს ყოველგან და ყოველთვის.

აკაი წმინდა, ნამდვილი, ხალხის რეალისტიკ; ცხოვრების ყოველდღიურ ამბავს, ფაქტს იგი უყურებს პირდაპირ თვალდათვალ, წინდაწინვე დაუშხადებელი აზრით და ხარჯავს ამ ფაქტს გაუშხადებლათ.

აკაის მდიდარი და ნაზი ლირიკა დაამიანთა აყვარებს სიცოცხლეს და ენერჯიას მტერს, ამავე დროს დიდათაც აკეთილშობილებს მას, რადგან გულში ღრმად უნერჯავს ჩაგრულისადმი თანაგრძნობას და სიყვარულს.

აკაი იყო ნამდვილი და ქეშპარიტი დემოკრატი, ოპოზიციონერი და რევოლუციონერიც. ალექსანდრე ჩრომანოვი 1881 წ. 1 მარტს მოკლეს ნაროდოვოეცებმა! აკაიმ იმ დღესვე ვაზ. „დროებაში“ დასტამბა თვის შესანიშნავი ლექსი—„დღეს მერცხალი შემაფრინდა-ო.“ დიმიტრი ყვიფანი რო დაასაფლავეს 1887 წ. მთაწმინდაზე, აკაის მეტმა სულიც ვერ დაბერა შიმში, აკაიკი ამომიშვლებულ ხმალით წარსდგა კუბოს წინ და უთხრა ქართველებს ლექსი ძლიერი და ჯალათებისგან მოკლულ 75 წლის მოხუცებულს უწოდა—დიმიტრი თავადადებულ. მოიგონეთ აგრეთვე აკაის განქაშული ლექსი—„ხანჯალი“, რომელიც საიდუმლოთ მიელმა ქართველობამ ზეპირათ იცოდა (მოიგონეთ, 68 წლის მოხუცებული აკაი 1907 წელს, მეტეხის ციხეში დატყვევებულ).... დიახ! აკაი იყო რევოლუციონერი ყველაზემ ნათქვამიდან შემიძლია დაავსენა, რომ აკაის უდიდესი შემკრებლობით მნიშვნელობა ქონდა: მან მთელ ქართულ ხალხს შეტრბა ერთ ძლიერ ერად, თავისი პოეტური ნიჭის სიძლიერით.

ხომელეი.

## მეტყველების და ხელოვნების პროზაში.

### სიტყვა და სოციალური საჭიროება.

დასასრული

სოციალური ხეშანტიკის თვალთახედვით აღანიშნავია მეტყველებაში ორი მომენტი—ერთი, როდესაც სიტყვა, რომელიც წინად ნიშნავდა საგნის, ან მოვლენის რომელიმე ნაწილს, რომელიმე კონკრეტულ თვისებას, იხმარება შემდეგ თვით ამ საგნის ხელოვნურად მილიანად ან-და მსგავსი მოვლენისა: ასეთია რუსული სიტყვა—„МИЛ“, რომელიც წარმოშვა სიტყვიდან „МИЛАН“. აქ ჩვენ გვაქვს შემოქმედებით წარმოსახვაში ერთგვარი სიმბოლიური მიმგავსება და შეკვეცა... არის მეორე შემთხვევა, როდესაც რომელიმე სიტყვა წინად იხმარებოდა მოქმედების გამოსათქვამად—იყო ზნა, მაგრამ შემდეგ თანდათანობით იღებს არსებითი ხელოვნების სიმბოლოს: ასეთია სიტვა—ИР (რომაული), რომელიც ერთ დროს გამოისახავდა ხვანახ, თხანახ და რომლიდან შემდეგ წარმოიშვა სიტყვა—ars (has latin), იქიდან—სიტყვა არტისტი—საკვირველი რამ არის მეტყველების ევოლუცია და მისი შემოქმედებითი ფორმები; ერთ დროს სიტყვა ეხე-

ზოდა ინდუსტრიას, მეურნეობას (არ—ars), დღეს ხელოვნების ერთი ფორმათავანია (არტისტი). პრიმიტიულ ენათა შესწავლამ დაამტკიცა, რომ პირველყოფილი ადამიანი შირტულ წარსულში და დღესაც ზოგიერთ ველურ კვეყნებში, აგრეთვე განქაშეთა დიდ კუნძულებზე კულურათვის სიტყვეს იგონებს რომელიმე ინდუსტრიული, აგარული, კონომიური და სოციალური საჭიროებისათვის: არსებობისათვის ბრძოლის პროცესში უდიდესი ინჟინერია საჭიროება; მეტყველების ყოველი ფორმა ისე, როგორც საერთოდ ხელოვნების ყოველგვარი სახე ორგანიზულად უკავშირებდა სოციალისტორიულ საჭიროებათა ფორმებს; ჩვენ ვერ მივიღებთ კანტისა და ნეოკანტიანელების აზრს მეტყველებისა და საერთოდ ესთეტიკურ—ინტელექტუალური დასაწყისის შესახებ. წმინდა გონების სტატიური ფორმები და აპირირები, რომელზედაც ეყრდნობა კანტი ესთეტიკური პრინციპის გამოსარკვევად და რომელსაც პოეტური გატყუ-



დამსახურებული მსახიობი ვალერია ვაშინა.  
(ხელოვნების მუშაკთა V-ე ყრილობის დღემგებლად).

ბიო და იდეალიზმით იმეორებს შილდერი, ჩვენთვის სოციალურ ჩვეულებათა ვადანაშთებია. ის, რაზედაც ინტელექტუალიზმი ეყრდნობა, ჩვენთვის ჰკარგავს მნიშვნელობას, რადგან ჩვენს სულს დღეს საქაროსთან აქვს ისეთი ხასიათის ურთიერთობა, რომელსაც არაფერი საკითო არა აქვს იმ მდგომარეობასთან, რომელშიაც შექმუვდა ინტელექტუალისტების „აპრიორიზმი“.

ლიუდვიგ ნუარემ (Ursprung der Sprach. Mainz) აღმოაჩინა ენათმეცნიერებში ფაქტი შემდეგი ხასიათისა: ველურების გამოთქმაში ჩვენ თურმე ყოველთვის შეგვიძლია გავარკვეოთ სამი ცნება აგრარულ-სოციალური ცხოვრების დამახასიათებელი: „თხრა“, „ქსოვა“, „ჭრა“; ხალხი, რაც უნდა ველური იყოს, მიანიც—ამობს ნუარემ,—ამ სამი სხვა და სხვა ცნების გამომსახველ სიტყვებს უსათოდ ხმარობს. საყურადღებოა ისიც, რომ ველურების ცხოვრებაში ხელოვნების ფორმები უკავშირდებიან აგრარულ დღესასწაულებს; კულტურული ბერძნების ცტრაგედია და კომედიურ ფორმებს ადამიანის განცდისა აგრარული და სოციალური ინტერესებით ხსნიდენ ხოლმე; ტრაგედია წარმოიშობა მაგალითად იკარიონის ვენახის გაფუჭებისა და თხის დაკლის პროცესისაგან; კომედიის წარმოშობა მეცნიერების აზრით მიეწერება საბერძნეთის სოციალურ უთანასწორობას, რომლის შედეგი იყო ბერძნულ ქალაქებში დამ დამე ყმების ხეტიალი და ზოგიერთი მეპატონის ჰიპოკრიზი და ცინიზა, აყალ-მაყალი და სხვა...\*)

\*) წყნს წიგნში „სოციალური ცხოვრების საფუძვლები“ ეს პრობლემა განიხილილია დეტალურად.

მეტყველებისა და ხელოვნების ევოლიუციაში სოციალური ფსიქოლოგია თამაშობს შემოქმედებითი როლს: იქ, სადაც სოციალური განცდა უსწორ-მასწოროთ მიმდინარეობს, სადაც საზოგადოებრივი, კოლექტიური სული ისტორიული ხეულებში სისრულესა და სისასესს ვერ აღწევს, სადაც არ არის ერთგვარი ესთეტიური ექსპანსივობა, მეტყველების ევოლიუცია სუსტია. არტიკულია ცია ბლაგვი, ვაბგერება ბნელი, შუბუფული, ღრუ; ყოველი ეპოქისა და ყოველი ხალხის მეტყველება მთ უფრო თავისუფალია და რიტმიული თავის შინაგან ფონეტიურ-მორფოლოგიურ წყობაში, რაც უფრო მდიერია საზოგადოების ან მანე ვაბატონებელი კლასის სული თავის კულტურულ-ესთეტიური სისრულისა და სისასესის შერჩნობაში: მეტყველება შეფარდებულია სოციალურ განცდასთან, აგრარულ-იდესტრიულ ფორმებთან, კულტურულ ცივილიზაციურ ფერადობასთან; მეტყველება და მისი სიმბოლური ქარაგმები ვერ იარსებებს გარეშე საზოგადოებრივობისა, ხალხის ისტორიული-ეპოქალური პერიპეტეებისა, გარეშე გჯგფებისა და მასსენისა. მეტყველება დაიწყო ისეთი ბგერებით და მარცვლებით, რომელთაც კავშირი ჰქონდათ ცხოვრების პრაქტიკასთან, შრომასთან, წარმოების იარაღებთან: მონადირე ხალხის მეტყველება საესეა ისეთი სიტყვებით, გამოთქმებით, ქარაგმებით, რომელთა საკიროებს ყოველ დღე გრძობდა მონადირე ადამიანი; იგავ-არაკებში. თქულებებსა და ლეგენდებში, რელიგიურ სიმბოლურებსა და სახეებში სოციალური მდგომარეობა პოულობს თავის გამოსახულებას; ხალხი, რომლის ყოველდღიური ცოვა მიმდინარეობს მრეწველობასა და ვაჭრობაში, მზარობს სიტყვებს მრეწველობისა და ვაჭრობის დამახასიათებელს: სული რეგობობისათვის ბრძოლაში საკიროებისაკენ იხრება და მეტყველება მარგაფად ემსახურება სლის ვადახრის ფითარებას. საზოგადოების კლასობრივი. გჯგფური და პროფესიული დანაწილებანი ახდენენ თავისებურ გავლენას მეტყველებისა და ლიტერატურაზე: ყოველ კლასს აქვს საკუთარი ემოციები და იდეები, ამიტომ საკიროებს სიტყვებს ამ ემოციებისა და იდეების გამოსათქმელად. ყოველ პროცესის ესაკიროება მთელი რიგი ნივთებისა, საწარმოო იარაღებისა, განსაკუთრებული ხერხისა, გამჭიარობისა, რომელთა თინდათანობით ვარჯიშობა,—ჩვეულებაში ვანეტაქება აწყობს სულისა. აზროვნებისა და შემოქმედების თავისებური სისტემას; ასე რომ, სისტემა იდეოლოგიისა, ხელოვნებისა და მეცნიერების არ არის universalis ante rem: დღევანდელი სული მორალობსა და ლოგიკის პრინციპებით, დაწყობილი სოციალური საკიროებისა და ცხოვრებისა, შედეგია იმ ურთიერთობისა, რომელიც ამოძრავებს თითოეულ წყნის საერთო ინტერესებთან შეთანხმებით და ეს შეთანხმება სახლერავს ხელოვნებისა და მეცნიერების ფორმათა თავისებურობას ყოველი ეპოქისა, ყოველი ხალხისა და ყოველი კლასის ცხოვრებაში. \*) სოციალურ ურთიერთობას თან ახლავს

\*) Levy—Brühl: „Les fonctions mentales dans les sociétés inferieres.“



მსახიობი ალ. ქაჩიკიანი

ერთგვარი გაზიარება ფსიქოლოგიური ხასიათისა, ერთგვარი გრძნობათა სოციალიზმ ცია, რომელსაც ვერ გავიქევა ვერც ერთი ცხოველი, ვერც ერთი ადამიანი.

ყოველი მომენტი ენისა და ლიტერატურის ვითარებისა მატერიალ-სტატორი ფორმა სოციალური მოძრაობისა და ტკივილების კოლექტიური სულის და თანწყობებისა და შემოქმედებითი განრიგებისა. მეტყველება სულის განათვისუფლება. განცდისაგან: გამოთქმის საშუალება სულის ტკივილებს ანახევრებს, ანათვისუფლებს იდეას-სოციალური ცხოვრების ამყოფებამაში და ამოძრავებს შემოქმედებით ნებისყოფას; ლიტერატურულ-ესთეტიკური ნაწარმოები მოწმუნებთა განცდათა ემანაციისა: რაც უფრო ღელავს შემოქმედებითი სული ინდივიდუალური ყოფის ნაჭურჭელში, მით უფრო მარჯვედ ქსოვს იგი სოციალურ ურთიერთობაში კლასობრივი, ჯგუფობრივი და ისტორიული ხასიათის იდეალებს.

მელოდიური ტონალობა, თქმის რიტმი, სიტყვების წყობა, გაბგერების სისუფთავე მომდინარეობენ გენეტიურად ისტორიულ-სოციალური სიღრმედან; სული იწმინდება, ირეცხება ისტორიულ ცვლილებათა ქარიშხალში და მეტყველებს არსებობის ყოველ წუთს ეთვისება თავის კონსტრუქციას ცხოვრების ცულობებს; ხელოვნების რომელიმე ფორმის განსაზღვრებას ყოველ ეპოქაში წინ უძღვის სოციალური სულისა და იდეოლოგიის დათანწყობება და სანამ მეტყველებს, ან აზროვნებს სტილი ეპოქის შემოქმედებაში ასე თუ ისე ჩამოყალიბდება, სოციალური ფსიქოლოგიის შინაგანი ლტოლვა განცდის განსაკუთრებული სტილისა და ფორმის საჭიროებას;

სიტყვების დაწყობა მეტყველებაში მაინვენგილია ერთგვარი სოციალური განცდისა, სურვილებისა და ჯგუფებისა და მიმართებათა: სხვადასხვა სახის განცდა სიტყვებს სხვა და სხვა ფორმაში აწყობს; ყოველ ახსიერებს მეტყველებს: ქალაქურსა და ინტელიგენტურ ყოფს აქვს თავისებური სიტყვათა წყობა, თავისებური ფონეტიკა, გაბგერება, არტიკულიცია; სოფლურ ყოფს თავისებური მეტყველება და არტიკულიცია აქვს; მთა თავის მეტყველების ფონეტიკური თავისებურობით ძალიან განსვავდება ბარისაგან: ყაზბეგისა და ვეჯა-ფშაველას მეტყველება ფონეტიკურ-სემანტიკურ თვალსაზრისით დიდ ლირებულებას წარმოადგენს ქართული კულტურისა, განსაკუთრებით ქართული მეცნიერებისათვის: ქართული არტიკულიცის მხედრულ-ვაჭური პათოსი, რომელიც შეადგენს ყაზბეგისა და ვეჯა ფშაველას ნაწარების მთავარ თვისებას, ღირსია ცალკე მეცნიერული კვლევა-ძიებასა და არა ლანძღვა-გინებისა, როგორც ზოგიერთებს ემარჯვებად უკონდინარობისა და უკულტურობის გამო. საქართველოს პერიფერიების მდიდარი კულტურა ორგანიზალად შეჭრილი ქართული შემოქმედების ფორმებში, სახიერდება არა მარტო ხალხურ მუსიკაში, არამედ ხალხურ მეტყველებაშიც, ხალხურ გამოთქმაშიც. გამოთქმაში ისმის სულის წვლევა—განცდა და ტკივილები არსებობისა; გამოთქმის ტემპური სოციალური წვლებისა და ტანჯვის რეჟექსია; ყოველდღიურ ცხოვრებაში ცნობილია, რომ სხვა და სხვა სულიერ განწყობილებას სახის სხვა და სხვა გამოთქმა აქვს: მხიარული ადამიანის გამოთქმა არ წააგავს მწუხარე ადამიანის გამოთქმას; ყმის გამოთქმა სხვა ინტონაციისა, მებატონეს გამოთქმა სხვა ინტონაციისა, საქვის მეთაურის გამოთქმა არ წააგავს მიწყლის გამოთქმას; სოციალური საჭიროება იძლევა მეტყველების ფორმებს და გამოთქმის თავისებურობას: ოცი, ოცდა ხუთი წლის წინანდ ჩვენსა აკაციო ჰქონდა სოციალური ფსიქოლოგიის სულ სხვა ფორმას; ცხადია მაშინ მეტყველებაც სხვა სახის იყო: მაშინ არავინ ხშირობდა სიტყვებს: „პროკულოზი“, „კომინტერნი“, „აღმსიკომი“, „ადვილკომი“, „პოლიტგანი“, სამაგიერო ამბობდნ „პოლიცია“, „აღმატებლებს“, „ბრწყინვლება“, „თავადი“, „გუბერნატორი“ და სხვა... ამ სიტყვებს მოითხოვდა მშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების საჭიროება—მშინდელი ურთიერთობა ადამიანთა შორის; დღევანდელი ურთიერთობა ადამიანთა შორის სხვა სახისა და ცხადია სოციალური საჭიროება მოითხოვს სხვა სიტყვებს სხვა განცდებისა და სხვა იდეალების გამოსატყველებად.

ვინც დააბოლოებულა ლიტერატურასა და საერთოდ ესოეტური ხასიათის საკითხებთან, ვინაც აინტერესებს ხელოვნებისა და კულტურის დიდი სახეები, მათი ახსნა-განმარტება, ის ჩვენს წერილებში დაინახავს სრულებით ახალ დებულებას, რომელიც უპირაყოფ ძველ თეორიებს მეტყველებისა და ხელოვნების შესახებ, რომელიც გარკვევით და მკვეთრად ამბობს: მეტყველებისა და ხელოვნების ფორმებს იძლევა სოციალური საჭიროება.

ქ. კაპანელი.

# დ ი ს კ უ ს ი ა

## სიკვდილი თუ უპკდაგება?!

კორპორანტებს.

თხის ტყავით მორთული ბერძენი მოქალაქე სატირს აჯავრებდა. ღინჯი ხორცეგები სიცილს ვერ იკავებდნენ და სიხარულით დამთვარლნი და ნასიაოოენებო ხუჭუჭუ წვერზე ხელს ისეამდნენ იმ აზრით, კრომ ბელ მადლიე-

თვის დაეკისრებინა იგი, რადგანაც იცოდა: აოი-ნელი მოქალაქენი უვაკრის კომედისის მოთამაშეს სა-სიკვდილოდ სცემდნენ. სანახაობა და არტისტის შერე-ქმედებას სიტყვებზე მალა აყენებდნენ და ხშირად პირ-ველ რიგებში მსხდომარეთ სიტყვები ეკარგებოდათ, მი-უხედავად იმისა, რომ არტისტები რუპორებით წარმოს-თქვამდნენ სიტყვებს... (გორდონ კრეგი)...

ათეი აღავერდით გადავიდა სოფოკლი რომის უდიდეს არტისტ როსკოსთან. რომ სანახაობით გავი-ეთებულ ნერონს მაღალი თეატრის სანახაობა სისხლიან ტრაგედიადა არ ექცია რომის ცირკსა და სასახლეთა ბე-იანებში. არა ნაკლები დათუფრი სამსახური გაუწოა ამ კეთილშობილ ნილამ ჰრისტიანობაჲ. მან ანათება გამო-უტახადა ყოველგვარ სულას წამწყმად სანახაობას და უბ-რარლო ხალხში დედოფალათა თეატრი გაჩნდა. გაჩნდენ მოხეტიალე დასები და რა იგრძნეს, რომ სტიქიურ სურ-გილს ხალხისას ვერ გაუქალაუდებოდნენ, თეატრი ტა-ძარუა გადაიტანეს მისტერიების სახით და არტისტობაჲ: ის უნიკო ლფის მსაჴრნი შეუდნენ. თოთხმეტი საუკუ-ნის სიმალღეზე მიწა დაყრილი მარადიულ ნილამი ლორძინების ხანაში ისე შეიძა საფლავში, რომ სიკვ-დრისაგან განათვისუფლებულს შექპირამა, მოლიერა და ლოპე დე ვეგამ უკვდავების დაფნა მუხლ-მიყრით ფეხთ გაუფინეს. კვლავ გამობრწყინდა მსოფლიოზე მარა-დიული ნილამი არტისტისა და უნდა მომხდარიყო მეწნა ნენის—აბალი კლასის გაბატონება, რომ მარადიული ნი-ლამი სველი ცხვირსახოთით ხელში ლეოიერ ადგილიდან გამოცხადებოდა ლომან მოქალაქეს და იგი აეკრემლე-ბია მის მწარე ხეღერზე, მის განვილილ გაბირებმაზე, (სარტიმენტალიზმი) ან ქეთის ემხზე მოსულ მომღერალ-თა ილითუხია არ დარღვეულ იყუა, იცი თქვენშით ხუ იმეტი წყვილი დანა ჩანგლით და კარტონის (ბუტაფორიის) ქიქით და ან მაუერბელი დემტეარაიყო ხუთმეტი წუ-თის ანმავლობაში საკო როგორ იღვიფნეს, როგორ იცეამს წინდებს და ჩუსტებს და პირს როგორ იბანს. (მსხვერპლის წარმოდენას რა დავარკვით რეალიზმი თუ ნატურალიზმი) მაგრა აქაც იწენდენ თავს შეეყარე-ბული პრინციები მარადიულ ნილამზე და ერთი მათგანი საგალანტურენიო მაღახილან გაბრბის აღმუთებული, როგორც ეღვიე იმისათვის, რომ სილამაზის ძვირფასი მუში ასე იაფად დამუვასეს (მუნე-სიული) ხლო ჩვენში, ისე აენთენ სილამაზით, რომ „სალისეს“ კიეღმა და მო-თქმან კინადამ ორი წლით არ დაახში თეატრის კარბი.



საქ. ხელოვნების მუშაკთა კავშირის ქართველ მსახიობთა აბალი სექციის სამუო: აკ. ფაღავა (თავჯღომარე) აკ. ვასაჲ, ი. ზარდალიშვილი ვ. ჯიქია, პ. კანდელია და პ. შურაღუაი.

რი მოქალაქენი დაფნის გვირგვინით შეამკობენ მით თავებს ამ დიდებულ სანახაობის მოწყობისათვის. თხის ტყავით მორთული მოქალაქე-კი ნერგეულობდა და სიხა-რულით დაჰქროდა ღმერთების სახეთა ხეივანში, რომ ბელ მაყურებლისათვის ღმერთების დღესასწაული გადა-ცეა. ასე იშვა პირველი არტისტი დღელით და თრთოლ-ვით სულის დღესასწაულისაგან. დიდხანს არ ყოილა ბავშვის ზეიმი. სახელმწიფოთა დაკემა, ქალაქების მოს-პობა და განადგურება მთელი საოკუნის სიგრძეზე მოე-ლო ელინთა ქვეყანას და მზიარული ბავშვი ბედმა ჩა-აფიქრა. ამ ფონზე გაიშალა კოსმოური ტრაგედია, სო-ფოკლის, ესხილის, ევრატედესი და ზე-ქვეყნიერ სო-ცილთან ქვეყნიერი ნიღველის ნაოკით გადახანა არ-ტისტის სახე და მარადიული ნილამით დამეკვრდა ამაღლებულ ადგილას, სცენას რომ ეძახიან. სოფოკ-ლი ცხეკვს ნავსიკოუსის აროლში, ვერ გაბედა სხვის-

ამ უმადლესმა ქორუმმა ისე აიკრელა თავის ლეითორი ნილაბი, ისე გადაიღო „ადამიანების სახე, რომ მაყურებელმა არისტოტი ველარ გააჩნია თავის მეზობლის სახისაგან და მაგიორი ხიდი მათ შორის მოიხსნა, ერთი მეორესათვის უკვე საინტერესო არაფერი იყო. აღარც წარსულ ეპოქაში დარჩა საინტერესო რამ დაიწერა და მის წინ რეკოლოცია აიხრათა. კატასტროფიდან დიდი ეპოქის წინ დაედგით, რომელსაც „წარსული არა აქვს. მისი წარსულან—ბრძოლა ახალი ქვეყნისთვის და ნილაბი ამ ეპოქაში ზრტმით და დინამიით ამეტკონუმულად კვლავ მარადიულ სახეს ჰკვირავს. მას დღეს ახასიათებს, არა

დღევანდელი მორალი, რომ დღევანდელი ყოფა—რაც არსებობს—ეს მომავლის საქმედი, ბრძოლის შედეგი, არამედ სასიკვდილო ლაზვარი ტრადიციისათვის და ეს ლაზვარი ისტორიამ „დღურუჯს“ არგუნა, რათა ჩქარა განათავისუფლოს ლეითორი ნილაბი თავზე მოხვეულ ტრადიციისაგან და შეიკვრას ცხოვრებაში სინტენტიური სახით თანასწორ უფლებებით ცხოვრებასთან და თავის მეთოდებითა და საშუალებებით მოამზადოს მისი ყოველ მხრევი გამძლიარება და საპროფიტო მიზანი— ვრტის სტეზიის ემპლუმა, არტისტი მარადიული მერცხელი მასის კეთილშობილურ ღიმილისა.

ა. კ. ვახაძე.

## გრძობი, მიმიკა და უნსტ კულთაცია

მრავალი წერილები იწყება და იმეტება, როგორც რუსეთის ეურნალ-გაზეთებში, აგრეთვე ქართულ ეურნალ-გაზეთებშიაც, საერთოდ ხელოვნებაზე და კერძოთ კი სცენიურ ხელოვნებაზე, იმართება მთელი როგი დღის კუსია და პოლემიკა სხვადასხვა მიმართულებაზე, ფორმაზე და შინაარსზე. მხოლოდ რაც შეეხება საკეთილურ საკითხებს სცენიურ შემოქმედებაზე, ამის შესახებ ძალიან ცოტას ლაპარაკობენ ან სულ არაფერს, და ასეთი სახის წერილები კი მეტად საჭირო არის. ვინც ირიცხებ ნამდვილად პროფესიონალ აქტიორად და უხდება მუშაობა დიდ თეატრებში დიდსა და კარგ გამოცდილ რეჟისორებთან, იმათ ასეთ საკეთილურ სასცენო დარგებში არ სჭირდებოდათ გაეცნობა, რადგან გამოცდილ რეჟისორის თვალს მოკლებულნი არ არიან.

საერთოდ არსებობდა ყალიბი შეხედულება და ნაწილობრივ ეხლაც არსებობს, თუ კი ადამიანს არ აქვს რაიმე ფიზიკური ნაკლი და პირში ენა ეტყობს, მას შეუძლია მსახიობობა. მაგრამ ეგ სულაც აგრე არ არის. სცენაზე მომუშავე, რომ იყვეს ნამდვილი მსახიობი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, და მივიღოთ მისგან რაც მისაძლბია. მსახიობისათვის თავდაპირველად აუცილებელია გრძობა და შემდეგ კიდევ მრავალი პირველ ხარისხოვანი მხარეები, რომელიც შეიცავს მრავალ ტენიკურ პირობებს, მსახიობმა რომ გადმოვეცეს სცენიდან, ის ჩინი გადმოკვება უნდა, ამის შესრულებისათვის არის მსახიობისთვის საჭირო აუცილებელი თანსლებითი ტენიკური მხარეები, რაოროც არის მავალითად: გრძობი, მიმიკა და ესტეკულიაცია. ამითი ერთმნიშვნისაგან დაშორება შეუძლია ამა თუ იმ მოცემულ ტიპის განსახიერებისათვის საჭიროა აუცილებლად ვარდა იმისა, რომ მსახიობი წარმოსიტყვას სცენიდან რომელიმე აქტორის სიტყვებს აუცილებლად მან უნდა გააძლიეროს ეს აგრე-რეთვე გათვინულის მხრით, უპირველესად ეს გრძობი.

გრძობი თეატრში არ არის მყოფი ხარისხოვანი მხარე, ამას უნდა მიეჭეს ჯგროვანი ყურადღება. ცოტას გამოაჯკოსით ამ მხარეს, ესე იგი გრძობს უფერებენ ზე-

რელებ და არ აძლევენ თავის მნიშვნელობას. უმეტესათ ასეთი დანაკლის ხდება პატარა თეატრებში, განაპირა უბნების ან და პროვინციონალურ სცენებზე, სადაც ლაპარაკს უფრო მეტი ადგილი აქვს დათმობილი ვიდრე სხვა აუცილებელ მხარეებს, სასცენო ხელოვნების შემოქმედებაში. ამას რა თქმა უნდა აქვს იმიტირირი პირობები, როგორც მავალითად, ვიციით რომ ჩვენს მსახიობთა უმრავლესობას ახასიათებს სკოლის არ გაულა. სახიობები უმეტეს შემთხვევაში გრძობა ეძლობიან პარიკმაბერებს თავიანთ უციონინარობის გამო.

მეორე მხარე რომელიც არა ნაკლებთ თვალსაჩინოა სცენიურ შემოქმედებაში და მჭიდრო კავშირი აქვს გარეგნულ განსახიერებასთან—ეს მიმიკა არის, აი აქ კიდევ უფრო მოვიკავლებთ. ამ მხარეს კერძოვანი ყურადღება არა ჰქონდა მიქცეული. სულ ცოტა ხანია რაც დაარსდა ჩვენში ისეთი სკოლები სადაც ამას განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული. მაგრამ ჩვენს სკოლებს—სტუდენტსაც ახასიათებს ამ საგნის შესწავლის სისუსტე, და უფოთად მათი ხელმძღვანელნი შეეცდებიან რომ ეს საგანი იყვეს ჯგროვან სიმაღლებე დაეცნებულთ, ზემო აღნიშნულ ორ აუცილებელ ტენიკურ მხარეების, სცენიურ შემოქმედებაში, თან ახლავს კიდევ მესამე არა ნაკლებ აუცილებელი, ეს ეგრედ წოდებული ესტეკულიაცია.

ესტეკულიაცია—ეს სასეებით დამოკიდებულია არტისტის კულტურაზე და მის პლასტიკის განვითარებაზე, რამდენადაც მსახიობს შეთავსებული ექნება თვით ჰიპნოსის ექსპოლური სტილი იმდენად შესაფერისად რამაძახს ეესტით გამართავს თავის სხეულის მოძრაობას. ესტეკულიაცია ღრმად არის დაკავშირებული მსახიობის ენოციონალლობასთან და ტემპერამენტთან და კარგე მსახიობიც ის არის ვინც იციის ესტეკულიაციის სწორ-წონობა, ზომიერება, ესე იგი, მოძრაობის ეკონომია. არის როლები სადაც საჭიროა მეტის მეტი სიძუნწე ესტეკის ხშირად ერთი ზედ მეტი ხელის აწევა აფუქვებს საკმეს ამას უნდა მიაკეთოს ყურადღება მსახიობმა.

ბ. კანდელია.

# ფ რ ა მ ა

## მსახიობთა ამხანაგობა

მხიარული საღამო

„სტუმარ მასპინძლობა“ კომ. ვ მოქ. ტრ. რამიშვილისა.

პიესის ჩონჩხი მარტივია და უბრალო: იგი აგებულია ჩვენი ცხოვრების ერთ ერთ ტრადიციასზე—ქართველების სტუმარ-მასპინძლობაზე—რომელსაც არა ერთი ძველი ქართული ოჯახი განადგურებამდე მიუყვანია.

პიესის მთავარი გმირი—ალექსი ზესელიძე—ყოველად პატიოსანი და კეთილი ადამიანია; ქალაქში შეიძენს სახლსა და სცხოვრობს ბედნიერად თავის ცოლთან ერთად. მაგრამ ოჯახური მყუდროება ირღვევა ნათესავების მოულოდნელ ჩამოსვლით, რომელნიც ვალდებულად სთვლიან თავიანთ თავს, ინახულონ ახლად გამდიდრებული თავიანთი ნათესავი. დაწყებული მამიდიდან (ე. ჩერქეზიშვილი) და გათავებული ძიძის შანტაგისტი შვილით (ა. დგებუაძე) ამ სახლში პოულობენ მყუდრო ბინას და გულუხვ მასპინძლობას... მაგრამ ამ უფალო სტუმრიანობით გაბზვრებულ მასპინძელს მსხველად მოეციონება მისივე მდგმური არიშან ვახრაქიძე (ა. იმედაშვილი), რომელიც ხელოვნურ ხრიკების საშუალებით შესაძლებს ამ დაუპატიებელ სტუმრების გაძევებას.

ეს პიესა დიდ სცენაზე პირველად და დღემდე და უნდა ითქვას, რომ ავტორი ამაზე უკეთეს შესრულებას ვერ ინატრებდა.

კომედიის შესრულებას თან სდევს ორი საფრთხე: ან უსიციოებლობა, უხალისობა, ან-და გადამლაშება, გაშარება.

არც ერთს, არც მეორეს აქ ადგილი არ ჰქონია.

რეისორის (კ. ანდრონიკაშვილის) მავარი ხელი და ერლუდია საეგზით გნამაჟკარადე ამ საღამოს.

სრული ანსაბლი. ჯანსაღი დიქცია. არც ერთი ყალბი გამოთქმა. არც ერთი უხეირო ექსიტი.

მთავარი ფიგურა ამ წარმოდგენისა უსათუოდ მისი გულოვანი იყო (ნიკიფორე ატაქუტა). მისი ყოველი მიმოზერა, სახის ათამაშება, გამოხედვა, სიარული,—ლამარაჟი ხელოვნების მწვერვალს აღწევდა.

შეუღარებელი იყო ღიზა ჩერქეზიშვილი მამიდას როლში.

გ. ფრონისპირელი, ე. მატარაძე, ლ. ადამიძე და შ. გომელაური ყველთვის კეთილსინდისიერად ეყარობიან დაკისრებულ მოვალეობას და ამ საღამოსაც ეს კარგი ოთხეული ჩვეულებრივად კარგები იყვნენ.

ანეტა ქიქოძე—ქეიანი მსახიობია და დიდ როლის ამსრულებელმა ეს პატარა როლიც (მოსამსახურე თებრო) მოხდენილად გაითამაშა.

ბ. რონელია (დარო) მოგვცა წამდვილს სახე მოხუც მეუღლის ახალგაზდა მოარზიყე ცოლისა.

ე. გამყრელიძე (მიკიტანი) და ა. დგებუაძე (მუსხრიკიძე) პიესის მხატვრული დამატება იყო.

არ შეგვიძლიან არ მოვიხსენიოთ პატარა გომელაური—ტუგლიკო ვანოს მამიდას შვილისშვილის როლში, რომელიც არ შეუშინდა ატეხილ სიცილ-ხარხარს და მამიდას ლექურის იმპროვიზაციაზე თამამად ჩამოუარა...

მთელი საღამო, პოეტის თქმისა არ იყოს, „სიცილის ხეივანში“ ვიყავით.

სოგრი.

კოლექტიური შემოქმედება სასოგადოებრივ მიზანშეწონილუბაზე დაძვარებული გასდება წყარო ახალი სელოვნების.

ჩიხინიძე.

# მ უ ს ი კ ბ

## სახელმწიფო ოპერა.

### ს. ველახიშვილის იუბილე.

8 თებერვალს სახელმწიფო სპირო თეატრის გამგეობამ ს. ველახიშვილს ვადუხადა იუბილე, მისი საცენო ასპარეზზე 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად. როგორც ძველი მომღერალი ს. ველახიშვილი სცენასთან ათი წლის განმორების შემდეგ გამოვიდა ერთ ერთ თავის პარტიაში. დაიდგა ჩაიკოვსკის „ვეკენი ონეგინის“ სცენები სადაც იუბილიარმა შესარულა ონეგინის პარტია მესამე და უკანასკნელ სურათებში. დროს თავისი დიდი დაუტყვია, მაგრამ ველახიშვილმა მაინც გვიჩვენა რომ იგი თავის დროზე კარგი მომღერალი ყოფილა, თავის საქმის ნამდვილი ოსტატი.

„ვეკენი ონეგინის“ შემდეგ დაიდგა ერთი აქტი ვერდის ოპერა „ერნანდანი“. ამ ოპერამ გამოიწვია როგორც მზემ. ვერდის ნიჭი ტიტანიურა. მისი მელოდიკა დაუზრეტელ ნაკადსავით სჩქება. მესამე აქტის ანსაბლმა და მიმღერალ ალექსანდრის გამოსვლამ (კარლოს მხებთე) დასტუვა გრანდიოზული შთაბეჭდილება. არა „კარლოს დიდებულს“ ალექსანდრე შესარულა ი სეთი მუსიკა უკრის პათოსით, რომ მოგვავანა ვაგნერის მუსიკალური დრამები, რომელიც ჩვენ სცენაზე შეტად იშვიათად იდგმება და რომელშიც მიმღერალი ალექსანდრე შეუდაჩვენებელი

იქნებოდა. ფართე დიამარნი, ცხელი ეხალტაციით აღსაესე ფრაზები, თავისუფალი მალაი რეგისტრი და იშვიათი ეოკალისტრობა ალექსანდრის ხდის პირველ ხარისხიან არტისტად.

წარმოდგენის ვათაების შემდეგ სცენაზე დაიწყო იუბილიარის მილოცვა. იუბილეს არტისტიულ დღესასწაულის ელფერი ედო, არ დაჩინილა არც ერთი კულტურული ორგანიზაცია და დაწესებულება, რომ ამ საღამოს არ დასწრებოდეს. ამხ. გედევანიშვილმა აუწყა იუბილიარს რომ მას მიეკეთენა ჩესპუბლიკის დამსახურებული მსახიობის სახელი. ამიერკავკასიის სახ. კომისართა სამკომებისგან გადადებულა სამას-სამასი მანეთი და 200 მან. საქ. განათლების კომისარიატიდან.

იუბილიარმა მიიღო აუარებელი საქუტკები, მისალოცი დებუებები. მათ შორის ლ. სოზინოვიდან და სუმბათაშვილ—იუენიდან საზოგადოვარეთიდან. დასასრულს მოხდენილი სიტყვით იუბილიარმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებამ იმ ყურადღებისათვის და პატივისცემისათვის, რომელიც მან გამოიჩინა. იუბილიარის მიმართ.

ა. დ.

# კ ი ნ ო

## კინო, როგორც აზიზაციის საშუალება საქართველოს პირობებში.

ქართული სოფელი თავის ტერიტორიალურ მდებარეობით ძირეულად სხვაგვება რუსეთის სოფლისაგან. რუსეთის სოფელს რომელიც დაახლოებით შესდგება 300 კომისიდან, უკავია არა ნაკლები ერთი კვადრატულ ეგრისის სივრცისა. ხანდახან უფრო ნაკლები. მაშინ როდესაც ქართული სოფელი იმავე რაოდენობის კომლით იზღვება ასე სპში ან ოთხი ეგრისის მანძილზე. რუსეთის სოფელში თვითონ სახლები ერთი მეორესთან ახლოს არის გაუნებელი. ხოლო საქართველოს სოფლებში სახლები ერთი მეორესაგან დაშორებულია 1/3 ეგრისის მან-

ძილით. და ამას თუ მიუმატებთ ქართველი გლეხების სიღარიბეს მაშინ ჩვენთვის გასაგები იქნება პოლიტ. განათლების მუშაობის სისწილე და საზოგადოთ აგრეციის წარმოების სიძნელე ქართველ გლეხებში. ხშირია ისეთი მავალითები, როდესაც გლეხი ისე კვდება, რომ არ უნახავს არამეტყუ კულტურის ისეთი მონაპოვარი როგორც არის კინო, არამედ მას არ უნახავს არც რკინის გზა. ჩვენი გლეხების შეკრება მასიური მუშაობისათვის მოყვანილი ობიექტიური პირობების გამო პირდაპირ შეუძლებელია და ამიტომ ერთად ერთი საშუალებათ, ჩვენი

ზ მ ტ მ - მ ო ნ ტ ა შ ი



„ტარიელ მკლავზე“

სოფლებში აგიტაციის საწარმოებლათ არის კინოს სოფ-  
 ლად გადატანა. ჩვენი გლეხების ინტერესი კინოსადმი  
 უსათუოდ დიდია. ეს ინტერესი მხედველობაში ქონდათ  
 კერძო პირებს და ამიტომ რევოლუციამდი საქართველო  
 მოფენილი იყო კერძო კინემატოგრაფებით. მაგრამ სტა-  
 ციონალური კინემატოგრაფიის გვერდით იყო აგრეთვე  
 მოძრავი კინემატოგრაფისტები, რომლებიც დაძვრებო-  
 დენ საქართველოს მდიდარ კუთხეებში ფულის საზოგ-  
 ნელათ.

ზირათ გამოჩნდებოდენ ისეთი მწაჩობლები, რო-  
 მლებიც ან კინემატოგრაფებს, ლენტებს აძლევდენ. ქ-  
 თბილისში დაარსდა ქარხანა, რომელმაც მიზნათ დაისა-  
 ხა კინო ლენტების დამზადება და ვადამუშავება. პო-  
 ლიტ. განათლების სამართველოს მუშაობა— მოძრავი კი-  
 ნოს მოწყობის საქმეში, ჯერ-ჯერობით არ არის კარგად  
 დაყენებული და ამის მიზეზი ის არის, რომ არ არის სა-  
 თანადო საშავლებები და უმთავრესათ არ არის ისეთი  
 კინოლენტები, რომელიც უფრო საქირია სოფლისათვის.

რას, ისე გაიმსკველენ სათეატრო საკითხებით და ინტერესებით, ინდენად ბევრი ვაკეთეს თეატრისათვის, რომ იმათ გარეშე რუსული თეატრის წარმოდგენა შეიძლებოდა.



მსახიობი ალისა ქიკვიძე.

ათეული წლების მანძილზე შეუძლებელია. ისინი იყვნენ თავისი დროის დრამის, ოპერის და ბალეტის მხატვრული ტონის მიმცემი. მოვიგონოთ, რას სწერს მათ შესახებ საინჟინერო თეატრების ყოფილი დირიჟტორი ე. ტელიაკოვსკი: მხატვრები არა მარტო დეკორაციებს სწავლენ, კონსტრუქციის და ბუთოფორიის ესკიზებსაც ადგენდნენ: ე. კოროვინი მოსკოვში და ა. გოლოვინი პეტერბურგში იმავე დროს კონსულტანტებთ იყვნენ სათეატრო მხატვრობის საკითხებში, ახლად მისაღებ მსახიობის თვისებათა შეფასებაშიც კი.

ამას გარდა მხატვარი გოლოვინი საზღვარ გარე მთვლინებაში ყოველთვის ჩემი თანამგზავი იყო.

მხატვარი — კონსულტანტებს გარდა მოსკოვის და პეტერბურგის თეატრებთან იყო აგრეთვე კონსულტანტი — არქიტოლოგები. მხატვრების და არქიტოლოგების საბრეტრო საქმეში ჩაბმას შედეგად მოჰყვა საზოგადოების ინტერესის ზრდა თეატრისადმი.

— მხატვრების მნიშვნელობა თეატრში კიდევ იმით გამოიხატა, რომ ე. კოროვინიც და ა. გოლოვინიც ჩემი უახლოესი თანამშემუნი იყვნენ და ისინი მოდიოდნენ ჩემთან არა მარტო სამსახურის გამო, არამედ როგორც ახლო ნაცნობები და მეგობრები, რომელთაც იცოდნენ თეატრის სამზარეულოს ყოველი დეტალი. ამას ხედავდნენ და ანგარიშს უწყევდნენ თეატრის ყველა არტისტები და მოსამსახურეები, ამიტომ მხატვრების მდგომარეობა თეატრში მტკიცე იყო. ამის გამოვე ირც შეიძლებოდა თვალსაჩინო მიღწევა.

მავე ტელიაკოვსკის მოწოდებით, პროფესორი პრა. სოფი დიდი ქებით ისინებინდა თავის ლექციებში ბერ-

ლიოზის ოპერის — ტრადიციები კართაგენში — დეკორაციას და უჩვენდა სტუდენტობას ეს დადგმა ენახა არა მარტო მხატვრულ, არამედ მეცნიერულ ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ამ დროს თეატრმა მიიპყრა ყურადღება რუსეთის ყველა მხატვრების: კოროვინის და გოლოვინის დამხმარე მხატვართა გარდა სწორად იწყევდნენ და თეატრში ამუშავებდნენ სხვებსაც. სეროვი, ეასნეტოვი, ბენუა, ბაკტა, კლოდი და შერგაშიძე სწორი ესტროლოგები, იყვნენ თეატრში. ამის გამო არა მარტო სათეატრო მხატვრობა განვითარდა; დაიწმინდა და განვითარდა არტისტის მხატვრული გემოვნებაც; ჩამოყალიბდა სათეატრო ესთეტიკის კანონები; შეიქმნა მეგობრობის ტრადიცია: არტისტებისა და მხატვრების უშუალო ურთიერთ დამხმარებით ვაადვილდა სათეატრო პრობლემების გადაჭრა. სხვა ატმოსფერა ვერ წარმოშობდა ისეთი დიდი კალიბრ: სრეისოსოს, როგორც არის სტანისლავსკი, ან ისეთ ბალეტმეისტერს, როგორიც არის ფოკინი და მხატვრებს — მომღერლებს, როგორიც არიან შალიაპინი და სომინოვი. მხოლოდ მხატვრულ ატმოსფერაში შეიძლება არტისტის ნიჭის სრული დაწმენდა და არტისტულ ქესტის ან მიმიკის ზომიერების დაცვა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია შალიაპინის მავალითი. იგი ახლო მეგობარი იყო მხატვარ კოროვინის და უხვად სარგებლობდა უკანასკნელის მხატვრულ გემოვნებით. შეიძლება მითომ არის შალიაპინში მხატვრული მეტყველება უკიდურესობამდე გამაზივლებული და იმავე



ოპერის მსახიობი ქარციაძე.

დროს ზომიერებით გამოიყვითილი. სომინოვიც დიდ ყურადღებას აქცევდა მხატვრების რჩევას, ამიტომ არის ყოველი მის მიერ განსაზივრებული ტანი თავისებური. ეს ორი დიდი მომღერალი თვითონ სწავლობდნენ მხატვრულ

„ჯ ა ნ ე წ ი გ უ რ ი ა შ ი“



გ. მელიავა — ბესია

რაცა შეუფერებლად გამოიყენეს: თვითონ ვერ ერკებოა სცენიურ ატმოსფეროში და იძულებულია რეჟისორს დაემორჩილოს. ასეთ ყოფაში წინსვლა შეუძლებელია.

ასეთი მდგომარეობა გაგარკელდება სანამ ქართული მხატვრები უფრო მჭიდროდ არ დაუკავშირებენ თავის ბედს სათეატრო მხატვრობას. მხატვარს უსათუოდ უნდა ჰქონდეს თავისი პრინციპები და როცა სცენიურ ატმოსფერას ამზადებს მოქმედებისათვის ეს პრინციპებიც ამ მოქმედებას უნდა შეუფერდეს და გაატაროს კიდევ. მხატვარი—დეკორატორი სცენიურ მოქმედების ფერადოვანი კომპოზიციისა და განათების—მოქმედების შინაგან ბუნებასთან შეთანხმებაში სრული პასუხისმგებელი უნდა იყოს: მან უნდა განდევნოს სცენიდან ის საგნები და ფერები, რომელნიც მოქმედების მიზანსცენასთან უშუალოდ არ არიან დაკავშირებული. სოლო რაც გამოაქვს, რაც საკუროლ მიანიჩა მოქმედებისათვის, გამოიტანოს იმ შემთხვევაში, თუ ის რეჟისორთან შეთანხმებით შესძლებს დაამტკიცოს მის აუცილებლობას და საკუროებას, წინააღმდეგ შემთხვევაში სცენა მკვდარი საგნებით აივსება, რაც საგრძნობლად შეუშლის ხელს სცენიურ მოქმედების გაშლას. და ინტერესსაც მოკლებული იქნება. ვადაეველით თვალი ჩვენი თეატრის დეკორაციებს და გაკერით აღწინაშობთ, რამდენად შეეფერება იგი იმ მოქმედებას, რომლისთვისაც შექმნილია და

„ჯ ა ნ ე წ ი გ უ რ ი ა შ ი“

ბიდან და საინტერესოებიც გახდენ მხატვრებისათვის: შალიაინის და სობინოვის პორტრეტებით საცემა რუსეთი. მათი ტესტი, მიმიკა თუ პოზა მთელი სირთულით და სინამდვილით არის ასახული რუსულ მხატვრობაში. ამ გასწენებაზე: ჩვენი მხატვრები მხოლოდ საიუბილეოდ თუ დახატავენ ქართველ არტისტის პორტრეტს. ვინა სა. რაჯიშვილის პორტრეტი საიუბილეოდაც ვერ დახატეს; მისი შესანიშნავი ვეტყველებით სახსე სახე—დიდების ორულით განათებულიც ვერ შენიშნეს ქართველმა მხატვრებმა.

თუ რუსეთში: Головини сопровождал Мейерхольда, и Мейерхольд Головина, и, конечно, эта пара стала интересовать артистов и публику. ჩვენი თეატრის სინამდვილე დღემდე ვერ იძლეოდა შესაძლებლობას მხატვრის და რეჟისორის ასეთი დამეგობრებისათვის და, რა თქმა უნდა, ვერ იქნება თვალსაჩინო და საამაყო ჩვენი სათეატრო მხატვრობაც; როცა მხატვარი მთელი თავისი განცდით და ბუნებით შორს იდგა თეატრი. საგან და ფერებს აწვდიდა მხოლოდ კედლისა და ტილოებისათვის, მეტს არც უნდა მოელოდეთ; მეტს არც რეჟისორი მოიხსოვს: ის დააწერიანებს დეკორაციებს, კოსტიუმებს, დაადგვიანებს სცენაზე და შემდეგ მხატვარი თავისუფალია. არც მხატვარი სწუხს თუ მისი დეკო.



ვ. გვინიძე — კოზია

„ჯ ა ნ ე ი ბ უ რ ი ა შ ი“



კ. შაბათაფა—პეტრია

რამდენად გამოხატავს მოქმედების შინაგან ბუნებას. ჩვენი მიზანია ამ შემთხვევაში მსოლოდ ნაკლებზე მიუთითოთ, მაგრამ ამ ნაკლებს ჩვენ საერთოდ აღწინაშავეთ და არავის სახელს არ დაუკავშირებთ.

ოპერა დაისის პირველი მოქმედება: სცენის უკანა ფონზე ტიკინებით სავსე ურბები მოძრაობენ და ეს ტიკინები—თითქოს ადამიანთა ფიგურები—უზარმაზარ ხეებზე უფრო დიდი მოსიანან, რაც სრულიად არღვევს მოქმედების ფონის მთლიანობას. მეორე საბოლოოზე ასავალი კიბე უზემთ არის შეერთებული აივანთან ასავლად თუ

ჩამოსავლად სრულიად შეუფერებელია: შეიძლება მსახიობმა ფეხი წამოჭრას და ჩამოვარდეს. მსახიობი ქალი ნეიმიონი ჩამოვარდა კიდეც, მაგრამ კიბე ოდნავაც არ შესცვალეს. მეორე და მესამე მოქმედებაში წამოიყუდებულა ცარიელი ურბები, თითონ ტაძარი—სადაც დღესასწაული ხდება, სრულიად უფერულია და მიუღებელი. მხატვარის წარმოდგენაში ასეთი საქათმეც არ უნდა იყოს! აქ შეიძლებაოდა ქართული ჩუქურთმისიანი ტაძრის გამოყენება. მაშინ განცდასაც სიდიადე ექნებოდა. ამ ოპერაში არც კოსტიუმები არის კარგად დამზადებული: გურული უღამაზესი კოსტიუმი—ჩაქურა სრულიად დამახინჯებულია, თუშების ჩოხებიც უზომოდ გრძელი და შეუფერებელია, მით უმეტეს ოპერაში, სადაც არაა აუცილებელი ნატურალიზმის დაცვა! სრულიად დამახინჯებულია ცანავალი—სახანდარისტა—სახალხო მომღერალი. შირიში ეუბნებიან—თავი მიუღავს წიწვასო—და ეს მხატვარს თუ რეჟისორს ისე გაუფია, რომ მართლა წიწვით სეზური—უკეთ იქნება ვეჭვით, იდროტისებურა თავი გაუკეთებიათ მისთვის!!

ოპერა—აბესალომ და ეთერის—ახალი დაღვმა: ერთი შეხედვით თვალს მოგპრის. აქ ყველაფერი მზიურია და ცოცხალი სახან მოქმედება დიწყება, მაგრამ საქმის მოქმედების დაწყება, რომ მკვდარი საგნებიც დაეინახოთ. მაგალითად: ქორწილის სცენა ხდება შესანიშნავი ხელოვნებით ავებულ სასახლის ეზოში. პირველი შეხედვა დიდ სიხარულს იწვევს, მაგრამ ეს წუთიც გაივლის და ეს ბრწყინვალე სასახლე საბრთსობელად იქცევა. მოქმედების პროცესში სასახლე საკურო აღარაა, მთელი მოძრაობა ალაყაიის კარებიდან იწყება. აქედან შემოდინ. აქედან შემოაქვთ ყველაფერი. სასახლეში ბნელა, არაეინ შედის, არაეინ გამოდის. მაყურებელი გეკითხებათ:რა საკუროა ეგ სასახლე? პასუხი ვერ გავიციათ. აქ დამწაშვე რეჟისორია, მოქმედების პროცესში შეიძლებაოდა სასახლის გამოყენება და მოძრაობით გაციცხლება! ამ სურათში არც მოქმედების ძირითადი განცდა არის ჩარჩოში მომწყველეული: როცა მუშრმანი ეთერს ჯადოს გადასცემს, მოქმედების და განცდის ცენტრად ეთერი ხდება, მაგრამ ეს შემომჩნეველად ჩაივლის, რადგან რაღაც უცნაური სიმბოლო გამოჩნდება და მთელ ყურადღების იგი მიიპკრბოს.

(შემდეგი იქნება)

თომაზ ბორელი.

გაკუმარჯოს სელოფენებისა და შროაძის კავშირს!

მუქებო და მუქა ქალებო! მოგვაწოდეთ თქვენი შთაბეჭდილებები თვატრსე და კინოსე.

# მხატვრული ლიბრეტო

ახალგამდა საქართველო:

(პოემიდან „ახალგამდა საქართველო“)

საქართველოს გასაბჭოების ოთხი წლის გამო.

ოდესღაც:

საჟუჟის მანძილით,  
როს ეს ქვეყანა  
სულმზუთაჲ ძილით  
ატარებდა ქაოსს,  
ჩვენ დავიბადეთ  
და მაშინ,  
იმ დროს  
ღამე სიხშირანი  
ძუძუს გვაწოვებდა  
მაგრამ შხამიანი,  
იყო რძე მისი  
და შიტომ მშობელს  
ვერ ვიყვარებდით.

იმ დროს ემოზობდით  
ევმობდით ბატონებს  
და ყველამ მეფე  
ვილოკეთ ღმერთად.  
ასე გვეგონა  
ღმერთია ორი,  
ზეცაში ერთი  
და ქაენათ მეორე

ჩვენი სიკაცხლე  
წმენათვდა ოფლათ  
და დაიწურა  
ვით ჩვარი  
ტილოს,  
ყრუობდა ჩვენთვის  
ღმერთი და ჯვარი  
გოღება ჩვენი  
არვის ესმოდა.

ეთათა სარბოლაშნ  
ცა მოიღურბლა,  
განდა ქუხილი.  
გაივარდა მუხი  
მოვარდა წვიმა  
კოკის პირული  
და ნიაღვარი  
ახვირთებული  
სამშობლოს არეს  
მოედო ბრაზით

აქაფებული.

და კერპი ცისა  
განაცარტვერდა:  
ღმერთი ატარდა  
და დედა-მისის  
გადატყდა ღვრძი  
გამეფდა ქვეყნათ  
ალიაქოთი  
და საქართველო  
ძველი ეპოქის  
აინთო ცეცხლათ  
და იქცა ფერფლათ...

დასალტული  
სული  
ფართხალგამდა  
ჩიტვით ვალ იაში  
და ჩვენ დაფარული  
კენესით არ ვეიოდით,  
ვით წარსულში.  
დღესნი ავღრიანი  
სულმა გაიარა  
სიმღერებით.  
გზები ეკლიანი  
კიდევ დაიფარა  
ჩვენი ძვლებით.  
მაგრამ ჩვენი სული  
არის უშიშარი  
ვით მთის ქარი.  
და მტრის ავი გული  
გაბზარული არის  
სულის ნაპერწყალით  
ბედმა ჩვენი სული  
ალში ვადაუგდო  
მსოფლიო ცეცხლს.  
იყოს მუდამ კრული  
ვინც არ გააჟყეს ხმალში  
ჩვენს მოსისხლე მტრებს,  
სულში საქართველო  
ახალშობილია:  
ახალგამდა.  
ვინც, რომ ის დასწყველოს  
გშობილია,  
და არამზადა.

სანდრო ეული.

## ქ ე დ ა ქ ა რ ი .

(გაგრძელება)

\* \*  
 ზამთარია  
 ეს არია  
 ქარმა შესთხზა,  
 მე დაესწერე,  
 ქარმა გაჭკრა მავთულ ხლართი  
 და მე იგი ხმლით აესერე;  
 მე ავიღე მისი ციხე  
 მის სიმაგრეს მე ვეკეთე,  
 ის მე რაშათ მომეღვინა,  
 მე ის რაში დავაფეთე,  
 ზურგს მოვახტი გაბედულათ  
 და ფაფარში ხელი ვსტაცე,  
 არ დამინდო...  
 გამიტაცა...  
 გამიტაცა,—გავიტაცე...  
 ბბა, სცადოს გადავადგება  
 და, რაც სურდეს, აგვიმადგეს!  
 მე ვაზივარ მას, და ის კი  
 ვერ ნახავს, რომ მე ზედ მაჯდეს!..

\* \*  
 ზამთ არია,  
 ეს არია...  
 რამ არია  
 ცის ღრუბელით ქარავანი?  
 ბამბის ჯარებს ვინ მოავლო  
 გარს ფირფხის გალაგანი?  
 ცა ზღვია, თუ ზღვა ცა არის?  
 ერთს—მეორე ვინ ამსგავსა?  
 ზღვამ მე გული ამიჩქროლა,  
 ცამ მე იგი დამინახესა,  
 ზღვა მე მკერდით გადაესერე,  
 ცისკენ ვილტვი, ვით ფრინველი,  
 ზღვა გულფიცხი მდღელარია,  
 ცა—ცივი და უდრტივინელი...  
 მე ზღვა მიყვარს!  
 მას  
 ქარიშხლად გადავაქცეე  
 როცა მინდა!  
 ცა კი...  
 ცა სულ უძრავია  
 და ღრუბელმაც დამიბინდა.  
 მე მომწყინდა:  
 მგ სიმუნჯე,  
 გულზეიადი სიერცე, ცივი,  
 მე იქ ღრუბლებს დავერიე,  
 ქართან ერთად მეც იქ ვკვივი...  
 ხელნართულში რომ ჩაემა,  
 ბირით ცეცხლს ჰყრის ჩემი ხმალი:

მე ცა ცეცხლად ავაფეთქე  
 ცას შეუნთე ქარიშხალი!..

\* \*  
 აირია  
 აირები  
 და ცის ლურჯი  
 შაირები:  
 იღუმალი სიზმარეთი  
 და უსაზღვრო ძალა-ღმერთი,  
 მისი ლაბტი,  
 მისი ტახტი,  
 სრასასახლე,  
 მისი კიბე...  
 აიგდი და  
 გადაეფიფე  
 ისრის გებით ჩემი შეილდი  
 და  
 შეესძახე:  
 „გამიფრთხილდი!..“

\* \*  
 დააკვირდენ  
 იქ ჩემს სახეს,  
 და რა ნახეს,  
 რომ მე ქარსე  
 ვიჯექ მტკიცედ  
 და ფაფარზე  
 მეპყრა ხელი გაბედულათ,  
 და შურდულათ  
 შევიქერით  
 ცეცხლის ფერით,  
 ცეცხლის სახეთ,  
 ჯერ შეესძახეთ  
 მედგრათ, მკეხეთ,  
 კვლავ შეეხეთ  
 ცის ბჭეთ ხელი ჩასაქცევით,—  
 ნახეს იმით,  
 რომ ერთმევათ  
 შეუფების ფხა და ძლევა!..  
 და დაიწყეს შემოტევა  
 ყველა ფრონტზე,  
 ყოველ კილით...  
 ჩვენ შიშს ვგვკრიდით  
 ჩვენის ქროლით,  
 მივიკლვევით წის გზას  
 ბრძოლით:  
 ვსტებდით ლახტებს,  
 ვსტებდით ტახტებს,  
 შეუფების ვსაბოდით კვერთხებს  
 და  
 „მუთირეთ დედა ღმერთებს!..“

\* \*  
 და მოქმედი ორგული,  
 ეს ზმანება შორეული  
 გაცხადდა  
 და  
 ასე ახდა:  
 ცა, ოდესღაც გულზეიადი,  
 დაეცა და გაპარტახდა...  
 არა!..  
 ღმერთი გადასახლდა...  
 მას წილად ხედა სირიუსი,  
 ეგ მსოფლიოს პოლიუსი,  
 მიუვალი  
 ცეცხლის რაკალი...  
 მას იქიდან სურს აწ ძღვეა...  
 კვლავ ახალი შემოტყევა..

\* \*  
 და ეს ბრძოლის მოლოდინი  
 ჩვენც ფრთებს ვგასასმს!  
 ბრძოლის ეინი  
 ჩვენში უფრო მეტი არის,  
 ვიდრე ღმერთში!  
 ჩვენში—ერთში,  
 ვინც ერთში ესკვლით მილიონებს,  
 ჩვენ,  
 აწვეტილ,  
 ბორკილ-აურილ,  
 ყოფილ მონებს,  
 აწ კვლავ ისე ვინ დაგვეგანის,  
 ვინ შეგვებულაუს,  
 ვინ დაგვადებს ისევ უღელს,  
 ვინ გავეთლავს,  
 რომ კვლავ ქედი მოვუხაროთ  
 ძველს ბატონებსა?!

(გაკრძელება იქნება)

ნ. ზომბეთელი

### შ ა ს ქ ო რ ა ლ ი .

შე დაფერილი ქარვის ბროლებით  
 მთების ვადალში ნაზად ეშვება;  
 იღვრება შუქი ახარფეშებად  
 ნაძენარში სწრაფი გამოკროლებით.

ტბის სარკეებზე წვება ჩრდილები,  
 ბინდის ტვერებში იძინებს ველი;  
 მოედო მიწას ჩუმ აგრელებით,  
 წყნარი შრილით ნიავე ნელი.

ციდან ფერები მიიმედ მოდიან,  
 და ბნელ ხეებში საღდაც, თოვლებდა

შორიდან ისმის მთის მელოდია  
 საღამოვდება.

დაღლილ რონინით ქარვის ღრუბლებს,  
 ამოგზაურდენ ქარავანები;  
 სულში ხმებია თავისუფლების  
 და მღვლეარება მწვანე ყანებს.

მიდის ქრიალით გაღმა ურემი,  
 დამტრის ურმულს გლები მშობამელი;  
 შარის მზიარულ ახმარებებით  
 მღერის სოფელი დაუცხრომელი.

ალ. იანელი.

## კ ი ნ ო

### „ტარიელ მკლავაე“

ჩვენმა კინო-მრეწველობამ გამოუშვა ახალი სურათი  
 „ტარიელ მკლავაე“. გახუთებამც ამ სურათის შესახებ  
 დადებითი აზრი გამოთქვა. საგულსნებია, რომ ყოველ  
 ახალ სურათს დიდ მიღწევებს მიაწერენ და საუკეთესო  
 სურათად მიიჩნევენ. ამ მოვლენას წინათ ჰქონდა აზრი,  
 როდესაც აჯერ კიდევ ფეხ აუღმგელი ჩენი კინო გამოდით-  
 და თავის მუშაობის სარბიელზე, მაშინ საჭირო იყო წა-  
 ქეზება, ნაკის შემცირება, ღირსების ვალიდება. დღეს  
 კი ასეთი მიდგომა შეუფერებელია. დღეს ჩვენ უკვე სე-  
 რიოზულ მოთხოვნებს წაუყენებთ ჩვენს კინო-მრეწველო-  
 ბას, ამ მხრივ „ტარიელ მკლავაე“ არ შეიძლება გამარ-

ჯებულ სურათად მიიჩნოთ. დადგმის ტენზიკის, ვადა-  
 ლების სისწორის, ფოტოგრაფიის მხრივ ჩვენ სიტყვას  
 სტეცილისტებს დაუთმობთ, ხოლო რაც შეეხება იმ ყო-  
 ფა-ცხოვრებას, რომლის ჩარჩოებში მას უნდა მოეცა მო-  
 თხრობის ფაბულის განვითარება, ამაზე შევსაინებთ მკი-  
 თხველის ყურადღებას.

სურათი მოცემულია სასამართლოს პროცესის სახით.  
 პროცესში ირკვევა და ყალიბდება მოვლენათა მიმდინა-  
 რიება. ეს მეთოდი არ არის ცუდი თუმცა იგი ორიგინა-  
 ლობას არ შეიცავს. ასეთი მეთოდით ფაბულის ქვახსნა  
 იცის დასაუვლეთის კინომ. ამ მეთოდს აქვს თავისი მიმ-

ზიდვლობა, ფეფქტი, მაგრამ მას ესაჭიროება დიდი სიფრთხილე. საქმე იმაშია, რომ ყოველი მოთხოვნის მოქცევა არ შეიძლება სასამართლოს პროცესში, ის როგორც ყოველ მოვლენას სასამართლოში ვერ შეუქრი. აქ სიფრთხილვა საჭირო. თუ გამოვიდეს ისეთი პროცესი, რომელიც არსად, არასოდეს, არაფის მიერ არ ყოფილა და არცა შეიძლებაოდა, ყოფილიყო, მაშინ მთელი სურათი მახინჯდება.

ამ საუბრისას „ტარიელ მკლავაძე“ ერთი წუთითაც ვერ გაექცა. მის დაემატა ჩვენი ყოფა-ცხოვრების დამახინჯება და ყოველდღე გადატყდა მრუდვ სარკვეში.

გადავხეილო სურათს. სასამართლოში ტარიელ მკლავაძის მამა გვიამბობს. „ტარიელის დაბადების ამბავს“. ხედავთ სამშობიარო ოთახში ქალს, რომელიც იტანჯება მშობიარობის ტკივილებისაგან. (ვერ გამოვიჩინა რა მხა: ტრულოვ ამ სოციალური რეაქციებისა აქვს სმ „ფიზიოლოგიის პრაქტიკულს“? რა აზრით შეიძლება გამართლებულ იქნეს ეს მომენტი?) ტარიელის მამა გვიამბობს თუ როგორ ცელქობდა ტარიელს, როგორ „დაულტვა“ წვერუბი მაგდალზე აღმდელ მშინარ მღვდელს და როგორ დაავლავდა თმა, რის გამოც ტარიელმა მამისაგან მიიღო აღერა. (ეს „პაპანინკებელი“ დაკვირ სურულია ზედმეტია და მაშინ შეუძლებელია. რომ მამას, ღვთის მოარწმუნეს ამისათვის აღერს მიეძღვა შეილისათვის) ან როგორ სკეჟდა თვით გულზე, ტარიელის ცელქობის წინააღმდეგ, როდესაც ისინი ამხედრდებოდნენ. ერთი სიტყვით ტარიელის მამა სასამართლოში იმის ნაცვლად, რომ სცილობდეს მისი შვილის მკვლელის ასავს თვით საბრალდებულო სიტუაციას ამბობს საკუთარი თავის და შვილის წინააღმდეგ. ასეთი სასამართლო შეუძლებელია, ასეთი მომზივანი არავის უნახავს.

თავი მეორე გვირი „ტარიელის მეგობარი“ ქარაფშუტა ახიდა, რას ამბობს ის სასამართლოში? უფრო საშინელ საბრალდებულო სიტუაციას ტარიელისა და საკუთარი თავის წინააღმდეგ, აღწერს მათ ჰქვიეს „სამიკიტონებში“, ჯგუფს, სხვათა დამცირებას, ქალების გაუპატორებას, გადაცემას და სხვ. და სხვ.

ასეთი მოწმე არ შეიძლება, მით უფრო მოწმე მოკლულის „მეგობარი“, ასეთ მოწმეს საიჭირავს თვით სასამართლო, ჩვენი კი არა, ის სასამართლოც, რომელიც მაშინ იყო, რადგან ის ბოროტმოქმედების მოზიარია და თვით უღივდესი დანაშაუც. ყოველ შემთხვევაში არცერთი მოწმე სასამართლოში საკუთარი დანაშაულობის შესახებ არ ღაბარაკობს.

უფრო სხვა სურათია ამ მხრივ, როდესაც მცირეშვილსა და დესპინეს ცხოვრებას აღწერენ. რადგან აქ საბრალდებულო თავის თავად არაფერია.

ერთი სიტყვით სასამართლოს პროცესის მეთოდის გამარჯვება „ტარიელ მკლავაძის“ მოსაყვამთ მაცნხიფ დამთავრდა.

რა მოვლვა სურათმა ყოფა-ცხოვრების მხრივ? უნდა აღინიშნოს, რომ მთელი სიმძიმე „ტარიელ მკლავაძეში“ სწორედ აქ არის. შინაარსი მოთხოვნის ყოფა-ცხოვრების ფონზეა გაშლილი. თვით ტარიელი უაღრესად განსაზღვრულია.

ღერუკი ყოფის გმირია, როდესაც დგარდაცული არის ტარაკრია და შორდა თავის ძველ სოციალურ როლს და გადაიქცა პარაზიტულ ელემენტად. ამიტომ მთელი მოთხოვნა ყუ-ფა-ცხოვრების სტრუქტურა და რიტმაში უნდა იყოს ჩასმული. სურათი ამ მხრივ ელემენტარულ კრიტიკას ვერ უძლებს. ტარიელის მამა, რომელიც „დამბახის“ ეპოქაში ცხოვრობს შვილის შესენისას დამბახას გინგის“ საწერ მაგიდას უზის, რომელიც ვერაბოულ სტრუქტურა ავებუდა „ტუბმუსკებით“ „მანდლებით“ და სხვ. მისი ბნინის მოწყობილება, თუ მარტო კვლავ შეგვეხედებულ ძველებურ იარაღებს არ შევამჩნევდებით, სრულიად არ არის ძველი, თავადის „გურიელის“ ბინა. თვით ტარიელი უფრო მეტად ჯიბიგობსა და სამიკიტონების მაწინააღმდეგე შეთაბეკილებას სტრუქტურა, ვიდრე თავადისას, რომელსაც ერთი მხრივ ოფიციალი არისტოკრატობის ნაშთი აქვს. მეორე მხრივ გათათბრებული ხასიათი და მესამე მხრივ საკუთარი თავის თავხედური ჩწყენა.

აიღეთ ცალკე მომენტები. განა წარმოადგენია 20 საუკუნის დასწყისში გურჩის თავადების ტუქში მჭიფი „სამიკიტონი“ და ჩაით? რომელი თავადი გინახავთ მოცევავე, რომელსაც თავზე ადუღებულ „სამიკიტონ“ ედვას? აღარ გვერად ამის შემდეგ იმის აღნიშვნა, რომ არც „პაპანინს“ მიერ „დამარჯვული“ ტუქები იყო მაშინ.

ან როგორი შთაბეჭდილება გინდამთ მცირეშვილის ბეჯითობის, როდესაც ის ყოველ ნაჯახის დარტყმაზე წიგნში ხხედვდა, ვინ სწავლობს ასე? ან რას ისწავლის ასე? ეს არის შიომისა და სწავლის შეერთება?

სხვა მრავალი წვილმანიც. რამ არ აღვწერნათ ყოფა-ცხოვრების გაუყვებრობისა და დამახინჯებისათვის ექვც საკმაოა.

აიღეთ სურათი თავის კლასობრივ-საზოგადოებრივ აზრით. ვიჭირობ აქაც ის არაფერს იძლევა. მთელი ენერჯია იმაზეა დახარჯული, რომ ტარიელი ქალებს უნუპტვირებას. ეს იმდენათ ხშირია, რომ მარალაც გიკვირო ტარიელის „ენერჯია“ და ცხადან გრანობთ, რომ სურათი ტენდენციურია. განა მოკლენის საშინელება და ბოროტება მისი გამარჯვებით დასურათდება?

კიდევ მეტი. საზოგადოების არც ერთი წრე არ არის გამოყვანილი დადებითად, მოსაწინააღმდეგეა. აიღეთ გულეები, ორი გლეხი სამიკიტონში, ისინი ისეთი დეკლერის სახის არიან. რომ რაიმდენიმე საუკუნით უნდა დასწირო გოზული გლეხი, რომ მათ ფიზიონომიას დაუბასლოვო—არც გლეხების აღშფოთება მოცემული ტარიელის საქციელის გამო. გამოდის, რომ გლეხები მოთმინებით იღებდნენ ყოველ შეურაცყოფას. მათი ოჯახის გაუპატორებას. აიღეთ ინტელიგენტური წრის წარმომადგენლები, დაზარალებულები: მცირეშვილი და მისი მეუღლე. სუსტნი ნეერასტენიკები, გაუბედვი, ზედმეტის დამთმობანი, უპირიფრონი პროვინციანი. ერთი სიტყვით აქ არავითარი დორებულება არ არის კლასობრივად, საზოგადოებრივად თუ ასეთი სურათებით გავაცნობთ საკუთარ თავსა და წარსულს იცრუბას ან უნდა გავგიჟებოდნენ, რომ წვენი წყვილიუიკურ ბიროლას და სოციალისტურ აღმშენებლობას მკვის თვალით შეხედოს ევროპის მუშებმა.

ჩვენნი კინო-მსახიობი ქალები



თამარა ბლექვაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ნატა ვანნაძე, კლემენტინა ჯაჭია, სოფია უოზნედი.

მერწმუნეთ ბურჟუაზია სულელი არ არის, როდესაც ის ერთი სიტყვითაც არ აქებს თავის სურათებში კაპიტალიზმს, მაგრამ ერთი წუთითაც სურათი არ შორდება იმ ფსიქოლოგიის შემუშავებას, რომელიც საჭიროა კაპიტალისტური კულტურის მენარჩუნებისათვის. ეს ხერხი ჩვენ ბურჟუაზიიდან უნდა ვისწავლოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში უკიდურესი ტენდენციურობა უარეს კონსერვატიზმსა და აპათიას ვაამყვებს.

მე არ მსურს მსახიობთა შესრულებასა და სურათის გადაღების ტენიკის მარტივ ვილაპარაკო. აქ სვეციალისტები უფრო ბევრსა და უფრო სწორს იტყვიან. ვფიქრობ მათი სიტყვა უეჭველათ სურათის სასარგებლოთ იქნება, რადგან არა სვეციალისტისათვის ცხადია, რომ სურათის ფიქტოვ-აფთა შესანიშნავია, გადაღების ტენიკა მოხდენილია, ოპერატორის მუშაობა სწორი, მაგრამ ყოველივე ეს სტავებს მხოლოდ გარეგან სისწორის შთაბეჭდილებას შინაგანის დაზახინების გამო.

# კინო „მისი რეჟუტაცია“

ჩვენში საერთოდ ცნობილია ე. წ. „ამერიკანული“ კინო-სურათები პირლ უაიტის, რუჟ როლანის და სხვა „ტრიუქის“ არტისტების. რა ახასიათებს მათ? ერთი მეორის დენვა, სირბილი, დეტექტივა უაზრო ხშირად, ჩხუბი და სხვა „შესაძლებელი“ თუ „შეუძლებელი“ ტრიუქები. კინო-ფილმა „მისი რეჟუტაცია“. ანუ „სკანდალურ ქრანის მსხვერპლი“ საგრანობლად განირჩევა ხეშმისენებულ ფილმებისაგან. შეიძლება თამაშად ითვალოს, რომ ასეთ ხასიათის „ამერიკანული“ კინო-სურათი თბილისის ჯერ არ უნახავს. სცენარი. სიუჟეტი სრულიად არა გავს აქამდე ნახულ ამერიკანულ სურათებს, სადაც უთავბოლო და უაზრო „ტრიუქები“ ხშირად ამეზრებენ მაყურებელს თავს. საკვირველი ისაა, რომ თავის სიუჟეტით იგი უნებურად გადაიქცა „თავისუფალ“ ამერიკის პრესის სატირად. მაყურებელს თვალწინ ნათლად ესახება თუ როგორი ქოჩებს სოხზავენ და რას არ იკონებენ აჭერიკის რეპორტორები სენსაციის შექმნისათვის კომერციულ თვალსაზრისით, რითაც ადვილად ღუბავენ ადამიანის რეჟუტაციას. მშვენიერის თანდათანობით და სიციხველით ვითარდება ამ მხრივ სცენარი. შესანიშნავია აგრეთვე ზო-

გერთი დეტალები, რომელნიც გვიხატავენ „დემოკრატიულ“ ამერიკის ზნეობას, თუნდაც კაჭეში პოლიციელისთვის ქრთამის მიცემა და სხვა. ამ მხრივ იდეოლოგიურად ფილმა სასებებით მისაღებია. სამუთითა ეკრანისთვის. დადგმა. შესანიშნავია მისსისიპის წყალიდობის სცენები, აგრეთვე განსაზრ. რომელიც გაინდა ავტომობილის კატასტროფისაგან. მეტად მოხდენილია ცდა კინოში კინოს გადაღების, რაც მიღწეულია გადასმულ პრექციასთან კოცხალ მოცეკვავეთა ფიგურების შეერთებით. თამაში. ფილმა გვარწმუნებს, რომ ჯერ კიდევ მრავალი ამერიკის კინო-არტისტი არსებობს რომელთაც ჩვენ არ ვიცნობთ.

მეი-მაკ-ველი მეტად ჭოტოკანურიია თავის გარეგნობით და თავისებური სიმარტივით თამაშობს როლს, საერთოდ ფილმა ინტერესით იყურება. მხოლოდ გაუგებარია, რატომ მოხდა რომ ფილმის რეჟისორად გამოცხადებულა აფიშებში და ეკრანზე უნაგ გრიძობი, როდესაც ნამდვილი შექმნილი ამ ფილმის არის ამერიკის შესანიშნავი რეჟისორი ტომას ინჩ, რომელიც შარშან დეკემბერში გარდაიცვალა ამერიკაში.

მ. ა.—ლი

## წითელ თეატრში

### 25 თებერვლის დღესასწაული

25 თებერვლის საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავზე საქ. პროლეტკლასის წითელმა თეატრმა გაიხიზა დაიდი ზეიმი.

წითელი თეატრი ერთად ერთი თეატრია, რომელიც რევოლუციონურ დღესასწაულებს ჰხდის ნამდვილ ზეიმად, ხალხის დღესასწაულად. ჩვენში საკალენდრო დღეების მიმწყოები და ჩამტარებელი მსოლიოდ პროლეტკულტა და მისი წითელი თეატრი. 25 თებერვლის დღესასწაულიც წითელმა თეატრმა ჩვეულებრივი ადრეთივანებით და ენტუზიაზმით ჩაატარა. ზეიმი—სალამოს დაწყების წინ უძლიდა ანუ. საწდრო ეულის მოხსენება, რომელმაც მოკლედ და მარტივად განმარტა ის დღებითი მხარეები და კულტურული ზრდა, რომელიც ჩვენში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ.

მოსხენების შემდეგ გაიმართა პროლეტკულტურების დემონსტრაცია. დემონსტრაცია არ წაავადა ჩვეულებრივ თეატრალურ ტრაფარეტს.

ახილდ ფარდის წინ მაყურებელი სჭერეტდა თვით თეატრის კუნძულებს, კულისებს, რომელიც ყოველთვის უხილავია ფართე მასისათვის. პროლეტკულტურებმა თავიანთ პროცესის სვლით. შესაფერის მოქმედებებთან ერთად გაიჩვენეს თავიანთი შემოქმედებითი ცეცხლი, ნიჭი და ხალისი სცენიურ იმპროვიზაციის.

მეორე განყოფილებაში კ. ფოცხერაშვილის გუნდმა შესარულა რევოლუციონური და ხალხური სიმღერები, პროლეტარულმა პოეტებმა წაიკითხეს თავიანთი ნაწარმოებები.

დასასრულს დაიდგა ს. ეულის დრამატული ეტიუდი „ალთქულ ქვეყნისაკენ“. პიესა სიმბოლიურია და შთაბეჭდილებასაც ქარგს სტოვეს. ქარგია დ. კობახიძის დადგმა. უძრავი ხაზებით და პირობითი მისვლა სცენასთან ჩვენ თანადროულიობას უფრო მეტს ეუზნება ვიდრე მხატვარ—ნატურალისტის მიერ გამართული დეკორაციები. შესრულების მხრივაც სტუდიელები უმეარტილად ამოკანის სიმალღებუ სდგანან.

X.

# სირაპოს უმსახუ.

რეკოლოუციის შემდეგ ჩვენს წინაშე უშუალოდ წა-  
მოიკრა საკითხი ცირკების შესახებ.

ზოგმა ეს საკითხი გადასჭრა ფარყოფითად. ასე, მა-  
გალითად, უკრაინაში ცირკს მტრულად შეხედენ. არ ვი-  
ციტ რატომ, მაგრამ ბევრს ეს ხელოვნება მოეჩვენა უხა-  
როდ და პურკუაზიულად.

ამგვარი შეხედულების წინააღმდეგ ლაპარაკობს მე-  
ტისსეტი და ერთ პოპულიარობა ამ ხელოვნების და უტ-  
ყუარი სიყვარული მისდამი; ფარო მასებისა, გლეხე-  
ბისა და პურკუაზიულებისა, ბეჟუების გვაცდენ ცირ-  
კით და სხე...

კომუნისტმა არასოდეს არ უნდა ჩააქნოს ხელი  
ზისლით რაიმე პოპულიარულ მოვლენაზე. ვასაგებია, რო-  
დესაც ეგრედწოდებული გემოვნება გამაბილბული ინ-  
ტელექტი ცხვირს აიწეეს თითქოს ცუდი სუნის გამო,  
როდესაც მის ესნის უბრალო ხალაური სიმღერები, ან  
უხეში რომანსი, როდესაც არ მოსწონს მას რომელიმე  
კინო-ფილმის თავდადასაქვანი სურათი, როდესაც ის  
კითხულობს ქუჩურ რომანებს და სხე... სწორედ აქ არის  
საჭირო შეტი ანალიზის გაკეთება, თუ რად ხდება, ან რა  
მიზეზებია იმისა, რომ თითქოს ეს სადაო ხელოვნება  
იზიდავს და იპყრობს ხალხის აზროვნებას და გულს.  
იქნება სწორედ აქ არის საჭირო, რომ იქნისწინააღმდეგ  
ნახი და შინაარსიანი მუსიკისა, ბელეტრისტიკისა, შექ-  
მნათ საუკეთესო ფორმები კინო-ფილმებისა და თეატ-  
რისა ისე, რომ არ მოეშორდნენ მასების ცოცხალ ყუ-  
რადღებას. რა თქმა უნდა, ხელოვნების ყველა ამ ფორ-  
მებში არის ბევრი უარყოფითი მხარეებიც, რომელიც  
იმავე დროს არ არის ხალხისათვის საჭირო, ძველია და  
მოუღებელი.

მაგრამ ის, რაც მე ზევით ესქვიტ, ნაწილობრივ იტყობა  
ცირკებს: მისმა ფართო პოპულიარობამ, როგორც აღე-  
ნიშნე, უნდა დაგვაფიქროს ამ მოვლენაზე, მარტო ამან  
უნდა დასეის საკითხი, თუნდ, ცირკის გაწმენდაზე, ან  
მისი სახის გადასხვაფერებაზე, მაგრამ იმავე დროს მისი  
ძირითადი სახის დატოვებაზე. როდესაც ახლო დავაკვირ-  
დებით ცირკს, ჩვენ უნდა ვაღვიაროთ მისი ბევრი უშთაე-  
რები ვლემენტების დიდწილად შენარჩუნებულად და აღმზრდ-  
ლობით ხასიათი. ცირკი არის მუდამ სწორი და სინამ-  
დვილესთან ახლო მდგომი ადგილი, ნიშანშემოფარებულ  
თეატრთან შედარებით, სადაც ჩვენ ვუტყურობთ ადამი-  
ანის ძალას და სიძარღვს.

რა თქმა უნდა, ადამიანს ორგანზმის სრულყოფა,  
რომელსაც ჩვენ ცირკი გვიჩვენებს, როგორც ჩვენ ვგუშ-  
ნებთან, არის წმინდა ფიზიკური, ჩაგრამ ამან ჩვენ ერთის  
წუთითაც არ უნდა შეგვაშფოთოს. ჩვენ ვართ მატერი-  
ალისტები, ჩვენ ვიცით, რომ ფიზიკურის ფსიქოლოგიუ-  
რისაგან გამოშორება შეუძლებელია. ჩვენ ხანდახან გან-  
ცოდით ზედმეტ ვადახარს ბიომექანიკისაკენ და დსი

ქილოგვის განდენვისაკენ და ეს იქ, სადაც იგი უაღ-  
ვილია, ე. ი. თეატრში. კუმშირტ ბიომექანიკის განა-  
ჯგებს, რომლის წინაშეუ ჩვეულებრივ იჩრადლება სე-  
ნის მასიბობთა უნადრუკი აკრომატიკა, ჩვენ ეხედეთ  
სახელდობრ ცირკში. ერთის წუთითაც არ შეიძლება დაე-  
კეება იმაში, რომ ცირკის დიდი არტისტების სიძარღვსა  
და ძალას, რომელიც აყვანილია უნადრუკ წერტილმდე,  
თან ახლავს ურადღების გასაცარი დაძარბვა და აღ-  
მფრთხიანებელი ვაშხედობა, რაც უკვე ფსიქოლოგიუ-  
რია და ამასთანავე დიდწილად შენარჩუნებულია. ატლტიკა,  
აკრომატიკა, ეკვილიბრისტიკა ყველფერი ეს ისეთ  
უღაო ღირებულებებს წარმოადგენს, რომელიც ამ აუბ-  
ლეს დროებში, სისწორით ვაგებულ სპორტის საშუაე-  
ბით, ფართო ტალღებდ მოედება საერთოთ მიერ მო-  
სახელებს და სამავალიოდ და ჩემპიონებდ დასტო-  
ვებს მხოლოდ ცირკის ყიდღეს არტისტებს. მეტად სამ-  
წუხაროა, მაგალითად, ის რომ ფრანგულმა კიდაობამ  
მიიღო ავიოტაჟისა და ცოტადღენ შარტანონის ხა-  
სიათი; თავის თავად შესაძლებელია მისი საესებით ჩა-  
რიცხვა ზემოაღნიშნულ კატეგორიაში.

ცირკის მეორე და უწინაშელოვანეს სტიქიას წარ-  
მოადგენს ცხოვრებაში, განსაკუთრებით ცენებში.

ცხოველების წვრთნის ხანდახან მოყვება არა სასურ-  
ველი მოვლენებიც. ლაპარაკობენ, რომ ამ წვრთნის მო-  
ყვება, მათი ტანჯვა, რომ თავისუფალი და ამიტომ მშვე-  
ნიერი ინსტიტუტები ცოველებისა მხანჯდება მწერთნის  
უხეში ფოქსებით. მაგრამ ყველფერი ეს მართალია მა-  
შინ, როდესაც ჩვენ ვიღებთ წვრთნას ცუდის მხრივ. ჩვენ  
მშვენიერად ვიცით, რომ წვრთნა შეიძლება ხდებოდეს  
იმ გზით, როდესაც ძალდატანებას უჭირავს სულ მეორე  
ხარისხიანი ადგილი, რომ იგი ხდებოდეს ცხოველები-  
სადმი დიდი სიყვარულით და მათი ფსიქოლოგის სწო-  
რი ვაგებით. ამასთანავე ექვს ვარეშა, რომ მშვენიერი  
ეგზემპლიარები ცოველთა სამეფოს სედადსევა ჯიშისა,  
დაწყებულ ცენებდ გათავებული ზღვის რომელიმე  
ლომით, რომელიც ნაჩვენები იქნება მათი ვარეგნული  
სიძარღვისა და მოქნილობის მხრივ, რომელიც მათ ორგა-  
ნიზაციას ახასიათებს, და მათი ჭეუის მხრივ, რომელიც  
პირველ შეხედვით თვალში არ გვეჩვენა, მეტად ხანტიე-  
რეს და აღმზრდლობით სანახაობას წარმოადგენს, გან-  
საკუთრებით ბავშვებისათვის.

დიდი მშვეტების გამოწვევითა—უფრო სადაყო ამბა-  
ვია, მაგრამ თითქმის პირდაპირ ტრაილოდ გეიტაცებს  
ამ მომენტებში ადამიანის მიერ გამოჩენილი სიმტყეო და  
ნებისყოფა, რაც უკვე გამოისყიდის ამ უარყოფით და  
ცოტათი სამშობო სანახაობას, რომელსაც საფუძვლად  
უძევს მათი დამორჩილების მძიმე პროცესები.

დამოლოს კლოუნაიდის სტიქია უერთდება ზემოაღ-  
ნიშნულ ვაგემოებითა, ის ჩვენზე მეტად არის სათანადო მოე-

ვარებულ მე მასსოვს დრო, როდესაც ჩვენი ცირკები გატაცებული იყვნენ ლამაზი რევოლუციური პანტომიმებით. ამ მხრივ, სწორედ რევოლუციისპირველ მძიმე წლებში, ცირკების დღევანდელი დირექტის მიერ მიღწეული იყო მნიშვნელოვანი შედეგები. მაგრამ ამასთანავე ჩადენილი იყო შეცდომაც. ამ ნაწილობრივ გაითარებულმა სანახაობამ მეტად შეაფეროვა ცირკის ძირითადი ელემენტები. დაიწყო რეპეტი, იდეურად მოფიქრებული და ლამაზად აღსრულებული პანტომიმები სრულებით იქნა შეკრებილი და ჩვენ დაბუთვლილ ძველ ცირკს, მაგრამ, მართლაც, მეტად მაღალი ღირსებისას. სახელმწიფო ტრესტის ცირკების პროგრამა არა თუ ჩაოფნებდა, არამედ ბევრად უფრო მაღლად სდგას თავისი ღირებებით იმამდის არსებულ პროგრამაზე.

თავის აღვებზე იყო, ასე ვთქვათ, იდეურ კლოუნადის სადგური. მთელი რიგი კლოუნებისა, მათ შორის ლაზარენკო, მ. ტანტები, დუროვი, თავის ზოგიერთ გამოსვლებში, და ბიმ-ბიმი (არ ვიცი ნამდვილი, თუ არა: ალბათ ნამდვილი, იმიტომ რომ ძალიან კარგები არიან). გვაძლევენ ტექსტებს, ინამახვილ პოეტების მიერ დაწერილ და ინამახვილად აღსრულებულს. ჩემზე ეს ისეთი შთაბეჭდილებას ახდენს, რომ ისეც ცოტათი ვახუნდა, რომ კლოუნიდან არ შეიქმნამისი უდიდესებულებას ხალხის მასხარა, რომ ჩვენ აქედან კვლავ ტენდენციურ კლოუნადში ვადგეშვით. ეს სამწუშაოა, ტენდენციური კლოუნობაში კარგია მხოლოდ ტენდენციური მშენებელი მოქნილობა და თავისებური მახვილი თუმარი კლოუნებისა, რომელიც რა თქმა უნდა, უნდა შეინახოთ, მაგრამ სრულებითაც საჭირო არ არის ახლის მოგონება. როდესაც კლოუნდა წარმოადგენს წიწვით შეკაშულ რევოლუციონერ სტირას, ეს მეტად გააუფჯობებს ცირკს.

მე ვფიქრობ, რომ არ იყო საჭირო ნასვებით ჩამოშორება პანტომიმებისა. დროგამოშვებით შესაძლებელი უნდა იყოს სვეტების მოწყობა მახვილი აკრომატიკით.

მე მასსოვს, რა დიდ შთაბეჭდილებას სტოკებდა ცირკის არტისტების თამაში ლენინგრაძის სახალხო სახლში 1919-1920 წლებში.

ფართო შესაძლებლობანი, რომელნიც იშლებიან ცირკების ტრესტის წინაშე მას შემდეგ, რაც იგი დასძლევს პირველ საორგანიზაციო თინანსიურ სიმნელეთ, იშლება სწორად საბჭოთა ცირკის წინაშე. რა თქმა უნდა, უცხოეთის არტისტების უდიდესი მონაწილეობით. მხოლოდ არ არის საჭირო უკიდურესობანი, არ არის საჭირო ნოვატორობანი გადავარდნა და შეცვლა ცირკისა სრულებით გაუცნობელ და გამოურკვეველ რამით, მაგრამ არ უნდა ძვიდლოთ ცირკი არც ისე, როგორც ის დღეს არის. მისი რეფორმა უნდა დაიწყოს კლოუნობაში ახალი მონაარსის შეტანით, დანაჩენი თანდათანობით გამოიწმინდება.

# სპობტი

## ფიზკულტურის დროები.

საქართველოში—სხვა დარგებთან შედარებით ფიზკულტურა ელვის სისწრაფით მოკლე მასსებს. იშვიათია ისეთი დაბავ. რომ ფეხბურთის ვკუფრ არ იყოს და ტფილისის ზომ ამ მხრივ ვგას-ცვად გაიზარდა. დიდათ სასიხარულოა სპობტურ აეთის ხალკი ჯანადა-თაობის მსაცემად. საბჭოთებით და სხვა ჰევენიონის მქნე ქვეყნების სულ ს სძლიებით იჩჩეოდენ და ძოლანობის შეწარჩუნება ფეხის ჯანადა ალბადამ შესწნაო. სკეზოზად მოკვეპოვება მასალები იმის შესახებ, თუ როგორ უყვარდა საქართველოს ჯარითი, ფრკიკაბა ლელოს განა, კიდაობა. ობენა და სხვა. დღევანდელი გონების დაქიმვა გაორკვეტიული მაჯის ცემა აეთისავე პოპორკოულ საზრდოს მოითხოვს სხუელიდან. ჩვენ რამდენი მანქანაც არ გამოვიგონო და როგორათაც არ ავაკოწიწოთ ჯადოქარი ლითონი, ფისბოლოვია მიინკ მიწის გვაქეს და მაშინაღორად მიუიღებელი საზრდოთი ჩვენი ფორმა და მეობა დივენარკიას დადავება. დიდი გაჭირვებას და არა ნორმალბის გადამტანი საუკუნე უნდა აღორძინდეს—ახესთან უშუალო კავშირით, მაწის სუნთქვით,—სპობტით. სხუელის მხრივ მით უსეტეს მასალობს მართებს დიდი ბრძოლა სწორე კულტურული ტანის ინსალებათ. სხუელის სოლამას-ს და განვითარებისათვის განსაკუთრებით უნდა ზონადავდეს არტისტი. მე არა მწამს დაბუთული ნერვები ესტრადაზე. მასობობი სახის სიმამყე—და არა მარტობი იშულის ვადმოსაცეხად არამედ ვარგეზობათაც წარმტაცე, საღი სისხლის მქონე უნდა იყოს.

ამიტომ ყურადღების ღირსია დროამაში შემოჭრილი აზრი ფეხბურთის წარის დაარსების შესახებ.

ამ ზაფხულს მინდისში ყოფნამ ჩვენ მოგვცა სავალბა შეგვედგინა ასეთი ჯგუფი და სპობტ მოგვიდებოლით: თუმცა ჩვენი ვარჯიში იყო სისტემას მოკლებული, მაგრამ იმდენი რამ დასტოვა, რომ ჩვენ დარწმუნებულ ვართ, რომ ფეხბურთის წრე ისეც განაახლებს თავის მოკმეღებებს და ჩვენ სახ. აკადემიური დარმის გამგეობაც მას დახმარებას აღმოუჩენს ამ საქმეში.

ა. ლენაჩარსკი.

ბორის.

# მუხათა კლასი და ხელოვნება

## უკანასკნელი უბანის ბარრიკადა

ჰაესა ერთ მოკმედებათ

### მომკმედნი პირნი:

კომუნარები:

ბუელიე, ლითონის ჩამომსხმელი 27 წლისა.

ფრისსარ, პოეტი 26 წლისა.

ჟან-ლოტრენ, მკერავი.

ერნესტინა ლოტრენ, მისი ცოლი.

ალბერ ფერრაჟ, მკერავი.

ცელესტინა ფერრაჟ, მისი ცოლი.

მულტრენ, მატემატიკოსი, 26 წლისა.

ბრიუნო, ნოქარი.

ლიაბიშ სარტო, ქალი ძუძუს ბეშვით, 22 წლისა-

გოლარ, ღურგალი.

ვიორიე, მეტყავე.

იორვალ, სკულპტორი, 35 წლისა.

პოლიაჟი, მეწაღე.

დრიუა, ხელთათმანების მკერავი.

კოლნე, მეტყავე.

ფუნიაკ, ღურგალი.

მორანე,

კურუე, } ხელთათმანის მკერავები.

მოკმედება სწარმოებს ბარრიკადაზე. ბარრიკადის იქით არა სჩანს რა. მარცხენა კუთხე შედის სცენის სიღრმეში და ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს თითქოს ამ მხრიდან მოვილიან მტერს.

ბარრიკადაზე არიან რამოდენიმე კომუნარი. ლიაბიშ სარტო ძუძუს აწოვებს ბავშვს. კომუნარები გაიფურებიან მარცხნივ და ყურს უდგებენ საიდანაც მოისმის განუწყვეტელი ყრუ ხმაურება, მოძრაობა, თითქოს რაღაც მძიმეს აგორებენ ქუჩებშიო, ეს ადგილია ევრსალელების ბანაკი.

**ფრისსარ.** ბოლი მიშლის, ვერ ვხედავ სად რა იწეის. მეონი ბეღელია.

**ლოტრენ.** არა, მოქალაქე ფრისსარ, გუშინ მთელი დღე და წუხელი მთელი ღამე იწეოდა ბეღელიო, იქ აღარა დაარჩებოდა რა. ეს ნეალი უნდა იყოს.

**ბრიუნო.** მე გუშინ გამოვიქეცი იქიდან. ცეცხლის გამჩენ პატრუქს ესროდნენ გახურებულ რკინას. მთელი უბნის სახლები ცეცხლის ალში იყო გახვეული. არ მეგონა თუ შეიძლებდი თავის დაღწევას და ჩვენს უბანში, ჩვენს ბარრიკადაზე მისვლას. საშიშრელება იყო ცეცხლ მოდებულ ქუჩებში რბენა.

**ფროსაარ.** თქვენ მართალი ხართ, ალბად ნეალი იწეის,

22 დღე სრულდება, რაც ნეალს უშენენ ყუმბარებს. რამოდენიმე დღეა რაც იგი ცეცხლის ალშია გახვეული. განუწყვეტელი აყრიან ყუმბარებსა და გახურებულ რკინას. სახლები მიუვალ სიმაგრეებათ არის გადაქცეული. ფანჯრიდან ფანჯარაში ესერიან. ქუჩებში ხალხი ერთი მეორეს ელტენ. ქალები, ბავშვები, მოხუცნი სარდაფებში მიმაღლულან. პაერი გაღვწეულია ადამიანის სისხლის სუნით და ამ საშიშრელებაში არსებობს თურმე რაღაც ბაზრის მავგარი რამ. სადაც საკმელს ყიდულობენ, რომ სიმშლი მოიკლან. და ის ვინც ეს ნახა, მწაბე სიცილით მოიხსენებენ პროგრესს, განათლებას, ცივილიზაციის შემოქმედებას, ქრისტეს არსებობის 19 საუკუნეს.

**ბუელიე.** ისე ლაპარაკობს თითქო ლექსია სიხზავლეს. დაიწყეს განა სულ ერთი არ არის, დაიღუპოს საცხოვრებელი, თუ ეს ხალხს ახრჩობდეს, დაიღუპოს მთელი სიმღიდრე, დაიღუპოს ხალხი, თუ იღვა მარცხდება.

**გოიარ.** ბუელიე!  
**ბუელიე.** რა იყო, გოდარ?  
**გოდარ,** აქ ლოდინი მე უსარგებლოდ მიმანია. საქირია ცენტრს მივაშურათ.

**ბუელიე.** შერე ვინ დაიცავს ჩვენს ბარრიკადას?  
**ვოიარე.** არა, აქ უნდა დავრჩეთ.  
**ლოტრენ.** ყველამ თავის უბანი უნდა დაიცვას.  
**ფერაჟ.** ჩვენ ვიცავთ ჩვენს ახლობელთ. რევოლუციონათვის სულ ერთია, სად ვიბრძვით ჩვენ მისთვის.

**ბუელიე.** ეს ბრძოლა რევოლუციონურია. დღეუკლი უბი ამბობდა თავის მოწოდებაში. „ხალხმა არ იცის რა არის გაწვერთნილთა აღლუმები, მაგრამ როდესაც მას ხელში თოფი აქვს და ფეხი მაგრათ უდგია ქვაფენილზე მას არ ეშინია მონარქიულ სკოლაში აღზრდილ სტრატეგებისა.“

**ფრისსარ.** კომუნამ დაადგინა, ყველამ თავის უბანში ააშენოს ბარრიკადები. თუ ააშენებ უნდა დავიცვა კიდევ.

**მლოტრან.** ჩვენი ბარრიკადა ეარგ ადგილზეა, განაპირის. ჩვენს უკან ბარრიკადა აღარ არის, მდინარის გაღმა გერმანელებია. მტერი ზურგიდან ვერ მოგვექცევა.

**ბუელიე.** მართალი ხარ მოლტრან. თქვენი მათემატოკის ძლიერებას კიდევ შეგნენ ვერსალელები. მოქ. ფრისსარ, მე მოლტრანის მებობელი უფრო ვარ ვიდრე თქვენი, იმიტომ, რომ მათემატოკიას მეტი სარგებლობა მოაქვს ვიდრე თქვენს ლექსებს. ჩვენს კომუნას რომ ისე შეგნებოლი ქონდეს მათემატოკის მნიშვნელობა, როგორც მე, ესლა ვერსალში ვიქნებოდით.

**ფრისსარ.** ცენტრალური კომიტეტი და კომუნა ერიდებოდნენ სამოქალაქო ომს,—თუ ესა გაქვს მედიველობაში, ბუელიე, მაშინ..

**ბუელიე.** კოტა უნდა ეოცნებათ და ბევრი ემოქმედნათ. ჭკრდ-მინისტრებს დარჩათ აქ ისეთი საბუთები, რომ შეუძლებელი იყო მათ ნობაბაზე ლაპარაკი. მაშასადამე საჭირო იყო მოქმედების დაწყება. მათ საქმათ ეძულვართ ჩვენ.

**ლიაზიზ სარტ.** ვისთვის იყო საჭირო ეროვნულ კრების სულოფური დადგენილებები, მას შემდეგ რაც მინისტრები ვერსალში გაიქცნენ.

**ლოტრენ.** ეროვნული კრების სურვილი იყო შეეჩერებია ჩვენი მოქმედება, შეემოკლებია ის მოთხოვნილება, რასაც ჩვენ თითონ ვავატარებდით ცხოვრებაში.

**ფერაკა.** ქალაქის თეთმართველობის ხელმძღვანელი, რომ არ ჩარეულყვენ საქმეში, ცენტრალური კომიტეტი მათ ლაპარაკსაც არ დაუწყებდა.

**ბრიუნს.** მათ სურდათ დაენახებოდათ ყველასთვის, რომ ისინი ბრძანებლობენ მოძრაობას.

**ბუელიე.** ჩვენთვის საჭირო იყო ყველაფერი ჩვენ თითონ ვაგვეყოფებია. ცენტრალური კომიტეტს მოქმედება უნდა დაეწყო და არა ლაპარაკი მათთან. ქალაქის თეთმართველობის ხელმძღვანელი კი სრულიად უნდა ვაგვეერკა ქალაქიდან.

**ფრისსარ.** ცენტრალური კომიტეტს არ სურდა სამოქალაქო ომი.

**ბუელიე.** ცენტრალური კომიტეტში ისეთი ხალხნიც იყვნენ, რომელნიც ამტკიცებდნენ, დაეასწროთ ვერსალელებს და ჩვენ თითონ გადავიდეთ შეტევაზე, თორემ დავეიცოებითო. აუცილუბელს ვერ აიცილებ.

**ლოტრენ.** თუ ჩვენ თითონ მოვიკიდებთ ხელს ჩვენი საქმის ეფუძვას, ისინი საჭირო აღარ იქნებიან. ეს კარგად იცოდა ცენტრალურმა კომიტეტმა.

**ფერაკა.** მათ ჩვენზე ადრე შეამჩნიეს, რომ ჩვენ დამოუკიდებლად ვიწყებდით მოქმედებას.

**მალტრენ.** ჩვენ კი ადრე შევამჩნიეთ, რომ ისინი ხელს ვეიშლიდნენ მხოლოდ.

**ბუელიე.** ვერსალელებმა გამოგვიცხადეს სამკდრო-სასიცოცხლო ომი და ჩვენც ვიბრძოდებთ-ბო-

ლომდე. ისინი თავიანთ თავს ბატონებათ სთვლიან, ჩვენ კი მონებად. საზოზღარი მოლაღატენი.

**გოლარ.** მათი სურვილია პარიზი ნანგრევებად აქციონ, სისხლში ჩახაშონ და ამით წაშალონ თავიანთი ბოროტების კვალი.

**ვაოურიე.** ქალაქის თეთმართველობის ხელმძღვანელი დარბოდნენ ვერსალში ვითომ შესარეებლად. კომუნის არჩენებში მონაწილეობის უფლება მისცეს.

**ბუელიე.** და ფიცი მისცეს ერთმანეთს გადაებადათ ჩვენთვის არჩენებში დამარტების სამავიგრო. საზოზღარი!

**ფრისსარ** (უცბად გაბარწყინებული სახით) შშრომელ, მოაზროვნე, მებრძოლ. სისხლისსავან დაღელილს, მაგრამ გამარჯვების იმედით აღსავსეს, ისტორიულ ინიციატივის მესაქეს, საყვერულ პარიზს დაეფუძლა კაცობაში ხალხი, რომელიც მისი კედლების ახლოს სდვას.

**ლოტრენ.** 18 რიცხვში. რო მათ იარალი ჩაედოთ ხელში, მაშინვე დაიწყებდნენ ჩვენ ვლტეს.

**ბუელიე.** 27 აპრილამდე ტიერი მოლაპარაკებას განაგრძობდა მოლაღატე მერებთან, შემდეგ კი...

**მილტრენ.** ეს იმიტომ, რომ ტიერმა პრუსალეებთან გაათავა საქმე და მათაც ტყვეები დაუბრუნეს. მე თითონ ვიყავი ერთ-ერთ რაზმში. დაეატყვევეთ ერთი სალდათი, რომელიც პრუსიელების ტყვეობიდან ბრუნდებოდა. ვერსალელები მათ ეუბნებოდნენ, ატყუილებდნენ, რომ ჩვენ კაცის მკვლელები ვართ მოლოდ.

**ბუელიე.** 19-ში ცენტრალურმა კომიტეტმა საალყო წესები მოხსნა და იმავე დღეს ფოსტის ჩინოვნიკები გაიქცნენ ვერსალში თავის ბატონებთან. ჩვენ მოგვეწყვიტეს პრუინციას... არ მინდა გაეისინო ყველა ის რაც მოხდა. ხომ გესმით როგორ იღუპება რევიოლუცია. გვატყუილებდნენ და ჩვენ კი ვენდობოდით. ესლა ჩვენი საქმეა შური ვიძიოთ. თუ დალოჰვა მოგველის, დალოჰვის წინ შურის ძიების ცეცხლში ვაგებოთ ყველა საზოზღარი მოლაღატენი, მატყუარები. რევიოლუცია არ დაილოჰება. ჩვენს ბრძოლას თვალყურს ადევნებს მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა. მძებო და მოქალაქებო, მე დიდი ხანია ამ უბანში ვცხოვრობ. ყველანი მიცნობთ.

**ხმეზი.** ყველანი გიცნობთ, შენ, ბუელიე.

**ბუელიე.** როდესაც პარიზი ალყაშემორტყმული იყო, საშინელ მდგომარეობაში ვიყავი. მე არ შემძლო თოფი აშელო ხელში გერმანელების წინააღმდეგ, რომელნიც ბონაპარტეს პრიოვკაციის წყალობით კიბობობდა ჩვენს წინააღმდეგ წამოიყვანა. მე არ შემიძლო თოფი მესაროლა მათთვის, მაგრამ დღეს, როდესაც ვერსალელებმა შემოგვიტყეს, მე სულ სხვა

ვარ. ხომ ხედავთ იმ ანთებულ ცის კიდურს. ჩვენ ვიცით, რომ კარგი საქმისთვის ვიბრძვით. ჩვენი მტერი...

**გოდარ:** ჩვენი მტერი — სხვისი ნაწილი-ნაიფლარით და ძარცვა-გლეჯით ცხოვრება.

**მალტრან:** ჩვენი მეგობრებია — მთელი ქვეყნის მუშები და დაჩაგრულნი, კომუნის დროშა — საერთა-შორისო რესპუბლიკის დროშა.

**ლოტრან:** პარიზში ერთმანეთს ებრძვიან სიცრუე და ქვეშაობა.

**ფრისსარ:** პარიზი ქვეშაობრტება — ვერსალი სიცრუე.  
**ფერაკა:** ვაუმარჯოს კაცობრიობას. (შემობრბან დორ-ვალი და პოლიაჟი).

**დორვალ:** (იყურება პარიზისკენ, ხმა მალა) რაზომასაც არ უნდა მიმართო შენ, სათავაზო პარიზო მანაც დაიღუპები. თუ იბრძობი დავიმორ-ჩილეს, სიკვდილი მოგელის: თუ დაერი იარაღს, მაინც სიკვდილი. შებრალდება ითხოვ სიკვდილით დაგსჯიან. საითაც ავ უნდა მი-იხედო, ყველგან სიკვდილია შენთვის. შენ გამოცხადებული ხარ კანონისა და კაცობრი-ობის გარეშე. ვერც წლოვანება გიშველის, ვერც სქესი. სიკვდილი შენ, აჯანყების მეთა-ურსო სიკვდილი შენ, სოციალისტო! სიკვდი-ლი შენ, კომუნარო! სიკვდილი შენ ცოლს, შვილებს, ყველას სიკვდილი!

**ქომუნარები:** (მალა) გიუმარჯოს კომუნას.

**ბუალიე** საიდან მოდიხარნი!

**პოლიაჟი:** ბელვალი ადარ არის.

**დორვალ:** სრულიად დაიწვა.

**პოლიაჟი:** ქალაქი თითქმის ვერსალელების ხელშია. ძლიეს გამოევაკაეთ.

**დორვალი:** ხომ ხედავთ ტანთსაცმელი გამოეცვალებო.

**პოლიაჟი:** მკვდრებს გაესადეთ ეს ფორმა.

**დორვალი:** ვარლენი მოკლეს. სიკვდილის წინ აწამეს.

**პოლიაჟი:** შომონთან დახვრიტეს 400 კაცი.

**ფრისსარ:** (სული ეხუთება) წყველიმც იყვნენ გამქეპნი. პარიზი გამქეპლთა წყალობით აიღეს. გა-ლათებო!

**გოდარ:** ისინი ჩვენ ცოფიან ძალღებად გეფილიან. დაბ, მე ცოფიანი ძალი ვარ! (მწარე და-ცინვით) კომუნა კი გვარწმუნებდა, რომ ჯა-რი თქენის მხარეზე გადმოვარო.

**დორვალ:** ბარრონაში, იცი კომუნარი შეეფეთა მტრის ერთ ბატალიონს. ფიზრეს თუ იარაღს დაპ-ყრით, ცოცხალს გადმოშვეთო. დაიჯერეს — და ყველანი დაწყვიტეს იარაღ აყრილნი.

**მალტრან:** მკვლელები.

**ბელიაჟი:** გახარწილი ბურჟუები, ჩვენი ამხანაგების სხე-ულზეზე ცმევავენ.

**დორვალ:** ბელვილიში იმდენი დახოცილია, რომ ყველა გამვლელთ საფლავს ათბრევიანებენ.

**ბელიაჟი:** რაკეტის ქუჩას სისხლის, მდინარე ჩაუღის, ჩვენი მშობის სისხლის, ქუჩის კუთხეში მკვდრე-ბის მთელი მთა დგას.

**დორვალ:** მშობე. ჩვენ დაიხოცებით, მაგრამ შური უნ-და ეიბოთო ძლიერი. მოვლენ აქცე.

**ვოჟიე:** უნდა დაიბრძოლოთ სულის უკანასკნელ ამო-სვლამდე.

**ფმარაკ:** ვაგლეჯიძოთ ყველანი, ვინც ისვენებს.  
**ბუელიე:** ბრავო! (გადასახებუნ ბაროკადლებს გადამ-მა) დროეს! კოლენ! ბაროკადლებზე! ჩქარა!

**ყველანი:** იარაღს მოკიდეთ ხელი! (ყველანი აღელვე-ბულინი არიან. მოძრაობა სწრაფი. შოვლენ დროუა და კანცე. ყველანი იმ მხარეს მის-ჩერებიან, საიდანაც მტრის მოვლიან. შემოე-ლენ ფერაკისა და ლოტრენის ცოლები. ისე აღელვებულნი არიან, რომ მათ მოსვლას არა-ვინ ყურადღებს არ აქცევენ).

**ერნესტინა:** ჩვენ მივედი...  
**სელესტინა:** ჩვენ თქვენთან ვიქნებით, თქვენთან ერთად მოვეკვებით საერთო საქმისთვის.

**ყველანი:** (ქალების სიტყვებმა იმოქმედეს) გაუმარჯოს კომუნარ ქალებს!

**ლიაბიშ სარტო:** აქ სჯობია. არ ვიცი სად არის ჩემი ქმარი სარტო. იქნება დაიღუპა კიდევ. ცოც-ხალი აღარ არის. მე აქ მიჩრვენია, ჩემ უბან-ში. მე ვეუბნებოდი ჩემ ქმარს, ჩვენი უბანი სჯობია, იგი წმინდაა. აქ არ არის მოლაღ-ტენი თეთრ ხელმბიანი ხალხი. არ დამიჯერა.

**ბუელიე:** სერიზიმე და პოლიტელმა გასცა პუტც-ლე-ფურის სიმაგრე.

**დრისსარ:** გაგკენ, გეილატონ. კომუნას მაინც ვერ მოკლავს მოლაღტენი. დღეს დროებით და-მარცხებული, ხვალ აღსდგება გამარჯვების შარავანდელით შემოსილი. გაუმარჯოს კომ-უნას!

**ყველანი:** გაუმარჯოს კომუნას!

**ბიურნო:** შეხედეთ — ფუნიაკი მოდის.

**ხმები:** ფუნიაკი! (ბაროკადაზე ამოვა და კომუნარე-ბის ხელებზე დაეშვება ძალა მიხილი).

**ფუნიაკ:** ვიბრძობი მანიანის ქუჩის ბაროკადაზე. რა-მოდენიმე კაცი და დავრჩით. სხვა და სხვა სხვა მხარეს დაიფანტენოთ ტყეიას გაექცეო, მაგრამ აქ თქვენთან ერთად აღბად ისევ მომ-ძებნის, თითქმის ყველან გაიბარჯვეს ვერსა-ლელეობა. გამარჯვება, სარტო!

**ლიაბიშ სარტო:** გამარჯვება ფუნიაკი!

**ერნესტინა:** სად არის სარტო!

**ლიაბიშ სარტო:** მოკლეს?

**ფუნიაკ:** ერთად ვიბრძობით მონიანის ქუჩაზე. ხელში დროშა ეჭირა. ტყეია წვიმასვით მოდიოდა. ვაფრთხილებითო. იგი გაიბახოდა: მე არ მინ-და დავეცე მაშინაც კი, როცა მოგვეპოო. როდესაც ტყეია შემოგველია ჩამოხტა ძირს და ხელჩართულ ბრძოლაში გადაჯერო. ორი ვერსალელი გამოსალმა წყნისოფელს, შემ-დგე ისიც ხიშტებზე ააგეს. იქ დარჩა.

**ფრისსარ.** ცეცხლი გვიახლოვდება. ალაბა ჩვენები გა-  
აჩენდნენ, რომ გზა შეუტრან ვერსალოვებს.  
ხელა იწვის არადიეს გზაჯუარდინი.

**ცელესტინა.** არა, ცეცხლი უფრო ახლოსა. ეს პარკი  
მომსო უნდა იყოს.

**ბუელიე.** მოემზადეთ! ეილაც ორნი შორბის. ჩვენები  
აოიან, შორანეი და კურეუ. (შემორბანან).

**ყველანი.** გამარჯროს კომუნსს. (ცხევიან ერთმანეთს).

**ბუელიე.** მოკლედ სოქცით მეგობრებო, საიდან მოდი-  
ხარო, დრო აღარ არის. ჩვენი რიგეც მო-  
ვიდა.

**შორანე.** სენ-სილდუსის სემინარიაში საავადმყოფო გა-  
ანადგურეს. მოკლეს მომელელი ჭალი, რო-  
მელიც დაჭრილებს უვლდა. ბაროკადანზე  
მოკლეს ადელიდა ელანტენი.

**ბუელიე.** ადელიდა, ლამაზი ჭალი, რომელმაც მოკლა  
თავისი საყვარელი, იმიტომ რომ ბაროკადის  
დაცვაზე უარი სთქვა.

**კურეუ.** მან სიტყვით მიმართა ჯარისკაცებს და მო-  
კლეს.

**მოლტრენ.** თქვენ როგორ გადარჩით.

**კურეუ.** ვერსალოვლები მშობრები არიან. ორმა როტამ  
შემოვიგვითა ჩვენ 14 კაცს. 9 კაცი დაფრით  
და გაეფიანტენით. ვერსალოვლები ჩვენსკენ  
მოდიან.

**ლიაბიზ სარკო.** (რაც ძალი და ღონე აქვს) ჩვენსკენ  
მოდიან! (ყველას ყურადღებას მიაქცევს) რა  
არის ეს? გარეშე მტერი შემოგვესია, რო-  
მელსაც სურს საფრანგეთის დაპყრობა. იქნებ  
ვევოპის ჯალათებმა კაცშირი გვიგზავნი  
ლაგონებს, რომ გაელტონ ჩვენი ძივები, გა-  
ანადგურონ ჩვენი ქალაქი, მოსპონ ხსოვნაც კი  
წარსული გამარჯვებისა. რომლის სახელია  
„თავისუფლება, ერთობა და ძმობა.“ არა!  
ხალხის თავისუფლების მტრები ამ ქაშად ისეე  
ფრანგები არიან. ეს სიციყეა, რომელიც მო-  
ედვა მიუღლ საფრანგეთს, სამკედრო-სასი-  
ნოცებლო ბრძოლაა ძალასა და უფლებას შო-  
რის. ბრძოლის გადამწყვეტი წუთია ხალხისა  
და მათი ჯალათების შორის. ჩვენის ოფლი-

თა და შრომით გასუტეებულნი, ათასგვარ უფ-  
ლებით აღჭურვილნი ჩვენი მზავრეულნი, აი  
ეინ არიან ჩვენი მტრები.

**ბუელიე.** მათ გამოგზავნეს ჩვენს წინააღმდეგ თავიან-  
თი მონები. უფრო დაუფდეთ! (ხმაურობა ახ-  
ლოვდება) ხომ ვესმით? მოდიან! ჩვენ მშათა  
ვაართ! ჩვენ არ დავტოვებთ ბაროკადს. ჩვენ  
მოკვდებით, სამაგიეროთ ჩვენი დაწყებული  
საქმე იცოცხლებს. გამარჯვებთ გაიხარებ  
ჩვენი შეილები და შეილისშეილები. ცივილი-  
ზაცია მოისპობა — მაგრამ იღეა ჩვენი არ მო-  
კვდება. ძველი სიკრუის და მონობის ქვე-  
ყანა მოისპობა — გაიმარჯვებს ახალი ტყვეა.  
ბევრს არ მოსწონს შრომის შეილთა გამარჯვე-  
ბა, არ მოსწონს მათ ვინც ეხლა ყუბაბრებს  
გეოშენენ — გაემარჯვებთ და ძველის ნანგრე-  
ვებზე აფრიალდება თავისუფლებისა და კომ-  
მუნის წმინდა დროშა. ჩვენ არ დავევიწყებ  
მუშათა კლასის მდიდარი გული. გამარჯროს  
მუშათა საერთაშორისო ამხანაგობას! გაუმარ-  
ჯროს კომუნსს!

**ყველანი.** გაუმარჯროს კომუნსს! (ისმის სამხედრო და-  
ფის სხმა).

**ბუელიე.** ადგილება დაიკავეთ! სწრაფად!  
(ბუელიე, ლიაბიზ სარკო, რომელსაც ბე-  
შვი ზურგზე დააკრეს, ფროსსარი და დორო-  
ვალი ბაროკადზე დარჩებიან. დანარჩენები  
ძირა ადგილს დაიკავენ. ბუელიე ცენტრში  
სდგას დროშასთან. ფროსსარი დაოქილია  
და დორვალი ფეხზე თოფებით ხელში. ყველა  
ეს წუთის განმავლობაში ღებდა. ძირს მდგომ-  
ნი მარსელიოზას დაიწყებენ. ახლოვდება და-  
ფისა და საყვირის ხმა. გაეარდება თოფი  
მხოლოდ ერთხელ. ბუელიე დაიჭრება, დორო-  
შარ არ უშვებს ხელს)

**ბუელიე.** (რაც ძალი და ღონე აქვს) გაუმარჯროს კომ-  
უნსს! (სარკო, ფროსსარი და დორვალი ეს-  
ერიან ვერსალოვებს. იქიდანაც ესერიან. მარ-  
სელიოზა არა სწყდება).

(ფ ა რ დ ა)

## გემო ავჭალის ჰიდრო-ელე მტრონის საღმურის მუშათა კლუბი

„ზაგისის“ დამატეულ წრეს ორი წლის ისტორია  
აქვს. ამ მხრივ აქ საინტერესო კემოაბა სწარმოებს, რომ-  
ლის ხელმძღვანელია კაცობაქე. თეში იმართება ორი  
წარმოდგენა. ყოველ კვირით წარმოდგენის გამართვა  
შეუძლებელია ვინაიდან წრეში ქალები არ არიან. ქალებ-  
ბის მოწვევა აქაურ წრეს უზღებდა თბილისიდან. წარმოდ-

გენები იმართება ზამთარ ზაფხულში. ამ უკანასკნელ დროს  
უფრო ინტენსიური მუშაობა სწარმოებს ამ დარგში. პი-  
ესაში მონაწილეობას იღებენ აქაური მუშა-მოსამსახურე-  
ნი. არის ხოლმე შემთხვევა როდესაც თბილისიდან იწ-  
ვევენ პროფესიონალ მსახიობებს. დადგოლა პიესათა შო-  
რის აღსანიშნავია შემდეგი პიესები: რეგოლუტიის რიუ

რაცზე, ნომერი 21 + ია ეკლადისა, მსხვერპლი ი. გედე-  
 დანიშლისა, დამარცხებული პ. დიდიელისა, და მე-  
 დანისა ოინენი. ამ მოკლე ხანში დიდდებდა ტ. რამი-  
 შვილის პიესა მეზობლები, რომელშიაც ექიმ გრუშნე-  
 სკის როლის შესარულებს სახალხო არტისტი ნიკო გოცი-  
 რისე. წარმოდგენები იპართება ძლიერ ხელმისაწვდომ  
 ფასებში, იმართება აგრეთვე უფასოდაც. მიცადიერობს  
 აგრეთვე მამღერალთა გუნდი ძემა გიგაურის ლობჯა-  
 ნობით. აქვე არსებობს ზიბლო ოთეკ. სამკითხველო. მო-  
 წყობილია აგრეთვე კინო პარველ კვირეულია, რომელ-  
 საც ესწრება მრავალ რიცხოვანი მუშა-მოსამსახურენი  
 უფასოდ. მატერიალურ დახმარება: ზემოაღნიშნულ კულ-  
 ტურულ წრებს უწყებს პარაფსიხონალურ სააღმშენებლო  
 კულტ. განყოფილება.

ზრთშელი.

### სახალხო კავშირის კლუბი

სახალხო კავშირის კლუბის წევრებს შეადგენს ფოს-  
 ტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურენი. ზემოაღნიშნული  
 კლუბი მოთავსებულია კინო სოლეს - ქივიეთ სართულ-  
 ში. შენობა, რომელიც უკაცია ამ კლუბს შესვლისთანავე  
 იპყრობს ადამიანის ყურადღებას თავისი ლამაზი და სუფ-  
 თა დარბაზით. დიდ დარბაზში მოთავსებულია სცენა,  
 სადაც იმართება წარმოდგენები, ქართულსა და რუსულ  
 ენებზე.

ქართულ დრამატულ წრეს ხელმძღვანელობს სულ-  
 თანიშვილი, ხოლო რუსულს—მიხეილ ჯომარჯიძე. თეი-  
 თველი წრე რიგობით მართავს თეატრს ორ წარმოდ-  
 გენს. უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენები იდგმება  
 უფასოდ კლუბის წევრებისათვის. ხუთშაბათობით მოწ-  
 ყობილია ამავე დარბაზში კინოებაც უფასოდ. იმართება  
 ლექციებიც ბუნდოვან სურათები ი. არსებობს მომღე-  
 რალთა გუნდი ლოტარა აღმწვანდერ მისურაძის ხელ-  
 მძღვანელობით, რომელიც დროგამოშვებით მართავს  
 კონცერტს კინო სოლის დარბაზში ორშაბათობით ძლიერ  
 ხელმისაწვდომ ფაქტში.

გარდა დრამატულ წრეებსა კლუბთან არსებობს  
 პროფურები და პოლიტწრეები. არის ლამაზი მორ-  
 თული ლენინის ქუთხი, ქალთა კუთხი, და ახალგაზრდა-  
 თა კუთხე. არსებობს ბიბლიოთეკა საიდანაც წიგნებით  
 სარგებლობენ ამავე კლუბის წევრები. მცირე დახმარე-  
 ბას ამ კლუბს უწყებს ზემოაღნიშნული კავშირის კულტუ-  
 რული სექცია.

მეშვიკრი ფონელი

### მეტყავეთა კავშირის კლუბი

მეტყავეთა კავშირის კლუბი მოთავსებულია ტაყ-  
 ტრესტის ქარხანაში. მას აქვს დაახლოვებით ორი წლის  
 ისტორია. მედმივ სახელოვნო დრამატულ წრეებათ ით-  
 ვლება ქართული და სომხური. რუსულ წარმოდგენებს  
 კი აქვს შემთხვევითი ხასიათი და იდგმება დროგამოშე-  
 ხით. ქართულ დრამატულ წრეს განაგებს ე. კულუა-

შვილი. ორივე წრის მიერ თვეში რიგ რიგობით იმარ-  
 ტება ორ ორ წარმოდგენა ძლიერ დაკლებულ ფასებში,  
 უფასოდ კი კვირის ერთი წარმოდგენა. წარმოდგენები  
 იმართება მთელი წლის განმავლობაში. დადგმულ პიესა-  
 თა შორის აღსანიშნავია შემდეგი: რევილიუციის რიგ  
 რაზეზე, გადამტყდომ ფოსტა, ყაჩაღები შილდერისა და  
 სხვა. მზადდება წარმოსადგენად „უმშვეკვენი“. კვირაში  
 ორჯერ მოწყობილია კინო, რომელსაც დიდძალი მუშები  
 ესწრება.

როგორც თითქმის ყველა მეშავთა კლუბთან ისე  
 აქაც არსებობს მომღერალთა გუნდი ზ. ტალკაძის ხელ-  
 მძღვანელობით. დაარსებულია მდიდარი ბიბლიოთეკა.  
 წიგნებით იარაგებლობს დიდძალი მუშები. განზრახულია  
 რომ „ხაფუფსუდ მოაწიონ იქვე ბაღში სახაფუფლო კლუ-  
 ბი. ყველა ამ კულტურულ წრეების შექმნაში და ხელის  
 შეწყობაში დიდი დაუფუცებელი ღვაწლი მიუძღვის სა-  
 ფარეკო საქაზნო კომიტეტის თმავდელთა მთავრებს  
 ტარდატანს. კერძოდ ქართული დრამატული წრე არის  
 დაარსებული სყოფა აუშტროვის მიერ. ზემოხსენებული  
 წრეები მატერიალურ დახმარებას იღებენ მეტყავეთა  
 კავშირის კულტურულ სექციიდან და საფაბრიკო სა-  
 ქაობნო კომიტეტიდან.

მეშვიკრი გრაკიბი

### ჭიათურის გუშათა დრამატიკი

ორი წელიწადია რაც ჭიათურის სამთაბანდო პროფ-  
 კავშირის კულტ. რამყოფილებსთან დაარსდა შავი ქვის  
 მტვირთავ მეშვისბისგან შემდგარი სცენის მოყვარეთა  
 დრამატიკი და მას შემდეგ სისტემატიურად მართავენ წარ-  
 მოდგენებს ადგილობრივ თეატრში და ახლო-მახლო სოფ-  
 ლებში. იგი ხელმძღვანელ—რეჟისორად მოწვეულია მსახიობი  
 იანგო აბტალიძე.

დასის წევრნი თითქმის ყველა პირველად გამოიყ-  
 და სცენაზე და უნდა ითქვას, რომ ქების ღირსნი არიან.  
 მათ რეპერტუარს შეადგენს რევილიუციონური პიესები.  
 წრეკანდელი სეზონი განსვენ აკადემიურ თეატრში პი-  
 ესა „ჯოჯობეთის ტრესტი“. თ, ახალ შექმნილ ტანსაც-  
 მელში და დეკორაციებში რასაც დიდი მზადება ეტყო-  
 ბოდო.

მას შემდეგ დაიდგა „მუშა მგოსანი“, „შემინებული  
 ანთიმოზი“, „მორეკვი“. ამას გარდა კულტ. განყოფი-  
 ლების მკვლანეობით და დანაშარდით თანდ თანდობით  
 წრე იძის სასუთარ ტანსაცმის, ბუტაფორისა, პარიკებს  
 და ყოველგვარ ხელსაწყოებს რაც საჭიროა ამა თუ იმ  
 პიესისათვის რაიც დიდს სავანძელს წარმოადგენს მუშა-  
 თა დრამებისათვის. უტყუარი ფაქტია, რომ ასეთი მოვ-  
 ლენა მისამაძი მაგალითია დანარჩენ დრამატიკისათვის.  
 დასი, როგორც ეტყობა მეტად მუყაითად მუშაობს, შე-  
 ჰქმნეს საყოფირო აუდიტორია. წარმოდგენებზე ხალხი  
 ყოველთვის ეწერება, მიუხედავად იმისა, რომ თეატრში  
 მეტად ცივა და აი სწორედ ეს ამტკიცებს, რომ დასამ  
 სიამაძია მოიპოვა მეშავთა წრეებში.

აგრეთვე ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის სამთა-  
 მანდო კავშირის კულტ. განყ. გაზეთი ი. მიქაძეს, რომლის  
 მეშობებითაც დაარსდა წრე და დღესაც ყოველგვარ დახ-  
 მარებას უწყებს, რათა არ ჩაქვრის კაცონი, რომელიც  
 დაანთეს გათეოტნიობიერებულა მუშებმა,

# პროფმოძრაობა და ხელოვნება

## სრულიად საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის მე-V-ე ყრილობა

(გაგრძელება)

რაც შეეხება წევრების გამოირიცხვას კავშირიდან, აქ სამდღეო უფრო ფრთხილად იქცეოდა, ვინაიდან მხედველობაში იღებდა იმ გარემოებას, რომ კავშირიდან წევრის გამოირიცხვა უნდა ჩაითვალოს უდიდეს სასჯელად, რადგან გამოირიცხული იგი ართმევს ბევრ უფლებებს. წევრებს ვრცხავდით მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც მიუღებდით ადგილობისა და საერთო კრების განსაკუთრებული კომისიის დასკვნას.

რაც შეეხება წევრთა მიღებას, მე გვინდა ჩვენ მოვსძენებით ისეთს ფორმებს, რომლებიც შეეფერებიან ჩვენს კავშირს.

ამას გარდა, ამხანაგებო, ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება ჩამოსული. ჩამოიდან ისეთნი, რომელნიც სხვა ქალაქებში ვერ პოულობდნენ სამუშაოს და მოითხოვენ იგივეს იხიან ისინი აღრიცხვაზე. აქ ე ჩვენ ვეღარ ვაუწყებთ გამოსავალს. ერთის მხრივ ძნელია კავშირის წევრს უარი ეთხზა, მეორეს მხრივ კი არ ვიცით ვის ვიყავით აღრიცხვაზე. მომავალმა ჩვენმა გამგებამ უნდა გამოსძენოს გამოსავალი ამ მდგომარეობიდან.

### უ მ უ შ ე ვ რ ო ბ ა .

ჩვენი კავშირის ყველაზე მეტად მტკივნეული ადგილი არის უმუშევრობა. არის ერთი მიზეზი უთუოდ არის ის რაზედაც მე ვლაპარაკობ: ტფილისში ს. ს. რ. კ. ყველა კუთხებიდან მიიდან ხელოვნების მუშაკნი სამუშაოთ. ჩვენ ისინი არ უნდა გაგვეტარებია რეგისტრაციაში თუ სათანადო მოწმობა არ ექნებოდათ, მაგრამ მაინც ვეზიდებოდა მათი აღრიცხვაზე აყვანა. საანგარიშო წლის დასაწყისში ჩვენ კავშირში უმუშევართა რიცხვი უდრიდა 284, ზაფხულის თვეებში უმუშევართა რიცხვი ავიდა 652-მდე. უმუშევართა ლოკიდაციისათვის შეეძენით კოლექტივი უმუშევარ არტისტებისაგან. პირველ იანვრისთვის ჩვენთან ირიცხებიან უმუშევარი კავშირის წევრები უმთავრესათ ისეთები, როგორც არის კაპელდინერები და მოლარეები, რომელნიც სხვადასხვა დაწესებულებებში მსახურობდნენ ერთი სენონის განმავლობაში ან ზოგჯერ კიდევ ნაკლები.

უმუშევრებს ჩვენ ვაძლევთ დახმარებას უმუშევართა ფონიდან. უმუშევრობის საკითხთან ერთად მე შევეხებთ აგრეთვე „ახაოს“ მუშაობას, რომელიც ესლა გადაკეთებულია მოსაშველ ბიუროთ.

### კავშირისა და ადგილკომების აპარატი.

ესლა გადავიდარ ჩვენი კავშირისა და ადგილკომების აპარატზე. მიმდინარე საანგარიშო წლის დასაწყისში კავშირის აპარატი შესდგებოდა ორ პასუხის მტებულ და ოთხ ტენიკურ თანამშრომელთაგან. ვინაიდან ბევრი სამუშაო იყო გვიხდებოდა მოგვეწვია დროებითი თანამშრომლები, რაც ჩვენ გვიჯდებოდა მეტი ვინმე ერთი ტენიკური თანამშრომელის შენახვა. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ მოგვეწვია მესუთე ტენიკური თანამშრომელი.

### სტატისტიკა.

კარგათ დაყენებული სტატისტიკით აღინიშნება კავშირის დადებითი მუშაობა. დასაწყისში ჩვენი მუშაობა მეტად მოიკლებოდა. ჩვენ მივიღეთ ყოველგვარი ზომები, რომ მუშაობის ეს დარგი დაგვეყენებია სათანადო სიმაღლეზე და დღეს არსებობს მუდმივი და მკიდრო კავშირი, როგორც თბილისის ის პროვინციის ადგილკომებთან. ვაქვს სარეგისტრაციო ბარათები, როგორც დაწესებულებაში მომუშავეთათვის, ისე ერთეულთა და უმუშევართათვის, სწარმოებს სრული, წესიერი და სისტემატიური აღრიცხვა წევრებისა, მათი საწევრო გადასახადისა და სხვა. თვეში ერთხელ უმუშევარი წევრი უნდა გამოცხადდეს კავშირში აღრიცხვისათვის, ვინც არ გამოცხადდება იგი მექანიკურად ვაღის კავშირიდან. შემოღებულია წიგნები, რომელშიაც სწარმოებს ყოველთვიური აღრიცხვა ეროვნების, განათლების, წლოვანებისა და პროფესიის მიხედვით.

საანგარიშო წლის განმავლობაში კავშირის მოემბატა 616 ახალი წევრი. შოაკლდა 35 მათ რიცხვში 10 ვადვიდა სხვა კავშირებში, 252 წყვილი საქართველოდან, 53 მექანიკურად ვადვიდა კავშირიდან და 36 კავშირიდან გაირიცხა.

### უმუშევართა ფონდი.

კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან არსებობს განსაკუთრებული კომისია, რომელიც იკვლევს უმუშევართა მდგომარეობას და ანაწილებს უმუშევართა ფონდს. ამ საკითხს მეტად ფრთხილად უდგება კომისია და დახმარებას აწვდის ისეთ უმუშევრებს, რომელნიც მართლაც და დიდ გაკვირებას განიცდიან.

მ მ მ ო ბ რ უ ლ ი შ ა რ ა ჯ ი



ამბ. იოსებ გედევანიშვილ სწემნდს სახელმწიფო კონსერვატორიას და სამხატვრო აკადემიას

საუბრითი და მხატვრობის სალარო.

კავშირთან არსებობს და მუშაობს საუბრითი და მხატვრობის სალარო, რომლის საქმეებს, სალაროს წევრთა საზოგადო კრებაზე არჩეული გამგეობა განაგებს. გამგეობა იკრიბება კვირაში ერთხელ და ანაწილებს მთხოვნელთა შორის სესხს მათი გაქირავებისა და დახმარების საჭიროების მიხედვით.

სატარიფო-საკონომიო მუშაობა და შრომის დაცვა.

მუშაობის ეს დარგი სამ ნაწილად იყოფა:

- 1) სატარიფო მუშაობა
- 2) საკონომიო მუშაობა და შრომის დაცვა.

ამ სამივე ნაწილში მუშაობის დროს ცენტ. გამგეობას სახელმძღვანელო ჯონდა მეოთხე ყრილობის მიერ მიღებული თეზისები, რომელთა სამი მუხლი გვაკვლობდა:

- 1) რომ დაუკლი ყოფილიყო შრომის ხელფასის რეალური ღირებულება, ჯამაგირის დარიგების დროს ბონების გადავეერიტება ჩერვონცებზე ამით დავეცვა შრომის ხელფასის რაოდენობა. 2) მიგველო ზომები, რომ შრო-

მის ხელფასი მოგვეწესრიგებინა, როგორც დაწესებულ-ბეზში ისე კავშირში და მე-3) შრომის ხელფასის გადი-ღება, შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად. აი ეს სამი უმთავრესი მუხლი, რომლის ცხოვრებაში გატარებას შეუდგენით ყრილობის დასრულებისთანავე. ჩვენ დაუყო-ნებლოდ მოვიდით ხელი კოლექტიური ხელშეკრულება-თა გადასინჯვას, მაგრამ ამ დროს შრომის ხელფასი უკვე გადავიდა მაგარ ვალიუტაზე-ჩერვონცებზე 1—1:3, 50% და მატებით სიძვირისგან გამოწვეული ხარჯების დასაფარად. აი სწორედ ამ დროს დასჭირდა გამგეობას ღირი მუშაობა, რომ დავეცვა შრომის ხელფასის ნამ-დვილი ღირებულება, ამ მხრივ კავშირის მუშაობამ მოგ-ვეა დადებითი შედეგები. კოლექტიური ხელშეკრულებ-ის დადების შემდეგ გამოირკვა, რომ შრომის ხელფასი არამც თუ დაეცა თვის ღირებუ, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში გაიზარდა კიდევ.

მ:ვალითისათვის: მარტში შრომის ხელფასის საშ-ვალო რაოდენობა უდრიდა სახელმწიფო დაწესებულება-ში—39,08. სამეურნეო ანგარიშზე, რომელთაც სუბსიდი ეძლევათ—48.18. კერძო—48.68. სამეურნეო ანგარიშ-ზე—46.03. ივლისში კი შრომის ხელფასი გაიზარდა: სა-ხელმწიფო დაწესებ.—41.13. სამეურნეო ანგარ. სუბსი-დიით—38,61. სამეურნეო ანგარ.—55,73 და კერძო უცვლელად დარჩა. რაც შეეხება მეორე შემთხვევაში ხე-ლფასის დაწევას, ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ზა-ფხულში საოპერო თეატრის მსახიობები და მუზიკანტები არ მუშაობდნენ, ტენიციური პერსონალის საშუალო ხელ-ფასი უდრიდა მაოტში—34,46. ივლისში—37,56.

მეორე მუხლში აღნიშნული—შრომის ხელფასის სხვადასხვაობა — სატარიფო ცხრილი გადაყვანილი იქნა 1:3 რაც თავისთავად აღიღებდა შრომის ხე-ლფასს და ზაფხულში კი თეატრებს სრულიად არავითარ-ი შემოსავალი არა აქვთ, ამიტომ ამ საკითხის ცხოვ-რებაში გატარება გადაიღვა სეზონის დაწყებამდე და სისრულეში მოგვიყვანეთ ოქტომბრის დასაწყისში.

ოთხი კოლექტიური ხელშეკრულება აერთიანებდა 70 მომუშავეს, 31 სატარიფო შეთანხმება აერთიანებდა 133 მომუშავეს.

ზაფხულის დასაწყისში სახელმწიფო კინო-მრეწვე-ლობი გამგეობასთან გამომუშავებულ იქნა სატარიფო შეთანხმება იმ მსახიობთათვის, რომელნიც მონაწილეობ-დნენ სურათებში. მაგ.—პირველი რიგის მსახიობები წი-ნად ღებულობდა 6 მან. შეთანხმების შემდეგ კი 10 მან.

- მეორე რიგი 4 მან
- შეთანხმების შემ. 7 მან. 50 კაპ.
- მესამე რიგი 2 მან. 50 კაპ.
- შეთანხმების შემ. 4 მან.

შრომის ხელფასის ასეთი ნახტომი აიხსნება სახელ-მწიფო კინო-მრეწველობის წარმოების გაძლიერებით და და შრომის ნაყოფიერების აწევით.

სექტემბერ-ოქტომბერში კავშირმა გაატარა 2 კო-ლექტიური ხელშეკრულება,—ერთიანებს 327 მომუშა-ვეთ, გაგაძლიერა 7 კოლექტ. ხელშეკრ. 199 მომუშავეთ და 4 სატარიფო შეთანხმება 39 მომუშავეთ.

ამ თვეებში დაიდავ ინდივიდუალური ხელშეკრულებანი, უმთავრესად საოპერო თეატრის მსახიობებთან სულ 51.

შრომის ხელფასის ტარიფიკაცია ხდებოდა მხოლოდ ახლად მიღებულიათვის განსაკუთრებული საკვალიფიკაციო კომისიის სტმბმდგანლობით. სანაგარიშო წლის განმავლობაში შესდგა 11-ჯერ.

კვალიფიკაციაზე დაშვებული იქნა 267 კაცი, მათში მსახიობი 208 და მუხიკანტიც 59. მათ რიცხვში კვალიფიკაცია გაიარა და მიღებულ იქნა 202 კაცი, მათ რიცხვში 156 მსახიობი და 6 მუხიკანტი.

ადგილებზე, დაწესებულებებში, მუშაობდნენ შ. ს. კ. და მათი მუშაობის პრინციპი იყო წესიერი ტარიფიკაცია კავშირის მიერ გამოუმუშავებულ.

დაწესებულებათა პრეფერენციების მუშაობის გასაცნობად და სახელმძღვანელოდ მიღებული გეკონდაშემდეგი მეთოდი:

1. სატარიფო-საეკონომიო განყოფილების გამგის დასრუება და ხელმძღვანელობა შ. ს. კ. სხდომებზე.
2. შ. ს. კ. თათბირის მოწესობა, რომელიც შესდგა 4 ჯერ და მოხსენება გააკეთეს შეიდი დაწესებულების წარმომადგენელმა.

**საკონომიო მუშაობა.**

საკონომიო მუშაობაში კავშირის ღირებუნი იყო — ახლოს მასათან, მასის ჩაბმა საკონომიო მუშაობაში.

მთელი ეს მუშაობა შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად:

1. გაზაფხულის და ზაფხულის მოსამზადებელი — საორგანიზაციო მუშაობა და

2. შემოდგომისა და ზამთრის საწარმოო მუშაობა.

ზაფხულის განმავლობაში ძნელი იყო ისეთი დაწესებულების შექმნა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მომუშავეთა საგრძობი რიცხვის თავის მოყრა. მოწესო მხოლოდ სიმფონიური ორკესტრი ს. პ. კ. ს.

მიღებული იყო ზომები მუხიკანტებისა და ესტრალიკების გასანაწილებად და მართლაც ზაფხულში არ იყო არც ერთი უმუშევარი მუხიკანტი, მოთხოვნილება კი ბევრი იყო. უმუშევრობის შესანელებლად მოწესო კოლმეტეი ემიხარული კომედია“ 40 კაცის შემადგენლობით, სადაც თითო კაცის საშუალო ხელფასი 45 მან. შეადგენდა. რაც შეეხება დანარჩენ უმუშევრებს კავშირი ავზაინდა მათ სახელმწიფო კინო-მოწყველობის განკარგულებაში სურათებში მონაწილეობის მისაღებად.

მისი გარდა, რომ ყველა ჩვენ დაწესებულებებში მუშაობენ ჩვენი კავშირის წარმომადგენლები, კავშირმა დიდი მონაწილეობა მიიღო ზოგიერთ დაწესებულებათა რეორგანიზაციაში და განსაკუთრებით საოპერო თეატრის საქმეთა მოვარებაში.

როგორც მოგხსენებთ, ამხანაგებო, ოპერის სუბსილია მეტად შეშკირდა. საოპერო თეატრისა და მისი ტექნიკური პერსონალის შესახებ ვაღებელი იყო 45000 მანეთი, ოპერისათვის კი არაფერი.

კავშირის წინაშე დასესა საკითხი: იქნება თუ არა ოპერა? რა თქმა უნდა ჩვენ უნდა გვეთქვა, რომ „ოპერა საჭიროა“, 250 კაცის უმუშევრად დატოვება, დარბევვა ისეთი მხატვრული ერთეულებისა როგორც არის საოპერო თეატრის გუნდი და ორკესტრი კავშირის არ შევძლო.

სწორედ ამ დროს თბილისში ხელოვნების კავშირის ცენტრალური კომისიის დიდგენილებით მოეწყო სატარიფო-საეკონომიო თათბირი, რომლის მიზანი იყო შრომის ხელფასისა და შრომის ბაზრის მოწესრიგება, გასული სეზონის იტოგი, და სხვა —სხენებული თათბირის დაესწრენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ხელოვნების მუშაკთა კავშირის წარმომადგენლები.

ჩვენი კავშირის მიერ გამოუმუშავებული საწარმოო გეგმა მოწონებული იქნა თათბირისაგან და დამტკიცდა ხელოვნების კავშირის ცენტრ. კომიტეტმა, —თათბირმა დააეღა ჩვენ კავშირს მიეღო ყოველგვარი ზომები ოპერის მოსაწყობად და რუსულ დრამის შესაქნელად თბილისში, რომელიც არსულიად არ შეიძლია ჩვენ სამოქმედო გეგმაში.

წარდგენილი ხარჯთ აღრიცხვა საოპერო თეატრისათვის (66 ათასი მანეთის) დაიყენეს 45 ათას მანეთამდე, შემდეგ კიდევ იქნა შემოკლებული 36 ათას მანეთამდე. ამ რიგად ხარჯთ აღრიცხვას აკლდებოდა 30 ათასი მანეთი, ჩვენი კავშირის ზეგავლენით საოპერო თეატრის დირექციამ მიიღო აღნიშნული ხარჯთ აღრიცხვა. მდგომარეობა მეტად სერიოზული იყო. შემოსავალზე დამყარება შეუძლებელი იყო. მაშინ კავშირი შევიდა განცხადებით სახალხო კომისართა საბჭოში დავით ადგილონის თანხმებთან 30 ათასი მანეთი ვეღვიტის დასაფარავად. ჩვენი თხოვნა მთავრობამ დააკმაყოფილა და საოპერო საქმეც მოეწყო. რაც შეეხება კონსერვატორიის ეს ისეთი დაწესებულება სადაც ყოველ წელიწადს ხდებდა რეორგანიზაცია და სასურველ შედგეს ჯერაც ვერ მივალწით. შარშან კონსერვატორიაში 1500 მოსწავლე ითვლებოდა. მასწავლებელთა რიცხვიც გაიზარდა. საქარო იყო ერთგვარი წმენდა, რომ კონსერვატორიაში დარჩენილებენ ისეთი ელემენტები, რომელთა ნიჭი და უნარი დაკამათვლილბდა კონსერვატორიის მოთხოვნილებას. ამას გეგმავანახებდა ჩვენი ფინანსური რესურსებიც. დაწერილებით კონსერვატორიის შესახებ მოხსენებას სახელმწიფო გააკეთებეს. მე შევეხები მხოლოდ ორ მონეტს. პირველი: 1924 წლის ივლისში კონსერვატორია დახურეს! საქარო შეიქნა მიგველო ზომები, რომ პედაგოგიური პერსონალი უკუამაგროდ არ დარჩენილიყო სასწავლო წლის დამდეგამდე, ჩვენ ეს საქმე ვაკეთეთ.

მეორე: ხარჯთ აღრიცხვით კონსერვატორიის ყოველთვიურად უნდა მიეღო 9000 მანეთი, ღებულობს ნამდვილად 4500 მანეთის. ეს მოხდა იმიტომ, რომ კონსერვატორიის ხარჯთ აღრიცხვა მიღებული იყო ვანათლების სახალხო კომისარიატის საერთო ხარჯთ აღრიცხვის მიღებამდე. შემდეგ, როდესაც საერთო ხარჯთ აღრიცხვა

შემოკლებულ იქნა ცხადია კონსერვატორიაც მოექცა ამ ცხრილში.

რუს მსახიობთა შრომის კოლექტივისთვის („ტარიდი“) საჭირო იყო სათეატრო ბინის შოვნა. ჩვენის დახმარებით კოლექტივმა იშოვა ბინა და დღეს მუშაობს. რა თქმა უნდა შემოსავალი ნახევრადაც ვერ აკმაყოფილებს მათი მოთხოვნილებების მინიმუმსაც. სხვა მატერიალურ დახმარებაზე ფიქრი კი ზედმეტი იყო.

ჩვენმა კავშირმა შეიმუშავა დღებულება სახელოვნო საქმეთა მთავარი საბჭოს შესახებ, რომელიც უცვლელად იქნა მიღებული და დამტკიცებული. ამ დებულების საფუძველზეა დღეს აგებული სახელოვნო საქმეთა მთავარი საბჭოს მუშაობა.

ჩვენი მუშაობის მეორე ხანდა უნდა ჩათვალოს ჩვენი კავშირის ქვე-უჯრდებისა და კავშირის წევრთა ჩაბნა საწარმოო მუშაობაში, რამაც დადებითი შედეგები მოგვცა. ეს საკითხი ორი მიმართულებით გავატარეთ ცხოვრებაში. პირველი: საშხატერო საბჭოში შეყვანეთ ორ-ორი კაცი ადგილკომიდან და მეორე — საწარმოო თათბირების მოწყობა დაწესებულებებში.

ადგილკომების წარმომადგენელთა მონაწილეობამ სახატერო საბჭოში მართლაც კარგი ნაყოფი მოგვცა. ის კომერციული საიდუმლოებანი და საფინანსო საკითხების გაფრთხილება, რომელიც ასე მოქმედებდა მუშა-მოსამსახურებზე დღეს აღარ არსებობს.

რაც შეეხება საწარმოო თათბირების მოწყობას, მართალია ამ მხრივ ჩვენ დიდად გამოცდილება არა გვქონია, მაგრამ რაზე გავაკეთებთ, იმანაც კარგი შედეგები მოგვცა.

წარმოება-დაწესებულებების გამგეობაში და დირექციაში მუშაობენ ჩვენი წარმომადგენლები. მუშაობის ეს წესი მეტად ნაყოფიერია.

(შემდეგი იქნება)

# ქ რ მ ნ ი კ ა

## ს ა ქ ა რ თ ი მ ლ ო

■ „ტარიელ მკლავაძე“ კინო-თეატრებში: „აპოლო“, „სოლიე“ და „აფრასტოში“ 2 მატრიდან დაიწყება ჩვენება ახალი კინო-სურათის — „ტარიელ მკლავაძე“.

■ ახალი თურნალი. ამ დღეებში გამოვა ქართულ მწერალ ქალთა ჟურნალი. თანამშრომლებად მოწვეულია საქართველოს საუკეთესო მწერალი ქალები.

■ „ჯაყოს ხიზნები“. გამოვიდა და იყიდება მიხ. აღმნიშვნელობის ახალი მოთხრობა: „ჯაყოს ხიზნები“ წიგნი შეიცავს 130 გვერდს და ღირს 1 მან.

მესამე პერიოდი — შრომის დაცვაა. ამ შემთხვევაში ჩვენ ბერის ვერას ვიტყვით, მაგრამ ერთი კი ცხადია: კავშირმა მიიღო ყოველგვარი ზომები, რომ ჩვენი კავშირის წრეებისათვის შესაძლებელი ყოფილიყო დასასვენებელი სახლებით სარგებლობა, სადაც გაეგზავნა 48 კაცი მათ რიცხვში 75 პროც. ფიზიკური შრომის მუშაკნი. სასამართლოში გაიჩინა ჩვენი კავშირის წევრთა 23 კაცის საქმე და ყველა მათ სასარგებლოდ გადაწყდა. სუსონის დასაწყისში შრომის ინსპექტორთან ერთად დავთავაზობთ იურიერ ყველა ჩვენი დაწესებულებანი, რომ გამოვევრკვია სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობა.

ჩვენ კავშირის ორი სახლი აქვს, მართალია ჩვენი კავშირის წევრები ამ სახლებში მეტად ცოტანი არიან (9 ოჯახი) მაგრამ მომავალში მიღებულ უნდა იქნას ზომები და თანდათან განთავსდნენ ბინებში, ჩვენი კავშირის წევრები ჩაეხასხლათ.

პროვინციასთან კავშირი ცოტა სუსტი იყო, მაგრამ მუშაობა მაინც სწარმოებდა. პროვინციელი ამხანაგები ჩამოდიოდნენ თბილისში ინსტრუქციებისათვის და სამდივნოს წევრები, თავის მხრივ, მიდიოდნენ პროვინციაში მოსვენების გასაკეთებლად და მუშაობის დასათვლიერებლად ადგილობრივ. პროვინციაში ჩამოვალ, ეს უაღრესად საჭირო და სასარგებლოა კავშირის მუშაობის გასაძლიერებლად ადგილებზე და მომავალმა გამგეობამ ამ საკითხს დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს.

ჩვენ ვერიდებოდით მატრო ცირკულიარებზე დამყარებას. ვიცი რომ მზირად ცირკულიარები არ სრულდებოდა, საჭიროა ადგილობრივ მისელა სათანადო ახსნა განმარტებით.

რაგონებზე ხედავთ, ამხანაგებო, გამგეობა და სამდივნო დიდ — ყურადღებას აქცევდა სატარიფო-საეკონომიო მუშაობას და რაც შეეველოა ძალასა და ღონეს არ ვიშურავდით.

■ სამხატვრო აკადემია. გრძელდება საქართველოს სამხატვრო აკადემიის რეორგანიზაცია, რომელიც დასრულდება ამ დღეებში.

■ საბავშვო მოთხრობები. იმეძლება და ამ დღეებში გამოვა ს. რემონიძის საბავშვო მოთხრობათა წიგნი დასრულებული, მხატვარ ს. ერისთავის მიერ, წიგნი ელირება 50 კპა.

■ პროცენტები კინო-თეატრის ბილეთებზე. წინადადება მიეცა ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს თვალყური აღევნოს რათა სისწორით გატარდეს სახალხო კომუნართა საბჭოსდელეგირეტი კინო თეატრების 10 პროცენტით დაბეგვის შესახებ.

■ **სამუსიკო სასწავლებელი.** ავღაბარში გაიხსნა სამუსიკო სასწავლებელი ს.ხ. კონსერვატორიის განყოფილება. მეცადინეობა სწარმოებს მე-19 შრომის შკოლაში.

■ **დაკარგული განძი.** საქართველოს კინო-მრეწველობის სურათი: „დაკარგული განძი“ დიდ ინტერესს იწვევს საბჭოთა კავშირში, სურათის მოთხოვნილება მატულობს, ხუთი თვის განმავლობაში გამოშვებულია 28 ეკლ.

■ **„სამი სიციცხლის“ გმირების გასამართლება.** ბათომის აკადემიურ თეატრში გაიმართა „სამი სიციცხლის“ გმირების გასამართლება. გასამართლებაში მონაწილეობა მიიღეს ბათომის საუკეთესო ლიტერატურულმა ძალებმა და უზენაესი სასამართლოს პრალმდებელმა. ბრალდებულები—გრიშთა და სათანადო ტანსაცმელებით, სასამართლოში შემოიყვანა დამცველმა რაზმმა. სასამართლო წარბაზს მიუსაჯა 5 წლის დაპატიმრება სასტიკი იზოლიაციით. ბაბუა ფულავას კ. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება.

■ **მომღერლის გამგზავრება.** ახალგაზდა მომღერალი ქაშაყაშვილი გაემგზავრა იტალიაში უმაღლესი სამუსიკო განათლების მისაღებათ

■ **სახელმწიფო კონსერვატორიაში.** 2 მარტს სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართება დიდი კონცერტი პრ. ო. ა. შულგინის კლასის. ამავე კლასის ლარხმ სტუდენტთა სასარგებლოთ.

■ **კ. გამსახურდიას ახალი რომანი.** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა კ. გამსახურდიას ახალი რომანი: „დიონისის ღიმილი“. წიგნი იქნება დაახლოებით 250 გვერდი.

■ **სომეხთა ცნობილ მსახიობის პაპაზიანის ჩამოსვლა** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა სომეხთა ცნობილი მსახიობი პაპაზიანი, რომელიც გამართავს რამოდენიმე საგასტროლო წარმოდგენას.

■ **ჰოლა ლომთათბის ნაწერების გამოცემა.** მწერალთ: ერთი ჯგუფი შეუდგა ჰოლა ლომთათბის ნაწერების დამუშავებას, რომელიც გამოიცემა ახლო მომავალში. წიგნში მოთავსებული იქნება ავტორის ბიოგრაფია და კრიტიკული დახასიათება.

■ **ვაჟა-ფშაველას პოემები.** სახელგამომარტლიან დაიწყებს ვაჟა-ფშაველას პოემების ბეჭდვას, რომელიც გამოვა ორ ტომად.

■ **ყარა-დარვიშის ფიზიკ.** სიმეხ პოეტის ყარა-დარვიშის 30 წლის იუბილე გაიმართება მისში.

■ **ქართულ ლიტერატურის ისტორია.** ახლო ხანში გამოვა კ. კაპანელის ნაშრომი რუსულ ენაზე: ქართული ლიტერატურის ისტორია“ რომელიც დამახასიათებელი იქნება ქართული მწერლების მეტროპოიტე საუკუნიდან—დღემდე.

■ **წიგნი ყაზბეგზე.** დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა ვასასვიდთ კ. კოტეტიშვილის წიგნი: ალ. ყაზბეგის ავტორობის საკითხი“, წიგნი შეიცავს 260 გვერდს.

**რ უ ხ მ ი თ ი**

■ **ლ. ბაქსტის ვარდაცვალება.** გარდაიცვალა ცნობილი რუსი მხატვარი ლევ ბაქსტი. ბაქსტი საუკეთესო წარმომადგენელი იყო რუსეთის მხატვრობის „მოღერნიზმის“. იგი იყო დიდი მხატვარი და როგორც გრაფის ბადალი არავის ჰყავდა.

■ **რუსი მსახიობები საზღვარ-გარეთ.** მექამად ამერიკაში ქ. ნიოურაში იმყოფება შალიაინი. იგი საკონცერტო ტურნეს ვარდა, მართავს წარმოდგენებს, სადაც ზეგულმბრივი ენტუზიაზმით ხვდება საზოგადოება. აქვე იმყოფება ცნობილი პიანისტი რაზმანიოვი, ზილოტი, მეტერნი და სხვ.

**ი ტ ა ლ ი ა**

■ **ფუტურისტების პირველი კონგრესი.** 23 იანვრის მიღწეში გამართული იქნა მეტად საინტერესო ზეიმი იტალიელ ფუტურისტების მეთაურ ფ. მარინეტის საპატივცემოდ. სხვა მირთმეობა საწუქრებ შორის აღნიშნავთა ნაიონალურა დროშა, რომელიც 360 კვ. მეტრს უდრიდა. ზეიმის დასრულების შემდეგ ჰეიოე დღესვე შესდგა პირველი კონგრესი ფუტურისტების, რომელზედაც გამოცხადდა 85 სხვა-და-სხვა ჯგუფი იტალიელ ფუტურისტებისა.

მარინეტომ გაილაშქრა არსებულ კლასიკურ ტენიკის წინააღმდეგ თეატრში და მოითხოვდა მის ნაცვლად ანტი ფსიხოლოგიურ თეატრის შექმნას. მისმა ერთ-ერთ მოწაფემ შემოიტანა წინადადება „ჯამურ“ თეატრის შექმნის, რომელიც უნდა შესდგებოდეს სინათლის შთაბეჭდილებიდან, სურნელობათიან, ფერებიდან და სხვა.

სხვა მრავალ დადგენილებათა შორის კონგრესმა აუცილებლად სცნო კლასიკურ ვენეციანი ყოველივე ძეგლის დანგრევა; უნდა გაკეთდეს დიდი რკინის ხიდი რომელიც ვენეციას შეერთებს მოწასთან, უნდა დაიძიროს გონდოლები და მათ ნაცვლად გამოყენებულ იქნენ მორთობიანი ნაგები; დაინგრეს პატარა ხიდები, გაკეთდეს მიწის ქვეშა გზები და შეიცვალოს სტილი წ. მარკის მოედნისა. ზემო აღნიშნულმა კონგრესმა გამოიმუშავე გეგმა მომავალ საერთაშორისო ფუტურისტების კონგრესისა, რომელიც უნდა მოხდეს უახლოეს დროში რომში.

# სახელმწიფო თეატრების პროგრამები:

რუსთაშელის თეატრი

5 მარტი

პ. ვერდელის

შეკეკლეჩენი (კაცი სარკიდნს)

მეფიერი ტრილოგია 3 მოქ. 12 სურ.  
თარგმანი ალ. შანთაშვილისა.

მოქმედნი პირნი

თამაშ—ა. ვასაძე, კაცი სარკიდან  
მისი სახეები: მეგობარი, ქალი,  
ბერი—გ. დავითაშვილი. ბერი მი-  
სი სახეები: სასახლის მფლობელი,  
ჯამბაზი, კაპიტანი, მეციხოვნე, მსა-  
ჯული—დ. ჩხვიძე, ქურუმთ-ქურუ-  
მი—პ. კორიშელი. ქურუმები: ბ.  
სვანი, პ. შურულუა, შ. ჩხვიძე,  
D.B.E.C.A.N.T.O.—ს. სულაკაური, დე-  
დაკეციები: ი. თუთბერიძე, ნ. მე-  
სხიშვილი, თ. წულუკიძე, ა.

შოთაძე, ნ. დოლიძე. უფროსი პო-  
ლიციელი—ა. კანდელაკი, პატარა  
არაბი—შ. წერეთელი, მოძღვარი—  
ა. ხორავა, თამაშის მამა—ვ.  
ჯიქია, თამაშის დედა—ს. ბუთა-  
ნიშვილი, თამაშის შვილი—თ. წუ-  
ლუკიძე, იადო მამის მსახური—  
შ. ღამბაშიძე, თაყვანის მცემელი:  
ალ. ჟორჯოიანი, დ. მუავია, შ.  
ბერიაშვილი, ჯალიღვარ—მ. ღორ-  
თქიფანიძე, ანფე—თ. ჭავჭავაძე,  
ფიზილ—ბ. ჭიჭინაძე, მამა კაცები:  
მ. შველიძე, პ. ბერაძე, შ. შალ-  
აკელიძე, პ. კობახიძე, გ. ზე-  
ლაია, სმები: ც. წუწუნაძე, ბ. შა-  
იშვილი, მ. ვარდოშვილი, ვ. გო-  
ძიაშვილი, ი. ქანთარია, მეზღვა-  
ობი: პ. ბერაძე, პ. კობახიძე, პ.  
მურღულია, ბ. სვანი, ი. ქანთა-  
რია, ნ. ახვლედიანი, ი. აბაშიძე,  
შ. შალაკელიძე, ბ. წულაძე, ა.

ცაგურია. ბერები, პოლიციელები,  
მოხლები ფაქირები, ქორწილის  
სტუმრები, პოლიციის კარისკაცები  
მოგვები, ქურუმები, დიდი მასსა.  
დადგმა ქ. მარჯანიშვილისა, და  
ალ. ახმეტელისა, რეჟისორი ქ.  
პატარაძე, მუსიკა თ. ვახვაშიშვი-  
ლისა, დეკორაციები ირ. გამრე-  
კელისა, ტანსაცმელი ირ. გამრე-  
კელის იეკიზებით დამზადებული  
ო. კობახიძის, ბუტაჯორია ანა-  
ტოლი ტესცოვისა, მონტაჟი ივ.  
მისურაჩისა, ვანათება ტ. გრიგო-  
რეკელისა, ორკესტრი საქართველოს  
ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგა-  
დოებისა, დირიჟორი ალ. ვეჯულ-  
სიანი, სამხატვრო ნაწილის გამგე-  
კაცე მარჯანიშვილი, დრამის  
გამგე დავ. ჩხვიძე.

## Программы госоперы.

В субботу 28 февраля

Д а и с и

Грузинская оригинальная опера  
в 3-х лейст. муз. З. Палиашвили  
Маро - Полова Малхаз—Кумишавили  
Нина—Нейман Князь—Венадзе Ца-  
нгала—Исецкий Тито—Туманишвили  
Балет в постановке—Сергеева  
Танцуют: Леонова, Бархударов,  
Альберт и все балет.  
Спостанвка—Марджანიшвили Режи-  
ссер—Андрониашвили Дирижирует  
оперой Народный артист—И. П.  
Палиашвили.

Воскресение 1-го марта

Д е м о н

оп. Рубинштейна в 4 дей.

Темара—Рашель—Полищук, Ангель—  
Бабнма, Няня—Добраманская, Де-  
мон—Алексаши, Князь Синодал—  
Струиков—Баратов, Князь Гудал—Ша-  
рашидзе, Старый слуга—Благообра-  
зов, Голец—Игонни.  
Дирижирует народный артист  
И. П. Палиашвили.

В вторник 3-го марта

Кэто и Котэ

Грузинская опера 3-х действий  
музыка В. Долидзе.

Кэто—Калантадзе Маро—Туманова-  
Матарაძე Барбале—Нейман Бабу-  
си—Добраманская Котэ—Кавсаძე  
Князь Леван—Венадзе Макар—  
Исецкий Сико—Нурбатов Сако—Ку-  
რული Чиновник—Сергеев Пристав  
—Бархударов Режисер—Гурев Ди-  
рижирует оперой—Мелик-Пашаев.  
Танец „Лезгинку“ исполнит—  
Альберт.

# წითელი თეატრი

ვირას 1 მარტს

ს. ტრეტიაკოვი.

„გ ე ს მ ი ს მ ო ს კ ო ვ ო ლ ე“

აგიტ. გინიოლი 3 მოქ. თარგმ. სანდრო ეულის  
შომკმედნი პირნი:

გრად სტალ	გაგუა
პრეფექტი	უიასა შვილი
ეპისკოპოსი	კოსტაეა
მარგა	კინაძე
მხატვარი	ჩომახიძე
პოეტი	გვინჩიძე
ფურც	იარალოვი

გუგო	მელიაეა
ფრედ	მახარა შვილი
გუბერტ	დურგლი შვილი
კორნ	ილურიძე
კურტ	მებნთი შვილი
პოვოკატორი შტუმ	შაფათაეა
ელი	მინასოვი
პაუნდ	ხინთიბიძე
დიკ	ლოლუა

დეკორაციები—კონსტანტინოვის

მუსიკა—დამანოვის

დადგმა—ვახტანგ გარბაქიანი

ყურნალი „სელენეა“

## ასხადებს შექიბრებს საუპათასო პიასეაზა

შეჯიბრების პირობები:

დაჯილდოებული იქნება საში ჰიესა.

პირველი ჯილდო	ხუთასი მანეთი
მეორე ჯილდო	სამასი მანეთი
მესამე ჯილდო	ორასი მანეთი

მოწონებული ჰიესები დაიბეჭდება ყურნალ „ხელოვნებაში“

ჰიესები უნდა გამოიგზავნოს ყურ. „ხელოვნების“ რედაქციაში.

სამხედრო კომისარიატის სტამბა, კეცხოველის ქუჩა № 3.

# სამუშაოები



№

10

ვანო ხარაჯიშვილის ძეგლის პროექტი  
შესრულებული მ. კიაურელის მიერ

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა კავშირის იმუნიტეტი

1<sup>ლ</sup> იანვრიდან  
გამთვის უფელ-კვირული ჟურნალი

# „ხელოვნება“

- „ხელოვნება“ ერთადერთი სახელოვნო ჟურნალი საქართველოში, რომელიც ემსახურება ხელოვნების ეგვალ დარგებს (თეატრს, კინოს, ზოგზიანს, მუსიკას, მხატვრობას და ქანდაკებას).
- „ხელოვნება“ რვეივს სახელოვნო საკითხებს პროლეტარული იდეოლოგიის თვალთახედვის ისრით.
- „ხელოვნება“ ხელოვნებას მუშათა კლასის საქმედ გასდის.
- „ხელოვნება“ სასელმმღვანელოა მუშათა კლუბებისათვის.
- „ხელოვნება“ დახმარებას უწევს ეგვალ პროფკავშირებს კულტ-მუშაობას.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ხელოვნების საუბათხმო ძალბები.  
ჟურნალს ყვეს საკუთარი კორესპოდენტები, როგორც საქართველოს დაბა-ქალაქებში, ისე რუსეთში და საზღვარგარეთ.

## წლიურ ხელის მოგზართ დაურიგდებამი ორი უფასო პრემია

1. სახელოვნო წრეების მუშაობა მუშათა კლუბებში
2. ხელოვნების საკითხები.

## თითო პრემია 160 გვერდი

პრემია ცალკე გასაძიდათ არ გაგოვა

წლიური ფასი პრემიით ათი მანეთი. ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: ხელის მოწერის დროს, ორი მანეთი, პირველ მარტს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი, და პირველ ივლისს—სამი მანეთი.

პრემიები ხელის მოგზართ დაურიგდებამი ივლისში და ოქტომბერში  
რედაქცია: ტფილისი, მუშათა სასახლე, მესამე სართული, ოთახი № 49.

# ხელოვნება

გადაცემის მისამართი: რუსთაველის კოსმოსპიტი, მუშათა სასახლე, ოთახი № 54. ტელეფონი 14—01.

№ 01

ს. სპარკოვლეს ხელოვნების მუშაკთა კრებასთან დაკავშირებული მუშაკთა კრების

№ 10

## მასის ხელოვნება.

ბურჟუაზიულ ხელოვნების დაცემის უტყუარი ნიშნებია ჩვენს წინაშე. ბურჟუაზიული ხელოვნება უკვე დეკადენტური ხელოვნებაა. ზოგი ამ თერზინს არ იღებს, მაგრამ მას არსებითად ვერ გაუბრბის, ზოგი მას კიდევ იღებს და ამით ადასტურებს ჩვენი შეხედულების სისწორეს ბურჟუაზიულ ხელოვნებაზე.

რატომ გადავვარდა ბურჟუაზიული ხელოვნება? რატომ დაჰკარგა მან თავისი სოციალური მნიშვნელობა? რატომ დაიწურა შინაარსისგან და გაიბერა ფორმით? ამის მიზეზი თვით ბურჟუაზიის დაცემაში მარბია. ბურჟუაზია, რომელმაც შეასრულა თავისი პროგრესული მისია ისტორიის განვითარებაში, რომელიც გამოიფიტა თავისი სასოციალური ენერჯით და გადაიქცა პარაზიტულ ელემენტად, ცხადია ვერ შესძლებს ხელოვნების დარგში, როგორც იდეოლოგიის განსაზღვრული კუთხისა და ნაწილის შეფუძნას.

ბურჟუაზიამ თავისი ბატონობის დასაწყისში დიდი პროგრესული როლი შეასრულა. მან დაამბო არისტოკრატიის ბატონობა და უფრო მეტი ვასავალი მისცა პირველ ინიციატივას, მასების თვითმოქმედებას. მან გამოიყვანა ისტორიის სარბიელზე ახალი ძალები და ამით დიდი იმპულსი მისცა კულტურულ განვითარებას. მაგრამ ეს მხოლოდ ბურჟუაზიული კულტურის აყვავების პერიოდს ეუთვნის, როცა ბურჟუაზია რევოლუციონერ კლასს წარმოადგენს. ისტორიის დიალექტიური განვითარება კი ბურჟუაზიას აყენებს რეაქციის ძალის მდგომარეობაში. კაპიტალისტური წესი შეურყენოაში ჰქმნის საწარმოო ძალთა ისეთ განვითარებას, რომ შემდეგი ზრდასათვის საჭიროა თვით კაპიტალიზმის დამბობა. კაპიტალისტური საზოგადოება ხალხის უმრავლესობას აყენებს დამინებულ მდგომარეობაში და ამით მას საშუალებას ართმევს თავის წყლილი შეიტანოს კულტურული მშენებლობის დარგში.

რუსეთის რევოლუციით ძველმა კაპიტალისტური საზოგადოების დაძლევის პერიოდი. მშრომელი ხალხი, მასსა გამოდის თავის ბედის შეცვლელი და კეთილდღეობისათვის მზრუნველი. მასის მოძრაობით ემზობა ძველი წყობილება და მისივე ძლიერებით შენდება ახალი. იგივე მასსა ეწაფება კულტურულ ცხოვრებას, ჰქმნის საგანმანათლებლო ორგანიზაციების დიდ რაოდენობას, სწავლარის ძველი კულტურით, თავის შეცდომებით და საკუთარი კლასობრივი შეგნების გამარჯვებით.

აქ არის ახალი კულტურის დასაწყისი. ეს კულტურა პროლეტარული მასის კულტურაა. იგი პროლეტარული ხელოვნების, როგორც მასობრივი ხელოვნების საფუძველია. ჩვენ დღეს ვვლარ ურიგლებით „დიდი კაცებს“, რომლებიც „მოივლინება“ მასის და „აძლევს“ მას ახალ კულტურულ ღირებულებებს. ასეთი „დიდი კაცები“ თვით მასის, ხალხის მიერ არის შექმნილი და არა პირიქით.

პროლეტარულ რევოლუციით ხალხის უდიდესი უმრავლესობა გამოდის საზოგადოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელად და იგი ჰქმნის საერთო კულტურულ ღირებულებებსაც.

აქედან გამომდინარეობს ახალი კულტურის თვითსებური სახე. ის გვევლინება მასის მოქმედების, ყოფის გამოხატულებად. რასაკვირველია ეს იმას არ უდრის, რომ ახალი, პროლეტარული ხელოვნება უწყველად ფიზიკურ პირთა გამრავლებით განიარჩება ბურჟუაზიულ ხელოვნებიდან თავის შემოქმედების შინაარსის გაშლის დროს. პროლეტარული თეატრი მასის თეატრი უნდა იყოს, მაგრამ მასიური სცენების თეატრი კიდევ არ არის პროლეტარული თეატრი. საკითხის მთელი სიძნელე თვით ეპოქის ხასიათის ხელოვნურ გადმოცემაშია, რაც მასობრივი დსქოლოგის ასახვას უდრის თუ იმის ერთ კონკრეტ პიროვნებაში იყოს მოცემული.

ბურჯუაზიულმა ხელოვნებამ მექანიზმი შეიტანა შემოქმედებაში. სოციალური ემოცია განდევნა, რადგან ასეთი მას ცხოვრებაშიაც აღარ გააჩნია. პროლეტარულ ხელოვნების მიზანია არა ემოციონალ-ფსიქოლოგიური მომენტების უარყოფა საზოგადოთ, არამედ ამ მომენტის ასახვა თანამედროვე პრიზმით, იმ სულიერი ატრიბუტების ამოცნობა, რაც ახასიათებს პროლეტარიატის შრომასა და ბრძოლას.

ჩვენი გზა მასიდან მომდინარეობს და მასისაკენ მიდის. ჩვენი ხელოვნება მასის ორგანიული შემოქმედების ნაყოფია და მასის მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი. იგი მუშათა კლასის შემოქმედებითი ენერჯის შექმრებიც ცენტრია და პროლეტარული თვითშეგნების დასაბამი წყაროც.

## რეკოლიუსია და კულტურა

„ამა თუ იმ ხანის გაბატონებული იდეები, ყოველთვის გაბატონებული კლასის იდეები იყო.“

**მარქსი და ენგელსი.**

„კომ. მ-დან“

სოციალური რევოლუცია, ახალი სოციალური ფორმაციის მისაღებად დაწესებული ცდაა. ამიტომ სოციალური რევოლუცია არა მარტო მატერიალურ და ფიზიკურ ძალთა ხარჯვავა, არამედ დიდ სულიერ-მორალური ენერჯის გაღებაცაა.

მსგავსი პროცესი, როგორც თავის სირთულით, ძალთა კილიბით, სხვა და სხვა კომბინაციითა და აგრეთვე თავისი მნიშვნელობითაც მსოფლიო ისტორიის ფურცლებზე არ არის აღნიშნული. ამიტომ ვასაკვირველი არაა თუ ეს ტიტანიური ბრძოლები, ომისა და რევოლუციების მიერ მოქმედი, დიდსა და ღრმა კვლას აჩენენ თანამედროვე საზოგადოების სულიერ კულტურაზე.

საფრანგეთის რევოლუციამ თუ, ერთი მხრით, ფეოდალური წყობილების ლიკვიდაცია მოახდინა, მეორე მხრით, ნათელი გახადა მე-18 საუკუნის პრაქტიკული ფილოსოფიის იდეათა შეცდომა და ამით ახალი იმპულსი მისცა თეორიულ ძიებას. ამავე რევოლუციამ სხვა ესთეტიური მოთხოვნილებებიც წამოაყენა საზოგადოების წინაშე, სხვა მოთხოვნილებები დაუყენა სულიერი კულტურის სფეროს. იდი სოციალური მოვლენები აღდამანათა აზროვნებისათვის ერთგვარი გარდატეხის და გადახალისების პირობაა.

დღევანდელი ბრძოლები კი, არ შეედრება წარსულ ბრძოლებს. მაშასადამე, ამ ბრძოლათა ვაგენიაც საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველ მოვლენაში არ შეედრება წასულ ბრძოლათა ვაგენას.

ომა და რევოლუციამ დაგვაყენა მოვლენათა გადაფასების წინაშე. კრიზისის სოციალ-პოლიტიკურ სფეროში, თან დაეყვა კრიზისი სულიერი კულტურის სფეროშიაც. ამ საერთო ორომტრიალში, მეერი რამ განადგურდება, ხოლო ბევრი რამ გამართლებდა და განადგურდება. საფრანგეთის რევოლუციის დროს ჰეიერბოდენი მაღალ იდეათა განხორციელებას. „შრომის უფლება“, რომელსაც დასაწყისი ფურიემ მისცა, უტოპიათ აღმოაჩნა. „ნაციონალურ სახელისწოდებში“ უმუშევართა შეკავებებამ, რომელნიც თითო ფრანკის ღირებულებას

ქმნიდენ და ორ ორ ფრანკს კი იღებდენ, გააცამტვერა „შრომის უფლების“ შესაბამისობა იმ კონკრეტ პირობებში. ამიტომ კონსტიტუციაში შეტანისათვის ის საკმაოდ გახდა. ტიერების, ლამარტინების, ტოკვილების კამათი რიუ-როლენებთან, კრემებთან, დღეარდომებთან ვერ იღებდა ნაყოფს, ხოლო სოციალისტები სიჩუმეს არჩევდენ.

ასეთი ბედი ეწვია „შრომის ორგანიზაციის“ საკითხსაც, რომელთაც ლიუ-ბლანს ლიუქსემბურგის კომისიის საშუალებით სურდა მთელ ევროპასთან სოციალისტური ტრიბუნის გამართვა.

საფრანგეთის რევოლუციამ ხელი შეუწყო კლასიციზმისა და რაციონალიზმის დაცემას. მართალია, მან ვერ შექმნა თავისი ეპოქა ლიტერატურაში, მაგრამ ეს უკანასკნელი თავისი ვაგენის ქვეშ მინც დააყენა. ლიტერატურაში თავი იჩინა აღზრდლობით დიდაქტიურმა მიმართულებამ, რომლის მეთაური იყო ეაკ დელიორე. კლასიციზმი მოკვდა, როგორც ცხოვრებისაგან დამორბეული მიმართულება. მან ადგლი დაუთმო ახალ სკოლას რომანტიზმს, რომლის სათავე M-me დე-სტალიდან იწყება, ხოლო უაღრესი განვითარება ფრანსუა რენე დე-მატობრიანის კალმის ქვეშ მიმდინარეობს.

რესტავრაციის დროს გამოდიან ამ მოვლენის ირგვლივ მებრძოლი მწერლები. ამბრაუზ დე-ბონალი, ჟოზეფ დე-მესტრი, შარლ ნოლდ რევილიუციის წინააღმდეგ მებრძოლი მწერლებია. კაზიმირ დელავინ ბენეამენ კონსტანი ლიბერალურ იდეებს იცვენენ, ხოლო პოლ ლუი კურიე, პიერ ეან დე-ბურჟანე ვაფორთხებული მებრძოლი სარიან ბურბონების წინააღმდეგ. მეორე იმპერიას ვიქტორ ჰიუგო მოეგონა, როგორც უსაშინელო მსაჯული. ივლისის რევოლუციის შემდეგ საფრანგეთის ლიტერატურაში დემოკრატიული ტენდენცია შემოდის, ხოლო შემდეგ გაცრუებული იმედები აღფრედ დე-მუსეს ჰესიმოზს ჰყვებას.

დღევანდელმა რევოლუციამაც ნათელყო პარლამენტარიზმის უბადრუკობა, კლასთა თანაშრომლობის პრი-

ციპის რეაქციონური ხასიათი, რეფორმიზმისა და ნაციონალიზმის პროექტების სრული უნიდაგობა, და მრავალი სხვა.

რას წინაშე ვს? ეს წინაშეა, რომ რევოლუციამ ახალ სიბრტყეზე აყენებს საკითხებს, იგი თეორიას პრაქტიკაზე ამოწმებს, სადაც პირველი ან იმსხვრევეა და ნადგურდება, ან იმარჯვებს და მტკიცდება. ეს პროცესი არ არის ვიწრო პოლიტიკური აზროვნებისა და პრაქტიკის ფორმებში მომწყვეტილი. არა, იგი დიდი პროცესია, სადაც თავსდება უ ალტისი აბსტრაქციული აზროვნებაც და უმარტივესი მორალური სახომიც, პოლიტიკური დოქტრინებიცა და პოეტთა მუშაც. იგი იტევს მთელ საზოგადოებრივი

ცხოვრების სულს, ხასიათს, მაჯისცემას, უკეთ მთელ კულტურულ ყოფას.

ამ რიგად, რევოლუციამ ახალ სიბრტყეზე აყენებს კულტურულ პრობლემებს. იგი მატერიალური კულტურიდან იწყებს და სულიერ კულტურაზე გადადის. ამ უკანასკნელის მნიშვნელობა მცირე როდია. საკითხი ისე მარტივად არა სდგას, რომ მატერიალური კულტურის შეცვლა მყისვე და უშაღვე დაგვაცენებს სულიერი კულტურის განახლების გზაზე. აქ რთული ურთიერთობა და ურთიერთი მოქმედებაა. ეს საუბრობს გარკვევას და მიზანშეწონილ მოქმედებას.

საღი.

# დ ი ს კ უ ს ი ა

## თეატრის ატრიბუტები.

როგორც ყოველ მექანიზმს აქვს თავისი ხრახნილი ისე თეატრს აქვს თავისი აუცილებელი ატრიბუტები. მრავალი ეს ატრიბუტები, როგორცადაც მრავალია თვით მისი ძირითადი ფუნქციები, რომელიც თეატრს მუდამ და თან დასდევს.

დღეს მე მინდა ვილაპარაკო მხოლოდ თეატრის იმ ატრიბუტებზე, რომლის შესახებ არაფერს ლაპარაკობენ და რომელთაც აქვს მეტად დიდი მნიშვნელობა.

ეს ატრიბუტები არის: თეატრის აფიშა და ფარდა.

შეიძლება ბევრს პირველი შეხედვით პირველიც და მეორეც უზარალო საკითხებთან ეჩვენოს, მაგრამ ჩამდვით დას ეს ასე არ არის.

თეატრის აფიშა—თეატრის ფიზიონომიაა. მხოლოდ თეატრის ფარდა—არის თეატრის მთელი სამყარო. არც პირველს, არც მეორეს, როგორც ჩვენში ისე სხვაგან ჯერ თავისი კულტურა არ შეუქმნია. მათ ჯერაც არავითარი ყურადღება არ უქცევია.

როდესაც შეიჭრება ნამდვილი რევოლუციამ თეატრში, თეატრის ორგანიზმში მოხდება ძირითადი ვარდატება, არა მარტო შინაარსის მხრივ, არამედ ფორმის მხრივაც. მაშინ გამოიკვეთება ეს სახეებიც. ამას გვიყარნახებს ახალი მხატვრის ინტუიცია.

ჯერ აფიშაზე:

დღევანდელი თეატრის აფიშა წააგავს კინოს და ცირკის რეკლამას, თითქოს თეატრის აფიშა მხოლოდ იმისთვის არსებობდეს, რომ ამა თუ იმ დღეს წარმოდგენილი იქნება ესა თუ ის პიესა, ითამაშებს ესა და ეს მსახიობი, დასდგამს ესა და ეს რეჟისორი და ხშირად აფიშაში მოთხრობილია ყოველივე წარმომადგენელი, მხოლოდ იმითომ რომ გამოიწვიოს ერთგვარი ცნობის-მოყვარეობა. რეკლამის გულისთვის ზოგიერთი აფიშორები და იმპრესარიოები არ ერიდებიან ყოველგვარ ვულგარო-

ბას და ამ რაგავ თეატრის აფიშას დაკარგულიაქვს თავისი „სახეობა“.

კარგ აფიშას თეატრისთვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს როგორც ყუას რომელიმე წინგისთვის ან ჟურნალისთვის. ვიდრე თეატრში შეხვალთ თეატრის აფიშამ უნდა უკვე სთქვას თავისი სიტყვა. აფიშამ პირველივე შეხედვით უნდა გაგონა იმით თეატრის სახე. თეატრის აფიშას ფორმის მხრივ თავისი ხაზი უნდა ჰქონდეს. შინაარსით კი იგი მუდამ მარტივი და აკადემიური უნდა იყოს. ლიტერატურული ენით გამართული. ჩვენი აფიშების ლიტერატურაზე ლაპარაკიც კი ყოვლად შეუძლებელია. საზოგადოდ ჩვენში აფიშას სწერენ ისეთი ხალხი რომელთაც თეატრის ანბანი არ იციან. რეჟისორებს და მხატვრებს აფიშის დაწერა ზედ-მეტ საჭიერ მიზანით და ბოლოს რა გამოდის? უზადრუკი ფორმა, უაზრო შინაარსი და გახეხილი რეკლამა, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ ლიტერატურულ ღირსებას. რითი განსხვავდებიან, მაგალითად ჩვენი აკადემიური თეატრის აფიშები რომელიმე პროცინციის ან სოფლის თეატრების აფიშებთან? არაფრით! ამავე დროს კი კარგად დაწერილ და შედგენილ აფიშას დიდი მნიშვნელობა აქვს თეატრისთვის. კარგი ორგანიზაციური აფიშა მომასწავლებელია თეატრის კულტურის.

და ბოლოს: აფიშა—არის თეატრის ნიღაბი.

ესლა: თეატრის—ფარდაზე.

ეს უფრო რთული საკითხია. და შეიძლება სადაო საკითხიც იყოს. მიევიპოვოდა თეატრიდან ფარდა ჩამოსხნა. მე პირიქით, თეატრის ფარდას ვაღიღებ. მიევიპოვოდა ფარდის და რამის მოხსნით თეატრი გააშოშვლა. მე პირიქით, ფარდის საშუალებით მინდა შევქმნა მთელი დანტასტიკა თეატრის. ფარდა—ეს მთელი სამყაროა თეატრის. თეატრის ფარდა ჩემთვის არის ის სი-

დუმლოება, რომლის გარეშე ერთ წუთსაც თეატრი ვერ იარსებებს. ამიტომ მე სიხარულით ვეგებები პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილს, რომელიც თეატრის ფარდაში

დღეს, მაშინ უნდა ესთქვათ: რომ თეატრი არის თავდავიწყება, სტიქია და გადავარდნა—ფანტასტიურ სამყაროში.

ამ თელახაზრისით ფარდას თეატრში ენიჭება პირველი ადგილი.

ფარდა ჰყოფს დარბაზს და სცენას. მაგრამ იგივე ფარდა აერთიანებს დარბაზს და სცენასაც. ფარდა ჰქვინს მოლოდინს, შიშს, რისხვას, მწუხარებას და პოეტურ აღმაფრენას. ფარდა სჭიმავს ჩვენ ძარღვებს და ნაირჩუქურთმით ვივლის წინ ჩვენივე სახეს ჩვენი ბუნებით. ამიტომ საჭიროა ვიფიქროთ ფარდის მხატვრობაზე.

რაც შეეხება რამპის მოხსნას სცენიდან—ეს პირდაპირ დაუშვებელია. რამპის უარჰყოფა—თვით თეატრალურ შემოქმედების და სასცენო ტენიკის მხრივაც სრულიად უხერხულია. რამპა საჭიროა ერთ და იმავე დროს როგორც სცენის ისე მსახიობთა სახეების გასანათებად. სინათლეს თეატრში უპირველესი ადგილი უჭირავს. რამპის მაგიერობას სოფიტები ვერ გასწევენ. თუ განათება არ არის სცენაზე, არ არის განათება თვით თეატრალურ პერსონაჟების, რომლის საიდუმლოება მხოლოდ და მხოლოდ სახეებშია, სახეები კი ჰქვნიან მთელ მუსიკალურ გამშებს, მსიხოლოგიურ გაშუქებას. ეს თეატრალური აქსიომაა.



**ელენე ციმაკურიძე**

ქუთაისის აკადემიური დრამის მსახიობი

ხედავს სასწაულს და თეატრის „სვეკუნდანტებს“ გვეუბნება: „თეატრის ფარდა ღირსია პიზნის და ოდესმე პოეტი შექმნის ფარდის პოემას. დაუფიქვარია ფარდის „ქანკალი და მისი საოცარი შრიალი, როდესაც ის მალა ადის, ან ძირს ვშვება მომაკვდავი გედის სიმღერით. იხსნება ფარდა და პარტერი პირისპირ დგას სცენის უფსკრულთან“.

პოეტის სიტყვები მუდამ გამართლებული უნდა იყოს ცხოვრების დუილით. ვალერიან გაფრინდაშვილის სიტყვებიც გამართლებულია თეატრალურ პრაქტიკით.

რამდენი წარმოდგენა ყოფილა დამოკიდებული თვით ამ ფარდაზე? რამდენი ეფექტიური სურათი გაფუჭებულა სწორედ ამ ფარდის უდროოდ დაშვებით?!

თუ საერთოდ ხელოვნება სინამდვილე არ არის, მაშინ კერძოთ, თეატრის ხელოვნება უფრო არ არის სინამდვილე.

თუ ჩვენ თეატრი, რომენ როლანის აზრით, დასახული გვაქვს დასასვენებელ ადგილად, სადაც დღიურ შრომით დაქანცული მუშა ფიზიკურ და მორალურ დასვენებას პოულობს, სადაც უნდა შეგვემატოს სიცოცხლის ენერჯის წყარო, სადაც უნდა დავიფიქვოთ ყოველივე ის რაც ჩვენ სულს კვშავს და ავიწროებს, სადაც გონებრივი და სულიერი საზარღო უნდა გვეძლეოდ.



**ალ. ჟალაბეგიშვილი**

ქუთაისის აკადემიური დრამის მსახიობი

არის კიდევ ერთი ყველაზე უმთავრესი საკითხი თეატრში. ეს არის თვით თეატრის შენობა. თეატრის არქიტექტურა და მისი მონუმენტობა. მაგრამ ამაზე შემვახატავ გარჩიი.

# თხატრის გარეშე

(ვახტანგ გარბიის წერილის „რელიზმი თუ ნატურალიზმი“-ს გამო).

ყოველგვარ შემოქმედების შესაძლებლობის გადაშლას წინ მიუძღვის მეთოდი. რაც არ უნდა სწორი და გამართული იყოს შინაარსი, თუ მისი ვითარება მრუდ

ნებაში არის მოცემული, არამედ ისე როგორც თვით ამის მხატვრის ინტოუცია გრძნობს. ხელოვანი ბუნებას სჭერეტს ესთეტურად. ხელოვანი აქვს თავისი ფანტაზია საკუთარი საწყარო.

ამ დებულების გასაღება, რომელიც გულისხმობს ინდივიდუალიზმს და გამოსულია სოლიპიზმიდან, ფილოსოფიურ თეორიის მიღებით, თითქოს საგნების შემცენების სხვა და სხვა გვარობა დამოკიდებულია ხელოვნის ინდივიდუალურ ინტუიციაზე, თუ როგორ სჭერეტს ხელოვანი საგნებს, შესაძლებელი იქნებოდა რამოდენიმე ათეული წლის წინად, როდესაც ბურჟუაზია იყო ხელოვნების ტონის მიმცემი.

აქედან დაღმართია მისტისაქენ. საგნების შეცნაურება, მხატვრის სუბიექტური განცდები წარმოიშობა საგნებიდან. 1 „ხელოვნებაში ერთად ერთი სწორი გზაა, გზა რეალისტურ შინაარსულების“ ეს არის ფორმულა, რომელიც იტევს გარბიის შეხედულებას ხელოვნებაზე. ჩემთვის მთავარი იყო ეს.



ნინა დოლიძე.

სახელმწიფო დრამის მსახიობი.



პიერ კობახიძე.

სახელმწიფო დრამის მსახიობი.

გზით იზღება, აუცილებლათ სიყალბეს მივიღებთ. მაშასადამე ყოველ შემოქმედებისათვის არის ის მეთოდი, გზა, რომელიც თავის აგებულებით საზღვრავს მოცემულ შინაარსს.

ასეთ მეთოდის საპირობება ყველაზე უფრო ცხადდება ეხლა, როდესაც ლუნაჩარსკის თქმით: „რევოლუციით მოცემულია შინაარსი, ხოლო ხელოვნებამ უნდა მისცეს მას ფორმა“-ო.

მაკრამ როგორ? აი, მტკივნეული კითხვა, რომელიც დასმულია დღეს, ყველას წინაშე, რომელსაც ცოტათუ ბეჯათ დამოკიდებულება აქვს ხელოვნებასთან. საპასუხო წერილში გარბიი სწერდა: „ხელოვანისთვის საყურადღებოა: თავანი არა ისე, როგორც ეს ბუ-

ილიუზიას, რომლის მისაღებათ ის ხმარობს ყალბ ფერადებს და რომელსაც აკუთნებენ პირველ როლს. მთავარია, საგნები, მივიღოთ ისე, როგორც ეს ბუნებაშია

მოცემული, (ამას ვუძახი მე რეალობს) და შემდეგ სარგებლობი მოხმარების თვალსაზრისით. მიღებულის გამოხედა და დამუშავება, და არა ხელოვანის ინდივიდუალურ სამუშაოს მიერ გაწეილ მეტაფორით. თქვენი გზით, რეალურ ობიექტის გადმოცემა შეუძლებელია ამიტომ

**მ მ მ მ მ რ უ ლ ი შ ა რ ჯ ი**

ნახატი ბ. სვანიძე.



რეჟისორი ალ. ახმეტელი.

ვებულ კუნთების და მოშვეილ ტენის მატარებელ ადამიანის ფსიხოლოგიას. ასეთი დინამიური მდგომარეობის შეცნაურება შეუძლებელია ვ. გარარის „მატერული სინამდვილით“, სადაც ხელოვანი ბუნებას სჭერს ეს თეტიურად.

ამს. გარარი! შრომობელი და მისი იდეოლოგიის მატარებელი ხელოვანი, ბუნებას ესთეტიურად კი არ სჭერეს, რადგან აქედან ილია გზა პასიურ კერეტამდე, რომელიც ახასიათებდა ბურჟუაზიას, არამედ უცქერის მას როგორც დასამოჩილებელ მოვლენას, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ბუნებას ესთეტიურად ის სჭერეს, ვინც სხვის შრომაზე აწუნებს ბედნიერებას. „გრძობა დინამიკისმოთხოვს მოვლენების გადალაგებას შესაფერის დროებში, ისე რომ თვითული ცალკე მომენტი იგრძობოდეს, როგორც გამოსავალი წერტილი, საერთო მოძრაე ხაზზე“.

მეიერხოლდის მიერ მოკმდელებების კინემატოგრაფიზაცია ამართლებს ამას.

შრომა აწევეს ადამიანს მოვლენების დინამიურ შეცნაურებას, რადგან შრომა ცხადდება მატერის მოძრაობით.

მუშა-მაყურებელში, მოვლენების დინამიურ მიღებას, რომ ხელი შეუწყობს, საჭიროა კინემატოგრაფიული მეთოდები, ე. ი. სიუჟეტის დაშლა პსიხოლოგიური მთლიანობის დაცვით. მატერული დაჯერება სცენაზე გატარებულ იდეით, მაყურებელ დარბაზის, შესაძლებელია ფაბულების კინემატოგრაფიული დალაგებით. მით უმეტეს, რომ ეს მეთოდი თეატრის თეატრალობას სრულიად არ არღვევს.

ასე, რომ კონსტრუქტივიზმი უდინამიკო კი არ არის არამედ დინამიკის სწორ გადმოცემასათვის არის „შრომობელი“. რაც შეეხება გეომეტრიულ ხაზების სიმშრალეს, ამის შესახებ მოვიყვან ვან გრუსის დამახასიათებელ სიტყვებს:

„ფერადი ჩემთვის არ არსებობს. ხაზს ვეცლებ ფორტოგრაფიული ინდივიდუალობით, რომელიც საწყისია კონსტრუქციის, გამიზნულია ქანდაკიებურობამდე. გამძლეობა, აწეება, მიზანშეწონილობა, სპორტი, ინჟინერია, მაშინა მოდას კონტროლი ხაზის და ფორმის. ისპობა დეკორაცია. განივება და ნათელი-ფერა მოხმარების თვალსაზრისით უფრო ნაყოფიერია, ვინც უანტროლო ლეიფერი, პათეთურ მეტაფიზიკური ეესტაზი“, რომელსაც წარმოშობს ხელოვანის საკუთარი სამყარო, როგორც ეხედავთ, ეს მეთოდი უფრო მისაღება პროლეტარიატისათვის-რომელიც ნივთს, ფაქტს, რეალობას, უცქერის, როგორც განცდების წყალობა.

ეს ცნებაზე საჭიროა აისახოს სიერცემობრივი ფორმა ნივთის და არა მისი გარეგანი დეკორატულობა, რომელიც ესთეტიურია, არა დეკორაციას აქვს მნიშვნელობა, არამედ ვაგებულ ხაზის ხასიათს“.

||

შემდეგ ამბობთ: „მე მშამს თეატრი ემოციანალური სადაც მთავარი და მთავარი არის პათეტიური მ-

წარმოიშვა კლბიში, რომელიც მალე დამარცხდა, რადგან კლბიზმის ოპერაციები რეალურ ელემენტებთან, იყო სუბიექტიური. კონკრეტული კლბი, როგორც ატომი ნივთების, არის მეტაფიზიკური სიდიდე.“

შემდეგ ამბობთ. კონსტრუქტივიზმს არავითარი დინამიკა არ ახასიათებს. დინამიური აბორლება ადამიანის ცოცხალი ენების ყოვანა და არა გათვულ გეომეტრიულ ხაზებზეაო.

არც ამ ანათემას აქვს რაიმე მნიშვნელობა ჩემთვის რადგან ერთი ფაქტიც არ ახლავს.

ენაბით, შეიძლება მართალიც იყოს.

შრომობელი უშუალო მონაწილეობას იღებს ნივთების შექმნაში, საკუთარ ხელებით ღუნავს ბუნებას მოხმარების მიზნით. საკუთარი ინტერესები, რომლის ძალითაც ის იმორჩილებს ბუნებას, ავლებს მას დინამიურ განცდათა ლაბირინტებში. შრომობელი გრძობს ელემენტების გარდაქმნას, შედარებით ახალ ნივთებათ. მისი მსოფლმხედველობის საწყისია შრომა.

აქედან იქმნება დაკომული მდგომარეობა, რომელიც საზოგადოთ ახასიათებს, შრომის ინტენსივობით ამოძრა-

ტყველებმა“. და რადგან მეიერხოლდმა გამოდევნა მსახიობი და მასასადამე პათეთიური მეტყველებაც, ამიტომ მისი თეატრი გაათავებეს კათატორებში ო.

სიცილით ამბ. გარაკი! მეიერხოლდმა იმდენად განდევნა თეატრიდან მსახიობი, რამდენათაც კოლეკტიურამა მასამ გმირი პიროვნება.

რაც შეეხება ემიციონალობას, თეატრი სრულიად არ კარგავს მას ინტენერისმიდან, ისე როგორც ბიომეხანიკა, მსახიობის თამაშისთვის.

ამ ილიუსტრაციის დასამტკიცებლათ მოვიყვან ბუქსონის სიტყვებს, რომელიც ჩემი აზრით სწორია და გამართლებული:

„მასების კოლეკტიური შემეცნებაში, ადამიანი არსებობს; როგორც საზოგადოებრივი ერთეული, მყოფი მოძრაობაში. ემოციონალურ ტეატრში, სადაც ცხადდება ნება; ემოცია კლასის, აკადმიანი უნდა იქნეს ნაწილები მოძრაობაში. მოძრაობის იარაღი სიტყვა; მისი საშუალება.“

ასე რომ ემოციებმა უნდა მონახოს თავისი ენა მოძრაობაში. მოძრაობა კი არის რეფლექსი სოციალურ ბიოლოგიურ ნების; მაგრამ მოძრაობები სხვა და სხვა ნაირია, ისე როგორც მისი სტიმულები, გრძობები.

მსახიობის შინაგანი მოქმედებით, ყოველი როლის თამაში არ შეუძლია, ამიტომ მოძრაობები უნდა იქნეს შესწავლილი მეხანის კანონებით“, რომ ყოველი მოე-

უნა სცენიდან ყოველი დეტალით იქნეს მოცემული დინამიური შემეცნების შესაძლებლობით. როგორც ვხედავთ მეიერხოლდის ბიომეხანიკის აქვს სერიოზული მნიშვნელობა.

რეალურია ადმიანის ემოცია, სოციალურ ბიოლოგიურ სტიმულუმის ძალის მოქმედებისაგან წარმოშობილი და არა ბუნების ესთეტურ მჭკრეტელობისაგან გაჩენილი, როგორც თქვენ გგონიათ. ამბ. გარაკი. ეგებ ვინმემ მითხრას, რომ ბიომეხანიკის შეუძლია წარმოშობის ავტომატისაგან მსახიობის თამაშისთვის. ამაზე პასუხი ერთია.

მარიონეტა = მოძრაობას, მარიონეტა = სიტყვას – ემოცია.

ბიომეხანიკა ერთდება მსახიობის შინა ბუნების ემოციონალობასთან.

აქ მხოლოდ მოძრაობა დაშლილია მექანიკურ კანონების საფუძველზე, რომელზედაც დალაგებულია სიტყვები, რომ ფსიქოლოგია იყოს მოცემული მთელი რეალბით.

საკარაუელოში მარიონეტული თეატრის ნიმუში მოგვცა კ. მარჯანიშვილმა „ინტერესთა თამაში“, სადაც მოძრაობა მხოლოდ კომენტარია არის სიტყვის. რაც შეეხება კონსტრუქტივისმის მოგონილობას და „ფასონობას“, და თეატრის იდეალთ შექპირის გამოცხადებას, ამას შემდეგ წერილში შევხებით უფრო ვრცლათ.

კ ლ ო რ თ ი ფ ა ნ ი ე

# მ უ ს ი კ ბ

## ახალი ოპერა გერმანეთში.

გერმანეთის ახალი მუსიკის განვითარებაში უსათუოდ უპირველესი ადგილი უკავია საოპერო შემოქმედებს. შეიძლება თამამად ითქვას რომ იმდენი ოპერა რაც დაიწერა ამ ბოლო დროს გერმანეთში არსად არ დაწერილა. ეს გარემოება უკუქველია გამომდინარეობს გერმანეთის ხელოვნების საერთო კრიზისიდან, რომლის მიზეზია ისევე ის „სამედისწერო“ ექსპრესიონიზმი, რომელიც არ იძლევა არავითარ ვასავალს ხელოვნების სწორი განვითარებისათვის. საოპერო შემოქმედებაში ჯერ კიდევ დიდა ვაგნერის გავლენა. ვაგნერი დგას, როგორც უსდველი ბუმბერაზი. თანამედროვე მუსიკალური კრიტიკა გერმანეთის ყოველ ახალ კომპოზიტორს ვაგნერის საზომით უდგება. თუ რამდენად არის მასში ვაგნერიზმი და რა დამოკიდებულება აქვს მას ვაგნერთან. ამ შხრივ მეტად ბუნებრივია ცდა ზოგიერთ ახალგაზდა კომპოზიტორებისა ვაგნერიზმის დაძლივის. მთელი რიგი მუსიკალურ კრიტიკოსებისა (მაგალ. ნიშანი, ვეისმანი, პენიგი) აღნიშნავენ ვაგნერის მიტოვებას თანამედროვე გერმანე-

ნეთის ოპერაში. მაგრამ ჯერ კიდევ დიდა და ძლიერი ვაგნერის „ტირანია“ მუსიკაში. მაგალ. ვაგნერის ეპიგონალ უნდა ჩითვალის ჰანს ჰიტცენერი (დ. 1869 წ.), რომელიც სიუჟეტებითაც კი ავრტყლებს ვაგნერის საზღაპრო მუსიკალურ ეფოსს: ოპერაში „საწყალი ჰენრიხი“, „პალსტრინა“, (1916 წ.), ამიტომ უწოდებენ მას „უკანასკნელ რომანტიკოსს“. თანამედროვეობის რიტმი სულ არ ეტყობა მის ოპერებს. ბრამსი, შუმანი, ვაგნერი—ჯადოსნური რაკიაა, რომლიდანაც ძლივს აღწევს თავს პფიტცენერი. შემდეგ მაქს შილინგს (დ. 1868 წ.), რომელიც თავის საუკეთესო ოპერა „მონა ლიზაში“ (1915 წ.) ხრომატიზმებით და რთულ კონტრაპუნქტებით ისევე იმავე ვაგნერის გავლენის ქვეშ იმყოფება. ქარიდრის კლოზე ცდილობს სიმფონიზმის და მუსიკალურ დრამის შეერთებას, მაგრამ იგი თავის ოპერაში უფრო მეტად აძლიერებს ვაგნერის ორქესტრს, ვიდრე თვით მისი მსწავლეული.

(ცალკე სტეას განთქმული რიხარდ შტრაუსი (დ. 1864 წ.), რომელიც თანამედროვე გერმანეთის მუ-



რპერის მსახიობი ასეცკი.

ფოტოგრაფია შიშინის.

სიკის სიმბოლოდ გადაიქცა. შტრაუსის ოპერაში წარმოადგენენ სიმფონიურად განსახიერებულ დრამატულ ოპერებს ეოკალური ელემენტი მეტად სუსტია. მაგ. Rosenkavalier-ში. საერთოდ უნდა ითქვას, რომ შტრაუსს უფრო მეტად იცნობენ როგორც გერმანიაში, ისე საზღვარ-გარეთ, ვიდრე სხვებს, თუმცა მისი განთქმულობა ზოგიერთ შემთხვევაში მეტად გაზვიადებულად უნდა იქნეს აღიარებული, როგორც მრავალი კრიტიკოსი აღნიშნავს მის მუსიკაში გასაკვირვებელი სიმწიბრე ბანალურად გიგანტობის, რომელიც მეშინაურ სანტიმენტალიზმს უახლოვდებიან. მაგალითად ძრანც შრეიკერი (დ. 1878 წ.) უფრო მეტი ყურადღების ღირსია მასთან შედარებით, რადგან როგორც საოპერო კომპოზიტორი იგი უფრო მაღლა სდგას, ვიდრე ვაგნერის ეპიგონი ჰაინრიხი და „მეშინაური“ რიხარდ შტრაუსი. ბერლინის მუსიკალურ აკადემიის დირიჟორი შრეიკერი თავისუფალია ყოველგვარ ნაძალადე თეორიებისაგან და მზა ფორმულებისაგან. ოპერის ტექსტს იგი თვითონ სთხავს. სიუჟეტი როგორც შევენის საერთოდ ექსპრესიონისტულ გერმანეთს ფანტასტიკობით არის გაყენებული. რეალური გადაამუღი იდეალურზე. მეტად მკვეთრი ენოტიულობა პიობლემე ყოველ მის ოპერაში. „შორეული ძახილი“-ს (1909) მეორე მოქმედება მეტად ნატურალისტურად არის გადმოცემული: ციგნები, მანდალინისტები, გიტარისტები და

სხვ. ოპერა სავსეა პარალელურ კინებებით, რომლებსაც ასე ხშირად ხმარობენ თანამედროვე კომპოზიტორები. ეგრედწოდებული „Sprachsaug“ („სიმღერა ლაპარაკით“) მეტად განვითარებულია და იკავებს „სიმღერის“ ადგილს. ერთ თავის უკანასკნელ ოპერაში „საუზვის მადიბელი“ (1919) შრეიკერმა უარყო სრულიად უფერტიურა და ეოკალური პარტია თითქმის სულ ლაპარაკზე აგებული.

ატონალიზმი რომელიც გვხვდება შრეიკერის ოპერებში უფრო მეტად განვითარებულია არნალდ შენბერგის (დ. 1874 წ.) ოპერებში. არნალდ შენბერგი მეტად საინტერესო ფიგურას წარმოადგენს საერთოდ მსოფლიო ახალ მუსიკაში.

იგი ილაშქრებს ყველა ტრადიციებისქინაააღმდეგ, რომელიც მძიმე უღელვით აწევებიან მუსიკალურ კულტურით მდიდარ გერმანეთს. მისი ატონალიზმი მთლად ასე ესთქვათ „ტეინიდან“ გამომდინარეობს, თავიდან ბოლომდე გონების ნაკარნახევია. შემდეგისთვის ვაგნერი სრულიად არ არსებობს. მან შექმნა მთელი სკოლა ახალ მუსიკის გერმანეთში. მის ოპერებში რიტმი, მელოსი და კონტრაპუნქტი გადაბმულია ერთი მეორეზე რთული სქემით, აბსოლუტური მუსიკა. მუსიკა როგორც ნივთი, ასე ესთქვათ „კონსტრუქტივისტული მუსიკა“, და სიმღერა როგორც ლაპარაკის ინტონაცია. მის სკოლას ეყუთენიან ეგონ ველლესი და ალბან ბერგ. ველლესი ატონალიზმი და პარალელური სეპტაკორდები მეტად ამბაფრებენ ოპერის მუსიკალურ აგებულობას. პარალელურ კინებზე ხომ ლაპარაკი უხდმეტია. შესანიშნავია ალბან ბერგის მეტად თავისებური და ნიჭიერი ახალგაზდა კომპოზიტორი. თავის ოპერაში ბერგი იძლევა რაღაც სიახლეს. ოპერა იწერება რნსტრუმენტალურ ფორმებში. გარნიონი მეტად ანატოლური. ორკესტრი თითქმის კამერული. სიმღერა რიტორდელკლამაციით და უბრალო ლაპარაკით იცვლება.

ყველაზე ახალგაზდანი არიან ვოლფგანგ კორნგოლი (დ. 1897 წ.) და პაულ ხინდემიტი (დ. 1895 წ.). კორნგოლი მეტად ელექტიურია. მის ოპერებში ლაპარაკობს მთელი მუსიკალური კულტურა ევროპის: შუამანი, ვაგნერი, პუჩინი, ჩაიკოვსკი, დებიუსსი, შენბერგი. შესანიშნავია მისი ოპერა „მკვდარი ქალაქი“ (1920). ხინდემიტი მეტად რევილიუციონურად გვეჩვენება, როგორც სიუჟეტით, აგრეთვე ტენიკურ შესაძლებლობით მის ერთმოქმედებინ ოპერებს ახასიათებს საშავლებათა დიდი ეკონომია, მძაფრი და მუსიკალურ ტემპერამენტით აღსაესე ატონალიზმი.

ასეთია ახალი ოპერა გერმანეთის მუსიკალურ შემოქმედებაში. რასაკვირვებელი მხოლოდ სქემატიკურად მოხაზული.

# კ ი ნ ო

## კინოს მნიშვნელობაზე.

ყველა ქვეყნებში, კინემატოგრაფი ერთ-საუკეთესო საშუალებათ ითვლება, ფართო მასებზე იდეური ზეგავლენისათვის. ვახვითან ერთად ის ვახბა აუცილებელი ელემენტი თანამედროვე ცივილიზაციისა, და ბურჟუა-

ზიამ მესლო შეექმნა კინემატოგრაფიდან, უძლიერესი იარაღი თავის პროპაგანდის გასაერელებლათ. ძველი ხალხური ფორმები თეატრისა, ბალანისა, ცირკისა და სხვა მანდღვენილია კინემატოგრაფის საშუალებით, სადაც



კინო-მსახიობი თამარა ბოლქვაძე

რეპერტუარი, დადგმა და ყველაფერი სასებით, იმყოფება მსხვილი კაპიტალისტური ფორმების კანტროლის ქვეშ.

ჩვენში უაღრესად დამახასიათებელ თვისებათ, არსებულ საფეხურზედ კულტურულ განვითარებისა, არის ზრდა კულტურის ფართო მასშტაბით, იგი იჭრება ხალხის ღრმა ფენებში, რომელიც ჯერ კიდევ ხელუხლებელი დარჩა თანამედროვე ქალაქის კულტურიდან; ამის-დამიხედვით, ჩვენში პროლეტარულ დიქტატურის დროს, კინემატოგრაფის მნიშვნელობა გიგანტიურად შეიძლება

ჩაითვალოს. როგორც ქალაქი აგრეთვე სოფელიც უნდა გახდნენ სავნად კინემატოგრაფის ზეგავლენის. განსაკუთრებით საბჭოთა კინემატოგრაფის.

აქ არის ვრცელი ასპარეზი მუშაობისთვის აქ არის ერთი უკეთილშობილესი კულტურული ამოცანა. სამწუხაროდ ამ სფეროში აქამდისინ ძალიან ცოტა არის გაკეთებული. შეტი სიტყვებია ვიდრე საქმე. შეტი გეგმები და პროექტებია ვიდრე ცოცხალი მუშაობა — შემოქმედება, როგორც სცენარების, დადგმების და შესრულების მხრივ. აგრეთვე რაც შეეება საქმის დაყენებას წმინდა

კომერციული თვალსაზრისით, ჯერ-ჯერობით საბჭოთა კინემატოგრაფი, ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. ქუჩები კი აჭრელებული არის ფრანგული, ამერიკული და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნების დადგმულ სურათებით, პლაკა-

ტებით. ჩვენ მიერ ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯები არის გადადგმული. საჭიროა საქმე მიდინარეობდეს უფრო სწრაფად...

5. ბუხარინი.

## „ფარაონის ცოლი“

მრავალი იტალიური და გერმანული „ისტორიული“ სურათი უნახავს თბილისის კინო-ეკრანს, მაგრამ თამამად შეიძლება თქვას, რომ მათ შორის „ფარაონის ცოლი“ მეტიდ ვასაოკარი და თვალსაჩინო ფილმი არის. რასაკვირველია, აქ არავითარ რეკლამის მოწყობა საჭირო არ არის, რომ ძილმა ბერლინში ხუთი თვის განმავლობაში ყოველ დღე იზიდავდა მაყურებელს. და მოსკოვში, თუმცა ნაკლებ, მაგრამ სამი კვირა მაინც გასტანა. საჭიროა მხოლოდ აღინიშნოს ფილმის ტექნიკური განხორციელება და ამ მხრივ კი იგი მეტად განირჩევა ერთ მშბლონით მომზადებულ „ისტორიულ“ სურათებისაგან. „ფარაონის ცოლი“ გერმანულ რეჟისორ ფრანც ლიუბიჩის დადგმა არის. ყოველი თეატრალური აქტიორი და რეჟისორი, მაქს რეინჰარტის მოწყვეტა, ლიუბიჩი იწყებს კინო-კარიერას კომედიების დადგმით. სხვათა შორის თბილისში ნახა მისი ამ პერიოდის კინო კომედია „Нризмаса ყურიუ“. მეორე პერიოდის მისი უკვე ცდის თავის ნიჟს სერიოზულ დრამების დადგმებზე, რაშიც მეტად ეხმარება ამერიკელ რეჟისორი დავით გრაფ-ფიტცი და დღემბის შესწავლა. საინტერესოა რომ ლიუბიჩის „ფარაონის ცოლის“ ნახვის დროს უნებლვ გაგონებდა გრაფიცის „ინოტურანს“. მაგრამ ლიუბიჩი მაინც თავისუფლია.

დღეს ჩვენთვის უკვე მოსაბერებელ ტრაფარეტად იქცა ლაპარაკი საზღვარ-გარეთელ კინო-ფილმების იდეოლოგიურად მიუღებლობის შესახებ. ყოველ კინო-რეცენზენტს უკვე მზად აქვს უტყობოთის ფილმის შესახებ სტერიოტიპი: „იდეოლოგიის მხრივ მიუღებელია, ტექნიკური შესრულება და დადგმა შეუღარებელია,“ ეს საზოგადოებრივად საუბედუროთა ჩვენთვის თუ უტყობოთისთვის ყველა საზღვარ-გარეთელი ფილმებისათვის მისაღები ვახანა. იმეო ფარაონ ამანესის და ეთიოპიისმეფის შორის, რასაკვირველია, იმითომ კი არა ხდება რომ ამას მოითხოვენ სოციალურ-ეკონომიური პირობები, არამედ ქალის გულითთვის. მისთვის კარგავს ფარაონი თავის ტახტს, მისთვის იკლავს თავს ახალგაზრდა ჭაბუკი რამფისი. მაგრამ საქმე სწორე იმანია, რომ ასეთი იდეოლოგიურად სუსტე სცენარე და უპირატეზიო სიუჟეტი გაჭიმული ათ გრძელ ნაწილად სრულიათ არ ღალავს მაყურებელს, რადანე მოსაწყენი არაა და ინტერესი იოტის ოდენაც არ კლებულთის თავიდან ბოლომდის. ეს გარემოება კი უკვე გამარჯვებაა რეჟისორის. „ფარაონის ცოლში“ ლიუბიჩი ვასაოკარის დეტალებით და მონუმენტალურ სტილით აღადგენს ისტორიულ ეგვიპტეს. ყველას უნახავს, მაგ-

რამ იგი საცოდავ „ხალტურად“ მოგეწყენებთ“ ფარაონის ცოლის“ შემდეგ. არბეოლოგიურის და ისტორიულის სინამდვილით აღდგენილია „ნამდვილი“ ეგვიპტე. აშენებულია დარბაზები, სასახლები, კიბეები, სტინქსები, პაპირუსის და ლოტოსის მსგავსი სვეტები, ბარელიეფები, ორნამენტები და ყველა ეს ბერლინის მახლობლად კინო-ქალაქ ნეიბაბლსბერგში ცნობილ არხიტექტორ კურტ რიხტერის მიერ. მასიური სცენები სადაც მონაწილეო ბას იღებს 15 ათასამდე. მეტი სტატისტი შეუღარებელია. ეპიზოდები მჭიდროდ და ფოკალისებურად გადაბმული არიან ერთმანეთზე. მონტაჟით არავითარი „ამერიკანისმი“ ტლანჯი და დაუსრულებელი. მეტად საინტერესოა ღამის სცენები პროექტორის სინათლევ გადაღებული. საერთოდ დადგმის მხრივ ჩვენს კინემატოგრაფისტების შესწავლის მიღდარ მასალას იძლევა ეს ფილმი.

მაგრამ ინტერესის ცენტრი მაინც გერმანიის საუკეთესო პიროვნებისოვანი კინო-არტისტების ანამბლშია. პირდაპირ გენიალურია ემელ იანინგს ფარაონ ამანესის როლში. ვისაც უნახავს მისი ოტელი, ის უკვე სამუდამოდ მოაჯდომებელი დარჩებოდა ამ საუცხოო არტისტი. იანინგის ფარაონის ნამდვილი სტინქსისებური თავი, სახის განურქველობა და მდიდარი მიმიკა ქნის რალე მონუმენტალურ დაუციწყარ კინო-სახეს. დიდის ტემპერამენტით თამაშობს პაულ ვეგენერი ეველურ ეთიოპელ მეფის ზამლაკის როლს. მეტად დამახასიათებელი გრომი, კოსტუმი, ვესტი და სახის გამომეტყველება. საინტერესოა გარო ილიდე, ეს მეტად ნიჭიერი კომედიური მსახიობი, (მისი საუკეთესო როლი იყო პეტერ ფოსს), დრამატული როლში. მაგრამ მისი რამფისი კარგია იქ სადაც მინიმლურ საშვლებებით (გაციუნება, ვესტი-სიძურწე) იგი ახდენს მაყურებელზე შესავტერ შობეკვლილებას. დავნი ხერვეს (მგონი პირველად თბილისის ეკრანზე!) ქნის მეტად ფოტოგენიურ სახეს ჯერ ტვექალის და შემდეგ ფარაონის ცოლის. ალბერტ ბასხერმანს (ბუროთომოდვარი) ნაკლებად იცნობენ ჩვენში. ალბად იმითომ რომ საუკეთესო როლგვში არ გვინახავნ (მაგალ. კარდინალ რიშელიე), მაგრამ იგი ძალიან ცნობილი აქტიორია გერმანიაში და გერმანიის კინოს ერთი პიონერთავანია- მეტად დამახასიათებელ სახეებს იძლევიან **ფარდრიხ კიუნე** (ქურუმი) და პაულ ბინსტელ (კომენდანტი).

საერთოდ ძილმა უნდა ჩაითვალოს „კინო-დღესასწაულად“ ჩვენს ეკრანზე.

# „მისი დაცემა“

ვოლფის დადგმა.

მთავარ როლებში: ასტა ნილსენი და გ. ხმარა.

იმ ფილმებიდან, რომლებიც ჩვენ ვნახეთ ამ უკანასკნელად ტფილისის ეკრანებზე საყურადღებო თავისი შინაარსით კინო-სოლეში ნაჩვენები „მისი დაცემა“.

მსახიობი კიტი ფალკი მიტოვებული ქმარისგან ეწევა თავისუფალ ცხოვრებას. მის გარყვნილებას მოაქვს შეტად ცუდი შედეგები. იღუპება გრაფი ლამოტი, ახალგაზრდა პეტერს აპატიმრებენ ექვსი წლით და თვითონ კიტი საშინელო მდგომარეობაში ვარდება; იგი საბოლოოდ ფელომა გარყვნილების მორვეში.

სურათის აზრი აშკარაა: იგი გვეუბნება თუ რა უბედურების დატრიალება შეუძლია ზნედაცემულ ცხოვრებას.

„მისი დაცემა“ გაშლილია მთლიანად რეალისტურ ხაზებში.

სურათის დადგმა ჩვეულებრივია. აღსანიშნავია რეჟისორის კულტურობა და მისი ღრმა დაკვირვება. ყველგან დაკულია ზომიერება და არსად არა სჩანს გადაჭარბება. მაყურებელს სიამოვნებას აძლევს ლამაზი პეიზაჟე-

ბის გაეფლება და ის სცენები, რომლებიც ზღვის პირადაა დადგმული.

კარგად არიან შერჩეული მომქმედი პირნი; საერთო დამაკმაყოფილებელ ანსაბლიდან გამოირჩევიან ასტა ნილსენი—კიტი ფალკის როლში—და გ. ხმარა—პეტერის როლში.

ასტა ნილსენს მოგაოვება ყოველგვარი შესაძლებლობა იმისთვის, რომ მოგვცეს როლის სრული განსახივრება. ამ სურათში იგი ჩვეულებისამებრ, ამყვანებს თავის მაღალ ოსტატობას.

ხმარას ენერგიული და ჯანსაღი შეხედულება იძლევა ნამდვილ მეთეოზის სახეს. ხმარას შესრულებაში მაყურებელს იზიდავს მისი ბუნებრივობა.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ „მისი დაცემის“ სცენარი მოხდენილია შედგენილი. სურათში მოქმედების განვითარება იმდენად ნათელია, რომ მის წარწერებს ეკარგებათ თითქმის მნიშვნელობა.

X

## მხატვრული ლიტერატურა

### მ მ ა რ თ ი

დ ღ ე ს

დღეს მხიარულ ზეიმს  
ქუჩა შეიფერებს,  
მოზღვავებულ გრძნობას  
ძლევს მწყობრ სიმღერებს  
მივსცემთ მარტის სიბოზს  
და მქვამულ ფერებს.

დღეს სხვა განცდა შეკრავს  
მშრომელ ქალთა გულებს;  
და დაკრეფენ მიწდვრად  
ციხდერ თაიგულებს.  
ალტაცება შეგნით  
თავის ბედის მკედლებს.  
შეფოთლავენ იით  
ძველი ქარხნის კედლებს.

დღეს ახალი ქალი  
წითელ პეპლებით,  
გადაჯაჭულ ქუჩებს  
წითელ რკალებს ავლავს,  
იცის ვერ დასჩავრავს  
აწყო, მომავალი,  
იცის ბედს მოსტაცებს  
ძვირფას, ლამაზ დაელას.  
უკან სტოვებს ტანჯვას,  
მონურ ყოფას, დროს შავს.  
და წინ მიაქვს მედვრად  
თავის წმინდა დროში.

ენწელი ქალი.

## მ ე დ ა ქ ა რ ი .

(დასასრული)

ასე ემღერით  
ციხეთერში  
მე და ქარი...  
ქარმა იცის,  
მე რომ ზეცა დავიპყარი!  
ქარმა იცის...  
მე ის მყავდა მოკავშირეთ.  
გვისწრო ბინდმა,  
როცა ზეცა დავიჭირეთ.  
და ავიანეთ  
ყველგან ცაში  
ელექტრიონი!  
ეს ის ძალია  
რასაც სიზმრად გრძნობდენ დრონი  
რათ თვით ღმერთსაც  
იმ თვითვე ისე სწამდა,  
რაც რომ ახლა  
განმტკიცდა  
და  
გათამამდა ..

და ეს ქარიც  
რა გიყია?  
რა თამამი?  
არ არსებობს მისთვის  
ზღუდე და საპამი!  
თავს ევლება:  
მთის ქეჩოებს,  
მთის მწვერვალებს  
ბსკერუი სწვდება  
შავს უბსკრულებს  
მთის ნაპრალებს;  
ხერვლს არ სტოვებს,  
რომ მასშიც არ შესისინდეს...  
გნებათ,  
ღრუბელთ ასცდეს  
და ციოთ  
დაგვირგვინდეს!...  
ამ გვირგვინსაც არ დაინდობს,  
როგორც მაშინ!..  
მეც ამიტომ  
ვზი ქარზე და  
დავჭრი მასში...  
ჩვენ დაიწყეთ  
გაბედული ეგ შეტევა,  
ჩვენ ვიტვივით  
მიწისა და ზეცის რღვევა,  
და განვავარძობთ ჩვენც ამ საქმეს

ისევ ისე...  
მე—ქარის თხა  
და ქარს ჩემი სიხალისე!..  
ვინა სთქვა,  
რომ ჩვენ ავიკლეთ ეგ საიყარო?  
ვინა სთქვა,  
რომ ჩვენ ვართ  
მარტო რღვევის წყარო  
და ვთარეშობთ დაუსჯელად  
ქვეყანაში?  
მოთ,  
წამოწყე ერთის წამით  
ქარხანაში!  
და იქ ნახათ,  
უკაცრავათ თქვენ იქ გენახათ:  
იქ ჩვენ ვახვევთ,  
იქ ჩვენ ვქსევათ,  
ერთავე და ეძახათ...  
იქ ჩვენ დაფრენთ  
და ამ ფრენით  
ეკიბათ ლველებს,  
და ეგ ფრენაც  
იქ ყველაფერს ამრქმედებს:  
იწვის...  
არა, ეგ ჩვენ ვიწვით:  
მე და ქარი  
იქ  
ლუმელში,  
ჩვენ ვართ ცეცხლის ნიაღვარი!..  
ქებაში წყალი რომ სღლდს,  
აღის ოხშივარი,  
ეგ ისევ და ისევ ჩვენ ვართ:  
მე და ქარი!  
საბერეულშიც ჩვენ ვშიშინებთ,  
ჩვენ მიეძვრებით,  
შანთსაც ცეცხლთ  
ჩვენ ვაყრვენივით:  
ეჩნდებით!..  
ეჭრებით!..  
მივჭრით მილში  
და ვაწვებით მკერდით: ქმედებს,  
აღვევრავთ ჩარხთ და  
ჩვენც ვეცემით მყისვე ლველებს...  
უროს ცემას,  
გრდემლის წკრიალს,  
ჩაქუთ რაკრასს,  
ჩვენ გადაესცემთ მიგლ ქვეყანას  
მათს ლაპარაკს!..

ჩვენ მიმეჭრით:  
 ორთქლში,  
 ნავთში,  
 ცეცხლის ალში,  
 და ქარხანის ამ ქოთქოთში,  
 ამ ღრიალში,  
 ამ დახუთულ  
 მაინც მოძრავ ამ ჰაერზე  
 ფურვით და ესნით  
 ეანგსა და მურს ქარხნის მტვერში!

\* \* \*

ასე დაეჭრით ქვეყანაზე  
 მე და ქარი.  
 ჩვენი გზაა  
 ეს გარემო,  
 მთა და ბარი,  
 კლდის ბილიკი,  
 ქანჭრობი; თუ  
 ტყის კრილობი,  
 ვაკე, მდგლო,  
 თუ მინდორი  
 ნაწილობრივ,

სოფლის შუკა,  
 თუ ქალაქის ფართო ქუჩა...  
 ჩვენ გვიწოდებს:  
 მხენელ-მთესველი,  
 ქარხნის მუშა,  
 მოგზაური,  
 მეზღვაური,  
 თუ შფრინავი,  
 ორთქლ-მაგალი  
 ორთქლ-მქმედი, თუ  
 ცეცხლის ნავი.  
 მთის ტეხილი  
 ზღვით-ზღვის არხი,  
 თუ მაღარო,  
 დედამწეა,  
 მზის სისტემა,  
 მთლად სამკარო,  
 თუ ცისეთის აფეთქება  
 და ხანძარი,  
 ჩვენც იქ ეჩნდებით,  
 ჩვენ ყველგან ვართ:  
 მე და ქარი!

ნ. ზომბეთელი

## გ ვ ე ლ ი ს კ უ ლ ზ ე

— ასეთი ქუჩა მგონი ქალაქში არ უნდა არსებობდეს. იქვით სთქვა ალისამ თავისთვის და ისევ გადახედა კარზე ვაკრულ საღარბაზო ბარათს.

„მე გადავედი ფეხების ქუჩაზე. ოთახი ჰქონდა.“

ფეხების ქუჩა...—ჩაიწურჩულა მხრების აწევით და ნაღლიანი თვალები შერკულ წამწამებში შუშის კაკლებით გაუჩერდა.

პატარა ჩემოდანი ხელში შეაცვივდა.

მიიხედ-მოიხედა, დერეფანში მეორე კარები შენიშნა.

— აქ ვინღა ცხოვრობს ნეტაი?—გაიფიქრა და ფრთხილად დარკვა.

— ვინ გენაუთ?—ჯაბუის იქიდან გამოჩნებურა ვიღაც მოხუცი.

— აქ, ის, თომა... იქნებ იცით სად გადავიდა?

— რა მოვასუნეთ...—

— სად იქნება ნეტაი ფეხების ქუჩა?

— რაო, რას ამბობთ?!

— ფეხების ქუჩა...—

— მოითმინეთ, ბარათი უნდა გადმოგკეთო.

— ბარათი?—სიხარულით წამოისახა და სიხარულის ნაპერწკალი ცეცხლივით აენტო სახეზე.

მოხუცმა ცისფერი დალუქული კონვერტი გამოიტანა, ჯაბუიდან გამოიწურა, და კარი მიიხურა.

ალისამ საჩქაროდ გახსნა წერილი.

„ძვირფასო მეუღლე, მამაკიე, რომ დაგატყუილე და ჩამოგაყვავა. მე დღეს მეთუჯერ გამომასახლეს ბინიდან, ჩემს კვალს ნულად დავეჭმა.“

„იყო და არა არის...“

— ასეთია ცხოვრების კანონი.

მეორე დღეს ალისა ნაცნობ დიასახლისის რჩევით წავიდა № სამილიციო უბანში.

— ფეხის ქუჩა? გაიკვირვა კომისარმა,—ასეთი არ მეგულებოდა...

თავი გაიქანია, მაგიდას დაეყრდნო და რალაც-ნაირი მზერით მიამტერდა ალისას.

— მაგრამ თქვენ ქალბატონო, რათ იწუხებთ თავს? რათ დაეძებთ ისეთ ქმარს, რომელსაც არ სკოდნია თქვენი ფასი.

თქვენებრ მშვენიერი ქალი სრულიადც არ არის ვალდებული თავისი უღირსი ქმარი ეძიოს. მე სხვას გირჩევდით: თქვენი გარეგნობა სრულ გარანტიას გაძლევთ, რომ თუ მოისურვებთ გახდებით საუკეთესო კინო-მსახიობი. მე მყავს ნაცნობი რეჟისორი, მიგვიწერეთ ბარათს. დაფიქრდით, თუ მოგივლდით კუთაში, გამოიყენეთ ჩემი სამსახური...

აღსა აღფრთოვანებელი გამოვიდა რეჟისორის კაზინტელან, და ღრუბლიანი თვალები უკვე ვადაირეკა. ამაყად ვადახედა თბილისის ქუჩებს და კინო-თეატრები აათვალიერა.

მას ყველაფერი ალუქტევს... დაფიქრდა და ვადა-სწევითა დღის იქით ქმარზე აღარ იღარდოს.

ახალი ცხოვრება ფერადებით გაუღებს კარებს: აღისა სტუდიაში... აღისა ეკრანზე...

დაუკრებელ ამბად ეცენებოდა აღისას, მაგრამ სინამდვილეში ერთის ამბით ჩასძახოდენ ყველამ, ფანტასტიკურ გამარჯვების აუცილებლობაზე.

— გვადლობ შენ შემოქმედო, რომ ასეთი სიღამა-ზით დამავლოდე—გულწრფელი სიხარულით წარჩო-სიქვა აღისას სტუდიითა დარბაზში, როცა ვეებერთე-ულა სარკვეში თავით-ფეხებამდის ახვდა მისი სხეულის მსლიან ანარეკლს. ხშირ წამწამებით დაუფრთხილი შავი მსხვილი თვალები მედიდურათ გადაატრიალა და ჯერ კიდევ თაუწრთონელ მსახიობის ქესტით გამოლო კარები. უკან მოიხედა, ჩუმი სახალული იგრძნო, როცა იგრძნო მისი წასვლით დარბაზს ფერი ეცვალა.

მაგრამ იქვს წვეტიანი თითები ისევ გაეკრა ვულს:

— რატომ ჩემმა ქმარმა არ ისურვა ჩემთან და-ჩენა? ნუ თუ ვერ იგრძნო სიღამაზის ფსი? დაქორწი-ნების შემდეგ ორი დღეც აღარ უცხოვრია ჩემთან. რა-ტომ? სამსახური მომიზნება და თბილისში წამობრძანდა, დაქორწინებამდის-კი, შევიცქერა მთევარბარ უშნოთ ცხოვრებაში არ შემოდიათ. მერე სულ მიმიფრუხ... ორი წლის შემდეგ ეს წერილი?... რაღას მესძახა ნეტავი?!

ლოგანზე მიწვა, მოკანდა ის ფარული შეურაცხ-ყოფა, რაც ქმრიდან მიტოვების შემდეგ გადაიტანა სა-კუთარ სულიერი ცხოვრებაში. მერე ქორწილი და პირ-ველი ლამე ქმართან... ლოყები წამოუფითლდა. მეორე დღეს ქმარს თვალეში ვეღარ უქეკროდა. რაღაც მო-ლოდინი არ გაუძმართლდა... მესამე დღეს თბმა თითონ წაივდა სახლიდან. აღისა ისევ მოვლოდა უკეთეს ლამე-ებს... და თა, ორი წლის შემდეგ ბარათი...—ტფუ!..

— ვადაფურთხა ზოღით და დაქმუქნილი ქა-ლალი კუთხისკენ გაისროლა.

— იყო და არა არის...

მაისის ლამეები ბევრი აღამიანისთვის არის სა-ბედისწერი. თბილისის ქუჩებს რა არა ახსოვს ამ ლამე-ებთან... ვადავალეთ შავი წივინი და ყველაფერს ნახათ, რაც შესაძლებელია და რა არ არის შესაძლებელი? ამ კით-ხვაზე ბევრ რამეს გაიკონებთ საკუთარ სულიდან, როცა დაამარებულ სიმარტოვე ტანზე შემოგაგებეთ. ასეთ სიმარტოვე განცილდა თბმა მაისის უნაზეს ლამეში. და ამ დღის საიდანაღო მოესმა საიდუმლო ჩურჩული:

— იე თბმა, რას უდღი აქ მარტო ამ მაისის ლა-მეში? ხომ იცი შენთან არავინ არ მოვა... ხომ გახსოვს პირველი ლამე ცოლთან? და შემდეგ, ქუჩის ვეგრიტებთან პირველი საიდუმლო ცდები?... ეხლა შენთან არავინ არ მოვა... არავინ...

ისინი იცნობენ თომას... იცნობენ...

— მომზორი მომზორი წყველო! დაიღრიალა თომამ. ხელეში მძლავრად გაიქნია და ისევ მიწუნარდა. ოთახში არავინ არ იყო. ახელ ქერს ხუისართულიანი სიმძიმე აწებოდა. მიწაში ჩათხრილ ფანჯრებიდან ქარი ოდნე არაბედა შეგუბებულ პაერს. ქუჩებიდან ისმოდა სამაისო კრამილი, შეზარხოშებულ ცხოვრების ცხოველ ტემპით ხმაური.მალა სართულში როიალზე უკრავდენ რომანსებს. ეს უფრო აღიზიანებდა თომას. ძარღვები ეტიმებოდა, გული უთრთოდა, ყნოსის ორგანოები უფუჭ-თოვდებოდა, თავი უშმიძდებოდა და ავოდნებოდა აღი-სასთან პირველი შეხვედრა; პროვინციის პატარა ქალა-ქი, სადაც ყველანი ერთმანეთს იცნობენ. სადაც არც ქრ-თი სტუმარი არ გამოეგარებათ მიუპატეებელი, გაუქ-ნობი და გაუქლოვი. ეს ასეთ კამბანიაში გაიცნო თომამ აღისა. მოეწონა და შეუყვარდა. აღისა მასში ძალიან ბევრს ფიქრობდა გათხოვებაზე, როგორც ყველა პრი-ვინციელი ქალი. ის ეძებდა კარგ ქმარს და აი, ნახა კი-დეც. მართალია თბმა ვარცხენულად პატარა ჩია კაცი იყო, მაგრამ ტიტულებმა სულ გაავიკა აღისა, როდესაც თომამ სამსახურის ფორმულა გადაუშალა და წაუყოთხა:

1914 წ. კავკასიის ფრონტზე № დივიზიის № პოლ-კის ოფიცერი.

1915 წ. ილისი. ენციესი და ანიჯაკრაის სტრა-ტეგიულ ფრონტზე, ანას 3-მე ხარისხის ორდენი და პლდპორუქის ჩინი.

1916 წ. თებერვალი. ერზერუმის მოწინავე ფორ-ტებში: ჩიბან-დღეც-დადანიგზე ოქროს იარაღი.

1916 წ. მარტი. კიშინკუშის დაპყრობის დროს თავგანწირვისათვის, ვლადიმერის 4-ე ხარისხის ორდენი.

1916 წ. ილისი. მემსლევა უმაღლესი ბრძანებით პო-რუქის ჩინი.

1916 წ. ნოემბერი. ქალაქი ერვიზიანის აღების დროს უმაღლესი ბრძანებით მესლევა 4-ე ხარისხის წმინდა გიორგის ჯვარი.

1916 წ. დეკემბერი. ხანგრძლივ ბრძოლაში თავეა-მოჩენისათვის, შტაბსკაპიტანის ჩინი.

1917 წ. თებერვლის 6. უმაღლესი ბრძანებით კაპი-ტანის ჩინი და ანას 2-რე ხარისხის ორდენი.

1917 წ. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ, ჯარის კაცების დადგენილებით, № კორპუსისადმი ბრძანებით დაჯილდოვებულ ვიქქენ ჯარისკაცის -წმინდა გიორგის 4-ე ხარისხის ორდენით. და პლდპოლკოვნიკის ჩინით.

და ასე თბმა, სახელმწიფო აპარატის ცხრა ვადა-ტრიალების შემდეგაც კიდევ დიდხანს შერჩა მალოლ ტო-ტზე. მაგრამ ცოლის შერთვის მეორე დღიდან, თბილის-ში დაბრუნების თანავე, სრულიად უცერემონიოთ დათ-ხოვეს სამსახურიდან განსაკუთრებულ ერთგულებისათვის როგორც

- ყოფილი პორუქი,
  - ყოფილი კაპიტანი,
  - ყოფილი პლდპოლკოვნიკი.
- გაუჩიოკეს ბინა და მალა სათილიდან ჩამოასახლეს

ღაბლა...  
კიდევ  
ღაბლა...  
კიდევ  
ღაბლა...

და აი, ხუთი სართლის სიმძიმე თავზე ჩამოაწეა.  
რაა დღეს მისი სიცოცხლის ფასი?

არაფერი...

„იყო და არ არის...“

მაშ რა გსურს შენ დღეს თომა?—არაფერი... თო-  
მას დღეს არაფერი არ სურს, გარდა სიყვარულისა.  
ღიას, ძალიან სწყურია დღეს თომას თანაგრძნობით საე-  
სე თბილი გული... სიყვარული...

მაგრამ სიყვარულისთვის საჭიროა იყო მამაკაცი  
ტენიდან-ფრჩხილებამდის, ორგანიზმის ყოველი აღმას-  
რულებელი ნაწილით. თომას—კი აკლია მთავარი ძარ-  
ღვი... ის პირველ დამესვე შეაწყვდა ცოლთან...

დამძიმდა თომა დარდით.

გული ნალექით აეფსო. ღიას, თომაკ მშვიერია დღეს,  
მშვიერი სულიერად და გამოფიტული ხორციელად. ახალ-  
გაზღობის საუკეთაოსო წლები ფრონტს შეაღია.

მოაგონდა თომას, როგორ წყურვილით ვაჭყურებდა  
მამის მტრის პანაკს... მზათ იყო ერთი დაცვითი ვაგს-  
რისა ათასი სიცოცხლე, ოღონდ ერთი თავისთვის მოეპო-  
ებია დიდება და პატივი. რა უფრო აინტერესებდა მა-  
შინ თომას? სახელმწიფო თუ მისი „მე“?

— ორივე ერთად შეედლებული... დღეს ის კანო-  
ნის გარეშე სდგას ყოველი მხრიდან...

— ალისა, ძვირფასო მეუღლე!.. მინდოდა.. მე  
მინდოდა...

აკანკალებული წამოიძახა თომამ და ლოგინზე  
ჩაემბო.

გარედ მაისის სიმფონიური ღამე აეღერება თბი-  
ლისის ქუჩებს.

რამოდენიმე საათის შემდეგ თომამ ლოგინიდან  
თავი წამოყო, თვალები მოიფშვინტა, სასტუმალთან ხე-  
ლი მოაკეცა და შევი აინთო.

— ოჰ, რა იყო ეს სიმპირი?.. ისე ნაზი, ისე სურ-  
ნელოვანი, როგორც ალისას თეთრი მკლავები. ნუ თუ  
დამიბრურდება მე ის...

თომას ოდესღაც წაუთიხთხას პლატონიურ სიყვარულზე მთელი რომანი. მაშინ სისულელედ მიაჩნდა ასეთ  
სიყვარულზე ფიქრი, მაგრამ ეხლა სტრუქიონებიც კი მოი-  
გონა. დაჯდა და გადასწყვიტა მისწეროს ალისას წერი-  
ლი. გაუმზილოს, რისთვისაც დამორდა ამდენხანს, რომ  
უმისობა ასე აწამებს თომას... რომ მას ისევე უყვარს  
ალისა, უყვარს ათასჯერ უფრო ვაგიყვებით. მაგრამ თო-  
მას მარტო სული აქვს, მარტო... ჩინი, ორდენი, დიდე-  
ბა, პატივი, სამსახური... და უმთავრესად, რაც საჭიროა  
სიყვარულისათვის... ყველაფერი დაჰკარგა თომამ. რე-  
ვიოლიუციის გრივალე მის ზურგზე გადიარა. მას ესაჭი-  
როება ეხლა მეგობარი, რომელიც სასვენით გაიზიარებს  
მისი სულის წამებას. აიღო თომამ კალამი და აჩუქებული  
გრინობით დაიწყო:

— ალისა ძვირფასო მეუღლე,

დამიბრუნდი, გვევდრები, დამიბრუნდი...

მე მინდა სიყვარული... მე მინდა შენი სული... სული...

ისე ნაზი, ისე ფაქიზი, როგორც იყო ჩვენი

პირველი შეხედრა პრიონციის მუდღერო არეში.

წამებული თომა.

ვად დაითხა რამოდენიმეჯერ, აკოცა, ჩაუღა კონ-  
ცერტში და ხელის კანკალით დააწურა მისამართი;

ფიფილისის №1 ოთახი.

კარი გამოკეტა და ფეხჩაბრა გაეშურა საფოსტო  
ყუთისაკენ.

(გაგრძელება იქნება)

ლილია მეგრალიძე

# პ რ ო ლ ე ბ ა რ უ ლ ი კ უ ლ ტ უ რ ა

## ს რ უ ლ ი ა დ სა ა ა ვ შ ი რ ო პ რ ო ლ ე ბ ა რ უ ლ მ ფ ი რ ა ლ თ ა პ ო ნ - ფ ი რ . ნ ს ი ა .

ღემიან ბედნის ნიბაჟა

(დასასრული)

წიგნის ავტორი არის პრადუხინი ჩამომავლობით  
პრადუხინის ნაწარმოებზე კოლხაკ-ესერების ჯიშის არის  
ის მავალითად ამბობს: ჩემზე „თქვენთან ერთად“ არ  
მოქმედობს ღემიან ბედნის ლექსები და თუ ვის ააღელ-  
ვებს ის პრადუხინი ასე ხსნის: ის ააღელვებს ფართო  
მუშურ გლეხურ მასას, რომელიც პირველად ეწვეება

კულტურას, საუბედროთო ყველა პრადუხინების ეს მარ-  
ტლაც ასეთა. თუმცა მე ვწერ ამ კრიტიკოსის რწმუნე-  
ბით ვადაუპარებელ სიღამაზით, მაგრამ ამ ფრობილათ  
თქმულ სიტყვაში ნათლად სჩანს, ის რომ მას სურდათ-  
ქვა „ვადაუპარებელ უღამაზოთ“. (სიცილი).

არისთვის მკირდება ლაბარაკი ამ წვრილმანებზე? მე მსურს თქვენ რომ ეპყრობოდეთ მათ მეტი სიამაყით ვინაიან დაიშახლურეს ასეთი.

თქვენ უნდა აღეშრებოდით იყოთ პროლეტარული სიამაყით, თქვენ უნდა გიყვარდეთ საკუთარი შრომა და იყოთ დარწმუნებული, რომ აკეთებთ დიად საქმეს, მიუხედავად იმისა, რომ ათასი ძველი ლიტერატურული მე ჩინარდენით თქვენს მუშაობას სთვლიან უნაყოფოთ, და ძველი ლიტერატურის გზის გასაწმენდათ. მართლაც და სწმენდით ძველი გზა, სწორედ ასეთია თქვენი მოვალეობა, რომელსაც ეწეება დიდი ისტორიული კულტურული მნიშვნელობა. საბჭოთა სინანდელივე წარმოუდგენელია პროლეტარ მწერალთა გარეშე. იმ კლასმა, რომელმაც შექმნა დიდი რევოლუციუა შეუძლებელია მუწაჯათ დარჩეს. არიან, თუმცა არა პირველი ხარისხისა. ჯერ-ჯერობით ესეც საკმარისია, ჩვენ გვყავს რამოდენიმე ათი ათასი მუშკორი და სოფლკორი, ეს დიდი მიზარაგებაა საიდანაც უნდა ამოიწყოთ ლიტერატურული ძალეები, ჩვენ კომუნისტებმ ვცდილობთ გავხსნათ კარები სოფლებში, სადაც ერთი მხრივ დგას სოფლკორი, მეორე მხრივ კი უფიცი სოფლის ძალები, რომელთაც ძლიერ აწინებს სოფლკორის კბილები. ისინი ჩვენთან უნდა იყონ მუდამ და ამგებოდენ გაერთიანებულ ფორნტს (ხმები ავაცილიან) ისინი აქ არიან... (ორატორი). ძლიერ კარგი. ზოგიერთი სოფლკორი ძლივ სწერს, მაგრამ ძლიერ მახვილად სცემს ლაბარას!..

ჩვენი ძალა ერთივე ტალანტში კი არ არის არამედ მათი შოლიან გაერთიანებაში, ეს მეტრძოლი ლიტერატურული კოლექტივი უნდა შეადგინოთ თქვენი. თქვენ ხართ საფუძვლის ჩამყვანი, უნდა ააშენოთ ნამდვილი პროლეტარული ხელოვნების ტაძარი. თქვენ ეს უნდა გრწამდეთ რომანო წინააღმდეგ შემთხვევაში არ უნდა შეკრებილიყავით აქ. ასეთი რწმენის უქონლობა დაეტყო ამსტრუქის მაგ. მისი „ლიტერატურა და რევოლუციუიაში ან არა და „ოქტომბრის ვაკეცილებში“ მე ვლაპარაკობდი ამ კარებზე სოფლებში საიდანას ისმის ხმა, და სწორედ ამ ხმას უნდა მოსმენა და ვაგებთ. მახსოვს ამ თემებზე ვესაუბრებოდი ამხ. სტალინს რომელმაც თავის საღი გონებით შემდეგი მსჯელობა იქონია: „ყველაზე საფრთხილობელია, როდესაც ისმის ჩურჩული, უნდა დროზე იყოს გაგებული თუ რაზე ჩურჩულენენ“ ეს არის უმთავრესი. ჩურჩული არის უმძიმდობის ნაყოფი, მას შეუძლია მიიღოს მძლიერი პროტესტის ხასიათი, და ჩამოყალიბდეს დამღუპველ ფორმებში. ეს ყოველივე დაუტოვოთ ლიტერატურულ ესთეტებს, რომლებიც არიან მისი მოყ-

ვარულინი. ნუ აქცევთ ყურადღებას კოორებს; რომელნიც ასე ძლიერია მოსკოვში.

მაგრამ ხახის ჩურჩულს ყურადღებით მოეპყარიო, ჩვენ უნდა ვიყოდეს თუ რაზე ფიქრობს მოხუცი—სოფელში უძილო დამებებში. ეს საგულისხმეოა საკითხია. განია; სოფკორებს ესმის ყოველივე, მხოლოდ ჩვენ არ გვესმის სოფკორებში, მხოლოდ მაშინ შეკრებებით როდესაც ვაგვიგონებთ თავზარდამცემ ხმას, რომლის მსხვერპლად დაეცემა სოფკორი, ეს მეტად ძლიერი და ძვირფასი სიგნალიზაციაა. თქვენ უნდა ქონდეთ, სასამოგნო გამოთქმა, რომელიც მუშურ გლეხურ გულს სიღრმეში წვედობდეს— ისე უნდა „დამღერდეს“ რომ თქვენ წინაშე გაიდაშალოს მუშის გული. ამ „სიმღერის“ საიდუმლოებს უბასუხებს ამოსავლური ლეგენდა. თუ როგორ ვაგებავრენ სიმღერის შესასწავლად ყანამ და ბულბულმა. ამპარჯავან ყანას თავის დანჭარებით არაფერი შეუწავლია უფირო ლაკლაქის მეტი, მხოლოდ დინჯმა ბულბულმა მოთმინებით შეუდგა საქმეს და მაიღწია დანიწულ მიზანს. და თქვენი ამხანაგებო ჩაწვიდით გულისხმას. ხალხი თვით არის დიადი შემოქმედი. თვით არის გამომსახველი თავის ფიქრების. მიუხალოდით მათ, პაკეცივებით შეისმინეთ მათი გულისთქმა, და მხოლოდ მაშინ დაიშახლურეთ ხალხის სიყველე და მადლობას. გულგრილიათ არ შეხვდით ხალხურ შემოქმედებას, ის როგორც ესთევი გენიალურია. აი თანამედროვე მაგალითი; იმავე აღმოსავლეთში ლენინის სახელი შეიქმნა ლეგენდარული და გადაიქცა ხალხურ სიმღერათ, რომლის სანიმუშოთ ჩაითვლება ამას წინად ჩვენ მიერ წაკითხული ნაწყვეტი ერთ ერთ ვოლანს მხრის ვაზთილი. სადაც კითხვა პასუხის სახით ორი მომეტეოთ ერთი ეკითხება მეორეს: მართალია, რომ სინანელში მყოფ მშიერ მწყურვალ ხალხს ამოუბრწყინდა მზეთა მზე ლენინი, რომელმაც მისცა ხალხს პირი. და თვისი უფლება? და მართალია რომ ის არც მოეკვდარა და არც მოკვდება არასოდეს? მართალია უბასუხებს. განა ეს უდიდესი ნიმუში არ არის ლენინზე ლექსთა წყობისა, ლექსი რომლის მსგავსი არც ერთ ჩვენგანს არ დაუწერიოა. ჩვენ ვიბძობთ ლენინისმისათვის, რომელსაც არა მარტო პოლიტიკური არამედ მხატვრული გამოთქმელი უნდა ყავდეს. შემპირუწუნებელ შეკითხვაზე ახლად განათვისიულ ბული მონაც მართალია, რომ ლენინი არასოდეს არ მოეკვდარა და არც მოკვდება? დამეჯიოთებით და დარწმუნებით უნდა უბასუხოთ: მართალია. კითხვაზე გვექმს თუ არა პროლეტარატის დეკატურა? უბასუხებთ— გააქმს იზრდება, ვითარდება და იმარჯვებს ლენინის აღიქმების განიორკელებით.

საზოგადოებრივ ადამიანს ლამაზი შეიძლება ეჩვენოს მსოფლოდ ის, რაც მისთვის სასარკებლოა.

8. კლახანოვი.

# გუშათა კლასი და ხელოვნება

## კომუნარების განსამართლებათვის უარტლეს თეატრში

სკენაზე ძველი სასახლის პავილიონი. სიღრმეში, კედლის წინ ნაგონა, რომლის გარშემო სხედან მოსამართლენი. მათ ახლოს, ხანძრ შესული კაცი სერთუქში, ცილინდრით და ორდენით გულზე. კარები მარჯვნივ და მარცხნივ. მარჯვნივ კარებთან ზის პოლიციელი თოვით ხელში, წელზე რევოლვერი კიდაი. ქედზე სამფეროვანი ლენტი. მარცხნივ კარებთან—ოთხი სალდათი ვერსალელების ჯარიდან.

ვაბრი, ბუშერი, სელმო, ხანში შესული ორდენით მღელღელი, სერკანტი:

ვაბრი.—მათ არაფერი არ აღუვლებთ. თავი თამაშით უქირაეთ. ხშირად იღანძვებიან. ნამდვილი კატორღელები არიან. სამაგიეროდ ჩვენც ულაპარაკოთ ვაგზავნით „ბრიგადაში“.

მარკიო.—„ბრიგადა“ რას ნიშნავს, ბატონო ვაბრ? (სელმო და მუშები იღიმებიან).

ვაბრი.—„ბრიგადიდან“ ძნელია დაბრუნება. ამის შესახებ დაწვრილებით ცნობას მოგაწვდისთ ჩვენი პატივემულო, კაცთმოყვარე და სათნოებით სასვე მამა კიურე. იგი მიაცილებს ხოლმე ძაღლებს „ბრიგადის“ კარებამდე.

სელმო.—მამა კიურე დახმარებას უწყევს იმ ლორებს გაიხსენონ სახარების ყაჩაღები.

მარკიო.—თქვენ რას იტყვით, ბატონო კიურე, ინანიებენ თუ არა შეცდომას?

კიურე.—ისინი იმდენათ ბებრნი არიან, რომ მე ვერ ვაწერებ სათითაოდ ყველას აღსარება ვათქმევინო. ვერ ვასწრებ. პირიქით! დიდი უმრავლესობა, თითქმის ყველანი, ისეთი ჯიუტები არიან, რომ ხშირად ჩემს ლოკკაუბრთხევის ზიზლითა და ფურთხით უპასუხებენ.

ბუშერი.—სამითასზე მეტი ბანდიტი გააიკლა ბატონმა კიურემ „ბრიგადის“ კარებამდე. რა თქმა უნდა მოსაწყენია, მაგრამ ეკლესიის მსახურს არ შეუძლია უარი სთქვას კეთილ საქმეზე.

ვაბრი.—თუ გვიბრძანებთ განუგარძობთ საქმეს. საუბრისთვის შეეწყვიტეთ მხოლოდ. როგორ გამოატანეთ ხალხში ბატონო მარკიო?

მარკიო.—მართლაც მეტად ძნელი იყო ამ უამრავ ხალხში გამოვლა. ამ წუთში ხალხი გაჩუმებულია, თხუთმეტი წოთის წინად კი...

ვაბრი.—ჩვენ კარგად გვესმის მათი აღშოთება. ხალხის სამართლიანი გულისწყრომა გვიკარნახებს განაჩენის გამოტანას.

მარკიო.—მე რომ მოვიდიდი სწორედ იმ დროს გამოატარეს ტუსანი. ხალხის აღშოთებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ხედავდნენ მათ მდინელურ სახეებს. ქაღებიც მზად იყვნენ ქოლგებით ჩაეჭოლათ ის საზიზიარნი. ძლიერ შეაჩერეს დარაჯებმა აღშოთებული ხალხი.

ვაბრი.—სერკანტი შემოიყვანეთ რიგ-რიგობით. სერკანტი.—მესმის ბატონო პოლკოვნიკო (გადის).

(მსაჯული დასდებიან. მათ ახლოს დაჯდება ხანში შესული ორდენით. სკენის გარედან სანამ ტუსალებს შემოიყვანენ, ისმის ბრბოს ყვირილი. ხმაურობაში აშკარად ისმის „სიკვდილი!“ ამ სიტყვას ყველანი ერთად იძახიან როგორც გაყვრილი გუნდი).

მარკიო.—სად ხერცხვად დასჯილთ, პოლკოვნიკო?

ვაბრი.—მნი სელმეი ესლა იქიდან მოვიდა. პორუჩიკო, მოასმენ ბნ მარკიუს დახერტის პროცედურა.

სელმო.—ლომოს ყაზარმის პატარა ეზოში ვხერცხვად, ბნო მარკიო. ეზო დახერტულია. შვი შვერეკეთ ხოლმე. კარებში კი მამა კიურე ლოკეს მათ. თქმედ ეზოში შეყვებოდა ხოლმე მამა კიურე, მაგრამ რადანაც ეზო მეტად ტალახანია და ბატონ კიურეც სურდო აწუხებს, ესლა მხოლოდ კარებამდე მიაცილებს ხოლმე.

მარკიო.—შემდეგ, შემდეგ, ბნო პორუჩიკო, ეს მეტად საინტერესოა.

სელმო.—როდესაც საკმაო რიცხის მოვაროვებთ ეზოში—მაშინ მიუშვებთ სანადიროთ გამოცდელ სალდათებს. სალდათები ესკრიან თოფებს კარებდან. დაბრბან ეზოში, მაგრამ ტყეიას აბა როგორ დამაღლებიან.

(კარები გაიღება—ბრბოს ღრიალი შესწყვეტს ხოლმე ლაპარაკს. შემოდის ბაალი. ამჟამად გადახედავს მოსამართლეთ. დალოლი, მოქანცული სახე ვამაყებულა თოფის წაპლით).

ვაბრი.—ახლის მოდი, თქვენი სახელი?

ბაალი.—ბაალი.

ვაბრი.—ხელობა?

ბაალი.—მეტყუებ.

ვაბრი.—მაჩვენეთ ხელები. (ბაალი აჩვენებს) წაიყვანეთ „ბრიგადაში“. (ბაალის მიიყვანენ კედლთან



იოკებ თარალაშვილი

სამტრედიის რეინის გზის თეატრის ხელმძღვანელი

მარჯვნივ). შემოიყვანეთ შემდეგი! (შემოდის ფორმე) თქვენს სახელი?

ფორმე.—ფორმე.

ვაბრი.—ხელობა?

ფორმე.—ხელთათმანების მკერაფი.

ვაბრი.—მაჩვენეთ ხელები. (ფორმე ამაყად აჩვენებს ხელებს თითქოს ეუბნება — „ამ ხელებმა ბევრი იმუშავა კომმუნისათვის“).

ვაბრი.—(ისტერიული ყვირილით) „ბრიგადაში“ „ბრიგადაში“! შემოიყვანეთ შემდეგი! (შემოდის ვალენი)

ფორმე.—(მივა მაგიდისთან. ორივენი ზიზღით უყურებენ მსაჯულებს). როდესაც იმ ბრბოში გამომატარეს, ერთმა ქალმა პუდრით შეისუბნილმა, კინაღამ თვალში ქოლვა ჩამარტყა.

ბაალი.—კიბის საფეხურზე, მაღლა, ერთი ბებერი არის-ტუკრატი იდგა-კლიობდა როგორც მოეფორთხებია ჩემსკენ. სანამ ის ამას მოახერხებდა დავასწარი და შიგ თვალვში მივაფურთხე. დაიწყო ყვირილი და გინება.

ფორმე.—ამ პირუტყვთა ბრბო მინახავს მხოლოდ ლოკებში დიდის დროს. იქ არ ყვიროდენ. მარჯვენა ყურში აღარა მგმის რა მათი ყვირილის გამო.

ბაალი.—საზიზღრები!

ვაბრი.—(ვალენს, რომელიც შეშინებული იყურება აქეთ-იქეთ). ახლოს... ახლოს მოდი! თქვენი სახელი?

ვალენი.—ვალენი, თუთუნის მალაზიის პატრონი.

ვაბრი.—რაში გდებენ ბრალს?

ვალენი.—ბნო პოლკოვნიკო, გარწმუნებთ მე არაფერში, დამნაშავე არა ვარ. მეზობლის სახლში ცეცხლს ვაჭობდი, ვეხმარებოდი.

ვაბრი.—ეხმარებოდით. ვინ დაგატუსაღათ?

ვალენი.—მე დამატუსაღეს ორმა სულდათმა და ოფიცერმა, მე მათ ვეუბნებოდი, რომ დამნაშავე არა ვარ მეტყვი. არ გამოიგონეს—სამართალში ვიარჩევნი. მე იმედი მაქვს ბნო პოლკოვნიკო ეს გაუგებრობა გამოირაკვევა.

ვაბრი.—სამწუხაროდ ის სალდათები ამჟამად აქ არ არიან. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ აშკარა სიცრუეს ამბობთ, საჭირო რომ იყოს ოფიცერი სალდათებს გამოგზავნიდა, როგორც მოწმეებს... სხვის რას იტყვით?

ვალენი.—ბნო პოლკოვნიკო, მე თქვენ გარწმუნებთ, გარწმუნებთ, რომ... დავკითხეთ ჩემს მეზობელს... გამოუძახეთ ბნ ვანტრეტს...

ვაბრი.—ძალიან კარგი. ესენი შეთქმულთა მონაწილენი არიან არა!?. შემდეგ? კიდევ ვინ არიან? (ვალენი შეშინებული უკან დაიხიბა) თქვენ ძალიან ვაეხართ ცეცხლის წამკიდებელ ბანდიტს—ჩვენთვის ესეც საკმარისია. „ბრიგადაში“, შემოიყვანეთ შემდეგი! (ვალენი შეშინებული მოეშვება. სერკანტი მიიყვანს კვლელთან სკამზე. შემოდის დიუფურა).

ვაბრი.— თქვენი სახელი?

დიუფურა.—(გაბრაზებული) შენ გინდა, ჯალათო, იცოდევ ჩემი სახელი? მე დიუფურას მემძახიან. მე მარტო დღერი ისის სიმავრეზე, მხოლოდ იმიტომ რომ რამ ანუფეთქებია იგი, როდესაც იქ ბებერი ძაღლის, კუხიანი ტერისი ხალხის მოვიდოდნენ. შემდეგ კი სიმავრე თვითონ თქვენ მოსპვით, მკვლელეობ!

ვაბრი.—(ყვირის) „ბრიგადაში!“ ბანდიტი! იქ გასწავლიან ჭკუას! (ორი ჯარისკაცი მოაშორებენ დიუფურას და დააყენებენ კვლელთან).

დიუფურა.— გაუმჯაროს კომმუნას! ძირს საზიზღრები!

ბაალი და ფორმე.— გაუმჯაროს კომმუნას! გაუმჯაროს ახალ კაცობრიობას!

ვაბრი.—(მარკოს) თქვენმა აქ ყოფნამ დაიხსნა ეგ ძაღლები, თორემ აქვე გაუსწორდებოდით. თუმცა „ბრიგადაც“—ეყოფა. რა პირუტყვები არიან! შემოიყვანეთ! (შემოდის მალსაკი). ეტყობა რაც შეიღო! „ბრიგადაში!“ შემდეგი! (შემოდის მუადენი): თქვენი სახელი?

მუადენი.—მე ექიმო ტონი მუადენი ვარ.

ვაბრი.—თქვენ შესაებ აქ შემოტანილია ქალაღლი. იცით თუ არა მისი შინაარსი?

მუადენი.—დაიხ, ვიცო. ეს ქალაღლი ერთმა ექიმმა გადმოუტანა, რომელიც ჩვენ უბანში ცხოვრობს.

ვაბრი.—იცო თუ არა თქვენ რა სასჯელი მოგლის მის ვინც იარაღით ხელში მთავრობის წინააღმდეგ ილაშქრებს, განსაკუთრებით ისეთ ხალხს, როცა მელსაც დიდი ადგილი უკავია?



ვასო კობეჯი

ტფილისის საქონლის სადგურის მტვირთავ მუშების დრამფურის ხელმძღვანელი

**მუალენი.**—(ნელის ხმით დამშვიდებული). მე არასოდეს არ მკაცვებია დიდი ადგილი, მე მხოლოდ ბათალიონის ექიმი ვიყავი ჩვენს უბანში. მე ჩემს საექიმო იარაღების თრეჯიასკ ვერ ვახერხებდი და აბა თოფისა და ხმლისათვის სად მეცალა.

**ვაზი.**—თქვენ საექიმო დახმარებას უწევდით მათ ვინც კომუნარებს ეხმარებოდა.

**მუალენი.**—მე ერთნაირ დახმარებას უწევდი ყველა დაჭრილებს.

**ვაზი.**—18 მარტს თქვენ დაიკავეთ ქალაქის თვითმართველობა მე-6 ოლქში და მას შემდეგ ყოველგვარ დახმარებას უწევდით კომუნებს.

**მუალენი.**—მთავრობის გადადგომის შემდეგ მე დამნიშნეს მეექვსე ოლქის უფროსის თანამდებობის მოადგილედ. ეს თანამდებობა მე მეჭირა მხოლოდ რამოდენიმე დღეს, რაც შეეხება ჩემს რწმუნას კომუნის შესახებ, თქვენი შეხედულება არ არის სწორი. (იბნევა ლაპარაკის დროს: თითქოს თავის თავს ელაპარაკება). დაბ... კომუნებმა ბევრი შეცდომა ჩაიდინა... იგი სწორ ვახს ასცილდა... სულ სხვაგვარი მოქმედება იყო საჭირო. (უცბად ხმა მძლავრ): მათ ვერ გადასჭრეს რამოდენიმე საკითხები. (გარკვევით) მე ვიკავ საერთაშორისო რესპუბლიკას და ხალხთა თანასწორობას.

**ვაზი.**—თქვენი გამოთქმული ასრები აღსტურებენ იმ წერილის შინაარსს, რომელიც ჩვენ მივიღეთ. თუმცა თქვენი სახელიც საკმაოდია. თქვენ ერთ ერთი ბელადთაგანი ხართ სოციალიზ-

მისა და მამასადამე სამიში ელემენტი. ასეთი ხალხისაგან რაც ჩქარა გავთავისუფლებდით მით უკეთესი. გაქვთ თუ არა კიდევ სათქმელი?

**მუალენი.**—(თავს იქნევს).

**ვაზი.**—ბნო მუალენ, თქვენ დახვრეტა გაქვთ გადაწყვეტილი.

**მუალენი.**—(პაუზის შემდეგ): მოწყალო ხელმწიფე! მე შრეგია ამხანაგი... ქალი. სიკვდილის წინ მე მინდა ჩვენი კავშირი დაქანონდეს. ის ქალი ეხლა აქ არის.

**ვაზი.**—(თავს იქნევს, შემდეგ უცბად), დამისახელო ინტერნაციონალის წევრები.

**მუალენი.**—მე მათ არ ვიცნობ და რომ ვიცნობდე მაინც არ დავასახელებ.

**ვაზი.**—(გაბრაზებული მისჩვენებია. პაუზის შემდეგ): კაბრი... ნახევარი საათის შემდეგ აქ ქალაქის მერი მოვა... სათნაზებრის შემდეგ კი დაგხვრეტენ. სერკანტ, შემოუშვით ქალი ექიმთან. (მუალენი აღშოთებულა ვაზრის კილოთი, მაგრამ თავს იკავებს. შემოდის მუალენის ცოლი. მისჩვენებია ვაზრს. მუალენი გაუწვიდის ხელს. ცოლი მიხვდება ყველაფერს, ცრემლებს იკავებს, დაიხოკებს და კონის მუალენის ხელს. კომუნარები თანაგრძობით შეხვდებიან, მსაჯულნი კი დაცინვით უუარებენ ამ სცენას. მუალენი ადრე მოვა გონს—შემდეგ ცოლიც გამოერკვევა. გადახედავს ვაზრს).

**კიურე.**—მე მინდა ექიმი დავარწმუნოთ, რომ თქვენთვის კავშირი დღერთის წინაშეც კანონიერი იყოს.

**მუალენი.**—ჩემთვის ეს საჭირო არ არის.

**ცოლი.**—ბნო პოლკოვნიკო, მომეკით ნება ერთი რამ გითხრათ. მე უნდა... მომეკით ნება ჩემი ქმრის დაუსწრებლად გთხოვოთ. ეს მეტად სასწრაფოა, საჭიროა, ბნო პოლკოვნიკო. (მუალენი მისჩვენებია ცოლს და მწუხარებით იღიმება):

**ვაზი.**—წაიყვანეთ ექიმი „ბრიგადის“ ცალკე განყოფილებაში. (გაიყვანენ). რა გნებავთ?

**ცოლი.** გთხოვთ სიკვდილის შემდეგ დამითმოთ ჩემი ქმრის სხეული. და კიდევ ესროლოთ ტანზე თავში ნუ ესვრით.

**ვაზი.**—კარგი თქვენ ქმრის თავს არ დავამახინჯებთ.

**ცოლი.**—(ძლივს-ძლივით) გმადლობთ.

**ვაზი.**—გაიყვანეთ მობრტ განყოფილებაში. (გაყავთ მუალენის ცოლი): პროჩიკო თქვენ გველალოთ რომ ექიმ მუალენს სახეში მოხვდეს მხოლოდ ათი ტყვია. სხეულს კი თვითონ შენ მისცემ ცოლს, თუ მოყვარული ხართ დრამატული ეფექტებისა. (მარკიზს) ექიმს სურდა თავისი ქონება საყვარლისათვის დატოვებია. (სერკანტს), შემდეგი! (შემოყავთ ფორესტიე). თქვენი სახელი?

ფორესტიე. ფორესტიე ბ-ნი პოლკოვნიკო. მე შემთხვევით დავატყვი ქუჩაში გავლის დროს. მე არა დამიშავებია რა.

ვაზრი.— ყველა მშვიდობიანი მოქალაქენი ისხდნენ თავიანთ სახლებში ან სარდაფებში იყვნენ მიმალულნი. ხელები მაჩვენებთ. (აჩვენებს ხელებს. მსაჯულნი სინჯავენ). სტრუბო! ხელის გულზე მოსჩანს რომ სტრუბოა! „ბრიგადაში“.

ფორესტიე. ბ-ნი პოლკოვნიკო!

ვაზრი.— ჩვენ ბევრი ლაპარაკის დრო არა გვაქვს. სასამართლოს ყველაფერი დაწერილობით მოვსენს. სენება. შემდეგი. (შემოყავთ ლევიკ). თქვენი სახელი?

ლევიკ.— ლევიკ.

ვაზრი.— ხელები მაჩვენებთ. (აჩვენებს). „ბრიგადაში“, შემდეგი! (შემოყავთ ბალიტუ) თქვენი სახელი?

ბალიტუ.— ბალიტუ.

(ფარდა ნელ-ნელა ეშვება)

ვაზრი.— ხელობა?

ბალიტუ.— ლითონზე მომუშავე.

ვაზრი.— ხელები მაჩვენებთ... „ბრიგადაში“ შემდეგი.

(უ ა რ ღ ა)

### ჩემი სიყვარული

შენს ღრმა თვალებში ცეცხლი ანთა და შინი მზერა შოლტა რისხვის, შენ მძლე ხელებით თვით ქმნი განთიადს და კარგად იცი, რომ ბრძოლა გიხსნის.

ო! მინდა შენთან ერთად ვადილო ფოლადის ხება ბრძოლის არია. მწამს შენი სიტყვა რწმუნაა თითონ, შენი თვალები კი ისარია.

მსურს გავახიო ჩემს აშლილ თმაში და სიყვარული მოვიძიო მუშის, ცეცხლის ენებზე მიხდა თამაში, მსუს-დავაძსტორი ქვეყანა შუშის.

მსურს ჩემში ერთოს გრძობა ძლიერი როს ეკ თვალები აითიბიან და მსურს ეკ ლექსიც მუსიკალური მარტო შენ ვიძიო მძლავრ კუნთებიანს.

მე მინდა შენთან ერთად ვადილო კომუნა, ბრძოლა, ბრძოლის არია მწამს შენი სიტყვა რწმუნაა თითონ, შენი თვალები კი ისარია.

მუშკორი თაზარ კობახიძე

## მე ჰდავთა კრუშვი.

შაბათს, 28 თებერვალს, მბეჭდავთა კლუბში ამავე დარგის მუშა-სტენისმოყვარეთა მიერ, საჭველმოქმედო მიზნით, წარმოდგენილი იქნა ბოხუას პიესა— „მძის მკვლელო“, რომელმაც შედარებით აქ გამართულ დანარჩენ ქართულ წარმოდგენებთან, კარგი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე საზოგადოებაზე. კარგი იყო ე. ჯავახიშვილი ალექსანდრეს როლში, (მძის მკვლელი) რომელსაც ეტყობა უტყველი ნიჭი სასცენო ასპარეზზე. ფერ-მკრთალად ასრულებდა თავის საპასუხისმგებლო როლს— შ. რამი-შვილი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მომავალში მისიგანაც შეიძლება დადგეს ნიჭიერი სცენის-მოყვარე. მოხუცი გიორგის როლს ასრულებდა ახალგაზრდა სცენის-მოყვარე, გიორგაძე, რომელმაც ღირსეულად შეასრულა თავისი დაქირებული მოვალეობა. კარგი იყო აგრეთვე ა. გე-ჯაძე— მაჰსიმეს როლში. სოფიელას როლს ასრულებდა პატარა ქალი— ანიკო ჟურდანი, რომელმაც მოხდენილათ ითამაშა. დანარჩენები— ანსაბლს ხელს უწყობდნენ.

საკურობა, ხშირად იღვმემოდეს ჩვენს კლუბში ქართული წარმოდგენები.

მუშკორი მოხვევა.

## ქართულ ფართულ ჯარში

თებერვლის 23—წითელი არმიის 7. წლის თავი და თებ 25 საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავი ქართულ 1 და 2 მსროლულ დივიზიების ნაწილებში ღირსეულად და დიდის აღფრთოვანებით იქნება ჩატარებული. ამ დღეებისათვის წინა დღეებშივე გალაშქრდა და მორითო ყაზარმები, კლუბები, ლენინის კუთხეები— ამ დღეთა შესაფერი ლოზუნგებით, პლაკატებით, რეველიუციის ბელადების სურ. თებით, ბიუსტებით და გირლიანდებით.

ამუშავედენ ყველა წრეები. გამოშვებულ იქნა საზეიმო ნომრები კელის გაზეთებისა. მოეწყო საზეიმო კრებები, მოხსენებებით. კლუბებში მოეწყო საღამო-წარმოდგენები ამ დღისათვის საგანგებოდ დაწერილ პიესა— ინსცენიროვებით.

ნაწილების მთელი შემადგენლობის გარდა ესწრებოდენ აგრეთვე მუშები სხვა და სხვა ქარხნიებიდან— მოლოცებით, პიონერები, პარტკოლები, ახალგაზრდა ლენინელთა წარმომადგენლები და სხვა.

ამ ზეიმზე ჩვენმა კლუბებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თავიანთი მომზადება ჩვენში ნორჩი წითელი ლაშქრის აღზრდის საქმეში.

ქართველმა დივიზიებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს თავიანთი ფიცი, საბჭოთა ხელისუფლების საფუძვლებზე ფიზილად დგომის.

მხვერაგი.

# პ რ ო ლ ი ნ ს უ

## სამბრედიის თეატრი.

ამ ეპოქაში სამბრედიის თეატრის თეატრის: ერთი რკ. გზის, ხოლო მეორე ქალაქის პროფესიონალების. მიმდინარე სეზონში, ორივე თეატრებში მუშაობდა კლასიკური დასი, ხოლო მათი შრომა ვერ იყო ნაყოფიერი, როგორც დღეს არის. ორივე დასი შეერთდა და წარმოადგინა სისტემატიურად იმართება. დასში თითქმის ყველა რჩეული ძალებია. მათ შორის სამი მსახიობი, დანარჩენები—კი სცენის მოყვარეები. ესენი არიან. ანა არჯენინიძე, იოსებ თარაღაშვილი (რეჟისორი) ზაქარა ურუშაძე (რეჟისორი) ალ. კორძია. ლევან ბუაძე, ზინა და ლოლა ტრონიძეები, მარო მიქელაძე, თევზაძე, შენგელია, ხუჭუა, შვებაცაბია, დავით სტურუა და სხვები. ჯერჯერობით წარმოდგენები მარტო რკინის გზის კლუბში იმართება, ავტო: ევ სხენებული დასი მოკლე ხანებში ქალაქის თეატრშიც დაიწყებს მუშაობას. დადგმულია შეერთების შემდეგ: ორი ობოლი, სურამი ციხე, რევოლუციის მოლოდინში და ძველი დროის ბიუროკრატები. უკანასკნელად დაიდგა „ძველი ბიუროკრატები“ კვირას 1 მარტს. პიესა სამ მოქმედებად. სიუჟეტი აღებულია ძველი დროის ბიუროკრატების ცხოვრებიდან: ბიუროკრატ ქალის როლი კარგად შესასრულა მარო მიქელაძემ: სტუდენტის როლში კარგი იყო იოსებ თარაღაშვილი. გენერალ სიკოს თმა და წვერი ერთმანეთს ვერ ეგუებოდა. თამაშის მხრივ სიკო - კი უნდა იყო. კარგად შესასრულა ანდუჟაფარის როლი ანტონ მამავიშვილმა. დანარჩენებიც პიესის მსვლელობას ხელს უწყობდნენ. ხოლო აღსანიშნავია მესამე მოქმედების დროს მოკარნახის ხმა მაღლა დაბარაკი, რომელიც პიესის მსვლელობას ელფერს უქარგავდა.

ხელკორი: ან. მომუშორია.

## სათეატრო მუშაობა ჩვენში

(წერილი სენაკიდან)

მუშაობა და გლეხთა გათვითცნობიერების საქმეში თეატრი გააკეთებს ორ წილად და სამ წილად მეტს, ვინემ დიუენი წიგნებისა, რომელთაც უმარავეს შემთხვევაში ვერ კითხულობს ჯერ კიდევ წერა-კითხვის უცოდინარი ფართე მასა.

გამოდიდება თეატრალურ მუშაობის, ჩანბა ფართე მასის მიმუშაობაში, დაახლოება მასსათან—აი რა უნდა ახასიათებდეს ჩვენს თეატრს და მით უმეტეს პროვინციის თეატრს.

პროვინცია გლეხურია... გლეხური მასა კი მუშაობა კლასის მოკავშირეა...

მასადაც, მს დაემაყოფილებს მუშური თეატრი, მუშური წარმოდგენები, მუშური შინაარსის პიესები.

სამუშაობად ამ მხრივ არ არის სასურველი მდგომარეობა.

პიესებს ვიღებთ ძველებს... საჭიროა ახალი შინაარსის პიესები... საჭიროა რევოლუციონური პიესები, რომელნიც გამოაცხადებენ მივარდნილ პროვინციების დაჩაღვნილ გონებას და დაუკავშირებენ ფართე გლეხურ მასას მუშაობა კლასს. ეს უნდა გაკეთდეს...

მეორე მხარე: ეს გახლავთ თვით დრამატული წარმოდგენები. რომ მასში ჩამოყალიბდეს თეატრალური მუშაობა, რომ დრამურების მუშაობას მიეცეს წესიერი ხასიათი, რომ პიესების დადგმა ხელში არ ჩაუვარდეს შემთხვევითი პირებს, საჭიროა თეატრალური მუშაობის გაერთიანება სამაზრო მსმტრებით. დაქაქულია დღეს ჩვენი მასის თეატრალური მუშაობა.

არ ვიტყვ, რას ღდამენ ან როგორ ღდამენ ამა თუ იმ მოზრდილ კთხებებში სხვა და სხვა წარმოდგენებს...

აქ კი ფრთხილად უნდა ვიყუეთ. ს. გეგეთიდან (სოფ. სენაკის ახლო) ერთი კორესპონდენტი გვწერდა: იმის მაგივრად, რომ ხალხი ესტამოვნებინათ, დრამატული დასის მიერ დადგმულმა წარმოდგენამ ხალხში უქმყოფილება გამოიწვიაო. როგორ მდგომარეობაშია სხვაგან?

რას აკეთებენ იქ, მივარდნილ კთხებებში?...

არ ვიტყვ ეს და თეატრალური საქმის ამით ვერაფერს ვიტყვ. რა უნდა ექნათ?

მასობის პოლიტმმაროველობა პრობლის ხელთ არის მთელი ეს საქმე ისე უნდა ვაერთიანოს თეატრალური საქმე მასობაში, რომ მას მიეცეს გარკვეული სახე, რომ განისაზღვროს დრამურების შემადგენლობა სასურველ პირობებით, რომ მიეცეს მათ სამუშაო პროგრამა და თვალყური აღვიწიოს, რომ დადგებით. ნაყოფის მაგივრად უარყოფითი მოვლენა არ მოახდინოს.

ჩვენს მასობაში მოეპოვება სათეატრო ძალები, რომელიც ადგილობრივ პირობებში კარგათ იძუშეებენ. აქა იქ მოგვეპოვება სათეატრო დარბაზებიც.

საჭიროა მსოფლიო მათი მიზანშეწონილი გამოყენება. მუშკორი მგერი.

## რ კ ვ ა ნ ი თ ე ა ტ რ ი

სენაკის რკინის გზის თეატრი თან და თან აძლიერებს თავის მუშაობას. მას პირველად ჰქონდა პატარა დარბაზი სადღე ეტყოდა 40-50 კაცი, მაგრამ ეს თეატრი შემდეგ გაიფუტებულ და გადაკეთებულ იქნა. ამ ეპოქაში შეიძლება მას პირველი ალბე, მიენიკით პროვინციის ახლო-მალო თეატრებთან შედარებით. გასული 1923-24 წ. სეზონი ჩვენი რკინის დასმა შესანიშნავად ჩაატარა. 1924-25 წ. ზამთრის სეზონის დასაწყისში საქმე ისე კარგად ვერ მიდიოდა სხვა და სხვა დამკვილებების გამო, მაგრამ ბოლო ხანებში საქმეს გამოწყო რება დატეკა.

მუშკორი გრდამლი

# პროფემოკრაოცა ლა ხელოვნება

## სრულიად საქართველოს ხელოვნების მუშაათა კავშირის მე-V-ე ყრილობა

(გაგრძელება)

საკულტურო მუშაობის დარგში დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ჟურნალის გამოცემა. ასეთი ჟურნალის შესახებ ფიქრობდნენ და დადგენილებები გამოქონდათ ჩვენი კავშირის წინა ყრილობებსაც. მე-4 ყრილობის დადგენილება ჩვენი კავშირის გამგეობამ სისრულეში მოიყვანა და დღეს ჩვენ გვაქვს კომუნიკირებული ჟურნალი „ხელოვნება“, კავშირის საკუთარი ორგანო. ჩვენი კავშირის ყველა წევრები იზნობენ ამ ჟურნალს— და ვინც კარგად იცნობს ყველანი აღიარებენ, რომ ჟურნალი უთუოდ კაზია.

მოგახსენებთ რომ ჟურნალის გამოცემას დიდი ხარჯი სჭირია. კავშირის კულტფონდს მარტო ჟურნალს ვერ მოეხმარათ და არც ეყოფა. კულტფონდიდან ჟურნალზე ვხარჯეთ მხოლოდ 25 პროც. რაც თვეში დაახლოვებით შეადგენს 100 მანეთს. ცხადია ას მანეთად ჟურნალის გამოცემა შეუძლებელია. ჟურნალის გამოცემას კი თვიურად 2500 მანეთი სჭირია. ჩვენ არ ვვძლევთ არაფერს დახმარება თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ მიკრო დახმარებას, რომელსაც სახელმწიფო კინო-მრეწველობა იძლევა (150 მან. თვეში) მაშასადამე შემოსავალ 250 მან. გასავალი 2500 მან. უნდა გამოგვენახა რაიმე საშუალება, რომ დავეფარა ეს გასავალი. კულტფონდიდან მთელი წლის განმავლობაშიც დახმარებით ჟურნალზე 1725 მან. ამაში შედის 484 მან. რომელიც ძველმა გამგეობამ დახარჯა თავის ჟურნალის ერთ ნომერზე. დანარჩენი 1241 მან. შეადგენს კულტფონდის 25 პროც. სულ დღედ 12 ნომერი გამოვიდა. პირველ იანვრამდე ორ კვირეულის სახით უშვებდით, იანვრიდან კი უკვე ყოველკვირეულია—მაგ. იანვარში ხუთი ნომერი გამოვიდა.

ბევრნი კითხულობენ და აქ დაამწრნიც იკითხავენ როგორ არსებობს ჟურნალი? ეს არ არის ძნელი სახსნელი თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ჟურნალის გამოცემაზე მუშაობს კავშირის ტენიკური აპარატი. ჩვენ ვამტირებთ ხარჯებს რაც ძალი და ღონე გვაქვს. ეცილობთ ხელის მოწერით როგორმე დაეფაროთ ხარჯები. მაგრამ მომავალში ამ იმედით ყოფნა შეუძლებელია. თუ კი დღევანდელი ყრილობა სასურველად სცნობს ჟურნალის არსებობის გაგრძელებას, მაშინ ამავე ყრილობამ უნდა გამოიზნოს რაიმე საარსებო წყარო ჟურნალისათვის.

ცნობილია ამხანაგებო, რომ დღეს ხელოვნებაში სხვა და სხვა მიმართულებაა. ჟურნალს, რომელსაც პრო-

ფესიონალური კავშირი უშვებს, არ შეუძლიან ერთი რომელიმე მიმართულება გაიხადოს თავის სამოქმედო ბაზარ. ჩვენი ჟურნალი კველა მიმართულების შეფასებას ახდენს საბჭოთა სინამდვილის თვალთა ხედვის ისრით. ჟურნალი დიდ ყურადღებას აქცევს ჩვენს კინო-წარმოებას. მართალია კინო-მრეწველობის გამგეობა უშვებდა საკუთარ გაზეთს ქართულ ენაზე, მაგრამ იგი ვერ იღწევდა მიზანს, თუ სხვა მიზეზი იყო, დაიხურა და ესლა ჩვენს ჟურნალში გახსნილია მთელი—განყოფილება, სადაც თავსდება წერალები კინო-წარმოების შესახებ.

ჩვენი ჟურნალი არცევეს პროფესიონალურ საკითხებსაც. დიდი ადგილი ეთმობა მუშათა კლუბების თვითმოქმედებას სახელოვნო საკითხებში. ეს განყოფილება მომავალში კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს და სახელოვნო მუშაობაში მისი შეფასებაში ჩაეთიროთ მუშათა კლასის ფართო მასივები.

კავშირი გვაქვს პროვინციასთან, მართალია ეს კავშირი ჯერ-ჯერობით მტკაღ სუსტია, მაგრამ იმ მუშაობასთან, რომელსაც ეხლა სახელოვნო საქმეთა მთავარი საბჭო აწარმოებს პროვინციაში სათავტრო საქმეების მოსაგვარებლად, ჩვენი კავშირიც გაძლიერდება პროვინციასთან. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ჩვენი ჟურნალი დიდ სამსახურს გაუწევს სათავტრო საკითხების მოგვარებას პროვინციაში. ჩემი პირადი აზრია—ამ ჟურნალის არსებობა უნდა გაფართოვდეთ უშვებლად, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ჩვენმა უმაღლესმა ორგანოებმა, საჭიროდ და სასარგებლოდ სცნეს მისი არსებობა. რ. პ. კ. ს. კულტ-განყოფილებამ ჩვენი ჟურნალი გაანაწილა პროფ-კავშირებში შორის. ყველაზე უმთავრესი ჟურნალის არსებობის გასარქმელებლად, ამხანაგებო, ის არის რომ კავშირის თვითეული წევრი დაინტერესებული იყოს ჟურნალის გაფართოვებით, აქტიური მონაწილეობა მიიღოს მის გამოცემასა და არსებობაში.

ადგილებზე საკულტურო მუშაობას ეწყება კულტკომისიები. ზოგიერთ ადგილებშია კულტკომისიების მუშაობა მართლა სამაგალითოა. მოწყობილია ადგილზე ზე ლინიის კუთხეები, წიგნო-საცავ საკითხველობები, სხვა და სხვა სამეცადინო წრეები და სხვა. შეძლების დაგვიარად ეხმარება კავშირი კულტკომისიებს—ზოგიერთი კი თვითონ აწარმოებენ მუშაობას თავის საშუალებებით. კულტკომისიების თათობრი ჩამოყენებეჯერ მოვაწყეთ. მომავალში კი კულტკომისიათა თათობრი უნდა მოეწყოს რაც შეიძლება ხშირად. თათობრმა უნდა გამო-

იმუშაოს მოქმედების ერთგვარი გეგმა. კავშირის ყურადღება და მუშაობაც სწორედ ამ მხრივ უნდა იყოს მიმართული.

მე არ შეეგებები, ამხანაგებო, ჩემს მოხსენებაში საშუალო მუშაობას. ამ საკითხის შესახებ აქ ცალკე მოხსენებას მომიმენით. აი ეს არის მთელი მუშაობა ხელოვნების კავშირის ცენტრალური გამგეობისა.

დასასრულ, ამხანაგებო, ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენმა კავშირმა უთუოდ ბევრი რამ გააკეთა საანგარიშო წლის განმავლობაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ყველაფერი გააკეთეთ და მოვრიბთ საქმეს. ვერ იტყვის ვერც ერთი ორგანიზაცია, რომ მისი მუშაობა უნაკლო იყოს, რა თქმა უნდა ჩვენც გვექნება ნაკლი—საქმის კეთების დროს ეს აუცილებელია. და როდესაც გამგეობის მოქმედების ანგარიშის განხილვას შევდგებით ხაზი უნდა გაეყვას იმას, თუ რამდენათ შევქმენით ჩვენი წინსვლა, რამდენათ მეტი გაკეთდა წინა წლებთან შედარებით. როგორი ენერგია გამოიჩინა ცენტრალურმა გამგეობამ და რა შედეგებს მიაღწია. საკულტურო მუშაობის დარგში ჩვენ უთუოდ დიდი მიღწევანი გვაქვს. ჩვენ ჩავაბით საკავშირო მუშაობაში კავშირის წევრთა ფართი მასისა. სახელოვნო საქმეთა მთავარ სამხატვრო სრული კონტაქტი არსებობს ამა თუ იმ საკითხის გადწყვეტის დროს. იგი ღებულაბს ჩვენს რჩევას. დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ადგალკომების თვითმოქმედების გაძლიერება. ჩვენი ურყევი რწმენაა: თუ იმ ტემპით ინარჩუნებს მუშაობა მომავალში; როგორც აქამდე სწარმოებდა მომავალი, მე-13 ყრილობისათვის დიდი მიღწევები გვექნება. მაშინ ჩვენ შევკავშირება თამაშით ეს-თქვით, რომ ხელოვნების მუშაობა კავშირი ნამდვილი, საწარმოო პროფ-კავშირია, რომელიც ღირსეულათ იცავს თავისი წევრების ეკონომიურ და უფლებრივ ინტერესებს.

**სახელოვნო საქმეთა მთავარ სამკოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. გედევანიშვილის**

**მ ო ს ხ ს ე ნ ე ბ ა .**

ამხანაგებო! ჩემს მოხსენებაში მე არ მინდა შეეგებო ყოფილ მთავარ სახელოვნო კომიტეტის საქმიანობას და თუ ეს აუცილებელი დარჩა შეეგებები იმდენათ, რამდენათაც ჩვენ მემკვიდრეობათა დაგვრჩა მისი წარსული მოქმედება.

სამხედრო კომუნიზმიდან შვილობიან აღმშენებლობაზე გადასვლისა და ახალი ეკონომიური პოლიტიკის თანდათან გაფართოების შემდეგ, ჩვენი საზოგადოებრივობის ყველა ნაწილში, და მით უმეტეს მას შემდეგ რაც სოფლისა და ქალაქის დაკავშირების საკითხი დაისვა და ჩვენ ბუნებრივად პირი სოფლისკენ ვიბრუნეთ—იდეოლოგიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

ხელოვნება, როგორც ნაწილი იდეოლოგიისა, როგორც ერთი უაღრესი საშუალებათაგანი მასის აღზრდით

(შემდეგი იქნება)

სა და გათვითცნობიერებისა, პარტიულ და საბჭოთა საქმიანობის ცენტრად იქცა.

პარტიის მე-13 ყრილობის დადგენილებანი ხელოვნების საკითხების შესახებ შეიძლება ჩამოეყვასობოთ შემდეგნაირად:

1—სახელოვნო ნაწარმოებთა გაწმენდა იმ სირბინურისაგან, რომლითაც მიყულოა იდეოლოგია

2—მშრომელი ხალხის დაახლოვება ხელოვნებასთან

3—სახელოვნო მოქმედების ასაბრუნებელ მშრომელი ხალხიდან ახალი მუშაკების წამოყენება და ორგანიზაციის შექმნა.

ყრილობის საერთო შეხედულება—ახალი ხელოვნების შექმნა. მუშათა კლასის ხელოვნებისა.

სახელოვნო საკითხების მოგვარებას და ორგანიზაციას და ამ დარგში მაგარი პოლიტიკის წარმოებას, განსაკუთრებულ მნიშვნელობა ეძლევა ჩვენში, საქართველოში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოში ჩვენ საქმე გვაქვს ორ კარგად ჩამოყალიბებულ მტკობრებათა ელემენტებთან: ერთის მხრივ ინტელიგენცია და მეორე გლეხობა, სადაც ქალაქის პროლეტარიატი მეტად მცირეა. აი აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახელოვნო საკითხების იდეოლოგიას, რომლის გაუღების ქვეშ უნდა მოეპყრო მშრომელთა მასისა.

ქართული ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა შეწვევივით აქტიურის ავანტიურამდე ჩვენს წინააღმდეგ იყო. ზოგი აქტიურად და ზოგი კიდევ პასიურად ხელს უშლიდნენ ჩვენ აღმშენებლობითი მუშაობას. და ჩვენ ვიცით, რომ ხელოვნება საქართველოში ინტელიგენციის მონობოლიას შეადგენდა.

ავანტიურის ავანტიურის შემდეგ ქართველი ინტელიგენციის ცხოვრებაში ზღვება სწრაფი გარდატეხა. ისინი გრძობენ წარსული მოქმედების უაზრობას, მხალ არიან მოვიდნენ ჩვენთან, რომ ერთად ვიმუშაოთ საბჭოთა აღმშენებლობის ყველა დარგში.

მართალია ჩვენთან მტრულად განწყობილ ინტელიგენციას არავითარი გავლენა და კავშირი არა ჰქონდა გლეხობასთან, რაც აშკარად დამატკიცა ავანტიურის ავანტიურამ და მისმა ხელმძღვანელმა პარტიტულმა კომიტეტმაც საქვეყნოთ აღიარა. სამწუხაროთ უნდა ვიღაცა რომ, რომ მშრომელი მასის დაახლოვება ხელოვნებასთან ჩვენში მეტად მწვავედ დასა და ამ მხრივ ჯერ-ჯერობით თითქმის არა გაკეთებულა რა.

დღეს ხელოვნების ყველა მუშაკის წინაშე სდგას სამი გადაუღებელი და მეტად პასუსაგები ამოცანები:

1—ხელი შეუწყობ და გამოვიყენოთ ინტელიგენციის იმ ნაწილის ცოდნა და მუშაობა, რომელიც გულწრფელად მოდიან ჩვენთან და მთელ თავის ცოდნას და ენერგიას მოიხმარენ საბჭოთა აღმშენებლობის მუშაობაში.

2—გლეხობის დაახლოვება სახელოვნო საკითხებთან

# ქ რ ო ნ ი კ ა

## ს ა ძ რ ო ვ ე ლ ო

„ვინ არის დამნაშავე“. რეისორმა ალ. წუწუწუნამ დადმოაკეთა კინოსათვის ნინო ნაყაშიძის პიესა „ვინ არის დამნაშავე“, რომლის დადგმას ალ. წუწუწუნავა შეუდგება ამ ახლო ხანში.

„წარსულის კომპარები“. ახლო ხანში ტფილისის კინო-ფილმებში წავა ახალი სურათი „წარსულის კომპარები“, სურათების ციკლიდან „რკინის რკალი“.

ახალი წიგნი. გამოვიდა პოეტის იონა ვაყელის პოემა „ევროპა“.

„სპარტაკო“ ქუთაისის სცენაზე. ამ მოკლე ხანში ქუთაისის სცენაზე წარმოადგენენ ალ. შანშიაშვილის ცნობილ პიესას „სპარტაკს“. ამ პიესისათვის იხატება დეკორაციები. ქუთაისიდან ჩამოვიდა დასის ხელმძღვანელი იუზა ზარდალიშვილი რათა სპარტაკისთვის მუსიკა შეუქმეოს კომპოზიტორ არაყიშვილს. პიესას დასაგამს ივ. ბარეელ.

დასის მოგზავრობა. მაისის პირველ რიცხვებიდან ქუთაისის მსახიობთა აზნაზაგობა, გამართავს მოგზაურობას დასაეღულ საქართველოში.

იუბილე. მარტის უკანასკნელ რიცხვებში ქუთაისის ხელოვნება კავშირის წეთაურობით გადახდილ იქნება უფრო ის სცენის მუშის ონისიმე დადიანის იუბილე.

## უ ვ ნ ო მ ი ი

კინო-სურათის გადაღება წააღქვეშ. იტალიელმა ინჟინერმა გატტიმ ადრიატიკის ზღვაში მოაწყო კინო-გადაღება 2.000 მეტრის სიღრმეში. ამისათვის მას დასჭირდა ლამფა 300.000 სანთლის ძალით, რომლის კონსტრუქციაც ეკუთვნის აღნიშნულ ინჟინერს.

ბურჯი ეკრანზე. თავის ახალ სურათში რეჟისორ გრიფიტის განზრახული აქვს დაასურათოს ბურჯის ოკუპაცია, მასში ის საკმაოდ სწორად ხატავს გერმანელების იმ საშიშელ მდგომარეობას, რომელიც მათ წილად ხდება, ღონაგების სისასტიკით მოქცევის გამო. იმპერიალისმიის ყველა კომმარული სასტიკი მეთოლები, თუმცა შენელებულია გრიფიტის მიერ, მაინც საკმაოდ ლაპარაკობენ თავისთავზე. გადაღება სწარმოებს გერმანიაში იმ მიღმოებზე, სადაც ნაადვლილად ხდებოდა ამბები.

ლენინის ორფული. გაზეთის „პოლონეთის ხმის“ რედაქტორი, დოქტორი ზაკს, რომელიც საოცრად ჰკავს სახით ლენინს, რამდენიმე ხნის წინად იყო ჩეხების კურორტზე პიშანზე, სადაც ის ყველას განსვენებული ვლადიმირ ილიჩი ეგონათ და იფიქრეს, რომ მისი გარდაცვალების შესახებ ცნობები არ იყო სწორი. ამის შემდეგ დოქტორი ზაკსი შეიქმნა ყველას ყურადღების საგანად. მას თვალ-ყურს ადევნებდნენ.

ამის შემდეგ ერთა ამერიკის კინო-ფილმამ შესთავაზა მას დიდხალი ფული რათა გამოსულიყო ფილმში, რომელშიაც ლენინი იქნებოდა გამოყვანილი. მაგრამ ზაკსმა უარი განაცხადა.

რემბრანდის სურათები. რასპუტინის მკვლელობა თავადმა იუსუფოვმა რუსეთიდან გაქცევის დროს მოასწრო წაელო თან ორი შესანიშნავი სურათი ნახატი რემბრანტის მიერ და როგორც სჩანს მხატვრის უკანასკნელი ნამუშევრებიდან. ევროპაში ამ ძვირფასი სურათების შეიღველი არავინ აღმოჩნდა და ის შეიძინა რემბრანტის უძლიერესი კოლექციის პატრონმა ამერიკელმა ი. ვიდენერმა, რომელმაც მისცა საჭირო ფასი. მაგრამ იუსუფოვმა სურათები გაყიდა იმ პირობით, რომ უფლებადართვა მათი უკანვე დაბრუნების და ეხლა გადასწყვეტა ესარგებლა ამ პირობით, რის გამოც აღიძრა პროცესი.

კინო-რომანი“. პოეტმა რაულ ფეგოიამ და ამთავრა კინო-რომანი: „ქალდას ყვაილები“, რომელიც დაიბეჭდება და გამოვა ცალკე წიგნათ. „კინო-რომანში“ მოცემულია მხატვრული ანალიზი თანამედროვე საქართველოს ყოფა-ცხოვრების და მრავალი ფანტასტიური სურათები.

გადასახადი კინოებზე. საფრანგეთის სანახაობის ასოციაციის გენერალურმა ფედერაციამ შეამდგომლა ალბა ფინანსთა მინისტრის წინაშე, რადა დაკლებულ იქნას გადასახადი კინონებზე ზიგირთი კინოები დიდი გადასახადების გამო დაიკეტა. ასე მაგალითად ლიონის კინემატოგრაფები შემოსავალზე გადასახადს იხდიდნენ 30% სახელმწიფო-გადასახადი 12 1/2% კი ქალაქის გადასახადს და სხვ.

საპროტესტო მიტინგი. პარიზში მსახიობებმა და მუსიკოსებმა მოაწყვეს საპროტესტო მიტინგი ხელოვნების მუშაკთა კავშირის წევრებზე გადასახადის შემოღების გამო.

# სახელმწიფო თეატრების პროგრამები:

რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს თ ე ა ტ რ ი

შაბათი 7 მარტი

ი. გეგეანიშვილის

## ს ი ნ თ ლ ე

ზღაპარი ფერია 9 სურათად  
შოქმედნი პირნი:

მეფე ჯიმშერი—უშ. ჩხეიძე  
დედიდალი—ც. ამირჯანიძე  
ამათი შვილები: გვიანდელი—ბ. შავიშვილი, გორდასპი—ბ. გამრეკელი

სასალოარი—3. კანდელაკი  
ვეზირი—ვ. იაქია  
დიდებულნი—1. ბ. წულაძე 2. ა. ხელია  
მსახურნი—1. ვ. აბაშიძე 2. ბ. ხვანი

დესპანები—1. გ. სარჩიშვილი.  
დ. შავია  
შეირი—1. მ. მჭედლიძე 2. გ. იხევაშვილი  
კარისკაცები—1. შ. წერეთელი  
შ. ჩხეიძე

გლებები—1. 6. გვარამე 2. მ. ვარდოშვილი 3. მ. მჭედლიძე  
4. პ. ბერაძე

დავრიში—ა. ხორავა  
ჯადოსანი—ს. ბეგანიშვილი  
ეშაქები—1. ვ. გოძიაშვილი 2. ს. ხულაკაური 3. პ. კობახიძე 4. პ. მურღულია 5. ი. ქანთარია 6. შ. ბერიაშვილი 7. ს. ურდულიანი

ფერიები: პირობე—თ. წულუკიძე  
მთავარი—ლამაშოძე ბოლისანე—ვ. დონაური ნათელა—შ. ლოსთიფანიძე წყროლა—ბ. მაღლაკელიძე ანკარა—თ. ჭავჭავაძე

სევე ქალები—1. ი. თუთბერიძე 2. ე. თაფურიძე 3. ნ. დოლიძე 4. მ. მრევლიშვილი, 5. ს. მესხიშვილი, 6. ე. ქელიაძეები—1. ნ. დავითაშვილი, 2. ნ. ჯუჯახიშვილი, 3. ც. წუწუნავა 4. შოთაძე.

დადგმა: კ. მარჯანიშვილისა და ახმეტელისა.

სამშაბათი 10 მარტი

ჯონ სინგის

## ბ ე ი რ ი

3 მოქ. თარგმ. გრ. რომაქიძის

პეგენ მაიკ—თ. ჭავჭავაძე, ქერიცი კენი—ც. წუწუნავა, სარა ტენი—ელ. დონაური, სუნზედ ბრედი—ბ. გამრეკელი, ონორ ბლეკ—ან. შოთაძე, ნელლი—ბ. შავიშვილი, კრისტი—გ. დავითაშვილი, მაიკელ ჯემს—პ. კობიშვილი, მიხეიცი მეგონ—ნ. გოცირიძე, შოონის—ა. ურდულიანი, ფილი კულენ—უშ. ჩხეიძე, ჯიმი ფარელო—ნ. გვარამე, ზარის მრეკველი—პ. კანდელაკი. მასში ყველა თავისუფალნი სტუდენტნი და თანამშრომელნი.

დადგმა კ. მარჯანიშვილისა და ალ. ახმეტელისა.

რეჟ. თანამეწე: დ. ანთაძე.

სამხატვრო ნაწ. გამგე. კ. მარჯანიშვილი.

ხუთშაბათი 12 მარტი

ც ხ ვ რ ს წ შ ა რ ო

ღრამა ლოკე-დევეგისი.  
თარგმ. ე. მაკაშვილისა.

ფერდინანდი, არაგონის პრინცი, კასტილის მეფე—მ. ბერიაშვილი, რინაბელო, კასტილის დედამაგი, ფრინაბდის კოლი—ი. თუთბერიძე, დონ-როდრიგო ტედე-ვირონი, კალტაგვის ორდენის დიდი მაღისტრი. 16 წლისა—გ. სარჩიშვილი, დონ-როდრიგო მანრიკა დელერა, სანტიაგოს ორდენის დიდი მაღისტრი—ბ. წულაძე, დონ-ფერნანდ გომეც დე ვუშმანი, კალტაგვის ორდენის დიდი კომანდირი—დ. ჩხეიძე, ელორესა, ორტუნელი კონანდორის მსახური: პ. კობიშვილი ვ. ჯიქია. სიმბრანოს, კარის კაცი—ა. ბერაძე, ესტევიანი, ფეფთე-ოეგუნის ალკალი, გლეხი—შ. დამაშაძე, ალონზო, რეგიდორი ფუნტე-ოეგუნისა, გლეხი—მ. ვარდოშვილი, მენგო, ბარბოლო ქერახუნი, გლეხები ფუნტე-ოეგუნისა: ა. ვასაძე, ნ. გვარამე, უშ. ჩხეიძე. ფრანკო-ლოზო—გ. დავითაშვილი. რეგიდორი 1-ლი, რეგიდორი 2-რე, სიუდად-რეალში: ალ. მაღლაკელიძე ა. სულაკაური. მოსამართლე—პ. კანდელაკი, ლაურენსია, ესტევიანის ქალი—თ. ჭავჭავაძე. ხასიბტა, პასკალი, აბაღვანოდა გლეხი ქალი. ი. თუთბერიძე, ბ. შავიშვილი. მიწის მუხენი—ბ. წულაძე.

დადგმა კ. მარჯანიშვილისა.

რეჟისორის თანამეწე: ალ. გველიანი.

მუსიკა თ. ვახვახიშვილისა.

დეკორაციები და მუტუაფორია: ვ. სიღომონ ერისთავისა, სამხატვრო ნაწილის გამგე: ე. მარჯანიშვილი.

ღრამის გამგე: ს. მაღლოშვილი.

# Программы госоперы.

В субботу 7 марта

## КАММОРА

опера в 8-х действиях музыка  
Эспозитто.

Марионна — Товстопунская — Шейн,  
Пиколло — Попова, Лиза-Мазавецкая,  
Лориса Павловна — Доброжелская,  
Дшиджи — Струков-Баратов,  
Бенно — Журавлев, Жефонно  
Гарин Венадзе, Антонно  
Демьяненко Петруша — Игонян  
портье — Курхули.

Дирижирует М. Г. Шейн;

В среду 11 марта

1-я гастроль ВИКТОРОВА

## ЖИДОВКА

Участвуют: Боголепов, Габашидзе,  
Викторов, Кулагин, Исецкий,  
Демьяненко и Курхули.

Режиссер ГУРЕС

Дирижирует С. А. СТОЛЕРМАН

В пятницу 13 марта

2-я гастроль ВИКТОРОВА

## А И Д А

участв.: Боголепова, Повсто-  
лужская — Шейн, Викторес,  
Карцивадзе, Шарашидзе, Лортки-  
панидзе и Игонин

Режиссер ГУРЕС

Дирижирует нар. артист  
И. П. ПАЛАЗШВИЛИ

ახლო ხანში  
კინო-თეატრებში

აპოლო, არფასტო და სოლეიში

წავა ახალი სურათი

„წარსულის კომპარები“

სურათების ციკლიდან „რპინის რბალი“

მთავარ როლებს ასრულებენ: ვერიკო ანჯაფარიძე და აკაკი ხორავა.

რეჟისორი — ვ. გ. ბირსკი


ოპერატორი — ს. ზაბოსლავეი

გამოცემა საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობისა.

სამხედრო კომისარიატის სტამბა, კეცხოველის ქუჩა № 3.

# გამომცემი

№ 11



ქრისტეანე ბერიძის სახელობის ბიბლიოთეკა.

მისი ხელმოწერა გვხვს სახ. ოქტომბრის ქუჩის 15 მარტს.

საქართველოს სსრ-ის მუშაკთა კავშირის ოფისი

1925

# სახელმწიფო თეატრების კროგრამები:

რ უ ს თ ა შ ე ლ ი ს თ ე ა ტ რ ი

14 მარტი

3. ვერდელის

შპეტელის (კაცი სარკიდან)

მაგისტრი ტრილოგია მ მოქ. 12 სურ.  
თარგმანი ალ. შანშიაშვილისა.

მოქმედნი პირნი

თამაშ—ა.კ. ვასაძე, კაცი სარკიდან  
მისი სახეები: მეგობარი, ქალი,  
ბერი—გ. დავითაშვილი, ბერი მის  
სახეები: სასახლის მფლობელი.  
ჯამბაზი, კაპიტანი, მეციხოვნე, მსა-  
ჯული—დ. ჩხეიძე, ქურუმთა-ქურუ-  
მი—პ. კორიშვილი, ქურუმები: მ.  
სვანი, პ. მურღულია, შ. ჩხეიძე,  
DELICANTO — ს. სულაკაუ-  
რი, დედაკაცები: ნ. მე-  
ნიშვილი, თ. წულუკიძე, ა.  
შოთაძე, ნ. დიმიძე, უფროსი პო-  
ლიციელი—ა. კანდელაკი, პატარა  
არაბი—შ. წერეთელი, მიძღვარი  
—ა. ხორავა, თამაშის მამა—ვ.  
ჯიქია, თამაშის დედა—ბ. ბევა-  
ნიშვილი, თამაშის თეილი—ქ. წულ-  
უკიძე, იაღო მამის მსახური—  
შ. დამაშვიძე, თავიანთი მცემელი:  
ალ. ფარჯოლიანი, დ. მუავია, მ.  
ბერიაშვილი, ვალდარი—მ. ლორ-  
თქიფანიძე. ანჟე—თ. ჭავჭავაძე,  
ფიხილი—ი. ფორჯაძე მამა კაცები:  
მ. მჭედლიძე, პ. ბერაძე, შ. მალ-  
დაკელიძე, პ. კობახიძე, გ. ხე-  
ლაია, ხმები: ც. წუწუნავა, ბ. შა-  
ვიშვილი, მ. ვარლამიშვილი, ვ. გო-  
თიაშვილი, ი. ქანთარია, მესტეა-  
ურნი: პ. ბერაძე, კ. კობახიძე,  
ბ. სვანი, ი. ქანთარია,  
ნ. ახვლედიანი, ი. აბაშიძე,  
შ. მალდაკელიძე, ბ. წულაძე, ა.კ.  
ცვატურია, ბერები, პოლიციელები,  
მოხუცთა ფეაქოები; ქორწილის  
სტუმრები, პოლიციის კარისკაცი  
მოვებნი, ქურუმები, და დიდი მასა.  
დადგმა ქ. მარჯანიშვილისა, და  
აღმა: ახმეტელისა, რეჟისორი ქ.  
პატარაძე, მუსიკა თ. ვახვახიშვი-  
ლისა, დეკორაციები ირ. გამრე-  
კელისა, ტანსაცმელი ირ. გამრე-  
კელის ესკიზებით და მხატვრული  
ი. კობახიძის, ბუტაფორია ანა-

ტალი ტესცივისა. მონტაჟი ივ.  
მაისურაძისა, განათება-ტ. გრიგო-  
რიაშისა. ორკესტრი საქართველოს  
ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადო-  
დებისა, დირიჟორი ალ. გველმ-  
სიანი, სამხატვრო ნაწილის ვაჟები:  
კოტე მარჯანიშვილი,

კვირა 15 მარტი

ზათაშისის მისაქვიდი

ღრამა 4 მოქ. ალ. შანშიაშვილისა

მოქმედნი პირნი:

თანლია—გ. დავითაშვილი, ნინე;  
მისი ცოლი—თ. ჭავჭავაძე. თანე-  
ლის ქვრივი—ნ. დავითაშვილი.  
ციბობ—ა.კ. ვასაძე, მაგდა, მისი  
ცოლი—ნ. შოთაძე, ელიზბარ უშ.  
ჩხეიძე, მათია—მ. კორიშვილი,  
ბატონი—დავ. ჩხეიძე, ელჩი—ა.კ.  
ხორავა, ბაბუღია—ელ. დონაური  
მეშვირ—შ. დამაშვიძე, დემფრი—  
ვ. ჯიქია, ჯანდო მოურავი—ლ.  
ფარჯოლიანი. მსახურნი: 1 შალო-  
—ივ. ფორჯაძე, 2 გიგო—თ. წულ-  
უკიძე, 3 მრევლიშვილი, მონა-  
ღირე—ბ. სვანი, ელიბო—მ. ვარ-  
დოშვილი, თბა—გოთიაშვილი, და-  
თვი—ს. სულაკაური, გლეხები:  
1—ნ. გვააძე, 2—პ. მურღულია,  
3—ბ. წულაძე, 4—ბ. ბერაძე,  
დარაჯი—ა. კანდელაკი, ჯარის  
კაცი—მალდაკელიძე, დედაკა-  
ციები: 1—ბ. მალდაკელიძე, 2—ც.  
წუწუნავა, 3—ს. ბეჟანიშვილი,  
ქალები: 1—ბ. შავიშვილი, 2—ნ.  
ალექსი-მესხიშვილი, მანდილოს-  
ნი—მ. მრუაშვილი.

მაისურ სცენაში მონაწილეო-  
ბენ დარაჯები. ჯარის კაცები,  
გლეხები და სხვა.

დადგმა კოტე მარჯანიშვილის  
და ალ. ახმეტელისა.

ახალი დეკორაციები დამზადე-  
ბულია გ. ნაღბაშვილის მიერ.

სამხატვრო ნიწილის ვაჟები კო-  
ტე მარჯანიშვილი.

ღრამის ვაჟები ს. ახალდაშვილი

ი. ტალეონი.

სუთმზათას 19 მარტს

„ტ ა ტ ი — მ ა ს ს ა“

ქალი—ც. ამირაჯიბი, ქვარი—  
ა.კ. ვასაძე, პირველი, მეორე, მე-  
სამე, მეოთხე: დ. ჩხეიძე, უ. ჩხეი-  
ძე, დ. მუავია, პ. ბერაძე. პირვე-  
ლი, მეორე. მესამე: ს. ბეჟანიშ-  
ვილი. ც. წუწუნავა. თანამგზავრი  
—თ. წულუკიძე. პირველი, მეო-  
რე, მესამე, მეოთხე: ნიკ. გვააძე,  
ალ. ფარჯოლიანი, მანკიერები მ.  
ვარდოშვილი, ა. მალდაკელიძე.  
პირველი, მეორე მესამე: დარაჯე-  
ბი პ. კანდელაკი, მ. მალდაკელი-  
ძე, მიხ. ვარდოშვილი. პირველი,  
მეორე ტუსალო ქალები თ. ჭავჭა-  
ვაძე, ე. დონაური. პირველი, მე-  
ორე: რეჟისორი ვ. სარჩიშვილი,  
ბ. წულაძე. მღვდელი—მ. კო-  
რიშვილი, სიკვდილით დასჯილი—  
მიხ. ლორთქიფანიძე, უცნობი—  
ა.კ. ხორავა.  
რეჟისორი: დ. ანთაძე.

შაბათი 21 მარტი

ჯონ სინგის

გ ბ ი რ ი

3 მოქ. თარგმ. გრ. როზაქიძისა  
პეგნი მიკი—თ. ჭავჭავაძე, ქვრი-  
ვი ცენ—ც. წუწუნავა, სარა ტენ-  
ი—ელ. დონაური, სუნუნდ ბრედი  
—ბ. გამრეკელი, ინორ ბლუკ—ან.  
შოთაძე, სელიო—ბ. შავიშვილი,  
კრისტო—გ. დავითაშვილი, მი-  
კელ ჯეს—პ. კორიშვილი, მოხუ-  
ცი მეფე—ნ. გოცირიძე, შონი  
კის—ა. ფარჯოლიანი. ფილი ქუ-  
ლენ—უ. შ. ჩხეიძე, ჯიმი ფარულ-  
ნი. გვარაძე, სარის პრეკელი—პ.  
კანდელაკი. მასაზე გველა თავი-  
სუფთავი სტუდიელნი და თანამა-  
შრომელნი.

დადგმა ქ. მარჯანიშვილისა და  
ალ. ახმეტელისა.

დეკორაციები ვ. სიღამონ-ერის-  
თავისა

რეჟ. თანამეგობრე: დ. ანთაძე

სამხატვრო ნაწ. ვაჟები: კ. მარ-  
ჯანიშვილი.

# სელოვნება

კლავტინის მისამართი: რუსთაველის პარსადები, მუხათა ხახახლე. ოთახი № 54. ტელეფონი 14-08.

№ 11 | სრ. საქართველოს სელოვნების მუხათა პაროზ. კავშირის უმაღლესი რედაქცია | № 11

## ჩვენი კავშირის ფუძვრთა სელახალი რეზისტანცია.

ჩვენი კავშირიც შეუდგა თავის წევრთა ხელ-ახალ რეგისტრაციას, რომელიც უნდა დასრულდეს დაახლოებით ამ თვის ბოლომდის.

თანახმად იმ დებულებისა, რომელიც გამოცემულია საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მიერ, ხელ-ახალი რეგისტრაციის მიზანია კავშირის წევრთა სწორი რაოდენობის გამოარკვევა, კავშირის წევრთა და კავშირის უზრუნველყოფის დამოკიდებულების შემოწმება და გამოარკვევა თუ რამდენათ კეთილსინდისიერათ ასრულებენ კავშირის წევრები საქართველო ვალდებულებებს.

დებულების მეორე მუხლის თანახმად რეგისტრაცია გამოყენებული უნდა იქნეს იმ ელემენტების გასაწმენდათ კავშირიდან რომლებიც სოციალური მხრივ არ ევლენიან კავშირს და შემთხვევით მოხვედრილნი არიან კავშირში.

დებულების მეთერთმეტე მუხლში კი უფრო ნათლად არის თქმული, თუ ვინ უნდა გამოირიცხოს კავშირიდან: პირველ ყოვლისა ისინი, რომლებსაც თავისი პროფესიონალური მოვალეობა არ შეუსრულებიათ და არც მოელოებათ საპატიო მიზეზი რომლის გამოც არ შემოუტანიათ საწევრო გადასახადი სამი თვის განმავლობაში, შემდეგ გამოირიცხებიან ისინი, რომლებიც შემთხვევით მოხვედრილან კავშირში და მუხათა კლასისათვის თავისი სოციალური მდგომარეობით შეუმუშებელი არიან, როგორც, მაგალითად, ხელმწიფის დროს აქტიური მოსამსახურეები, ვისაც კერძო საკუთრება აქვს და ამ საკუთრებიდან შემოსავალს ღებულობს უშრომლათ, ეწევა სხვისი შრომის ექსპლოატაციას და სხვა.

ამ პერერეგისტრაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი კავშირისათვის.

სიმართლე უნდა ითქვას, თუ რომელიმე კავშირში შეიძლება მოინახოს ისეთი ელემენტები, რომლებიც კავშირის ზიანს აყენებენ, ჩვენს კავშირში ასეთები ბლომათ მოიპოვებიან, და ეს აიხსნება იმ ვარაუდებით, რომ ჩვენი კავშირი სხვა კავშირებთან შედარებით სპეციფიურ ხასიათს ატარებს, რომ ჩვენ კავშირში წინათ აღვიღათ შეიძლებადა თავის შეფარება, ვინემ რომელიმე სხვა საწარმოო კავშირში.

ამიტომაც ამ ხელ-ახალ რეგისტრაციას დიდი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს ჩვენს კავშირს, რომელიც საქიროებს გაწმენდას ზოგიერთ ელემენტებისაგან. როგორც ვაიკვთ ჩვენი კავშირის განყოფილებებს ბათიში და ქუთაისში ასეთი რეგისტრაცია უკვე ჩატარებიათ და სასურველი შედეგიც მიუღიათ...

კავშირის მიზანი სრულიადაც არ არის შეამციროს თავის წევრთა რიცხვი, მაგრამ თუ ამსუბოხოლობს მისი ინტერესები, მაშინ უპირატესობა უნდა მიეცეს არა სიმრავლეს,—არამედ ხარისხს.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ კავშირიც გაიღებდა და საქმეც სასურველად წავა მაშინ როცა კავშირში დარჩებიან მხოლოდ და მხოლოდ ღირსეული და საქირო ძალები, რომელთაც სურვილიც და შეძლებაც ექნებათ ემსახურონ ხელოვნების საქმეს.

ასეთი მოსაზრებებით უნდა ხელმძღვანელობდეს კავშირთან არსებული სარეგისტრაციო ცენტრალური კომისია, რომლის მუხათობის ნაყოფი აღბათ ახლო მომავალში იქნება გამოქვეყნებული.

# მსახიობის ხელოვნება \*).

## I

მე განვსაზღვრავ ხელოვნებას, როგორც ისეთს შეგნებულს შემოქმედებას. რომელშიაც დიდი ნაწილი მოგონილის გარის არტყია ჭეშმარიტებას და მით უფრო თვალსაჩინოდა ხდის ამ უკანასკნელს.

ხელოვნების ნაწარმოების შესაქმნელად მხატვარს აქვს საღებავები, ტილო და ყალაში. მოქანდაკეს—თიხა და საკვითი. პოეტს სიტყვა და ქნარი, ე. ი. ზომა ლექსისა, სტროფები და რითმა. ხელოვნება იცვლება მასალის მიხედვით. მსახიობის მასალა—თვით მსახიობია.

მსახიობის ხელოვნების მასალა, ის რაც მან უნდა დაიმუშავოს და გადაასხვადფეროს, რათა შექქნას რამე—მისივე საკუთარი სახეა. მისივე სხეული, მისივე იცილებული. აქედან ირკვევა, რომ მსახიობი ორეული უნდა იყოს: ერთი მეობა მისი ქმედითა—მეორე-კი ამ შემომქმედლის მასალას წარმოადგენს. პირველი ამათვანი ჩაიფიქრებს იმ პირს, რომელსაც ხორცი უნდა შეასახს, ანუ უფრო სწორედ რომ ვისთქვათ, რაკი მოქმედი პირის შექმნა ძვირად ავტორს, ეკუთვნის თვალ წინ დამყენების ამ პირს, როგორც იგი ავტორსა ჰყავს დასახული, თვალთ განვიცდის ტარტიუფს, ჰამლეტს, არნოლდს, რომეოს; მეორე—ანხორციელებს ჩანაფიქრს. ეს გარემოება არის ნიშნდლოვანი თვისება მსახიობის შემოქმედებისა.

ეს თვისება, რა თქმა უნდა, სხვაგანაც შეგვხვდება. ჩემი ძვირფასი ალფონს დოდე ამ თვისებას მომთხრობელშიაც-კი ხედავს. თვით სიტყვებით, მე რომ გზმარობ, დოდესგანა მაქვს ნასესხები. „მომთხრობელშიც, ამბობს დოდე, იმეო მეობაა, ერთი—ყველასა ჰყავს, უყვარს, სძულს, სტყებდა, იტანჯებდა, მეორე—მაღლა ნავარდობს, ყველას თავს დასტრიალებს, და დიდი მღელვარების დროსაც-კი ჩაჰკირკიტებს ყოველივეს, სწივლობს, ინიშნავს თვის მომავალ შემოქმედებისათვის.

მაგრამ ეს გაორება მწერალს ისე აშკარად არ ეჩნევა, როგორც მსახიობს. იგი ვარდ არა მელანდნება, ერთი მეობა მწერლისა მეორეს თვალსაყურს ადევნებს, მაგრამ გარდაქმნის და ასხვაფერებს კიდევ მას. მსახიობი-კი წინააღმდეგ იქცევა. პირველი მეობა მისი ზედგავლენის ახდენს მეორეზე იმ დრომდე ვიდრე სახეს არ შეუცვლის, არ ამოჰქნის იმ მეორე მეომბსაგან იმ პირს ოცნებით რომ ეზმანება, ერთი. ისტყეით ვიდრე თავის თავისაგან ხელოვნების ნაწარმოებს არ შექქნის.

\*) კოკლენ უფროსი იყო სფორანტეში XIX საუკ. ერთი გამოჩენილი მსახიობი. მან რამდენიმე წონი დასწერა სთავტრო ხელოვნებაზე, მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო მის შრომაზე არის: „ხელოვნება და მსახიობა“ და „მსახიობის ხელოვნება“ ამ უკანასკნელს ვთავსებთ აქ. კოკლენის თორიერთი მოსახრობანი არსებითად იგივეა რაც დიდროსის შესვლულებანი გამოქვეყნებული წიგნში: „პარადოქსი მსახიობზე“, მაგრამ უშთავრესი დირსებია ამ წიგნის მღგომარეობს, იმეო რომ იგი პრაქტიკულად ვხება სათვტროს სახით.

როდესაც მხატვარმა სურათი უნდა დახატოს, თავის წინაშე მოდელს დასდგამს, ყალამის მეოხებით მიაგენებს ყოველ ნასკვს, ხელოვნების ჯადოსნურის ძალით ვადიიტანს ტილოზედ,—და ნაწარმოები დასრულდებულია. მსახიობს-კი ერთი ნაბიჯი კიდევ აქვს გადასადგმელი: იგი უნდა შეუხსნულდეს თავის პორტრეტს, იმიტომ რომ ამ პორტრეტმა უნდა ილაპარაკოს, იმოქმედოს, იმოძრაოს თავის ჩარჩოში—სცენაზე და მაყურებელს თვით სახელოების ილიუზია მისცეს.

ამიტომ, როდესაც მსახიობი ჰქმნის პორტრეტს,—ანუ სხვა სიტყვით, თავის როლს, იგი უპირველეს ყოვლისა დიდს გულს-ყურითა და მრავალჯერ როლის წიათხვით უნდა ჩასწვლდეს ავტორის განზრახვას, გამოარკვიოს მნიშვნელობა მომქმედი პირისა, შეამოწმოს რამდენად შეეფერება იგი ჭეშმარიტებას, საკუთარი ჩანაფიქრის მიხედვით უნდა წარმოიდგინოს კიდევ და ბოლოს დაინახოს იმ სახით, რა სახისაც უნდა იყოს მოქმედი პირი. ამ წუთიდან მსახიობს მოდელი აქვს.

აი ამის შემდეგ, ისევე როგორც მხატვარი მიაგენებს ყოველს ნაკვთს და ვადიიტანს არა ტილოზედ, არამედ თვის საკუთარ ნაწარმებაზე, ყოველს თვისებას მოქმედი პირისას თვის მეორე მეობას შეუფერებს. მსახიობი ხედავს, რომ ტარტიუფს რამე კოსტუმი აცვია და იმ კოსტუიმს ჩაიცვამს; ჰხედავს მის სიარულს და ჰბაძავს მას, შენიშნავს მის პირ-სახესა და იერს და ვადმოიდებს ამა-სა. მსახიობი უფარდებს მომქმედ პირს თვის საკუთარ სახეს—ასე ვისთქვათ სპრის, ანაკუწებს საკუთარ კანს და ამ ნაკუწებს ერთმანეთს აკერებს იმ დრომდე, ვიდრე მის მეორე მეობაში მიმაღული კრიტიკოსი არ დაქმყოფილდება და ტარტიუფთან სრულს მსგავსებას არ დაინახავს. მაგრამ ეს საქამო არ არის. ეს იქნებოდა მხოლოდ გარეგნული მსგავსება, მიმგვენება განსახორციელებელი პირისა და არა თვით ტიპი. საქმროა მსახიობმა ტარტიუფი იმ ხმით ალაპარაკოს, მსახიობს რომ ტარტიუფში მოესმის, ხოლო როლის მთელი მსულოდობის განსაზღვრისათვის უნდა აიძულოს იგი იარის, თვით იმოძრაოს და როლებიც ამოძრავს, უტარტ მოისმინოს, გონებით იფიქროს ისე, როგორც ტარტიუფს სჩეივდა, უნდა ჩაიდგას სული ტარტიუფისა.

მხოლოდ ამის შემდეგ არის მზად პორტრეტი; იგი შეგვიძლია მოვათავსოთ ჩარჩოში, ე. ი. სცენაზე და მაყურებელი საზოგადოება ვერ იტყვის: „ახ, ეს ჟოჯოფია!“ ანუ: „აი, ბრესანო!“ იგი იტყვის: „აი, ტარტიუფი!.. ან არა და მსახიობს ცუდად ურუშავნია.

მაშ ასე, თვალაპირევილად. გულდამითა და ღრმად შესწავლა ხასიათისა, შემდეგ პირველი მეომბის მეორე წარმოდგენა ტიპისა და მეორე მეომბის მეომბებით გამოხატვა

მისი იმ სახით, როგორც თვით ტიპის ხასიათიდან გამომდინარეობს—აი, მსახიობის საქმე.

მსახიობიც, თვისის დიდი მფარველი მოლიერივით „ქმებს თვის მასალას ყველგან, სადაც-კი იპოვის“. ე. ი.

მზავების სრულსაყოფელად მას შეუძლიან მიაკეთონს პორტრეტს ყოველი ცალკე ნაკეთი ბუნებაში შემწეული. ამ გვარად, ჰარპაგონი, ათას გადამღწარ და ერთმანეთში შეზავებულ ტუნწითაგან შექმნილია.

კოკლენ უფროსი.

(შემდეგი იქნება)

# სცენის მუშაპნ არ არიან დაზღვეულნი უხეღურ შემთხვევისაგან

ამას წინედ მოსკოვის ერთ-ერთ ჟურნალში ამოვიკითხე: კამერულ თეატრში, წარმოდგენაზე („კაცი რომელიც იყო ხუთშაბათი“) ჩამოვარდა ლიუტი და დააშავა რამდენიმე მსახიობი. ასეთივე შემთხვევებს ჰქონდა ადგილი მეიერჰოლდის თეატრში და პროვინციებში. საერთოდ ასეთივე შემთხვევები მეტად გახშირდა უკანასკნელ დროს, განსაკუთრებით კონსტრუქტიულ დადგმების გამო. ასეთ შემთხვევას ჰქონდა ალავი ჩვენს წითელ თეატრშიც. 1 მარტს „გენიმის მოსკოვო“-ს რეპეტიციის დაწყების ხუთი წუთის წინ კალასნიკებიდან ჩამოვარდა დაკიდებული უზარმაზარი ხის ვარსკვლავი და თავის დიდი სიძიმის გამო ჩამტვრია იატაკი. საბედნიეროთ რეპეტაცია შეგვიანებით დაიწყო, თორემ ერთ ან ორ კაცს უსათუოდ იმსვენებოდა.

ამ გარემოებას უკვე მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა კავშირმა მიაქცია ყურადღება და წინადადება მისცა ადგილობრივ თეატრალურ ორგანიზაციებს, რომ ყოველივე კონსტრუქტიულ დადგმების დროს, როდესაც კი საჭიროა რაიმე საგნების ჩამოყიდვა სცენაზე, უნდა ვატარებულ იქნას შრომის დაცვის ინსპექციის საკონტროლო კომისიაში, რათა მომავალში თავიდან აცილებულ იყოს რაიმე უბედური შემთხვევები და ყოველი ახალი დადგმა, რომელიც მოითხოვს კონსტრუქტიულ მშენებლობის საგნებს უნდა შემოწმებული და გაშინჯული იყოს სპეციალისტ აღმშენებლების მიერ.

საჭიროა ჩვენმა კავშირმაც ამას განსაკუთრებულ ყურადღება მიაქციოს და თავიდან ააცილოს ხელოვნების მუშაკებს ისეთი ბიფათი, რომელიც მათ შეიძლება მიულოდნეთ და ხშირად გახდნენ კიდევაც უბრალო დაუდევრობის მსხვერპლნი. ჩვენს მიერ მოყვანილ მაგალითებმა და განსაკუთრებით კი წითელ თეატრში მომხდარ შემთხვევამ უნდა ჩავგავდოს საგონებელში.

იმას გარდა, რომ ჩვენის მუშაკი სწირავს თავის ძარღვებს, ენერჯიას მან ხშირად შეიძლება თავისი სიცოცხლეც შესწროოს თეატრს. ამ გარემოებას მართლაც ანგარიში უნდა გავწიროს.

აუცილებლად უნდა დაწესდეს კანტროლი. უნდა დაარსდეს სპეციალური კომისია შრომის დაცვის ინსპექციასთან, რომელიც დაათვალღიერებს ყველა დიდ თეატრებს და გამსწავლეს სცენის ყოველივე მოწყობილებას, გამოარატებს ყოველივე საგნებს მათი უვნებლობის მხრივ და ამით უზრუნველყოფს ისედაც გაკვირებულ მდგომარეობაში მყოფ სცენის მუშაკებს.

ჩვენ აშკარად ვამბობთ: ჩვენ არა ვართ უზრუნველყოფილნი ზემოთ ნახსენებ უბედურ შემთხვევებიდან.

დაცავით ჩვენი ინტერესები! სცენის მუშაკნი არ არიან დაზღვეულნი უბედურ შემთხვევებიდან!

ამის ანგარიშის გაწევა მართებს როგორც ჩვენს კავშირს, ისე შრომის დაცვის ინსპექციას.

ერთი რეჟისორთაგანი

# დ ი ს კ უ ს ი ა

## თანამედროვე თეატრი.

თანამედროვე თეატრი=პოეტით+მსახიობით+რეჟისორით+მსაყურებელი, ერთი რამ უთუხა: თეატრის არაოდეს ჰქონია ავტონომიური არსება. დღესაც, ერთნი თეატრში როგორისტური ზნეობის ტრიბუნას ხედავენ. მეორენი თავიანთი პერვერზულ გრანოზების გამოღვიანებულს, მუსაშენი გასართობს, მეოთხენი სანახაობას, კლოუნობის მიხიწიერას.

თეატრის საკითხი მჭიდროდ უკავშირდება საერთოდ ხელოვნების საკითხს.

არც ერთს ერთი შინაარსი, ერთი მიზანი არა ჰქონია სხვა და სხვა დროის მანძილზე. ყოველი დრო, ყოველი თაობა თავის გულის ნაღებს აჩრის პირში, როგორც თეატრს ისე მთლიანად ხელოვნებას. სხვა და სხვა თაობის დაუხსრულტებელი დავა თეატრზე, ეს იგივე ხე-

მ ე მ რ მ ე მ ბ ა უ ლ ი შ ა რ ა შ ი

ნახატი მ. ჰოერგელის



რესპუბლიკის სახალხო მსახიობი  
ვასო აბაშიძე

ლოცვების მიზნებზე დაგის მოსწავებს. თანამედროვე ევროპული თეატრის გენეზის უპირატესად ძველი საბერძნეთიდან მოდის. იგი დიონისოს კულტის ნაშთია თეატრი. რელიგიური მოქცევა, რელიგიოზური ექსტაზი-მისი პირველსაათე.

დრამა ამავე არ არის, არამედ მოქმედება, ქცევა-ამ ქცევის დამფლექტორებელი-გმირული პათოსი, ბერძნული ტრაგედია იღუპება, როცა ეს გმირული პათოსი ჰქრება და ბერძნულ სულსაც მორალური რელტეივიზმი შეეპარება. საშუალო საუკუნეებში ქრისტიანობა იძლევა ახალი კულტურის ემანაცია, ახალ ექსტატიურ პათოსს. აქედან: მისტერიების ეპოქა.

რენესანსი. იწყება ბერძნულ-ლათინური კულტურისა და ქრისტიანული მისტისის შეუღლება. ამ სინტეტიური ნაკავების ალორმინება. თეატრი ეპოქის პოზაუნია.

თუმცა თანამედროვე თეატრში არსებითად რეცესორია დიქტატორი, მაგრამ რეცესორი უპოეტოთ-გერასოდეს იცის, იგი მუდამ ავტორის-პოეტის სანიშნოებით მიდის. პოეტი კარნახობს ეპოქის სულს, რეცესორი გამოსახავს ამ სულს. პოეტი გზის მჩაჩვენებელია, პოეტი

ინსპირატორია, რეცესორი ილიუსტრატორია. მთელი კულტურული ადამიანობის ისტორიის დანაწილზე თქვენ ვერ მარჯვენებთ დამოუკიდებელ თეატრს, დამოუკიდებელ მსახიობს, დამოუკიდებელ რეცესორს. ვინ ბატონობს სცენაზე მე-17 მე-18 საუკუნეებში? შექსპირი და მოლიერი, ლესინგი და ვოტე, შილერი და კლაისტი. ესენი იყვნენ თავიანთი ეპოქის ინსპირატორები. ამ დროის თეატრებიც სწორედ იმავე გზით მიდიოდნენ, როგორც თვით ეს პოეტები. რეცესორი ახალი კაცია თეატრში. რამ წარმოშვა რეცესორი?

თვლით გადავლეთ პოეზიის განვითარებას პოეზიიდან სტეფან გეორგენდის და თქვენ დაინახათ ორ პედოლოს, ერთია ის პერიოდი, როცა პოეზია ხმაელა ლაპარაკობდა. მეორეც: პოეზია თვალთანახული. მე არ ვიცი სად, რომელ საუკუნეში მათი მიჯნა, მე არ ვიცი სად თავდება ერთი და მეორე სად იწყება. მე ვიცი რომ პოეზიი და კატული, რუსთაველი და პინდარი მუდროდნ და ხმა მალა კითხულობდნ, ხოლო მეორე პერიოდში: თვალთ კითხულობდნ დანტესა და ვოტეს. მასხადამე მსოფლიო პოეზიის ორ პერიოდად დაყოფა შეიძლება. ე. ი. შეიძლება ორი მომენტის მოძენა: ერთია: პოეზიის წარმოთქმა, მეორე: პოეზიის ხილვა. ჯერ კიდევ ვოტე აღიარებს რომ იგი ყველაფერს თვალთ ხედავდა. მისთვის მსოფლიო პარზონიულ მელოდიაში ამტყველებული მისტერია როდი იყო, არამედ პარზონიულ ფერადებში გადაშლილი პანორამა. ბერძნებს იქით მივიხედოთ: ინდოეთის, ე. ი. სანსკრიტული ლიტერატურული დრამა, ინდოეთის თეატრი მხოლოდ სიტყვის სიძლიერეს ენდობდა. მთელი დეკორატიული ნაწილი დრამისა ფანტაზიას ლეძენდა და წარმოედგინა. რალა შორს მივიდვართ, თვით ბერძნული თეატრიც უდევორატიო თეატრია. ამ თეატრში ორი მომენტი: ქცევა და სიტყვა.

მე მინდა დღეს უმთავრესად თანამედროვე თეატრზე ვილაპარაკო. ეს მეოთხე კაცია-რეცესორი თანამედროვე მოთხონილებით მოვიდა.

თანამედროვე ევროპული კულტურა დანტეს და შექსპირის, ვოტესა და შილერის, ვერლენისა და ფრანსის, მიუხედავად მაინც მატერიალური კულტურაა. თანამედროვე ადამიანი ეკონომიის ადამიანია. მისთვის ყოველი წუთი საუკუნეა. იგი თვალთ მეტს ხედავს, იგი ნაყლებად მეტყველებს და მეტყველება მეორე პლანზე გადადის მის თვალში, რადგანაც მეტყველებას გაცოლშით შეტი ღრუ უნდა ვიდრე ხილვას.

მე ვახებ 1919 წელს ბერლინში-გერმანულ თეატრში („ლორენს თეატრ“) შექსპირის „ინდროის ქალები“ სწორედ ისე წარმოდგენილი, როგორც წარმოდგენდნ ხოლმე ამ პიესას ელისაბედ ინგლისის დღეფლის დროს. რა დარიბი ყუთილა, სანახაობისა და ფრადების მხრით, შექსპირის თეატრი? სცენა-იმერულ ოდასავით გატვლილი, უორნამენტოთ, უდევორატიოდ.

აკ მოვლი ძალა სიტყვას და ქცევას ეშვარება. პოეტი და მსახიობი ბატონობდნ ამ სცენაზე. მე ამ პიესას ყურადღებით მოუსმინე-როგორც კურიოზს.

თანამედროვე აზრის სულმა მოითხოვა: მეტი სანახაობა თეატრისათვის. რადგან თანამედროვე ადამიანის თეატრი არა ბუნებრივად გაზრდილია და განუზომებელი. აქედან: მეტი სანახაობის შეტანა თეატრში. პოეტსა და მსახიობს, ამ აქტიურ შემოქმედლებს სცენაზე უნდა მოეშველონ მხატვარი და რეჟისორი.

თანამედროვე თეატრს სამი სამშობლო აქვს: ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი. ბერძნულ-რენესანსური ტრაგედია ანგლო-საქსონურ სულის შევუღლდა და შექსპირი წარმოიშვა. შექსპირმა შექმნა, როგორც ფრანგული, ისე გერმანული თეატრი. არა მარტო ეს ორი თეატრი, თითქმის ყველა ევროპული და ნახევრად ევროპული (მაგ. რუსეთის) თეატრები და დრამატურგია შექსპირიდან მოდის. ცხადია შექსპირის მარტივმა თეატრმა არ იკმაო თანამედროვე ევროპაში.

მე-19 საუკუნეში საგრძნობელი ხდება კულტურის მატერიალიზაცია. ჯერ კიდევ რომანტიზმის უკანასკნელ დღეებში იგრძნობა ადამიანობა, რომ მატერიის შთაგონებაზე შესაძლებელია. შესაძლებელია ინსპირაცია მატერიისა. მთელი ადამიანური კულტურა მატერიის განსულებებისაკენ მიიხრავს. თანამედროვე, მსოფლიო კულტურის უდიდესი პრობლემაა: მატერია უნდა გახდეს სულის მსახური. თვით მატერიალისტური სოციალიზმი ამ პრინციპიდან გამომდინარეობს. ადამიანი მაშინ მზრუნველი უნდა გახდეს. ადამიანის საქმე სამუშაო მაშინაა უნდა გააკეთოს. ხელოვნებაში: მაშინაა, მატერია (პლაკატი, ფერადი, ფარდის, კედლის, ვიტრინის, სამოსის, ფსადის სახით) უნდა გამოსთქვას ის, რასაც ადამიანი გრძნობს, ის რაც ადამიანმა უნდა დინახოს და ივლტოს.

მოვიდა რაინპარტი, დიდი რეჟისორი. მისი უპირველესი პროგრამა: სიტყვის შესაფერი კილო უნდა მოეწმებნო. ცხადია: ტყეში, მიწორზე, თუ სალონში ნა თქვამი სიტყვა ხომ ერთი არ არის?

უდიდესი და უძლიერესი რეჟისორია რაინპარტი. მაგრამ, რაინპარტი მარტო არაფერს არ წარმოადგენს. რაინპარტი ჰქმნიდა თავის ინსპირატორებს: შექსპირის, შტრინდბერგის, პოფმანსტალის, რომენ როლანის შთა-

მ ე მ ო ბ რ უ ლ ი უ ა რ შ ი

ნაბატო შ. კიურელის



დამსახურებული მსახიობი  
ხ უ შ ა ზ ა რ დ ა ლ ი შ ე ვ ი ლ ი

გონების მიხედვით. მისი უმთავრესი საქმე იყო არა გზის ჩვენება, არამედ სიტყვისა და მატერიის ინსპირაცია.

რაინპარტი თავისი მასიური სცენებით, ფერადების სხეების, კარტონების, ნუანსების, ჩრდილისა და სინათლის აკომლადკით, ემსახურებოდა ერთად ერთ მიზანს: პოეტის სიტყვის გაძლიერებას. აქედან: რეჟისორი ძიძა—პოეტის სიტყვისა.

(დასასრული იქნება)

მ. ს.—ძე

# ექსპრესიონისტული ღრემა.

(„გაზი“—კიზერისა)

სტილის ძივმასთან ერთად ექსპრესიონიზმი ერთგვარი მსოფლმხედველობის ძივმაცაა. თავისთავად ცხადია—ამ ახალ მიმართულებას უნდა ახალი იდეა გარღვევა კაცობრიობისათვის შესახებ ადამიანის ბრძოლისა, გამარჯვება თუ დაცემისა; უნდა მოეცა ახალი იდეა ეპოქისა და ბედისწერისა ღრემაში. მიუხედავად ამისა უნდა ითქვას, რომ გარეეე ახალი წერისა და სტილისათვის გზაგზებისა ექსპრესიონისტულს ღრემაში მხატვრული აპრეცეპციის მიხედვით ძლიერი—საუფქვლიანი რამ არა ჩანს. არის აღებული

ხან ფსიქოლოგიური მომენტი ბედისწერის, როგორც მაგალ. „შიველმუნში“, ან კიდევ სრულიად ანტიური ტრადიცია: ტრანსცენდენტალური ცე. ი. ადამიანის ნება სურვილისაგან დამოუკიდებელი რამ—იმ ქვეყნური“, რომელიც არსებობს და მოქმედობს ადამიანზე მომენტი ბედისწერისა—„გაზ“—ში და სხვა. რაც შეეხება პიროვნებისა და მასის ანუ კოლექტივის დაპირისპირებას, უნდა ითქვას, რომ ეს მაინცა და მაინც ახალი, არ არის ღრამის ისტორიისათვის.



დ. მ ქ ა ვ ი ა

სახელმწიფო დრამის მსახიობი

შეზღოვნილი და სქესით ატეხილი მენადები—წარმართი ღებო.

ბუნების იღვწალი და დაუძლეველ კანონების მიერ აფეთქებული მუშები, რომელნიც ინკენერის მათემატიკურ ფორმალბის მიხედვით იღებდენ დედამიწის გულიდან ვახს, იგივე პრომეთეოსისა. — კაცობრიობისათვის ზეტას რომ ცეცხლი მოსტაცა და ამისათვის კლდზე მიჯაჭვულია. „ვაზი“-ს მიხედვით გამოდის, რომ ანტიური დრამის შოიარა (ბედისწერა) გარდღეული დალია მომყოლ კულტურათათვისაც.

ამ დრამის მიხედვით ვახი, რომ არ აფეთქებულიყო თურმე კაცობრიობა განაგრძობდა ცხოვრებას ამ ქვეყნად იმრივად, რომ არსებულ კაპიტალისტურ-ინდუსტრიალური და ბურჟუაზიული საზოგადოებით სისტემა არაის არ მიაყენებდა ზიანს და სინიდისს ქვეყნას; არ დაუხატავდა თვალწინ არსებულ ეპოქის საშინელებას, რომელიც უნდა დასძლიოს.

საქირო იყო ხალხის (მუშების) დასახიჩრება და აგრეთვე მაყურებელთა თავებზე მოქმედლ უროს დაშვება, რომ აველას ეყვინრა: „უხ, რა ყოფილა თანამედროვე ხანაო! ვანა არ არის ეს იაფფასიანი ბუტაფორია, შე მოქმედების უსუსურება? მართალია, შესაძლოა დამცეულმა განაცხადოს,—აქ ბედისწერა უფრო ფართო ხასია-

„ჯ ა ნ ყ ი ბ უ რ ი - ა ზ ი“

თანამედროვე კაცობრიობა, რომლისათვისაც არსებობს მხოლოდ კულტურის ისტორია, ისე შორს წავიდა საკუთარ ცნობიერების, მეცნიერება—ტეხნიკის და სხვათა სახით, რომ მისთვის ტრაგიული ხდება დედამიწისა და „ბუნებისაკენ მობრუნება“ (ლიტერატურულ მიმართულება: — შტურმ უნდ დრანგ-ის ლოზუნგი) ისევე, როგორც ავტონომიურ, ყალბი გზით მიმავალი პიროვნებისათვის ხალხის—კოლექტივისაკენ („შორს ბუნებისაგან“) — საწინააღმდეგო ლოზუნგია.

მავრამ, ვით ბუნება კაცობრიობას, აგრეთვე ხალხისა და მოუკიდებელ პიროვნებას აიძულებს მობრუნდეს შის წიაღში. ასეთი დაბრუნება იწვევს ტანჯვას, წამებას და მსხვერპლის ვალებას. ამ ტრაგიულ კვანძს და თუ ვნებავი, ბედისწერის იღვასაც, რომელსაც ჩასჭიდეს ხელი ექსპრესიონისტებმა და რომელიც მოსჭვივის კაიზერის — „ვაზ“-ში,—იციზობდენ ჯერ კიდევ ანტიურობაშიც. ამ მომენტს უწოდა ესქილემ — „წამებით გასწავლა საკუთარ თავისა“. ბუნების ძალია და მისგან გამოყოფილ ადამიანის ძალონის მეოხებით შექმნილ კულტურის დაპრისპირება — „პრომეთეოს“-შიც. საკუთარ კანონების და გონების საშუალებით მავალ პენთესის სახით — ეყრიპიდეს: „ეკებე“-ში — პიროვნება, კულტურა და პრისპირებულია ბუნების ბნელ ძალებთან, რომლის ალღეგორიული გამოხატულებაა დიონისიურ სიგიჟით



ა. ხინთიბიძე — ევანგეს როლში



„ქ ე ლ გ ე მ ა“

ნახატი გ. ხუჯაბეგოვისა

თისა, ვიდრ არსებულ ეპოქის შინა თუ გარეწყობილების სისტემიდან გამოწვეული რამ და ჩვენი ყურადღება მიაქციოს იმ ვარემოებას, რომ თურმე არსებობს საზღვარი სადაც ადამიანის გონება უძლეურია მიწვედს ბუნების ბრმა ძალებს და ამისათვის ბუნებას თავისთავად უპირისპირდება კულტურა... განსაკუთრებით სპეციალ შეცნობებითა მიერ დღევანდელ მიწვევათა შემდეგ... ამ განცხადებაში მარხია ფაქტების საწინააღმდეგო გამოყენება. გამოდის, რომ ფორმულა სწორია აქ და ფორმულა, რომელსაც არღვევს გონების მიღმა შეუძნობი ტრანსცენდენტალური მომენტი, —ძალაში რჩება... აი, ისევ ის „იმ—ქვეყნიური“, შეუძნობი მომენტი, კაცობრიობის წინაშე საფრთხიბოელასავით ამართული, ადამიანის გონების მათრობელი და აღმრევი შვავასად ძველთა-ძველ რელიგიებისა. მე მისმის ასეთი პასუხის სიმბიზე, მაგრამ, „გაზის“ დამცველს ის არ გამოადგება...

სულ სხვაა ვითურ, ლოგიკურ შემეცნების საზღვრები და კატასტროფა... „გაზში“ კი მათემატიკა ისეთი ზუსტი მეცნიერებაა, რომ ინეგერის ფორმულა ამ შემთხვევაში თუ უკანასკნელი არ არის სწორი, იმდენად მიუღებელია სწარმოებულ იყო ამ ფორმულით გაზის დამუშავება, რამდენადაც ის უბედური შემთხვევა, რომელიც შესაძლოა გამოიწვივა ერთ-ერთ უღისციპლინი მუშას, რომელმაც გაზთა დასამუშავებელ მალაროში ასანთი ან სიგარა ანთებული გადისროლა... ხომ ჰკრძალობ ტრადიციის „შემთხვევით“ ხასიათს? და თუ ფორმულა იყო სწორი და გაზი მაინც აფეთქდა,—ეს ავტორის საკუთარი მისტატიკაა! ბუნების და კულტურის (გონების) და გარდევალ ფაქტების (ბედისწერის) უხერხულო სიმბოლო!

ყოველ შემთხვევაში იმავ ფორმულების კატასტროფის შემდეგ არ უნდა მიდიოდეს კაცობრიობა, ამ შემთხვევაში მეშუბი, სამუშაოზე ხელმეორედ მოსალოდნელ (შემდეგი იქნება)

აფეთქებისაკენ. აქ დანაშაული (მომქმედ პირთა) ჩადენილია შეგნებულად უმეტრობის გამო; ამისათვის შემდეგს განვითარებაში დრამისა დანაშაულ მებრძოლთა სწრაფა და მათი წამება აღარ იქნება, ცხადია, მოკულო სილამაზის შექმნა და მხატვრულად გამართლებული, ვინაიდან აქ ნათლად არა ჩანს იმ საზღვარის ვარდუვალობა, რომლის იქედ გონებას არ შეუძლიან წინსვლა, საიდანაც უნდა იწყებოდეს ნაცვლად ლოგიკისა,— „ტრაგიული შემეცნება“... მაყურებელს არ უკარგებს პიესა შეკითხვის შესაძლებლობას: „რისთვის იტანჯებიან მომქმედი პირნი?“ და ეს იმისათვის, რომ იმთავითვე არ იყო მოკლირი ძირი მომქ. პირთა ვარდულ ბრძოლის, ტანჯვისათვის დანაშაულისა და არ მოგვევლინენ როგორც უდანაშაულოდ მებრძოლ-დაცემლნი. ამის გამო უსათუო აფეთქებას შემდეგ სცენაზე პიესა ცივდება და გადადის რიტორიკაში, სადაც კუროზულად გაისმის მთავარი გმირის ერთი და იგივე, მუშებისათვის დასარწმუნებელი სიტყვები ვიწრო—ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიიდან გამოვლენილი; დასტოვინ ქარხნები, ქალაქები და წაიღონენ ხნულებისაკენ—დემიოფისაკენ—„ქაათა-გროვეების ნანსტერეგებზე აღიმათებიან ამწვანებული ახალშენები“...

სულ სხვაა ევროპის ის დრამა და თუნდაც იგივე „ოელიპოს“, რომელშიაც ცერ მიპართათ გმირს შემდეგ შეკითხვით: „რისთვის იტანჯება ოელიპოს? ვინაიდან უდანაშაულობა მისი აშკარა... იგი გაურბოდა წინასწართქმულს და ბედისაგან ეკ ეყებოდა, შეუგნებლად ხიფათსა... თუქცალა „ოელიპოსში“ მოკცემულ სიტუაციის გაკება შესაძლებელი და მართებული იყო იმ დროინდელ ანტიურ ადამიანისათვის, რომლის განკარგულებაში იყო ე. წ. „მხატვრული ტრანსცენდენტალიზმის“ უნარი; უკანასკნელის საშუალებით მისთვის ბედისწერა რეალ ფაქტორად ისახებოდა.

ა. ქ.—ლ.

# ლ ა ლ ო კ ა ვ ს ა კ ე

ლადო კავსაძე, რომელიც დღეს მღერის ჩვენ სა-  
ოპერო სცენაზე, პირმო შეიღია ქართული ბოლშევის.

უცნაურია და მრავალფეროვანი ამ არტისტის არ-  
ტისტიული კარიერა.

ჯერ ველოსოპედისტი, სპორტსმენი და სახელგან-  
თქმული მოკიდაე ამ შემდეგ უკვე ცნობილი არტისტი,  
ოპერეტის საკამოდ დიდი რეპუტაციის მსახიობი და ბო-  
ლოს ოპერის მომღერალი.

ეს გზები ლადო კავსაძემ გაიარა ჯადოქრული სი-  
ჩქარით. ყოველ ამ დარგში დიდი გამარჯვება ხელა მის.  
იგი ერთ დროს საქართველოს ფელაქანთ და „ჩემპიონ-  
ნატალ“ ითვლებოდა, დღეს იგი ერთ-ერთ საუკეთესო  
ძალად ითვლება ჩვენ საოპერო სცენაზე.

ლადო კავსაძეს სამსახიობოთ ყველაფერი ხელს  
უწყობს, შმა, გარეგნობა და არტისტიული ინტუიცია.  
თანაბარი ყურადღებით ეკიდება იგი როგორც ოპერე-  
ტების ისე ოპერების პერსონაჟებს და არ ყოფილა ისე-  
თი შემთხვევა რომ ლადო კავსაძეს მიერ განსცენიურე-  
ბული სახეები ყოფილიყოს ყალბი და ეულგარული. ყო-  
ველ მის შტრისს აზის მხატვრის ბეჭედი.

ვისაც უნახავს ლადო კავსაძე კლასიკურ და თანა-  
მედროვე ოპერეტებში და შემდეგ ოპერებში ისეთ პა-  
რტიკებში როგორც კრავ ალმაიევა, („სევილიელი  
დალაქი“) ვარსკვლავთ შრიცხველი („ოქროს მამალი“) კოტე,  
„ჩქეთო და კოტე“) და მთელ რიგ სხვა ოპერებში  
ის დარწმუნდებოდა, რომ ლადო კავსაძე სერიოზული  
და ნიჭიერი მსახიობია.

ლადო კავსაძე დიდი ხანია რაც სცენაზეა და ჩვენ



ლ ა ლ ო კ ა ვ ს ა ძ ე

დარწმუნებულ ვართ იგი კიდევ ჯერ დიდ ხანს დარჩება  
და განსაკუთრებით კი დარჩება ქართულ სცენაზე, რომ-  
ლის მოღვაწეობა ჩვენ საოპერო საქმისთვის დიდათ სა-  
სარგებლო იქნება.

21 მარტს სახელმწიფო საოპერო თეატრში ლადო  
კავსაძე მართავს არტისტულ საღამოს. ლადო კავსაძე  
ღირსია იმის, რომ ამ საღამოს ქართველი საზოგადოება  
გამოეხმადურს. ა. დ.

# კ ი ნ ო

## კინო-მესპორტის შესახებ

უდავო ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტო-  
რიაზე საქართველოს კინო-მრეწველობას პირველი ადგი-  
ლი უჭირავს.

ეს პირველობა შემთხვევითი მოვლენა არ არის.  
ჩვენი კინო-მრეწველობის მიერ გამოშვებული სურათები  
გამართლებულია როგორც იდეოლოგიურად, ისე ტექნი-  
კური შესრულების მხრივაც.

და ამას ჩვენმა კინომ მიაღწია სულ მოკლე დროის  
განმავლობაში. ქართული კინოს შექმნა და გაფურცქნა  
დამოკიდებულია საქართველოს გასაბჭოებისთან, ამას კი  
სულ ოთხი წლის ისტორია აქვს.

დღეს კი უკვე ქართულმა კინო-ფილმებმა გადალ-  
ახეს საქართველოს საზღვრები, მათ დიპყრეს რუსეთის  
ბაზარი და იჭრებიან ევროპაშიც.

დღევანდლამდე გამოშვებულია 8 სურათი, დასად-  
გმელად მზადდება კიდევ ექვსი, ამას გარდა შენდება  
ატელიე-კინოფაბრიკა თავისი ლაბორატორიით და სხვა  
ტექნიკური მოწყობილებით.

ყველაფერი ეს ამტკიცებს იმას, რომ საქართველოს  
კინო-მრეწველობა გატოვებულ მუშაობას აწარმოებს;  
ის არ ემაყოფილება მიღწეული შედეგებით და დაულ-  
ლაფი და მრავალფეროვანი მუშაობით სცდილობს კიდევ

„ ნ ა კ ო ლ ე მ ნ ი ს კ უ რ ი ა ნ ი “



გ ა რ რ ი ლ ი დ კ ე

მთლიანი სურათის დადგმა აუარებელ ხარჯებს მოითხოვს. ეს ხარჯები ანაზღაურებული უნდა იქნეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერაფრითარი კინო-ორგანიზაცია ვერ შესძლებს ხანგრძლივად არსებობას.

ხარჯების განაღდების და საერთოდ მატერიალური სარგებლიანობის საკითხი მჭიდროდ დაკავშირებულია ბაზრის საკითხთან. ბაზრის დაპყრობა კი შეიძლება მხატვრულად გამართულ და კინო-ტექნიკის უქანასწებელ მიღწევებით—გამაზებელულ სურათებით.

საქართველო სწორედ კინოსთვის არის შექმნილი: აქ ყოველი კუთხე ატელიეა, ყოველი მთავარებილი, მდინარე, ზღვა, მზე, ტყე-ველი ფერების ბუნებრივი შეხვევაა. ამიტომ დანაშაული იქნებოდა ამ იშვიათ უბე ბუნების სათანადო გამოუყენებლობა.

ამას გარდა აღმოსავლეთის ჯერ არ უნახავს თავისი მხატვრული განსახიერება ეკრანზე. ეკრანაში ღივი მოთხოვნილება ასეთ სურათებზე: აღმოსავლეთის ზღაპრული ფერები და მისი ილუმინაციებით მოცული ცხოვრება იტაცებს ევროპიელ მაყურებელს.

ამ მხრივაც ჩვენს კინო-მრეწველობას ფარდო პერსპექტივები ეშლება წინ.

და თუ დღეს გერმანელი რეჟისორი ფრიც ლანგი ფუროს ახდენს ეკრანაში თავისი „ნიმულენგები“-თ, არა ნაკლები ფუროსი მოხდენა შეუძლია ჩვენს კინოს თუ გინდ „ვეფხისტყაოსანის“ გადატანით ეკრანზე.

გარდა ამისა, რომ ამას ღივი მატერიალური სარგებლობის მოტანა შეუძლია, ამას უდიდესი ეროვნული მნიშვნელობაც ექნება.

მატერიალური გაცელა-გამოცელა ერებს შორის ხომ იმაზე მდგომარეობს, რომ შენ გაილი ის, რაც სხვებს არ აქვს და, პირიქით, შეიძინო მათგან ის, რაც შენ არ გაქვს. კულტურული ცხოვრების სფეროში ეს პრინციპი ჯერ-ჯერობით სუსტად ტარდება. მაგრამ ასეთი ცდა საჭირო და მრავალი იმედების მომცემია. „ნიმულენგები“-ჩვენი პირველი ცდაა—სწერს ფრიც ლანგი თავის წერილში და მის სიტყვებში უეჭველათ არის ქეშპირიტება.

ჩვენი საბჭოთა კინოები აქამდე მხოლოდ შინაური ბაზრისათვის მუშაობდნენ. ბოლო დროს კინო ექსპორტის საკითხი საბჭოთა კავშირშიც წამოიჭრა. „სუბზაკინო“-მ პირველი ნაბიჯი გადადგა ამ მხრივ პროტოზანოვის მიერ დადგეული „აღლიტა“-თი.

საქართველოს კინო-მრეწველობამაც მიიღო სათანადო ზომები. სახლვარ-გარეთ ვაგზანილია რამდენიმე სურათი („სურამის ციხე“, „ამპის მკვლელი“ და „წითელი ეშმაკენები“), ამას გარდა მზადდება გრანდიოზული კინო ფილმი „ხაჯი-მურატი“.

კინო საქართველოსთვის დაუშრეტელი შემოქმედების წყაროა. ის, რაც უყვარს კინოს, აქ უხვად არის მიმოხილული.

ჩვენ შეგვიძლია გავხედოთ როგორც კინო-სურათების, ისე კინო-მსახიობების უდიდეს ექსპორტერათ. მუშაობის გაფართოებისა და გაძლიერების შემდეგ ამის მიღწევა ადვილად შეიძლება.

ახალი გამარჯვება მოუპოვოს საბჭოთა კინემატოგრაფიას.

რაშია ქართული კინოს ასეთი სწრაფი ზრდის და გამარჯვების მიზეზები?

უპირველეს ყოვლისა ის უნდა ვეძიოთ კინო-ფილმების შინაარსში, რომელიც მდიდარია რეეოლიუციის მიერ გადახალისებულ ქართულ ცხოვრებიდან ამოღებულ სხვა და სხვა მომენტებით. ამას გარდა ამ ფილმებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს წარსული ცხოვრების დახასიათებისა.

ქართული კინოს წარმოებითი წინსვლის მეორე მიზეზი მდგომარეობს ქართული ბუნების მრავალფეროვნებასა და იშვიათ სილამაზეში. ამას თან ერთვის ქართული არტისტიული ნიჭის სიმდიდრე, რაც ხელს უწყობს ეროვნული კინემატოგრაფიის შექმნას ეროვნული ძალიებით.

ამ ეპოქა ჩვენ გვიანტერესებს ერთი საკითხი, რომელსაც მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს საქართველოს კინო-მრეწველობამ. ეს არის კინო-სურათების ექსპორტის საკითხი.

ენობილია, რომ კინო საქმათ ძლიერი და ამასთანავე ინტერნაციონალური ხელოვნებაა.

ტექნიკურად დამთავრებული და შინაარსის მხრივ

# მხატვრული ლიტერატურა

## სიკვდილი კომუნარისა

(სურათი პარიზის კომუნის დროის)

მ ო მ მ მ მ დ ე ნ ი

პოლ დუზე — მუშა, კომუნარი.  
ჟანა — ცოლი.

პიერ მარია — ამათი შვილები.

პატერი ოფიცერი და ჯარისკაცი — ვერსალელები.

(სცენა: პერ-ლაშეზის სასაფლაოს ერთ-ერთი გარეთა კედლეთაგანი, რომლის იქითაც მოსაჩინველსის ცალი კუთხე, ჯარები, მატურები, (ძეგლები), ხეხილები — ერთი კართი, რომლის წინ თასმანზე გადავადებულ თოფით მიდი-მოდიის ერთი ჯარისკაცი.

ცოტა აქვთ, მოშორებით, ერთი ხის ძირში დაუნთითათ ცეცხლი, სადაც ორი ჯარისკაცია — ერთი ხნიერი, მეორე ახალგაზრდა. ხნიერი წამოწოლია და ჩიბუხს წვეს, ახალგაზრდა ქეაზე ზის, მარცხენა მკლავი ჩამომხული აქვს; დაღონებულია. თოფები იქვე აყუდია ჯოჯინად (პირამიდა) დათილია. შორს, დროგამოშვებით, ისმის სროლა. პაუზა).

1 ჯ.-ჯ.—სროლა კიდევ არ შეწყვეტია... (ჩიბუხს იკეთებს).

2 ჯ.-კ.—ეს მეთვარამეტ სისხლიანი დღე თენდება. (პაუზა). ნეტავი კიდევ ბევრია დასახერტი?... ეს პერ-ლაშეზის სასაფლაო გაიქოს დახერტილ კომუნარებით!

1 ჯ.-კ.—ჰმ! სულელები... რა აჯანყებთ? ჩვენ რომ გვეპრძევიან რას გახდებიან!..

2 ჯ.-კ.—შენ ეგრე გგონია? (პაუზა).

1 ჯ.-კ.—თამაჟო არ გინდა?

2 ჯ.-კ.—არა! (პაუზა).

1 ჯ.-კ.—(სიცილით) ამ მკვდრებს, რომ გვადარაჯებენ, ხმამ არ ეშინიათ გაცოცხლებისა? (პაუზა) გუშინ-წინ, მარსის ველზე ოთხასი დაუხერტილია, რომელთაგან სამოცი ქალი ყოფილა და ოცდა თორმეტი ბავშვი. დახოცილების აკრეფის ვერ ასდიან და კვირებში ჰყრიან დაუფარავნი; ისე უარს მძორები, რომ ახლოს ვერ გაივლი.

2 ჯ.-კ.—(მწუხარედ) ყველა უბანში ხდებდა ასეთი ამბები. ჟურნეტულს გივლის ტანში ეს სურათები! გენერალი მარკიზ დე-ვალდე არავის ინდობს.

(დასასრული იქნება)

მით უმეტეს, თუ ხელები დაკოჟილიანი შენიშნა.

1 ჯ.-კ.—აბა, შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ და, მხოლოდ სედანის ომში იყავი, მე-კი, რა გითხრა, ამ ომებში დაებრდი. ნაპოლენ და დიდის ომებსაც კი მოვესწარი; აქამდის სულ ჯარში ვარ და, სად არ იყავი, რა სისხლის ღვრები არ ვნახე, მაგრამ ასეთს ხოცვას არ მოვესწრებოვარ!..

2 ჯ.-კ.—მერე და გაუსამართლებლად!..

1 ჯ.-კ.—არა, ეს წყევლები, როგორის თავანწირვით იბრძვიან, და! ასე ერთპირად რამ შეაკავშირა? დიდიან პატარაიანდ ერთმანეთზე უარესება! იმ დღეს ბატანიოლის მხარეს, ერთ ქუჩაზე, ბავშვებმა საშჯერ დაგვახვივნეს უკან, მათ ბარკადას, რომ ვუტყვილი; მაგრამ გიხაროდეს (ვევნით) მეოთხე იეროზე ავიღეთ ბარკადა და სულ ხეშტებზე ავაგეთ ის პატარა ლუკები!

2 ჯ.-კ.—შენ, ვესტაჟე, შეუბრალებელი ხარ!..

1 ჯ.-კ.—უჰ, ეს ცეცხლიცა ქრება! არაჟი მაინც გეკონდეს, რომ ცოტა ძარღვები გაეითხოთ. ეს ჩვენი ოჯახკორი უფროსებიც მაშინ კი ბევრს გეასმევენ ხოლმე, უფროსებიც ბრძოლაში მიყვართ და ეხლა-კი... (ისმის საყვირი) ჩასვირი?! ჰმ, ალბად სანდვ კიდევ მიავუნეს ჩასაფრებულ კომუნარებს და უტყვენ. (გაისმის სროლა) უჰ, იქ მაინც ვიყო!

2 ჯ.-კ.—როგორც ვატყობ, ეს სისხლის ღვრა, ხოცვა ვლტვა, მუღღივი ომები კაცს ამხუცებს პირდაპირ და აი შენიც!..

1 ჯ.-კ.—(იციხის) რა ბაღი ხარ, ემილ! არა, შენ მარტოვად ვულტვა კი არ გეგონო! იმ დღეს, ბლანშის მოედანზე რომ ვუტყვდილთ ქალთა ბატალიონის ბარკადას, სწორედ გითხრა, ეს ქალები კი არა. ძუ ევეუბები იყვნენ... როგორ იცავდენ ბარკადას! მთირად კი დავევსეგს. ბევრი ისეთი ლამაზი იყო, რომ ცოდო იყო იმათი დახოცვა, და შეგებრა... ეთფიქრე: სად არის ერთი ჩემი სიჯილე-მეთქი! (იციხის).

2 ჯ.-კ.—შენ ბებერი მულა ხარ! (პაუზა).

ს. ერთაწმინდელი

# მუშათა კლასი და ხელოვნება



ონისიმე დადიანი

## ონისიმე დადიანი

ვინ არ იცნობს ამ კეთილსინდისიერ მოამაგეს ქუთაისის სცენისა, რომელიც აგერ 33 წელიწადი ემსახურება ქუთაისის სცენას, როგორც გამოცდილი და ერთგული მუშაკი. ის სრულიად ახლავრდა მოვიდა ქუთაისის სცენაზე და დღემდე ენერგიულად განაგრძობს მუშაობას.

ონისიმეს იცნობს ყველა ქართველი მსახიობი, როგორც ხელოვნების მოყვარეს, გამოცდილ მუშას მემანქანეს, თავის საქმის საუკეთესოდ მცოდნეს და კეთილსინდისიერ ადამიანს, რომელთანაც მსახიობები ყოველთვის იყენებენ მეგობრულ განწყობილებას.

ამ ახლო ხანში ქუთაისის თეატრში გაიმართება ონისიმე დადიანის იუბილე მისი 33 წლის აღნიშნულ თეატრში მუშაობის აღსანიშნავად.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ქუთაისის საზოგადოება და სათანადო ორგანიზაციები დააფასებენ მის ჩემ და ნაყოფიერ მუშაობას.

ხ. ხ.

## ტრანსკორტზე მომუშავეთა კლუბი.

კლუბი მოთავსებულია ალექსანდრეს ბაღში, ყოფილ ალექსანდრე-ნეველის ეკლესიაში. საკერძოების ალგას მოწყობილია კოპწია სცენა. დარბაზი იტევს 300 მაყურებელს. კლუბის წევრთა რიცხვი არის 800 კაცი, რომელთა შორის შედიან: მტვირთვანი, მზიდავნი და მედროეანი. კლუბთან არსებობს ადგილობრივ ძაღვებისაგან შემდგარი დრამატიკული ქართულ-სომხური, რომელიც მართავენ წევრთათვის კვირაში ერთხელ უფასო წარმოდგენებს. აქვე არსებობს წრები: პოლიტ-წრე, პროფესიონალური, ფიზკულტურის. არსებობს მომღერალთა გუნდი. ასევე არის მოწყობილი ქალთა წრე: რომელთაც აქვს საკუთარი პოლიტწრეები და სხვა. აქვე საკუთარი კედლის გაზეთიც, რომელშიც მონაწილეობენ წევრთებული ძაღვით კომკავშირელები, კომიაჩიეის წრეები და თვით მუშებიც. არსებობს კარგად მოწყობილი ლენისის ქუთხე მდიდარი ლიტერატურით. აქვე სამკითხველო-ბიბლიოთეკა სადაც ყოველთვის მოიპოვება ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები. წევრები სარგებლობენ წიგნებით, მიაქვთ საბაღშიც და საერთოდ დიანტერესებული არიან კულტურული მუშაობით. არსებობს კლუბთან აგრეთვე კომკავშირელების პოლიტ-წრეები. კლუბში იციხება მოხსენება-ლექციები. ქართულ-რუსულ-სომხურ ენებზე. აჩვენებენ კინო-სურათებს, შესაფერისი რევოლუციონური შინაარსით. კლუბი ამ დღეებში აწყობს წევრთათვის ექსკურსიებს ზემო-აეკალის „ნაპესში“ და

რადიო სადგურში. ზაფხულში ექსკურსიები განაგრძობს სხვა ადგილებშიც. დღეს 15 მარტს კლუბში დაინიშნულია ქართული დრამის წარმოდგენა. წარმოადგენენ „შემიწებულ ანთიმოზს“ ვოდ. 1 მოქმედებად. კლუბს აქვს კარგი ორიოლი. საერთოდ წევრები დიდის ინტერესით და ხალხით ესწრებიან წარმოდგენა-მოხსენებებს.

მუშკორი ვანი

## გემო-კვების კავშირის მუშათა კლუბში

გემო-კვების კავშირის მუშათა მეტოე რაიონის კლუბი იმყოფება 19 თებერვლის ქუჩაზე და წევრებად შეიდან ამ რაიონის თამბაქოს ქარხნის, წისკვილების, კამფეტის ქარხნის და სხვა მუშები. კლუბში არის მოწყობილი პატარა დარბაზი წარმოდგენებისთვის, რომელიც იტევს 150 მაყურებელს. თვით სცენაც პატარაა და მუქად ღარიბი. არა აქვს არავითარი მოწყობილება, რეკვიზიტი. აქ იმართება ყოველ კვირა ქართულ-სომხური წარმოდგენები. მუშები საქმად ესწრებიან წარმოდგენებს. კლუბს აქვს პიანინოც. მოწყობილია ძალიან ლამაზი „ლენინის კუთხე“ სადაც მოიპოვება სავალო ლიტერატურა ყველა ადგილობრივ ენებზე. სამკითხველოში მოსდით ყოველწლიური ჟურნალ-გაზეთები. მდგილობრივი და მოსკოვისაც. იკითხება ლექციები პროფმომობაზე. სანკანაღლესაზე, და სხვა ქართულ-სომხურ ენებზე, მუშები როგორც წარმოდგენებს, აგრეთვე ლექციებს ხალხისთანად ესწრებიან. ხანდახან იმართება წარმოდგენა რუსულ ენაზეც. წარმოდგენებზე მუშების განსაზღვრულ რიცხვს უფასოდ უშვებენ.

მუშკორი სპარტაკი

# პროფეომკრაობა და ხელოვნება

## სრულიად საქართველოს ხელოვნების მუშაობა კავშირის მე-V-ე ყრილობა

აშხ. ი. გედევანიშვილას მოხსენება.

(გაგრძელება)

3- პროლეტარული ხელოვნების მუშაობა შორის მუშაობის გაძლიერება და პროლეტარიატისა და გლეხობის წრიდან მუშაკების წარმოყენება სახელგონო დარგის ყველა სფეროში.

უნდა აღენიშნოთ, რომ საქართველოს ხელოვნების მუშაობა პროლეტარიატის პირველმა მიაქცია ყურადღება სახელოვნო საქმეთა რეორგანიზაციის საკითხებს. გამოიმუშავა დებულება სახელოვნო საქმეთა ცენტრალიზაციისა და მხარეთვლიობის შესახებ. დებულება განხილული და დამტკიცებული იქნა უმაღლეს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში. ამ დებულების მიხედვით მუშაობს დღეს სახელოვნო საქმეთა მთავარი საბჭო და მისი პრეზიდიუმი.

მთავარ საბჭოს ევალება სახელოვნო საქმეთა ხელმძღვანელობა რესპუბლიკაში. საბჭომ უნდა შეიმუშაოს მუშაობის საერთო ხაზი და გაატაროს ერთიანი პოლიტიკა სახელოვნო დარგში.

პრეზიდიუმი ატარებს ცხოვრებაში პლენუმის ყველა დირექტივებს და უშუალო ხელმძღვანელობას უწევს აღმინისტრატულ და სამეურნეო მუშაობას ხელოვნების ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციებში.

პრეზიდიუმი განაგებს და მას ემორჩილებიან შემდეგი დაწესებულებანი:

- 1- აკადემიური თეატრი.
- 2- სახელმწიფო კონსერვატორია ორი მუსიკალური მუშეაკთა და სტუდიით.
- 3- ქუთაისის მუსიკალური ტენიკუმი.
- 4- სახმატერო აკადემია და მხატვარ თოიძის სტუდია.
- 5- ხელოვნათა სასახლე.
- 6- თელავის და სიღნაღის მუსიკალური სასწავლებლები.
- 7- სამუსიკო სასწავლებლები.

სახელოვნო საქმეთა მთავარი საბჭოს საერთო ბიუჯეტი: საბოლოოდ პრეზიდიუმი ჩამოყალიბდა წარსულის წლის ნოემბრის დასასრულს და მამონიე შეუდგა მუშაობას.

პრეზიდიუმის პირველი ნაბიჯი იყო ყველა სახელოვნო დაწესებულებათა დათვალერება და მათი მუშაობის გაცნობა-გამოკვლევის დროს გამოირკვა, რომ

ბევრ ჩვენ დაწესებულებებში არ არსებობდა არაერთიარ ინსტრუქცია და დებულება, რომლთაც უნდა განსახლერულერო, როგორც მოსამსახურეთა შტატის შემადგენლობა, ისე მათი უფლება მოვალეობანი. ამ გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ბევრ ჩვენ დაწესებულებაში სრული არეუდარევა სუფევდა. სწორედ ამ გარემოებამ შექმნის სულის შემუთავი ატმოსფერია და განხეთქილება აღმინისტრაციისა და თანამშრომლთა შორის, რომლის შედეგი იყო მუშათა და გლეხთა ინსპექციის რევიზია აკადემიურ თეატრებში.

ამ ეამად პრეზიდიუმს შემუშავებული, მიღებული და დამტკიცებული აქვს შემდეგი დებულებები, რომელნიც უნდა გატარდეს ცხოვრებაში:

- 1- სახელოვნო საქმეთა მთავარ საბჭოს, მისი პრეზიდიუმის და განყოფილებათა დებულებანი.
- 2- ინსტრუქცია საფინანსო-სამეურნეო აპარატებისათვის.
- 3- თეატრების მხარეთვლიობის დებულება.
- 4- სახელმწიფო კონსერვატორიის დებულება.
- 5- სახმატერო აკადემიის.

ზემოხსენებულ დაწესებულებათათვის დამტკიცებულია მოსამსახურეთა შემადგენლობაც.

აშხ. გედევანიშვილს მოყავს ციფრები საოპერო თეატრის. აკადემიური დრამა და მუსიკალური სასწავლებლების შესახებ. აღნიშნავს იმ დეფიციტს, რომლის გამო შეუძლებელი იყო ახალ დადგმებზე ფიკრი, რადგან შემოსავალი შრომის ხელფასის დეფიციტის დაფარვის უნდებდა. ყრილობის ყურადღებას მიაქცევს იმ არა ნორმალურ მდგომარეობას, რომელიც დღეს არსებობს მუსიკალურ სასწავლებლებში, განსაკუთრებით კონსერვატორიაში და ამბობს- წარმოვიდგინოთ, რომ კონსერვატორიაში ისე კარგად დაეყენეთ საქმე, რომ სამი ან ოთხი წლის შემდეგ 936 მოწავიდან, რომელიც დღეს სწავლობს კონსერვატორიაში, 468 კაცმა (50 პროცენტ) საუკეთესოდ ჩააბარა გამოცდები. ეს ხომ უბედურებაა, როგორც მათთვის, ისე ჩვენთვის. სად უნდა წავიყვანოთ ეს ხალხი? ვისთვის არის საჭირო ამდენი მუსიკოსები ყოველ წლივ? ეს ხალხი მომეტებთა უფუშვართა არმის.

შეძლებულია ასეთი მდგომარეობის დაშვება. კონსერვატორიის ახლო წარსული, ეს განუწყვეტელი რეორ

განიზაცია. დახურვა, დახოვნა სალიკვიდაციო და ასე დაუტოვებელი.

ჩვენი სამხატვრო სასწავლებლები შეტად გაბერილია, თუ შეიძლება ასე ითქვას, უმარავი მოწაფეებით და მიტან გამოწვეული უმარავი ხარჯით. ასეთი მდგომარეობა არ შეესაბამება არც ჩვენ მოთხოვნილებას და არც საფინანსო შესაძლებლობას.

ამ სიტყვებს აღთქმის მნიშვნელობა ესლევა. გინდა იფიქრო, რომ შუადღის სიცხით მთვლემარე პოეტს დაღესტნის მზით მოკულს ველებში ეზმანა ჩერჩილთ ეი. ლაც შემუშნევე ბედისწერის და ყოვლის მზილველი.

ტრადიული სული პოეტის აქ მსგავსია „კასანდრა“-ს რომელიც წინასწარ ხედავს ტროადელ გმირის აღამბუნონის დასაღებულ მომართულ „სისხლიან კულს“. მოხეცებულებს არ ესმით კასანდრა წინასწარმეტყველება და ეკითხებიან უკანასკნელს:

„Богом объятя что иступленная зришь впереди душа?“ („ალამბუნი“ ესტილე).

ასეთია დიდი გრძობა და ფიქრი შუადღესთან ზიარებით გამოწვეული. თუნდაც ისეთი ვით ვ: სოლოვიოვის ეგვიპტეს დამხსნეველ პირამიდებთან.

პიროვნება ვერ იტევს „ენებიან შუადღის“ სიხით სულის აღსვებას. სულში გადმოღის ყველაფერი და ყველაფერია სული

სულში იმარჯვებს მღვდმარეობა ექსტაზიური (ekstasis) ეს არის სული ამობოკრებული, რომელიც ისრაფვის მოვიდეს, როგორც ქაბიზხალი, თავმუყავებელი „ხითხითი თხა-ფეხა ღმერთის“—ჰანის. უკანასკნელის ფოჩიანი ცხოველური ჩლიქები მატარებელი დიდი საიდუმლოების სიბრძნისა.

„ელადაში არ იცოდენ ნამდვილი ვითარება ამ საიდუმლო შეკრებების—ღვთაებრივ—აღმაინურის და ცხოველურ—ნიდირულისა“. (დ. მერეკოვსკი).

**გრ. რიაკიძე**—თანამდროვე ქართველ პოეტს—ეს პრობლემა შუადღის კარგად აქვს ვადაპირილი სხვათა შორის თავის საყურადღებო **ლექსში**: „პანი“.

ჩვენ მიერ აღნიშნული შუადღით გამოწვეული განცდა ნიქშეს ტერმინოლოგიით „დიონისიურ—ტრაგიული შემეცნებაა“. იგი პეგულსხმობს არსში არსებულ წინააღმდეგობათა და საშინელებათ ხილვას. შემომქმედი ახერხებს ამ ქვეყნად არსებულ წინააღმდეგობათა და ბედისწერის (ფატუმის) უშიშარ ხილვას.

ეს ისეთივე მოთხოვნაა და სურვილი ზედისწერასთან ბრძოლის როგორც ვიცით მაგ. „პრომეთეოსში“ — ესქილსა, „აფუსტში“ და სხვაგან — „Versucherische Kapferkai.“

ამ სიტყვიდან ჩვენსენ მომართულია უკვე ნიუტონს ტრაგიული თვალები, რომელნიც ითხოვენ პასუხს დასტურით შემდეგ მის შეიკისხვაზე:

„განა არ არსებობს ერთგვარი თვისება სულისა, რომელიც მოისწრაფვის არსში არსებულის ყოველივე სასტიკის, გამოურყნობის ძიებად? რომელიც გვევლინება წყურთილი დატკობისა, ძალაზე მჭკეფარე ჯანსაღობის, სიცოცხლის აღვხილვიდან მოვლენის გამო? გან-

საკუთრებული მაცდური მხნეობა ყველაზე უფრო მძაფრი შეხედვის, რომელიც ითხოვს საოცარს, როგორც მტერს, როგორც დარსველ მტერს, ვისთან ბრძოლაში შეიძლება გატოლება ძალისა?“

თავისი განსწორება „ყოველივე სასტიკის“ ანუ (რომ გადაეთარგმნოთ) Moira-სათვის — ტრაგიულად შესრულებული მახატურული შემეცნებაა.

მსოფლიო საიდუმლოების შემეცნება ძნელად მისაწვდენია. ნიუტონს აზრით მისი სრული მიწვდენა შესაძლოა წარმოვიდგინოთ, მხოლოდ, უღლის ფორმით, რომელიც იშუა „მუსიკის სულიდან“ ე. ი. — ფორმით ტრალედისა.

აღ. ქ.—ლი.

# მ უ ს ი კ ბ

## ს კ რ ი ა ზ ი ნ ი.

სკრიაბინი სიკვდილის წინ ამბობდა: ტანჯვა სპირაა. რომ იგი თავს მშვენიერად გრძნობს.

დიდებული კომპოზიტორი სიკვდილს ადვილად შეუირვდა. ან რა ჰქონდა შეურთებელი? მისი სიცოცხლის გენია სიკვდილზე უძლიერესი გამოიდა.

ადამიანის მაღალი ტრაგედია მუდამ პარზონიულ დასრულებას პოულობს. ასეთ პარზონიულ დასრულებაზე არის აგებული შექსპირის უკუდავი ტრაგედიები.

შეიძლება სკრიაბინი, დოსტოევსკის შემდეგ რუსეთში, ყველაზე დიდი ხელოვანი იყოს.

ასეთია პარალელი:

დოსტოევსკი სატანისტური სიძლიერით შეიჭრა რუსეთის პსიხოლოგიურ ცხოვრებაში და თავისი მკვეთრი სიტყვით განახსენულა რუსეთის ტრაგედია. შერვალის მაღალია ინტელიცია მწინასწარ იგრძნო რუსეთის რევოლუციის ურავანა.

არა ნაკლები სატანისტური სიძლიერით შეიჭრა სკრიაბინი რუსეთის ცხოვრებაში და თავისი კომპოზიციების მუსიკალური პათოსით და გენიალურად დაწყებულ ტენსიკით მოახდინა მთელი რევოლუცია მუსიკალურ ხელოვნებაში. აქ სკრიაბინმა რუსეთში გააქეთა ის, რაც ბეთჰოვენმა გერმანიაში და საერთოდ მთელ მუსიკალურ მსოფლიოში.

გლინკა, მუსორსკიმ შეჭმენეს რუსული მუსიკალური დრამები. ჩაიკოვსკიმ აამეტყველა რუსეთის მელანქოლია და თავის ნაწარმოებებში აღიესო ჩრდილოეთის ლირიზმით.

შეგრამ განცალკევებით სდგას სკრიაბინი. მის კომპოზიციებში არ გამოსკვეთის მუსიკალურ დრამის საწყისი, არ არის ჩაიკოვსკის მაღალი ლირიზმი, მაგრამ მასში არის სიმფონია. მე ვიტყვი უფრო სხვანაირად: ტრაგიული სიმფონია. მისი „ღვთაებრივი პოემა“, „ექსტაზის პოემა“ და „პრომეთე“ (ცეცხლის პოემა—რო-

გორიც იგი თვით უწოდებდა) არის წყარო მისი შემოქმედების გასაგებად.

სკრიაბინმა ისე, როგორც ბეთჰოვენმა შეჭმენა ხმების და სმენის სამფლობელო. ბუნების უსულო საგნები მის კომპოზიციებში სკოცლობენ ისე, როგორც პოეტის რიტმიული წყობის ლექსებში. სკრიაბინმა შეჭმენა ასეთი რიტმიული წყობა-მუსიკაში.

ჯერ რაც გაკვირვებთ სკრიაბინში ეს ის არის, რომ იგი ექსტაზით, სპირალის ხვეულებით მიდის ზეით — მზისაკენ. მისი კომპოზიციების ხმები სასევა მისტიურ თარიღულით. იგი აბიჯებს კოსმიურ სფეროში და აქ სკრიაბინი გვევლინება, როგორც ტიტანი, როგორც ამაყი ადამიანი.

და ხშირად, როდესაც მის ტემპერამენტში სჩქეფს ეულკანიური სიძლიერე — არა გჯერა, რომ იგი შეიღია ჩრდილოეთის მუსხვე ბუნების. არა, ეს ადამიანი იქ უნდა დაბადებლიყო სადაც მზე კანს სწეავს და გახურებულია ადამიანის ვენა.

როგორც დანტე თავის „ღვთაებრივი კომედიაში“ სულიერ განწმენდას პოულობს უმაღლეს ალსავლის საფეხურებზე, ემპირიულ შემეცნებაში, ისე სკრიაბინი თავის სულის განწმენდას პოულობს „პრომეთე“-ში (ცეცხლის პოემაში). აქ სკრიაბინი ჩვენ წინაშე სდგას არა მარტო როგორც მუსიკოსი, არამედ როგორც მუსიკოსი-პოეტი, მუსიკოსი-ფილოსოფოსი.

„პრომეთე“-ში მოცემულია მუსიკალური რიტმების ნამდვილი სტიქია. სკრიაბინის პრომეთე არის სიმბოლო ადამიანის განახლების. მხოლოდ ეს განახლება მოდის უტეხი ბრძოლით. მის პრომეთეში როგორადც ესტუმს პრომეთეში ბუდობს უკუდავი რევოლუციონერი. თვით პოემა შავნებელ ფონზე იშლება. მისი მუსიკალური ილიუსტრაცია აქმნის საშინელ ქაოსს და ამ ქაოსში გაისმის ძლიერი ხმა. მედღერი ხმა რომელიც მოწოდებულია ძველი ქვეყნის დასანგეივით.

საკირველია: სკრიაბინმა თავისი „პრომეთე“ შექმნა მაზინ, როდესაც დადგა „ძველი კულტურის“ კრიზისი. ესე იგი ომიანობის ატების წინა წლებში. მის შემდეგ განვლო რამდენიმე წელიწადმა და ძველ სამყაროს მოედო პრომეთეს ცეცხლი, რომელიც ავიზღიხდა რევოლუციის დიად ალში.

პრომეთე“-მ გასსნა ახალი პერსპექტივები მუსიკალურ ხელოვნებაში. იგი ჩვენ მოგვევლინა ახალი: „აოკალიზის“ სახით და გვაუწყა ახალი პერიოდი—შოფლიზმი.

„პრომეთე“-ში—ამბობს იგორ გლებოვი, გარდაშლილია ახალ ქვეყნის შემოქმედების აქტი, იმ ქვეყნის, რომელსაც ახალი ადამიანი უყურებს ექსტატიური აღფროვანებით.

სკრიაბინის მუსიკალური გამშების ხეულები ჰქმნიან უცნაურ ხმების სამყაროს. მის ჩემში არის კაბრიზი, სიყვარულიც და მალაღობი ტრაგიული გინცდა.

პირველ ხანებში სკრიაბინი დიდ გავლენას განიცდიდა ლისტის და ვაგნერის იგი წინიბოლა ამ კომპოზიტორების პარამონიულ ხმების სიმდიდრით, მათი სინტეზით. განსაკუთრებით სკრიაბინზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ვაგნერის ორკესტრის ხმურმა.

სტიქია რომელიც იყო ვაგნერში შეიჭრა სკრიაბინის კომპოზიციებშიც.

სკრიაბინის ყოველი პრელიუდიები, ნოქტურნები და სინატები რომელიც მან დასწერა ფორტპიანოსთვის წარმადადებენ კამერულ მუსიკის უმაღლეს მიხვევებს. ამ სფეროშიც იგი ყველაზე ძლიერი გამოდგა და შეძლება დიდ ხნობამდე ბადალიც არავინ გამოუჩნდეს.

სკრიაბინის მუსიკალური კომპინაციები, ღრმა ექსპრესია და ფორტპიანული შესრულება განუწერიებელი დარჩება..

სკრიაბინის ნაწარმოებების კრისტალობას ჩვენ მიეყვებათ იმ სფერომდე, სადაც ისობა ზღვარი ხელოვანის შემოქმედების სიფაქიზის. მეტის მოცემა აქ აღარ შეიძლება. ეს არის უქანასენელი წერტილი. უქანასენელი აპოგეია და ამ აპოგეიაზე არის ახსული დიდებულ კომპოზიტორის ყველა ნაწარმოებები.

როდესაც უსენ სკრიაბინის კომპოზიციებს თიაქოს რწმუნდები ხელოვანის მაგიაში. თუ არ მაგია სხვა ვერაფერი ვერ აამეტყველებდა ადამიანის სულს ისე, როგორც აამეტყველა სკრიაბინმა.

სრიაბინი არის სიმიდრე რუსულ მუსიკალურ ხელოვნებისთვის. ამავე დროს იგი არის სიამაყეც მთელი რუსეთისათვის.

ვახტანგ ვარ იყა.

## მიგაის გასტროლში

„ვევნი ონეგინი“

პირველი გასტროლი მომლორალ მიგაის შესდგა 26 მარტს, ოპერა „ვევნი ონეგინში“. მიგაის გამოსვლას ონეგინის პარტიაში ტფილისის სცენაზე დაუსრულებელი ტრიუმფი ხედა. მიგაი არამც თუ დიდი მომღერალია, საიშვითაო ლირიულ ბარიტონის მქონე, არამედ დიდი მხატვარია, დიდი ვოკალისტი. არტიტმა პირველ წარმოთქმულ ფრაზიდანვე გეცნობა რომ იგი ვოკალურ ხელოვნების მესაიდუმლეა. დიდი სიფაქიზით, დიდი ნიუნსებით და არა ჩვეულებრივი პიანოთი ჩაატარა მიგაიმ პაემანის მესამე სცენა. ხმის ფიორიოვკა, მალაღობი ფას სიწმინდე უაღრესი კეთილშობილება მედიუმში და მუსიკალობა - მომჯადოებელი. იყო თავიდან ბოლომდე.

მაგრამ ნამდვილ აპოგეიამდის ბარიტონი მივიდა მეექვსე და მეშვიდე სურათში. ტატიანასთან შეხვედრა და შემდეგ საფინალო არია შესრულებულ იყო არაჩვეულებრივი დრამატული სელით. მიგაის შესრულებაში მთლად იკარგება ოპერის ტრაფაგეტი. მომღერალი იძლევა ისეთ ფრაზებს რომ ადვილად ვერ დაიფიწყებ. საერთოდ უნდა აღინიშნოს მისი ინტონაცია რომელიც დაწმინდილია და სასუა მოდულაციებით.

მიგაის ეტყობა ახალი სკოლა, სკოლა სტანისლავსკის სახელობის მუსიკალური სტუდიის. ამბობენ მან ეს პარტია ვაიარა სპეციალურად სტანისლავსკის ხელმძღვანელობით. სტანისლავსკი საოპერო ხელოვნებასაც ახალ



ს. ი. მიგაი.

საფუძვლს უყ: ის. ოპერის მომღერალსაც ისეთივე მკაფიო ღიქტია უნდა ჰქონდეს როგორცადაც დრამის მსაგორს, აი ახალი დევიზი სტანინსლავსკის მუსიკალურ სტუდიის.

და მართლაც მიგაის ღიქტიაში არ იკარგება არც ერთი სიტყვა. საუცსოვო ტენიკა, თავისუფალი სუნთქვა

და ბოლოს დიდი ვოკალური კულტურა მიგაის ჰხდის მსოფლიო საოპერო სცენაზე ერთ-ერთ თვალსაჩინო არტისტად.

თეატრში ტევა ადარ არის. დაუსრულებელი ავაციები. დიდი ალტაცება.

არმან დიუვალ.

### მოზუჟინი

ა. მოზუჟინის. ვასტროუები ტფილისის მულომანთათვის და ფართე წრეებისთვისაც წარმაადგენს ხელოვნების დიდ დღესასწაულს. მოზუჟინის ტფილისის საზოგადოება იენობს 1911 წლის სეზონიდან როდესაც მიმღერალი პირველადე დიდ ყურადღებას იპყრობდა. რამდენიმე წლების შემდეგ მოზუჟინმა მთელ

მუსიკალურ მსოფლიოში ოიხევა დიდი სახელი. მას ბევრი ადრია და შლიაპინს და მართლაც შლიაპინის შემდეგ რუსეთში მოზუჟინი მეორე ზასაი თველება.

მოზუჟინი არ არის მარტო ოპერის მომღერალი. იგი არტისტი და არტისტიული ალოთი აქვს განსახიერებელი ყოველი როლი. ის რეფორმები, რომელიც და-



ა მოზუჟინი და მისი მეუღლე მსახიობი ელეო კაჩინი.

ამყვირა შლიაპინმა საოპერო სცენაზე, მოზუჟინმა საესტეით მიიღო და ამ დარგში მას დიდი მიღწევებიც აქვს. სადაც კი მოზუჟინი იყო ეერობაში, იაპონიაში თუ ჩინეთში, ყველგან არტისტი დიდ აღდგომივანებას იწყევდა. მოზუჟინი ერთ და იმავე დროს დიდი ვოკალისტი,

დიდი არტისტი და კონცერტანტი. როგორც კეშმარტმა ზხატარი მან გაარღვია საოპერო ხელოვნების რუტინა და შალია ხელოვანის ინტელიციტი მან განსჭერია ისეთ მუსიკალურ ხელოვნების შედერები როგორცადაც „ბორის გოდუნოვი“ და „ფაუსტი“ (მეფისტოფელი).

### გალატე ტფილისის სახ. ოპერის სცენაზე

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რომ ოპერის სცენაზე ბალეტი თავაშობდა უმნიშვნელო როლს. ჩვეულებრივ გამაოდიდა ოთხმა, იშვიათად ექვსი წყვილი მოცკევეთა, რომელთა შორის იყო ერთი ან ორი კავალერი და ჩვეულებრივად კავალერების როლს ასრულებდნ ბალერინები; არ იყენნ სოლისტები და დამოუკიდებელ საბალეტო სპექტაკლების დადგმაზე ხომ ფიქროც არ შეიძლებოდა. ცნობილმა მორადკინმა, პერინის სორიოგრაფილ ხელოვნების სტუდიის დახმარებით, დააყენა ფესხეტფილისის ბალეტი. მორადკინის წასვლის შემდეგ ოპერის

სცენაზე ბალეტი ისევ დაცვა, მიუხედავად იმისა, რომ ფიხეტეტრას უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება ექცევა, ეს დარგი მაინც იყო ჩრდილში. როცა მიმდინარე სეზონის დასაწყისში საბალეტო განყოფილება ჩაბარეს ახალგაზრდა მოცკევეს ს. სერკევეს. ბევრი მას სპექტიკურად უცქეროდა; მაგრამ ყველა ისინი, რომელნიც ექვის თვალით უცქერდენ ახალგაზრდა ბალეტმეისტერს, სეზონის დაწყების შემდეგ, როცა დაიღვა დიდი საბალეტო განყოფილება ოპერაში და დამოუკიდებელი საბალეტო სპექტაკლები, დარწმუნდნ თავიანთ სპექტიკიზმის უსაფუძელაობაში.

სერგეევის ნიჭი, მხატვრული გემოვნება, თავის საქმის დიდი სიყვარული და შრომისმოყვარეობა გამოაშკარავდა: „ვალპურგის ლაის“ (ოპ. „ფაუსტში“) და „პოლოვეცი სტან“-ის (ოპ. „თავადი იგორი“) დადგმებში და განსაკუთრებით კი მიმოდრამის „კარანავლის“ დადგმაში.

სერგეევი „კარანავალი“ დასდგა მორდკინის ესკიზებით, მაგრამ გააცოცხლა ეს ესკიზები, შეიტანა მთელი რიგი ახალ ცეკვათა, მოგვცა ახალი მიზანსცენები, შექმენა სურნაზე მთელი რიგი პლასტიური პარტიებისა, მოძრაობა, ლამაზი გრუპიროკა, რომელსაც აესვენდნ საბალეტო დუეტები, ტრიო და კვარტეტები; მხატვრული სინათლის ეფექტები ამოღებენ შროს მიმოდრამას და ყვეფერი ეს იტაცებს და აღლვებს მაყურებელს.

უმთავრეს პარტიებში გამოიანა პრინც-ბალერინები: ფეოდოროვა (ლენინგრადის სახ. საბალეტო დასიდან) და ლეონოვა—პიერეტა და კოლომინა; სერგეევი და გულულოვი—პიერო და არლკინი. როგორც პრემიერებმა ისე მეორე ბარისოვანი როლების შემსრულებლებმაც სწორად განასახიერეს „კარანავალი“ აღფლორიული შინაარსი. ფეოდოროვამ და ლეონოვამ მოგვცეს მთელი რიგი მხატვრული ხორეოგრაფიული და პლასტიური მომენტები, ასეთსავე სიამაღლებ შეტანეს სერგეევი და გულულოვი—ორთავანი აქცევედნ სერიოზულ ყურადღებას არა მარტო პლასტიკას, არამედ მიმიქსასაც.

სერგეევი მუსიკალურია და მისი რიტმი არის არა მიზანი, არამედ საშედეგა. ცალკე საცეკვაო ესკიზებიდან აღსანიშნავია „სიხარულის ვალსი“ (გულულოვი და კაზინიცი), „იტალიელი. მათხოვრები“ (სერგეევი და თამარ ქაბუციანი) „ტრანსტლდა“ (ცხბანგ ქაბუციანი და ბეგთაბეგოვა), „სპარსული ცეკვა“ (ალბერტი და სემიონოვა), სოლისტური ნომრები ფეოდოროვასი, რომლებშიაც მსახიობმა გამოიჩინა იშვიათი ტენიანა. ბალეტის შემადგენლობიდან, ფეოდოროვას და ლეონოვას გარდა ერთევიან ბალერინები—ქაბუციანი, კაზინიცი, რატუშენკო; ბალეტის მოცეკვავენი — სერგეევი გულულოვი, დიმიტრაიევი, ალბერტ (განსაკუთრებით აღმოსავლეთური ცეკვა). საუცხოო მიმისტია და სახასიათო როლების იშვიათი შემსრულებელი ბალეტის რეჟისორი ბარზუდაროვი: ორკესტრი ნეიშნის ხელმძღვანელობით საესკიბით კორორექტიულია და სოლისტები კაპლანიცი და სტუპელ საცეკოზი არიან.

საერთოდ ტფილისის ბალეტი თუ არ შეანელებს თავის მეშობაზს, შექმნის ბევრ შესაძლებლობას.

3. მებუთოვი.

ახალი თეატრი.

ტფილისის ახსოვს სტუფობრა „ჯიმიდასი“... ეს თეატრი თითქმის ენათესავება ჯიმიდასს...

ახალმა თეატრმა ჩვენს მოღუნებულ არტისტულ ერთეობაში, სატრისი სახით, შემოიტანა ერთგვარი სახალღე და სიხალისე.

სულ რაღაც ორი საათის განმავლობაში მაყურებელი იმგნენ ხუთ სხვადასხვა ნომერს, რომელნიც ხშირად საინტერესოდ არის შედგენილი.

თეატრის სათავეში სდგას ცნობილი და დამსახურებული რეჟისორი მ. ტ. სტროევი, რომელიც წინეთ მოსკოვის „მცირე თეატრში“ მოღვაწეობდა ჩვენს თანამემამულე ა. სუშბათაშვილთან ერთად. მ. ტ. სტროევეს დიდი დღეწილი მიუძღვის სასცენო ხელოვნების დარგში. რუსეთის სცენის ბევრი დღეწილი ცნობილი მსახიობი მისი ხელმძღვანელობით გაიწაფა...

რეჟისორის უტყუარი ნიჭი ყოველ დადგმაში აშკარად სჩანს.

მსახიობთა ძალა ყველა თვასჩინოა. ანსამბლი საუკეთესო. ზეპირი თამაში—უსუფლოროდ! არავითარი ვაშარყება! არავითარი ფარსი—რაც ასეთ თეატრს ყოველთვის თანა სდევს ხოლმე.

მსახიობთა შორის, როგორც საუკეთესო ძალა არის: მსახიობი ა. ნ. ლიბენსკი. ეს მსახიობი მეტად მრავალსახეულია და ყოველ როლს თავისი ინდივიდუალური ნიჭით ამავრებს.

ლოუბანსკის მხარს უშვებენ ტფილისის საყვარელი მსახიობი დიმიოვი, რომლის მოსწრებულ სიტუვა-პასუხს მაყურებელი ყოველთვის პირზე ღიმილით ისმგმს. ნიკ. დიმიოვი არანაკლებ კარვად ასრულებს ახალგაზდა სტუდენტს და მოხუც ბოშას როლს (პუშკინის Цыганის ინსცენირევაში).

ო. მ. ვალენტინოვა, როგორც ახალგაზდა ნიჭიერი მსახიობი, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. მისი ხელნერები თამაში, სიცილი და თვალთა ციალი გაზაფხულის სხივიით იჭრება სცენაზე.

მეტად ნიჭიერი და სიმპატურიია მ. ნ. ტომსკიაი თავის არტისტული გარეგნობით, იშვიათი, პირდაპირ განსაკვიფრებელ ღიმილით და როლების მხატვრული შეგრძნებით. ქ. ნ. ტომსკიაი ერთი საათის განმავლობაში ხან ახალგაზღბის და ხან მოხუცების როლში გვეტყენება: ორთავე როლს უნაკლოდ ასრულებს. ტომსკიაი განსაკუთრებით მოგვწონს პუშკინის: „უтопиях-ში, სხვათა შორის ეს იმცენიროკვა საუკეთესო დადგმის ნიმუშად უნდა ჩაითვალოს აქამდე ნახულ რეჟერტურაში:

ე. ა. ჩიკოვა საუკეთესოა შემსრულებელია დამახასიათებელ ცეკვისა. მის თამაში არის ცეცხლის ელასტიურობა და ჯანსაღი ტემპერამენტი. ჩიკოვა თავის ცეკვით, სიმღერით და თამაშით არის შემაერთებული ძარლიე მ. ტ. სტროევის დასისა.

მეტად ნარნარია გოლგმო კეკლუე ქალების როლში; არაუშავს რაღაცს და ზაბოტინს.

სამხატვრო ნაწილს განავებს ახალგაზდა სტროევი. მისი ხელმძღვანელობით მეშობის მხატვარი ვართანოვი, რომელიც დიდის გემოვნებით მხატვრს დეკორაციებს (მაგ. „ღამე პარიზის ქუჩაში“),

ორქების მოვალეობას, დიმიოვის თქმისა არ იყოს; სინდისიერად ასრულებს ვანნა დიშელ და პანეივი. მაღლის გრძნობით მღერის ბოშურ. სიმღერებს ვიარდო, ეს მომღერალი ჩვენ ერთხელ ენახეთ. მისი მულღეობა დასში კი, ჩემის აზრით, აუცილებელია.

Sogri

## „წარსულის კოშმარები“

წელიწადზე მეტია რაც სახკინმრეწვემა დაიწყო მზადება სურათის „რკინის რკალი“. უკანასკნელად მან მოგაწონდა რკინის რკალის ციკლიდან სურათი „წარსულის კოშმარები“. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს რომ „ტარი-ულ მკლავაძე“ და აღნიშნული სურათი ვერ ამართლებენ იმ ავტორიტეტს რომელიც მოიპოვა საქ. სახკინ მრეწვემა საბჭოთა კინემატოგრაფიაში. რუსეთის კინო კრიტიკამ აღნიშნა საბჭოთა სურათების ნაკლი, რაც გამოიხატე-

ბოდა უმოთვრებლად უშინაარსობაში და გადაჭარბებულ ტენდენციაში, ორივე ეს მოვლენა ახასიათებს „წარსულის კოშმარებს“. შინაარსი შეიცავს 1905 წლის წინა ხანას, მაგრამ თემა ვერ არის სათანადოთ გაშუქებული არის ერთი მეორესთან დაუკავშირებელი სცენები რაც კუნძის სრულიად გაუგებარს სურათს; არ არის ინტრიგა რაც აუცილებელია მთლიან შთაბეჭდილებისთვის. აღსანიშნავია ერთი უცოდინარობა ჩვენი რეჟისორების. ეს



„წარსულის კოშმარები“

ის, რომ თითქმის ყველა სურათში საქართველოს ცხოვრებას ახასიათებენ ქეფით, ცეკვით, ცხვირ-პირის მტკრევით და ძაღვების გაუპატურებით. ასეთი გადაჭარბებული ტენდენცია ყველას თვალში ეჩრება და ვერც ავტორი და ვერც რეჟისორი მიხანს ვერ მიაღწევენ, რადგან აგიტაცია აუტოლმებლად ზედმიწევნით ფრთხილად უნდა ტარდებოდეს.

ვერ აქვს მიქცეული სათანადო ყურადღება აგრეთვე წარწერებს.

ფოტოგრაფიის შესახებ ის უნდა ითქვას რომ, „დაკარგულ საუნჯეთა“ შემდეგ ზაზიოვლევისგან ჩვენ უკეთეს ფოტოგრაფიას წიველოდით, (კარგია ხანძარი ბატონის სახლის), მეტად მჭრთალად მოსჩანს რეჟისორის ხელი თუმცა ზოგიერთი მასიური სცენები კარგადაა შესრულებული.

სამაგიეროდ აღსანიშნავნი არიან შემსრულებლებნი. ვ. ანჯაფარიძეს აქვს მეტყველი სახე და კინოსთვის შესაფერი მოძრაობა; იგი შესანიშნავად ახასიათებს განაწამებ გლეხის ცოლის როლს. აკ. ხორავა დიდ მონაპოვად უნდა ჩაითვალოს ჩვენი კინემატოგრაფიისთვის, მისი ფიგურა და ნაკვეთი—მეტყველი სახე, დიდ მონაპოვალს უქადის მას კინოში, მის გელოვანი კარგი იყო პატარა როლში (გამცემი მუშა). კარგია ნ. მამულიაშვილი, მას შესწევს სათანადო უნარი კინოსთვის და იგი უსათუოდ გამოსადგე მსახიობათ უნდა ჩაითვალოს. კარგები არიან ბარხელდაროვა და შ. ბერიშვილი ემზობილიერ როლებში.

დ. ა.


# ს ს ო ლ რ ტ ი

## ამხ. ტომსკი ცირკის შესახებ

სახელმწიფო ცირკების ცენტრალურ მართველობის ორგანოს „ქრონალ“ „ცირკის“ თანამშრომელთან პირად საუბრის დროს ამხ. ტომსკიმ ცირკის შესახებ გამოთქვა თავისი აზრი.

მე მუდამ ხალისიანად ვუყურებ ცირკს, როგორც ჯანსაღ სახანაობას. განსაკუთრებით მე მომწონს მისი მასსიური ნომრები, რომელიც თანადროულობას შეეფერება. ეს „კოლეგიალური“ ნომრები შეიძლება მშვენიერი სკოლა იყოს ჩვენ სპორტმენებისათვის.

რაც შეეხება გერეც წოდებულ „საშუშ ნომრებს“ მე უნდა ესთქვა, რომ, ცირკში ერთობ არ არის არა საშუშო ნომრები და თუ არტისტი თავსამტკრევ ტრიუქებს აკეთებს მხოლოდ ტრიუქის გულისთვის და მას არ ასხამს ლამაზ ფორმებში—ეს არაეისთვის არაა საჭირო. ცირკის—ხიფათი მუდამ თან ახლავს, მხოლოდ ეს მის ოსტატობის და ხელოვნების საქმეა და კარგად განვითარებული ცირკაში, ამავე დროს არის იდეალი ჯანმრთელ აღამიანის.



მსოფლიო ფალავანი კ. ბულია

## ჭ ი დ ა ო ვ ა

შ. ტანტების ცირკში ყოველ წარმოდგენის შესამე განყოფილებაში იმართება ფრანგული ქიდაობა. საერთაშორისო მოქიდავება, რის გამოც უკანასკნელ დროს ცირკში დიდძალი ხალხი დაიარება. ფალავანთა შორის ზოგი მსოფლიოთ ცნობილი მოქიდავება მაგალითად: კლ. ბული, ნ. ბაშკიროვი, შმიდტი, გრ. კოლოტინი, ყარა-ზამტკოვი. ახალგ.ზრდათა შორის ყურადღებას იქცევენ ფინლიანდის მხარის ცნობილი ჩემპიონი იერში, რომელსაც მყურებელნი ალტაცებაში მოჰყავს თავისი მოქნილი ტეხნიკით. კარგად ქიდაობენ აგრეთვე ბაროესკი და კა-

რეონი. მაგრამ ყველას აღმატება როგორც ლონით, აგრეთვე სამაგალითო ქიდაობის ტენიკით და განვითარებული კუნთებით ჯერ უცნობი მოჭიდავე „წითელი ნიღბი“, რომელმაც გალახა მოჭიდავე „თეთრი ნიღბი“, რომელსაც პირობისამებრ წაქცევის შემდეგ ნიღბი ჩამოხსნეს და იგი აღმოჩნდა საექვემოლ ცნობილი მოჭი-

დავე - ფალავანი მაგატირიოვი. ხალხის დიდი სიყვარულით სარგებლობენ ცნობილი ბული და მაშკიროვი, რომელთაც გალახეს რამოდენიმე მოჭიდავენი. მოკლე ხანში რუსეთიდან მოვლიან ქართულ ფალავანს კოლია ჭვარიანს, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ჩემპიონატში. ქიდაობას ხელმძღვანელობს არბიტრი ვ. კვიციანი.

გაეროში.

# ბუხათა კლასი და ხელოვნება

## ახალი მოჯახი

(გაგებლება)

ბავშვები კი ამ დროს უპატრონოდ იყვნენ დატოვებული. ვინოც ვერ იტანდა ასეთ მდგომარეობას, მაგრამ მას ვერ წარმოედგინა ის ბოლო, რომელიც მას მცხივით თავს დაატყდა. ელიკო დაშორდა ვანოს.

„მამა, სად არის დედა?“. წყრიალა ხნით შეეცითხა ვანოს პატარა თამრიკომ, რომელსაც უყვிரდა დღის ასე დიდი ხნით მოშორება.

„პა, მამა, სად არის დედა?“. განიმეორა თამრიკომ და მამა შეანჯღრია, მის გაფითრებულ სახეს ჩააშტერდა. „სად არის დედა, სად არის?“ შეეცითხა ვანოს პატარა გოგამი, რომელმაც ესლახან ისწავლა ლაპარაკი და უფროსი დის ყოველ სიტყვას იმეორებდა ხოლმე.

ბავშვების კითხვებზე ვანო შეჭრათა და უღონოდ გაშვდა.

მისი გამხდარი სახე უზომო ტანჯავს გამოხატავდა: ნაღვლიანი თვალები დღისსაგან მიტოვებულ ბავშვებს მიოჯდა და გოგია მუხლზე დაისვა.

პატარა გოგიას ძალიან უყვარდა მამის მუხლზე ჯდომა, რადგან თავი მხედარი ეგონა და მამის მუხლი კი დიდი ცხენი.

ბავშვურის უდარდლოობით ხტოდა მამის მუხლებზე და თან სიყვარულით უტაცუნებდა მის სახეზე თვის პაწია ხელს. მაგრამ უცებ შეჩერდა, რადგან უცხოვია.

„სტირის... სტიკია...“. გაკვირვებით ფიქრობდა ის და მამის უნებლიეთ ცრემლიჭ დასველებული პაწაწა ხელს იზინჯავდა.

„სტიკია... ძალიან სტიკია... იმიტომ სტირის... მამა მტკივა?“ ამბობდა გოგია.

„პო, შეილო, მტკივა, გული მტკივა, ძალიან მტკივა შეილო, ძალიან... ძლიერ ძლიერობით სთქვა ვანომ და, გოგიას ხუჭუჭა თავი გულთან მიიკრა და მწერით აქვითილა.

შემკრთალი ბავშვები კი ვანოს ქვითინს შესცქეროდნენ და უყვირდნენ, რომ მათ მამასაც სკოდნია ტიროლი...

### 2

„რამ დაგაღონა წინა?“ — ნელი და ალერსიანის ხმით შეეცითხა ჩაფიქრებულ ამხანაგს მარო და მხარზე ხელი დაიდო.

მწარე ფიქრებში გართული ვანო ამ მოულოდნელ შევითხვებზე შეჭრათა და მწარეთი ამოიხარა.

ამ ბოლო დროს მას რაღაცა აწუხებდა. არ იყო ისე მზიარული, როგორც წინად. მის თვალებს სევდა და მწუხარება არ შორდებოდა.

ალარტ მუშაობას ეტყობოდა წინანდელი ლაზით. ნელა, უღონოდ ატრიალებდა მანქანის ბორბლებს და ამ დროს მისი ჩაღრმავებული თვალები უახროდ გამოიყურებოდნენ.

მანქანებიც ზღაპრით და ქრიალით, უფულოდ მოძრაობდნენ, თითქოს ისინიც ჰკრძნობდნენ მათი პატარონის დარღსა და ვარამს.

ამხანაგები გულწრფელად თანაუგრძობდნენ ვანოს წუხილში და ედარდებოდნენ მისი დანაგვრა.

მარკო, როგორც მეგობარი, ცდილობდა ნუგეში ეცა მისთვის და დარდები შეემსუბუქებინა.

დიდი ხანია, რაც მარო ქარხანაში მუშაობდა. ობოლი იყო. საექთარო შრომით შოულობდა ლუკმას. არ იყო ლამაზი, მაგრამ მისი ახალგაზდა, მუდამ მოცინარი სახე და ცოცხალი თვალები სასიამოვნო შთაბეჭდილებებს სტოვებდნენ ყველაზე. მარო სხვა მუშა-კალებში მეგრძობლ-კალად ითვლებოდა. მის გულს თავის დღეში დარდი არ მიჰკარებია, რადგან მისთვის მაროს არ ეცალა. მუდამ საქმეში იყო გართული. როცა თავისას გაათავებდა, სხვის საშველად გაეშტერებოდა. იცილი და მზიარულება ყველაზე თან დაჰქონდა მას. სადაც მაროს მოცინარი სახე გამოჩნდებოდა, იქ დადრი და მწუხარება იფანტებოდა. ხალხს თავს ევლებოდა, ამზიარულებდა და თანაც თავისი მარდი თითვით საქმეს აკუთებდა. ყველას უყვარდა მარო. მოხუცებულებისათვის შეილი იყო და ახალ-გაზრდებისათვის კი საყვარელი და.

ამ ბოლო დროს, ცოტა არ იყოს, მაროსაც დაფიქრება ეტყობოდა. აღბად ვანოს დარღმა თუ შეუცვალა ხასიათი. როცა ჰხედიდა ვანოს დაღონებულ სახეს, ამ დროს მის ნაღვლიან თვალებში სხვა, უბრალო მეგობრობაზე უფრო ძლიერი და დაფარული გრძნობა გამოჰქოროდა.

აი ახლაც ის ვანოსაკენ გაეშურა, რომ სიტყვით

მანც ნუგეში ეცა მისთვის, როგორც მეგობარს, მისი მწუხარება გაეხიარებია.

ვანის კი უნდა თავის დარღებთან მარტო ყოფილიყო, რომ სხვის მისი გულის იარა არ გაეცაწრა და მით უარესად ვერანაზინებინა ტყვილი.

„ჰა, ვანო, კიდევ არ იგიწყებ ვენს დარდს?“ — და კეთილი თვალებით მართ შეაცქერდა ვანოს დაღვრემილ სახეს.

ვანოს თითქოს ესმოიგნა მეგობრის ასეთი თანაგრძნობა და თავი მალდა ასწია.

(დასასრული შემდეგ ნომერში)  
ლიტესულიელი ვენერა ახელი

# მუშა მსახიობ გიორგი ჯაბაურის 35 წ. უძველესი ბავშვის გამო.

35 წ. შესრულდა რაც გიორგი ჯაბაური სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა, იგი მუშათა კლასისათვის ცნობილი პიროვნებაა, მას ყველა მოწინავე მუშა კარგათ იცნობს. თუ საქართველოს ძველ მუშებს შეუძლიანთ იამაყონ თავიანთ რევილიუციურის წარსულით აგრეთვე გიორგი ჯაბაურსაც შეუძლიან მათთან ტლიო დაიღოს სახალხო თეატრის დაარსებით. სახალხო თეატრს თავის განვლილ ხანაში ორი დასაწყისი ჰქონდა, პირველი 1890 წ. რევაზიის ქუჩაზე მკვლდის სახლში გამართული უზნური წარმოდგენა და მეორე 1898 წ. ავქალის აუდიტორიაში სახალხო წარმოდგენების დაარსება ოფიციალურად.

პირველშიაღაც და მეორეშიაღაც გიორგი ჯაბაური მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

დიდი სარგებლობა მოუტანა სახალხო თეატრმა მუშათა კლასს. იგი თავის განვლილ წლებში საყვირი იყო პროლეტარიატისა და აჯანყებისაყენ მოუწოდებდა მათ. ტფილისის სახალხო თეატრმა ბრწყინვალეთ შეასრულა თავისი მოვალეობა და თავისი დროში ვადასცა წითელ თეატრს.

დღეს გიორგიც წითელი თეატრის მსახიობია და წითელმა თეატრმა, უნდა იზრუნოს დღესასწაულის გამართვაზე, არ შეიძლება, რომ სამკოთა ხელისუფლების დროს ასეთი ნაამგვარი, მუშის ღვაწლი არ აღინიშნოს ხეიმით.

მუშა ირინესვილი.

## მუშათა ცენტრალური კლუბი.

კვირას 15 ა. თ. მუშათა ცენტრ. კლუბში გაიმართა საღამო კონცერტი. პირველ განყოფილებას შეადგენდა კომპოზიტორ დასმანიის სიტყვა „ოქტომბერი“ და

მუსიკა“. მან პარალელი ვაატარა მუსიკის შორის ოქტობრამდე და ოქტომბრის შემდეგ.

მეორე განყოფილება იწყებდა კამერულ მუსიკის ტრიოთი: ბროდსკი-სკრაიკა, მალუნცევი-ვიოლინო და კუბერმანი-როიალი. ტრიო საუცხოოდ იქნა შესრულებული. მას მოჰყვა მსახ. შ. ლორთქიფანიძის დეკლამაცია. წაითხა ლექსები.

კინაზივას რომანსების შესრულება ვერ იყო დამკმაყოფილებელი. სამაგიერო ეს განყოფილება დავეიკვინებულ იქნა მომღერალ ქუმსიაშვილის ხოლის შესრულებით, მან მეტის სიფაქიხით და გრძინობით იმღერა „ურმული“ არაყივილისა, ბალანჩივიძის „ოღესაც ეკერ“ და არია უზნიჯოთ.

„ნადირასი“ მესამე განყოფილება დაიწყო რუსთამბეგოვის როიალით — ორი მახურცა შოპენის. მის დაკერაში სჩანს ცოდნის სიმტკიცე. მომღერალ ე. შარაშიძემ დამსწრე საზოგადოება აღფრთოვანებაში მოიყვანა. მან საუცხოოდ შეასრულა ქართულ-რუსული ხალხური სიმღერები და ბოლოს იმღერა „დუბინიუსა“. სთხოვა დარბაზს, რომ მას აჰყოლოდა დარბაზი, აჰყდა და ამ რიგად მან გააერთიანა მისი გამოსულა მასსათან. სიმღერა დამთავრდა დაუსრულებელ აპოლიდმენტებით. კარგად იყო შესრულებული ვენანის მეორე რამდენიმე ქართულ-რუსული ოპერებიდან არიები. კონცერტი დამთავრდა ტრუსული პროლეტ-კულტის ასოციაციის ხორის სიმღერებით.

ვ კობახიძე.

## ღივიზიის ცენტრალური კლუბი.

16 მარტს, ქართულ ღივიზიის ცენტრალურ კლუბში, პარიზის კომუნის და რემედისის დღესთან შეფარდებით, მე-2 სტამბის მე-4 კომუჯრედმა მოაწყო სახეიმო საღამო-წარმოდგენა, თავის არსებობიდან ორი წლის აღსანიშნავად, რომელსაც დაესწრენ მუშები ყველა სტამბიდან — ოჯახობით, მუშა-ქალები, კომკავშირელები, პიონერები და ამ უჯრედზე მიმდგრებული ქართულ მეთაურთა გაერთიანებული სამხედრო სკოლის კურსანტები. კრებას თავმჯდომარეობდა ამავე უჯრედის მდივანი ამბ. მნაც. ამირბეგოვი.

მისაღოც სიტყვებით გამოვიდენ, მრავალ დაწყებულეებიდან, რომელთაც აღნიშნეს რა უჯრედის წაკითხვი მუშაობა უპარტო მასებისათვის ორეგზში დარაზმის, ლენინზმის განმტკიცების საქმეში და შემდეგ მაც ესუერეს წინსვლა მუშათა საქმის დასავკვირავივებლად.

მეორე განყოფილებაში — ქართულ სამხედრო სკოლის ცენტრსან ასეულის დამაწრის მეორ დადგმულ იქნა პიესა: „სტამბაში“ — პირველი მოქმედება, რამაც შესაფერისად ჩაიარა.

მესამე განყოფილება იყო საკონცერტო, — კონსერვატორიის ძალევის, ნ. კაისაძის მომღერალთა გუნდის და ქ. სამხ. სკოლის მომღერალ კურსანტების მონაწილეობით.

ეს უქანასკნელები („ტრიო“, თანდური) ძალიან მუყენონით დამსწრეთა და რადენჯერემ გამოუძახეს. საღამოზე უკრავდა სკოლის ორკესტრი.

მჭვერავი.

# ს ა მ ტ რ ე ლ ი ა .

(ქალაქის პროფკავშირების თეატრი)

ხუთშაბათს 5 მარტს ქალაქის პროფკავშირის თეატრში რკინიგზის და ქალაქის შეერთებულ დრამატულ დასმა დასდგა პიესა „№ 21“ წითელჯვარის სასარგებლოთ. პიესა დღეს დღეულად არ არის მისაღები სცენაზე დასადგამად, მით უმეტეს მის შემდეგ, როცა გადაიკეთეს. პიესა დამახივებელია. აღნიშნულ თეატრში 5 მარტს პიესის სიმახინჯესთან ერთად მოთამაშებენიც არ იყვნენ რიგიანად. განოს როლში მარო მიქელაძე კარგი

იყო მხოლოდ პიესის დამთავრებისას მისი გაგვიგების მომენტის სცენა სუსტი იყო. ყარაღანიანის როლში ან. მამაგვიშვილი ვერ იყო ნამდვილი სომხის ტიპი. ზშიარად ეწლებოდა სიტყვები. ფეტიკობთ როლის უქოდინარობის გამო, ლეონანდრე ი. თარღაშვილი კარგი იყო. კარგად შეასრულა თედორეს როლი ალექსანდრე კორაიამ. აღმნისტრატია ვერ იყო თავის რიგზე. ენდარამების უფროსი ლევან ბუაძე ზოგიერთ ადგილებში ვერ იყო მკაცრი. შხვაკაბია—განმისტრატის სუსტი იყო სცენაზე. ლითის როლის შესრულებას მარტო ბანცალი არ ეყოფა. უნაკლოთ შესარულა თავის როლები ზაქარია—ურუშაძემ და ანიკო არჯევანიძემ.

ხელკორი: ანდრო მამფორია.

## პროფმოდკოვკა და სელოვნება

### სრ. სპ. სელოვნების მუშაკთა პროფკავშირის მე-V-ე ყრილობაზე მიღებული საორგანიზაციო საპითხების თეზისები.

#### 1. საზოგადო კრებები:

1) სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მე 5-ე ყრილობის დადგენილებათა პოპულიარიზაციისათვის უნდა მოეწყოს დაწესებულებებში საზოგადო კრებები, სადაც კავშირის წევრებს უნდა განუმარტოთ ყრილობის აქვლა დადგენილებანი.

2) კავშირის წევრების უმრავლესობას არ აქვთ შეგნებული უფლება, მოვალეობა და კავშირის დებულებანი. უნდა მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები და განუმარტოთ კავშირის წევრებს დებულებანი:

- ა) ადგილკომების
- ბ) კულტკომისების
- გ) სექციების
- დ) საშუამავლო ბიუროების
- ე) საურთიერთო დახმარებ სალაროსი

3) უნდა გამოუმუშავეულ იქნას დრო ადგილკომების გადარჩევისა, როგორც ტფილისის, ისე პროვინციისათვის.

4) პერიოდული გამოკვლევა ადგილებზე ძირითადი პროფკავშირებისა დაწესებულებებში, გაძლიერება და ვადრმავება საკავშირო მუშაობისა. ადგილებზე მომუშავე პროფკავშირებს უნდა მიუთითოთ მათ ნაკლს და შეიკომებზე.

5) უნდა დაწესდეს პროფდღე ადგილკომებისა და ცენტრალური გამგეობისათვის კვირაში ერთხელ.

ბ) ცენტრალური გამგეობის წევრები განაწილებული და მიმარბრებული უნდა იქნას ადგილკომებზე და სხდომები ადგილკომებისა უნდა ხდებოდეს მათი მონაწილეობით.

#### 2. მასსათან მკვიდრო კავშირ:

1) მასსათან ძლიერი კავშირი დღესაც არა გვაქვს. საჭიროა სასწრაფოდ იქნას მიღებული ყოველგვარი ზომები, რათა კავშირის წევრებთან გაბმული იქნას მუდმივი ძლიერი კავშირი, რისთვისაც უნდა მოეწყოს პროფდღეები, შემოვიღოთ დღეგვატა კრებები დაწესებულებებში, გავაძლიეროთ კულკომისების მუშაობა ადგილებზე, ცენტრალური გამგეობის მიერ თავისი მუშაობის ანგარიში საზოგადო კრებებზე.

2) აღდგენილ უნდა იქნას ძლიერი კავშირი პროვინციის მუშაკებთან, რისთვისაც საჭიროა:

- ა) პრეზიდენტის წევრთაგან პროვინციაში ჩვენი პროფკავშირის დათავლიერება ერთხელ.
- ბ) კარნისის ორგანიზების გადარჩევა ადგილებზე დაწესებულ დროს.
- გ) ადგილების ხელმძღვანელთა გამოძახება და საჭირო ინსტრუქციების მიცემა.

გ) ცენტრალური გამგეობის მუშაობის ანგარიშებისა, მოქმედების და სისტემატიური გადაგზავნა ადგილებზე.

დ) ადგილების ხელმძღვანელთა მოხსენებები ცენტრალური გამგეობის პლენუმზე მათი მუშაობის შესახებ.

3) იმ ადგილებში სადაც არ არის, უნდა მოეწყოს ადგილკომები თუ კი ეს შესაძლებელია.

4) ჩვენი კავშირის წევრ ქალთა შორის უნდა გაღრმავდეს და გაძლიერდეს მუშაობა მათი საკავშირო მუშაობაში ჩაბმით.

5) აქტიური მუშაობა უნდა სწარმოებდეს ჩვენი კავშირის წევრთა ახალგაზრდათა შორის. მუშაობა შეთან-

ხმებული უნდა იყოს ახალგაზრდა ლენინელთა კომპაგ- შირთან.

6) ცენტრალური გამგეობის მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნენ მუშები, ჩვენი კავშირის წევრები.

7) რადგანაც ჩვენი კავშირის წევრთა დიდი პრო- ცენტრი უმუშევრობას განიცდის საქართველოში გაძლიერ- რებული მუშაობის წარმოება. უნდა მივაწოდოთ სპირით ინფორმაცია საშუალო ბიუროს მუშაობის შესახებ ცენტრალური გამგეობის მიერ მიღებული ზომების შესა- ხებ უმუშევრობის მოსაპობად, უნდა მოვეწყოს შრომის კოლექტივები და სხვა.

### 3. კავშირის წევრთა ხელახალი აღრიცხვა.

1) ვიღებთ რა მხედველობაში იმ ვარემოებს, რომ ჩვენ კავშირში ირიცხებიან ისეთი ელემენტები, რომე- ლთაც არავითარი კავშირი არა აქვთ არც ხელოვნებას- თან და არც საკავშირო მუშაობასთან, საქართველოში და აღრიცხვას მიექცეს სათანადო ყურადღება, რომ ერთხელ და სამუდამო განათავსდეს კავშირი შემთ- ხვევითი ელემენტებასაკა.

2) უმთავრესი ყურადღება ხელახალი აღრიცხვის დროს უნდა მიექცეს ვერად წოდებულ „კინო-არტის- ტებს“ მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას მათი კვა- ლიფიკაცია.

## საკულტურო მუშაობის თე- ზისებრი:

1) მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ კავშირში მეტად მცირეა წერა-კითხვის უცოდინარი (სულ 92 წევრი მათ ში 66—ხანში შესული 35 წელზე ზევით).

საქართველოში მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები, რა- თა კავშირში არ დარჩეს არც ერთი წერა-კითხვის უცო- დინარი.

2) ჩვენი კავშირის წევრთა დიდი უმრავლესობის უკულტურობა აიხსნება პროფუციონარობით. საქართველოში ყველა დაწესებულებაში მოეწყოს პროფსწრები და გაძ- ლიერდეს არსებულში, რათა სამუდამო მოესპოთ პრო- ფუციონარობა.

3) პოლიტიკურად მოუმზადებელი წევრი კავშირი- სა მეტად კუდი მოქალაქეა საბჭოთა აღმშენებლობისა- თვის. ჩვენი კავშირის წევრთა დიდი უმრავლესობა, თი- თქმის 80 პროც. უცოდინარია არაინ. სასწრაფო ზომები უნდა იქნეს მიღებული პოლიტიკონის შესაქნათ.

4) განსაღ-სხეულში-განსაღი სული: ეს არის შე- დეგი ფიქსულტურისა, რომელსაც განსაღფრებებით ჩვენი კავშირის წევრები საქართველოში. საქართველოში გაძლიერდეს მუშაობა არსებულ ფიქსულტურის წრეში. ◆

5) ტულისში არსებულ შრომის სკოლებში სასწაფე- ლო წლის განმავლობაში გაიგზავნა საქართველოში, ჩვენი კავშირის წევრთა შეიღებისა—მიუხედავად იმისა ბევრი ბავშვები დარჩნენ სკოლის გარე. მომავალში უნდა მი-

ღებულ იქნას ყოველგვარი ზომები, რათა სკოლის გარე- შე არ დარჩეს არც ერთი ბავშვი.

6) უნდა გაძლიერდეს და გამარავლდეს დაწესებუ- ლებებში ქართული ენის კურსები, რათა საშუალება მიე- ცეს ჩვენი კავშირის წევრებს შესწავლიონ სახელმწიფო ენა.

7) სასწრაფოდ უნდა დასრულდეს მუშათა კლუბე- ბის სახელოვნო წრეების ხელმძღვანელთა ცენტრალური კომისიის ორგანიზაცია, რომელიც იმუშავებს ჩვენი კავ- შირის კულტურაგოილებასთან, კულტურაგოილების გამ- ვის თავმჯდომარეობაში.

კომისიაში შევლენ ს. პ. კ. ს. კულტურაგოილების პროლეტარული სტუდენტების და პროლეტკულტურის წარ- მომადგენლები. კომისია შემუშავებს სახელოვნო წრეე- ბის მუშაობის ერთ მეთოდს მუშათა კლუბებში, ადგენს და გამოიცემს შესაფერ პიესებს, ინსცენირაგეებს, აძლევს მასალასაც ცოცხალ დახატებისათვის, პოლიტ სასამარ- თლოებისათვის და სხვა.

8) ჩვენს კავშირის დღემდე საკუთარი კლუბი არ აქვს. ყოველგვარი ზომები უნდა იქნას მიღებული, რომ ეს ნაკლო სასწრაფოდ გამოავსოროთ.

ჩვენს კლუბს უნდა დავარქვათ „ხელოვნების სახ- ლი“, მასთანადე უნდა მოეწყოს ისე, რომ იგი ამართ- ლდებდეს სახელს „ხელოვნების სახლი“.

9) ამაღათ კავშირთან არსებულ წიგნთსაცაიე უნ- და შეიგოს ახალი სახელოვნო და პროფესიონალური ხასიათის წიგნებით და საშაბტერო ლიტერატურით.

10) კულტ-კომისიების მუშაობა ადგილებზე შეთან- ხმებული უნდა იყოს კავშირის კულტ-განყოფილებასთან. კულტურული მუშაობის გეგმასა და ხარჯთააღრიცხვას კულტ-კომისიებში დასამტკიცებლად ადგენს კავშირის კულტ-განყოფილებაში.

11) ბევრ ჩვენ დაწესებულებებში მოწყობილია ლე- ნინის უთხები. ს. პ. კ. ს. კულტ-განყოფილების უკა- ნასკნელი ადაგენილების თანხმად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ადგილებზე ლენინის უთხების მოწყობას, რომლის დროს უნდა ვიხეღმძღვანელოთ ს. პ. კ. ს. კულტ-განყოფილების დირექტივებით.

12) საქართველოში დარჩენილი უმრავლესობა ადგილებზე ჩვენი წიგნთ-საცაიეების გადამთვლიერებელი კომისია- წიგნთ-საცაიეებში უნდა შეიგოს ისეთი წიგნებით, რომე- ლსაც დაემატაფილებს ჩვენი მუშა-მოსამსახურის კულტურ- ლ მოთხოვნისა.

13) ჩვენი ადგილოვები ადგილებზე უშეღვენ კელ- ლის გაზრდებს. კავშირში დიდი ყურადღება უნდა მიავ- ციოს მუშაობის ამ დარგს იმ მხრივ, რომ შინაარსი კე- დლის გაზრდის უნდა აღნიშავდეს ადგილოვები, ყოველ- დღიურ ნაკლსა და საქართველოს, კედლის გაზრდის ლე- ზუნი — თვით მომზადება.

14) საკულტურო მუშაობის გასაძლიერებლად მუ- შაობაში უნდა ჩაებათ ახალგაზრდაობა.

15) ს. ს. რ. კ. ერთიანი ახალგაზრდა კომკავშირში, ხელოვნების მუშაით უნდა ყავდეთ თავისი რაზმები. ჩვე- ნი კავშირის წევრთა შეიღები უნდა ჩაებათ ბავშვთა კო- მუნისტურ მომარაბაში, შეეღვნათ პიონერთა წრეები. ეს

მუშაობა ძლიერის ტემპით უნდა სწარმოემდეს ახილავზრდა ლენინელთა კომკავშირთან შეთანხმებით.

16) უნდა გაძლიერდეს სამეფო მუშაობა. წითელ-აზილეთაივის უნდა იზარებოდეს ისეთი წარმოდგენები, სადა მოგები, ინსტინქტივები და სხვა, რომელიც ასწესებს მათ კულტურულ დონებს და დაუახლოვებს პროლეტარულ ხელკონტაქტებს.

17) უნდა გაძლიერდეს საკულტურო მუშაობა სამარო ადგილკომებთან, სადაც დაუყოვნებლივ უნდა მოეწყოს ქუტ-კომისიები, შემეშავდეს გეგმა და ხარჯთაღრიცხვა და გადმოიზიგუნოს ცენტრალური გამგებობაში დასამტკიცებლად. სამარო ადგილკომები ყველ თვიურადა საკულტურო მუშაობის ანარიცხი აგზავნიან ცენტრალურ გამგებობაში.

18) მუდმივი მკიდრო კავშირისა და ჩვენს კავშირის წყობის კულტურული დონის ასაწვეად უნდა მიეცეს დიდი ყურადღება პროც. და პოლიტ-ლიტერატურის გაფრქვლებას.

19) ყოველგვარი ზომები უნდა იქნას მიღებული და მოეწყოს ს. პ. კ. ს. პროფესიონალური ორგანოს გაზეთ „მეშის“ და სხვა საკავშირო გაზეთების გაფრქვლების საქმე როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში.

20) სასწრაფოდ უნდა იქნას შემოღებული ხარჯთაღრიცხვის წესი კავშირებში. გეგმა და ხარჯთაღრიცხვა უნდა შედგეს ს. პ. კ. ს. კულტურული მუშაობის გამოშეყვებულ დებულების თანამხედ.

21) როგორც პარტიულ, ისე პროფესიონალურ ორგანიზაციებში ამჟამათ დღის წესრიგში სდგას საკითხი სოფლისა და ქალაქის მკიდრო კავშირის ( . . . ) შექმნის შესახებ. ჩვენს კავშირს ყველაზე მეტი შესაძლებლობა აქვს ხსენებული კავშირის შესაქმნელად. ყველა სოფელში, სადაც კი ეს შესაძლებელი, იქნება უნდა მოეწყოს სახელმწიფო წრეები ადგილობრივ ახალგაზრდა გლეხთაგან. გამოშეყვებილ უნდა იქნას მუშაობის საერთო მეთოდი წრეების სახელმძღვანელოთ. შემუშავდეს რეპერტუარი პატარა თანამედროვე ხანის ამსახველი ჰიუ-

სასთან, მასალა და გეგმა ცოცხალი გაზეთი, პოლიტ-განმარტობების და სხვა. ასეთი მუშაობისათვის მეტ წარწილად გამოყენებული უნდა იქნეს სახელულის თვეები.

22) კულტურულ ფრონტზე დიდ გამარჯვებთ უნდა ჩაითვალოს ხელკონტაქტის კავშირის მიერ საკუთარი ორგანოს, ურნალა „ხელოვნების“ შექმნა. ჩვენს კავშირის ყველა წევრმა უნდა აქტიურად ეონაწილობა მიიღოს ყუთნაიის გაფრქვლებისა და პოპულიარიატიაში, რომ არსებობა მისი უსრულეყოფილი იქნეს—ყველასათვის ცხადია, რომ მეტად მწილა არსებობა თუ მას რაიმე დახმარება ან შესანიღა არ ეძლევა. ჩვენ ურნალზე ამ ემად არ იხარება კავშირის არც ერთი კავიცი. ეს არა ნორმალური მდგომარეობაა უფოთი უნდა გამოსწორდეს და ურნალისათვის გადაიღვას კულტ-ფონიდან განსაზღვრული პროცენტი. ურნალის გამოცემა დიდი მიღწევა კულტურულ ფრონტზე. უნდა მიეცეს ყურადღება ურნალის შინაარს იმ მხრივ რომ მან შესძლოს მკითხველთა მასა, მუშა და გლეხი დაუახლოვოს პროლეტარულ ხელოვნებას, წერილები მეტ წილად უნდა იწერებოდეს პოპულიარული გასაცემა ენით.

23) კავშირის კულტ-მუშაობის საფუძვლად უნდა შეადგენდეს ლენინიზმ პროპაგანდა, როგორც ურნალში, ისე საინფორმაცო წერილებში და მოხსენებებში. პოპულიარული გასაცემა ენით უნდა იყოს გაშუქებული.

24) საკულტურო მუშაობის გაძლიერება შეუძლებელია, თუ კავშირში თავის დროზე არ შემოიღოს კულტ-ფონდის საპროცენტო ანარიცხები დაწესებულბათაგან. უნდა მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები, რომ კოლექტიური ხელშეკრულების დროს ხელშეკრულებაში შეტანილი იქნეს საკულტურო-მუშაობის საპროცენტო ანარიცხები.

დაევალოს ყველა დაწესებულებებს ჯამაგირების დარიცებასთან ერთად კავშირის საღაროში შედიოდეს საპროცენტო ანარიცხებიც.

# ქ ე ლ ო ვ ე ნ ი ა

## ს ა ქ ა რ თ ი ვ ე ლ ო

აღ. შანშიაშვილის საღამო. ეკირას 29 მარტს რუსთაველის თეატრში გაიმართება აღ. შანშიაშვილის საღამო. წარმოდგენილი იქნება „ქიზიყის გიორები“ („მათაზის პანაშვილის“ ახალი ვარიაცია) გლეხის შანშეს როლს შესასრულებს ავტორი აღ. შანშიაშვილი.

ნინო ჩხეიძის საღამო. ნინო ჩხეიძის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად საღამო, რომელიც უნდა გამართდეს 25 მარტს ოპერის თეატრში, გაიმართება 2 აპრილს.

წარსულის კომპარატი. საქარაველოს სახელმწიფო კინო-კრეწელობამ გამოუშვა ახალი სურათი „წარსულის კომპარატი“. სურათი უყვე მიდის ტფილისის კინოებში.

ვანო სარაჯიშვილის ხსენების საღამო. ორშაბას 30 მარტს სახელმწიფო ოპერაში გაიმართება რესპუბლიკის სახალხო არტისტის ვანო სარაჯიშვილის ხსენების აღსანიშნავი საღამო. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო არტისტული ძალები და იდგმება კინო-სურათი „მამის მკვლელობა“, რომელშიც მონაწილეობს ვ. სარაჯიშვილი.

■ **სახელმწიფო ოპერაში.** დღეს 29 მარტს შესდგება მესამე გასტროლი ცნობილ ბარიტონის მიგაის ოპერა „ტრაეაიტა“. 2 აპრილიდან დაიწყება ბასის მახუთხინის გასტროლები.

■ **ბაჩანას იუბილე.** აპრილის ბოლო რიცხვებში განზრახულია მოეწყოს ცნობილი პოეტის ბაჩანას იუბილე მისი ოროცი წლის საშწერლო და პედაგოგიური მოღვაწეობის აღსანიშნავად.

**ს ა უ რ ა ნ ვ ე თ ი**

■ **ახალი ოპერა.** მონტე-კარლოში დაიდგა ახალი ამერიკული ოპერა „ფაი-ინ-ფაი“, ცნობილ ამერიკელ კომპოზიტორის იოზეფ რუზინგისა. ოპერა აგებულია ჩინურ მოტივებზე.

■ **მუსიკა-დჯაზ.** პარიზში მოახდინეს ანექტა მუსიკა-დჯაზის შესახებ; დჯაზის მომხრენი აღმოჩნდა მხოლოდ 15 პროცენტს, ასეთი ანექტა წარსულ წელსაც მოხდა მაგრამ მაშინ მუსიკა-დჯაზის მომხრენი 75 პროცენტი იყო.

**ა მ ე რ ი კ ა**

■ **ი. სტრაინსკი.** იგორ სტრაინსკი განაგრძობს თავის ტურნეს შვედეთში შტატების ქალაქებში. მისი კონცერტები ყველგან იწყებენ დიდ ინტერესს.

■ **„პეტრე დიდი“.** ნევი-იარკის ებრაულ სამხატვრო თეატრში მ. შუარცის რეჟისორობის დაიდგა. ახალი პიესა: „პეტრე დიდი“.

**ბ ე რ მ ა ნ ი ა**

■ **კატახტროფა.** ბერლინში ერთი მსხვილი კინოფირმის ახალი დიდი ფილმის „ფუფუნების შვილი“-ს გადაღების დროს ცნობილი გერმანელი კინო-მსახიობები ლია პარი, ლია ენენშუტც და ვანს ალბერს ჩამოვარდნენ 10 მეტრის სიმალიდან და ფრიალ მძიმედ დაზავდნენ. ლია პარიმ მოიტება ფეხი, ლია ენენშუტცს შეერყა ტვინი და ვანს ალბერსს აღმოაჩნდა ჩატეხილი გვერდების ძვლები.

■ **კინო-გამოფენა გერმანიაში.** გერმანიის კინოფაბრიკანტების კავშირმა გადასწყვიტა მოაწყოს გამოფენა ყველაფერი იმის რაც დაკავშირებულია კინო-ინდუსტრიათან. გამოფენის მოწყობა განზრახული იყო 21 თებერვლისათვის, მაგრამ გადაიდო გამოურკვეველ დრომდე.

ეს გამოფენა არ იქნება ინტერნაციონალური მაგრამ უცხოეთის ექსპონატები გამოტენაზე მიიღებიან.

**ი ნ ვ ლ ი ს ი**

■ **ბერნარდ შოუ.** ერთ თეატრალურ დირექტორის შეკითხვაზე ბერნარდ შოუსადმი, სურს თუ არა მას დასწეროს პიესა ირლანდიის მოგზაური დასისათვის, შოუმ უპასუხა შემდეგი: „ბერნარდ შოუ შიშობს, რომ დადგა უკვე დრო როცა ირლანდიულ და სხვა დრამების წერა მან დაუთმოს უფრო ახალგაზდებს“. მთელი ინგლისის პრესა ამ პასუხს ხსნის როგორც შოუს გადაწყვეტილებას შესწყვიტოს თავისი მუშაობა დრამატულ დარგში.

■ **რადიო-კინო.** ამერიკასა და ევროპაში უკანასკნელ ხანებში სხვა და სხვა გამომგონებელთა მიერ გაკეთებულ იქნა რამდენიმე ცდა რადიო-კინემატოგრაფიის დარგში.

ასეთი ცდა რამდენიმე ხნის წინად გაკეთებულ იქნა ლონდონშიაც. სპეციალურ ეკრანზე მოქმედების მომენტში ნაჩვენები იქნა მიმოხილვა, რომელიც ამ დროს მიდიოდა ერთ-ერთ კინო-თეატრში კარგა მოზარებით ცდის ადგილიდან.

■ **ფილმა თავისთავის შესახებ.** გერმანელმა კინო-რეჟისორმა ფრედრიხ პარგასმა დასდგა სურათი რომელიც წარმოადგენს ფილმის ისტორიის ილიუსტრაციას. სურათი შესრულებულია ბრწყინვალეთ და დიდი გამოხმაურება ჰპოვა პრესაში.

ფილმა უჩვენებს თავის განვითარების საფეხურებს პრიმიტივიდან დაწყებული ჩვენს დრომდე; და აგრეთვე კინო პეტიორების ევოლუციის თეატრის პირველ პეტორებიდან დღევანდელ არტისტამდე. მაყურებელთა წინაშე ჩნდებიან სახელგანთქმული კინო-რეჟისორები მუშაობის დროს, ატლეს ცხოვრება, დამოუკიდებელი ცხოვრება იუპიტერების და სხვა. მოხდენილად ამოკეცილი ციტატები სხვა და სხვა ფილმებიდან და ტენიური მიღწევების საუკეთესო მომენტები ფილმის თავიდან აზრებენ სიმშრალეს, რომელიც, დასდევს ხოლმე სამეცნიერო სურათებს.

ამ რიგად ფილმა პირველად გამოდის როგორც მომხსენებელი თავის თავზე, და ეს მოხსენება არის ერთი საუკეთესო თანამედროვე სურათი.

■ **სარა ბერნარის ქალაქი-ბალი.** პარიზში იწყება სარა ბერნარის სახელობის ქალაქი-ბალი. ქალაქი-ბალი სპეციალურად დანიშნული იქნება ხელოგანთათვის. ჯერჯერობით შენდება 100 სახლი.

პასუხისმგებელი რედაქტორი ს. ქურდიე.

ხელმძღვანელი—სარედაქციო კოლეგია.

გამომცემელი სრ. საქ. ხელოვნების მუშათა კავშირი.

# სახელმწიფო თეატრების პროგრამები:

რუსთაველის თეატრი

შაბათს 28 მარტს

ალ. შანშიაშვილის

## ლ ა ტ ა ჯ რ ა

დრამა 4 მოქმედებათ

მოქმედნი პირნი:

ლატურია—თ. წულუკიძე ინკუბუს—უშ. ჩხეიძე სანი შარაინი—დი. გურამ—შ. ღამბაშიძე რატი—გ. დავითაშვილი ბექარ—ბ. კობახიძე ენეიდა, ანიელი ბატონი—ა.კ. ხორავა დედა ენეიდაისას ს. ბევენაშვილი მოურავი—პლ. კორიშვილი მწიგნობარი—გ. ხელაია, გამდელი—პ. ამირჯანი ვეზირი—ბ. სვანიძე გური—ბ. კანდელაკი ხელოსანი—ს. სულაკაური მჭეველი—შ. ჩხეიძე დურგალი—ბ. მალაკელიძე მგოსანი—მ. ბერიაშვილი მოქალაქე—ბ. წულაძე გული—მ. ვარდოშვილი მწყემსი—გ. გვარამე მუშა—ჩ.წ. შაველი—ნ. ვიქია ვ. გომიანი შვილი დარაჯი—ი. აბაშიძე ელჩები—პ. შურდულია იაქანთარია დობილი—ნ. მესხიშვილი ნ. დლიძე მ. მრევლიშვილი მოციქევავე ქალი—ე. კელიძე ბეკარის მოციქელი—პ.ს. კარის კაცი, მეომარი, ხალი და სხვა.

დადგმა ალ ახმეტელის დეკორაციები და კოსტიუმები ირ. გამრეკლისა მუსიკა თ. ვახვახიშვილი რეჟისორი და ანთაძე სამხატვრო ნაწილის გამეგ კ. მარჯანიშვილი.

კვირას 29 მარტს

ალ. შანშიაშვილის საღამო.

## ქისიყის გმირება

დრამა 4 მოქ. აღ. შანშიაშვილისა

მოქმედნი პირნი:

თინდა—ვ. დავითაშვილი, ნენე, მისი ცოლი—თ. ჭავჭავაძე, ათახელის ქერი—ნ. დავითაშვილი. ციბო—ა.კ. ვასაძე, მეგა, მისი ცოლი—ან. შოთაძე, ელიზბარ ფ.შ. ჩხეიძე, მათია—პლ. კორიშვილი, ბატონი—დავ. ჩხეიძე, ელჩი—ა.კ. ხორავა, ბატული—ელ. დონაური

ბემშირ—შ. ღამბაშიძე, დემირი—ვ. ჯიქია, ჯანლო მოურავი—აღ. ფოფოლიანი. მსახურნი: 1. შლო—ი. ვ. ჯორჯაძე, 2. გიგო—თ. წულუკიძე, მონადირე—ბ. სვანი, ელიბო—მ. ვარდოშვილი, თხა—გომიანიშვილი, დათო—ს. სულაკაური, გლეხები: 1—6. გვაჩაძე, 2—მ. შურდულია, 3—ბ. წულაძე, 4—ბ. ბერაძე, დარაჯი—ვ. კანდელაკი, ჯარის კაცი—ბ. მალაკელიძე, დედაკაცები: 1—ბ. მალაკელიძე, 2—ც. წუწუნავა, 3—ს. ბევენაშვილი, ქალები: 1—ბ. შავიშვილი, 2—ნ. აღმაშენებელი.

მასიურ სცენებში მონაწილეობენ დარაჯები, ჯარის კაცები, გლეხები და სხვა. დადგმა კოტე მარჯანიშვილის და ალ ახმეტელის. ახალი დეკორაციები დამზადებულია გ. ნაღუბაშვილის მიერ. სამხატვრო ნიწილის გამეგ კოტე მარჯანიშვილი.

სამშაბათს 31 მარტს

ი. გვედვიანიშვილის

## ს ი ნ ა თ ლ ე

ზღაპარი ფერია 9 სურათად

მოქმედნი პირნი:

მეფე ჯიმშერი—უშ. ჩხეიძე დედოფალი—ც. ამირჯანი ამათი შვილები: ათანადილი—ბ. შავიშვილი, გორდასპი—ბ. გამრეკელი სპასალარი—ბ. კანდელაკი ეზირი—ვ. ლიქია დიდბულბული—1. ბ. წულაძე 2. ა. სვანია მსახური—1. ვ. აბაშიძე 2. ბ. სვანი დესანტები—1. გ. სარჩიშვილი, 2. მუჯია შიკრიკი—1. მ. მჭედლიძე 2. გ. ოსევაშვილი კარისკაცები—1. შ. წერეთელი 2. ჩხეიძე გლეხები—1. ნ. გვარამე 2. მ. ვარდოშვილი 3. მ. მჭედლიძე 4. ბ. ბერიძე

დღერინი—ა.კ. ხორავა ჯადოსანი—ს. ბევენაშვილი ეშმაკები—1. ვ. გომიანიშვილი 2. ს. სულაკაური 3. პ. კობახიძე 4. ბ. შურდულია 5. ი. ქანთარია 6. მ. ბერიაშვილი 7. ს. ფოფოლიანი გველშემა—ბ. კორიშვილი ფერიები: პირიმე—თ. წულუკიძე, მეფარია—ღამბაშიძე ბროლისანე—ე. დონაური ნათელა—მ. ლორთქიფანიძე წყრილი—ბ. მალაკელიძე ანკარა—თ. ჭავჭავაძე

სეფე ქალები—1. ი. ჯორჯაძე 2. ე. თფურაძე 3. ნ. დონაძე 4. მ. მრევლიშვილი, 5. მ. მესხიშვილი, 6. ე. კელიაძე 7. ნ. დავითაშვილი, 2. გ. ვახვაშვილი, 3. ც. წუწუნავა 4. შოთაძე. დადგმა: კ. მარჯანიშვილისა და ახმეტელისა.

ხითშაბათს 2 აპრილს

## მ ა ლ შ ტ რ ე მ

გრ. რომაქიძის დრამა 6 მოქმედებ.

მოქმედნი პირნი:

პირ. მოქმ.

ფინკელშტეინ—ნ. გაცირიძე რეს. სახ. არტისტტი, პენეტე—დავ. ჩხეიძე, გელფერბი—აღ. ფოფოლიანი, უცნობი—გ. დავითაშვილი, როკველდო—ა.კ. ხორავა, აზნაფულა—ა.კ. ვასაძე, მორელა—თ. ჭავჭავაძე, მებაპირსენი:—ბ. შავიშვილი, ე. კელია, ელ. თფურაძე, ნ. აღმაშენებელი, სარჩიშვილი, კრუპი—გ. სარჩიშვილი, შვეიცარი—ბ. წულაძე, ორი კოკოტი: ნ. დლიძე, ელ. თფურაძე, ვახუთის გაყვიდედნი: ს. სულაკაური, მ. მრევლიშვილი, ლოლა—ბ. დავითაშვილი, ბალანშემა—ბ. გამრეკელი, პიკოლო: იფლ. ჯორჯაძე, შ. წერეთელი, კარტის მოთამაშენი: რომაქიძე, ბ. მალაკელიძე, მ. მჭედლიძე, ნ. ახვლედიანი, ი. აბაშიძე, ვ. კანდელაკი, პ. კობახიძე.

მეორე მოქმ.

მორელა—თ. ჭავჭავაძე, მეწისქვილე—პლ. კორიშვილი, უცნობი—

გ. დავითაშვილი, ვაჭი—დ. შავია, ჭალიშვილი—თ. წულუკიძე, მე-წისკელის შვილი-შვილი—ბ. ბერიაშვილი, შეფეხუნი: პ. ბერიძე, შ. ვარდოშვილი, გ. ხელია, უშან-გაი, ჩხეიძე ბ. წულაძე, მღვდანი: კ. ახვლედიანი, ი. აბაშიძე.

მესამე მოკმ.

ზარიტა—ელ. დონაური, დედა—ს. ბუკანიშვილი, მამა—ვ. ჯგია, ძმა — შ. დამბაშიძე, ფინკელ-შტეინ—ნ. გოცირიძე, პენუტი—დ. ჩხეიძე, გუბები: მ. ვარდო-შვილი ბ. მჭედლიძე, მოაბი—პ. მურდულია, ბოშები: პ. კანდე-ლაკი, ბ. მალაქელიძე, ა. ახვ-ლედიანი, ბ. წულაძე, კ. ახვლე-დიანი, ბ. მალაქელიძე, ზ. ოსე-ფაშვილი, გალ. რობაქიძე, ნ. ალექსი-მესხიშვილი, მ. მრეველი შვილი, ელ. თოფურაძე.

მეოთხე მოკმ.

მორელა—თ. ჭავჭავაძე, როყვე-ლური—ა.კ. ხორავა, კეთროვანები:

პ. ბერაძე, ბ. სვანი, ნ. ახვლე-დიანი, კ. ახვლედიანი, მ. ლო-რთქივანიძე, ბ. მალაქელიძე.

მეხუთე მოკმ.

დადასტები: შ. დამბაშიძე, მ. ლორთქივანიძე, დ. შავია, გ. სარ-ჩხეიძე, პ. კორიშვილი, პ. კან-დელაკი, კოკოტები: ე. თოფური-ძე, ც. წულუხავა, ა. შოთაძე, ი. მრეველიშვილი, ე. კეღა, მორელა. — თ. ჭავჭავაძე, მარიული—უშ. ჩხეიძე, ფილკ-შტეინ—ნ. გოცირიძე, პენუტი—დ. ჩხეიძე, გელფერიხ—ალ. ურ-ფოლიანი, ოფიცერი—პ. კობახიძე, კეთროვანები: პ. ბერაძე, მ. ვარ-დოშვილი, ნ. ახვლედიანი, კ. ახვლედიანი, ზ. ოსეფაშვილი, შ. დამბაშიძე, მ. ჩხეიძე, სტუმრები: გალ. რობაქიძე, მ. მჭედლიძე, ი. აბაშიძე, ს. სულაკაური, ბ. სვა-ნი, ბ. ხელია, ია. ქანთარია.

მეექვსე მოკმ.

ახვლე—ა.კ. ვახაძე, აგნტი ნ. გვარამი, უცნობი—გ. დავითაშვი-ლი, კეთროვანთა დედოფალი—თ. ჭავჭავაძე, დარაჯები: კ. წულაძე, პ. მურდულია, რველიუ-ლიწერები: პ. ბერაძე, ვ. ვაძი-შვილი, მ. ჩხეიძე.

დიდი მახსა.

დადმა: კ. მარჯანიშვილისა და ალ. ახვლედიანისა. დეკორაციები და კოსტიუმები მხატვარ ნ. უშიანი შესრულებული დეკორატორ გ. ნაღმაშვილის მიერ. განათება ი. კარსლანისა (სეკს) ს. სერგვევის დირიჟორი ალ. გვედუხიანი რე-ჟისორი ალ. ჯგვედუხიანი რე-ჟისორი ნაწილის გამგე: კლბე მარჯა-ნიშვილი. დრამის გამგე: ს. შა-ლოშვილი.

პირველ პარილიდან დაიწყება გეგმა და იმისის შუა რიგებში გამოსვლა ორ ტომად

# ჭოლს ლომთათიბის

მ ო თ ს რ ო ბ ე ბ ი

სოლომონ თაბაძის (ობოლი მუშა) რედაქტორობით

I ტ ო მ ი :

1. კოლას პიორაფთა შედგენილი ს. თაბაძის მიერ
2. თეორი ლამე

3. უსათაურო
4. სახრობელს წინაშე
5. საპურობილში

6. უბის წიგნიდან
7. პირველი მათის

II ტ ო მ ი :

1. აღრევა სულისა
2. სიკდილი
3. შიში
4. დუმილი
5. მოლაღატე
6. გრამაფონი

7. უბედური
8. მამასახლისი თუაძე
9. მღვდლისას
10. მარინე მონაზონი
11. აღსარება
12. კვლეა ფიჭო, ფიჭო

13. წერილი
14. წემი დღიური
15. პოზორიანი
16. ივანე გარგანელი
17. გზაში
18. ძე კაცისა

(მეორე ტომშივე მოთავსდება კოლას ჯერ გაოუქვეყნებელი დღიური, დაწერილი პარედვარილაკაში

თვითული ტომი იქნება დაახლოებით 320 გვერდი, მოზრდილი ფორმატისა

ქაღალისსიძვირის გამო წიგნები გასასყიდად ძალიან ცოტა გამოვა და არა ხელისმომწერთათვის გაკო-ლებით შეტკე ელირება. ამიტომ ყველას, ვისაც კი კოლას გამოზავნოს მათის 15-ამდე ერთად თხზულებათა შეგების სურვილი აქვს, ორივე ტომის ფასი 4 მან. ან ნაწილ-ნაწილად. ცნობა თუ ვის რა მღები წიგნი დასურვებდა უნდა მოგვაცნოთ მარტის დამდეგამდე კოლექტიურად ან ნაწილ-ნაწილად, რომ ამ ცნობების მიხედვით დაგვეგეგოთ წიგნები.

ამასთანვე ხელისმომწერა მიიღება:—**ფილისში**—გამომცემელთან, წიგნის მაღაზია „განათლება“-ში, ლენინს ქუჩა № 6 და წერეთლის საზოგადოების მაღაზიაში. **რუგრეში**—მოს თბილისის და ვანატოების განყოფილების წიგნის მაღაზიაში. **ფოთში**—მასწავლებელ ბათლომე მებერლიძესთან, ისაკი სიხარულიძესთან (ნაფსადგურის სახალო სახლი) და ვასო ჭიდიშვილთან; **ჩხატაურში**—ლადო დამბაშიძესთან. **სიღნაღში**—ილი-კო მხეიძესთან და ალექსანდრე ნაცულიშვილთან. **თელავში**—ქრისტეფორე რამიშვილთან, კოტე გვეგელიძესთან და იაკობ ცინცაძესთან. **სამტრედიისში**—ვალიკო ხარბიჭავასთან. ბათუმში—ირაკლი ლონტატთან, სერგო ყუფიაჩა-ძესთან და ონიფანტე რამიშვილთან. **ქუთაისში**—თომა შთავრიშვილთან, ალექსანდრე მარაშიძესთან, გეგლიან წულაძესთან და ივანე კილაძესთან, ჭიათურაში—საველი თორდიაშთან, ნავიგარში—გრიგოლ გუგუხავასთან. **ღან-ჩხეთში**—მასწავლებელ მზაკო იმნაძესთან და ლუკა ურუშაძესთან. **სუფსაში**—კვიროსი ჩხაიძესთან. **ხიდისთავ-ში**—ლეონტი კეკელიძესთან. **გორში**—ვარლამ მგალობლიშვილთან. **ზესტაფონში**—პლატონ კიკნაველიძესთან. წიგნის მაღაზიაში.

ცინე 4 მან. გადაიხდის მათის 15-მდე. იმათ წიგნებთან ერთად, უფასოდ დაურიგდებთ **პოლას გადრიბეშული ს უ რ ბ თ ი** ხილ. თაბაკიძეაპა.

# ԵՐԿՐԱԿ

№ 14



Չ. Չ. Մ Ե Ե Ե Ե Ե

Երկրորդին Երկրորդին Երկրորդին Երկրորդին Երկրորդին.

Երկրորդին Երկրորդին Երկրորդին Երկրորդին Երկրորդին

1925

# შინაარსი

ხელოვნების სახლი	მეთაური
საზოგადოება და კულტურა	ს ლი
დევადანსის ხანა პოეზიაში	აღ. ქ — ლი
ხელოვნების დღეებისათვის	ბ. ჩხიკვაძე
ე. სარაჯიშვილის ხსენების საღამო	ვ. გაგელი
ზ. ფილიაშვილის იუბილე	გ
„ბაიადერა“	გ. გეორგიევსკი
მიგაის გასტროლები	ა. დ.
პროფ. ე. ლანსერე	შ. შამაღაძე
ექსპრესიონიზმი კინოში	ვ. მ.
სიკვდილი კომუნარისა (პიესა)	ს. ერთაწმინდელი
ახალი ოჯახი (მოთხრობა)	ვ. ახელი
მუშათა კლასი და ხე ოენება	
ქრონიკა	

# ხელოვნება

ადრეცის მისამართი: რუსთაველის პარსადები, მუხათა სასახლე. ოთახი № 54. ტელეფონი 14-08.

№ 14

ს. სპირტოვს ხელოვნების მუხათა პარტ. კავშირის ყოველპირველი ორგანო

№ 14

## ხელოვნების სახლი.

ხელოვნება—პოლემარების სფერო. საკმის წყლია.

ლენინი.

P-7-13

ამ დამათ ხელოვნების მუხათა პროფკავშირის გამგეობა აწარმოებს მუხათას თვისი კლუბის დაარსებისათვის. სხვა ქალაქების ხელოვნების მუხათა კავშირების მზავსათ ჩვენი კლუბის სახელწოდება იქნება „ხელოვნების სახლი“, რომლის მიზანი და დანიშნულება იგივე იქნება, როგორცა მუხათა კლუბების...

ზაფხულისათვის კავშირის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს გახსნას **სარაჯიშვილის** სახელობის ბაღი, სადაც იწარმოებს საკლუბო მუხათა მთელი ზაფხულის განმავლობაში...

ზამთრისათვის კი მიღებულია ყოველნაირი ზომები, რათა სახლისათვის გამოძენილი იქნას შესაფერი ბინა... ცხადია გამგეობის ასეთ ნაბიჯს ესაჭიროება ყოველნაირი დახმარება კავშირის წევრებისაგან.

ვინ უნდა იყოს დანერტერესებული კავშირის სახლის დაარსებაში, თუ არა თვით ხელოვნების მუხათები?

ვინ უნდა გაუწოდოს დახმარების ხელი კავშირის გამგეობას, რათა დაჩქარებით იქნას მოწყობილი ხელოვნების სახლი, თუ არა ხელოვნების მუხათებმა? კავშირის მთელი წევრმა უნდა იცოდეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა

აქვს ხელოვნების სახლს მისი კულტურულ და პოლიტიკურ—საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

მან უნდა იცოდეს, რომ „ხელოვნების სახლის“ მიზანია: ხელოვნების მუხათა საწარმოო და კულტურული დონის აწევა; მათი პროფესიონალურ და საზოგადოებრივ—პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმა.

მან უნდა იცოდეს, რომ „ხელოვნების სახლის“ წევრები ისარგებლებენ წიგნთსაკითხით, სამკითხველოთი და ყველა იმ გამართულ გასართობებში.

ამისათვის კი ხელოვნების კავშირის წევრები ვალდებული არიან დაეხმარონ კავშირის გამგეობას სახლის დაარსებაში.

არც ერთი წევრი ჩვენი კავშირისა არ უნდა დარჩეს ხელოვნების სახლის ვარეშე.

ნუ თუ შეიძლება ვიდრეკრთო, რომ თვეში 20 კაპეიკის გადახდა ვინმესთვის საწინაო იქნება? ამიტომაც, ჩვენ გვჯამს, რომ ადგილობრივი კომიტეტებზე არ დაიშურებენ თავიანთ ძალ-ღონეს და დაეხმარებიან კავშირის გამგეობას, რათა ყოველი წევრი კავშირისა გახდეს ხელოვნების სახლის წევრათ.

# საზოგადოება და კულტურა

ყოველი საზოგადოება ჰქმნის თავის კულტურას. ეს არის საზოგადოების შინაგანი სტიქიური მისწრაფება. მრავალ კონკრეტ ინდივიდუალურ თვისებათაგან, საზოგადოების სხვადასხვა წევრთა, წრეთა და ჯგუფთა შორის დამოკიდებულება ჰქმნის საერთო ტიპიურ ფიზიონომიას. მოელენათა ტიპურ კომპლექტს, რითაც განიხსნებება, და გამოიხატება მოცემული საზოგადოების კულტურული ფიზიონომია.

კულტურას შეადგენს ფიქრთა, აზრთა, ნებათა, განსაზღვრული მისწრაფება ცოდნის, გამოცდილების, დახელოვნების, ბრძოლისა და მოღვაწეობის განსაზღვრული წესი და სახე.

კულტურა ცხოვრობს არა ობიექტიურ გარემოში — ხასიათებში, ქარხნებში, მუზეუმებში, თეატრებში და გალერეებში, არამედ იგი ბინადრობს ადამიანის თავში, ხელში თითვეში, სწენაში, მეტყველებაში, აზრთა წყობაში და საერთოდ აზროვნების და მოღვაწეობის ამ თუ იმ ხასიათში.

კულტურა თავსდება ადამიანებში, სუბიექტებში და არა საენებში, ობიექტებში. კულტურა ადამიანთა მისი განაღობების, სწავლის, განვითარების და მომზადების შინაგანი მხარეა. იგი ადამიანის მეს ვაბატონება ბუნების ძალების სტიქიურ მიმდინარეობაზე.

კულტურა მუდმივ განვითარების, მოძრაობის, დინამიურობის პროცესშია. კულტურის შეჩერება შეუძლებელია. საზოგადოება მუდმივ კულტურულ განვითარებაში იმყოფება. კულტურის საუქმელი შრომაა. შრომა მიზნობრივი და მიზანშეწონილი, შრომა, როგორც ყოველ ღირებულებათა წყარო და საზომა.

განყენებული კულტურა არ არსებობს. კულტურა ორგანიზულად უკავშირდება განსაზღვრულ კონკრეტულ სტორიულ საზოგადოებას, ვითარდება მასთან ერთად, განიცდის თავის ფორმისა და შინაარსის ცვალებადობას, აცდის თაობიდან თაობაზე, საუქუნთან საუქუნზე, მაგრამ არ წყდება განვითარების ძაფი, თვით კულტურული განვითარების პროცესი.

დღევანდელი კულტურა გუშინ არ შექმნილა და ხელს არ მოსიბოძა. იგი საუქუნობრივი შრომის, შემოქმედების და მიღწევის ჯამია, იგი მრავალ საუქუნეთა აზრთა და ფიქრთა ნაღვეა. ამ კულტურის თავისებურობა ეს არსებული სოციალური ვითარებები ისაზღვრება.

სოციალისტურმა სახელმწიფომ მიიღო ძველი კულტურა, მეფერი, თავიდანმართლი, ბურჟუაზიული. ეს წასაღისი მიერ მოცემული მასალა, რომლის გარეშე ვერაფერს ვერ აავებ. კაპიტალიზმმა რაც შექმნა, კაპიტალისტურმა კულტურამ რაც მოგვცა, მით უნდა ჩაეყაროს საფუძველი სოციალიზმს. ამიტომ საჭიროა ჯერ კიდევ ვისწავლოთ კაპიტალისტური კულტურადან, რომ მისი გამოყენებით მკვიდრ საფუძველზე დაეაყენოთ ჩვენი ეკონომიკა, ჩვენი ცხოვრება.

ბუნებრივად მოცემული სიმდიდრენი კიდევ არ იქნება სიმდიდრეს. ის მხოლოდ გამოდრების შესაძლებელია. ეს შესაძლებელია ბურჟუაზიული კულტურის მიერ შექმნილი ტენიებით შეიძლება დაქაბათ იქცეს. ამიტომ ტენიკური, აგრონომიული, ეკონომიური და ყოველი სხვა დარგის ცოდნა ჯერ კიდევ კრიტიკულად უნდა ამოკრიფოლ იმ შრომებიდან, რომელიც ჩვენი ხელით არ დაწერილა, ჩვენი ინტერესით არ შექმნილა, ჩვენზე ზრუნვა მიზნით არ დაუხსახავს. ასევე უნდა მოვიტკუთ ხელოვნების დარგშიაც.

ბურჟუაზიული კულტურის დაძლევა მისი დაბატრინებით შეიძლება; რომლის შემდეგ შეიძლება თვით გაგეხნება შემოქმედების ახალი გასაქანია.

ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოს დაუბატოთ ამერიკული ტენიკა, ინგლისური ანგარიაშინაობა, გერმანული დისციპლინა და აზროვნება და მიიღებთ განვითარების უდიდეს შესაძლებლობას. საამისოდ მასის, საზოგადოების კულტურული ამაღლება საჭირო. ხანგრძლივ, თავდადებული და სისტემატიური ღონისძიებანია აუკლებელი.

ჩვენში ინტელიგენციის სიჭარბეზე ლაპარაკობენ ეს სწორი არ არის. ჩვენ ძალზე ღარიბი ვართ სპეციკალიზაციური ინტელექტუური ძალებით, რამდენი ინჟინერი, ტენიკი, აგრონომი, ეკონომისტი, კეთილსინისიერი საბჭოთა იურისტი გვეყავ? ძალიან მცირე. ყოველივე ეს ამიერიდან შესაქმნელია. უკულტუროთ ვერაფერს შეეძენით. ძველის გამოყენების გარეშე მოქმეებითა მდგომარეობაში ჩაეყარდებით. სასწრაფოთ, ნაუჭათევათ, სახელდახლოთ დიდათ ვერ წაწვეთ კულტურულ დონეს.

ამ მიელი სიძლიერით თავს იჩენს ხელოვნების შინაშენილობა, მასა, ხალხი, საერთოდ ადამიანი უფრო სახეებით, სურათებით მსჯელობას იფიციებს, ვიდრე აბსტრაქციებით. ცნებებით. ხელოვნებაც იდეოლოგიის ერთობა სახეა მოცემული სახეებითა და სურათებით. ამიტომ ის ყველაზე უფრო გამოსაღვია მასიურს კულტურის, მასის განვითარებისათვის.

ყველა აქამდე არსებული კულტურა ხალხის უნიშნული ნაწილის კულტურა იყო. ამაში იყო მათი სისუსტე. ამიერიდან კულტურა ხალხის უდიდესი მხარესიოსის კულტურა უნდა იყოს. ამაში იქნება მისი სიძლიერე. ახალი საზოგადოების შექმნა ახალი კულტურის შექმნის გარეშე შეუძლებელია ახალი კულტურა კი წარსულის მომხარების, მისი გამოყენების გარეშე არ შეიქნება ამიტომ კულტურული მუშაობის საკითხი ცენტრალურ ადგილს იქებს ჩვენს საქმიანობაში.

ამ ფრონტზე დიდი ენერგიის გაღება საჭიროა.

სალი

# დ ი ს კ უ ს ი ა

## დეკადანსის ხანა კოპიზაში.

კულტურის დეკადანსის, ციცილიზაციის ხანაში, პოეზიას აღარ გააჩნია უკვე წარმოშობისას არსებული პარკელოზობა, ცხოველობა და უნებობა. პოეზიაში ამ დროის, აღარ მარბნია თავის თავად გასაგები საერთო ენობრაცია მთელი ხალხისა.

ესლა იზადებიან უკვე (ვგულისხმობ უმთავრესად ევროპის) განმარტოვებული პოეტები და განმარტოვებული მსმენელი მხატვ. ნაწარმოების; ან სხვათათვის და თავის-თავისათვისაც ნაკლებ გასაგები „ახალმოდური“ კოლექტივები. „პოეტის კარიერა“ სწორად მავალითად, სიმეოლისტების ხელში უფრო, მიდის სივარდემდე, თვითმკვლელობამდე და სხვა...

ალექსანდრიული ხანა საცესების დამკვიდრებული იყო რევოლუციამდე, რევოლუციის ევროპაში ისე რუსეთში (საქართველოშიც). ამ დაცემის ხანის პოეტებს არაფერი საერთო არა აქვთ რევოლუციონერ თანამედროვობასთან.

საინტერესოა ამ მხრივ ჩვენი ქვეყანა.

თითქოს იმ ქვეყნის დეკადანსზე ლაპარაკი, რომელიც ეტეხანდ გამოვიდა სამოქალაქო ცხოვრების ასპარეზზე, ნაფარევი და შეუსაბამო წამყვანობა და ზედადგენებში მოქცეულ გადაგვარებულ ხალხთა საქმედ ჩანს... მათი ბრწყინა და თანდათანობითი ლიკვიდაცია მიმდინარეობს ჩვენს წინაშე და კიდევ უფრო მეტის ინტენსივობით გავრცელდება და დასრულდება; ასეთი ბედი ეწყვეათ მათ ვინც ჩვენს სინამდვილესთან ორგანიულად დაკავშირებული არ აღმოჩნდებიან.

ევროპის „დიდი ქალაქი“ გადავარდნილი და დაავადებული ფსიხიკით აღჭურვილი პოეტი რომლის მწერლობაში შეპარულია უკვე ყალბი ხაზები, ალტგორიები. ბრძნული ფრაზიორობა, ზევიდან ქემვლად დამცქარალი ჩვენის გლტურ-სოფელი ქვეყნისა, ცხოვრებისად გარიშვლი ამოჩინდა. ისე ვით სხვაგან ისევე ჩვენშიც იგი ვადღებული გახდა გავთვალისწინებია თავისი მდგომარეობა საზოგადოებაში, გავთვალისწინებია სინამდვილესთან დაშორების რაობა, საკუთარი დეგენერაცია, მიწასთან დაბრუნება.

ეს ტიპი ჩვენთვის საგულისხმებოა. იგი გამოადგება რომანისტს და დრამატურგს ასახვისათვის. ეველაზე უმჯობესად ამ ნივთისთვის უარისყოფა, რომელსაც აწვავს ყალბი ევროპის სწული ციცილიზაცია.

ისინი ევროპის ვერ შესძლებენ „ხალხის ძარღვიან ლირიკასთან“ მისვლას და ზიარებას, მაგრამ მათ ევლორ შევლის ვერც დიდი ქალაქის ე. წ. „განმეორებითი ლირიკა“, რომელიც მელანქოლიით, ხან ცინიზმით ან კიდევ ყალბი ირონიით მოიცავს ხოლმე

ყოველივე წმინდას (ევროპაში და საუბედროდ ჩვენშიაც) რაც აქ გვაშურებს, გეტანჯავს ან გვაძალბებს; ზოგიერთის შემთხვევაში ჩვენ მოგვეპოვება ევროპის „დიდი ქალაქების“ ტრადიციულ მოყოლილ ხალხთა მატერულ ნაწარმოებების ნიმუშები, რომელშიაც შეცდილან ხალხის და ჯანსაღ შემოქმედების გავრცელებას, მაგრამ ეს არის უმთავრესად ყალბი ფარსხალის ასხმა თანამედროვება, ბუტყფორული შენება, ალექსანდრიულია სტილიზაცია. მექანიკუნად მოტანილი სიტყვები, ისევე იმ ბრძნული ფრაზიორობა, ალტგორიები და სხვა, — „დიდი პოზია“. ამ პოეზიაში მოსჭევის ცეკი გონებისადმი, ბუნების კანონთა მიზანშეწონილობაში, ვინაიდან გონება მოლილია მის მიერ შექმნილ მიღწევებში. სულ სხვაა ჯანსაღი, საერთო ენობრაცია ხალხისა; და მის წიაღიდან შობილი, ორგანიულ ნიადაგზე მდგომი პოეზია. ესეთი ტიურ თვალსაზრისის მიხედვით, და არა მისაღებ-მიღებლობისა ჩვენ აღუწინავე შეძლევ გარემოებას:

პოეზია ბერაელთა გამოწყვეულია ღმერთის წინაშე შიშით და ადამიანის არარაობით. ეს შიში ასახულია უდიდეს სახეებში, რომელნიც იმონებენ. აბრამეებენ ადამიანს ისე, ვით ტანაყარი ქანდაკი და „ველური სიბრძნე“ მოსწინასწარმეტყველსა.

ბერტენთა ტრადილიაში „ყოფილის“-ში ბიროს უკანასკნელი სამგლოვიარო ადგილები გვაშენებენ ადამიანის ბრძოლას და დაცემის კოლოსალურ ქანდაკების, გარღვეულ მძიარის წინაშე.

ევროპის ანუ შექსპირის ტრადილია იმვე სამგლოვიარო შავს ტანისაბურავში გახვეულ სკეპტიურ ადამიანს გვიხატავს, რომელიც სეამს საზარადის საკითხს; „ყოფნა არ ყოფნის“.

ექსპრესიონისტების კოსმიური ტრადილია იგივე გარღვეული მძიარის (ფაქტში ბელისწერა) წინაშე ბრძოლა-კოსმოსის და მიკროკოსმის დაბირისპირებაში ადამიანი წარმოდგენილია, როგორც ხაფანგი დაჭერილი თავი, რომელსაც მოელის ნათით და ცეცხლით დაწვის საშინელება.

„ოედის“-ში ტრავიულად ასახული მებრძოლი კაციობობა; „ჰამლეტი“ „ყოფნა არ ყოფნის“ საკითხით შეპარობილი, აღჭურვილი გრძობა-გონების და ნების-ყოფის მიღწევებით და მათდამი ეჭვის გამო მოწყენილი პიროვნება; ექსპრესიონისტულ დრამაში დასმული: ბუნება-კულტურის წინააღმდეგობათა შორის მოქცეული კაციობობა-ყოფილივე ეს მოთხრობა ღელსაც პასუხს, გამართლებას, მოითხოვს ბრძოლას ბედისწერასთან ისეთ მდგარს და გაბედულს, როგორც იციდენ გვიანტებმა და არა დღევადელ დეკადენტ-ეპიგონებმა.

ალ. ქ.-ლი.

# ხუროთ-მოძღვრებისათვის.

ჩვენ როგორც ვიცით ტფილისის ქალაქის საბჭო დიდ ენერჯის ხარჯავს ქალაქის კეთილ-მოწყობაზე. ერთ-ერთი კეთილ-მოწყობის საგანს შეადგენს ქალაქის აშენება. ამკამად დიდი აღმშენებლობითი მუშაობა მიმდინარეობს. მაგრამ რა პრინციპებს ემსახურება, ან უნდა ემსახურებოდეს ესლანდელი აღმშენებლობითი ხელშეწყობა? აი საკითხი, რომლის გარშემოც მე მიიდა ორიოდ სიტყვა ვსთქვა.

რომ ავიღოთ ტფილისი და გადავთავალიეროთ, ევრც ერთს სწორე შენობას ვერ ნახავთ, რომელიც განსაკუთრებულის გემოვნებით ან სტილით იყვეს აგებული, როგორც გარედგან ისე შიგნით.

ყველაფერი გაპროიენციალეებულია.

ავიღოთ ძველი ტფილისი, რომელიც მომხიბლავია თავისი აივნებით, ის ხუროთ-მოძღვრული მოტივები, რომლებიც ამ აივნებშია ნახმარი ვადღეპილი ალექსანდრიული სტილია, რომელიც ვაერცლებული იყო რუსეთში XIX საუკ. იმ განზრახვებით, რომ რუსეთში მარმარილითი და ვრანტიითა ადკვეთილ—საქარველოში კი ასეთის უქონლობის ვაიო ვარდატეხილია ხეში.

რაც შეეხება ტფილისს, როგორც ვსთქვი პირდაპირ დომასლია.

რუსთელის ვამზირი, რომ ვავიაროთ აქაც კი ვერ ვნახავთ დასრულებულ ხუროთ-მოძღვრულ ფორმებს. შენობა ან ბრმა ასლია, რომელიმე დიდ ქალაქის შენობიდან; ან და ისეთი უგემურობაა, როგორც, თუნდაც ეხლა, ეროვნულ ვალეერეს პირდაპირ სადუქნე თვლები, რომ შენდება. ამ შენობაში ალბებულია ყველა ის ჩუქურთმები, რომლებიც სადმე წიგნში მოიპოვება და ისეა აპრვლებული კვდელი, რომ თავისუფალი—ტოცხალი ალავი აღარ არის დარჩენილი, რახედაც თვალს შექმლოს დასვენება. ასეთის მორთულობით შენობა, რომ არ აშენდეს ისა სჯობიან. მით უმეტეს, რომ ასეთს „მორთულობაზე“ აუარებელი ფული იხარჯება.

ჩვენ ეხლა სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ, ჩვენ უუერებთ სინათლეს, ჩვენ ამ სინათლისკენ უნდა მივისწრაფოდეთ; რაც შეიძლება წყნარად მარტივად, სადათ და ამასთანავე დისკიპლინარულად. ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს ყოველივე ხუროთ-მოძღვარი და ასეთივე გეგმა უნდა პქონდეს საქ. სამხატვრო აკადემიას. ჩვენ არ ვეინდა მალდატანებითი ხუროთ-მოძღვრული ფორმები. საქართველოს ბუნება, სულ სხვას მოითხოვს. ეროვნული ხუროთ-მოძღვრობა, რომელიც რომანოვთა სავერულომ ველურად მოსპო XIX საუკ. დასაწყისში უნდა აღსდგეს; უნდა მოხდეს აღორძინება—რენესანსი. მხოლოდ არა ისეთის მიზანძვით, როგორც ეს ვამოხატულია ყოფ. ვანათლების კომისარიატის შენობაში (ბანკის შენობა. ლორის მელიკოვის ქუჩა № 5) ან კიდევ ვანოვის ქუჩაზე № 22; არამედ საჭიროა ძველი ფორმების შეგენებით ახალის შექმნა.

ბანკის შენობაში XX საუკ. ქართული არა არისრა ის ალაგები, რომლებიც ბრმათ ვადმოდებულია, ხახულიდგან, ბავრატის ტაძრიდგან, ოშკილდგან, სამთავისიდგან, იშხანიდგან, ბოლნისიდგან, სვანეთიდგან ნეოპოლის და ვენეციის შენობებიდგან და სხვადსხვა ეკლესიებიდგან, მხოლოდ და მხოლოდ თავის-თავად არიან საინტერესონი, როგორც ასლები ამა თუ იმ ხუროთ-მოძღვრული დედანისა. ყველა ჩუქურთმები, რომ მოეხსნათ ბანკის შენობას ველარაფერს ნახავთ ქართულს.

## მ ე მ ო ზ რ ა უ ლ ი შ ა რ ა ჯ ი

ნ.ხატო ბ. ზამბ.



ქ. მარჯანიშვილი რეპეტციის დროს.

ქართულ კლასიკურ ხუროთ მოძღვრობას ახასიათებს ლლიკა. არც ერთი კარნიზი, არც ერთი სარკმელი, არც ერთი ქვა ტყუელ-უბრალოდ არაა დახარჯული და გმწთებული.



ე. ე. ლ ა ნ ს ე რ ე

დ ა ლ მ ს ტ ა ნ შ ი

ყოველივე ქვას თავისი ფილოსოფია აქვს. ბანკის შენობაში რამდენიმე ცრუ კარნიზია, ზედმეტი კედელი და მორთულობა, თვით კოშკი რომელიც კუთხეშია აჭიმული ისეთი ულოლიკა ისეთი უსაფუძელო (დაყრდნობილია ერთ კუთხითი სვეტზე), რომ ორი ათეული წელი არც-კი გასულა და მთავარ კამარაზე კედელი გამსკდარია.

საზოგადოთ ქართული ხუროთ-მოძღვრობა არ ესმით უჩუქურთმით, მაგრამ აბა აიღეთ კლასიკური ხუროთ-მოძღვრობა მცხეთის ჯვარი, ძველი შუამთა იყალთოს აკადემია, და სხვა და სხვა. ერთი. ზოლი ჩუქურთმისა ან ისიც არა.

მთავარი ამოცანა ეს სიბრტყეების მასების, და ნათელ ჩრდილის კომინაციაა.

ამსარანავე ყოველივე ძველი ემორჩილება პერსპექტივის კანონებს, რათა პირველი შეხედვითვე იგრძნობისი მხატვრობა.

ასეთივე გეზი უნდა ჰქონდეს ახალ ქართულ ხუროთ-მოძღვრობას, რასაც თვით ესლანდელი ეკონომიური და ესთეტიკური პირობები გვიკარნახებენ. ეხლა ბატონობს რკინა-ბეტონი. წავიდა ის დრო, როდესაც შენობა შეიწილგან და გარედგან ქვით იყო შეჯავშნებული. რკინა-ბეტონი ვერ ითვისებს ჩუქურთმას; არცაა საჭირო. თუ სადმე შეიძლება რკინა-ბეტონის ხმარება ეროვნული ხუროთ-მოძღვრობის განსაფითარებლად ეს ამიერკავკასია (საქართველო და სომხეთი).

მე მგონია ამ მიზნითაა ა. კ. კ. საბჭოსთან დაარსებული სახუროთ-მოძღვრო კომისია, ამ კომისიის სანქციის გარეშე არც ერთი შენობა არ უნდა, შენდებოდეს. და ვიმედოვნებთ, რომ ის პირობები, რომლებსაც აყენებს თანამედროვე ხანა დაკული და დამყაფილებული იქნება ამ კომისიის მიერ. და აღარ განმეორდება ის შეცდომები რაც აქამდის ყოფილა.

მ. ჩხიკავაძე.

## მ უ ს ი კ ბ

### ვანო სარაჯიშვილის ხსოვნის საღამო.

ორშაბათს 30 მარტს სახელმწიფო ოპერის თეატრში, ქართულ საოპერო სტუდიის სასარგებლოთ, გაიმართა ვანო სარაჯიშვილის ხსოვნის საღამო.

ვანო სარაჯიშვილის ხსოვნა ჯერ კიდევ დიდხანს დარჩება ქართველ ხალხში. ამ საღამოს აგრეთვე ემატებოდა სიმპატური მიზანი საოპერო სტუდიის დახმარე-

ბისა და აღბად ეს იყო მიზეზი, რომ საღამოს აუარებელი ხალხი დაესწრო, უმთავრესად ქართული საზოგადოება. საღამო გახსნა სახელმწიფო კონსერვატორიის პრორექტორმა აკაკი ფალავანმა. მან მგრძნობიარე მოკლე სიტყვაში დაახასიათა ვანო სარაჯიშვილის როლი ქართულ მუსიკალურ შემოქმედებაში, როგორც სწავლის სახალხო მომღერალისა. შემდეგ ეკრანზე აჩვენეს სცენები კინო სურათიდან „მამის მკვლელობა“, რომელშიც მონაწილეობდა განსვენებული ვანო სარაჯიშვილი. ქრუანჭელის მოიგვრელი იყო ეს ჯადოსნური გაცოცხლები არტისტისა. სურათს ემატებოდა ნატა ვანანაძისა და კონსტ. ანდრონიკაშვილის თამაში.

ამ საღამოს აგრეთვე იყო დემონსტრაცია ახალგაზრდა ქართველ მომღერლებისა, რომელნიც სწავლობენ საიპერო სტუდიაში: პირველობა უთუოდ ერგებათ ანდრეასთან და ცირკილასთან. უმკველია ამ ორი ახალგაზრდის სახით დიდი არტისტები იბადებიან, თუ მათ ნიჭს ნორმალური განვითარება მიეცემა. საკმაო მისალს იძლევიან აგრეთვე იყო დემონსტრაცია ახალგაზრდა ქართველ მომღერლებისა, რომელნიც სწავლობენ საიპერო სტუდიაში: პირველობა უთუოდ ერგებათ ანდრეასთან და ცირკილასთან. უმკველია ამ ორი ახალგაზრდის სახით დიდი არტისტები იბადებიან, თუ მათ ნიჭს ნორმალური განვითარება მიეცემა. საკმაო მისალს იძლევიან

ლევანი აგრეთვე ბეჟინიშვილის ქალი და ბადრიძე. მშენებრად იმღერა კუმისაშვილმა „დაისიდან“ ჩემო თავი ბელი არ გიყვრია“ და შემდეგ ვენანესთან ერთად ლეტი „ახესალომ და ეთერთან“.

საზოგადოება აღტაცებით შეეგება: პოპოვს, ნინა ვალაძის და ტერ-ბენილიანს, განსაკუთრებულად მოშობილათ იყო პოპოვი.

რუსთაველის აკადემიურ დრამის არტისტებმა თამარა ჭავჭავაძემ და აკაკი ვასაძემ წაითხეს ლექსები: პირველმა რაჟღერს გვეტაძის ლექსი ვანო სარაჯიშვილზე, მეორემ პაოლო იაშვილის ლექსი urbi—ტფილისი. აკაკი ვასაძემ წაითხა მონოლოგი ჰამლეტიდან. სირივე არტისტს ემზნეოდა ტემპერამენტი. საღამო საოხიოდ მეტად შინაარსიანი გამოდგა და მაყურებლებზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. საღამო არ გავდა სხვა სახელდახელოთ შედგენილ საღამოს და მისი ინიციატორები ამისთვის მალდობის ღირსნი არიან.

გარამ გაველი.

## ზ. ფალიაშვილის იუზილუს გამო.

(მოკლე ბიოგრაფიული ცნობები)

ჩვენს სახელოვანი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი, რომელსაც წელს 30 წელი შეუსრულდა რაც იგი სწამუსიკო ასპარეზზე მოღვაწეობს—დიდადა ქალაქ ქუთაისში ღარიბ დედ-მამის ოჯახში. პეტრე ფალიაშვილის მრავალ რიცხოვანი ოჯახის წევრი იგი უზენებრივად დიდი მუსიკალური ხალხი იყო. და-ძმებს ყველს დიდი მუსიკალური ნიჭი ეტყობოდათ. ყველანი მღეროდნენ, უკრავდნენ, ერთი სიტყვით, მუსიკა პეტრე ფალიაშვილის ოჯახში აუცილებელი მოთხოვნილება იყო.

როგორც ზაქარია ისე მისი ძმები აღიზარდნენ საეკლესიო ორღანოს ნახ ბებზე, რომელიც მშენებრად ანეითარებს აღამიანის სმენას. ვინაიდან აშკარად გრძნობდნენ ფალიაშვილები თავიანთ მოწოდებას და გასაქანი კი ქუთაისში არ ქონდათ, ამიტომ ისინი მალე გადმო-სახლდნენ ტფილისში და დაიწყეს მეცადინეობა მუსიკის დარგში. ეს იყო 1887 წელს. ზაქარია ფალიაშვილი აქ მიებარა სამუსიკო სასწავლებელს დირექტორს კლდნოე-სკის და 1889 წელს დაამთავრა კიდევ სასწავლებელი სპეციალურ თეორიის კლასი.

ზ. ფალიაშვილმა დიდი ყურადღება მიიქცია. ახალ-გაზრდა მუსიკოსს ეტყობოდა უტყუარი ნიჭი. ქართველმა საზოგადოებამ მის ყურადღება მიაქცია და დაუნიშნეს სტაჟი. უმაღლეს მუსიკალურ განათლების შესაძენათ, 1900 წელს ფალიაშვილი გაემგზავრა მოსკოვში და შევიდა კონსერვატორიაში. აქ მან ბანგრძლივად იმეცადინა ცნობილ თეორიკოსს და კომპოზიტორ ტანევითან. ზ. ფალიაშვილის მეცადინეობა ისეთი წარმატებით მიდიოდა, რომ მან უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა სამი წლის განმავლობაში.

როდესაც ზაქარია ფალიაშვილი დაბრუნდა ტფილისში იგი უკვე აღჭურვილი იყო სპეციალურ დიდი ცოდნით, როგორც კონსერვატორის მცოდნე და ნაწილად თეორეტიკოსი იგი მალე მიიწვიეს ყოფ. სათავად-ახნაური გინანაზში სიმონა-მუსიკის მასწავლებლად. შემდეგ ფალიაშვილი მიიწვეს აგრეთვე სამუსიკო სასწავლებელშიც. (დღევანდელი კონსერვატორია). ამ კომსერვატორიის კედლებში ზ. ფალიაშვილმა დასაყო სრულ 22 წელი, როგორც მასწავლებელი, ინსპექტორი და ბოლო ხნებში კი დანიშნული იყო კონსერვატორიის რექტორად.

ზ. ფალიაშვილის საზოგადო მოღვაწეობა ქართულ მუსიკის ასპარეზზე იწყება 1894 წლიდან. პირველი მისი საჯარო გამოსვლა შესდგა მუშათა უზენებში. ზ. ფალიაშვილი პირველად რკინის გზის მუშათა თეატრმა და ავკაპლის აუდიტორიამ გაიკენეს. აქ სამი წლის განმავლობაში იგი ინსტიტუტურად მართავდა ქართულ კონცერტებს თავისი გუნდით და სოლისტებით. ამჟამად დროს საქველმოქმედო მიზნით მონაწილეობას ღებულობდა ყოველგვარ საღამო-წარმოდგენებში. ხელმძღვანელობდა სამუსიკო სკოლის მიერ გამართულ სიმფონიურ კონცერტებს, ზ. ფალიაშვილი დიდ ხელმძღვანელობას უწევდა აგრეთვე რუსეთში მყოფ ქართველ სტუდენტებს და არა ერთხელ მიუღია მონაწილეობა ქართულ საღამოებში, რომელიც კი გამართულა ბარკოეში, მოსკოვში, კიევი და სხვაგან.

ზ. ფალიაშვილი ვიწრო ასპარეზს არ კმაყოფილდება, იგი გამსჭვალული იყო მშობლიურ ხალხურ ჰანებში. ეს ბებები იპყრობდნენ მთელ მის არსებას. აქედან ისწრაფოდა ახალგაზრდა, მომავალ კომპოზიტორის

სული და შემოიარა მთელი საქართველო ხალხის საგანძირის გასაცნობათ. ქართლ-კახეთი—ეს გული და სიმდიდრე საქართველოს შემოიარა ირგვლივ, იმერეთში, გურიაში სამეგრელომ და ბოლოს სივანეთში გაამდიდრა და აღდგინა შეროშა კომპონისტის შემოქმედება. მან ფონოგრაფიის შემწეობით ჩასწერა 300-მდე ქართული ხალხური სიმღერა და შემდეგ ერთი ნაწილი ამ სიმღერებისაც კრებული გამოუშვა.

პირველი მისი დიდი მუსიკალური ნაშრომი არის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ ეს ოპერა იწერებოდა ოთხი ზაფხულის თვეების განმავლობაში, იწერებოდა დიდი ექსტაზით და აღფრთოვანებით და მალე დიდი საყოფიერ გამოიღო. „აბესალომ და ეთერი“ დაიდგა პირველად 1919 წ. თებერვლის 22 ჩვენს საოპერო სცენაზე და დღემდე დიდძალე ეს ოპერა დაიდგა 140 ჯერ. რიგები ზეპარულია ჩვენი თეატრისათვის, ეს თავის თავად ლაპარაკობს ოპერის დიდ ღირსებებზე, ოპერა „აბესალომ და ეთერი“ ვახდა არამც თუ სარეპერტუარო ოპერად, არამედ ჩვენი ფართე წრეების ყველაზე საყვარელ ნაწარმოებათ. მეორე მისი მუსიკალური ნაწარმოე-

ბი ეს „დაისია“ რომელმაც არა ნაკლები შთაბეჭდილება დასტოვა ქართველ ხალხზე. ეს ოპერაც ჩვენ სცენაზე განუწყვეტლო იდგმება და გახდა სარეპერტუარო ოპერად.

ზ. ფალიაშვილის დიდი შემოქმედების პოტენცია წინ მიდის. მისი დიდი ენერჯია ჯერ არ ცხრება. ქართველ ხალხს ჩვენი კომპონისტი კიდევ დიდ საშუაოს უშვადებს. ოპერა „ლუტაერას“ რომლის წერა, დაიწყო (ს. შანშიაშვილის დრამის სიუჟეტზე) ალბად მალე დამთავრებს და ჩვენი სცენაც მას იხილავს უახლოეს ხანში. ამის თავდები არის თეთი ზ. ფალიაშვილის დიდი ნიჭი, დიდი გამოცდილება და ის ტენზიური საშუალებანა რომელიც მან ჩვენ გვიჩვენა თავის წინა ნაწარმოებებში. ჩვენ მხოლოდ უსურევთ კომპოზიტორს, რომ თავისი დიდებით-მოსილი გზა უფრო ხანგრძლივი ყოვლიოის მის და თავის მშრომელთა ქვეყნის სასახლოდ.

შემდეგ ნომერია ზ. ჩვენ მოვთავსებთ წერილებს; სადაც ზ. ფალიაშვილის პიროვნებას და მოღვაწეობას ფართედ გავაშუქებთ.

ა.

# ზ ა ი ა ლ მ რ კ ა

(ლალო კავსაძის საღამო)

პირველ ყოვლისა ოპერეტკა უნდა იყოს სატირიუ-ლი და მელოდირი ბუფონადა, მაგრამ არა მოსაწყენი. ვოლტერი ამბობს, „ხელოვნებაში ყველა დარგი კარგია გარდა მოსაწყენისაო. სამწუხაროთ კალმანის „ბაიადერკა“ არის მხოლოდ მოსაწყენი. მასში არ არის არავითარი სატირა, არც ერთი ლამაზი მელოდია. მუსიკა უფერული, უშინაარსო. საკაბარეო ცგზოტიკით და ნახევრად აღმოსავლური პარმონიზაციით,—სასეხით შეუგუებელი თანამედროვეობასთან, ყოფის ახალი ფორმების ძიების წყურვილთან.

უნდა აღენიშნოთ, რომ, მცირე გამოწაკლისის გარდა, ოპერის მსახიობებმა, მიუხედავად სცენიურ გამოცდილებისა და ენერჯიისა, ოპერეტკებში თამაში არ იციან: არ უფარვათ დიქცია, პროზით ლაპარაკობენ ძლიერი ცუდად, არა აქვთ საეციალური საოპერეტკო ხერხები, ცეკვას ვერ ბედავენ ან უბრალოთ არ იციან, და ეს უკანასკნელი ოპერეტკაში აუცილებელია.

ამსრულებლებში პირველ ყოვლისა აღსანიშნავია სატამოს გამმართელი—ლალო კავსაძე, რომელმაც დიდი შრომა და ენერჯია დახარჯა საღამოს დადგმისათვის. მსახიობი იძლევა ინდოეთის პრინცი კოლორატურულ ფიგურას, მშვენიერად მღერის თავისი ლამაზი მანერით და ფრაზიოზით. მხოლოდ მომღერალს აკლდა დინა-

მიურობა და საოპერეტო ტენჯიკაში კი ძლიერ არა ხელსაძრავია ჩილდ-გაროლდის სტატურობა, ან თუ გეგმათ აკადემიური „მონუმენტალობა“.

მშვენიერი ოდეტეა დარიმონდი არის თავისი არა ნაკლებ მშვენიერი ტულეტებთ—ბარონკინა, ჩვენი ოპერის პრიმალონა წარსულ სეზონებში. ეს არის კულტურული და ტემპერამენტით აღსაყვ მუსიკალური მომღერალი, მშვენიერად მღერის და თამაშობს. ბიადერკას როლი მან ნიჭიერად განასახიერა. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ამ ეგზოტიურ მოცეკვავის ცეკვაში იყო ნაკლები სიყოცხლე.

იუპატოვას საოპერეტო პარტეზისათვის ხმა ცოტათი უსტიკ აქვს და ისმის მხოლოდ როცა მაღალ რენჯისტრებში გადადის პროზა და ცეკვა კი საუსტოო იყო.

კარგათ და გადაუშლამებლათ თამაშობდნ ა. თაყაიშვილი (პიმპინეტო), კუბატოვი (დირეკტორი), გერმანოვი (ნაილიონ სენტ-კლოშ) და ნიჭიერი ნიროვი (ფაბრიკანტი). დანარჩენები ანსამბლს ხელ უწყობდენ.

გემოვნებით იყო დადგმული აღმოსავლური ბალეტი (2-ე აქტში) ბავშვებისტრ სერგეევის მიერ.

საზოგადოებამ ლალო კავსაძეს გამართა ოჯახიები, მიაართეს საჩუქრები და ყვავილები.

ბ. გეორგიევსკი.

# ს. მიგაის გასტროლოგი.

„ღ ე მ ო ნ ი“

„ტ რ ა ვ ი ა ტ ა“

„ღმონში“ ს. მიგაიმ განათარა თავისი ხმის ღმრეებზე. მიგაის ეტყობა როგორც დიდი სკოლა მუსიკალური დარგში, აგრეთვე ერუდიციაც სცენიურ გადმოცემაში. ყოველი ვესტი მოფიქრებულა ისევე როგორც მოფიქრებულა მისი. ყოველივე მუსიკალური ფრაზები. მისავე აქტის სცენაში, არია: „ნუ სტირი ბალო, ნუ სტირი უბრალოდ“ გადმოგვცა იშვიათი, სულიერი არისტოკრატიზმით და შივ ჩააქოვა ისეთი მუსიკალური სიფაქიზე, რომელიც მხოლოდ იტალიელებს შეუძლიათ.

ცხარე რიტმიული ბგერა, ფართე დიაპაზონი და არაჩვეულებრივი პიანო მის ხმას აძლევს განსაკუთრებულ კოლორიტს და ელფერს. უკანასკნელ აქტში მომღერალმა მოგვცა მეტად კარგი შტრიხები და ეფექტიანი ადგილები. მიგაის მოსმენით თქვენი სმენაც ისვენებს და სრულ ესთეტიურ კმაყოფილებას აღებულათ.

მიუხედავად იმისა, რომ „ტრაიეიტა“, „ღმონის“ მეორე დღის იყო დაღმგული, მიგაის მიწინ არ ეტყობოდა დალილობა და ეგრემონის პარტიკაში კიდევ ბრწყინვალად ბგერდა მისი ხმა. მეორე აქტის არია და სცენები ვიოლტასთან ჩაატარა დიდი არტისტის ეარტუროზობით. ალაგ-ალაგ მისი პიანო ღებულობს ტენორის ელფერს.

სცენიურობის მხრივ მიგაი ჰქმნის სტილს. მას ეს მის ეპოქა და იცის კოსტიუმის ტარება. ეს არის შახიობიც და მომღერალიც. იცის სცენიურ პერსონაჟების ტრაქტოკაცა და ვოკალური ხელოვნების სრული ვაგება. მისი ბარტიონის ტემბრი ჰქმნის დიდ მუსიკალურ ნიუანსებს და ინტონაციის მხრივ უკეთესის მოცემა უდარ შეიძლება. ასეთი წმინდა ინტონაცია იშვიათია საოპერო სცენაზე. მიგაის ფრაზიზობა გასაკვირველია. ა. ლ.

# მ შ ბ მ რ ო ბ ა

## პროფ. ე. ე. ლანსერე

იმ უხეხელ მხატვრებში, რომელნიც ამაჟამდ თბილისში სცხოვრობენ და მოღვაწეობენ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ პროფესორი ევგენი ლანსერე.

ლანსერე იმ მხატვართა ჯგუფს ეკუთვნის, რომელნიც ოცდახუთი წლის წინეთ იკრიბებოდნენ ჟურნალ „მირისკუსტვას“ გარშემო და თავის ნიჭიერ ამხანაგებთან ერთათ მხატვრობა „პერედეიკნიკებისა“ და აკადემიურ-სქოლასტიურ ტრადიციებიდან განათავისუფლეს.

ლანსერე ამ ჯგუფის ერთი დამაარსებელთაგანია და მრავალი წლის განმავლობაში მხურვალე მონაწილეობას აღებულობდა „მირისკუსტვასში“ ყოველ ახალ მხატვრულ-კულტურულ დასაწყისში.


ე. ლანსერე ტომით ფრანგია. დაიბადა 1875 წელს აგისტოს 23. მისი მამა ცნობილი მოქანდაკე-ანიმალისტიკა, დედა კი, ალექსანდრე ბენუას და, მხატვრული პორტრეტის ხელოვანი. მამის გარდაცვალების შემდეგ ათი წლის ლანსერე დედამ ვადაიყვანა თავის მამასთან ნიკოლოზ ბენუასთან, სადაც ის იზრდებოდა ალექსანდრე ბენუასთან ერთად.

ხუროთ მოძღვრების პროფ. ნიკოლოზ ბენუას ოჯახი განსაკუთრებულათ სცხოვრობდა მხატვრული ინტერესებით და ხელოვნებით დაინტერესებულ ლანსერეს მრავალი საშუალებანი ჰქონდა გემოვნებისა და. ცოდნის გასანეითარებლათ.

პეტერბურგის გიმნაზიის ვათაგების შემდეგ ლანსერე შევიდა პარიზის ეიულიენის აკადემიაში, სადაც მას თან ერთად მუშაობდნენ კონწალოსკი, ბასტი, გოლუბკინა და ანგალა. პარიზში იმ დროს სცხოვრობდნენ და მუშაობდნენ ალექსანდრე ბენუა, ოსტროუმოვა-ლემდეგა, სომოვი, მოქანდაკე ობერი და სხვანი, რომელთაც განზრახეს რუსეთში წრის და ჟურნალის დაარსება და დიავილოვის, ბენუას, სეროვის და ერუბელის ხელმძღვანელობით გამართეს პირველი გამოვენა 1900 წელს, „მირისკუსტვას“ სახელით.

ე. ლანსერემ პირველათ მიიღო მონაწილეობა ამ გამოვენაზე „პრეტრეთის ლეგენდებით“. მანამდის მას უკვე გავლილი ჰქონდა გატაცებათა პერიოდები პიუფის-დე-შავანიო, მენცელთი და ეს ლეგენდები ვოკტიოთ გატაცების შედეგებით ითვლებოდა. ამ ნაწარმოებებში რომელნიც შექმნილი იქნენ რუსეთის-ალექსანდრე III ბუხუმის მიერ, ლანსერემ პირველათ გამოამკლავნა ის თეისებანი, რომელნიც მას საზოგადოთ ახასიათებენ, სახელდობრ: საშულო საუკუნეთა მხატვარ-მინიატიურისტების ინტიმური სიყვარულით ავსილი პატეისცემა მხატვრობისადმი, კეთილსინისიერია, მხატვრული სილამაზე ფორმის, სურათის გარეგნობის, და უარყოფა: ეფექტისა და მანერით გატაცების.

ამ პირველი გამოვენის შემდეგ იწყება „მირისკუსტვას“ მოღვაწეობა სხვა და სხვა დარგში. ალ. ბენუას



მ მ ლ ა ნ ს ე რ ე

ქ ა ლ ო მ ბ ა ო ს მ ა ლ ი თ შ ი

ერცელმა წერილმა პეტერბურგის სიძველეთა სილამაზის და მნიშვნელობის შესახებ ნათლად დაანახვა საზოგადოებას, თუ რა ნაციონალური და თავისებური ხასიათი აქვს „კოსმოპოლიტურ პეტერბურგს“ ან როგორ შეიცვალა დასავლეთის ფორმები „რუსულ empire“-ათ. მხატვრები შეუდგნენ პეტერბურგის შესანიშნავი მხარეების შესწავლას. ლანსერეს ინიციატივით დაიკვირვებნენ „მირის კულტურის“ მთელი ნომერი უძველესი პეტერბურგის სილამაზის, რომელშიდაც მრავალი პეიზაჟებია პეტერბურგის ლანსერეს მიერ შესრულებული.

მის ისტორიულ სურათებში: „პეტერბურგი პეტრე I დროს“, „ელისაბედი — ცარსკოე სელოში“ (ტრეტიაკოვის გალერეია) „მეფეთა ნადირობანი“, „ზომალდები“ და „სტირნობა ზღვის პირათ“ ლანსერეს ახასიათებს გრძობა ძველი პეტერბურგის სულის და გარეგნობის.

ლანსერეს ილიუსტრაციები, ყველა, ex-libris, შრიფტები და სათაურები ისე შეუერთდნენ წიგნებს, რომ ისინი დამატებით აღარ გვეჩვენებინან, აქ მხოლოდ განსაკუთრებულ უროლოებს იტყობის მისი „ხაჯი მურატი“. ამ შრომის სისრულეში მოსაყვანათ ავტორმა იმოგზაურა 1912 წელს სანჩინთში, დალესტანში და კახეთში. აქედან იწყება ლანსერეს გატაცება კავკასიის ცხოვრებით, რომელიც შეიძლება მემკვიდრეობით აქვს მამისაგან გადაცემული. დალესტანის ცხოვრებიდან მას აქვს მრავალი სურათი და ტექსტები შესრულებული აკვარელით, ტემპერით და ზეთის ფერებით. ერთი მათგანი წარსულ წელში იუსეთის მხატვართა გამოფენაზე ამერიკაში იქმნა შექმნილი.

მხატვრული მოღვაწეობა ლანსერესი მრავალ ფეროვანია. 1912—15 წლამდის ის ითვლებოდა საიშვრატორო ფაიფურის ქარხნის გამგეთ, ევრიინოვის დადგენისათვის სახელაო — საუბუნეთა სტოლზე შეასრულა ესკიზები დეკორაციებისათვის, შერჩებალვისა და ფონ-მეკის გამოფენისათვის. ალ. ბენუასთან ერთად მოაწყო მინა

თავის ესკიზებით. ეს პირველი ცდა იყო ამ დარგში მხატვრების მიერ და „მირის კულსნიკების“ გავლენას უზღავდა მიეაწერათ. ლანსერე ითვლება რუსეთში პლაფონის მხატვრობის ერთ საუკეთესო მკვლევან. 1907 წლიდან მის მიერ არის შესრულებული მრავალი პლაფონი და პანო სხვა და სხვა დაწესებულებათა და კერძო პირთა ბინებისათვის.

1910 წელში ტამასოვის ახლათ აშენებულ სახლისათვის შეასრულა ცხრა დიდი პანო და ერთი დიდი ფრიზიხალის გარშემო, რომელშიდაც იქცევეს ყურადღებას „გივანტი“. 1915—16 წლებში ხუროთმოძღვარმა შუსციევმა ლანსერეს, მის დას-ზ. სერგერბაიკოვას, კუსკოდიევს და დობუენისკის მიანდო კახანის სადგურის მონატა. მუშაობას ხელმძღვანელობდა ალ. ბენუა. აქ ლანსერემ შეასრულა დიდი ფრიზი თერთმეტი სურათით: საგან შემდგარი.

1915 წელში პეტერბურგის აკადემიის დავალებით შეასრულა დიდი პლაფონი. ამ ნაწარმოების შესრულების შემდეგ ის აირჩიეს აკადემიის ნამდვილ წევრათ ქ. მაკოესკის მაგივრათ. 1917 წელში დაიწყო დიდი პანო, რომელსაც ჯერ კიდევ განაგრძობს წერას. მისთვის მას აქვს დამზადებული მრავალი ესკიზები და Hatur-morte.

პანო დაწვეებული ტემპერით და განზრახული აქვს გადაწეროს ზეთის ფერებით. ეს პანო, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია ლანსერეს დეკორატიული სტილის დამახასიათებლათ ავტორის განზრახული აქვს გამოფინოს თბილისის რომელიმე გამოფენაზე.

1919 წლიდან ლანსერე სცხოვრობს თბილისში. ამ ხუთი წლის განმავლობაში მის მიერ არის შესრულებული მრავალი ტექსტები საქართველოს ისტორიულ ნამათების და დეკორების.

ლანსერე რამოდენიმე წელიწადის ითვლება თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორათ.

შალვა მაჰალაძე.

# ექსპრესიონიზმი კინოში.

თეატრალური ექსპრესიონიზმი წარმოიშვა თანამედროვე თეატრის კრიზისმა დასავლეთში. ის წარმოიშვა ბურჟუაზიული კულტურის ნიადაგზე.

ისტორიულად ის არის რეაქცია ბრამის, ანტუანის და რეინვალდტის ეპოქისა.

ექსპრესიონიზმის ძირითადი ამოცანაა გაანათვისფლოს სცენა საგნების ტირანიისაგან. აქტიური სცენაზე ვერაფერს ნახულობს, გარდა გეომეტრიულ ხაზებისა, მოედნებისა და ხიდეებისა, რომელნიც ამკლავებენ მისი პირადი განცდის დინამიკას.

უქანსკენლი ხანის დასავლეთის დრამატურგია იძლევა რეპერტუარს, რომელიც დაწერილია სპეციალურად ექსპრესიონისტული თეატრისათვის. მათი მიზანია გადმოგვეცეს ცხოვრების დინამიკა. მან ვააკეთა ცდა წინ წამოეწია მასსა მთავარი გმირების სახით.

ის სცილილობს მოგვეცეს ცხოვრების არა ეკრძო ეპიზოდები, არამედ სურათი სოციალური მსოფლიო შეგრძნების.

თეატრალური ექსპრესიონიზმი თითქმის მარტოდენ ლაბორატორიული ცდაა. კიდევ ნაკლები ვინემ ლაბორატორიული ცდა, ჩვენის აზრით არის ექსპრესიონიზმი, რომელიც იჭრება კინემატოგრაფიაში. ერთად ერთმა რეჟისორმა რობერტ ვინემ თავის ნამუშევრებში („კალიგარის კამინეტი“ და „რასკოლნიკოვი“) ვააკეთა ცდა მიკიბულ-მოკიბული გეომეტრიული ხაზებით, მიხვეულ-მოხვეული ფანტასტიური ქუჩების და პერსპექტივის გვეგმის ფართე მოხმარებით მოეცა მისტიური სიუჟეტის ლოკიური დინამიკა. დასავლეთის პრესის ცნობით ეს ტენდენციები კიდევ უფრო აშკარად გამოჩნდა გერმანულ დაღვამში მეირინკის რეჟისანის „გოლემ“, სადა სპირო შეიქნა მისტიკა და მან ის ნახა საშველო საუკუნის იუდაიზმის გარდატეხაში.

ექსპრესიონისტები ყოველ მხრით საზღვრავენ თავის თავს ნატურალიზმისაგან. გერმანულ ექსპრესიონისტების დრამატული ფორმა ისწრაფვის—მოკვეთილი ფრაზების და ლაკონური რეპლიკებისაკენ. მონოლოგს სცვლის ჟესტი. ზოგიერთ პიესებში იწერება მოკლე ფრაზებით ორისაში სიტყვისაგან. ადვილი შესაშნევიია, რომ კინემატოგრაფის ჩვეულებრივი ფორმები გადადის დრამაში. და ნიშანდობლივია, რომ გერმანული ექსპრესიონიზმის ერთ-მა მეთათუთავანმა გ. კაიზერმა თავის უქანსკენლ დრამას დაარქვა „კინო-რომანი“.

რეალურობის ილიუზიები შეგნებულად ირღვევა ჰაზენკლევერის პიესაში „Fleissheit“, სცენაზე მოკმედებენ დეკორაციები, როცა გმირის სიკვდილით დაედება პიესა: „უცნობი ხელები იტაცებენ სახლს. კვლები უხ. მოდ იშლება, საგნები იძირებან“. სილრმეში, ლუსტრა იწვევა ზევით, ფანჯრები ქრებიან“. —ასეთი არის ახა



სახელგანთქმული კინო-მსახიობი ჩარლი ჩაპლინი

ლი თეატრის ოინები, რომელიც მიმართულია დემატერიალიზაციისაკენ რეალურობის ილიუზიის მოსპობისაკენ რომანში, დრამაში, თეატრის სცენაზე და კინოში.

ექსპრესიონიზმი, უმთავრესად ჯერ კიდევ ლაბორატორიული ცდაა. მისი პროტესტის იდეოლოგიას ჯერ კიდევ კარგაით არ მოუწნახავს თავისთავი. მაგრამ მისი გზა უკვე საკმაოდ ნათლად სჩანს და რა გზითაც არ უნდა წავიდეს თეატრალური ექსპრესიონიზმი—მისი ფორმალური ცდები კინემატოგრაფში იქნება ყველაზე მეტად საინტერესო დასავლეთის და საბჭოთა კინემატოგრაფიისათვისაც.

გ. მ.

# მხატვრული ლიბრეტო

## სიკვდილი კომუნარისა

(დასასრული)

1 გ. კ. — არა, მართალი გითხრა, ამ კომუნარებშიაც ყოფილა ლამაზი ქალები! (იციინს) ო, ძაან არ იყო გულნი, როზის ქუჩაზე, რომ დაეატყვე.

ვთ ცისფერთალება, ქერა თმინი? როდესაც მივიყვანეთ ბანაკში, ჩვენმა სურათმა დაუწყო არზიყობა, მაგრამ ის ყურადღებ

საც არ აქვებ... ამ დროს შემოდის ლეიტენანტი დიუვალი და... ახედ-დახედა, ნიკაზე ხელი ამოსიდა, და ლაწ, სილა კი მიიღო პასუხად!.. და ამ დროს ხომ შენც დაბრუნდი ლაზარეთიდან და ნახვეი რაც დღე დააყარეს... რაზე დალონდი?

2 ჯ. ა. — ა? მე? ისე...

1 ჯ. ა. — ჭრილობა როგორა გაქვს?

2 ჯ. ა. — მკლავი კი აღარა მტკიავ ისე, შვარამ აქ, აქ (გულზე ანიშნებს) ვიკა უდიდესი ჭრილობა... (ტრემლებს ერევა).

1 ჯ. ა. — (გაკვირვებული წამოვდება და ჩიხბუს ბერტეს ჩეკმაზე)? რა იყო? შენ, ჩემო ბიჭუნი, სტორი? ეგრესალელი ჯარისკაცი, ნამდვილი ფრანგი და!..

2 ჯ. ა. — გულტე! შენ არ იცი, თუ ის ქალი ვინ იყო, ვინ? (შეჩერდება) ერთხელ მაინც მენახა ახლოს და დავლაპარაკებდი! გუშინ შევქედე თუ არა მაშინვე ვიციანი! იმან კი ვერ შემაძინა, და... ო, რა მინდიდა მივეარდნოდი, გადავხევიყავ, გადამეკონა და... ხომ იცი, რომ გავგოთ ჩემიანი იყო, რა დღე დამაძგებოდა! ამა შენთან სამი წელია ვარ და... ტყვეობიდანაც ხომ ერთად დაგვიხნა ჩემმა მთავრობამა და მოგავისა პარიზზე. შენ, ჩემო გუსტავ, შორეულ ბრეტონის მხრელი ხარ, მე-კი აქაური, მშობელი ქალაქის პატივით ვუსთაქავ, აქვე სულ ახლო, მონმარტრელი, რომელსაც აქვს ცეცხლი უქილია, როგორც მუშათა უნანს და ყველაზე მეამბიჯეს.

ერთად-ერთი და და მეყედა აქ, და საშუალება კი არ მომცეს, რომ მენახა. უკანასკნელი მისგან მოწერილი წერილი ხომ ტყვეობაში გაჩვენე, სადაც ის მატყობინებდა მამის სიყვდილს—ის მონტენის ქარხანაში მუშაობდა, ნოტრ-დამთან; და ის ქალი, გუშინ რომ დაგიტყვევებიათ ბარკიდანაზე, — ჩემი დაა, ჩემი საყვარელი შარლოტა!

1 ჯ. ა. — (შეკრთება) შენი და?!

2 ჯ. ა. — ისე ახლოს იყავი, ისე ახლოს და, დალაპარაკება კი ვერ შევსძელ. რაღაც არ უნდა დამიგდეს, რაღაც, თვით სიცოცხლედაც კი, უნდა ვავნათაიუსულლო როგორმე. წავალ. თვით გენერალ კლენშანს ჩაუვარდები ფეხქვეშ და ესთხოვ. ნუთუ იმდენი დამსახურება არ მიმიძღვის ამ ბრძოლებში, რომ მასუქის მისი სიცოცხლე!

1 ჯ. ა. — საცოდაო ბავშვი! (ჯიბიდან იღებს მედალიონს და აძლევს) მაშ ვს შენ გეკუთვნის! (დალონდება).

2 ჯ. ა. — (გამოართმევს) როგორ? ეს საიდან? (წამოხტება) ეს ხომ ჩემი დისაა, რომელიც ომში წასვლის წინ ვუყიდე! აი შეე ჩემი სურათიც!..

1 ჯ. ა. — ყელზე ება და მოეხსენი, ისე როგორც არა ერთ ხელ გევიქნა მე და შენ!

2 ჯ. ა. — მაშ შენ გაგმარცხევი!

1 ჯ. ა. — სულ ერთია სხვა წაიღებ!

2 ჯ. ა. — როგორ?!

1 ჯ. ა. — გვიანლა ეხლა. ისიც ხომ სხეებით ერთად დაეხვრეტე წუხელის, ეტყულზე!

2 ჯ. ა. — ეთი-მე! საყვარელო დაიკო!!! (მთვარდება და ყელში წაუჭერს ცალი ხელით) დაგაღრჩობ შე ბეჭელო ჯალათო!!!

1 ჯ. ა. — (წამოუღდება ძლიერ განათაიუსულლებს თავს და იქით მიავდება) თუმცა ხნიერი ვარ, მაგრამ შენისთანებს კიდევ... (პაუზა. ისწორებს ტანისამოსს) შენი ბედი, რომ ამხანაგობა მახსოვს, თორემ... (მდი-მოდის გაბრაზებულად)

2 ჯ. ა. — (ქვითინებს ძირს დაცემული) შარლოტა! შარლოტა! ტერიფოს დაო!.. (ისმის კივილი და ტირილი შორიდან. შემოდის თმეგაწეწრილი ენა და თან მოჰყავს ხელდაუკერილი ბავშვები).

ენანა—მოდით, შევიდეთ! მოდიტ გენაცვალათ დედა, და უკანასკნელად კიდევ ნახეთ ვერსალელ ჯალათების-მიერ დახვრეტელი მამა, უკანასკნელად ჩაბუტეთ მის გაციებულ გეამს; ჩაბუტეთ იმ ბეჭედში, რომელიც უს ხშირად ჩავიკრავდათ ხოლმე და გაკოცინდათ! (სასახელაოს კარსიქენ მიდის ქვითინით).

3 ჯ. ა. — (თოქს მოიმაჩვენებს) აქ არ შეიძლება შესვლა!

ენანა—ო, წყულებო! სისხლისმსმელ ტიგრის ფინები! ბარე მეც მომკალით, დამხვრიტეთ იქ, სადაც ჩემი საყვარელი პოლ აწამეთ; შეიწირეთ ეს ჩემი ობლები... (ტრემლებს იწუნებს).

მარიანა—დედა, მშოინ...

პიერ—დედა, მცივა...

ენანა—გამიშვით, გამიშვით!

3 ჯ. ა. — ჩვენ ნაბრძანებ გეაქვს: არავინ შეუშვით დახოცილებთან, სასახლაოზე! იქით!!!

პატერი—(შემოდის შესადგრი პოზით და გაემართება კარსიქენ). მე კი, როგორც პატრი, შეილო, და ლეთის მსახური... (ჯარისკაცი ჩამოეცლება).

ენანა—(ტირილი დაუროქებს) მამა! პატერი ლეთის გულისათვის, დამხვრით. უთხარით, რომ ნება მომცენ, რათა მეყვადი მაინც ვინახულო ჩემი ქვარი. შებრალეთ ჩემი პიერ და მარიანა. თქვენი ხომ მიცნობთ კარგავ? (ის მობრუნდება ზანტად). ჩემი ქვარი, ჩემი პოლ! ყველგან ვეჭმე და ვერსად ვიპოვე. მითხრეს: პერ-ლა-შეზე დახვრიტეს წუხელის ბეჭერი და ალბად აქა ისიც!

1 ჯ. ა. — (მიუხილვდება) ადღ დაიკრავ აქედან წედა-კო! რა გალობლებს?! ნუ აწუხებ ლედა მამას! (ის ჯვარს გადასახავს ჯარისკაცს).

ენანა—უფალო პატერი!

პატერი—ო, ეანა დღეზე! შენი ქვარიც კომუნარი იყო!

მეამბოხე?! აა! პოლ დუზე! ნუ თუ მასშიკ დაიბუდა ემბაკაშა! როგორ! ისიც იბრძოდა წმიდა ულღისა, მეფისა, მისი მთავრობისა, რესპუბლიკის და ჩვენს წინააღმდეგ!

ჟანა—შვიბრალეთ ჩემი იბრძობი! ის რესპუბლიკის წინააღმდეგ არ იბრძოდა!..

მარიანა—დენა, პური...

პატერი—ჩემი საქმე არაა, შვილო! (მოდის).

ჟანა—(ანაფორის კალთას დაუქრს) გვეცდარებით!

პატერი ღეთის მსახურებად მივიღივარ და ნუ მიშლი. ილოცე იმის სულისთვის. (პოზას მიიღებს).

2 ჯ.კ.—შარლოტა! საყვარელო დიკო, შარლოტა!.. ოჰ... (წამოაჯდება).

პატერი—(ხელს დაუქრს და, მიზლით, ჩუმად). კმ! ვახსოვს შენ, ერთხელ უფარი რომ მითხარი? ეხლა ხომ...

ჟანა (წამოაჯდება) სახიზღარო!!!

პატერი—(ხელს უშვებს, ხარხარებს. ისმის—დაფვადი (ბარბანი) და ფეხის ხმა. შეჩერდება კარებში და ჯვარს ასწევს; შემოდიან ოფიცერი, უკან მოსდევს პოლ დუზე და ჯარისკაცები).

2 ჯ.კ.—(ხეს ამოფარებელი) კიდევ მსხვერპლი?..

ოფიცერი—სდევ!!! (შეჩერდებიან და თოფებს ჩამოაღებენ. 1-ლი და მე-3 ჯარისკაცები გამოეჭიან-შედიან).

პოლ—(შუბლ შეხვეულია). ეხლა რაღა გინდა ჯალათო? კიდევ გინდათ მამამოთ? დამხებრტეთ მაღე!..

ჟანა—ღმერთო ჩემო! პოლ!!! ნუ თუ ეს შენა ხარ? ნუ თუ ისე ვაწამეს, რომ ვეღარ იცნობი?! (გაეჩანება და ეხვევა) მაშ ჯერ არ დაუხებრტეხარ, მაშ ცოცხალი ხარ კიდევ?!

პოლ—ჟანა!!! (ეხვევა, ჰკიცნის). საყვარელო ჟანა! საიდან! როგორ?..

იერი მარიანა } მამა!!! (გაეჩენებიან და ეხვევიან).

იერი—მამილო, საყვარელო მამილო! პური მოგვიტანე?

პოლ—შვილებო! ჩემო პიერ! ჩემო მარიანა! (აიყვანს ხელში და ჰკიცნის) ჩემო საყოფალო ბაღლებო!..

ოფიცერი—მოაშორეთ ეს ვილაყვები! (ჯარისკაცები მისცივიან და აშორებენ. გაისმის ბავშვების ტირილი, ჟანას წყვილაკივილი. ფეხვეშ ჩაუფარდება ოფიცერს და ეხვეწება).

ჟანა—კიდევ ცოტა ხანს, ერთი წუთით... ეგ არაა დამაშავე, მარტუეთ მაგის სიცოცხლე! შვიბრალეთ ეს პაწა ნორჩი ბავშვები!

ოფიცერი—(ხარხარებს) კომუნარი, თოფით ხელში ბარკადაზე და დამაშავე არ არის!

პოლ. ადრე ჟანა! ვანა ეგ ღირსია, რომ უწოკებეს!

ოფიცერი—აბა, კედლოან! (ჯარისკაცები მისცივიან, რომ კედელთან მიიყვანონ, მაგარბ).

პოლ—იქით!!! (გაეშვებიან და თითონ დადგება კედელთან, ამაყად).

ჟანა—(ადგება და ორივე შვილს მოხვევს ხელს) ჯალათებო! ჩვენც მაგასთან დაგხებრტეთ! ვაძეხით ჩემი სისხლით... (მოიწვევს კედლისკენ, მაგრამ ჯარისკაცები არ უშვებენ. ბავშვები ეცერიან. ტირილი).

პოლ—საყვარელო ჟანა! ბავშვებს გაუფრთხილდი. ეგენი ყვევლებია ჩემი საყვარელი კომუნარ! დღე დღიზარდენ ვერსალდე ჯალათებზე შუარის საძიებლად. არ გავივსის დიდი დრო და კვლავ აღსდგება კომუნა, უფრო ძლიერი; უფრო ბრწყინვალეთ დაიწყებს კაპოშ მისი ბრწყინვალე მზე; და, მაშინ კი, ოო!!! (შეჩერდება) უბედურო ჯარისკაცებო! ვის წინააღმდეგ იბრძიეთ? — თქვენივე შშობლებს! მძების? დების?

პატერი (მიუახლოვდება, ჯვრით) მორანხვე, შვილო, ცოლანანი შენი, რამეთუ...

პოლ—იქით, შე ქოფაქო! (წილსა ჰკრავს და გადმოაფენებს), ვანა შენ და იყავი და შენისთანები, რომ მოუძლიდით ვერსალდეებს, ჯვრით?!

პატერი ოი, უფალო! მომკლა ამ სატანის კერძმა! ვი! ვი! (კენესის).

პოლ—საყვარელო ჟანა... პიერ... მარიანა... საყვ...

ოფიცერი—(ხელსახოკით უნდა აუხვიოს თვალები).

პოლ—არაა საჭირო. (იხსნის) მე მინდა პირდაპირ შეეხელო თვალებში სიკვდილს. მე გასწავლილი, ფე როგორ უნდა სიკვდილი თავის უფლებებისათვის. გამარჯვება თუ ვერ შევძლებით ლამაზი—სიკვდილს მაინც გაეჩენებთ ულამაზესს.

ოფიცერი—სმენააა!!! (ხმალს იბრობს—ასწევს. ჯარისკაცი მოეშობლებიან).

ჟანა—პოლ! პოლ! (კეთიანებს დაიჭობილ და ბავშვებს გულში იკრავს. ჯარისკაცი იქერს).

პოლ—გამბარჯოს კომუნას!!! (მარსელიოზას იწვევს მაგარბ).

ოფიცერი—(ხმალს ძირს დაიქნეს. იგრილებს თოფები. პოლ დაეცემა. ტირილი, ხმაური...).

(ფ ა რ დ ა)

b. ერთაწმინდელი

# აშს, მუშებო და მუშა ქალებო, სწერეთ ჩვენს ჟურნალში თქვენი კლუბების მუშაობის შესახებ

# მუხათა კლასი და ხელოვნება

## ახალი მოჯასი

(დასასრული)

მერწმუნე, ვანო, მე ვგრძნობ შენს დარდს, შენს მწუხარებას... თქმა არ უნდა, დიდი და აუტანელია იგი. მაგრამ ამა დადუქრი, განა ვაქციე თვის გულისთქმას უნდა აპყვეს?.. მეტადრე ჩვენს ღრმში! — თითქმის დეობრივ მზარუნელობით და აღერსიანი ხმით მიმართა მარომ მის და თანე როგორც ბავშვს, ვანოს თვალგზში შესტყროდა, მხარზე ამხანაგურად ხელს უსვამდა...

ყოველ ჩვენგანს არ ავლია მწუხარება და ვსაჭირო, მაგრამ რომ საკუთარ დარდებს აპყვეთ, ხომ ვერაფერი გაკეთდება?..

განა ვერ ჰხედავ, რანაირად იცვლება დრო? მოუშავენი გვეჭირა. დღეს შენისთანები სანსლით არიან საძებნი და შენ კი ეს დაგვიწყებია და საკუთარ დარდებს აპყობიანარ.

შენ ახლა შენს თავს არ ეკუთვნი, შენ მხოლოდ საზოგადოების წევრი ხარ და მის საკეთილდღეოდ უნდა იბრძოლო. დაივიწყე, რომ შენც ცხოვრება ვინდა, და განსოვდეს, რომ მხოლოდ დიადი საქმისთვის ხარ მოწოდებული — ეს არის ჩვენი ბრწყინვალე მომავალი.

მეც ბევრი დარდი გამიქარა ამ ბრძოლამ, ბევრი ყოველდღიური მწუხარება ამაცოლა ამ მისწრაფებამ! — ამოიხზა წყარო მოგონებებით დაღონებულმა მარომ და ვანოს კვლავ შეხედა თვალგზში.

ვანო გულდასმით ისინდა მის სიტყვებს. თვალები სიხარულით უბრწყინავდნენ. მის გაფითრებულ ლოყებს სისხლი მოაწყვა, წელშიც გასწორდა, თითქოს ახლა მიმხვდარიყო თავის სანატრულ საქმეს; თითქოს ახლა ეცნო ცხოვრების მიზანი.

მარო, ჩემო ნამდვილო მეგობარო, გმადლობ, რომ დაეწეველი მოვალეობა მომაკვივნე... დიან, მე დამევიწყდა, რომ ჩვენ ყველას დიდი მოვალეობა გვიდევს წინ... ამიერიდან მე საკუთარი ცხოვრება არა მაქვს, მე ვიქნები საერთო ცხოვრების შვილი და მას ვანაცვლებ ჩემს ჯანსა და ღონეს. გმადლობ ჩემო ძვირფასო მარო!.. და უსაზღვრო სიხარულით ილტაცებულმა მხურვალედ ჩამოარავა მაროს ხელი.

არ ვასული დიდი დრო, რომ ვანოს და მაროს საწადელი დაავიკვივინდა.

რამდენად ძნელი და საბედისწერო იყო ის სამკედრო-სასიტყბლო ბრძოლა, რომელიც ბუღალებს ჰხედავ წილად, იმდენად ტკბილი და ძვირფასი იყო გამარჯვება.

ვანოს ქარხანა თავისუფლებას ღღესასწაულდა.

ყველგები, წითელი დროშები, მოქათათე მზე, კრიალა, უღრებლო ზეცა, მუშების მხიარული სახე და-

ღესასწაული ეღფერს აძღვედა მრავალწლის ბოლით შემურულ ქარხნის კედლებს.

უზამბაზარ მანქანებს დროებით უწყვეტით გუგუნინო და თითქოს გაკვირვებით უსმენდნენ მათთვის უწყვეტლო ამბავს.

ამ დღესასწაულში ვანოც და მაროც ირებდნენ მონაწილეობას. მათი დაქნეული, მაგრამ ახლა მოღიშარი სახე ამტკიცებდა, რომ ვანელოდ ბრძოლას მათთვისაც დაეცვა საბედისწერო ნაშანი.

მხოლოდ ახლა, ამ დღესასწაულზე, როდესაც მის წინ მხიარულ მშრომელთა ზღვა ღელავდა, როცა ნიაეის ყოველ დაბერვაზე დროშები მის თავთან ნაზად ფრიალებდნენ, მხოლოდ ახლა გაითვალისწინა ვანომ თავისი წარსული და მსჯავრი დასდო მას.

მას გვერდზე ედგა მისი დაუღალავი ამხანაგი, რომელიც სულით და გულით, მივლის არსებით შეეწირა სათაყვანებელ საქმეს, რომელსაც პირად ბედნიერება დაეთმო და მუარველ ანგელოზებით მიჰყვებოდა ბრძოლაში თავგანწირულით. ის იყო მარო.

მხოლოდ ეტლა შენიშნა ვანომ, რომ მაროს ვიწრის ფერი თმა აქა-იქ თეთრად დასერილიყო და თვალების გამცემ ნაოქებს წარსული ბრძოლის სახსოვად გაებთოიდავი ქსელი.

„ო, ნუ ეტევა რომ აიძულა მარო თავისი ახალგაზრდობა ასე დემახ ნეგებინა, თვისი შესაძლებელი ბედნიერება ასე დაუწამებლად შეეწირა ხალხისათვის?“ — ფიქრობდა ვანო.

ის პირველად დათქარდა დღეს ამ საკითხზე და მაროს ცხოვრების წივი გადაფურცლა.

ნუ თუ... დაიქნესა ვანომ, როცა მას ნემსივით უჩხელიტა გულში რალაცამ.

„ნუ თუ ასე ვუყვარდი მაროს? ნუ თუ ჩემთვის დაიტანჯა ის?..“ ფიქრობდა ვანო და მაროს დაღულად სახეს მისჩერებოდა, უნდოდა ამოეკითხა მისი პასუხი.

მარომაც იგრძნო ვანოს უხმო შეკითხვა და სუსტად, მტკივნეულად გაიღიმა. მაგრამ წუთის შემდეგ თვისი მართალი თვალბა ვანოს თვალბს გაუჭირა: „დიან, მე შენ მივევარდი, მაგრამ შენზე მეტად მივევარდა საერთო საქმე. ცხოვრების ძნელ წუთებში ეს სიყვარული მაძლევდა ძალას, ბრწყინვალე მომავალზე ოცნებას მიცხოველებდა. და დღეს, როცა საერთო საქმე გაარჯვებით დავვიკვივინდა, მე მზადა ვარ მოვითხოვო შენგან სამაგვირო...“

— ამბობდა ვანოს თვალბები.

პასუხის ნაცვლად ვანო მზიარულად იღიებოდა და მარო კი სიხარულის და ბედნიერების ცრემლებსა ჰღვრიდა.. იმათ გარშემო ხალხი ლელავდა და ამ მოზღვავე-ბულ გუგუნზე ვანომ მშლავრად ჩაიქნია ხელი, თითქოს უკანასკნელი სასიკვდილო ჩაქუჩი ჩაართვა წარსულს და დაუნდობელად დალურსნა მისი კუბო. და იმავე ხელში

იგრძნო მაროს თბილი, გრსნობიერი ხელი, რომელიც მს უსიტყვოდ, მაგრამ მჭერმეტყველურად იწვევდა წინ ახალი ოჯახის შესაქმნელად.

პროლეტკულტის ლიტესტუდიელი

ვენერა ახელი

## ს ა ნ ი ტ ს ა ლ ა მ ო .

30 მარტს, ქართულ დივიზიის ცენტრკლუბში განსახიუმრის სანიტგანათლების დრამწერე დსდგა სამოქმედებანი სანიტარული კომედია: „ენგეროლოგის კაბინეტში“, რომელსაც დაესწრენ თბილისის გარნიზონში მდგომ ქართულ ნაწილების წითელარმიელები, მრავალი მუშები სხვა და სხვა დაწესებულებებიდან და მოსწავლე ახალგაზრდობა.

პიესამ მზიარულად ჩიარა, სანიტგანათლების მხრითაც მისილება, მაგრამ მრავალი ვულგარული სურათები და სიტყვები შიგ. რაც უნდა შესწორებულ იქნას.

თამაშის კარგი მხრით განიარჩიოდენ ამხ. ნაცვლით-შეილი—აზნაურის და ამხ. ძიგრა-შეილი—ეჭიშის როლებში.

საერთოდ უნდა ითქვას ამ დრამწერზე, რომ იგი შესდგება ნიჭიერი ახალგაზრდობისაგან და. მომავალიც ულმობა.

დასასრულ კლუბის კომენდანტის საყურადღებოთ უნდა ითქვას, რომ ამ საღამოზე მრავალი პატარა ბავშვები იყვნენ, რაც ყოველად დაუშვებელია:

შემდეგისათვის უნდა გამოსწორდეს ეს ნაკლი.

მწვერავი.

## ლ. სუხიზვილის სახელოგის მუშათა კლუბი.

მიმდინარე სეზონის განმავლობაში ამ კლუბში აღვილობრე მუშათა დრამწერის მიერ იმართებოდა ქართული წარმოდგენები. მხოლოდ უკანასკნელ თვეებში აღარ გამოართულა წარმოდგენა. წრის წევრები ვერ იცლიდნენ თუ სხვა რამ იყო ამის მიზეზი არ ვიცი. მხოლოდ ვიტყვით, რომ ამ მუშათა შორის არიან საკმაოდ კარგი სასცენო ძალები, და ამიტომ საჭირო და სასურველია, რომ მათ კვლავ განახლონ მუშათა და თავიანთ ამხანაგებს მიარწოდონ გულიერი საზრდი. უკანასკნელ თვეებში მუშებისთვის წაითხული იყო რამოდენიმე ლექცია სანიტარულ განათლებაზე. პროფმობის და პოლიტ-წრეში ჩვეულებრივ მიმდინარეობს მეცადინეობა, ქართულ-რუსულ ენებზედ. მუშები ბიბლიოთეკაში საკმაოდ დაირებიან. სახლებშიც მიაქვთ წასაითხად წიგნები. ყოველ კვირა იმართება კინოსურათების ჩვენება შესაფერის შინაარსით, კინო და ყოველი წარმოდგენა უფასოა კლუბის წევრთა და მათი ოჯახებისთვის.

მუშკორი სპარტაკ.

# პროფმობაკოზა და ხელოვნება

## სატაროფო-საეპონომიო საკითხების თეზისები.

ა) შრომის ხელფასი.

1. კავშირის მუშაობა, მე-4 ყრილობის დასრულების შემდეგ, მიმართული იყო იქითკენ, რომ აგვეწერა ჩვენი კავშირის წევრთა შრომის ხელფასი და გავველიდებინა იგი წარმოების აწვევისთან ერთად.

2. ამ ეჟამდ. სანახაობისა და სამხატვრო წარმოების დაწესებულებანი ისეთ პირობებში არიან ჩაყენებულნი, რომ შემდეგი განვითარება დამოკიდებულია შრომის წარმოების გაფართოებაზე, საითკენაც უნდა იყოს მიმართული ხელოვნების კავშირის მუშაკთა მთელი ყურადღება.

3. შრომის წარმოების გაფართოებისთვის მუშაობა უნდა წარმოებდეს ორი მიმართულებით:

ა) წარმოებათა ორგანიზაცია და ტენიეტურად მოწყობა და შრომის წარმოების გაზრდა.

4. სახელოვნო საქმეთა ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად უნდა მოეწყოს;

ა) სახელოვნო ორგანოთა სრული კონცენტრაცია;

ბ) დაწესებულების ადმინისტრაციული აპარატის გაჯანსაღება, რომლის მუშაობა დამწარბებული უნდა იყოს უმთავრესად მასსიურ მათურებელზე.

გ) სანახაობის რეპერტუარის გაუმჯობესება;

დ) წარმოებაში ისეთი სამუშაოს წესრიგის შემუშავება, სადაც მუშებისა და მოსამსახურეთა მოვალეობის გარდა, აღნიშნული უნდა იყოს ადმინისტრაციის მოვალეობანიც.

ე) უნდა მოისპოს ზედმეტ ხარჯები და მიღებულ იქნას მაქსიმალური ეკონომია საქმის წარმოებაში.

ბ) უნდა დაისკავს საკითხი სანახაობათა და სახელოვნო დაწესებულებათაში ფასების შემცირების შესახებ, რადგანაც მკურნებელი მკვლელად კავშირის წევრთაგან შესდგებიან.

კ) შრომის ნაყოფის ღირსების გასაუმჯობესებლად უნდა მოეწყოს კანტროლი და პასუხისმგებლობა ადმინისტრაციისა სათანადო ორგანოების წინაშე.

5. შრომის ნაყოფიერების ასაწვევად საჭიროა:

ა) ყველა მომუშავეთა შრომის ღირსების გაუმჯობესება.

ბ) შრომის დისციპლინის აწვევა.

გ) სამუშაო დროს წესიერი საქმიანობა.

დ) შრომის დღის შემცირებობა.

ღ) ნარდი სამუშაოს ჩატარება, სადაც ეს შესაძლებელია.

ყ) მუშა- მოსამსახურეთა კვალიფიკაციის გაზრდა მის მიერ შესრულებული სამუშაოს მიხედვით.

6) სანარდო სამუშაოს შესრულების დროს დაცული უნდა იყოს სამუშაო დრო, სამუშაოთა ნაყოფობის განუსაზღვრელად რაც უეჭველად ასწევს შრომის ნაყოფიერებას.

7) ხელფასის გადიდება დამოკიდებულია სასყიდვით შრომის ნაყოფიერების გაზრდასა და სახელოვნო დაწესებულებათა ეკონომიურ მდგომარეობაზე, მაგრამ როდესაც კავშირი ადგენს მოთხოვნილებას ხელფასის გადიდების შესახებ, მხედველობაში უნდა ქონდეს, ზემოდ ნათქვამ ორ დებულებასთან ერთად, სახელმწიფოს ეკონომიური შესაძლებლობაც.

ბ) ეკონომიური მუშაობა:

8) შრომის ნაყოფიერების ასაწვევად კავშირის ძირითადი ორგანიზაციებისათვის საჭიროა ეკონომიური მუშაობა. ასეთი მუშაობის ჩასატარებლად კავშირის ცენტრალური გამეფობა უმთავრესად ემყარება საქარბნო კომპეტენცს, ადგილკომენს და საწარმოო თათბირებს.

9) შრომის ნაყოფიერების აწვევაში დიდ როლს თამაშობს საწარმოო თათბირები. საზოგადოებრივ კანტროლის საწარმოო თათბირების მიერ წარმოებულ მომუშავეთა მასის დაინტერესებას წარმოებით დაუფასებელი მასგებლობა მოაქვს შრომის ნაყოფიერების გასაზრდელად.

10. საწარმოო თათბირები, თავისი მუშაობის დროს სასყიდვით ექვემდებარებიან ადგილკომენს და მუშაობენ მათ ხელმძღვანელობით. რომ მათი მუშაობა სასარგებლო იქნეს საჭიროა:

ა) მიღებულ უნდა იქნას ყოველგვარი ზომები, რათა საწარმოო თათბირებში ჩაბმულ იქნეს სამუშაოდ ხელოვნების დარგში მომუშავე სპეციალისტები.

ბ) ადმინისტრაციის წევრებს უნდა დაევალოთ, რომ მონაწილეობა მიიღონ საწარმოო თათბირებში.

გ) უნდა მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები, რათა ცხოვრებაში ვაკტარებულ იქნას საწარმოო თათბირების დადგენილებანი, თუ ადმინისტრაცია დადგენილების საწინააღმდეგეთა დასაბუთებულ მოსაზრებას არ წარმოადგენს.

დ) დაწესებულებათა ადმინისტრაციის წევრები ვალდებული უნდა გაეზადონ, რათა ყოველგვარი ტენზიური ან სხვა რაიმე ცვლილებანი დაწესებულებაში, შეუთანხმონ საწარმოო თათბირებს.

ე) დევი ერთხელ კავშირი იწვევს საწარმოო თათბირების მუშაობას სათანადო ინსტრუქციის მისაცემად და გაწვევით მუშაობის საინფორმაციოდ.

11. ყველა ჩამოთვლილი საშუალოს შესრულება მოითხოვს დიდ მუშაობას და დროს, ამიტომ კავშირის ყველა ორგანიზაციებმა, ცენტრალური განგეობები და წევრული და საწარმოო თათბირებით გათავებული, უნდა გამოიმუშაოს გეგმა მუშაობისა და საზოგადოთ მუშაობის უნდა მიეცეს სავეფო ხასიათი.

გ) კოლექტიური ხელშეკრულებანი.

12. უნდა აღინიშნოს, რომ კოლექტიურმა ხელშეკრულებებმა ჩვენ დაწესებულებებში უფოდ დადებითი შედეგები მოგვცა, მომავალში მიეცეს მას სათანადო ყურადღება და ხელშეკრულებებიდან ამოღებულ უნდა იქნას ისეთი მუხლები, რაც მხოლოდ განმეორება შრომის კანონთა დეკლარაციას.

13. რადგანაც კოლექტიური ხელშეკრულებებში ხშირად არ არის აღნიშნული დაწესებულების სხვა და სხვა სამუშაო პირობები, ამიტომ მომავალში ახალი კოლექტიური ხელშეკრულება უნდა შეიცავს ისეთი მუხლებით, რომელშიცაც განსაზღვრული იქნება მუშაობის ნორმალური მიმდინარეობა და ნაყოფიერების აწვევა.

14. უნდა აღინიშნოს, რომ შ. ს. კ. მუშაობაში, წარსული წლის განხილვაში, — სახელო მიზნებზეა მუშაობა შრომის, მომავალში შ. ს. კ. მუშაობა ურჩევითი საინსტრუქციო მუშაობა კავშირის მიერ უნდა სწარმოებდეს იმავე წესით. კერძოში ერთხელ უნდა ხიზნოდეს შ. ს. კ. მუშაობა ურჩევითი კრებები. მიღებულ უნდა იქნას ყოველგვარი ზომები, რათა მუშა-მოსამსხუტებოთა ჯამგირი ეწლეოდეს თავის დროზე.

ღ) შრომის დაცვა.

15. მშრომელთა შრომის დაცვა, ეს პირველხარისხიანი საკითხია კავშირის მუშაობაში, რადგანაც შრომის ნაყოფიერების აწვევა პირდაპირ დამოკიდებულია მუშა-მოსამსახურეზე, მიღებული უნდა იქნას ყველა საჭირო ზომები, რათა გაუმჯობესებულ იქნას შრომის პირობები: განათება გარდობის სახიტარებო მდგომარეობა და სხვა.

16. საბიზო საკითხის შესაძლებელად კავშირმა მიიღო სათანადო ზომები გეაქვს სახელო სადაც თანდათანობით ჩვენი კავშირის წევრები სახლებთან, ვანაწილებით სხვა სასლებშიც უქვის დახმარებით — მიუხედავად ამისა კავშირმა უნდა მიიღოს ზომები, რომ მომავალში გაეადილოთ სახლების რიცხვი და კავშირის წევრნი ჩაებათ საბინაო კოოპერაციაში.

18. მშრომელთა სოციალური (დახლვევის ანარიტების დაწვევა და შრომის ნაყოფიერების აწვევის სახიტარებო კავშირის წინაშე სვამს შედეგ ამოცანებს:

ა) უნდა მოისაოს დაწესებულებათა დავალიანება სოციალური დახლვევისათვის.

ბ) მიღებულ უნდა იქნას ყოველგვარი ზომები მორტორტმედეგათა წინააღმდეგ. რომელთაც ადგილი აქვს კავშირის მუშებშიც წევრთა შორის.

გ) უნდა გაუწიოთ ყოველგვარი დახმარება სოციალური დახლვევის ორგანიზაციას, რათა დაცული იქნას და წესიერად ვაკტარებულ ცხოვრებაში, მათზე დაკისრებულ მოვალეობა.

# ქ რ ლ ნ ი კ ბ

## ს ა ქ ა რ თ ვ ი ლ ო

რედაქციისაგან ჩვენი ჟურნალის № 17 ვაჭიფა ლოზუნგით: „პირი სოფლისავენ“; ამისათვის აწველა თანამშრომლებს (და განსაკუთრებით პრავინციელ თანამშრომლებს) რედაქცია სთხოვს მოაწოდონ შესაფერი მასალები.

სახელმწიფო ოპერაში. დღეს 5 აპრილს სახელმწიფო ოპერაში შესდგება მესამე გასტროლი ცნობილი ბასის მოხუციხინის.

„ჯანუი გურიაში“. ორშაბათს 6 აპრილს სახ. ოპერის თეატრში დაიდგება „ჯანუი გურიაში“. დადგმა ალ. წუწუნავასი.

ნინო ჩხეიძეს მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო მსახიობის სახელწოდება.

„პროფკავშირის მდივანი“, შემდეგ ნომრიდან ჩვენს ჟურნალში დაიწყება ბეჭდეა ლ. სკოტის რომანიდან ვადმოკეთებული პიესის: „პროფკავშირის მდივანი“ თარგმანი სანდრო ქურდიის.

ნიკო გოცირიძის გამგზავრება უცხოეთში. რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნიკო გოცირიძე ამ დღეებში გაემგზავრება უცხოეთში. ის გვიარს მოსკოვში და შემდეგ, გაემგზავრება გერმანიაში, საფრანგეთში და იტალიაში, სადაც გაეცნობა სხვა და სხვა თეატრალურ მიმდინარეობებს.

ქართული და სომეხი პოეტები რუსულად. ტილისში ჩამოვიდა პროლეტარული პოეტი სეინკოვი, სპეციალური მიზნით, რომ სთარგმმოს რუსულ ენაზე ქართველი და სომეხი პოეტები.

კახლოვი და პილნიაკი ტფილისში. პოეტი ესენინი იტკობინება მოსკოვიდან, რომ ამ ცოტა ხანში ტფილისში ჩამოვლენ მსახიობი კახლოვი და მწერალი პილნიაკი.

მსახიობმა მ. ქილაჯიშვილმა. სთარგმა ქართულ პიესებს: „რკინის კედელი“ — რინდა-ალექსიევისა და „ქალთა ბძოლა“ — სკრიბისა.

## რ უ ს მ ი ი

სამხატვრო თეატრი. სამხატვრო თეატრი შეუდგა მუშობას ანდრეი ბელის „პეტერბურგის“ სცენაზე დასადგმლად.

სიმილიაიე მუშაობს გოფმანის „ოქროს ქოთანზე“ არენსკის ინცენიროვითი.

„გაბიმა“. ამ სეზონში „გაბიმა“ დასდგამს კიდევ ორ უკანასკნელ პრემიერას: გოფმანის პიესებს — „იაკობის სიზმარი“ და „ამაბულა“.

სეზონის დასრულების შემდეგ აპრილის ბოლო რიცხვებში „გაბიმა“ მოაწყობს დიდ ტურნეს ევროპასა და ამერიკაში.

ნ. მ. ფორეგერი. აპრილში ფორეგერი ეწვევა მოსკოვს და ახევენებს თავის ნამუშევარს მიმდინარე სეზონის განმავლობაში.

ამჟამად ფორეგერი იმყოფება ლენინგრადში; სადაც ის მუშაობს უმთავრესად კინოსა და ტეკვის დარგში.

## ი ტ ა ლ ი ა

პრემიები საუკეთესო ფილმისათვის. მილანის ბაზრობაზე წესდ მთეწობა კინო-ფილმების საერთაშორისო კონკურსი. ფილმები დაყოფილი იქნება სამ კათეგორიათ: ისტორიული და დრამატიული, კომედიები და ავანტიურული და სამეცნიერო და კულტურული.

საუკეთესო ფილმებს მიეცემათ სამი პრემია და ამათ გარდა ერთი პრემია იტალიის საუკეთესო ფილმს

პალესტრინის 400 წლის თავი. რომში უკვე შეუდგენ უდიდეს კათოლიკურ კომპოზიტორის პალესტრინის დაბადებიდან 400 წლის თავის დღესასწაულს სამზადისს. დღესასწაულს პროგრამაში შევა პალესტრინის ნაწარმოებები, რეკვიემები მოკარტის და ვერდის, ორატორია პეროზისა და ბეთოვენის ინსტრუმენტალური ნაწარმოებები. გარდა ამისა გაიხსნება კომპოზიტორის სახელობის სპეციალური გამოფენა.

## ჩ ვ ე ნ ი ფ ო ს ტ ა

შ. გომართელს. თქვენი წერილი გადაცემული იყო სტამბაში დასაბეჭდათ როცა გავიგეთ, რომ იგივე წერილი იბეჭდებოდა სხვა ჟურნალში.

ბ. უჩაიევილს. მოგავაუღოთ წერილები.

ა. ზენელს. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

მასუსისმგებელი რედაქტორი ხ. ქურდიე.

ხელმძღვანელი — სარედაქციო კოლეცია

გამომცემელი წრ. ზაქ. ხელოვნების მუშაეთა კავშირი.

# Программы госоперы.

В срезу 4-го апреля

## Д а н с ი

грузинская оригинальная опера в 3-х лейст. муз. З. Палиашвили  
Маро - Попова Малхаз - Нумсашвили  
Нина - Нейман Киазо - Венадзе Ца-  
нгала - Исециий Тито - Туманишвили.  
Балет в постановке - Сергеева  
Танцуют: Леонова, Бархударов,  
Альберт и весь билет.

Постановка - Марджанишвили Режи-  
ссер - Андроникашвили Дирижирует  
оперой Народный артист - И. П.  
Палиашвили.

В Воскресение 5-го апреля.

3-я гастроль известного басса

А. И. Мозжухина

## СЕВИЛЬСКИЙ ЦИРЮЛЬНИК

опера в 3 действиях музыка  
Р о с с и и.

Действующая лина:

Граф Альмавива - Навсадзе Дон-  
Бартало, доктор медицины, опе-  
куп Розины - Демсянени, Розита,  
воспитанница Бартало - Попова,  
Фигаро, цирюльник - Алексашии.

Дон-Вазилио - учитель музыки -  
А. И. Мозжухин. Офицер - Игони,  
Берта - Доброманская, Фиорелло -  
Нуркули

Режиссер Гурес.  
Дирижирует заслуж. артист А.  
С. Столерман.

ორშაბათს 6 აპრილს

გვ. ნინოშვილის

## „ჯ ა ნ ბ ი ზ უ რ ი ა ზ ი“

რამდენიმე ეპიზოდი 4 მოქ. 8 სურ-  
გადმოკეთებული ჯ. გელეშვილის  
ლეგენ მაჭუტაძე - ნ. მახარაშვილი  
ფუროსინე - მისი მეფულე - ელ. ბა.  
რაფაშვილი, გულო - მათი ქალი -  
მ. მეღვინე, გიორგი - მათი შვი-  
ლობილი - ალ. ლულუა, სახლ-  
უხუცესი - შ. დურგლიშვილი,  
ელისაბედ - ლევინს და - მ. მინა-  
სოვა. მელანო - მისი ქალი - ძ. ტი-  
ძაძე. ზალიკა - მისი მოურავი - ნ.  
ქანკვაძე, ბესია შვეარდნაძე -  
გ. მელიაძე. მინა - მისი და - თ.  
კიკნაძე, სიმონ შორშილაძე - ტ. გი-  
გუა, აზნაური ივანე - არ. ხინთი-  
ბიძე, კობია - ივანეს ბიჭი - ივ.  
გვინბიძე. ამბაკო შალიკაშვილი -

ტ. კოსტავა, ხასან ბეგი თვდგი-  
რიძე - ვ. ნუცუბიძე, ათანია - ალ.  
თვდგირიძე. პეტრია - ვ. შაფა-  
თაძე, თოლიკა - არ. ელენტი, ნი-  
კოლოზა - ნ. ილერიძე, ძუკუ მსხა-  
ლაია ა. იწვია

დადგმა ალ. წუწუნავასი  
ესკიზები: სიღამონ-ერისთავისა  
მხატვარი: კონსტანტინოვი  
თანარეჟისორი: ნ. ქანკვაძე

Во вторник, 7-го апреля

4-я гастроль Мозжухина

## РУСАЛКА

опера в 4-х действ. муз. Дарго-  
мыжского.

Мельник, Моанухин.

Участв.: Седико. Мазоенская,  
Струков-Баратов, Мозжухин, Де-  
мяньяненко, Курхули.

Балет под упр. Серова.

Режиссер Пичхулов.

Дирижирует заслуженный ар-  
тист Столерман.

ჟურნალი „ხელოვნება“

# ასხნაღებს შემოკრებებს

## საუკეთესო პიესაეზა

შეჯიბრების პირობები:

დაჯილდოებული იქნება სჱმი პიესჱ.

პირველი ჯილდო . . . . . ხუთასი მანეთი

მეორე ჯილდო . . . . . სამასი მანეთი

მესამე ჯილდო . . . . . ორასი მანეთი

მოწონებული პიესები დაიბეჭდება ჟურნალ „ხელოვნებაში“

პიესები უნდა გამოიგზავნოს ჟურ. „ხელოვნების“ რედაქციაში.

ჟიურის წევრები და წარმოდგენილ პიესების განხილვის დღე გამო-

ცხადებული იქნება „ხელოვნების“ შემდეგ ნომერში.

# ხელოვნება

კლდეპიის მისამართი: რუსთაველის არსსაქატი, მუხბთა-სასახლა. ოთახი № 54. ტელეფონი 14-03.

№ 15

სრ. სპირიტუალეს ხელოვნების მუხბთა გრფუ. კავშირის მოვალეკვირული ორგანო

№ 15

## გაზაფხულისთვის.

ზამთრის სუსხიან დღეებს ვემშვიდობებთ.  
 ნაღვლიანი მინდორ-ველები კვლავ გაიხარებენ.  
 გაბარცული ტყეები ფოთლებს ისხამს, აყავილ-  
 დება მთელი მიდამო და ბუნების ლხენს არ ექნება  
 სასოვარი. აღამიანი ბუნების შვილია და ისიც უნდა ბა-  
 რობდეს ბუნების მშვენიერებით.

მშრომელი ხალხი, რომელმაც „ცეცხლით და მახვი-  
 ლით“ შექმნა თავის სამეფო, რომელსაც მსოფლიოს ერთ  
 მშვეყსელზე ხელთ უპყრია ცხოვრების საკე, დღეს ვერ  
 დარჩება ბუნების ლხენის გარეშე...

მართალია იყო დრო, როცა მშრომელს არ ჰქონდა  
 არავითარი საშეალება ბუნების მშვენიერებით დამტკბა-  
 რიყო. ის დღე-ღამე ლუქმა პურისათვის ზრუნავდა, თავის  
 არეგმობისათვის ღვრიდა ოფლს და ტანჯვამი ატარებდა  
 თავის ცხოვრებას.

დღეს კი სხვა დროა:  
 დღეს მშრომელს ყოველნაირი საშეალება აქვს საბ-  
 ჭოთა ქვეყანაში რვა საათის მუშაობის შემდეგ დანარ-  
 ჩნი დრო მოახმაროს შეყენებას და დასვენებას.  
 ბუნება განსაკუთრებით გაზაფხულით ააშეარავენს  
 თავის მშვენიერებას.

გაზაფხული.  
 აველა შეხარის მას.  
 არ შეხარის მხოლოდ გრძნობა დაჩლუნებული აღ-  
 მინი...

ხელოვნება ეკუთვნის ხალხს. ის  
 უნდა იყოს გასაგები მასებისათვის  
 და მათგან შეყვარებული, მან უნ-  
 და შეაერთოს ამ მასების გრძნო-  
 ბა, აზრი და გონება. ამაღლონ  
 ის, განაღვიძოს მათში მიღრეკი-  
 ლება მხატვრულ სახეებისადმი.

### ღენიონი.

ყოველი ცოცხალი არსება ხარობს გაზაფხულით; ხა-  
 რობს მშრომელიც, რომელიც ნამდვილი ბუნების შვილია  
 და არა სასახლეებში მოზინადრე, ამიტომაც ცხადია ბუ-  
 ნების სილამაზით უპირველეს ყოვლისა უნდა ტკბებოდეს  
 მშრომელი ხალხი. ჩვენს ხელისუფლებას ეს გარემოება  
 არ დარჩენია თავის ყურადღების გარეშე. სწორედ ამით  
 უნდა აიხსნეს, რომ ჩვენს დროში გაზაფხულისა და ზა-  
 ფხულის გამო მუშათა ექსკურსიებს დიდ ყურადღებას აქ-  
 ცევენ, მუშებისათვის იმართება ზღვრულით „ცის ქვეშ“  
 კინო-სურათები, წარმოადგენები და სხვა...

არასდროს და არიგინ ძველათ ასეთ მოხონილენას  
 მშრომელი ხალხისა არ აქცედა ყურადღებას...

მიუხედავად ამისა დღესაც ვერ არის ყველაფერი  
 თავის რიგზე:

### გაზაფხულისათვის ვერ არის საცმო მზადება...

ვინ უნდა აქცევედს ამას ყურადღებას.  
 უპირველეს ყოვლისა ჩვენი კავშირების კულტგან-  
 ყოფილებები. ყოველნაირი საკლებო მუშაობა ზღვრული-  
 ბით უნდა წარმოებდეს „ცის ქვეშ“...  
 კლებებში მომუშავე სახელოვნო წრეებსაც ბევრის  
 გაკეთება შეუძლიათ ამ დარგში...  
 ეს დიდი საკითხია და მისი მნიშვნელობის ამო-  
 წერვა ამ პატარა მეთაურში შეუძლებელია...  
 მხოლოდ ერთი რამ კი უნდა გვახსოვდეს:  
 გაზაფხულისათვის საჭიროა მეტი მზადება...

# კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის ოცდაათი წლის მოღვაწეთვის იუზილეს მომწყობი კომიტეტი.

1925 წელს შესრულდა ოცდაათი წელიწადი, რაც კომპოზიტორი ზაქარია პეტრესძე ფალიაშვილი ხელოვნების ასპარეზზე გამოვიდა.

ტფილისის<sup>1</sup> მუსიკალური სასწავლებლის მოწაფე, ზაქარია ფალიაშვილი თავისი ნიჭისა და უღრესი შრომის მოყვარეობით, ალწეს ხელოვნების ისეთ სიმძლავს, რომელზედაც ასეღა მხოლოდ რჩეულთა ხედრია.

ლარბი ოჯახში დაბადებული, გაევიწყებინა აღზრდილი იგი, თითქოს გრძნობს, რომ მოწოდებულია დიდი საქმისთვის, არაფრითარ დაბრკოლებას არ ეპოება და საკვირველის ენერჯით იკაფავს გზას თავის მიზნისაკენ.

ტფილისის მუსიკალურ სასწავლებელს წარჩინებით ათავსებს. ასევე წარჩინებით ათავსებს მოსკოვის კონსერვატორიას, სადაც კომპოზიციის თეორიას გაიღოს ცნობილ პროფესორ ტანეცთან და ბრუნდება სამშობლოში ცოდნით აღჭურვილი და იმ სურვილით აღტყინებული, რომ ეს ცოდნა მოჰგვინოს თავის ხალხს.

ზაქარია ფალიაშვილი შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას; ასწავლის სიმღერასა და მუსიკას ქართულ გიმნაზიაში და თეორიას მუსიკალურ სასწავლებელში (ახლანდელ კონსერვატორიაში). ოცდაერთი წლის განმავლობაში იგი ერთი თანამდებობიდან მეორე თანამდებობაზე გადადის, მასწავლებელსა სცელის ინსპექტორი, ინსპექტორს რექტორი და ამასთანავე იგი იძენს პროფესორის სახელწოდებას.

ამავე დროს ზაქარია ფალიაშვილი თავდადებით მუშაობს ეროვნული მუსიკის აღორძინებისა და განვითარებისთვის. მოიღოს მთლად საქართველოს — ქართლ-კახეთიდან დაწყებული თვალწმენდნ მთიან სანეთამდე, ჰკრებს ხალხურ სიმღერებს და ევროპიულ სამუსიკო-ფორმებში ასხავს ეროვნულ ნირშეუცვლელად. სამასამდე სიმღერა აქვს ამგვარად შეგროვილი და რამდენიმე კრებული უკვე გამოცემულია ფილარმონიული საზოგადოების მიერ.

და ეს უნდაგარო პედაგოგიური და კულტურული მუშაობა ხელს არ უშლის მას ნამდვილ თავისუფალ შემოქმედების წყაროსაც დაეწავოს. ეს დაწაფება ჰგვირგვინდება მისი დიდი, ოთხმოქმედებიანი ოპერით „აბესალომ და ფთერის“-ი, რომელიც ქართული ელტურის ისტორიაში ეპოქალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

„აბესალომი“-თ ზაქარია ფალიაშვილმა დაამყარა ქართული მუსიკის სტილი და საფუძველი ჩაუყარა ქართულს ოპერას.

„აბესალომ“-ს მომკეა მეორე ოპერა „დაისი“, რომელსაც ჰხდა წილად იგივე გამაჩვენება, რაც პირველ ოპერას.

ზაქარია ფალიაშვილი ჯერ კიდევ საესეა შემოქმედებითი ენერჯით და როგორც ქართველი ხალხი, ისე ყველა სხვა, ვისთვისაც მუსიკა ინტრანაციონალური ენა ხელოვნების სამთავროში, — უნდა მოელოდეს მისგან არა ერთსა და ორ ნაწარმოებს, რაც გაამდიდრებს როგორც ქართველი ერის ისე ზოგად-კაცობრიულ კულტურას.

მისი მოღვაწეობის სათავედ ითვლება 1894 წელს, როდესაც იგი, ჯერ კიდევ მუსიკალური სასწავლებლის მოწაფე, ასრულდება თავისი გუნდით რკინის გზის შემთა ნაძალადევის თეატრში და აეკალისსახალხო აუდიტორიაში მთელ რიგ კონცერტებს.

ასეთი ნაყოფიერი და მრავალმნიშვნელოვანი მოღვაწეობის აღსანიშნავად საქართველოს სახელოვნო საქმეთა მთავარ საბჭომ დაადგინა გამართოს ზაქარია ფალიაშვილის საპატიოდ მისი ოცდაათი წლის მოღვაწეობის იუბილე.

იუბილე დანიშნულია საქართველოს დედა-ქალაქ ტფილისში, სახელმწიფო საოპერო თეატრში ამა წლის აპრილის 12-ს.

გაცნობებთ რა ამას, საიუბილეო კომიტეტი ვთხოვთ წინასწარვე შეატყობინოთ მას, რა ფორმით ინებებთ მონაწილეობა მიიღოთ ამ კულტურულ ღღესასწაულში.

საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე, საქარაფელოს სოც. საბჭ. რესპ. განათლების სახალხო კომისარო.

დ. კანდელაკი.

თავმჯდომარის ამხანაგი, საქართველოს სახელოვნო საქმეთა საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ი. გელევანიშვილი.

## საიუბილეო კომისიის წევრები:

- |                     |                          |
|---------------------|--------------------------|
| 1. ქერიძე ს.        | 14. ახმეტელი ა.          |
| 2. დუდუჩავა შ.      | 15. სვიმონიშვილი კ.      |
| 3. აბაშიძე ვასო.    | 16. ელიაშვილი ს.         |
| 4. ფალიაშვილი ივ.   | 17. ნეტუბიძე             |
| 5. სტოლერმანი       | 18. ზურაბიშვილი ი.       |
| 6. პაპოვა ევგენია   | 19. რობაკიძე გრ.         |
| 7. ქარცივაძე მ.     | 20. პოკროვსკი ს.         |
| 8. იაშვილი პაოლო    | 21. კაპელინსკი ე.        |
| 9. ტაბიძე ტიციან    | 22. ერზეციანი            |
| 10. მაყაშვილი კ.    | 23. ბალანჩივაძე მ.       |
| 11. აბაშელი ე.      | 24. იპოლიტოვი-ივანოვი მ. |
| 12. მარჯანიშვილი კ. | 25. გრიშაშვილი ი.        |
| 13. წუწუნავა ა.     |                          |

# დიდი შემოქმედი

თუ ქართველი ერის მხატვრულ შემოქმედებაში მოიაზრება ისეთი მიღწევები, რომლითაც მას შეუძლიან მსოფლიო კულტურის ასპარეზზე თამაზად გავიდეს



**ზ ა ქ ა რ ი ა ფ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი**

16 წლ. როცა ის იყო მგალობლად ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიაში.

და არ შერცხვებს, უმეპელია ამ მიღწევითა შორის **ზაქარია ფალიაშვილის** ოპერას „ახესალომ და ეთერის“ უკანასკნელი ადგილი არ ეჭირება

თუმცა „ახესალომ და ეთერი“ უაღრესად ეროვნული იერისაა, მაგრამ იგი მაინც უცხოელისათვის მისაწვდენია და მისახვედრი. ამის „მაგალითები ჩვენ უკვე ენახე. არ შეგებვდრია ისეთი უცხოელი, რომელსაც „ახესალომი“ მოესმინოს და არ მოსწონებოდეს. ზოგიერთ შემთხვევაში, აღტაცებამდე.

ამის გამო, ჩვენი რწმენაა—ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედება უცხოეთში კპოეებს იმავე გულხშიერებას, თუ მეტს არა, რაც აქ ჩვენში ჰხვდა წილად.

უნდა გეახსოვდეს, რომ ევროპის მუსიკალური აზრობა (ე. ი. ელემენტური მუსიკა) საკმაოდ გამოფიტულია ის, რაც ამ აჟამად იქმნება ევროპაში, ძველის გადანადრება... და თუ არის რაიმე ახალი მიღწევა, ისიც მხოლოდ ვერტუზობისა მუსიკის ტენზიკის სფეროში. ევროპიული

შემოქმედი ახალი სიტყვის თქმას კლამობს აღმოსავლური მუსიკის მეშვეობით. ხოლო მას აქნომამდე ვერ მიუგნია აღმოსავლური მუსიკის თავისკარ წყარომდე. რაც რამ აღმოსავლური მელოდიის სახით საღდება—სუროგატა და სხვა არასდერი, ან შორიდან უფრომოკრული, ან და უმაღლესი ტენზიკის წყალობით მინაგვანი და არა ნამდვილი გრძობით განცდილი. მაგალითად რიმსკი—კორსაკოვი ხომ დიდი მუსიკოსია. მაგრამ მისი ნიმუშები ამ მუსიკის სფეროში ისევე მგზნებარეა, როგორც ჩრდილოეთ პოლიუსზე გაჩნდებული კოკონის სიციხოველე. აქ არის მხოლოდ დიდი ოსტატობა და არა მზნებარე სული შემოქმედისა, რომელიც ამ მგზნებარეობას მარტო გონებით-კი არა სკვრეტს, არამედ ჰგრძობს თავის სისხლში და ხორცში.

და სწორედ ქართული მუსიკა მოწოდებულია სიტყვას ახალი სიტყვა ზოგად კაცობრიულ ხელოვნებაში. ზაქარია ფალიაშვილი პირველი მიმრქმელია ქართული მუსიკისა. აი, ხელოვანი, რომელიც თვითველი



**ზ ა ქ ა რ ი ა ფ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი**

26 წლისა როცა მან დაამთავრა ტფილისის სამუსიკო სასწავლებელი.

ძარღვის ხეველში, თვითველი სისხლის წვეთის თამაშში ჰგრძობს ქართული მელოდიის სიტურფეს. და მომიზალობის ძალის.



ივ. ფალიაშვილი (ლოტბარი) და ზაქ. ფალიაშვილი  
 როცა ისინი 1889--1893 წლებში მღეროდნენ პირველ  
 ქართულ, ლ. აღნიაშვილის გუნდში.

და სერობული ყურადღება რომ მიაქციოთ მის  
 ნაწარმოებთ, კარგათ რომ ჩაუყვირდეთ ამა თუ იმ მნიშ.  
 ენელოვან ღრუბას, ან ამა თუ იმ ელემენტს „აბესა-  
 ლომი“-სა და „დაისი“-სას, ადვილად მიხვდებით, რომ  
 მისი შემოქმედების სტიქიონი არის ეროვნული ხასიათის  
 მუსიკა და არა ეკლექტიური. სწორედ ეროვნულ მუსი-  
 კალურ ფრაზაში,—ვოკალური იქნება იგი თუ ინსტრუ-  
 მენტალური,—ფალიაშვილის შემოქმედება თავისუფალია  
 ლაღია, ლივლივად მდინარე, ძლიერი დრამატიზმით, თუ  
 ლირიზმით, ექსტაზით თუ ჰუმორით.

ამის დასამტკიცებლად მაგალითების დასახელება  
 შორს წაგვიყვანდა, მით უფრო, რომ საამისო ბევრი  
 რომ დაგვიწყრია წინად;—საქმარისია მხოლოდ შევად-  
 როთ ერთმანერთს „აბესალომი“ და „დაისი“—მარტო  
 ზეგუერი გახსენებითაეცი, რომ ამ აზრის უცილებლობა  
 თვალნათლივი იყოს.

ყოველ შემთხვევაში, ზაქარია ფალიაშვილმა ჩვენი  
 ქვეყნის კულტურაში შექმნა მთელი ეპოქა. მისი ღვაწ-  
 ლი, ისე, როგორც კვენი რჩეული მოღვაწის დასა-  
 რება აღსანიშნავია უდიდესი პატივისცემით და მაღლი-  
 ბით.

მართალია დღეს იგი 30 წლის მოღვაწეობის იუ-  
 ბილეს იხდის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შრომა-  
 სვან დაღალული დასვენებას მისცემს თავს, არა! ზაქა-  
 რია ფალიაშვილი ჯერ კიდევ ჯან-ღონით საესეცა, შრო-  
 მის ენერგიით ძვალბიძში გაშჯდარი, მას ჯერ კიდევ  
 ნახევარი საუკუნისათვისაც არ გადაუბიჯებია და დასა-  
 სვენებლად მიქცევის უფლება არა აქვს...

შრომა, შემოქმედება და კვლავ შრომა, აი ის გზა,  
 რომელიც მას წინ უდევს. და დარწმუნებული ვარო,  
 რომ ამ გზით მაგალი, იგი არა ერთხელ კიდევ გავვახა-  
 რებს ახალ-ახალი ნობათით.

ხოლო თავის საყვარელ საქართველოს და პიარად  
 თავის თავს მოჰფენს იმ შარავანდელს, რაც შეფერის  
 დიდბუნებოვანი ადამიანის ღვაწლმოსილებას.

იენ.

## აბესალომ და ქეთერი\*

ჩვენი მუსიკის აღორძინება მეოთხმარცე წლებს  
 მეორე ნახევარში დაიწყო.

ამ დროს მოხდა ქართული ხალხური სიმღერების  
 შემუშავება და გუნდების შედგენა:

ხელოვნური მუსიკა უფრო გვიან განვითარდა.

დაიწერა რომანსები, ჩამოიქნა ხელოვნურ ფორმებ-  
 ში სხვა და სხვა სიმღერა და ბოლოს ოპერადისაც მი-  
 ვალწვით.

ან დარგში მოშუშავეთა პირველ მოღვაწეთა ჯგუფს  
 ეკუთვნის ზაქარია ფალიაშვილი, რომლის „აბესალომ და  
 ქეთერი“ წარმოადგენს საუკეთესო მხატვრულ მუსიკალურ  
 ნაწარმოებს.

რაც მეტს უყვირდებთ ამ ოპერას, მით უფრო  
 რწმუნდებით, რომ მას აქვს უაღრესად ქართული ხასიათი  
 თი ხამდელი მუსიკალურ ტექსტით დამზენებული.

ზოგიერთების აზრით; ვითომც ამ ოპერაში მხო-  
 ლოდ აქაიქ იყოს ჩართული ქართული პანგები და და-  
 ნარჩენი-კი სხვა და სხვა უცხო მელიციების ხელოვნ-  
 რად გამოყენებას წარმოადგენდეს,—**შემცდარია**. თითო  
 ინსტრუმენტობას უნდა ჩაუკვირდეთ, რომ დაინახოთ,  
 რა დიდი ხელოვნებით არის ქართული მელიოდა მოქა-  
 გული.

\* „ხელოვნების“ რედაქცია შესაფერისად სოლის  
 კომპოზიტორი **ზაქარია ფალიაშვილის 30 წლის იუბი-**  
 ლეს აღსანიშნავად, გაახსენოს ქართველ მკითხველს ზო-  
 გიერთი ხელოვანის აზრი მისი ოპერა „აბესალომ და  
 ქეთერი“-ს შესახებ, რაც გამოთქმული იყო ამ ოპერის მუ-  
 სეჯერ დადგმის გამო 1923 წ. თებერლის 21-ს.

ჩემის აზრით, ფალიაშვილს რომ უტყუდესი ლირე-ტისტი შეგვედროდა, მისი მუსიკის მეტყველება უფრო გაძლიერდებოდა.

მაგრამ ისედაც, „აბესალომის“ მუსიკა მშვენიერი და ჩვენი კულტურისათვის წარმოადგენს დიდ განძს.

მელიტონ ბალანჩივაძე.

### აბესალომ და ეთერი

დიდი დღესასწაულია!

დღესასწაული ნამდვილი ხელოვნებისა!

დღესასწაული კულტურული გამარჯვებისა!

სარკმელია ევროპისაკენ!

გასაოცარი ლეგენდაა, —სამშობლო ქვეყნის პანგე-ბით მოსვენადებული, ევროპიული ოსტატობით შემუშა-ვებული.

მელანდება და შგონია, ხორცს ისხამს ჩვენი მესია-ნობა ხელოვნებაში, — მსოფლიო ხელოვნებაში.

მრწამს, —საქართველო, —ორი დიდი დამოუკიდე-ბელი კულტურის საზღვარზე მდგარი: — აღმოსავლეთის გასაოცარი სულიერი სინოკივისა და ევროპის გასაოცარი-ვე ოსტატობისა, — თვით არსებაში ამყნობს ამ ორ კულტუ-რას და ოდესმე მისცემს ქვეყნიერებას იმპულსს — ხელო-ვნების აღორძინების ახალი ეპოქის შექმნისათვის, ახალი ფორმებისა და მათი ახალივე აზრით აღვილიობისათვის.

დიდება პიონერს ამა გზით მიმავალს, დიდება კომ-პოზიტორ ზაქარია ფალიაშვილს!

„აბესალომის“ ვარჩევა მე არ შემძლიან ჯერ ერ-თი იმიტომ, რომ მუსიკოსი არ ვარ, მეორედ და უმთავ-რესად, იმიტომ, რომ მოტრფილეს არ ძალუძს დავისი სატრფოს აე-კარგის აწონ-დაწონვა მე-კი ნამდვილი ტრფილი ვარ „ეთერისა“.

საშუქსაბო, „ეთერი“ მითია, არც მუსიკაა შენიე-თებული რამ და ამიტომ არ შემძლიან მათ ჩემის ბა-გით შევებო.

სამაგიეროდ, სულთა და გულით ევაშობორები ზა-ქარია ფალიაშვილს.

იოკე მარჯანიშვილი.



ზ ა ქ ა რ ი ა ფ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი

1908 წელში გადაღებული მოსკოვის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ.

### ზაქარია ფალიაშვილი.

დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ ქართველ კომპოზი-ტორის იუბილს. ასე გვინია, რომ ეს იუბილე მთელი ქართველი ხალხის დღესასწაულია მეთქი! და მართლაც ვამიხვეტ: რა იყო ჩვენი ცხოვრება ამ ოცდაათი წლის წინად, როგორი იყო ჩვენი კულტურის დონე, რა ფარ-გლებში იყო მომწყვედული ჩვენი ხელოვნება და აქედან ხალხად ვანსკერცეთვი იმ ხელოვნების ღირებულებას, რომელიც შექმნა ზაქარია ფალიაშვილმა და რომელიც არის ამ დარგის ერთი პიონერთაგანი.

ქართული მუსიკალური ხელოვნება, ქართული! მე-სიკა უფრო მაშინ ამეტყველდა, როდესაც ამეტყველდა ქართული ეროვნული მაჯის-ცემა.

საუკუნეებით დაგროვიდა კულტურამ და დიდმა პოეტენციამ იპოვა გამოსავალი მუსიკალურ ხელოვნებაში.

საქართველოს ბუნება მუდამ სიმღერას ბადებს. ამიტომაც ჩვენი ხალხური ჰანეთა ჩანქერი მდიდარი დე მრავალ ფეროვანი, როგორადაც მრავალფეროვანია ჩვე-ნი მცხუნავი მშის სხივების კასკადი. ქართული ჰანეი თავისთავად მეტყველებს ქართველი კაცის ბუნების სიმ-დიდრეზე.

ზაქარია ფალიაშვილი აღიზარდა ამ ხალხის პანგე-ბით, იგი პარზო შვილია იმ ხალხის, რომელმაც შექმნა დაუვიწყარი ლეგენდები და ეროვნულ კულტურის სალა-რო. ოცდა ათი წლის წინამიღებ ზ. ფალიაშვილი აგრო-

ეგბდა ხალხის მიერ გადმოცემულ სიმდიდრეს, არ დარჩენილა არც ერთი კუთხე ჩვენი ქვეყნისა, რომ ზ. ფალიაშვილს ფეხი არ შეეღდა და არ გასცნობოდა მის ვითარებას. ამიტომაც კმის ფანტაზია ასე მდიდარია, მრავალფეროვანი მის კომპოზიციებში.

ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ ზ. ფალიაშვილზე; მარტო ერთი მისი „აბესალომ და ეთერი“ გაამართლებს მის სახელს როგორც დიდი კომპოზისტის. ის რაც ზ. ფალიაშვილმა მოგვცა თავის „აბესალომში“ აღმებატება ყოველივე ჩვენ მიხწევას ამ დარგში.

და მართლაც რა არის მოცემული „აბესალომ და ეთერიში“? **ხალხის სული, ხალხის გენია. ხალხის ენა**, რომლითაც ლაპარაკობს ქართველი ხალხი და რომლითაც სახრდობს მისი მთელი არსება. აქ ხალხის შემოქმედება დაკავშირებულია ხელოვანის მაღალ ინტუიციის შემოქმედებასთან.

არ იყო საკმაო მარტო ხალხური შემოქმედება. საჭირო იყო ხელოვანის შემოქმედება. ხელოვანის განსტეურება და ზ. ფალიაშვილმაც ეს შემოქმედება განჭვრიტა თავის სულის ტუხილებში.

ზ. ფალიაშვილმა მოგვცა მუსიკალური ხელოვნების უძნელესი ფორმა, მუსიკალური დრამის ფორმა, რომლის დამწეები და მამამთავარი იყო და არის დიდებული ვაგნერი. მან შეითვისა და შეისიხლხოცა თავისი მასწავლებლის ტანევეის თეორიები და ფალიაშვილმაც ჩვენში ის გააეთა და ის შექმნა რაც გააეთეს და შექმნეს ტანევემა და რომსკი—კორსაკოვმა—რუსეთში. მაგრამ ერთი რამ უნდა აღინიშნოს. ზ. ფალიაშვილმა გადმოიღო მხოლოდ ტენიკა, ჩონჩხი, კონტრაპუქციის ცარიელი სქემეტიურობა და თავისი შემოქმედება გამართა საკუთარი ხაზით. უფრო მეტი. იგი ეროვნულ შემოქმეთების გზით წავიდა.

ამიტომაც მდიდარი და მრავალხმოვანი „აბესალომის“ პარტიტურა. ამიტომაც რომ ამ ოპერაში ხალხის ჩუქურთმებით არის ჩაქსოვილი ჩვენი ხალხის ჰანგები.

ზ. ფალიაშვილი დიდი ოსტატია-ტენიკოსი. ეს მან დაამტკიცა თავის მეორე ოპერა „დაისში“ სადაც ოპერის ინსტრუმენტალური მხარე, ისე როგორც „აბესალომ და ეთერიში“ მაღალ საფეხურზე სდგას.

ყოველივე ამასთან ერთად ზ. ფალიაშვილმა იცის მუსიკალურ ხელოვნების ხერხები. კომპოზიტორმა იცის სცენითური ეფექტების საიდუმლოება და მასურებელში „ჯადოს გადაღდება“. ზოგი ამ ჯადოს—მაგიას უწოდებს. რიპარდ ვაგნერის ნაწარმოებების ხალხზე დიდ გავლენას—სხვაფერე ვერ ხსნიდნენ თუ არ მაგიურობით. ძველ დროში ამ მაგიურობას თეურლიას უწოდებდნენ. ჩვენი ეპოქა ისე შორს წავიდა რომ თვით გახდა მაგიუ-

რი. ჩვენ ყველაფერს თავს ვანებებთ და ვჭვრეტთ თანადროულობის პრინციპს ქვეშ და ამ მხრივ ჩვენ სინამდვილეში, ზ. ფალიაშვილის მუსიკალურ ნაწარმოებებს დიდი მნიშვნელობა აქვს და ექნება კიდევ მუდამ.

თვით ფალიაშვილის მუსიკალურ ნაწარმოებების ცალ-ცალკე გარჩევას არ შეუდგებია, რადგან ყოველივე მათგანი იმდენათ მნიშვნელოვანია და ბევრის მიქმელო, რომ მათ შესახებ ბევრი რამ დაიწერება და ქართული მუსიკის მისტიკორიეც თავის დროზე აღნიშნავს კიდევ.

ესლა ეს ვიტყვით, რომ ზ. ფალიაშვილის ორი ოპერა: „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“ ქვაკუთხედათ დაედება ჩვენს მომავალ საოპერო რეპერტუარს და ამ ოპერების პრინციპებზე და ტრადიციებზე ჯერ კიდევ ბევრი ახალგაზდა კომპოზიტორები აღზრდებიან. ზ. ფალიაშვილმა გაუკეთა გზა ეროვნულ მუსიკალურ შემოქმედებას. ზ. ფალიაშვილის ოპერებმა ჩვენ მუსიკალურ ხელოვნებაში შექმნეს ეპოქა. ამ ეპოქას აგრძელებს ნიკიერი ახალგაზრდობა, იმედი და მომავალი ქართული კულტურის და ხელოვნების.

ამ იმედით ვესალმებით ზაქარია ფალიაშვილის იუბილეს.

ვახტანგ გარბია.

მ მ მ ო ბ რ უ ლ ი შ ა რ შ ი

ნაიბი მ. კიპულაძის



იუბილიარი ზაქარია ფალიაშვილი

# დოსტოევსკი

## დოსტოევსკი და ახალი ტრაგედია

ექსპრესიონისტულ დრამაში მოცემული დაპირისპირებანი: კოსმოსი—მიკროკოსმთან, ბუნების—ადამიანის გონებასთან, რეალობის—ირრეალობასთან, ხალხის—პირივნებასთან... და თქმა იმისა, რომ აქ თავდება საზღვარი ერთისა და იწყება მეორე,—არ ეგუება დოსტოევსკის მსოფლიო-ჭედიანს.

ექსპრესიონიზმის ასეთი მსოფლმხედველობა საზრდოობს შოპენჰაუერის პესიმიზმით, ტრანსცენდენტალურ დებულებით: „მსოფლიო—ჩვენი წარმოდგენა“. მაგრამ, რომ ასეთი ზღვარი და დაპირისპირებანი, როგორც, მაგალითად, „მე“ და „არა-მე“ ანუ „ფორმულა სწორი აქ“ და „იქ კი არა“ (კაიზერის „გაზი“-დან), სადაც შეუმცნობი ბუნების კანონების სისასტიკე, ასატანი გამზდარიყო,—ამ პუნქტში ექსპრესიონიზმი დაეუბნო ნიცშეს ტრაგიულ ოპტიმიზმს, სადაც მსოფლიო ტრაგედია გამართლებულია (ადამიანის ბრძოლა, დაცემის სიღამაზით) როგორც ესთეტიური ფენომენი.

წელის გამაგრება ექსპრესიონიზმმა ჰპოვა დოსტოევსკის მისტიციზმთან ზიარებით და ნაწილობრივ ტოლსტოის „ნებისთი რწმენის“ სწავლებასთან.

როგორია დოსტოევსკის მისტიური დისპოზიცია? საკითხის სიძიმე დოსტოევსკისათვის მთლიანად გადაიტანია თვით პიროვნებაზე, რომლის დაპირისპირება, აცალკე გამოყოფილად აებულის, შეუძლებელია სხვა ოფენებთან, მაგალითად: ხალხის—პიროვნებასთან, ეინიდან საზღვრები ადამიანის სულისა, უკანასკნელში არსებულ იდუმალ თვისებათა გამო, ძნელად მისაწვდენია და პიროვნება გადახლართულია სხვებთან... „შეცადეთ გაიმეჯნოთ, გასინჯეთ გამორკვევა—სად თავდება თქვენი პიროვნება და იწყება სხვისა. გამოარკვეეთ ეს მეცნიერებით! მეცნიერება ხელს ჰკიდებს ამას. სოციალიზმი ეუბნება სწორედ მეცნიერებას... აქ ნაფულის-სმევა ავტონომიური და მიუზომობრივ—მექანიკური ტრაქტევა პიროვნების საკითხისა..“

დოსტოევსკის ეგ საკითხი გადაჭრილი აქვს არა მეცნიერულ მეთოდის გზით, არამედ მხატვრული ზეგრანობითი განჭერებით და ამ გზაზე ხისას მიმართავს უზაფერსად რელიგიას: იგი გმობს, რომ სული ქრისტიანობის არ სცნობს შესაძლებელად პიროვნების უარყოფით გაგებას: „მე“ და „არა-მე“ („მე“ ი „მე-მე“ „მე“ ი „მე-მე“) და მოითხოვს, რომ პიროვნება დადებითად გაგებულ იქნას: „მე“ ი „მე-მე“. ამის მიუდენას ჩვენ ნაწილობრივ შევსლებით „შინაგან სიყვარულის მოპოების მეხებებით და მსოფლიო თანაგრძნობიანობით ე. ი. ორდესაც პიროვნების თვითშეგრძნებაში ხელსახები გა-



მაჭუხინი—მეფისტოფელის როლში

დება ერთგარი ტრანსცენსი“—(„повеет дух новыи“ დოსტოევსკი).

პიროვნების და სულის ასეთ მისტიურ გაგებას მკიდროდ დაუკუმზირა ექსპრესიონიზმი. ჩვენთვის ნათელია ამის შემდომ ამ მიმართულებაზე მომზადი გავლენა: სურვილი სულის სიღრმეთა ჩაწვდენით ღმერთის ხილვად—ტრანსცენსამდ მისვლისა სწორედ რომ დოსტოევსკის რომან—ტრაგედისი ანუ მასთან ზიარებულ უახლეს დროის ექსპრესიონისტულ დრამატურგის პოლიუსია. ექსპრესიონისტთა დებულება: მექანიკურ საგანთა (ნივთთა), მოვლენათა განსულოვნება დაძაბულ ჭეგრეტი და ექსტაზით აქედან წარმოსდგება.

როგორია ეს თანამედროვე ანუ დოსტოევსკის ტრადიციის შინაგანი თვისება ამაზე შემდეგში.

ალ. კ.—ლი.

# მ უ ს ი ბ ა

## ა. მოზუხინის გასტროლუმი.

ბორის გოდუნოვი

„ფაუსტი.“

„Крѣдия о настоящей бѣдѣ Московскому государству, о царѣ Борисѣ и Гришке Отрепѣевѣ“. ასეთი სათაური ჰქონდა პირველად პუშკინის ბორის გოდუნოვს. მუსორგსკიმ თავის გენიალურ ნაწარმოებს უწოდა—„ხალხური მუსიკალური დრამა“. თუმცა მასში მეფე ბორისი არის მთავარი მომქმედი პირი, მაინც ამ მუსიკალური დრამის რაობის გამომაბტეელი არის გუნდი—რუსის ხალხი, მისი დრამა არის, მასის დრამა. და აქ გუნდი ისეთი უაზრო კი არ არის, როგორც იტალიურ ოპერებშია ხოლმე, არამედ ის არის ნამდვილი აქტიური მონაწილე, რომელიც იტანავება საუკუნობრივი მეფის თვითნებობის უღელ ქვეშ, რაც ძლიერ ნათლად არის გამოხატული პირველსა და განსაკუთრებით უკანასკნელ სურათში. საშუაბარა რომ ჩვენი ოპერა აკეთებს კუბიურას უკანასკნელი სურათისას, რომელიც ხატავს სახალხო აჯანყებას რითაც ოპერა რამდენიმეთ ჰკარგავს თავის იდეოლოგიურ აზრს. ასეთი არის გენიალური რევილიუციონური კომპოზიტორის ნაწარმოები.

გზლა მარუხინზე. შეუძლებელია ასახო პატარა რეცენზიაში ისეთი მრავალმხრივი ტალანტი, როგორიც არის მარუხინი. დიდი არტისტი, განათლებული მუსიკოსი და მომღერალი—ხელოვანი. რა რიგ გენიალური ინტერპრეტაცია, რა რიგ გენიალური სახე, გამართლებული, ზეაღტყატი სცენიური თამაში. მსოფლიოში შეიძლება დაეასახელოთ მხოლოდ ორი დიდი მსახიობი, რომელთაც არა ჰყავთ ტოლი ესენი არიან შალიაპინი და მოზუხინი. მწელია თქმა თუ რომელმა უფრო განსჭვრიტა როლი, მაგრამ უდაოა რომ მოზუხინის გაგებაში არის ბევრი თავისებურება, რომელიც განირჩევა შალიაპინის ტრაქტიკისაგან. მწუხარე ტონით მიჰყავს მოზუხინს რეიტრატეივის სცენა „Достигъ я высшей власти“ და გალიციანელების სამინგლ სცენაში არტისტი აღწევს დრამატული სიმაღლის უმაღლეს წერტილს. ასეთივე სიძლიერით ვაღმოვცავა მან ფინალის სცენა—სიკვდილი.

მოზუხინის მხურვალე ავაციები გაუმართა არტისტებმა, გუნდმა და მთელმა დარბაზმა.

თუმცა ამ გენიალური არტისტის შემოქმედება არის კოლასალური შრომის რეზულტატი, მაინც ანტიური აფორიზმი: „poetae nascuntur, non fiunt“, იქნებოდა ზედამოჭრილი მოზუხინზე.

ასეთი არტისტი—ხელოვანები მართლაც იბადებიან

ა. მოზუხინის მეფისტოველი, პირველივე გამოსვლისთანვე ფაუსტს გადაუდებს ცხოვრების თასს. ზავი, გრძელი დაკლანილი პლაში ატარებს სიმბოლოს ცხოვრების ხეფულებისას. თვით მეფისტოველი შემპარავია, ის ჩვენ წარმოდგენაში უხილაია, მაგრამ ჩვენი ვანფურელი ოცნების მერაფია, მაგრამ თან დავედვს ეს აჩრდილი, რომელიც თითქოს ხორც შესხმული განავებს ჩვენ ბედს და უბედობას.

ასეთ ორგინალურ ტრაქტიკით წარსდგა დიდი მსახიობი და მომღერალი ა. მოზუხიანი. მომღერალზე, რასაკვირველია უწინარესყოვლისა მის ხმაზე უნდა ილაპარაკო და ამ მხრივ მოზუხინი ისეთ არაჩვეულებრივს არაფერს იძლევა რომელიც მეტად ღირს-შესანიშნავად ხდიდეს. მას აქვს კარგი ბასი-კანტანტო ფართო დიაპაზონით, თავისუფალი მაღალი რეგისტრებით, იცის მუსიკალური სერხები, მაგრამ მის ხმას აკლავს ბევრი ის თვისებები, რომელიც უნდა უსათოოდ ჰქონდეს კარგ ვოკალისტს.

მაგრამ მოზუხინის შემოქმედებაში მეორე მხარე უფრო საინტერესო და საყურადღებო. ეს სცენიური ვადმოცემა, ინტერპრეტაცია როლის. და აქ იგი უსათოდ დიდი მხატვარია, დიდი ხელოვანი.

მოზუხინის ყოველი შტრიხი, მიზანსცენა მოთქმე რებულია და განსახიერებლ სახეებთან ორგანიზულად არის დაკავშირებული. საუცხოვი მიმიკა და სტილისტიური ექსტი-მოზუხინის თამაში ჰზღის მონუმენტალუის ზოგიერთი ადგილები მოზუხინის შალიაპინებურად აქვს გამართული. თუმცა ჩვენ აქ არ ვგულისხმობთ წამბძეს. ეს არ არის წამბძეა. ეს არის გენიალურ არტისტის ხე გაველნა. აი მაგალითად მეორე აქტის ბალიდს მოზუხინი მღერის მაგიდაზე. შალიაპინის მიზან—სცენით, მაგრამ მოზუხინს აქ უსათოდ აქვს თავისი საკუთარი ორგინალური შტრიხები.

მეტად აფიგინალურია და მოხდენილი მესამე აქტის მიზან-სცენები. მარტა შვერლისთან შეხვედრა და შემდეგ სცენა „ყვევილების წყევლა“ დაზორბული ოპერის ტრაფაგეტს. აქ მოზუხინი ჩვეულებრივად კარ დადგება მაღლობ ადგილზე და ხელზე ვაშლილი დიწყებს წყველას როგორც ეს ყველა მომღერლის შაბნოს სწევია, არამედ მოზუხინი ამ ყვევილებს ჰჭერებს და ფინაზხად ძირს უშლის მარტარიტას რომელსაც თან ატანს თავის წყევას და შხამს.

მოზუხინი—მეფისტოველი ეკლესიის კარების წინ.

დღებულ მოძრავე სახეა ისწავლონ მიმიური მოძრაობა მოხუცების სახეზე დრამის მსახიობებმა. ამაზე შორის სახის მუცქეულება ვეღარ წავა. შემდეგ სერენადა. აქ შეიძლება ბევრში არ დაეთანხმო ვოკალური გადმოცემის მხრივ, შეიძლება იგი საესკებისათვის არ იყოს დამაქანაყოფლებელი, მაგრამ სცენიურობა უმაღლეს საფერხზე სდგას.

შალიაპინმა მოახდინა რეფორმა საოპერო დარგში. მატრო სიმღერა არ ემარა. საქირაო ვანცენიურობა. მიუხედავად იმისა, რომ საოპერო ხელოვნება უფრო პირებით მისვლის საქირაობებს ვიდრე დრამატული ხელოვნება. მოხუცები წავიდა შალიაპინის გზით და ეს რეფორმა განამტკიცა და დაეკანონა. უსათოოდ მოხუცების დიდი მიხვედები ჰქონდა პეტროვრადის მუსიკალურ დრამაში. ამ მუსიკალური დრამიდან მას გამოჰყვა ჩამოყალიბებული ჩარჩოები რომლითაც იგი დღეს აუ მოხუცებებით სარგებლობს და მსოფლიოშიც დიდ არტისტის სახელსაც იხვევს.

**„სევილიელი დალაქი“.**

„სევილიელ დალაქში“ ა. მოხუცებისმა დამტკიცებამ მასში სკარბობს უფრო მსახიობი-მხატვარი ვიდრე მომწერალი.

აქვე მოხუცები იძლევა განსაკუთრებით ორგინალურ ტრაქედიკას. მისი დონ-ბაზილიო თითქო გაშარყებულია. ეს უსათოდ ასეა, მოხუცები იძლევა დონ-ბაზილიოს შარეს მაგრამ შარეს მხატვრულს, გენიალურ მტრინებით.

გაწარყება და მხატვრული შარე ერთი და იგივე

არ არის. ვაშარყება როლის-ეს მსახიობის უკულტურობა როლის მხატვრულ შარეში ჩამოყალიბება—ეს გენიალური შემოქმედება და სწორედ ამ სახომით მახუცების დონ—ბაზილიო ბევრნარად საყურადღებოა

კულტურებში მოუხუცებზე ესპანაკობდენდ რომ იგი მეტად ბაძავს შალიაპინს. და არ არის მართალი. ვისაც შალიაპინი უნახავს ამას არ იტყვის. შალიაპინი იძლევა ნამდვილ ტიპს. მის დონ-ბაზილიო მეტად რეალისტური, შეიძლება ითქვას ნატურალისტურიც, მაშინ როდესაც მოხუცების გარეგული აქვს რეალისტური რეალიზა და როგორც ვთქვი იძლევა მხატვრულ შარეს. პირადად მე ამაში მეტ უტირატესობას ვხედავ, რადგან კომედიოში და საერთოდ კომედიურ ოპერაში საჭიროა ხაზის გასმა.

ა. მოხუცების მიზან—სცენები ბევრ ადგილას-მედეგად ჩაითვლება. იგი ჰქმნის ჯანსილ სიცილს. მთელი საათის განმავლობაში მაყურებელთა დარბაზში განუწყვეტელი სიცილია. ისვენებს ნერვები.

მსახიობის ყოველი მიხევა-მოხევა, თეატრალიზა და სახის და ნაკეთების ათამაშება, ფესტიკულიცა ჰქმნის დიდ შთაბეჭდილებებს.

გადაურბებული არ იქნება ესთვით, რომ დემიანენკო თავისი დონ-ბარტოლოთი ღრსკული პარტნიორი იყო მოხუცების. ეს „პატარა მსახიობი“ როგორც მას საერთოდ უწოდებდნენ-დიდებულია ამ როლში.

ჩვეულებრივად ელვარებდა პოპოვის ხმა (როზინა) და კარგი იყო. კასამე (ჯრაუ ალპევიე) მიუხედავად მისი ავადმყოფისა. ალექსანდრისთვის ფიგარო არ არის შესაფერი, მაგრამ მას მინც აქვს კარგი ადგილები. ერთობ წარმოდგენა მელიანი ანსამბლით იყო გამართული.

არამს დიუვალ.

**ბ ი ნ მ**

**„მ რ ი მ ზ მ ლ ი“**

ტფილისის კინო თეატრებში ამ დღებში წავა ცნობილი რეჟისორის გრიფიტის დადგმული სურათი „ორი ობოლი“. ამ ფილმამ მოიარა მთელი მსოფლიო და ყველგან პრესა მას დიდოს ქებით ისტინებს. ჩვენ აქვე მოიყვანათ ამონაწერებს სხვა და სხვა გაზეთებიდან ამ ფილმის შესახებ:

**ნეკ-იორკ-ჰერალდი** — ორი ობოლი არის მორიგი ტრიუმფი შეუღარებელი რეჟისორის გრიფიტისა. არ იყო რომელი უფრო მოიწონო—დადგმა, მომქმედ პირ-თა ტიპების არჩევა თუ ტენიკა. ყველანი საუცხოოვია, აწლოაფერი გზიბლავს. ყველაფერი გიტაცებს თავისი იშვიათი მთლიანობით.

**მატენ**—მთელი საკითხი პირველიდან უქანასკნელ კადრებდ იტაცებს მაყურებელს თანდათან გაძლიერებულ ინტერესით, რომელიც არ ნელდება არც ერთ წუთს.

რაშია საქმე?—რა თქმა უნდა გრიფიტის იშვიათ ტალანტში, რომელმაც შესძლო მსახიობებისათვის გადაცემა თავისი ცუცხლო, შთაბეჭა მასიურ სცენებისათვის ცოცხალი სულო.

**B. Z. Am. Mittag** — ორი ობოლი არის საუკეთესო მიღწევა გრიფიტის ტალანტისა, მთელი რიგი სცენებისა დადგმულია იშვიათი ხელოვნებით. სურათის შექმნაში პარმონიულად არიან შთანხმებულნი რეჟისორი, არტისტები, ოპერატორი და მხატვარი. ამიტომ გამოვიდა თავისი მთლიანობით ასეთი იშვიათი მხატვრული სანახაობა.

ამ სურათზე წერილი იყო მოთავსებული აგრეთვე ჩვენს ადგილობრივ გაზეთში „რამბოჩია პრავდაში“.

— სურათი „ორი ობოლი“ შეიძლება აღიარებულ იქნას ყველაზე უკეთეს ფილმთ რაც ჩვენ მიგვიღია დასავლეთისაგან. „ორი ობოლი“ დადგმულია გრიფიტის

„ ო რ ი ო ბ ო ლ ი“



ღ ო რ ო ბ ე ი ა გ ი შ



ლი ლ ი ა ნ გ ი შ

მიერ და დადგმულია ისე, რომ ამის შემდეგ დიდად მნიშვნელოვანი მიღწევებიც სხვა რეჟისორებისა ვერ ვეგნებათ პატარათ და უმნიშვნელოთ.

დადგმას ეწინევა დიდი მხატვრული გამოწონება, განსაკუთრება და თავისი საკმის ცოდნა... „ორი ობოლი“

ღირსია უდიდესი წარმატების. მისი ბადალი სურათი ჩვენ არ გვინახავს და საეჭვოა რომ მალე ენახათ. გრიფიტე მარტოა; მუშაობს ის ნელა 1-2 წელიწადში უშვებს თითო სურათს, მაგრამ სხვა „მსოფლიო“ რეჟისორების პლეადას არ შეუძლია შეეძაროს მას.

7

# ქმბბპრული ლიბპრბტურა

## „ ვ ი ქ ტ ო რ ი ა“

სადგურში: უკაცრიელობა და სიმატოვე. ირგვლივ ხელგაშლით გატყორცნილი ატრუსული ველები.

შორს, ცის დაყარლ კალთებთან ღრიანკელივით დაგვაღული და ქარებისაგან ახვეტილი სპილენძის კლდეები.

ლარტყვივით გავარდნილი რკინიგზის ლიანდაგი და ფრთადავარდნილი სემფორი.

სადგურის უკან: ყახარმის რუბი შენობა, ჩამოხეტული შემოდგომის რამოდენიმე ალვის ხე და ზედ ჩამოძინძილი ყვავის ბუდეები.

სადგურიდან მთელი დღე ისმოდა ტელეგრაფის აპარატის ხროტინი და მტვერში და „მახუთში“ ნაქვირქვი ყვავები ყაყაბობდენ ალვის ხეებზე.

ჯარისკაცები ავინებდნენ ყვავებს და მოწყენილი ოცნებობდენ შინაურებზე.

ირგვლივ უნუგეშობა, სიმატოვე, უთვისტომობა. ერთად ერთი მილიციონერი ქანდაკებასავე იღებდნენ უმოდროდ სადგურის ბაქანზე და დაღვრემილი, სვე დიანი გასტყეოროდა რკინიგზის ლიანდაგს.

უცვა: მაღალყელიანი ყახანის ჩექმა გენერალ მალიფეს შარვლი და წელზე პარაბელუმი.

ყაზარაში ჯარისკაცები დგებოდენ დილა ადრია-  
ნად, სწებდდენ ცხენებს, მექუნავესაგან გირვანქა შვე  
პურს მიიღებდენ და საოცარ მომჭირნობით სქამდენ,  
რომ ცოტა სადილამდე მიანიც მიპყლოდათ.

მერე თუ საქმე არ იყო, ბალინჯოებიც გატენილ  
გაძელ ტახტზე იწვენ და ფიჭობდენ...  
...იქ... სოფელში: მაქარი, შემწვარი კვებები, სი-  
მინდის დაბინავება არ ფიჭობდენ...

იწვენ პირაღმა და ჰერში გაკრულ ფარატინა ლამ-  
ფებს შესქერობდენ.

შუაღღმდის ისმოდა ზემდეგის დაჭირლ უტილუ-  
რავით ლოიალი:

— უხურგუნაშვილო, შე მამაძალო, რატომ ცხე-  
ნი არ გაგიწმენდა!

უხურგუნაშვილი ფერმკრთალი, ნაციები, თვალბ-  
ანოლაშვებული და წელიწადში მოღუწული ზანჯად მიდიოდა  
ცხენის გასაწმენდად.

— კოჩამანდია, წადი მზარეულს კართოფილი გა-  
უთალე!..

— კვინბაძე, მოდღვეე გამოკვალე!..

— შენ, წყალი მოიტანე!..

— შენ, ყაზარა გამოვაგე!..

და ასე ღრიალობდა იგი მთელი დღე, განკარგუ-  
ლებას იძლეოდა და უწყაწურად იგინებოდა.

სიტყვის შებრუნებას ვერავინ უნდავდა.  
ზემდეგს მეტ სახელად ატლასი ეძახდენ.

ეს სახელედ სტუდენტმა ჯარისკაცმა ელიზო ლიბა-  
ურმა დარქვა.

ჯარისკაცებს რატომღაც მოეწონათ, თუმცა, არც  
ერთ მათგანს არ ესმოდა ვინ იყო ატილა: იქნებ, ტი-  
ლიანს ნიშნავდა!..

ატილა: მაღალი, შავი, გარუჯული, არწივივით  
ცხვირი, გამოხედვა მოქნეული, წყვარამი და თავღებული.

როცა ის ზურგზე „ლუისის, ტყვიამტრეკვევს კე-  
ტივით შეივადებდა და რაყინით, გინებითა და თვალბემის  
კვესით ბრძოლის ცეცხლში შეივრდოდა:— გამწარტულ  
იღრწილ გორილას ჰვავდა.

მთელ ბატარეაში ერთადერთი სტუდენტი იყო: ელი-  
ზო ლიბაური.

დანარჩენები ოფიცრებს ვაჰყენენ ქალაქში და  
ჯარისკაცები მიტოვებული იყვნენ ზემდეგ ატილას აპარა.  
ზანდახან თუ ჩამოვიდოდა რომელიმე ოფიცერი  
წვერეაპარსული, შევადრული, მძიღარი, კმაყოფილ სა-  
ხით, ერთს ჩამოიარდა ყაზარაში, ჯარისკაცებს მიესალ-  
მებოდა, იმ ლამეს სადგურის უფროსის ბინაზე გაათვდა,  
იზუსათებდა ინგლისის დელეგატიანზე, ქართულ ოპერაზე  
და მეორე დღეს ისევ ქალაქისაკენ გასწყვედა.

ელიზო ლიბაური: დაბალი, ფეხსხვილი, წელში  
ოღნავ მოზრდილი, ცისფერი თვალბებზე ჰენსენ, ფართო  
შუბლი და დიდი თავი.

ტანთ რუხი ტილოს ხალათი ეცვა, ფეხზე ტოლა-  
ლები და მუდამ წითელ ბუშლატში გახვეული.

დადიოდა მობოზული, მუდამ მარტო იყო და მზო-

ლოდ ზანდახან ლაპარაკობდა ლიტერატურულ ენით,  
რომელსაც ჯარისკაცები „ღრმა ქართულს“ ეძახდენ.

ჯარისკაცები გრიდებოდენ.

მხოლოდ ატილა არ გრიდებოდა მის „ღრმა ქარ-  
თულს“, ელაპარაკებოდა ხმაშალო, თითქმის შეტევით,  
თუმცა ელდას არ ავიწყებდა.

ელიზო ადგებდა ჯარისკაცებისა და დღებრიტების  
სიებს, საწრავისა და ჯარისკაცებზე ვაცემულ ტანისა-  
მოსის ანგარიშებს, ან-და ვენერით სენით, მაღარიით,  
ან პარტახთან სახალით შეპყრობდა ჯარისკაცებს ავ-  
ზავინდა ტფილისის სამხედრო პოსიტალში.

როცა საქმე არ ჰქონდა, ჩანთიდან, სადაც მწვი-  
რიანი ნაწმის საცვლები და შავარი ჰქონდა შენახული,  
ამოიღებდა „უნივერსალურ ბიბლიოთეკის“ ყვეთელ გა-  
მოცემებს: ოსკარს უალდის „ღორიან გრეის პორტრე-  
ტს“, ან ენტე შამუნის „ვიქტორიას“. კითხულობდა და  
ოცნებობდა ლორდ ჰენრის თვალისმოპყრელ პარადოქ-  
სებზე და ვიქტორიას ქლევინ ნახ სიყვარულზე.

„ღორიან გრეის პორტრეტი“ ცხრაჯერ ჰქონდა  
წაკითხული, „ვიქტორია“ ცამეტჯერ და ყოველ წაკით-  
ხვის შემდეგ წიგნის ბოლოში მიაწერდა:

„წაიკითხე მეცამეტჯერ“.

მერე საიმიდოდ დამალოვდა, რომ ჯარისკაცებს  
მაზოიკის შესახებედა არ მოეპარათ, რომელიმე ჯარის-  
კაცს გააჩრებდა და დაუწყებდა ლაპარაკს პლატონიურ  
სიყვარულზე, ლორდ ჰენრის. პარადოქსებზე და იმანზე  
თუ როგორ უყვარდა მას დედა.

ჯარისკაცი ვაშტრებულო იღვა.

არ იცოდა რა ეპასუხა.

ფიქრობდა: ან მეტად ჰკვიანი იყო, ან დიდი კით-  
ხვისაგან ტენი გათხლებული. ორივე შემთხვევაში წიგ-  
ნის მაგნებლობა აშკარა იყო.

კარგა ხანს უდგებდა უფს ჯარისკაცე და თან  
განზე იტყვიებოდა, რომ როგორმე დრო ეხელთა და  
გაპარულყო.

მერე, როცა ელიზოს ლაპარაკი მოსწყინდებოდა  
„ამ შეუგნებელ ჯიქთან“, ტახტზე გადაწვებოდა და  
ოცნებით სავსე თვალბებს ჰერს მიაპყრობდა.

ვიქტორია: (ისთერე საშომში, გამსკვირვალე, უერ-  
მკრალი, ვიწრო წელი და წყარიალ ხმა).

როცა ახვლებდა არისტოკრატულ გამზდარ თი-  
თებს პირზე ნახად იფარებდა.

— იოჰანესს!.. იოჰანესს!.. — ისმის სასოწარკვეთილ  
ქალის სიყვარულით აღსავსე ხმა უქანსენლაოდ.

— ვიქტორია!.. ვიქტორია!.. — ჩურჩილობს ელიზო  
და მის წინ სადგურის უფროსის ავადყოფი, ცოლი თეო  
იღვა, რომელიც ისე ჰვავდა ვიქტორიას!

თეოზე ოცნებობდა მთელი ყაზარა.  
ის იყო ერთადერთი მზე, რომელიც ჯარისკაცებს  
სულს სუთავებდა.

სადგური მკედარი იყო.

მხოლოდ საღამოთი, როცა მზე ჯერ კიდევ ხელ  
შეშვერილ მივებში არ იყო ჩაყურული, ერთადერთი სან-

გზავრო მატარებელი მოდიოდა და ხუთი წუთით დაირღვე-  
ოდა მულდროება.

ეს იყო დიდი ამბავი ყაზარმაში.

გაცრეცილ, სარკმლებზეაღწეულ ვაგონებიდან, რომ-  
ლებიც საყვარელი ბაღალნივით, ტილებით, ნაგავით,  
პარტახთან სახადით, ყვავილით, ათაშანის სპიროხე-  
ტებით, —იქტივობად თვალზე ამღრუელი მოწყვნილი  
მგზავრები.

როშელიმე ხელმარჯვე ჯარისკაცი საღმე ვაგონში  
იაფფასიან მესხე ქალს გამოწახავდა, გირვან-  
ქანახევარ შაქარში და რამდენიმე აბ სახარინში მოუ-  
რივდებოდა, ვადმოიყვანდა და ამხანაგების ნამალავად  
მინდრებში დადგმულ თივის ზეინებისაკენ გააპარებდა  
და მორავ საღამოს მატარებელამდე ეალერსებოდა, ჰყო-  
ცინდა, ჰკენებდა, სცემდა, ეძახდა ცოლს, დას, დედას და  
ქალი ტირილითა და სინანულით მოუყვებოდა ერთად-  
ერთ ამბავს მთელ მის ცხოვრებაში, მეთათსევე, რო-  
გორ დაჰკარვა ქალწულობა და დღედაღამის განმავლო-  
დაში ისე ეჩვეოდა ნაცდურ ჯარისკაცის სიყვარულსა და  
მოხეტიალ ვენებას, რომ მატარებლისას ოხვრითა და  
კოპწიობით ეთხოვებოდა.

ორთქმავალი დაიკვლებოდა, კვილი იგი ვაფრინ-  
დებოდა სივრცეებში და გამომახილის გამომახილებით  
ჩაკვდებოდა საღლაც...

ორთქმავალი ღონიერად, ოხვრით, კრაკუნით,  
იდაყვებს მოიქნევდა, ადვილიდან ნელა დაიძვროდა და  
მერე ქოშინით გასწევდა ლარტყვივით გაქიმულ ღონიდავზე,  
წაივლიდა და თვალს მიეფარებოდა.

და სადღურზე დარჩებოდა მწუხარება, მოწყვნი და  
სულში კიდე უფრო მტკივნეულად ჩამოწვებოდა სოცელ  
პირივით მძიმე და აბეზარი სველა.

ჯარის კაცები ვასცქეროდნენ ღონიდავს და ოც-  
ნებობდნენ იქ დატოვებულ დედაზე, შვილებზე, საყო-  
ლოებზე და სახლში წერილებს სწერდნენ.

მერე დახეულ ჩემების ქვის იატაკზე ბრახუნით  
დადიოდნენ ყაზარმის უხარმაზარ ოთახებში, ან-და, იდა-  
ყვით ფანჯარაზე დაყრდნობილი, ვასცქეროდნენ შებო-  
დგომის ვატრამულ მწუხარე ველებს.

მით თვლებში არ იყო აზრის ნატამალი, იყო  
მხოლოდ უსახლგრო ნაღველი და განურჩევლობა.

ხანდახან წამოვიდოდა წვიმა აბეზარი, დაჟინებუ-  
ლი, —წვრილი წვიმა, მთელი დღეები იეინჯლებოდა,  
სულში ჩამოწვებოდა ტალახიანი სველი ფეხები და  
იკარგებოდა იმედს, რომ ოდესმე გადაიღებოდა.

სველი მოფუყული ყვავები მოწყვნივით ისხდნენ ჩონ-  
ჩხივით ამართულ ალვის ხეებზე.

დებნა შენგელაია

(დასასრული შემდეგ ნომერში)

პ. ბ. ზენკაიძის

პრეზაპეიჩიკო მვიანე-

(მელორამა 5 მოკ. 8 სურათით. ლერია სიკოტის რომინიდან).

ბექ ფოლი—პროფესიონალური კავშირის მდივანი.

ტომ კიტინგი—მუშა—ათისთავი.

მეგი—მისი ცოლი,

ბაკსტერი—ლითონის იარაღების მწარმოებელთა კავშირის  
თავმჯდომარე.

დრისკოლდ

მერფი

ბოზს

ისააკს

მწარმოებლები.

რუფ არნოლდ—დრისკოლის მდივანი.

კონელი—ლითონზე მომუშავეთა კავშირის ხაზინადარი.

ნელს პეტერსენ

პიტ

დლონსონ

ბარი

მუშები

ბარის—ცოლი

იუდევი—მისი ძმა

დუკი ხენდერსონ

კეფორ ბილ

არკანჯის № 2

ბექ ფოლის დაქირავებული აგენ-  
ტები.

ხიკი—

კიტრი

ემა

მეძევი ქალები.

მსახური ქალი

რესტორანში მოსამსახურე

პოლიციელები

მუშები

მოქმედება წარმოებს ნიუ-იორკში.

პირველი მოქმედება:

სურათი პირველი

(მაღალი კოშკი, რომელსაც აწენებენ. მეტრამეტე  
სართულიდან მოსჩანს ნაწილი ფოლადის თაღისა, რომ-  
ლის ვარშემო ვაკეთებულა ფიცრების მოაჯირები, რომ-  
ლებზედაც მუშები მოძრაობენ. სიღრმიდან მაღლა ააჭო-  
ბოქვებით ფოლადების კოჭები, რომელსაც მუშები აწო-  
ბენ და ამაჯობენ. სიღრმიდანვე მოსჩანს სენის გას-  
წვრივ სახლებისა და ეკლესიების სახურავები. სამუშაოს  
გათაუებამდე ნახევარი საათი არის დარჩენილი. მუშაო-  
ბას უძღვება ტომ კიტინგი 30 წლის ქერა, სასიამოვნო  
სახის. ფარდის ახდისს ბოქს მაღლა ააქვს კოჭი).

ტომ—აიღეთ მარუჯუ! ერთი!  
 მუშები—ერთი!  
 ტომ—ორი!  
 მუშები—ორი!  
 ტომ—სამი!  
 მუშები—სამი!

ტომ - მარჯვნივ (ბოკი წნეხს ვერტიკალურად სვეტებს მარჯვნივ) შეაჩერეთ! მარცხნივ! (სვეტები ეშვებიან თავის ადგილს) დაამაგრეთ! (მუშები ამაგრებენ) მჭედლები, დაიწყეთ! გახსენით ჯაჭვები (ერთი მუშათაგანი, როგორც აკრობატი, ატოცდება სვეტზე, რომელიც ფეხებით ჩერდება და ითავისუფლებს რა ხელებს, ჯაჭვს ხსნის რომელიც ეშვება ძირს, რომ აზიდოს ახალი კოეტი, მუშა თავისუფლად ჩამოხტება ქვა-ფენილზე.) ეი, ბარი!

ბარი - (მიუახლოვდება. დაბალი, ჩასკენილი კაცია.)

ტომ—აიღეთ ქუჩაში დარჩენილი ოთხი სვეტი, სანამ სხვებს დაიწყობდეთ. მე წავალ და დაეხედავ მესალტებებს. (ჩადის ქვევით)

პიტ - (უშნო შესახედავია და ჩასკენილი) ამხანაგებო! დღეს მე ავირჩიე ოთახი, რომელსაც დავიკავებ, როცა ამ სამუშაოს მოვასრულებთ. ის ოთახია ზევით, რომელიც ორივე მხრივ გადაჭურვებს ქუჩებს. მაშინ მე აღარ ვიმუშაებ მგებს, გავიყვებ თვითრ ხელთათმანებს, გადმოვდგები ჩემი ოთახიდან და თქვენ ვადმოვალურთხებთ, როცა თქვენ გაივლით ახლო, ოპ, ეს იქნება სწორედ ნამდვილი ცხოვრება ყმაწვილებო!

ბილლ—ღიხაც რომ კარგად მოეწყობი, როცა დაბინავდები იქ. ჩვენ კი რა უნდა ექნათ, ჩვენ, რომლებიც ეღებულობთ სამ დოლარს და 75 სენტს დღემ და იმასაც ექვს, ან შეიძლება თვენ წელიწადში.

პიტ—სრული სიამართლეა. მე კიდევ შეიძლება ვიცხოვრო სამით და სამოცდა ხუთმეტით, მაგრამ ვერ გამოვივა, როგორ შეძელია ოჯახის პატრონს?!

ბილლ - და ეს ხდება იმიტომაც რომ ბევრი არიან ისეთები, რომლებიც კავშირის წყურებათ არ არიან და სამუშაოს კი მოულობენ. აი თუნდაც ისინი. (ორ მუშისაყენ მიუთითებს.)

ბარი - (მიუახლოვდება) ნუ სწუხდებით! ეს კავშირის მდინის საქმეა. პო, მართალია, ჩვენი უმრავლესობა მძიმე პირობებში ცხოვრობს. ბინის ქირა და სურსათის ფასი დღითი დღე მატულობს. არ იცი, რა უნდა ქნა.

პიტ - როგორ თუ რა? მეტი იზოვი და ხელ გაუშლელათ იცხოვრო.

ბილლ—ვანა შესძლო ამაზე უარესათ ცხოვრება?!

ბარი—ვანა ეს შეიძლება?!

ბილლ—მე მოხერ ვარ სამუშაო ქირის მომატების.

პიტ—მეც არა ვარ წინააღმდეგი.

ხმები—უსათუოდ! მართალია! სამუშაო ქირა უნდა მოგვემატოს.

პიტ— დროა მომატების მიღების ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში მოიჯარადრებება დიდი საქმეები გააცეთეს და ჯიზევიც გაისქელეს.

(გაგრძელება იქნება)

# მუშათა კლასი და ხელოვნება

## ლ ა მ ე

ლამე მოკვდა, დღის შუაზე  
 ამოიჭრა მთის ნიაფი...  
 ლამე მოკვდა, ორწოხებში,  
 ჩაესვენა ნისლი შაფი..

ლამე მოკვდა, სინათლზე  
 სულს ლეფს, ლაფავს ბოროტება  
 ლამე მოკვდა და დღის შუაში  
 მთელ მსოფლიოს ეფინება..

ლამე მოკვდა, მზის სხივებზე  
 იჭედება მშობელთ ბედი;  
 ლამე მოკვდა და დღე პოდის,  
 დღე სიცოცხლის შემოკმედი..

ლამე მოკვდა, დღე იკინის,  
 დღე თამაზობს მზიურ ენებით;  
 ლამე მოკვდა და ჩვენ ერთად,  
 განთიადსა ევგებებით!..

ს.. კუდასპირელი.

### სცენის მუშების იუბილე

გასულ კვირას—რუსთაველის თეატრში გადაუხადეს, ამავე სცენის ექვს მუშას, დაულაღვი შრომის აღსანიშნავი იუბილე.

ეს იუბილე იყო ყოველი ჩუმი მუშაკის - თანატიკოსის დღესასწაული; რომელთაც ხალხი არ იცნობს,

მაგრამ ლამაზად მორთული სცენისთვის კი აუცილებელი საჭირონი არიან. იყო მხურვალე მილოცვები, უფრო ადგილობრივ მეგობრებისაგან. განათლების კომისარიატის და საქ. ხელოვნების მუშაკთა კავშირის სახელით მუშებს სიტყვა უთხრა ს. ქურდიშვილმა, კონსერვატორმა.

რუსთაველის თეატრის სცენის მუშები, რომელთაც იუბილე გადაუხადეს 4 აპრილს



დგანან: გ. ხაშაიუკი, პ. მარიშვილი, ა. გულაშვილი სხედან: მ. სარაჩენკო, ა. სტანიშვილი და ი. გოცინსკი.

ტორიიდან აკ. თვალვამ, რომელმაც მრავალი მოგონება გადაშალა მათთან ერთად მუშაობის დროის, ქართული აკადემიური დასიდან მიესალმათ აკ. ვასაძე. იყვნენ

აგრეთვე წარმომადგენლები სიმბუქ დასის თურქელის და სხვა.

იუბილიარებმა სხვა საჩუქრებთან ერთად მიიღეს გულზე სატარებელი ნიშნები.

### რკ. გზის ორგანიზაციის სახელოვნო კაზუში.

შაბათს 28 მარტს აქ გაიმართა უფასო საღამო ა. კ. რკინის გზის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა - გაზეთ „მუშ“-ის და მხარე საზოგადოების მიერ.

საღამო გასწავლდა ახ. საზოგადოებრივ, რომელმაც მოკლე სიტყვით მიმართა საზოგადოებას და გააცნო საღამოს მიზანი. შემდეგი სიტყვა „გაზეთი მუშა და მისი ამოცანები“, ეძლევა ახ. პაეულ საყვარელიძეს („მუშის“ რედაქტორს), რომელმაც თავის შინაარსიან

მოხსენებაში ნათლათ და მკაფიოთ დაასურათა მიზეზი თუ რამ გამოიწვია აღნიშნულ საზოგადოების დაარსება, მათი მოვალეობა, და გაზეთ „მუშ“-ის ამოცანები.

წარმოდგენილი იყო ერთ მოქმედებანი კომედი „სიბიროსი“ რომანიშვილის ხემალიანლობით.

მთავარ როლს ხელმძღვანელი ასრულებდა, რომლის სცენაზედ გამოჩენამ მქუხარე და დაუცხრომელი ტაში გამოიწვია.

მოხედვად იმისა, რომ მან როლი კარგათ არ იცოდა მაინც დიდის ხელოვნებით ასრულებდა (ანდრა-ბათომიათის მასწავლებელი).

აღსანიშნავია აგრეთვე მოხდენილი შესრულება ს. გოგაშვილისა (ბაბალე), გვაზავა (ნინა) და პავლიაშვილი (ლადო), დანარჩენები პიესის მსვლელობას ხელს უწყობდენ.

წარმოდგენის შემდეგ სალიანდაგო სამსახურის თა. ნამწარმოელთა გუნდმა აშხ. დედანიშვილის ლოტბარობით შესრულა რამოდენიმე ქართული სიმღერები, რომელთა შორის საზოგადოებამ ძალიან მოიხიან „რაზმა-ირვა“ ეტყობა, აშხ. დედანიშვილს, ეს საქმე უყვარს და ხმაყ

ხელს უწყობს. იმერებს აგრეთვე ქართული რომანსები ს. ფხაკაძემ და კაკატო ცვაგარიშვილმა.

შემდეგ გამოვიდნენ რკინის გზის მუშა-მგოსნები და და წაიკითხეს ლექსები.

გრიშა პავლიაშვილმა და აშხ. აფხაზაემ წაიკითხეს სხვა და სხვა სცენები რამაც დაუსრულებელი ტაში და სისხარულე გამოიწვია ხალხში.

უკრავდა სასულე და სიმებიანი ორკესტრი.

საიამო დასრულდა აზიური ცეკვით. საერთოთა სა- ლამო შინაარსიანი იყო.

3. დეკაბე.

## წარმოდგენების საქმე ქ. გორში.

ქ. გორში წარმოდგენები სისტემატიურათ იმართე- ბოდა და იმართება მმდინარე სათეატრო სეზონის გან- მავლობაში. აქ სამი დრამატული წრე თუშაობს: 1) მუ- შათა კლუბთან, 2) რკინის გზის კლუბთან და 3) ლეგიონის.

მთელი სიმძიმე სათეატრო მუშაობისა აწევს მუშათა კლუბთან არსებულ დრამ-წრეს. ერთი იმიტომ, რომ ეს კლუბი თითქმის ქალაქის ცენტრშია და საზოგა- დოება მას უფრო ეტანება, მეორეც სხვა წრეებთან აქა- ური უფრო მლიერია და წარმოდგენებიც ღირებულების მხრივ უფრო სერიოზულია. ამის გამოც აქ წარმოდგენე- ბი სისტემატიურათ იმართება, კერძოში ორი ან ერთი მიხე.

წრე არ ემყაროდებდა გორში მუშაობით და აგ- რეთვე წარმოდგენებს დროგამოშვებით მაზრის სოფლებ- შიაც დგამს.

დრამატულ წრეში შედის დაახლოებით 20 სცენის მოყვარე ქალი და ვაჟი ბევრი მათგანი უსათუოდ არის დაჯილდოვებული სასცენო ნიჭით. დრამ-წრეში განუწყ- ყვეტელ მუშაობას აწარმოებენ და საზოგადოების ყუ- რადღებს იპყრობენ შემდეგი სცენის მოყვარეები ქალები: ა. ოვანოვის ასული, ოლ. ბათიაშვილისა, ვაი. მღებროვის ასული, ან. მაისურაძის და სხვ. ვაჟებში: გრ. ყანელი, ილ. მახარაშვილი, სტ. გრიჭიშვილი; ლევ. მკე- დლიშვილი, შალ. კორინთელი და სხვა.

დრამ-წრის ხელმძღვანელთა მოწვეულია შსახ. დ. აბდუშელი, რომელიც სცენის მოყვარეთა შორის ენერ- გულთა მუშაობის და მათ ვათვითცნობიერების საქმეშიც ბევრი რამ გააკეთა.

მიმდინარე სათეატრო სეზონის განმავლობაში უმ- თაერესათ დღემებოდა ორიგინალური პიესები, მაგალი- თად დაიდგა: „მსხვერპლი“, „სტუმარ-მასპინძლობა“, „ნომერი ოცდაერთი ჯვრით“, „გვევკურობი“, „შეშლი- ლი“ და სხვა.

იმართება მოხსენებები დადგმულ წარმოდგენების ღირებულების შესახებ, იმართება საუბრები სხვა და სხვა სათეატრო საკითხებზე და სხვ.

მიმდინარე სათეატრო სეზონი დაიწყო გ. წ. ნოე- მბრის შუა რიცხვებიდან. თვით მუშათა კლუბი სადაც სცე- ნა არის მოწყობილი მაზრის პროფ-ბიუროს გამგებანშია სეზონის დაწყებამდე პროფ-ბიურომ მას გაუყვია კაბი- ტალური რემონტი და აღმასკომმა დაუბატა სრულიად ახალი დეკორაცია, ისე რომ ამ მხრივ საქმე წრეგანდულ სათეატრო სეზონში ვაკაცლებით უკეთესია ვიდრე ოდენ- სვე. ამას გარდა სეზონსაც ნივთიურათ პროფ-ბიურო უძღვება.

უნდა აღინიშნოს, რომ გორის საზოგადოება თეა- ტრს თანაგრძობით უყურებს წარმოდგენებს ხალხი ყო- ველათვის საკმაოდ ესწრება, ხშირია შემთხვევა, რომ და- რბაზე გაქვდილია, ასე გასინჯეთ ხალხი ვერ დააფრთხო- ჩენში, წრეგანდულმა უჩვეულთა ზამთარმა.

უკვე გახაფხული დადგა და ამით მრავალი ტენიე- რი დაბრკოლებები გადაილახა, ამიტომ საჭიროა სცენის მოყვარეებმა მუშაობა უფრო გააძლიერონ, გამოიჩინონ მაქსიმუმი ენერჯისა და საქმის სიყვარულისა, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას.

სტინკსი.

## ტობანი ქრის სახალხო სახლი

(ქუთაისის მაზრა)

ტობანიერის თემი ქუთაისის მაზრაში ერთ-ერთ კუ- ლტურულ თემთა ითვლება. ხსენებულ თემში, როგორც ახლა კულტურული დაწესებულება, თავის რიგზეა საეატრალური ხელოვნება.

ტობანიერის თემში თეატრს 22 წლის ისტორია აქვს პირველი წარმოდგენა დაიდგა 1903 წელში, ზაფხულზე. წარმოდგენის კომედია „ორი მშვირი“, რომელშიდაც მონაწილეობა მიუღია ბიკნტი ფარცხალაძეს. გორში ახ. ფეტვარიძეს.

1903 წლის ზაფხულიდან ყოველ ზაფხულობით იამრებდა წარმოდგენა-სალამობები. 1918 წლამდე ტომანიერის სცენის მოყვარეთა ჯგუფი დიდ გაკვირებას განიცდიდა უბინაობით, ღია ცის ქვეშ უხდებოდათ წარმოდგენის დადგმა, მაგრამ 1918 წელში სცენის მოყვარეთა ჯგუფის მიერ დაულალავა შრომით ააშენეს სახალხო სახლი. ტომანიერის სახალხო სახლის აშენებაში დიდი ლეაწლი მიუძღვის მოქ. სიმონ სულაბერიძეს, ბიენტი ფარცხალაძეს და აწ განსვენებულ ნიკოლოზ და ვასილ მომფორებს. ტომანიერის სახალხო სახლს ყავს საკუთა-

რი დასი, რომელიც ყოველ კვირაში უშვებს თითო წარმოდგენას, მხოლოდ დროთა მსვლელობაში აუდიტორია ცარიელდება. რაა ამის მიზეზი? მიზეზი არი ხეივანულ-ნელის უყოლობა. ძველი გამოცდილ სცენის მოყვარეების გულ გრილობა. საქაროა ამ კულტურულ საქმეს სერიოზული ყურადღება მიექცეს აღმასრულებელ კომიტეტის მიერ. დაიქარავოს გამოცდილი რეისორი და ძველ სცენის მოყვარეები ჩააბას კულტურულ შემუშავებაში, თორემ მშრომელი გლეხობა მთლად ჩამოცილდება თეატრის ხელკორი: მამფორია.

## სამტრქლია

ხუთშაბათს, მარტის 12-ს რე. ზვის I სკოლის მოწვევით ძაღლებით ამავე სკოლის საბავშო საკრებულოში გაიმართა თეატრალის რეკოლეუციის 8 წლის თავის აღსანიშნავი სარეკოლეუციო-სადღესასწაულო, საბავშო დილა. წარმოდგენილ იქნა ს. ერთაწმინდელის პიესა „ორი კომუნა“. ბავშვები კარგად თამაშობდნენ, მხოლოდ საქარო გრამის უქონლობა და თვით სცენის სიატარავე რამოდენიმეთ ხელს უშლიდა პიესის მსვლელობას.

ხელს აღსანიშნავია თვის ორიგინალურ დივერტიმენტით, რომელიც დაყოფილი იყო სამ ნაწილად: I. „რე-

კოლეუციის მოლოდინში“, II. „რეკოლეუცია“ და III. „ახალი ერა“. თითველ ნაწილში მოთავსებული იყო შესაფერი ლექსები, რომელთა მოხდენილი დალაგება ნათესაყოფდა რეკოლეუციის ისტორიულ განვითარებას და ახალ შემოქმედებით—აღმშენებლობითი ხანას.

საერთოდ ასეთი დილა. ამ სკოლაში პირველი არ არის და დაგერჩენია, ვუსურვით ხელმძღვანელებს მეტი ენერგია ბავშვა სოციალურ აღზრდის საქმეში.

მამავალი.

# ქ რ ღ ნ ი კ ა

### ს ა ქ ა რ თ ი ვ ე ლ ო

ტფილისის სახელმწიფო დრამა. ტფილისის სახელმწიფო დრამამ უკვე დასრულა სეზონი და ამ დღეებში გაიმეზავრება პრაივისციებში საგასტროლოთ. დასი გაჩერდება და გამართავს წარმოდგენებს შემდეგ ადგილებში: ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, სოხუმში, ოზურგეთში, ლანჩხუთში, სამტრქდიაში, ქიათურაში, გორში ხაშურში, თელავში, და ანავაში. თან მიაქვთ დასადგმელათ შემდეგი პიესები: „ლატარა“, „გაიარახის პანაშვილი“, „სინათლე“ „ვინძორის ცელქი ქალები“, ცხერის წყარო. დასს თან მიჰყვება ხელმძღვანელად კოტე მარკანაშვილი.

„ბოგემა“. ოთხშაბათს 15 აპრილს სახ. ოპერაში დაიდგმება პუჩინის ოპერა „ბოგემა“, მირაა ვოლ და ემილია ვაგის მონაწილეობით.

სომხონვის გასტროლები. სახ. ოპერაში მოვლიან სახალხო არტისტის სომხონვის გასტროლებს. მისი მონაწილეობით დაიდგმება: „მეგვნი ოსენიანი“, „ლონგერი“, „რომეო და ჯულიეტა“ და „ღუბროსკიკი“.

„ახალმეფან“. გამოვიდა ახალგაზრდა პროლეტ-მწერლების ყურნალი პროლეტავე.

„ორი ობოლი“. ახლო ხანში ტფილისის კინოთეატრებში წავა სურათი „ორი ობოლი“ დადგმა გრიფიტისა; მონაწილეობენ ლილიან გიშ და დოროტეია გიშ.

„ახალი კავკასიონი“. გამოვიდა და იყიდება სრ. საქ. მწერალთა კავშირის ორგანო, ყურნალი „ახალი კავკასიონი“. ყურნალში მონაწილეობენ: ი. გრიშაშვილი, კ. შააშვილი, ს. აბაშვილი, ი. ვაკელი შ. დადიანი, ნ. ლორთქიფანიძე, ს. შანშიაშვილი, ს. თავაძე, კ. გამასახურდა, ე. რუხაძე, ივ. ყიფიანი, ხარიტონ ვარდოშვილი, ალ. ქუთათელი, გრიგოლ ცეცხლაძე. დავით კლიდაშვილი, გერონტი ქიქოძე, ვ. კოტეტიშვილი, მ. აბრამიშვილი, ს. დგედაბრიანი, ივ. გომართელი, ს. ყაუხჩიშვილი, პროფ. გრ. წერეთელი, პროფ. დ. უზნაძე, პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ ნიკოლაძე, ყურნალში მოთავსებულია აგრეთვე თარგმანები უცხოეთის ლიტერატურიდან და ბილიოგრაფია. ღირს კ. 3 მ. 50 კაპ.

# გამზენაძე

№16



რესპუბლიკის სახალხო არტისტი სომინოვი  
მისი გასტროლედის გამო სს. ოკრაში

საქართველოს სსრ-ის მუსიკალური უნივერსიტეტის მისი

1925

# შინაარსი

საზაფხულო სეზონი	მეთაური
კლასობრივი, ეროვნული და საკაცობრიო მოტივები კულტურაში	ს. ამაღლობელი
დოსტოვესკი და ახალთ ტრადედია	ალ. ქ — ლი
ზ. ფალიაშვილის იუბილე	ნადირ
სომინოვის გასტროლები.	ნ. ე.
კაბელა „დუშკა“	პროფ. ნ. მალკო
ძატტი, ჩაპლინიდა და დე-მილლი	შ. ა — ლი
წითელი თეატრი	ლ.
„ვიეტრია“ (მოთხრობა)	დემნა შენგელაია
პროფკავშირის მდივანი (პიესა).	პ. ზენკევიჩ
მუშათა კლასი და ხელოვნება	
ქრონიკა	

პასუხისმგებელი რედაქტორი ს. ქურიძე.

ხელმძღვანელი — ხარულაქვიძე კ. ლეგია.

გამომცემელი სრ. ხაქ. ხელოვნების მუშაკთა კავშირი.

# სელოვნება

კადავციის მისამართი: რუსთაველის პარკისპირა, მუხათა სასახლე. ოთახი № 54. ტელეფონი 14—03.

№ 16

სრ. საკარბოვალს სელოვნების მუხათა პროლ. კავშირის ყოველკვირეული მკვლელობა

№ 16

## საზავზულო სელონი

სელოვნების ორგანიზაცია ჩვენში მტკიცე საფუძველზე შენდება, ამ მხრივ წინადა არანორმალური მდგომარეობა იყო. მთავარი სახელოვნო კომიტეტის მოღვაწეობა წინადა ტერიტორიალურათ მხოლოდ თბილისის მსაშტაბით შემოიფარგლებოდა, ხოლო ეს ტერიტორიალური ფარგალი იდეურად უფრო ვიწროვდებოდა რამდენად სახელოვნო კომიტეტის მოღვაწეობის ცენტრი აკადემიურ თეატრებს არ სცილდებოდა. სრული უსისტემობა, სრული არეგდარევა რეპერტუარის, მუსიკალური საქმის და პროვინციის თავის ანაბარათ მიტოვება, მუშათა უბნების მივიწყება—აი პრაქტიკული შედეგები იმ ვიწრო სახელოვნო პოლიტიკის რომელსაც აწარმოებდა ძველი სახელოვნო კომიტეტი. 1925 წლის სეზონი შეიძლება ითქვას ახალი ხანა ხელოვნების ორგანიზაციის განვითარებაში. ხელოვნების საქმეთა მთავარი საბჭო (რომელმაც შესცავა ძველი სახელოვნო კომიტეტი) ენერგიულად შეუდგა ხელოვნების ორგანიზაციულად და იდეურად გაჯანსაღების საქმეს. მთავარ საბჭოსთან არსებობს სარეპერტუარო კომისია, რომელიც იმუშავებს რეპერტუარს, როგორც აკადემიური ისე სახალხო და პროვინციის თეატრებისათვის. მაგრამ თავისთავად ცხადია მარტო რეპერტუარი პროვინციის თეატრს ვერ გააჯანსაღებს. კარგი პიესაც ხალხურის ხასიათს მიიღებს თუ მისი დადგმა მოკლებულია კარგარეისორის ხელს და ნიჭიერ არტისტებს. ამ მომენტს მთავ. სახელოვნო საბჭომ ყურადღება მიექცია, რაიც გამოიხატა, იმაში რომ შიშული რიგი არტისტებისა და გამოცდილი რეჟისორებისა გაგზავნილ იქნება მომავალ სეზონისათვის, პროვინციებში. ამ

ზომით მოვლება ბოლო იმ საძაგელ ხალხურას, რაიც ახასიათებს პროვინციების თეატრებს. მუსიკალური საქმეც წინ მიიწევს. ამ ვაზად კონსერვატორიაში მრავალი ბალსეტია. იქ სწავლობენ ისეთებიც, რომელთაც არავითარი კავშირი არ აქვს თანამედროვე ეპოქასთან, და რომელთა გამოყენება სახელმწიფოს არ შეუძლია; ისინი სწავლობენ თავის შესაქცევათ, ამით აინსებენ ის გარემოება, რომ კონსერვატორიაში ზოგი ათი-თორმეტი წლით სხედან და ვერ გასცილებიან პირველ მგორე კურსს. კონსერვატორიის შინაგანი რეორგანიზაცია, რომელიც დიწვება ამ ზაფხულში ამ დღევეტების ძირიანად აღმოფხვრის ხაზზე წარმართება. უმაღლესი მუსიკ. სკოლა გაიწინდდება ბალსეტისაგან, და სამოსწავლო გეგმაც ახალ ნიდავზე დაიწყება. განზრახულია პროვინციებში 1-ლ დაწყებით მუსიკალური სასწავლებლების გახსნა და აგრეთვე თბილისში არსებული მუსიკ. მუშაკების მდგომარეობის ყოველ მხრივი გაუმჯობესება. მუსიკალური კულტურა უნდა დაუახლოვდეს მუშათა და გლეხთა მასებს—ასეთია ლოზუნგი მუსიკ. კულტურის ორგანიზაციის საქმეში. ამავე ხაზზე და პრინციპებზე უნდა წარმართოს სახეით ხელოვნების ორგანიზაცია. განზრახულია აგრეთვე მწერლობის ორგანიზაციის გაჯანსაღება. ამ მიმართულებით მუშაობს სპეციალური კომისია. საერთოთ განზრახულია ხელოვნების ახალი ორგანიზაციის იდეური გაჯანსაღება. ასეთია შინაარსი იმ მუშაობის რომელიც უნდა აწარმოოს მთ. სახელოვნო საბჭომ ამ ზაფხულის პერიოდში.

# კლასობრივი, ეროვნული და საკაცობრიო მოტივები კულტურაში.

## 1. კლას-ბ' ივი მოტივები.

რევოლუციის პროცესში, სადაც იშლება მთელი სასოციალური ძალები და იმართება გიგანტიური შეტაკებანი ძველი და ახალი საზოგადოებრიობის შორის, კულტურის საკითხი განსაკუთრებული სიმღვივით იმისი. ძველი კულტურის დაძლევა და მის ნიადაგზე ახლის აღმართა—უმნიშესი ამოცანა იმ პერიოდის, რომელიც წარმოადგენს ისტორიულ შარა გზას კაპიტალიზმიდან სოციალიზმისკენ.

ასეთ ხანაში ზედმეტი ა' არის კულტურის მოტივებზე ლაპარაკი, რადგან მას ეძლევა არა მარტო განყენებული მსჯელობის ხასიათი, არამედ უარესად პრაქტიკული მნიშვნელობაც საკულტურო მუშაობის წარმოების დროს.

ჩვეულებრივად, ბურჟუაზია საკუთარი კულტურის ზეკლასობრივად ამტკიცებს, რომ კულტურის კლასობრივი ხასიათის მიჩქმალვით თვით გაიხადოს იგი იდეური ბრძოლის ძლიერ იარაღად. მეორე მხრივ ზოგჯერ პროლეტარული მწერლობიდან ნაკლებ ანგარიშს უწყვენ პროფუნდ და საკაცობრიო მომენტებს და მოტივებს კულტურაში.

აიღოთ ესეთიტიური შეფასების მომენტი სხვა და სხვა კლასისათვის. სილამაზის მუცხება სხვა და სხვა კლასს ერთი და იგივე არა აქვს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაც ბურჟუაზიისათვის ლამაზია, ის პროლეტარიატისათვის მახინჯია და პირიქით, არა—ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ კლასობრივი ფსიქოლოგია განსაზღვრულ ესეთიტიურ კრიტერიას ქმნის, რომელიც არ უდრის მეორე კლასის ესეთიტიურ კრიტერიას.

საილუსტრაციოთი 1. ჩერნიშევსკის კლასიკური მაგალითი მოვიყვანოთ. ის შეეხება ქალის სილამაზის შეფასებას სხვა და სხვა კლასის ფსიქოლოგიის მიხედვით. სოფელად გუბეს მოსწონს ძარღვიანი, ჩაცმუნილი, წითელ ლოყებიანი ქალი. „ნახევრად ჰაეროვანი“ ლამაზი ქალი მასზე სტოვებს ცუდ შაბაბუდლებას. სოფლის ლამაზ ქალს—ამაზის ჩერნიშევსკი—არ შეიძლება ჰქონდეს პატარა ხელები და ფეხები, რადგან ის მუშაობს. ხალხური ლექსებში ქალის სალამაზეს არ ხედავენ ამ პატარა ხელებსა და ფეხებში.

უქმათ მეოფ წოდებაში, კლასში თაობიდან თაობით მცირდება ჯანსაღობის და მუშაობის თვისებანი. ფერმკრთალი ხდება, ხელ-ფეხი პატარავდება, რადგან ის მუშაობაში და მოძრაობაში შესაფერათ არ არის. ამიტომ უქმი კლასის ფსიქოლოგია ქალის სილამაზეს ხედავს მის სისუსტეში, ფერმკრთალბაში, ნერვების ფაქიზობაში და სხ.

თუ ეს ხელოვნურად გაუუქმებელი გემოვნებააო—

დასძენს ჩერნიშევსკი—ამსთან, ერთად აღსანიშნავია, რომ განათლებული ადამიანი აფასებს გონებისა და გრძნობის ცხოვრებას, რაც თავის დაღს ასევე სახის გამომეტყველება. ამიტომ, სახის გამომეტყველება, რომელზედაც უმთავრესად თვალის გამომეტყველება აქვს დიდი გავლენა, ხალხურ ლექსებში არაკრთად ფასობს, ხოლო განათლებულ ადამიანს ხშირად მხოლოდ ამიტომ მოსწონს ვინმე, რომ მას აქვს მშვენიერი და მრავალმეტყველი თვალბები.

ეს საფუძვლით სწორი აზრია. პიროვნების შეფასების სახომი თვალბები და სახის გამომეტყველება.

კლასობრივი ფსიქოლოგია გავლენას ახდენს შემოქმედებით ფსიქოლოგიაზე. ე. ი. შემოქმედელი, რაც უნდა გენიალური არ უნდა იყოს იგი, მთლიანად მიიწევს ვერაგეველი იმ სოციალურ უჯრედს, სოციალურ წრეს, რომელსაც ის ეუფუნის. მაშასადამე, ყოველი კულტურა, კლასებათ დაყოფილ საზოგადოებაში, კლასობრივი კულტურაა.

ამ საერთო მოსაზრებებს ასაბუთებს ისტორიული მოცემული ემპირიული მასალა. არისტოკრატის ბატონობა კლასიციზმს ანვიტარებს: კლასიკურ ტრადიციონში მოქმედენი „მათი უმაღლესობა და უდიდებულესობაა“. ასეთ თეატრის სურს ხელოვნური და „ჩაღალი“ შაჰისი, ასეთ თეატრის სარა ბერნარდს ამყავს მითითების, მაგრამ ელონობრა დუზეს ბუნებრიობა მისთვის მიუღებელია. ფეოდალური კულტურის დაცემის ეპოქაში ვითარდება მესჩინური ღრამი. სენეზუდ ხელმწიფეების, მეფეების და თავადების ადვილს იქვანს ჩვეულებრივი ადამიანი, „საშუალო კაცი“.

ბურჟუაზიული კულტურის განვითარება მიდის თავის უმაღლეს წერტილამდე. ის ერთ დროს პროგრესული, ჯანსაღი, იდეალის მქონე და სოციალური საყრდენი ეხლა მოქანცლობას, ნერვიულობას და მოუსვენრობას იჩენს. მას დღეს არ სურს იდეური შინაარსის ნაწარმოები. მას ესეთიტიური დატკობის ნაცვლად, „ესეთიტიური“ ვართობა სწავია. ღრმა განცდა, დიდი აზრი, ფსიქოლოგიური ტეხილები მას აწინებს, იგი მას ვაჟობის კაპიტალიზური კულტურა შედის თავის ვადგვერდების პერიოდში. ამიტომ ის ევლარ იძლევა დიდ ბუზბუაზებს, დიდ შემოქმედებს, დიდ მოაზროვნეთ. დღეს წეროლმეს ხალხი ვამოდის შემოქმედების ასპარეზზე. დღევანდელ ბურჟუაზიას არა ჰყავს გენიალური შემოქმედენი.

ამ პროცესთან ერთად აღსანიშნავია მეორე მიმდინარეობა. კულტურაში თავს იჩენს ახალი ხაზი, ახალი კლასის კულტურა. ღენინი ამბობდა—არის ევლიკრუსული კულტურა პურიშევიკის, გუჩკოვის და სტუკას მგარამ არის ევლიკორუსული კულტურა ჩერნიშევსკისა და პლეჩანოვისი. ჩვენ დაბუტებთ ღენინის, ტროცკის ბუხარინის, ლუნინარსკის და სხ.

ასეთი პარალელურ გაყენა შესაძლებელია ყოველი ერის კულტურაში, რომელიც მსესილია კაპიტალისტური კულტურის სიმწიფის პერიოდში.

ან რეგიათ, საზოგადოების განვითარების სხვა და სხვა საფეხურზე კულტურას ხელმძღვანელობს სხვა და სხვა კლასი. ის აძლევს კულტურულ შემოქმედებას თავის შინაგანს, იგი გამოდის კულტურტივერებათ, ხოლო ისტორიული განვითარების პროცესში ადგილს უთმობს ახალ კლასს. კულტურული პროგრესი იმდენად ცვალებადია, რამდენადც თვით მისი ს დფეველი სოციალური ცხოვრება.

ხელოვანი, შემოქმედელი, როგორი გენიალურიც არ უნდა იყოს იგი, შეიძლება განაზღვრული ისტორიული ეპოქის, ერის, საზოგადოების, სოციალური ჯგუფის. ამ გარეშე სფეროს დიდი გავლენა აქვს მის შემოქმედებაზე, მისი ნაწარმოების შინაარსს და ფორმას.

გენიალური პიროვნების შექმნა თავის ეპოქის კულტურულ-ესთეტიურ განცდათა, მიზნობრილებათა და მიწრაფებათა საუკეთესო გამოსახვა. ამაშია მისი გენიალბაც. გენიალური ხელოვანი ვერ შეცვლის კულტურული და ხელოვნური განვითარების საერთო ფონს, საერთო მიმართულებას და ხასიათს.

ელისაბედის მეფობის დროს აღორძინდა და აყვავდა ინგლისური დრამა. შექსპირი ამ ეპოქის გეგანტია, მაგრამ ის არ არის ამ ეპოქის ლიტერატურის გამსაზღვრელი. შექსპირის გვერდით მუშაობდენ უფრო სუსტი დრამატურგები მარლო, ბენი, დონსონი, უესტერი, ბომონი და სხ. ისინიც სწორდენ შექსპირისებური მანერით, იგივე ბრძოლა, იგივე ტრაგეზიმ და სამწიფი ფსიქოლოგიური კოლოხიები, რითაც ხასიათდება შექსპირის შემოქმედება. შექსპირის გენიალობა კი იმაშია, რომ მან თავისი შემოქმედებით ყველაზე უკეთ გამოხატა ეპოქის ლიტერატურის მიმართულების სახე და მისცა მას საკაცობრიო ღირებულების შინაარსი.

გერმანეთს, რომ ჰეგელი და კანტი, ან ვეტე და შილერი არ შეექნა, მათი კულტურა დიდი ღირებულების არ იქნებოდა, მაგრამ ამით მაინც არ შეიცვლებოდა გერმანული კულტურის საერთო ხასიათი, ისე როგორც რაინფელს და მიქელ-ანჯელოს არ ყოფა და შესცვლიდა იტალიური კულტურის საერთო მიმართულებას, ხოლო წარამედება მას საკუთარი სახის გენიალურ გამომეტყველებას.

მაშასადამე, კულტურის ხასიათს, შინაარსს განსაზღვრავს არა კონკრეტი გენიალური პიროვნება, ან შემოქმედდა სურვილი, არამედ თვით ეპოქის დიზონომია, რომელიც იყვება კლასობრივი ინტერესებით. სულისკვეთებით და შექმენებით.

**2. ეპოვნული მოტივები.**

საერთო სოციალ-ეკონომიური პირობების გარდა, ხელოვნურ ნაწარმოების ხასიათზე გავლენა აქვს უროვნულ მომენტსაც.

ეკ კატეგორიული მსჯელობა მეტად სახიფათოა. ნაციონალური ფსიქოლოგია ჯერ არ არის ზუსტი მეც-

ნიერება. ჯერ მისი სახელოდებაც ყველასაგან არ არის ცნობილი. (ზოგი მას „ინტერფსიქოლოგიას“ უწოდებს, როგორც ტარლ. ზოგი „კოლექტიურ ფსიქოლოგიას“, როგორც კოვალევსკი, ხოლო ზოგი „ახალთა ფსიქოლოგიას“, როგორც ლახაიუსი და შტიენტალი).

ერთი სიტყვით, ნაციონალური ფსიქოლოგია და იმ გავლენის შესწავლა, რომელიც მას აქვს ხელოვნებაზე, მეტად ძნელია. მიუხედავად ისეთ კომპენტენტურ მყენიერთა, როგორც არის ვილიამ უნდერი (აქტორის სხვა ცნობილი შრომათა შორის „ახალთა ფსიქოლოგის პრობლემის“) და ადოლფ ფულერი (ავტორი „საფრანგეთის ხალხის ფსიქოლოგის“) ეს სწავლა ნახევრად პოეტურ მეცნიერულ დისციპლინად უნდა ჩაითვალოს.

ამ სფეროში ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ემპირიული ხასიათის ფაქტების აღნიშვნა. ჩვენ ვერ მივიწინეთ ამ ფაქტთა ძირითად მიზეზათ „რასას“ და „ტემპერამენტს“, რომელიც მოდდა არის შემოსილი ჩვენში მიღოვნების საკითხთა გარჩევის დროს. „რასა“ და „ტემპერამენტი“ თვით ასახნულია, იგი თავის თავად ეგრაფერს ხსნის.

მაგრამ როგორია თვით ემპირიული ფაქტებში არის თუ არა ნაციონალურ კულტურათა შორის სხვაობამ უყვევლათ არის: მიუხედავად საერთაშორისო მამუტაბით მიუღწენათა მიმდინარეობისა, მსოფლიო ნაწილთა მკიდრ ურთიერთობისა და ადამიანთა დაუღვამელი მოსარობისა, ნაციონალური სხვაობა, საკუთფირობა, ნაციონალური ინდივიდუალობა და ნაციონალური კულტურა მაინც არსებობს.

ამხ. ლუნაჩარსკი ამბობს—ნაციონალური საფუძველი, ცხადია დაჩრება დიდხნობით, შეიძლება საშუალომთაყ, მაგრამ ინტერნაციონალიზმში არ მოითხოვს ნაციონალურ მოტივთა მოსპობას საერთო საკაცობრიო სიმფონიაში, იგი მოითხოვს მხოლოდ მის მდიდარ და თავისუფალ ჰარმონიზაციას.

ეს სწორი შეხედულებაა. ნაციონალური კულტურის თავისებურბადა საზოგადოების ორგანიული განვითარების ორმხრივი პროცესის შედეგია. ეს განვითარება ერთი მხრივ მიდის ინტერგალური ხაზით, ზოგადობის, ინტერნაციონალიზმისაკენ, ხოლო მეორე მხრით, იგი მიდის დიფერენციალური ხაზით, ეჭრობითა, ინდივიდუალიზმისაკენ. ეს პროცესი არ არის მარტო ერთფული განვითარების, ან ერთა შორის ურთიერთობის პროცესი. არა. იგი საყოველთაო სოციალოგიური კანონია, რომელიც ყოველ საზოგადოებას ახასიათებს.

კულტურული პიროვნება გაცილებით მეტი ინტერნაციონალური ფიგურაა, ვიდრე რომელიმე კუბის უკულტურა პიროვნება, მაგრამ ამავე დროს იგი გაცილებით მეტი ინდივიდუალიზმის მქონეც არის, ვიდრე იგივე უკულტურა პიროვნება. ეს ორი ხაზი, ხაზი ინტერგალური და დიფერენციალური, ერთმანეთს ავსებს, საზოგადოების განვითარებას შინაარსულთა აზღვრებებს, ეს შინაარსული სიმდიდრე სწანს ყოველ კონკრეტ ინდივიდუალში, როგორც სოციალური ძალების ურთიერთობის ფოქუსში, როგორც სოციალური მილიანობის განუყვევრელი ელემენტში.

ამდენითვე. ნაციონალური კულტურაც არ კარგავს თავისებურებას.

ფრანგული მუსიკა მსუბუქი, ადვილათ ვისაგები, ცინცხალი, მზიარული და მგრძობიერია, ხოლო გერმანული მუსიკა მძიმე, ღრმა, შინაარსიანი, რთულგანზიზღიანი. საფრანგეთი უფრო ოპერეტებს ვეძალვს. ეილრე ოპერებს, სოლო გეოზანეთი უფრო ოპერებს, ეიდრე ოპერეტებს.

საფრანგეთის კლასიკურ დრამაში მოცემულია დიდი გრძობები, მაგრამ მოქმედება ზომიერია, თავდაქერილი და გვემაშფოთილი, ისე როგორც მოქმედება თვით ფრანგის, ინგლისში ასეთივე დრამებში ენებათა გრავალია, ტანჯვის წარღვნა, შეუკავებელი და აწყვეტილი კატასტროფა.

მგზავს მოვლენა მხატვრობაში. როცა რაფაელი იტალიაში, იტალიური სიხალისით, მხიფრებით, მშვენიერებით გაეძლევდა სურათებს, ამავე დროს დიფერენტი გერმანეთში, გერმანული სიღრმეით, სისადაეთ და სიღრმით ხაზავდა თავის შემოქმედებას.

მაშასადამე, საქმე გვაქვს ნაციონალური კულტურის ინდივიდუალიზმსათ. ცსადია, ეს ინდივიდუალიზმ არ არის შედეგი რაიმე მეტაფიზიკური არის, „ნაციონალური სულს“, როგორც ამას ჰეიქოლბად სამართლის მეტყველების ისტორიული სკოლა. არა. ნაციონალური სპირიტუალიზმი არსებობდა მეტაფიზიკური ბუნებისაა.

ნაციონალური ინდივიდუალიზმის შედეგი წასტლის და ანმოს ბუნებრივ—სოციალური სფეროს ზეგავლენის, რომელიც იცვლება საზოგადოების განვითარების პროცესში. აქ გვაქვს მრავალი მოვლენათა ურთიერთ შორის გავლენა და ზემოქმედება.

ფრ. ენგელსი თავის წერილში სწერდა 1894 წ. შტარკემბურს, პოლიტიკური, უფლებრივი, ფილოსოფიური, სარწმუნოებრივი, ხელოვნური და სხ. განვითარება ემყარება ეკონომიურ განვითარებას. მაგრამ ყველა ესენი გავლენას ახდენენ ერთმანეთზე და თვით ეკონომიურ საფუძველზედაც. საქმე სრულიადაც არ არის ისე, თითქოს მხოლოდ ეკონომიური მდგომარეობა იყოს ერთადერთი აქტიური მიზეზი, ხოლო დანარჩენი მხოლოდ პასიური ფაქტორებს წარმოადგენდნენ. სრულიადაც არა. აქ არის ურთიერთ მოქმედება ეკონომიური აუცილებლობის ნიადაგზე, რომელიც ბოლოსა და ბოლოს ყოველთვის აშკარავდება.

მრავალ მოვლენათა ეს ურთიერთობა განსაზღვრავს ნაციონალური კულტურის ინდივიდუალიზმს.

### 3. საკაცობრიო მოცივები.

საერთაშორისო ურთიერთობის გამტკიცება, ნაციონალური ერთეულთა შორის მჭიდრო კავშირის შექმნა, მატერიალურ და სულიერ კულტურის მონაპოვრათა გაცვლა-გამოცვლა ჰქმნის ნაციონალურ კულტურათა პარმონიზაციას. ყალიბდება ინტერნაციონალური ტიპი, ინტერნაციონალური შინაარსი და ფორმა, ინტერნაციონალი,

ზოგად—კაცობრიული ნაწარმოები. განვითარება მისდის ამ პროცესის გაღრმავებისაკენ.

მაშასადამე, კულტურული განვითარების პროცესი თავისი მთავალი მხევე შეიძლება წარმოედგინოთ თან და თან გაფართოებულნი გზით მიმავალ პროცესათ. იგი იწყება ეიწრო უთხური ელფერთ და მიეწვრება ინტერნაციონალური კულტურის შექმნისაკენ. შინაარსის მიხედვით ყოველი კულტურა აღმოცენდება განსაზღვრულ სოციალ-ეკონომიური ყოფის ნიადაგზე. აქედან წარმოშობილ საზოგადოებრივი ჯგუფისა და კლასის შექმნების საფუძველზე. განსაზღვრული ეპოქა განსაზღვრული კლასის ჰეგემონობით ხასიათდება. ამ ეპოქის კულტურაც გაბატონებული კლასის კულტურაა, მისი სტუისყვევების, ზრახვის, მისწრაფების, სოციალური საქირობების მატარებელია და გამომსახველი.

თუ კაბიტალისტურ საზოგადოებაში ერების ურთიერთობა მტკიცეა და მკვიდრ-ფეოდალურ საზოგადოებასთან შედარებით—იგი მინც სუსტია სოციალისტურ საზოგადოებაში ხალხთა მოსალოდნელ მჭედრო ურთიერთობის საზომით. წარმდენადაც სოციალისტური წყობილება შექმნის ადამიანთა საზოგადოების მჭედრო პარმონიულ კავშირს, იმდენით გაღრმავდება, ერთი მხრივ, სხედასხვა ხასის კულტურული მუშაობის ურთი-ერთზე გავლენა, ხოლო მეორე მხრივ, სხედასხვა ხალხთა კულტურის ურთი-ერთ მოქმედება.

ეროვნულ კულტურაში რაც უმთავრესი, უმაღლესი, ფსევული და შესანიშნავია, ის ამავე დროს ზოგად ადამიანური. საერთო საკაცობრიო ღირებულების მატარებელია. ასეთი ღირებულება დღეს იშვიათია იმდენით, რამდენათაც კლასობრივ საზოგადოებაში ზოგად ადამიანური და ზოგად საკაცობრიო ღირებულება იშვიათობას წარმოადგენს. რამდენათაც საზოგადოების კლასობრივი დანაწილება თავის დასასრულსაკენ გეგმავთება, იმდენით გამარეღდება ზოგად ადამიანური ღირებულება და იმდენათვე ინტერნაციონალური იქნება კულტურულ განვითარების პროცესი.

დღეს ბუნებრივი დაბრკოლებანი ქვეყნებს არა თუ აცილებს, არამედ აერთებს. მაგ. მდინარეები, რომლებიც წინით ხალხთა დაშორების საშუალება იყო, დღეს ხალხთა დაახლოების გზაა, მივები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ხალხთა ურთიერთობას, დღეს გაახილია გეგარაბებით და დაძლეული საპავრო მიმოსვლით. ზღეები და ოკეანე, რომლებიც ძველთი გეგული იყო ადამიანისათვის დღეს ყველაზე იაფი, იოლი და ადვილი ბუნებრივი გზა უმძიმეს ტვირთთა და უამრავ მგზავრთა გადასაცემათ.

კაცობრიობის მატერიალურ-ტექნიკური პროგრესი აკავშირებს მსოფლიოს ყოველ ნაწილს და ჰქმნის პარმონიზების ინტერნაციონალური კულტურის ჩამოყალიბებისათვის. ამ კულტურაში ახს. ა. ლუნაჩარსკის თქმით—მოსდება—ნაციონალური სიმფონიათა თავისუფალი პარმონიზაცია.

### ს. ამაღლობელი.

# დ ი ს კ უ ს ი ა

## დოსტოევისკი და ახალი ტრადიცია

II

დოსტოევისკის რომან-ტრადიციის შინაგანი თვისება რომ წარმოდგენილი იქნას საჭიროა მოკლედ მაინც შევეხედო ერთ-ერთ მის ნაწარმოებს. ავიღოთ „ძმები კარამაზოევი“.

სხვათა შორის საინტერესოა, რომ სიუჟეტების ძიება, ვიდრე დღევანდლამდე, ვერ გადაშორდა ანტიუ-

სიათისას უნდა ატარებდეს მისი ფაბრიკაცია—შვილები და რას უნდა ელოდეს მათგან: ისინი იქნებიან *Сладострастники*—ები, „*дущерыды*“—ები და სხვა. ასეთი ადამიანები შესაფერ დროს არ დაზოგავენ სიკვდილისაგან მამასაც კი: თითქმის ავს წინასწარ ჰკრძობს ცინიზმი სასვე მამა თეოდორე; იგი სრულადაც არ არის დანტერტრესებელი ბავშვა აღზრდაში და არც კი იცის თუ ვინ სად და როგორ იზრდება მსახურის ბინაზე..

ლაიოსის შვილაც (შობელთაგან განწირულს) ზრდის სხვაგან ვარყვე პირი..

სოფელს იგი წარმოდგენილი აქვს, როგორ სრულადაც ჯანსაღი ვეჟაკი სულით და ხორცილით, მაგრამ ცუდა-საშინელი შემთხვევა იმის გამო, რომ ოედიპოსის ცხოვრებას უკანასკნელის ცოდნისა და ნებისაგან დაპოუკიდებლევ განაგებს ავი ბედისწერა; მას ჩაღვნილი აქვს **შეგნებლად**: მამის მკვლელობა, დედასთან დაქორწინება, მშობელ დედისაგან შვილების ყოლა.

ის რაც შეუძლებელი იყო ანტიურ ადამიანის ცნობიერებისათვის შესაძლო გახდა ევროპისათვის.. საბერძნენის თეატრში გასაქალი არ ექნებოდა ისეთი გმირის ცხოვრების და მოქმედების მოსმენას, რომლის „სული და ხორცი შექმნილა ხოლმე ყოლიდა“ მაგალითად, ჰომეროსის ოედიპოსი დედასთან და უკანასკნელი პირველთან **შეგნებულს** კავშირშია და აქედან გამოწვეულია გზნება სულის უჩვეულო და საკვირველი. ისენის ოსვადი აირებებს კავშირს საკუთარს დასთან (მამის შრივი) და სხვა.. დოსტოევისკი ასე შორს არ მიდის, ხოლო ეს ანორმალური და ამავე დროს შეგნებული კავშირი (ეთი ლაიოსის და შვილის ცხოვრებაში შეუგნებლად არსებულ: პირველის ცოდნა და მეორეს დედასთან) მაინც არსებობს; მამასაც და შვილსაც თეოდორეს და დიმიტრის აქეთ კავშირი ერთსა და იმავე ქალთან—გრემენკასთან, თითქმის უჩვეულო არსებასთან, მაგრამ შესაძლოა სრულიად ჩვეულებრივთან, ქალების ერთ-ერთი კათეგორიდან. დამნაშავე აქ გრემენკაზე უფრო მამის და შვილების *ფსიქიკა*—*Психика* *Модерн*, მამას და შვილსაც გაკავებთ უყვართ (თავისებურად) და აქეთ კავშირი ერთსა და იმავე ქალთან და ეს იციან მათ.. ეს გარემოება არის მათ შორის მომხდარ ტრადიციის მთავარი მიზეზი.

თქმულიდან შესაძლებელია გათვალისწინება—თუ როგორ შეიცვალა წარმოდგენა ბედისწერაზე დოსტოევისკის რომან-ტრადიციადში. ბედისწერა და საშინელება უკვე მზა განზრახვით, დემონებისაგან კი არ ეწვევა ხოლმე აუკიანას, არამედ თვით ადამიანის ავადმყოფი



კონსერვატორიის პროფესორი რიალნიკი (მისი კონცერტის გამო ოპრის თეატრში 24 აპრილი)

რობას: ორესთოეისი აღორძინდა ჰამლეტმა; ოედიპოს— ოსვადში (ისენის: „ანრიღებინა“); მედეას სიუჟეტი ჩანს ვისპანსკის „კლატეა“-ში და ასე დაუსრულებლივ.. აქაც, ჩემის შეხედვით, დოსტოევისკი მიერ გადაშლილი ტრადიცია კარამაზოვის ოჯახისა, არის ლაიოსის ოჯახის ტრავიული ისტორიის გამოძახილი მე ავღნიშნავ შემდეგ ანალოგიებს: მამა თეოდორე—ლაიოსი; შვილი ოედიპოს—დიმიტრი; ოკაუელი, ანუ მეთაობა და დეფოსში და წინასწარმეტყველებით მიმდინარე უბედურება—მემკვიდრეობითი კანონის მიერ შეიზღუდი სულის კომპარტია და ავხორცობა.

ორკავილის გარეშეც შეეძლო დარწმუნება თეოდორეს, წინააღმდეგ ლაიოსისა. თუ რა კომპლექსს ხე-

ფსიხია (სულიერი). შინაგანი მეობის რაობა) ჰქმნის და უშუაღდეს ნიადაგ მათ არსებობას. ზემო მოყვანილ შემ-  
თხვევისათვის. ასეთ ფსიხიკის გამომსახველია სახელწო-  
დება; „Кармавазощина, кармавазашкий медный лод“,  
იგი შექმნილია მუზინდელ ოჯახურ, სოციალ-ეკონომიურ  
და პოლიტიკურ ვითარების ზეგავლენით, რომელიც მემ-  
კიდრეობითი კანონის გზით აღორევინდა უარყოფითი  
ტიპების წარმოშედებას. სოციალისტურის ხანაში უნდა  
მოხდეს მათი ლიკვიდაცია და ნაცვლად ამისა წარმოი-  
შეგება ჯანსაღი ტიპი, რომელიც შეიმცნობს ბუნებას,  
ადაშიანს—შეიყვარებს მას და აღიქურვება ბრძოლისა და  
შრომის უნარით, მინდობით ნათელ გონებას და არა  
კრუმორწმუნეობით რელიგიით და მეტაფიზიკით დაბ-  
ნელეულ გონების ქარნას.

დოსტოევსკის მიერ შექმნილ ტიპების ტრაგიკულ-  
ბა მომდინარეობს ხშირად შერყეულ რწმენისაგან: „Be-  
рью господи“; და აქვე — „Помоги моему неверию“.  
ისინი არიან ამორალური ტიპები და სიცივესთან ახლოს  
მდგომნი: „Одержимые“. ავტორს აულია ისინი ცხოვ-  
რებიდან შესანიშნავ გათვალისწინებით და ტიპიურად  
შერჩეულნი; ბედისწერა დოსტოევსკის ტრალედიასში გზა  
და გზა, განვითარების გასწვრივ და არა იფუფისან  
ფეექტებით (გახეზას აუკუაქებთა და სხვა) არამედ  
თანდათან, თითქოს არაფრით შესასწნვე, ურავლეს სი-  
ნამდვილეში ამოტიტვიტდება ხოლმე მთელის თავის კო-  
ლოსალურ საშინლებით ადამიანთა შორის.

ა. ჯ—ლი.

## სოკრორაცია „დურუჯს“

ყვარლის ახალგაზრდა დრამატული საზოგადოება  
მოგვსალმებთ პატივისცემით ხელოვნების დიდ ბურჯს  
კოტე მარჯანიშვილს და კობორაცია „დურუჯს“. ვისურ-  
ვებთ მუდამ გამარჯვებას როგორც დღემდის. რამდენი-  
მე წელიწადია გვესმის ზღაპრული თქმულებანი დიდე-  
ბულ რეისორზე, გვესმის რომ ქართულმა სცენამ მიად-  
წია აყვავების უკიდურეს წერტილამდე. მაგრამ ჩვენთვის  
კი ყველა ეს ოცნებათ არის ვადაქცეული, თვალში გვა-  
წყდება დიდი ხელოვნისაკენ, მაგრამ დღესათ არსად  
სანან. უფირდასესო დიდო ხელოვანი! საკირთო მოგავო-  
ნით თქვენ ბავშვობის ტყილი აკვანი—ყვარელი და  
ცეკლე ვიტი „დურუჯი“, რომელსაც მხოლოდ თქვენ  
შორიდან ვალერსებთ. მოგავონებთ ყვარლის პატარა  
თეატრს და მოვიტხოვთ სიყვარულს, მცირე თანავარძო-  
ბას და ყურადღებას. ვაცხადებთ ყვარლის სცენის შე-  
ფად კობორაცია „დურუჯს“ კოტე მარჯანიშვილის მე-

თაურობით და ვთხოვთ ინახულრთ ყვარელი და გავე-  
ცნოთ თქვენს ხელოვნებას.

ნინო მთიაცვილი  
ილი ზაუტაშვილი  
ა. სამუცაშვილი  
ანტონ მეტრეველი  
ს. წვერიკიაზაშვილი

### კობორაცია „დურუჯის“ დადგენილება

კობორაციაში ერთხალ დაადგინა მიილოს შემოგა-  
ყვარელის სახალაო სახლასა და აღუქვა ყოველგვარი  
დახმარება როგორც სცენის მიწეუზის საქმეში ისე წრის  
დიეურ ხელმძღვანელობაში.

კობორაცია დურუჯის მორიგი  
მამასახლისი ალ. ახმეტელი

18 აპრილი 1925 წ.

## მ უ ს ი კ ბ

### ზ. ფალიაშვილის იუზილე.

12 აპრილს სახელმწიფო ოპერაში გამიბრთა კომ-  
პოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის 30 წ. მუსიკალური  
მოღვაწეობის აღსანიშნავი ობილი.

დადგული იქმნა იუზილიარის ოპერებიდან „აბე-  
სალამი და ეთერი“—4 ე და 5-ე აქტი, „დაისი“ 1-ლი  
აქტი. მონაწილეობდენ: პოპოვა, მრავალი, მოვოლეპოვა,  
გაბაშვიძე, თუმანიშვილი-მასახაძისა, ვენანე, კუმსიაშვილი,  
ქარცივაძე, ისეცკი.

საქტაკლის შემდეგ გამიბრთა ზემი. სცენა მორ-  
თული იყო მ. ჭიაურელის მიერ გამოქანდაკებული იუ-  
ბილიარის ბუსტით, რომელიც ნამდუღული იყო ყვავი-

ლებში. სცენაზე იყვნენ—საიუბილეო კომიტეტი მთელი  
შემადგენლობით, ოპერის და დრამის მსახიობები და  
მრავალი მიმლოცველები. იუბილიარი გამოიყვანეს ზეი-  
მით, რომელსაც საზოგადოებამ მქესარე აპლოდისმენ-  
ტებით შეგებო.

შთავარი სახელოვნო საბჭოს თავმჯდომარემ ი. გე-  
დეიანიშვილმა აუწყა, რომ იუბილარი დაჯილდოებუ-  
ლია მთავრობის მიერ სახალხო არტისტის სახელით. და  
ამას გარდა ამიერ-კავკასიისა და საქართველოს სახალხო  
კომისართა საბჭოებმა გადადესეს იუბილიარისათვის  
ხუთას-ხუთასი მანეთი.

შემდეგ სხვა და სხვა დაწესებებულებების სახელით  
იუბილიარს მიულოცეს და სიტყვებით მიმართეს: დეით

კლიდაშვილმა, კოტე მარჯანიშვილმა, ამჟამად ტფილისში საგასტროლოთ ჩამოსულმა სახალხო არტისტმა სობინოვმა; ბელოვინების მუშაყთა კაცშირის თავმჯდომარემ. ს. ქვირიძემ, ევლახიშვილმა, პროფ. შ. ნუკუბიძემ, ტიციან ტაბიძემ, მელიტონ ბალანჩივაძემ, აკაკი ფალავამ, ა. ჭუმბაძემ, ა. ვასაძემ, სომხეთის და აზერბაიჯანის ხელოვნათა წარმომადგენლებმა და მრავალმა სხვებმა.

წყაითულ იქნა აგრეთვე მისკოიდიან მიღებული ცნობა, რომ უახლოეს სამ რადიო-კონცერტის პროგრამაში შევლენ ზ. ფალაშვილის ნაწარმოებები.

მილოცვების შემდეგ თუბილიარმა სთქვა მოკლე საპასუხო სიტყვა, რომელსაც დასძინა, რომ მან ლაპარაკი არ იცის და თავის მაგიერ პასუხს ანდობს მსახიობებს პოპოვას, ვალჩანეცკაიას, შრავალს და კუმსიაშვილს რომლებმაც შეასრულეს ზ. ფალაშვილის ახალი ეოკალური ნაწარმოებები.

ზეიმი დასრულდა ღამის სამის ნახ. საათზე.

ნადირ

## ლ. სობინოვის გასტროლები

„ევგენი ონგენი“

14 აპრილს სახ. ოპერის თეატრში დაიწყო სახალხო მსახიობის ლ. სობინოვის გასტროლები; დაიდგა „ევგენი ონგენი“.

სობინოვის სახელთან შეერთებულია განსაზღვრული ბრწყინვალე ეპოქა რუსეთის საოპერო თეატრისა და ეოკალური მუსიკის. სობინოვის იცნობს ტფილისის საზოგადოებაც, ის ბევრჯერ დამტკბარა სობინოვის მომზადლებული ხმით.

ლენსკის პარტია ერთი საუკეთესო პარტიაა სობინოვის რეპერტუაში. მან ამ საღამოსაც წინანდებურათ მოგვცა ლენსკის სახე, მისი მუსიკალური ნატურისათვის ჩვეულებრივი კეთილშობილებით, სიწრფელით, უბრალოთ, იშვიათი დიქციით და ფრაზიობით. მომღერალმა სცენა მეოთხე სურათში ჩაატარა დიდის ექსპრესიით. დუელის სცენაში მან პირდაპირ მოხიბლა საზოგადოება.

სახელმწიფო საოპერო თეატრის სახელით სობინოვს მიესალმა ს. ევლახიშვილი.

თავიდანვე დიდ ინტერესს იწვევდა ახალგაზრდა მსახიობის ვენამის გამოხელა (პირველად) ონგენის პარტიაში და უნდა აღინიშნოს, რომ მომღერალს წილად ზედა ბრწყინვალე გამარჯვება. მან ყოველი მხრით საუკუხოით ჩაატარა სცენა ტატიანასთან მესამე სურათში და მეექვსე სურათი, მღეროდა თავისუფლად და გამოცდილი მსახიობის დაჯერებით. საზოგადოებამ ვენამე მზურვალე და დაუსრულებელი აპლოდისმენტებით დააჯილდოვა.

ფრანკ ტრიეს პარტია შესრულა ლადო კავსაძემ. მან ეს როლი პირდაპირ გააცოცხლა, თავისი საუკუხო თამაშით და მოხდენილი გრძობით. დანარჩენ როლებში ძველი შემსრულებლები იყვნენ.

ბ. ე.

## ეოკალური მუსიკა წარმოშობილია ნამდვილად ხალხურ მუსიკიდან.

ეოკალური მუსიკა წარმოშობილია ნამდვილად ხალხურ მუსიკიდან. კოლექტიურ ეოკალურ მუსიკის განვითარება პროლეტარულ რესპუბლიკაში უნდა შეადგენდეს მთავარ ამოცანას.

ეს აქსიომაა, მაგრამ ჩვენ მინც კარგი გუნდები არა გვყავს. უბრალო გართობიდან და პროფესიონალურ მხატვრულ ეოკალურ შემოქმედებადმის მანძილი მეტად დიდია. წინანდელსავეთ ეს გზა ცარიელია.

მიზეზი ბევრია: მე აღენიშნავ მხოლოდ ორს; ერთა კარგი მასწავლებლები - რეჟენტები, აქ დიდი მნიშვნე-



ბ. გოროდოვენკო

უკრაინის კაპელა „ლუმენს“ ხელმძღვანელი.

ლობა აქვს სპეციალურ მუსიკალურ სკოლებს და რაც უფრო აღსანიშნავია ეს ის არის, რომ ყველა გუნდებს საეკლესიო სიმღერის ელფერი სდევს, რომელმაც როგორც უკრაინაში ისე რუსეთში თავისებური სტალი იპოვა და რომელიც სასტიკად განსხვავდება ხალხურ სიმღერებიდან და დასავლეთის კულტურის მიხვევებიდან. აი რატომ გამაყვირვა მე კაპელა „ლუმენს“-მ როდესაც იგი პირველად მოვისმინე კიევიში ამ ერთი წლის წინად. მშვენიერი შემადგენლობა ხმების, საუკუხო

სწორწინაობა და ელასტიურობა თვით გუნდის ხშირე-  
ბაში, სახე მოძრაობით და დინამიურ ნიუანსებით (ტემ-  
პით და მოდიფიკაციით), დიდი ფორტე და საიდუმლო-  
ებით მოცული პიანისიმიო. ანსოლუტური მხატვრული  
დისკოპლინა, ერთსულოვნობა მთელი კოლექტივის, დი-  
დი რეპერტუარი (დაახლოებით 250 პიესა) ყოველივე  
ეს წარმოადგენს არაჩვეულებრივს და ახალს.

მე თვით მოვიხილა მუშაობა ამ დარგში, მაგრამ აქ,  
უკრაინაში სულ სხვა რამ გაეცთებულა. წინანდელი კა-  
პელეები კიდევ ატარებენ საყვასიო სიმღერების სულს,  
მაშინ როდესაც უკრაინის მხატვრულ ორგანიზაციის  
გუნდი—ჰქმნის საკვირველებას.

კაპელა „დუმკა“-ს ხელმძღვანელს ნესტორე-გო-  
როდენკოს დიდი მუშაობა და ღვაწლი მიუძღვის ამ  
კოლექტივის შექმნაში.

კაპელა „დუმკა“-ს ერთ რეპერტივაზე ბერლინის  
ღირთიერი ოსკარ ფრიდი გაკვირვებით ამბობდა: „რა-  
ტომ არის, რომ აქ არის რიტმი და იქ კი (ე. ი. ოპერ-  
ის ორკესტრში) იგი არ არის“. — ფრიდი დიდი აზრი-  
სა იყო ამ კაპელაზე.

ასეთივე შთაბეჭდილება გამოიტანეს მოსკოვის  
სტუმრებმა პროფ. აივარსკიმ და პროტოპოპოვმა. უკა-  
ნასქნელ წლებში განწავლობაში „დუმკა“-ს რეპერტუარი  
უფრო გაფართოვდა და მის პროგრამებში შევიდა ვაჯ-  
ნერის, ბეთოვენის, შუბანის და დევიუსის ნაწარმოებები.

კაპელა „დუმკა“, უსათუოდ არის დიდი კულტურ-  
ული მოღვაწე ამ დარგში და უკრაინული კულტურის  
თვის მით უმეტესათა და ეს ყველას უნდა ახსოვდეს ვის  
თვისაც კი ძვირფასია ეს კულტურა.

პროფესორი ნიკოლს მალკო

## მოსკოვის თეატრები.

„მე ვიყავი მოსკოვში, უპირველესად თვალში მეც-  
ის ფაქტი, რომ მოსკოვი მუშების წითელი ქალაქია“ —  
ეს სიტყვები იყო თქმული ლონდონში ერთი ინგლისე-  
ლის მიერ, რომელიც სტუმრად იყო ჩამოსული მოსკოვში.  
ეს სატყუები მჭიდროთ არის დაკავშირებული სინამ-  
ღვილესთან. თანამდროულ წერტილს, მომარე წითელ  
მოსკოვში ახალ სიცოცხლს პირობებს ქმნის ის ადამა-  
ნი, რომელსაც ისტორიამ ხელთ მისცა ჩაქუჩი და ნაშავლი.  
განსაკუთრებული ენერგიით მიმდინარეობს აღმშე-  
ნებლობის მუშაკემირებული პროცესი კულტურულ ფრო-  
ნტზე...

სცენიური ხელოვნების სფეროში დიდ მიღწევებს  
აქვს ავადი.

მე ვინახულე მოსკოვის ყველა თეატრები: დრამის,  
ოპერის, ბალეტის, კომედიის, სატირის და გავცეანი,  
როგორც ძველი, ისე ბაბლი რეისორების მუშაობის ში-  
ნარის და ხასიათს.

### I

#### სამხატვრო თეატრი

დიდი ხანი დაპყრო სამხატვრო თეატრის დასმა სსსრ-  
ღვარ-ვარკით. უკანასკნელად მუშაობდა ამერიკაში.

მხოლოდ მოსკოვის და სამხატვრო თეატრის არ მო-  
შორებია მთავარ ძალებიდან ელადიმერ ნემიროვიჩი-დან.  
ჩენკო და ლუსკი. პირველი მთავანი ნემიროვიჩი რე-  
ჟისორ კოტლუბი და ბარათოთან ერთად აწავადებდა  
ლიპსკერვის ახალი ორიგინალური ტექსტით ანბეს  
„კარმენს“, რომელიც სრულიად ახალ ხაზებში, ახალს,  
„ორიგინალური სახით მოკვლია ცენენაზე მსახიობმა ქალმა  
ბაკლანოვამ, რომელმაც მოსკოვის თეატრალურ სინამ-  
ღვილეში უკვე დაამკვიდრა მისდამი პატივისცემა და  
სიყვარული.

მეორე კი ლუსკი ჩვეულებრივი სინდჯით აშე-  
ნებდა ოფენბახის მელიოდრამა—მუფუს „პერიოლას“.  
სამხატვრო თეატრის ძველი დასის ყოფილ საზღარ-  
გარეთ უმჯეველად საგრძნობი ტკივილი იყო თეატრალურ-  
ი მოსკოვის სხეულისათვის ასეთივე ტკივილს განც-  
დიდენ ალბათ თვით მსახიობებიც.

მოსკოვში იყო ისეთი მითქმა-მოთქმა, რომ არტის-  
ტებმა ამერიკიდან ჩამოიტანეს დოლოარები ათასობით,  
მაგრამ მაინც დოლოარებმა ვერ შეისყიდეს მათი სიყვა-  
რული მშობლიური ხელოვნებისადმი. ამ მხრივ როგორც  
პრესა, ისე თეატრალური საზოგადოება დიდი პატივით  
და სიყვარულით იხსენიებს დას...

პარალელურად კი შლაიპანის ზიზლით ივიანებენ...  
ე. ჩერნოზორიკი ასე ამთავრებს თავის საპროტეს-  
ტი წერილს სათაურით: „ПРОСИСТВЫИ УИИИ“: „მარ-  
თალია, შლაიპანის მშენებრი ხმა აქვს, ის განსაკუთრე-  
ბული ღირებულების მსახიობია, მაგრამ სრულიად არა-  
ფერი არ შეიცვლება, თუ ჩვენ მას ვერ მოუხმენთ ისევე,  
როგორც ვერ მოვისმინეთ ენრიკო კარუზო“.

სამხატვროლებმა სეზონი გახსნეს ა. ტოლსტო-  
ის „მეფე თეოდორე“-თი.

ამ როლში პირველად გამოვიდა კაჩალოვი.

ეს იყო მოულოდნელი ფაქტი.

სამხატვრო თეატრის ისტორიას ამ როლში ახსოვს  
მოსკოვი. პიესა მიდიოდა ნაცნობ ფერებში.

ახალი მომენტები იყო: — კაჩალოვი—თედორე და  
ახალგაზრდა მსახიობი ერმოვი—გადუნოვი.

საკმარისი იყო კაჩალოვის გამოცხადება სცენაზე,  
რომ გვისმის თბილი აპოლიდისმეტები გაეფლთითლი მსა-  
ხიობისადმი ირმა სიყვარულთ.

ამ აპლოდისმეტებმა დააარღვია სამხატვრო თეატრის  
„სიჩუმის“ ტრადიცია.

მუდღაგრებელია კაჩალოვი მე 6-ე სურათში, ვაღე-  
ნოთან მაასის დროს, ცოლის თანადასწრებით, როდემ-  
საც გადუნოვი ემუქრება მეფეს სახელმწიფოს მართე-  
ლობიდან ჩამოშორებით, თუ არ იქნება გაეცემული ვან-  
კარგულება შუისკის დასაპატიმრებლად.

ამ მომენტში მსახიობი გენიალურია... არც ერთი  
სიტყვა, არც ერთი ხაზი სახეზე არ იკარგება... და ამ  
სცენას ის ფენომენალური გამარჯვებით ავირგვიწებს,

როდესაც ვაღწივს ჩუროქული ეუბნება: „Правда, Борис, государством править я не умею, но белое от черного всегда отлуну, уходи!“. კულუარებში: გაკვირვება. ალტაცებული სახეები, კმაყოფილება, კმათი: კაჩალომა. დაამარცხა მოსკეინი, კაჩალომა შექმნა ქარაფმუტა მეფე თედორე. მაშინ როდესაც მოსკეინის თედორე იყო რევენი (дуряк)... კაჩალოვი მარათალია ისტორიულად და ფსიქოლოგიურად...

აქ ამბობდა ხალხი... პიესის დალაგებულ მსვლელობაში იყო ერთი დეკორატი— მსახიობი ერშოვი ვაღწივს როლში.

ამ როლში მსახიობი დამარცხდა...

იმავ საშხატერო თეატრის სცენაზე ვანახლებული იქნა გოგოლის „რევიზორი“.

ეს პიესა დიდი ხანია არ უნახავს მოსკოვის საზოგადოებას სხენებულ თეატრის სცენაზე.

ამბობდენ: არ კავდათ ხლესტაკოვი.

მაგრამ დღეს კი დასის შემადგენლობაში ვარკვევით და მკაყოთო მოსმანს ახალგაზდა მსახიობი— ჩებოვის ფიგურა

ის ჯერ კიდევ საშხატერო თეატრის სტუდიაშია.

მე მის ეუსურე რევიზორში. მისი ხლესტაკოვი ორიგინალურია... სრულიად მოწყვეტილი საშხატერო თეატრის სტილს.

ეს არ არის სტანისლავსკის გონებით და ინტუიციით დამუშავებული ხლესტაკოვი... აქ არის თეთი ჩებოვის სუბიექტიური ვაგება, ტრაქტოკვა და ინდივიდუალური ვაქანება...

სტანისლავსკისა და ჩებოვის შებრძობლებაში უკანასკნელმა მტკიცედ შეინარჩუნა და დაიცვა ბოლომდე თავისი პოზიცია...

(გაგრძელება იქნება)

მის. ლემიჩაეა.

# ბ ი ნ მ

## ქაბტბი, ჩაკლინიდა და სსსილ დე-მილლი.

ანრი ბერომ თავისი წიგნი „Страдания толстяка“ უძღვნა რამდენიმე ყველაზე სკელ ადამიანებს ქვეყანაში. მათში იყო აგრეთვე ქაბტი. სკელ მუქლისაგან ვაბერი-



ქნობილი კინო-რეჟისორი გარი ლიტაქ

ლიო უკვე იწყებს სიკალს. კომიზში რომელიც გარკვეულ შეზღუდვებისაგან გამომდინარეობს. ჩვენ სულ არ ვიცნობთ ქაბტის, რუსეთშიც ნაკლები ვსავალი აქვს. საერთოდ უნდა ითქვას რომ ჩვენი საბჭოთა ეკრანები მეტად დამძიმებული არიან საზღვარგარეთელ სხვა და სხვა სანტიმენტალურ და მისტიურ სურათებით: ნამდვილი სალი კინო-კომედია, რომელიც იწყებს სალ სიცილს, არ გვინახავს. მაქს ლინდერი ფრანგულ პერიოდის (ომამდე) სანტიმენტალური და მეშინური იყო თავიდან ბოლომდის, გერმანულია კომიზში მძიმე და აუტანელი. აილეთ თუნდ ცნობილი კარლ გუსტარი, ან იაკო ტილდე. ნამდვილი კინო-კომედია ამერიკაში აღმოცენდა. ჩაპლინი აქამდე დაუსლველია. ჩაპლინმა თითქმის მთელი სკოლა შექმნა კომიზში. თქვენ ყვირად თუ ნახათ თინამდროვე კინო-კომედიას, რომ ჩაპლინის „ადლი“ არ ემუნეოდეს. ლინდერი უკანასკნელ პერიოდის მისი პირდაპირი მიმამდევი და მოწაფეა. მაგარი ძლიერი კომედია არის „შემთხვევითი ქმარი“ რეჟისორ ჯონ დერმოტის. სილნი ჩაპლინი, მმა ჩარლ ჩაპლინის, და ოვენ მოორ— იმავე ჩალ ჩაპლინის მოწაფეები არიან. შესანიშნავი სცენარი, პირდაპირ გენიალური, კომიზში თელსაზრისით, შექმნილია თვითონ ჩარლ ჩაპლინის მიერ. მეტისმეტად კინემატოგრაფიული. კომიზნაციები და სიტუაციები ულარესად კომეკური, განსაკუთრებით შესანიშნავი მუშიდ აქტი. მთელი დარბაზი ხარხარებს. მაგრამ თქვენ თითონ უნდა ნახოთ სურათი, „ჩაპლინიდა“! ტყუილად კი არ უთქვამს ივან გოლოს. ჩაპლინიდა ყველაგან. არც ერთი ნამდვილი კინო-კომედია თანამდროვეებისა ვერ აუხვევს გვერდს ჩაპლინიდას. იგი ამა თუ იმ სახით მანც იყენს

ლი პიდეაკი. სკელი მორგეალო ლოყები. ვოკის თელეფი. ბულდოგის ცვირი და მთელი ქაბტი თქვენ წინ წარმოსდგება. იგი ულარესად ჯენტლემენია. ნამდვილი ამერიკელი ჯენტლემენი მხოლოდ გარეგნობა რომ ავი-

თავს. ამიტომ: ამ კინო-სეზონში „შემთხვევითი ქმარი“ შესანიშნავი მოვლენაა. უდაოა: ასეთი კომედიები ჩვენს მაყურებლისათვის უფრო მისაღები არიან ვიდრე „დამპაღ შინაარსიანი კინო-დრამები და კინო-ტრაგედიები.

ჩატრი სულ სხვაა. საუბედუროდ მხოლოდ ერთი სურათით („ნათის კარიგა“ ისწი) ძნელია მიიხსი მთლიანად შეფასება. არაერთიანი ფსიქოლოგიზმი. შინაგანი აღლეება, არც მტანჯავი პოზა. ჩატრი ციბლავთ მხოლოდ თავის ფიზიურ თვისებებით. ჩატრი იბრუნა იმას რაც მას ხელთ აქვს და ამ ნიადაგზე ქმნის დაუსრულებელ კომიკურ კომბინაციებს და ტრაუკებს.

ესილ დემილი—ამერიკის შესანიშნავი რეჟისორია, ტომი ფრანკი. პირველი მისი სურათი თბილისში „მარად-უცხოში“ („სამალოტ“). საკვირველია ასეთი დაუდევარი მოპყრობა კინო-სურათისადმი. თუ აქიშა არ წაეკითხებოდა და ისე შეხვედით დარბაზში, ეკრანზე სურათი ანონიმად მოგჩვენებოდა, მხოლოდ აქიშაზე გაკრული სხელი ესილ დემილის, და გვარები მოთამაშე აქტიორების: ლატარის ჯოისი რ უდოლოც ვალენტინო, მაგრამ უკანასკნელის მონაწილეობა სურათში დიდ ექვეს დაბადებს. საიდა ჩანს, რომ შოქტერი—ვალენტინოა, მართალია თუ შევადარებთ მას იმ პორტრეტებთან, რომელიც მოსკოვის და ლენინგრადის კინო-ჟურნალში იყო დასტამბული, რაღაც მსგავსება თითქოს არსებობს, მაგრამ საკვირველია, რომ იგივე ჟურნალები, დღესაც ამ სურათს ეგებთან არც კი იხსენიებენ გოლომე ვალენტინოს. შეუძლებელია რომ იმ დიდ არტისტზე ერთი სიტყვაც არ ყფილიყო დაწერილი. ყოველ შემთხვევაში სურათი შესანიშნავია, როგორც სიუჟეტით, აგრეთვე მისი ფორმალურ განსახიერებით, მართალია ესილ დემილი მაინც და მაინც არაფერ გასაკვირალს არ გვიჩვენებს ამ სურათით, მაგრამ ზოგიერთი სცენები მაგალ. „წყლის ბაღის“, ლუნა-პარკში, ხანძარის გაჩენის, ცეცხლის მჭრობელთა რაზმის მისვლის და სხვ. მიღწევითა უნდა ჩაითვალოს. საერთოდ სურათი მეტად მაგარია. სიუჟეტი ორიგინალურია. რასაც ხელს უწყობს ძალიან მონტაჟორის ტერტები. ფუფუნებაში აღზრდილი ახალგაზდა ირთავს ცოლად მრეცხავ-ქალს. ლედი გაჰყვება შოქტერს, მაგრამ ზეეჩეულებით და საეციფერი შეხედულებათა გამო ვერ მოიასლებიან ერთმანეთთან და შორდებიან. მრეცხავი-ქალი წვა შოქტერთან, ლედი მდობრათან. პირველ შეხედვით თითქოს უბრალოა სიუჟეტი, მაგრამ ჯერ ერთი მოულოდნელია ასეთი რამ კლასიკურის თვლასწარისთ მეშინაურ ამერიკისაგან მეორეც მშვენიერად თამაშობს მრეცხავი-ქალის როლს ჩვენთვის ახალი კინო-მსახიობი ლეატარის ჯოისი. ამიტომ სურათის დემონსტრაცია მუშურ რაიონებში შესასღებლად უნდა ჩაითვალოს.

# წითელი თმატრი

## „ცხვრის წყარო“

12 აბრილს წითელ თმატრმა დ. კობახიძის რეჟისორებით დასღვა ლობკე—ვევას პიესა „ცხვრის წყარო“ დადგმა თავისებურია. ახალი შტრიხებით. ეტყობა დიდი ენერგია დახარჯული პიესაზე. ამ პიესით როგორც დაღ „ჯანყი ბურიით“ წითელი თმატრი გააოლის ფართე რეპერტუარის ასპარეზზე. და თავს აღწევს ატიკაიურ პიესების ციკლს.

აქ უსათუოდ ბევრი მოისურვებს ჩვენი აკადემიური დრამის „ცხვრის წყაროსთან“ შედარებას. ეს სისულელე იქნება. პარალელს წითელ თმატრის და აკადემიურ დრამის შორის გაატარებენ მხოლოდ წითელ თმატრის მტრები. პირუთენილი დამფესებელი კი ამ დადგმას სისწორით და სინამდვილის ანგარიშის გაწვევით ღიხსებულად შევაფასებენ.

ის რაც წითელ თმატრს ღღეს მოეპოება, როგორც ნიეთიერი ისე სხვა შესასღებლობანი უკეთეს ვერაი მოეხოვთ.

ახალგაზდა ძალგბმა არამც თუ სლოცის ეს პიესა ბევრნაირადაც აღსანიშნავია მათი თამაში. ეკრით ცალკე-ცალკე ჩვენ მათ არ გამოიარჩევი რადღაცაღ ყველა მათგანი ხელს უწყობს რეჟისორის მიერ შექმნილ ანსამბლს. აქ არის დიდი ხალისი, სურვილი და დიდი შესასღებლობა. მომავალში ახალგაზდა მსახიობნი დახელოვნებული არტისტები იქნებიან და თამაღ შეელებათ ისეთ ძნელ რეპერტუარის ზიღდა როგორიც არის „ცხვრის წყარო“.

ღადო.

## „ბასტლიის აღგბა“

25 და 26 ამა თვეს წითელ თმატრში წვა რომენ როლღანის ცნობილი დრამა: „ბასტლიის აღგბა“. პიესა ხატავს საფრანგეთის დიდღებულ რეოლიუციის ბოქსს და შიგ გამოყვანილი არიან ისეთი ისტორიული პიროვნებანი როგორცდაც რომესპიერი, მარატო, გიშო, კამილ დენტლენი და სხვა. რომენ როლღანის პიესა, რეჟისოუკიონურ პიესების შორის ყველაზე უფრო შინაარსიანი და სცენიურია. დიდი მასსა, დიდი პერსონაჟები რომელნიც უსათუოდ ჰსიხოლოგიურ სისწორით არიან გაშუქებული და დახასიათებული თვით საფრანგეთის ხალისიყოფა ცხოვრება-განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს.

პიესას მსახვი რეჟისორი ეახტანე გარიკო. თვით თარღმანი დიდვე ეკუთვნის და რომენ როლღანის დრამა ბევრნაირად შესწორებულა და გადამშუავებული თამა მედროვე სცენისთვის. პიესისთვის განსაკუთრებით იწურება მუსიკა და იხატება სრულიად ახალი დეკორაციები.

„ბასტლიის აღგბა“ უკანასკნელი პრემიერა წითელ თმატრში და სეზონიც ამ პიესით დასრულღება.

# მხატვრული ლიბრეტო

## „მ ი ქ ტ ო რ ი ა“

(დასასრულე)

წვიმა დაიწყო ტანტალომდა სადგურისა და ყა. ზარმის თუნუქის დაქანგულ სახურავზე, მიწა ატალახდებოდა და ახიხილებოდნენ დამბალ შაქრის ქალადღვით რუხი, მწვრიანი მძიმე ნისლები.

თავლაში ცხენები თივას ახრამუნებდნენ და მოწყენილი ჯარისკაცები, თუ ზემდეგი სადმე იყო წასული, იაბოებს ჰაკებზე უშვებდნენ, იცინოდნენ, ოხუნჯობდნენ, ან ქალღს თამაშობდნენ, ავებდნენ ულუფა შაქარს, ფესკემელებს, მახარას და იყო ღვდის, ცოლის და ცოლი-ღის უწმარე გინება.

სადგურის უფროსის ცოლს ელიბომ „ვიქტორია“ ათხოვა, და ქალი მთელი ღამეები დასტიროდა ვიქტორიას მუცელს, რის გამო სადგურის უფროსმა საყვედურიც კი უთხრა ელიბოს და ზემდეგთან დაასმინა.

ჯარისკაცები იჭერდნენ სადგურის უფროსის პატარა გოგონას, ასანუქებდნენ ცხენის ბაღნით გატენილ მემის ბურთით, ამოი ვაზნებით, აქმეოდნენ შაქარს და თან ლამაზ დედას ავინებდნენ.

საღამომით, როცა მატარებელი გავიდოდა, სადგურის უფროსის ცოლი გრამოფონს უკრავდა.

ვიალკევის ქალი მღეროდა ბოშურ ენებთან რომანსებს და სწინად გადაქცეული ჯარისკაცები ყურს უგებდნენ, როგორ ხროტიზობდა პირმოცვეთილ ნემს ქვეშ: „Выходи ты на крыльцо...“

და ოცნებობდნენ სუფთა ლოგინზე, სოფლის გოგონებზე, ხარკამებზე და ამწვანებულ მინდორ-ველებზე.

ვიკრიაში ერთიელ ვინმე გერმანელი თუ მივიდოდა შოთხელ ახალშენიდან და მატარებლით ქალაქს გაემგზავრებოდა.

ასე იყო...

წვიმამ გადილო.

ღამით მიწა უხარმაზარ ფურივით იწვა და ფშვივავდა იღუმალად.

მეორე დღითი გაცრეცილ ღრუბლებში მზემ ბრუქთან მაიმუნივით გადმოხივდა და მთელი დღე ეკიდა ცაში სულელურად.

მინდორები აშრა და დადგა ძროხასავით ახურებულ მიწის სუნი.

საღამოთი მატარებელი მოვიდა, ისე როგორც ყოველთვის, და სულში ისევ, როგორც ყოველთვის, ჩამოწვა სუველ პურივით მძიმე სვედა.

ელიბო ლიბაუერი, მილიციონერი, სადგურის უფროსი, მისი ცოლი თეო, ტელეგრაფისტი და რამდენიმე ჯარისკაცი იდგენ სადგურზე დაღურემილინ.

ელიბო ლიბაუერი იღვა ბაქანზე და უფროდ მან დაინახა რომ თეო მიუახლოვდა, „ვიქტორია“, გადასცა, რაღაც უთხრა, მგარამ არ გაუგონია.

ქალმა გაიღიმა.

— რა სულელი ხართ!..- სიქვა მან ეშმაკურის თვალთმაქცობით და მოშორდა კაბის შრიალით.

ელიბოს რაღაც მოხვდა ტენში, გაჰაწრა და სიტუბო წავიდა მოდუნებულ ძარღვებში.

— ვიქტორია!.. ვიქტორია!..— გაუღეფა მას თავში, ამოიოხრა და რატომღაც გაჰყვა ლიანდაგს.

საღამო იყო თბილი და მზე ჯერ კიდევ იბუტებოდა.

ხრეშოყრილ ლიანდაგზე გაწვა ელიბოს გრძელი სულელური ჩრილი და იგი ნამორიდან ნამორს აბიჯებდა.

ვიქტორიას აჩრდილი არ ასვენებდა მის გონებას. ვიქტორია: თავდაპირილი, ამაყი, ჯიშინი და ნაზი, როგორც ვერსალის ბროლი, იგი დაინახა მისკენ და ელიბომ იგრძნო დაღალულ ქალის ცხელი სუნთქვა, პენსნე მოიძრა და გამოერკვა...

ირგველი არავინ იყო...

თავლები მოიშუშნა, ნალვლიანად გაიღიმა და პენსნე ისევ გაიკეთა.

მინდორში, იქ, სადაც თივის მაღალი ზენი იღვა, დაინახა შაქრის ტომსიკებით რიგში ჩამდგარი ჯარისკაცები.

გულმა უაზრა.

ბოროტად გაიღიმა, წიგნი ჯიბეში ჩაიღო და იქიან გაემართა.

მიუახლოვდა: ჯარისკაცი ლოშინდა ზენიზე წაქცეულ დედაკაცს...

ელიბო დატრტმანდა.

მის გონებაში უხარმაზარ ფრთასავით ატრიალდა ეს შავი ზენი და ქალის ჭუჭუ. საღალაც გაჰქრა სადგურის უფროსის ცოლი, ფიქრები პლატონიურ სიყვარულზე, ვიქტორია, ლორდ პენრიის ბრწყინვალე პარადოქსები და სიბილა ევის გრძელი ბუტაფორიული მონოლოგი.

ყველაფერი ეს ნიღაბი იყო, ბუტაფორია.

მაღალი იღვები გაფრინდა საღალც.

ჯანდაბას იქით ყველაფერი: მორალი, სოციალიზმი, ხელოვნება!..

შია საერთოდ და კერძოდ ჩივენში. ხელოვნების საქმეთა მთავარ საბჭომ მიაქცია ამას ყურადღება და გავზანა თავისი რწმუნებული ამხ. ს. წუწუნავა დასავლეთ საქართველოში. შეიქმნა ყველა სამაზრო და დიდ ცენტრებში სახელოვნო საბჭოები, რომლებიც ცენტრის დირექტივებით ხელმძღვანელობას გაუწეეს ადგილობრივ სახელოვნო მუშაობას. ამის შესახებ დღევანდელ ნომერში მოყვანილია ცნობები დას. საქ. ყველა ქალაქებიდან ცნობებიდან სჩანს რომ ჩვენს ხალხში დიდი მისწრაფებაა აგრეთვე მუსიკალურ განათლებისადმი და ამიტომ ცენტრმა ამას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს. დახმარება გაუწვიოს როგორც იდეური ისე მატერიალური (ისტრუმენტების მოწოდებისა და სხვა). მომავალ ბიუჯეტში სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს პროვინციას ხელოვნების დარგში. თუმცა ხელოვნების საქმეთა საბჭოს ხარჯთაღრიცხვა მეტად განსაზღვრულია მაგრამ თუ პროვინციას აქედან არ მივაწოდებ დეკორაციები, რეპერტუარი ხელმძღვანელები და სხვა, ხელოვნების საქმის გამოკეთება სხვა გზით ძნელი იქნება. ჩემის აზრით უნდა შეიქმნას სპეციალური ფონდი ხელოვნების საბჭოსთან. თუ ჩვენ ვაძლევთ მნიშვნელობას ხელოვნების განვითარებას პროვინციაში, არავითარ, საშუალება არ უნდა დავიშუროთ.

3 ·

## სახელოვნო მუშაობა საქ. დაზა-ქალაქებში \*)

### ქ უ თ ა ი ს ი

ტფილისის შემდეგ როგორც ყოველთვის ქუთაისს უჭირავს საქართველოში პირველი ადგილი ხელოვნების დარგში. არსებობს აკადემიური დასი ი. ზარდალიშვილის ხელმძღვანელობით. დასი მატერიალურად კარგ პირობებშია და მის მუშაობასაც სათანადო ნაყოფი აქვს. არსებობს მუსიკალური ტენიკუმი ი. აბაშიძის ხელმძღვანელობით. მუსიკალურ ტენიკუმს ინახავს ცენტრი. ტენიკუმთან არსებობს ვუნდი 120 კაცის შემადგენლობით. მუსიკალურ ტენიკუმს დიდი წარმატება და საქმის უღრმა ეტყობა, რაც უნდა მიეწეროს ამხ. აბაშიძის უნარს და ენერჯიას. არსებობს სოფლისათვის მოძრაიე კინო. არის აგრეთვე რკინის გზის თეატრი. დაარსდა სახელოვნო საბჭო ამხ. ქუმბურთიძის თავმჯდომარეობით (განათლების განყ. გამგე).

### ბ ა თ ო მ ი

არსებობს სახელმწიფო ოპერა, დაარსებულია ახლად მ. ქორელის ხელმძღვანელობით დრამატული სტუ-

დია, მომღერალთა გუნდი კუხიანიძის ხელმძღვანელობით აპარისტანის სახანათლების კომისარიატის მფარველობით, მოძრაიე კინო ავტომობილით და თავის მატორით სოფლებისათვის განსაკუთრებით ზღუდულის სეზონისათვის. არსებობს პრადეკაემიური და რკინის გზის კლუბები. ქართული აკადემიური დასი წრეულს ბათუმში არ ყოფილა, რაც უნდა ჩაითვალოს უარყოფითი მოვლენად. მით უმეტეს მუდმივი დასი არსებობდა ბათუმში 1912 წლიდან. მომავალში ხელოვნების საქმის მიზანშეწონილ და სწორ ხაზით გასატარებლად ხელოვნების საქმეთა მთავარ კომიტეტის თაოსნობით როგორც სხვა ქალაქებში დაარსებულ იქმნა ადგილობრივი სახელოვნო საბჭო შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე: სახ. გან. კონისარი ვარშანიძე, წევრები: ერთი პროფკავშირის წარმომადგენელი, 1 პოლიტგანის წარმომადგენელი, 1 ავტეპროპოს, 1 მთავლიტის, 1 ხელოვნების მუშაკთა კავშირის, სტუდიის ხელმძღვანელი, ადგილობრივი თეატრის ხელმძღვანელი და სხვა. საბჭოს განხრახული აქვს მომავალში დაარსოს აკადემიური და

\*) მოღვაწეულია მთავარ სახელოვნო საბჭოს ინსტრუქტორის ს. წუწუნავას მონაწილეობით, რომელიც მან გააკეთა პროვინციიდან დაბრუნების შემდეგ.

სი. მოიწვიოს ათი პროფესიონალი მსახიობი და ადგილობრივ სტუდიის დანმარებით შეუდგებიან მუშაობას. განზრახულია აგრეთვე მუსიკალური სკოლის და სამხატვრო სტუდიის დაარსება, რაც აუცილებელია საქართველოს ისეთი თვალსაჩინო კუბისათვის, როგორც არის აქარისტანი და მისი დედაქალაქი ბათონი. საბჭოს შიერ განასკუთრებული ყურადღება იქნება მიქცეული პერიფერიებისათვის დახმარების სახით როგორც მატერიალურად ისე იდეურად.

**ქ ი ა თ უ რ ა**

არსებობს აკადემიური დასი. თეატრის გამგე გ. ნუქუბიძე და რეჟისორები ნ. გამრეკელი-თორელი და მებურიშვილი. ქუთაისის შემდეგ ქიათურას თეატრის სა-



**ნ. გამრეკელი—თორელი**

ქიათურის აკ. თეატრის რეჟისორი

კითხში უქირავე პირველი ადგილი, რადგან დიდ მატერიალურ დახმარებას უწყეს მას აღმასკომი. დადგმები დამაკმაყოფილებელია. არსებობს სასულე ორკესტრი და მომღერალთა გუნდი ს. კავსაძის ხელმძღვანელობით. არსებობს აგრეთვე პროფკავშირების დასი. დაარსდა სახელოვნო საბჭო ამხ. თიანეთის თავმჯდომარეობით განზრახულია მუსიკალურ სკოლის დაარსება ფართე მასშტაბით.

**ო ზ უ რ გ ე თ ი**

ოზურგეთში არსებობს დრამატული დასი. დასში მოწვეულია სამი მსახიობი დანარჩენი ადგილობრივ სცენის მოყვარენი. დასს ხელმძღვანელობს ამხ. პეკუაშვილი. დასში არიან სცენის უხუცესი მუშაკნი, რომელთა მოღვაწეობა სათანადოთ უნდა იქნას აღნიშნული. ასეთ

პირთა შორის აღსანიშნავია ამხ. სასონ ხურციძე. მამრიაში დრამურების მუშაობას შემთხვევითი ხასიათი აქვს, რაც ადგილობრივი მუშაობის საერთო მნიშვნელობისათვის უნდა ჩაითვალოს მინუსად. ოზურგეთის დასში გამაჩრჩხა სამი მსახიობი, დანარჩენები შეადგენენ კოლექტივს. აღსანიშნავია ზოგადთ ოზურგეთის თეატრის დისკოლენა, საქმის მოყვარეობა და ამხანაგების ენერგიული მოღვაწეობა, რაც ოზურგეთის თეატრს საშუალებას აძლევს საქ. პროვინციის თეატრებს შორის ერთი პირველი ადგილთაგანი დაიკრიოს. აქაც შესდგა სახელოვნო საბჭო: თავმჯდომარე; განათლების ინსპექციის გამგე მარო ლომინაძე და წევრებად ყველა სათანადო ორგანოების წარმომადგენელი. ოზურგეთისა მომავალში დაარსდეს პატარა მასშტაბით მუსიკალური სკოლა. 1 რთილის მასწავლებელი—(იგივე ხელმძღვანელი), ხალხურ სიმღერების გუნდი გამოცდილი ლობაზრით (ხალხური სიმღერების შენარჩუნების და შეგრძობის მიზნით) და შესწავლა ჩონგურის.

**ლ ა ნ. ჩ. ხ უ თ ი**

ლანჩხუთი ცალკე მხარას არ წარმოადგენს, ამიტომ თავისი ბიუჯეტი არა აქვს და დამოკიდებულია ოზურგეთთან. მუდმივი დასი არ არსებობს. თეატრის შენობა თოვლისაგან სავრძობლად დაზიანდა, მაგრამ შესაქებლად მიღებულია ზომები. განზრახულია აქაც დაარსდეს მუსიკალური სკოლა (რთიალი, გუნდი და ჩონგური) მთავარ სახელოვნო საბჭოს დახმარებით. ამ რთიონში სახელოვნო მუშაობას შემთხვევითი ხასიათი აქვს, ამიტომ, საჭიროა ადგილობრივმა ამხანაგებმა ამ სფეროს სათანადო ყურადღება მიუქციონ.

**ს ა მ გ რ ე ღ ა**

არსებობს მუდმივი დრამატული დასი პროფკავშირების მფარველობის ქვეშ. რთიონებში დრამატული წრეების მუშაობა შემთხვევითი ხასიათისაა. დასს ხელმძღვანელობს ზ. ურუშაძე. არსებობს მუსიკალური სკოლა. სკოლაში უწინ იყო 120 მოწაფე და ხუთი მასწავლებელი, მაგრამ უსახსრობის გამო მოწაფეების და მოსწავლეების რიცხვი შემცირდა. დარჩა ერთი მასწავლებელი რთიალზე და 20 მოწაფე. აღნიშნულ სკოლას ცენტრიდან ქონდა დაპირება დახმარების შესახებ, მაგრამ დღემდის არაფერი მიუღია. ქალაქში სხვა პროვინციის ქალაქებთან შედარებით მუსიკალური ინსტრუმენტების რიცხვი მტკბად დიდია. მაგ. 20 ფორტეპიანოდმდე აქეთ მცხოვრებლებს, ამიტომ სასურველია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუსიკალურ განათლებას ქალ. სამტრედიაში. არსებობს აგრეთვე რკინისგზის კუბის დასი, რომელსაც ხელმძღვანელობს მსახიობი თარაღაშვილი. არსებობს ორი გუნდი: 1 ცხოველდის მომღერალთა გუნდი და 2. სააბრეშუმო ქარხნის მომღერალთა გუნდი. არის აგრეთვე რკინის გზების და ტენიკუმის სასულე ორკესტრი. დასად სახელოვნო საბჭო: ამ კიკიანაშვილის თავმჯდომარეობით.



ქსენაკის დრამატული წრე,

ა ბ ა შ ა

მენდებამდელი თეატრი 600 კაცისათვის. სახურავი უკვე დამთავრებულია. თეატრის საჩქაროდ დამთავრებას ხელს უშლის მატერიალური სიფიწროვე. მუდმივი დასი არ არსებობს. მომავალში განზრახულია მუდმივი დასის შექმნა. აგრეთვე მომღერალთა გუნდის მოწყობა და ჩონგურის შესწავლა. რაიონში მუშაობას შემთხვევითი ხასიათი აქვს.

ა ხ ლ - ს ე ნ ა კ ი

არსებობს სამი თეატრი. 1. რკინისგზის, 2. აღმასკომის და 3. პროფკავშირების. ასეთი პატარა ქალაქისათვის სამი თეატრის არსებობა მიზანშეუწონელია, მით უმეტეს პროვინციაში თეატრალური ძალები და თვით აუდიტორიაც. ერთი თეატრისათვისაც მეტად სუსტია. შესდგა სახელოვნო საბჭო: თავმჯდომარე ე. ქობულაია. განზრახულია მომავალში მხოლოდ ერთი დასის შექმნა რაც მიზანშეუწონილ ნაბიჯად ჩაითვლება. არსებობს აგრეთვე პროფკავშირების მომღერალთა გუნდი და ორი სასულე ორკესტრი: 1) რკინისგზის და 2) ქალაქის. აღმასკომის დასს ხელმძღვანელობს ანხ. კიხრია, რომლის მუშაობას სათანადო ნაყოფი გამოუღია დისციპლინის შექმნით და მუშაობის შედარებით ინტენსიურ გზაზე დაყენებით, რასაც აგრეთვე ხელს უწყობს აღმასკომის საერთოდ აქტიური მუშაობა. განზრახულია მომავალში მუსიკალური სკოლის დაარსება: როიალი, გუნდი და ჩონგური. ყურადღება ექნება მიქცეული პერფორირებთან კავშირს და მათ ხელმძღვანელობას.

ზ უ გ ღ ი ღ რ

არსებობს მუდმივი სცენის მოკვარეთა წრე. წრი-მუშაობის პირობები არ არის სასურველ ნიადაგზე. თეატრის შენობა და დეკორაციები ზუგდიდისს თვის, როგორც შედარებით დიდ სამაზრო ცენტრისათვის არ არის დამამაყოფილებელი. არსებობს მომღერალთა გუნდი. დაარსდა სახელოვნო საბჭო ანხ. ი. გოგიას თავმჯდომარეობით. გამზრახულია მომავალში მუდმივი დასის შექმნა და მისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ადგილობრივი მთავრობა სახელოვნო საბჭოს შექმნა და ხელოვნობის საქმის გაჯანსაღების საკითხს განსაკუთრებული ყურადღებით შეხვდა. რაც თავდება მომავალში სახელოვნო საქმის სასურველ კალაპოტში ჩაყენების. განზრახულია აქაც მუსიკალური სკოლის დაარსება და სასულე ორკესტრის შექმნა.

ვ უ თ ი

არსებობს ცხრა კლუბი. წარმოდგენებს შემთხვევითი ხასიათი აქვს. ასეთი რაოდენობა კლუბებისა ფოთში არ შეიძლება ჩაითვალოს მიზანშეუწონილად. ჩვენ რაოდენობამ არ უნდა ავგიტაცოს, არამედ არსებითი მხარე უნდა გვაინტერესებდეს უფრო. არ იქნება ზედმეტი, რომ ასეთ სატრანზიტო და შემოსავლის მხრივ შედარებით მდიდარ ფოთს ყავდეს მუდმივი აკადემიური დასი. დღეს კი წარმოდგენები იშვიათად იმართება და ისიც მხატვრული თვალსაზრისით მიუღებელია. არის სამი სასულე ორკესტრი—1) რკინისგზის, 2) ვადამტეირთათვის კავშირის და 3) მებლგეოგრაფი კავშირის. არსებობს პროფკავშირე-

ბის მომღერალთა გუნდი. დაარსდა სახელოვნო საბჭო. განათლების ინსპექტორის აშხ. მუსხრამიძის თაშფაქობით. განზრახულია მომავალში აკადემიური დასის შექმნა, მუსიკალური სკოლის შექმნა - გუნდი და ჩონგური.

**ბ ო ნ ი**

მუღმედი დასი არ არსებობს. ამიტომ წარმოდგენები თითქმის არ იმართება. შენდება ახალი თეატრი 700 კაცი ტყეით. არის ერთი სასულე ორკესტრი. საერთოდ აქ მეტად სუსტი ყურადღება აქვს მიქცეული სახელოვნო დარგს, მიუხედავად იმისა, რომ ხონი იმერეთში ერთერთ კულტურულ და ეკონომიკურ ცენტრად ჩაითვლება. საქართვეო ცენტრმა მიაქციოს ყურადღება.

**ტ ვ ი ბ უ ლ ი**

ტყეილი, სახელოვნო დარგში, სამავალითო კუთხეთა ჩაითვლება. არსებობს პროფკავშირების კლუბი—

თეატრი სცენის მოყვარეთა წრით. თეატრის შენობა კარგია და დეკორაციები მდიდარია (ცხრა კომპლექტი). არის სასულე ორკესტრი, სიმებიანი ორკესტრი (მერეული). მომღერალთა გუნდი და კინო.

**ზ ე ს ტ ა ფ ო ნ ი**

არსებობს მუღმედი სცენის მოყვარეთა წრე. წრეში სამი მსახიობია. წრეს ხელმძღვანელობს აშხ. ცერცვაძე. თეატრს ინახავს სამაზრო აღმასკომი (ჭიათურა) აძღვეს 250 მანეთს თვეში. არის ცერძო მასწავლებელი მუსიკის, რომელსაც ყავს 50-მდე მოწაფე. აქედან სჩანს, რომ მუსიკალური სკოლის გახსნის აუცილებლობა მომწიფებელია საგრანობლად. სასურველია სამაზრო მთავრობამ ამ გარემოებას მიაქციოს სათანადო ყურადღება. არის სასულე ორკესტრი. თეატრის შექმნასავალი მიჯის ახალი სათეატრო შენობის სააღმშენებლო ფონდში. სოფლებში სახელოვნო მუშაობის როგორც ყველანა შემთხვევითი ხასიათი აქვს.

**ბ. ლეჟავა**



ბ. ლ ე ჯ ა ვ ა .

ბ. ლეჟავა 1914 წლიდან მუშაობს ქართულ სცენაზე. ჯერ ისევ 17 წლისა იყო როცა ქართულ დრამატულ დასში მიღებულ იქნა როგორც მოყარნახე, მაგრამ მას ამ მიმართებით დიდხანს არ უმუშავებია და იმ წელსვე ის ასრულებდა დასში პატარ-პატარა როლებს. მას შემდეგ ის ითვლებოდა ყოველ წელს ქიათურის დასის შემადგენლობაში. როგორც სცენის მოყვარე და სრულიად უსაყიდლოთ ემსახურებოდა სცენას. აღსანიშნავია ის გარემოება რომ ბ. ლეჟავა ყოველთვის სარგებლობდა ქიათურის საზოგადოების პატივცემით და მუდამ ეამს გამსქავალული იყო ქართული სცენის უსაზღოო სიყვარულით. საქართველოში საბჭოთა სელისფულების დამკვიდრების შემდეგ ის როგორც კომუნისტური პარტიის წევრი ასრულებდა სხვა და სხვა პარტიულ და საჭოთა თანამდებობებს, მაგრამ მიუხედავად დროის სიეწროვისა ერთს წუთს არ მოშორებია თავის საყვარელ საქმეს და მუდამ ახსოვდა და სწამდა ის. წელს 1925-ში მას შეუსრულდა 10 წელი სცენაზე მოღვეწობისა.

შ. დ.

**ბ ე ნ ო დ ა ს ო ფ ე ლ ი**

ყველას მიერ აღიარებულია კინოს დიდი მნიშვნელობა ფართე მასის ვავითცნობიერების საქმეში. საბჭოთა ხელისუფლება სეროიხულ ანგარიშს უწყებს მას. არის მუშაობა რომ მასას მისწუდეს ჯანსაღი კინო-სურათები, სიამოვნებით უნდა აღვიწყოთ კიდევ ერთხელ

რაც მრავალჯერ დაწერილა და თქმულა რომ ამ მხრით საქართველოში ბევრი გაკეთდა. ჩვენ გვაქვს მივლი რიგი კინო სურათების რომელთა შორის ზოგნი არ ჩამოუყარებიათ ევოპის ფოლმებს ტენიციის და არტისტების თამაშის მხრივაც კი მაგრამ ის რაც გაკეთდა საკმარისი არაა.

„ მ მ ს ა ლ ი ნ ა “



რინა დე ლიგუორა

კინო საბჭოთა რესპუბლიკებში უნდა ემსახურებოდეს სახალხო განათლების საქმეს, ის უნდა იყოს კომუნისტური პროპაგანდის იარაღი, საშუალება რომლითაც პოლიტიკური განათლება უნდა შევიდეს მშრომელთა მასაში.

ცხადია თავის ნაშედეგ დანიშნულებას საბჭოთა კინო მაშინ მიალწევს, როცა ის იმდენათ მომავარდება, რომ განდევნის ეკრანიდან ბურჟუაზიულ ფილმებს, რომელთაც უდაოა უარყოფითი მნიშვნელობა აქვთ ახალი თაობის აღზრდის საქმეში.

საქმე იმაშია, რომ თითქმის ყველა საზღვარ-გარეთის ფილმები თავისი შინაარსით წარმოადგენენ ბურჟუაზიული მორალის აპოლოგიას, სცილოდნენ მიმზიდველი ფერებით დახატონ სილამაზე კაპიტალისტური წესწყობილების. მაყურებელი ხედავს მდიდრულ სასახლეებს, მშვენიერ კოსტუმებს, ბალებს, ჯავტომობილებს, უდარდელ და ლალ ცხოვრებას და ცხოვრება მშრომელ მასის რომელიც სულ ლევენ სილატაკეში იმ ფილმებში ნაჩვენებია არ არის და თუ არის ისე ოსტატურად რომ ბურჟუაზიული მორალი შეუბღალავი რჩება.

ხშირად ამ სურათებში მეფე ან კაპიტალისტი შეიყვარებს ღარიბ-ღატაკი ოჯახის ქალს და აბედნიერებს მას.

სრულიად სხვა ხასიათის ფილმებია საჭირო ჩვენთვის ჩვენი ფილმები უნდა ასურათებდნენ საზიარობას წარსულის მტარვლთა და უნდა დაანახოს მაყურებელს თანამედროვე უდიდესი ისტორიული საბჭოთა აღმშენებლობის სახე და მომავალი სოციალისტური წესწყობილების მიმზიდველობა და სილამაზე.

განსაკუთრებული უპირატესობა აქვს კინოს სოფლად განათლების შეტანის საქმეში. ვრთი რომ კინოს აპარატები და მოწყობილობა წასაღებ-წამომსაღებათ ადვილია და არ ითხოვს ბევრ ხარჯებებს, მეორეც ის ყველა ხელოვნებაზე უფრო ადვილ გასაგებია უბრალო წერა-კითხვის უცოდინართათვისაც.

გლეხი თუ ხალსით ვერ მოისმენს ლექციას რაიმე საკითხზე, მიეცით მას ამ ლექციის ილიუსტრაცია საჭირო ახსნა განმარტებით და თქვენ დაინახავთ როგორი ხალსით მოეკიდოს მას და დაინტერესდეს.

ამიტომ საჭიროა რაც შეიძლება ვავაზრავლოთ მოძრავი კინოები და მივსცეთ მას საჭირო რეპერტუარი.

6. ს — ლი.

# ც ი რ კ ი

## ხელოვნების მუშაყანი სოფლუეზისაკენ

ლოზუნგმა: „პირი სოფლისაკენ“, როგორც მოსალოდლო იყო სწრაფად ჰყოვა გამოძახილი ხოლოვნების მუშაყათა შორის.

რომ არ ვილაპარაკოთ იმაზე რასაც ამ მიმართულებით აკეთებს ხელოვნების მთავარი საბჭო: საეკიანლური ინსტრუქტორის საშუალებით თვატრალური საქმის გამორკვევა საქართველოს დაბა-ქალაქებში, განზრ-

ხული ვავაყენა პროვინციებში აკადემიური დრამის დაისი და სხვა.

ამ ლოზუნგს ვამოყენებურა აგრეთვე ხელოვნების მუშაყათა კერძო ინიციატივაც. როგორც არასდროს წარსულ წლებში, ხელოვნების მუშაყათა კავშირის სამდივნოში შემოდის განცხადებები სხვადასხვა კოლექტივების შექმნის შესახებ პროვინციებში სამოგზაურით.

ცირკის მსახიობებს ბევრი დაბრკოლება ხვდებათ წინ, რომ მოახერხონ სოფლებში ჩვენება თავის ხელოვნების. მათ სჭირდებათ ბევრი ღვირაკების წაღება თან რაც წარმოადგენს სიმძნელს, თუ სხვა მსახიობთა დასები მზამზარეულ თეატრებში გამართვან თავიანთ წარმოდგენებს ცირკის არტისტებს უხდებათ თვით ააშენონ ასეთები სადაც მივლენ. მაგრამ საქმის სიყვარულმა სძლია სიმძნელე და მათ გადასწყვეტეს მოაწონ მოგზაურობა დაბა-სოფლებში, ამ შემთხვევაში პირველობა ეკუთვნის ტფილისის საზოგადოებისათვის კარგათ ცნობილ დონატოს რომლის ინიციატივით და პროექტით ოსტატმა გარაყანიძემ დაამზადა აპარატები და სხვა საჭირო მასალები. რომლითაც მოძრავი ცირკის მოწყობა ძლიერ ადვილდება. და ეს მისცემს საშუალებას განახორციელონ ცირკის არტისტებმა დასახული მიზანი, უჩვენონ სოფელს თავიანთი ხელოვნება.

ჩვენ უსურვეთ სხვა ხელოვნების მუშაეთაც აიღონ მაგალითი დონატოსაგან და მით გააფართოონ თავისი მიღვაწეობის ასპარეზი და მოიხადონ მოვალეობა სოფლის წინაშე.

ა. ჰ.



წინ შუაში პირველ რიგში სედან: კვიატკოვსკი, დონატო, კარლუს; მეორე რიგში შუაში სედან: ხელოვნების მუშათა კავშირის წარმომადგენლები ანხ. პოკროვსკი, ანხ. ჩოჩიევი, ოსტატი ბ. გარაყანიძე და ცირკის არტისტები.

## მ. კ. და ლ. ტანტის 25 წლის იუბილე.

5 მაისს შესდგება ცირკის მსახიობთა მ. კ. და ლ. ტანტის ცირკის ასპარეზზე მოვალეობის 25 წლის იუბილე. მშანი ტანტები ეკუთვნიან, იტალიის ძველ მეცირკეთა არტისტულ ოჯახს. მათი პაპა დიონის ფერონი

რონი ცნობილი ჯამბაზი იყო იტალიაში, რომელიც 30-მეტრის სიმაღლეზე ვადაქიმულ მეთეულის თოქუ თავისუფლად დანავარდობდა. ტანტების მამაც საჭაოდ ცნობილი იყო როგორც ნიჭიერი კლოუნი და ჯამბაზი.



ლ. ტ ა ნ ტ ი და კ. ტ ა ნ ტ ი.

1877 წელს ტანტი-ფერონის მთელი ოჯახი გადმოსახლდა რუსეთში. ქ. ოდესაში. ამ ხნიდან ისინი რუსეთის დიდ ქალაქებში გამოდიოდნენ ცირკის არენაზე.

მ. ტანტების პირველი დებიუტი შესდგა მაისს საკუთარ ცირკშივე, 1900 წელს. როდესაც კონსტანტინე იყო 11-ის და ლეო-მ წლის. ბავშვებმა ამ დღიდანვე



მოდრავი ცირკი. რომელიც გააკეთა ბ გარაყანიძემ დონაგოს პროექტით.

მიიქციეს ყურადღება. ბოლოს შეიქმნენ სატახტო ქალაქების ცირკების მსახიობნი, სადაც მათ, ზალხი ყოველთვის დიდის ალტაცებით იღებდა.

მათ შესცვალეს თავიანთი რეპერტუარის ენარი. და საზოგადოებას წარუდგინეს როგორც მუსიკალური კლოუნი—სატირიკოსნი. აი ამ ახალ დარგში გამოჩნდა წამდვილი მათი მოწოდება როგორც მსახიობების. მათი ნიჭი აქ შეუდარებელია. თავისებური-ორგანიზალური ჯანსაღი იუმორით.

ამას გარდა მშ. ტანტები არიან შექმნილ ავტორები. საუკეთესო პოლიტ-სატირისა:

„გენუის კომფერენცია“ „ფაშისტების ორკესტრი“.

„მოსკვის ტრაქტირი“. „ჩარლი ჩაპლინი“, „ცირკ კუვირაკომ“. და სხვა. რომლის ერთი საუკეთესო ამსრულებელნიც თვითვე არიან. მშ. ტანტები არ არიან ეწვრო პროფესიონალები. და ამიტომ ივინი ყოველთვის იღებდნენ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრების დარგებშიც. 1917 წელს ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, ტანტებმა მოსკოვში აქტიური მონაწილეობა მიიღეს „საერთაშორისო ცირკის მსახიობთა კავშირის შექმნა დაარსებაში. რომელშიაც მუშაობდნენ როგორც გამგეობის წევრნი და პასუხისმგებელი ხელმძღვანელები. 1919 წელს მშ. ტანტებმა ცირკისავე მსახიობთა დოღეი და ბომ-თან ერთათ გაატარეს მოსკოვის ცირკების ნა-

ციონალიზაცია. და დაინიშნენ სახელმწიფო ცირკების გეგ-განყოფილების გამგეობის წევრებათ. სახგანკომის „თეო“-სთან. ამასთანავე 1922 წლამდე ლ. ტანტი განაგებდა სახელმ. ცირკების სამხატვრო ნაწილს. მხოლოდ კონ. ტანტი სამწეოს. 1921 წელს მშ. ტანტებმა შეადგინეს „წითელი ცირკის“ პირველი მოძრავი დასი. ამხ. ლუნაჩარსკის საგანგებო მანდატით- სახგანკომთან შეთანხმებით, და ამ დასით მოაწყვეს მთელი რიგი ცირკის წარმოდგენებისა უკრაინის მრავალ ქალაქებში, ჩრდილოეთ კავკასიაში და ფრონტებთან ახლოს მდებარე ხაზებზედ. 1922 წელს მშ. ტანტებმა მიატოვეს რუსეთი და თავისი მოღვაწეობა გადმოიტანეს საქართველოს დედა ქალაქ ტფილისში. აქ მათ მოაწყვეს ცირკის მსახიობთაგან მშრომელთა არტელი. რომელნიც ამ ორი წლის განმავლობაში მუშაობენ ტფილისის ცირკში. აქაც როგორც ყველგან მშ. ტანტებმა იშვიათი არტისტიული ნიჭის წყალობით დაიამსახურეს ხალხის სიყვარული და პატივისცემა.

სამშაბათს 5-მაისს. მშ. ტანტები თავიანთი მუშაობის 25 წლის თავზედ, ერთხელ კიდევ წარსდგებიან ტფილისის საზოგადოების წინაშე, თავიანთი იშვიათი ბუნებრივი იუმორით და არტისტიული შესრულებით. რომელიც ყოველთვის მხატვრული გემოვნებით არის შეზავებული.

ვ. ბ.

მხოლოდ მაშინ როცა შრომა განთავისუფლებული იქნება კაპიტალისტურ უღლის-კან ე. ი. როცა პროლეტრიატი და მსობს კერძო მესაკუთრეებს, მხოლოდ მას შემდეგ როცა გაქრებიან კლასური წინააღმდეგობანი საზოგადოებაში, შელოცნება მიიჭრება თვისუფლებას.

# ლ. ვ. სოზინოვის ბასტროლები

## „ლოენგრინი“

ვაგნერი დრამატული მუსიკის უდიდესი გენიოსია და მასთან ერთად უდიდესი რეგულიციონირი საოპერო ხელოვნების სფეროში. გერმანელები ვაგნერის მუსიკას უწოდებენ „მომაველის მუსიკას“ გენიალურმა რეფორმატორმა საოპერო ხელოვნებაში მოახდინა უდიდესი გადატრიალება. მას ებადებდა მუსიკალური დრამის შექმნის იდეა, თვით სწერს ტექსტს და დრამის მუსიკასთან შეერთებისას სცილობს უკანასკნელი დაუშორებლად ტექსტს.

რომანტიული ოპერა „ლოენგრინი“ (1816 წ.) არის ხელოვნის-არტისტის მარტოობის ტრაგედია.

მას შემდეგ რაც დრეზდენის თეატრმა არ დასდგა „ლოენგრინი“ ვაგნერმა დაიწყო ოცნებობა ისეთ თეატრალურ და პოლიტიკურ რეგულაციებზე, როცა ხელოვნება არ იქნებოდა მხოლოდ შემღებელ კლასისათვის. მან მართლაც თავის მეგობარ დიდ რეგულიციონერ ბაქუნინთან ერთად მიიღო მონაწილეობა დრეზდენის აჯანყებაში, 1849 წ. მაისში, რომლის ჩაქრობის

შემდეგ ის იძულებული შეიქმნა დაეტოვებია გერმანია. ამ რეგულიციონერ პერიოდის განმავლობაში, როცა ვაგნერი იმყოფებოდა შვეიცარიაში, „ლოენგრინი“ დიდის წარმატებით სდგამდნენ გერმანიის ყველა ქალაქებში და ვაგნერი ეუბნებოდა თავის მეგობრებს: მალე მე ვიქნები, ერთადერთი გერმანელი რომელიც „ლოენგრინი“ არ უნახავსო.

„ლოენგრინი“ ლეინიდ სოზინოვის მონაწილეობით ეს არის საღვთისაწულულო სპექტაკლი. უკეთესი ლოენგრინი. ვინმე სოზინოვია, თავის ინტერპრეტაციით, სცენიური განსახიერებით და ვოკალური შესრულებით, არა თუ ჩვენში არც ევროპაში არავინ უოფილა. სოზინოვის „ლოენგრინი“ ეს აწის სასმელი რომელსაც სვამ და გიბრუნებს ახალაზრობას. როცა ისმენ სოზინოვის სიმღერას მაყურებელი დაცსტრავს ტბელ ხმებში და განიცდის უდიდეს სიხარულს და ასეთი შთაგონებელი სიმღერა, ასეთი ხმის სიღამაზე სოზინოვს მარად რჩება. ამაში არის სოზინოვის მარადი სიკაბუტის საიდუმლო.

გ. გავრაგავაძე

# პერიონის საკალბტო სტუდია

საკაბუყო დიდა, 26 აბრილი. ს. ს. აბურის თეატრი.

ქართული ხელოვნება მიდის აჩქარებული ტემპით: იწერება ოპერები, ჩნდებიან ახალბალი თეატრისაინო მომღერლები, ამასთანავე პარალელურად იფურჩქნება როგორც სადრამო ისე, პლასტიური ხელოვნება.

უდავოა ის ფაქტი, რომ ახლო მომავალში ტფილისს ეყოლება თავისი პირმო სახალეტო არტისტები.

მ. ი. პერიონი დიდი ენერჯის და სათუთი გემოვნების პატრონია, აღბად აწით აიხსნება ის ვარტეობა, რომ მისი მოწაფეების გამოფენას ყოველთვის უარტებელი ხალხი ესწრობა.

დღევანდელ დილის ხელმძღვანელობდა ნიქიერი ბალეტმისტერი ი. ი. არბატოვი. პირველად დაიდგა მ. გრემების ზაპარის ინსცენიროკვა: „ახუხუნი“. მთავარი როლები ასე იყო განაწილებული: დედა—ოპერის სახალეტო მსახიობი გ. ბარბუღაროვი; ბოროტი, მაგრამ შვენიერი ქალიშვილები: ლ. ჩიკვაძე და ლ. ბეგთაბევიშვილი; გრი—უ. ეჯუბოვი; პრინცი—ვ. ნადირაძე (ყოფილ ვრონსკი); პრინცესა—ნ. ჭუნიია და ფერია—მ. ბაუერი. ამათ შორის ჩვენთვის უცნობნი იყვნენ: ეჯუბოვი და ჭუნიია. მართალია, ამ ორ ახალგაზდას აქვთ სცენიური ვარტეონობა და მიმიკის ალო, მაგრამ ტენიკურ სოულყოფისათვის ჯერ კიდევ სათანადო მუშაობა დასკრდება.

დივერტისმენტში განსაკუთრებული ყურადღება და აბლოდისმენტი დაისაკუთრა. თავისი იშვიათი, პირდაპირ განსაკვირებელ, ტენიკით—ლილი ვგარამაძე.

რა კარგები იყვნენ: ლ. ჩიკვაძე და ვ. ბ. კაბუკიანი „ახალგაზდა პიონერების“ ცეკვის შესრულებაში. ეს ბედნიერი წყვილი უსათაოდ დიდ მომავლს გეჭაღის.

მაგრამ ამ დილის ღამაში ნობათი იყო მ. ბაუერი: გრიმი, ტრინისმოსი, მიმიკა და მოქნილობა ერთმანეთს ეჯობრებოდნენ.

რაც შეეება ლილი ბეგთაბევიშვილის თაირულ ცეკვას, უნდა ითქვას, რომ ასეთი ცოცხალი და სახასიათო, ცეკვა ბეგთაბევიშვილის ძალიან უხდება. მხოლოდ არ შეიძლება რეცისორს არ უყვასედუროთ, რომ ეს თათრული ცეკვა ძალიან შეეცეცილი დასდგა. ნიქერი ლ. ბეგთაბევიშვილის ტემპერამენტს კი მეტი ვასაქანი ესაკუროება.

დივერტისმენტში ახალი ნომერი იყო „ნეოსოლიტანური მებადური“. რომელიც დაკვირვებით და გრანობიერად შესარულა პერიონის ერთ საუკეთესო მოწაფემ შ. ნახაროვმა.

გაჩენილი სტეფანე. ჩვეულებრივად კახტად გაითამაშეს დამმა: ირა და დლო დოლქსიძეებმა. დლო აღექვით ვანსაკურებით მოგვეწონა დეკორში,

პატარებში აღასანიშნავნი არიან: ირა ალექსიძე, ს. ვეკუა, ქ. ნადირეი შვილი და თ: რამიშვილი.

პროგრამის გარეშე გამოვიდა გ. მურადოვი, რომელსაც სრულიად ნოულიდენელად დაიპყრო საზოგადოება თავის ლამაზი ცეკვით: მოზრდილ მოწაფე ვალებ შორის გ. მურადოვი (და აგრედვე ვახტ. ნადირაძე) საუკეთესო ძალის წარმომადგენენ პერინის სტუდიაში. მათი უნარიანობა იმაშია გამოიხატება, რომ თვითონ თან-

ტოლ ქალებს მოხერხებულად აცეკვებენ, რაც ასე ძნელია ხოლმე თვით საბალეტო მოზრდილ არტისტებისათვისაც კი.

ყველა დიდის გემოვნებით იყო ჩაქმული.

ამ მშვენიერი დიდის შთაბეჭდილება თითქმის გააფერმკრთალა იმ მოვლენამ, რომ წარმოდგენა დაიწყო ერთი საათით გვიან და საშინელი გრძელი ანტრაქტები იყო...

Sogri

# მხატვრული ლიბრეტო

მამს ბარბელ.

## მანის ყიყინა.

როცა მისში დინახა გამურულ მუშებს, ქალებს და გოგონებს, ფაბრიკებიდან რომ ბრუნდებიან, შენ გასახე მათ: ძმებო და დებო, ყველამ მიმოიხედეთ ირგვლივ.

მაგრად ჩასკიდეთ დაღლილი ხელები ამწვანებულ ხეების ტოტებს; მიწის სიხარული გულში ჩაიკარით უსურვაზივით დასრისეთ იგი.

მოსწოვით ტკბილი ყურძნისა წვენი! და წაილეთ თან გაზაფხული სახელოსნოში დღე მან გითხრას თქვენ: ჩემი გულისთვის უნდა იბრძოლოთ.

თარგ. გ. ვ.

## ჰამნი სოფელს.

მიყვარს სოფელი მშვიდი და წყნარი. მინდორ-ველები და მწვანე ყანა; როს გაზაფხული დაუეწყვარი მოდის და ხარობს შრომის ქვეყანა. როცა ინათებს და განთიადი ვადმოეშვება წითელ ფერებით, როდესაც დილა დგება მზიანი აღსასე ნეტარ მშვენიერებით და მზიარული მღერის ჩემი ქნარი! მიყვარს სოფელი მშვიდი და წყნარი.

სოფელი ჩემო! დროშა შეგებისა, აფორილე სულ მალა-მალა; მოდის გრივადი განახლებისა და შენ არა გწამს შრომაში დილა. ქვეყანა ვრცელი, თავისუფალი, მელგარი ფრენით მზისაქვ მიჰქრის;

ალარ აწუხებს რკინის უღელი, ალარ აწუხებს ზებნელი ფიქრი. და სიხარული გამართებს შენც ახლა... სოფელი ჩემო! დროშა შეგებისა ააფორილე სულ მალა... მალა.

აკევი ხმაურს, ყიყინას მელგარს მტერზე აღმართე ბასრი მახელი; შენში ძლიერი გულები ფეთქავს-ვერ შევაშინებს ავი ძახილი. წინ! გადალახე ბნელი ტყეები და მზე იხილე მთების გადაღმა; ღამის ბარდები უკვე ვადახმა, მოდიან შენთან შეგების დღეები! წინ! გადათილე შავი აჩრდილი აკევი ქალაქს, ყიყინას მელგარს და მტერს ჩაევი ბასრი მახელი.

შენსკენ კივილით მოდის მანქანა, მოდის წიგნები, მოდის გაზეთი; შენ არ გიხილავს ამგვარი ხანა, შენ არ გინახავს დრონი ასეთი. სიმამიერით უტვირთავ ურუმეს კირახულებით, მლეგარ ქალაქებს. რომელიც ქურას, გრდელს ამბაურებს და იარაღებს შენთვის აღაგებს! სოფელი ჩემო! ამგვარი ხანა, არვის უხილავს ჯერედ ასეთი; შენსკენ კივილით მოდის მანქანა, მოდის წიგნები, მოდის გაზეთი.!

დიდება შენდა! ცხოვრების წყარო! დიდება შენდა გლეხო მშრომელო! შენითა ცოცხლობს მთელი სამყარო, მლეგარ ზღვისაგეთ დაუშრობელო, მე ვესალმები შენს მიწურ-ქობებს, მე ვესალმები შენს შრომის შვილებს; რომელიც ღამის ფოთლებს ჩამოხებს ცაზე ანთებს წითელ აჩრდილებს.

ალ ონელი



**ტომ**—ჩინებული აზრია!

**რუფ**—თუმცა ეს საქმე თქვენ ცოტა ფულს აზრ დაგიკლებათ. შეიძლება გამოითვალათ.

მარკები—25 დოლარი, მიმართვა—ის უნდა დაიბეჭდოს—15, კონვერტები—6—დან 7 დოლარი, სულ 45—50.

**ტომ**—(ყოყმანით) 50 დოლარი?.. ჰმ (გადაწყვეტილი) კარგი მხოლოდ...

**რუფ**—რა?

**ტომ**—მე ვფიქრობ ქალაღდების დაბეჭდვანზე და იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ეიშოვო თავისუფალი დრო, რომ ეს სისრულეში მოვიყვანო.

**რუფ**—მომცემთ ნების, რომ ეს საქმე თქვენს მაგიერ მე მოვიყვანო სისრულეში? ხომ იცით, რომ მე ვაშაღდებ და კორექტურასაც ვასწორებ, ყველა იმ ქალაღდებს, რომლებიც ჩვენთან იბეჭედება. ამას გარდა, როცა საშუაო არ არის, მე თავისუფლად შემიძლია კანტორიდან წავიღო. ეს წაშართმებს ძალიან ცოტა დროს.

**ტომ** ნუ თუ მართლა?

**რუფ**—დიხ!

**ტომ**—მამინ არ ვიცი, რით გადავიხადოთ მადლობა. თქვენ ყოველთვის ყურადღებით მეპყრობით მე...

**რუფ**—ჰმარა! ნუ თუ არ გრცხვინათ?

**ტომ**—სიმართლე უნდა ითქვას, მე არც კი ვიცი, როგორ შემეძლო ასეთი საქმის შესრულება თავისუფალი დროც რომ მეშოვა.

**რუფ**—მისამართებს მე დავამზადებ.

**ტომ**—(წამოხტება) საქმეც ამაშია! ჰმ, მისამართები!

**რუფ**—როგორ?

**ტომ**—მხოლოდ ერთად ერთი საია არის კავშირის წვეკრების მისამართებით და ისიც ხაზინადარის წიგნშია.

**რუფ**—ნუ თუ ხაზინადარი არ გვათხოვებს მას?

**ტომ**—(ღიმილით) რომ კონელმა მომცეს ის?! კონელი ხომ ერთი საუკეთესო მეგობარია ფოლის.

**რუფ**—ისე რომ შეუძლებელია სის შოვა?

**ტომ**—კონელი ინახავს მას გამგეობაში, და როცა ის იქ არ არის იმ ოთახს, საცა ის ინახება, კეტავს და კლიტე თვითონ მიაქვს. მაგრამ ჩვენ მაინც ვიშოვით მისამართებს.

**რუფ**—ამ შემთხვევაში დროს დაკარგავ არ ღირს. ეხლავე ახვალთ ერთი საერთოლით ზეით ბუხვალტერიაში და სახოთე ჩემს მაგიერ მისს ო ბრიენს ქალაღდებს. დაიწყეთ მიმართვის შედგენა ხუთი წუთის შემდეგ მე ამოვალ თქვენთან და დაგეზმარებთ.

**ტომ**—არ ვიცი, როგორ გადავიხადო მადლობა.

**რუფ**—არა მადლობა, არამედ მოქმედება. დრო არც იმდენი გეაქვს. მამ, წადით! ხომ იცნობთ მისს ო ბრიენს?

**ტომ**—დიხ! (უნდა რალაც კითხვა მისცეს მას, მაგრამ ეწხლეება) ნება მომიცით ერთი კითხვა მოგცეთ, მისს, არნოლდ...

**რუფ**—რა?

**ტომ**—რატომ თქვენ, ასეთ ახალგაზდა ლამაზ ქალს, მისტერ ბასტერის ძმის წულს, რომელიც მწარმოებელია კავშირის თავმჯდომარეა, უნდა ვანიტერსებდეს ჩვენი კავშირის საქმეები?

**რუფ**—ეგებ თქვენ ფიქრობთ, რომ მე რალაც უყანა აზრები მამოქმედდეს?

**ტომ**—არა, ისრულიადაც არა! მაგრამ...

**რუფ**—რთო მერე, რომ მე ბასტერის, ძმისწული ვარ. მდიღრებს ყოველთვის ყავს ღარბი ხომ მართალია? ბასტერმა სიმდიღრე შეიძინა, მამა ჩემი მოკვდა სიღარბიში, და როცა დედა მომიკვდა მეც ისევე უნდა მომიკვებნა სამუშაო, როგორც ყველა თქვენგანი ეძებს. მეც მუშა ვარ და მანიტერსებს თქვენი ბედ-იღბალი. ამასთანავე მე უთანაგაძნობ თქვენს ბრძოლას ფოლის წინააღმდეგ და სულთ და გულთ შინდა დაგეზმარო ეს ისეთი გამბეღაობა თქვენი მხრივ! ისეთი მშვენიერება!

**ტომ**—(ემყოფილი) ნუ თუ მართლა თქვენში თანაგაძნობაა ჩემდამი?

**რუფ**—მე ვფიქრობ, თქვენ ამას ხეღავე, დროს ნუ კარგავთ მე ეხლავე მოვალ თქვენთან.

**ტომ**—ეხლავე, ეხლავე (გადის გაჩქარებით)

**რუფ**—(ჯღდება და სწერს, ტელეფონი რეკ) ალო! მისტერი დრისკოლე არ არის, ვინ კითხულობს? ის მწარმოებელია კავშირის კომიტეტშია, კარგი (რალაცს იწერს ბლოკ-ნოტი) იქნება შესრულებული.

**დრისკოლე**—(შემოიღის) დაბალი და მსხვილი, პატარა ფეხებზე, რგალი მოპარსული სახით, სათეღეებში. ეშმაკმა წოილოს, ეშმაკმა! (ბრაზით დაღვებს პორტუელს მაგიღაზე და ოთახში ღარბის)

**რუფ**—ა, მისტერ დრისკოლე! მე თქვენ არ გვლოდით ასე ჩქარა! ნუ თუ სდროს დაასრულა?

**დრისკოლე**—რა ეშმაკებისთვის ზენინდა სდრომა, მე სრულიადაც სდრომაზე არ ვყოფიღეღა. ამ ფოლმა კიღეე მომიწყო ოინი.

**რუფ**—რაო?

**დრისკოლე**—შემთხვევით ჩემთან მუშაობღეთ თურმე ორი მშოერი, უბედური ადამიანი, რომღებ-საც არ ქონეღათ კავშირის ბოღეთებე ეგრეთ წოღრღებელი სეღებები, ფოლს მუღმშენეღია, მოუხსნია ისინი სამუშაოღან და გუშინეღე გამოა-ცხღა და რომ მიმეცა ათასი დოღარი, წინა-აღმღდე შემთხვევაში გამოეცახღებდ ერთი კეღრის ზაღიღეღასო.

**რუფ**—მერე და?

**დრისკოლე**—რა ღღა? უბრალო ანგარიში ჩემთვის ზღღ-საყრელი იყო იმ ეღამთ მიმეცა ათასი, ვინემ ათი ათასოღით დაემეღრეღა.

**რუფი**—ნუ თუ ასეთი საქმეებისათვის არ შეიძლება ძის პასუხისგებაში ოქნას მიეცეღო?

დრისკოლ—ვეცადე... მინდოდა... სწორეთ ამისათვის ვიკავი ეხლა, მაგრამ საბუნდუნოო ჩქარა მოვიფიქრე, რომ ეს უმიზნო იქნებოდა... ყველაფერი ეს კეთდება მოწმეების გარეშე.

რუფ—ეს სასიზღრობა!

დრისკოლ—დიანახ რომ სასიზღრობაა ეხლა კი უნდა დავეწრო მოხსენება.

რუფ—მე თქვენ ხელს არ შევიშლით.

დრისკოლ—დიდათ გმადლობთ, გთხოვთ გასკეთ განკარგულება, რომ არაჟინ შემოუშვათ.

რუფ—ქარგი. (გადის, მოისმის მისი ხმა) მისტერ დრისკოლს დრო არა აქვს და ვერაჟინ მიიღებს.

ფოლის ხმა—ჩემს გარდა მისს.

რუფ—განსაკუთრებით თქვენ, მისტერ ფოლ.

ფოლი—ჰო, თუ ეს ასე არის, მაშინ მე ვეპალეები (შე-მოდის) დღე მშვიდობისა.

დრისკოლ—(ბრაზით) თქვენ გზონი გითბრეს, რომ მე დრო არა მაქვს.

ფოლი—სრულიად სიმართლე!

დრისკოლ—მე არ ეზუმრობ (ზურგს შეაკეცეს და განაგრძობს წერას).

ფოლი—(ფეხს ფეხზე გადადებს) უნდა იცოდეთ, რომ შეტს თქვენთან ვერ მოვალ, თქვენთან ფრიად

საქირო საქმეზე შექონდა მოსალაპარაკებელი. დრისკოლ—კიდევ რა? ეგებ ცოტა თქვენთვის ათას დოლარი, რომელიც მომტაცეთ?

ფოლი—ჰმ, ეს ხომ თქვენს სასარგებლოთ ექნის.

დრისკოლ—გთხოვთ საქმეზე ელაპარაკოთ გიმეორებით, რომ მე დრო არა მაქვს.

ფოლი—უპირველეს ყოვლისა მოველო, რომ მადლობა მოგიძღვნათ თავის დროზე გადახდის გამო.

დრისკოლ—სხვა კიდევ?

ფოლი—სხვა, ის რომ... (მიდის კართან მიაყურებს, შემდეგ დაკეტს კარს). მინდა ცოტა გესაუბროთ ეტყინის შერობის შესახებ.

დრისკოლ—(ამოიღებს ჩეკის წიგნაკს და უნდა ჩეკის დაწერა). რამდენი გნებავთ?

ფოლი—როგორ მე გეტყვი, თქვენთვის ერთი სენტატი არ ეთიკება, სულ უფასოთ, როგორც სარწმუნოება.

დრისკოლ—მე კი თქვენ გითხარით, რომ არა მაქვს დრო.

ფოლი—საქმე შექმნა, თქვენც კმაყოფილი ხართ თუ არა ათისათვის?

დრისკოლ—თქვენი ეს რა საქმეა?

ფოლი—შესაძლოა თქვენ სხვას აიყვან, მისტერ დრისკოლ, როგორცს შეეფერება კეთილ აღამიანს.

(გაგრძელება იქნება)

# ბუგათა კლასი და ხელოვნება

## თეატრალური ხელოვნების კრამტიქისათვის.

(წერილი სამტრედიიდან)

ბევრი ლაპარაკი არ არის იმის შესახებ საქირო, რომ პრევიციის დაბა-ქალაქებში თეატრალური ხელოვნების პრესტიჟი ეცემა.

რა არის ამის მიზეზი?

მიხეხები ბუგათა: ზოგის აქ დასხვლება აუცილებელია, რაჟანგ ყველაფერს დამტკიცება სჭირდება. მინამ თოვლი და სიცივეები იყო, მანამ ყველა სასლში იყო მოკრუმხული და არაჟინ არ ებრალეობდა არც სკენა და არც საერთოდ ხელოვნების საქმე, მაგრამ, გაზაფხულდა გათბა ამიდები, ხალხს სიარული არ ეზარება და ევიინ-დარები შეუდგენ სამზადისებს წარმოდგენა-სალამოების გასამართავად. სამტრედიის ყოველ უბანში დაიწყო ისეთი საქმიანობა. ისეთები კისრულობენ დასის ხელმძღვანელობას რომლებსაც თეატრზე წარმოდგენაც არა აქვთ.

იღებება დრომოკმული პიესები, ისიც უბრალო ვიდეოლები, როგორც არის: ორი მშვიერი, ტიპოთეს

ლევი, საუბედურო დებიუტი, მიედივართ-პოზიციებზე, კუდიანი ვარსკვლავი და სხვა.

იმის მაგივრად, რომ იღებებოდეს რეპოლიუციონური და ქართული ყოფა-ცხოვრების ამსახველი პიესები, რომელიც წარმოდგენენ ცხოვრების საჩქეს.

მუშის ან გულხს რომ კითხობთ, როგორ მოგწონს თეატრი, როგორ შთაბეჭდილებას ტოვებს შენზე; ასე გიპასუხებენ: თუ კაცი ხარ თავი დამანეწე, მასხარაბის შეტი არაფერი კეთდებაო, იმისთვის ფულს როგორ დე-ბარჯავო.

საქიროა ამ არანომრალურ მდგომარეობას ბოლო მოეღოს და უპასუხისმგებლო და უფეცი პირებს აეკრება-ლოს წარმოდგენების მართვა, და მათ ნაცვლათ გაძლიერებული იქნას ნამდილო საქმით დაინტერესებული პირებისაგან შექმნილი ღრამ-წრეები.

ხელკარი ა. მამფორია.

# მუშათა ცენტრალური კლუზი.

კვირის 12 აპრილს ტუ. საქონ. სადგურის სამხატვრო სალიტერატურო წრის მიერ გამართა ა. ყაზბეგის „ელენორას“ ლიტერატურული გასამართლება. სასამართლოს შემადგენლობაში შედიოდნენ: თავმჯდომარე კ. მახარაძე, მდივანი მ. მახარაძე წევრებათ გიორგაძე და ა. ჩიგოგიძე, ბრალს სდებდა ზ. კემულაია, იცავდა ე. გაბილაია. აუდიტორიიდან არჩეულ იქნა 7 მსაჯული, 5 კაცი და 2 ქალი. პროცესი დაიწყო, თავმჯდომარემ შინაარსის გასაცნობათ სიტყვა მისცა მსახ. ე. კობულს, რომელმაც დაწერილებით გადასცა აუდიტორიას რომანის ყოველივე წერილობრივი ციწაიხუბლ იქნა საბრალმდებლო ოქმი. სიტყვა მიეცა ზ. კემულაიას, რომელმაც ვერ მოიყვანა საკმარის მოტივები ელენორას ბრალდებულად ცნობისათვის, თუმცა ელენორას გამართლება

ყოვლად დაუშვებელია და მიუღებელი, მაგრამ დამცემმა ყოველი ღონისძიება იხმარა, მან მსოფლიოდან მოიყვანა მავალითები მის და საცავად, მისი გადმოცემა მეტად ლამაზი და დამაინტერესებელი იყო, მაგრამ როგორც ყოველთვის ელენორა მაინც დამნაშავედ იქნა ცნობილი.

გასამართლების შემდეგ იმავე დღემწრის მიერ ე. კობულის ხელმძღვანელობით დაიდგა I და III მოქმედება „ელენორა“. პიესა კარგად ჩატარდა. კარგები იყვნენ: ქალი ანა (ელენორა) ქვარელი (ასლან გირი) ლარიანი (ლევან კრეკიაშვილი). დანარჩენებიც ხელს უწყობდნენ პიესის მსვლელობას. საერთოდ საღამო შინაარსიანი იყო და ხალხი კმაყოფილი დაიშალა.

3. კ. ლ...  
...  
...  
...

# გორის რკინის გზის მუშათა კლუზი.

გორის რკინის გზის კლუზი წაშენდა მუშა-მოსამსახურთა ენერგიულ დახმარების წყალობით.

საკლუბო მუშაობა, როგორც იგი ჩვენ გვესმის, მასში არ წარმოებულა. ჩვენ ვაზნობთ სხვა და სხვა წრეების მეკადინეობაზედ, ლტყვიებზედ ერთი სიტყვით კულტურულ-მეცნიერულ მუშაობაზედ. ამას რასაკვირველია თავისი მიზეზები აქვს. ერთ-ერთ ასეთათ უნდა ჩაითვალოს შესაფერ ხელმძღვანელების, ინსტრუქტორების, ერთი სიტყვით კულტ-მუშაკების უყოლობა. კლუბის მუშაობა იყო უმთავრესად სახელოვნობისათვისა. სახელობრ, მუშაობდა დრამატური წრე.

მას შემდეგ რაც კლუბის ხელმძღვანელად დაინიშნა მსახიობი ზ. გრემი. მიუხედავად იმისა, რომ სცენის მოყვარენი დაავადებულნი აღმოჩნნენ ულისციკლინობის ჩვეულებრივ სენით, მაინც მან შესლო მუშაობის გატხოველება.

შედარებით იმ მოკლე ხანთან, რომლის განმავლობაშიც წრეს მოუხდა საქმიანობა 1924 წელში, და იმ დაბრკოლებასთან როგორც იყვნენ მაგალ. კლუბის შეკეთების, ზამთრის სუსი და სხვა, წრის მუშაობა საკმაო ნაყოფიერი იყო. მაგრამ რასაკვირველია ამით დამყოფილება, ერთ წერტილზე გაჩერება შეუძლებელია მისწრაფება ახლისაკენ, უკეთესისაკენ, უნდა ახასიათებ.



გორის რკინის გზის მუშათა კლუბის ხელმძღვანელი ზ. მ გ რ ი.

დეს ყოველთვის, და მომავალში ჩვენ უსურვებთ მას უფრო ნაყოფიერ საქმიანობას, უფრო შემოქმედებით მუშაობას.

ხელკორი ე. დონჯაშვილი.

# თ ე ლ ა ვ ი ს თ ა ე ტ რ ი .

თელავში ისტორიულად არ არის თეატრის საქმე მოწყობილი მაგრამ ამ ბოლო დროს ბედმა გაუღიმა ქ. თელავის მცხოვრებლებს, მასწავლებლის, პარტკომის და მთელი თელავის მასწავლებელთა გულშემატკივარი საზოგადოების დახმარებით დიიწყეს თეატრის საქმე და როგორც იქნა დაიშთავრდა.

რაც შეეხება ძველ კლუბებს აქ ფრიად არასასურველი მდგომარეობაა. გამოცხადდება ფიშაზე. წარმოდგენა დაიწყება 8 საათზე, დაიწყება 10—11 საათზე ეს არაფერია. დაიწყება პირველი მოქმედება ცოტა ყურადღება არის მეთრე და მესამე მოქმედებაზე კი დაგვიფაროს „აღახმა“ იმისთანა ამბავია. ლაპარაკი ახალგაზრდა ქალ-ვაჟს შუა ხმა მალა. ავტო თხილის კამა. მოვა ვიღაც მთვრალი არც ბილეთი აქვს, არც უნდა შეიძინოს რაზ-რაზ-რას კარებზე გაქვს რიხინი ყვლას გულს უსკდება რადგან გულ დასმენით ისმენდნენ წარმოდგენას. თუ სთხოვე, რომ მოქალაქე ამ ამხანაგო წყნარათ წარმოდგენა მიდის ეხლა და არ შეიძლებაო, იმას ის არ ესმის.

მოქმედების მსვლელობის დროს თუ ვინმე იცნობს მოთამაშეთაგანს აუდიტორიიდან დაუძახებს ხოლმე ვი ბიჭო მიშა, გიორგი ან თუ რა ერქმევა სახელი ბრავო ბრავო და სხვა.

საერთოდ წარმოდგენები იღვებება ხშირად არიან ძალები მაგრამ არ თამაშობენ, რომ მათ თამაშს არ აფასებენ. ასეთი საქციელი როგორც არის აღნიშნული ზემოთ ხშირია, რომ კარგი პიესა იღვებება და არ მოდიან ხალხი ენაიდან კლუბებში უწესრიგობაა. მხოლოდ თუ ვინმე ჩამოვიდა აკრობატისტი ან არწინ-მალაღანი მაშინ საესვა ხალხით კლუბი. თუ რომ ამ მდგომარეობამ გასტანა ასე ყოველდღე შეუძლებელი იქნება სცენის მოყვარეებისათვის.

კლუბებში უწესრიგობის ტრადიცია შექმნილი და ძნელაა მისი გამოსწორება, მაგრამ ყოველი ღონე უნდა იქნეს მიღებული რათა ასეთი არ გამეორდეს ახალ თეატრში, რომელიც გაიხსნება 1 მაისს. უკიდურესი ზომები უნდა იქნეს მიღებული, რათა წესრიგის დამრღვევნი ისჯებოდნენ.

დ. გ. ი.

## სამბტრადის რეინის გზის მუშათა კლუბი.

შაბათს ოთხ აპრილს სამტრედიის რეინის გზის მუშათა კლუბში, რეინის გზის დრამატულ დასის მიერ, ამავე კლუბის წევრებისათვის დადგმულ იქნა უფასო წარმოდგენა. დადგეს პიესა „ციმბირული.“ პიესა თანამედროვე სცენაზე და განსაკუთრებით მუშათა კლუბში დასადგმელათ არ არი მისაღები. პიესა არამც თუ ეხლა, ათი წლის წინ უნდა ჩაბარებოდა არხის, ციმბირელის როლში ლევან ბუაძე ვერ იყო კარგი: 25 წელიწადია კაცი ციმბირშია, ციმბირიდან ფეხით მოდის, მაგრამ მას არც ხმაზე და არც რამზე ეტყობოდა გადასვავფერება. ნარეიზის როლში ქ. ვაჩეჩაძემ კარგი იყო, ნიკოლას

როლში მიხა კვარცხავიდან უფრო მეტს მოვილოდით პეტრუს როლში მსახიობი იოსებ თარალაშვილი კარგი იყო, მხოლოდ მეოთხე მოქმედებაში გადააქარბა, მასუთიანის როლში სტ. შენგელია ვერ იყო კარგი. საერთოდ მასუთიანისებურ ტიპებს შენგელია კარგად ახასიათებს, მხოლოდ ამ ღამეს ვერ შეასრულა კარგად. მისამსახურე გოგოს მამოს როლში მარო მიქელაძე კარგი იყო, სტეფანი-მაკარიის როლში ჩაჭა ვარგი იყო, მხოლოდ ბოლო მოქმედებაში პეტრუსაგეთი გადააქარბა. დანარჩენებიც პიესის მსვლელობას ხელს უწყობდნენ.

ა. მიმფორია.

## პროფმოკრაობა და სელოვნება

ხილოვნების მუშათა ქავშირის 5-ე პრილოვაზე მიღებული საწინანდო საპირთხმების თეხისები.

### ა) საწევრო და სხვადასხვა გადასახადები.

1) ქავშირის წევრთა საპროცენტო ანარიცხის მაქსიმუმი უნდა დაწესდეს სამი პროცენტი, რომელიც ნაწილდება შემდგენიართა: 2 პროც. ქავშირის სალაროში,

ნახევარი პროც. უმუშევართა ფონდში და ნახევარი პროცენტი საურთიერებო დამხმარე სალაროში. ეს უკანასკნელი უნდა გატარდეს დამხმარე სალაროების წევრთა საზოგადო კრებაზე.

21. ზოგიერთ ადგილებზე ხშირად აღიღებენ გადასახადების რაოდენობას, რომელიც ხანგრძლივი ხასიათი აქვს და რაც მძიმე ტვირთად აწევბა კავშირის წვევრის ბიუჯეტს. ეს მოვლენა ყოველად დაუშვებელია, საპროცენტო და სხვა ყოველგვარი გადასახადი არ უნდა აღმატებოდეს დაწესებულ ნორმას 4 პროცენტს.

**ბ) ფონდები:**

3. ყოველგვარი ხარჯების წესიერად წარმოებისათვის, კავშირის ყველა ორგანოებში დაცული უნდა იყოს ხარჯთ აღრიცხვის წესი.

4. ყოველგვარი ხარჯთ-აღრიცხვები დამტკიცებულ უნდა იქნეს ცენტრალური გამგეობის ან პრეზიდიუმის მიერ.

5. უარყოფილ იქნას კავშირის ფონდიდან სესხად გაკეთის წესი. რადგანაც ასეთმა წესმა წარსულში უარყოფითი შედეგები მოგვცა. სესხი მიეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პრეზიდიუმის ყველა წევრთა დასტური იქნება.

6. კავშირის აპარატის შენახვა 2 პროც. ანარაღიცხვებით, შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც შემუშავებული იქნება გეგმიანი ხარჯთ-აღრიცხვა. უნდა დაცული იქნას კავშირის საშუალებათა ეკონომია. გადიდდეს საშუალებანი ხელოვნების დღეების გამართვით. უშუალოდ წევრებს უნდა მიეცეს შესაფერის დახმარება.

7. უნდა გამოამუშავდეს დრო საფინანსო ვალდებულებათა შესასრულებლად კავშირის წინაშე, ეს დრო სასტიკად უნდა იყოს დაცული.

კავშირის წევრისათვის დრო უნდა განისაზღვროს სამი დღით, ღლიან ჯამაგირის მიღებისა, ადგილკომებისათვის 2 დღე.

8. უნდა მივიღოთ მხედველობაში უმუშევრებზე გაცემული დახმარების განსაზღვრა და გაეფართოვოთ იგი შევლებისდაგვარად.

9. დახმარების საუფეთესო ფორმით უნდა ჩამთვალოს ურთიერთ დახმარე საღაროები. გამგეობამ თავის მხრივ უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ თავის დროზე შემოტანოთ იქნას საწევრო გადასახადი და გაცემული სესხი.

10. საღაროს მოქმედებას ხელშეწყობის ცენტრალური გამგეობა. საღაროს მინიჭებული აქვს ფართო შესაძლებლობა ინიციატივის გამოსახენად და თვითმოქმედების განსავითარებლად.

**სელაოვნების მკაცრად პროფკავშირის მკსუთუ კრიდი აბაზე მიღებული რეკომენდაციები:**

**I.**

**სარქლიად სკავშირა ც. კ. მუშაობის შესახებ:**  
(ინფორმაცია ამხ. ვალდებისა)

მოისმინა რა ხელოვნების კავშირის ც. კ. წარმომადგენლის ამხ. ვალდების საიმპროპაციო მოხსენება ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ და მომავალი პერსპექტივები, საქართველოს ხელოვნების მუშაკთა მე-5 ყროლობა ცენტრალური კომიტეტის ჩატარებულ

ნაყოფიერ მუშაობას ეთხმად იწონებს, ყრილობა საიმპონებით აღნიშნავს ც. კ. მთავარ სახელოვნო საქმეთა სამს. კოს შექმნას, რომელიც ახლო მომავალში მოეწყობა, ყრილობა აღნიშნავს ც. კომიტეტის იმ მქიბრო კავშირის ადგილებთან, რომელიც თავდებია ხელოვნების მუშაკთა გაერთიანებისათვის ცვეას ხელშეწყობენობით.

აღნიშნავს რა მე-5 ყრილობა ყურნალ "ხელოვნების მუშაკთა უწყების" რეორგანიზაციას, იმ მხრივ, რომ ყურნალი მიუდგა მასის საქირ-ბანიროს საკითხებს, ყრილობა აუცილებელ საკიროდ სცნობს ყურნალში გაენახა განყოფილება ამირ-კაკეასის ხელოვნების მუშაკთა კავშირისათვის, სადაც მოთავსდება ცნობები და წერილობითი ხსენებულ რესპუბლიკათა ხელოვნების კავშირის მუშაობისა და ცხოვრების ხესახებ. ამასთან ერთად ყრილობა მოუწოდებს ხელოვნების მუშაკთ ხელი შეუწყო ყურნალის გაერცელებას ხელისმოწყობით და აიყენონ სრულ 100 პროცენტამდე.

**II.**

**საქ. ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის მუშაობის შესახებ.**  
(ამხ. ქუროდის მოხსენება)

საინვარიშო წლის განმავლობაში ცენტრალური გამგეობის მუშაობას მე-5 ყრილობა, სოვლის სრულ დასაკმაყოფილებლად და აღნიშნავს საკულტურო მუშაობის და შრომის ნაყოფიერებას გაზრდის დიდ მიღწევებს.

ყრილობას აუცილებელ საკიროებდ მიანიჩა ადმინისტრაციულია და პროფესიონალი რფქციების განსაზღვრა და ამავე დროს მათი კონტაქტით მუშაობა. ყრილობა საკიროდ სცნობს ფართო მასის მესამალურ ჩაბმას საკავშირო და საზოგადო მუშაობაში, რისთვისაც უმთავრესად უნდა დაეყაროს უმაღლეს კავშირებისა და სრულიად საკავშირო ორგანოების დირექტივებს. უნდა ვაძლიერდეს მუშაობა ადგილებზე როგორც წერილობით და მოკიდებულებით ისე პრეზიდიუმის წევრთა დათვალეებით. ყრილობა საიმპონებით აღნიშნავს ლიტერატურათა და ხელოვნათა ჩაბმას საკავშირო მუშაობაში და საკიროდ მიანიჩა მომავალში ამ მხრივ გაგრძელებ მუშაობა.

მომავალი ცენტრალური გამგეობის ყურადღება მიქცეული უნდა იყოს ხელოვნების მუშაკთა შრომის პირობებზე, შრომის ნაყოფიერების გაზრდის მიზნით და დაცული უნდა იყოს შრომის ეანონა კოდექსი—(დასაცემბელი დღეები ორშაბათები), მიღებულ უნდა იქნას ზომები კავშირის ფინანსიური მდგომარეობის გასამტკიცებლად ადგილკომების საშუალებით და წესიერი მოხილა გამოცეხილოს საწევრო გადასახადების შემოუტარებლობას. უნდა გაეხვეყლდეს მუშაობა ქალთა და ახალგაზრდათა შრომის მათი საკავშირო და საზოგადო მუშაობაში ჩაბმით.

საკუთარი ორგანოს, ყოველკვირეული ყურნალის "ხელოვნების" გამოცემას, ყრილობა სთვლის დიდ მიღწეულ კულტურულ ფრონტზე, იწონებს ყურნალის გეხს—ამავე დროს ყრილობა აჯღლებ მომავალ გამგეობას განსაკუთრებულად ადგილკომების საშუალებით და წესიერი მოხილა მის მასსათთან დაახლოებას, რისთვისაც უნდა შეიქმნას ძლიერი ფონდი, რაც უწყვეტლად გაუუმჯობესებს ყურნალს და უზრუნველყოფს მის სისტემატიურად გამცემას.

# ქ რ მ ნ ი ბ დ

## ს ა მ ა რ თ ვ ა ლ ლ

**რაღიო ანძა შრადის სახალის სახურავზე.** პროფსაბკოს კულტგანყოფილება დღეს პირველ მაისის შრომის სახალის სახურავზე სვდამს რადიო ანძას. შრომას სახალის დიდ დარბაზში მუშებისათვის გაიმართება რადიო კონცერტები, რომელსაც მიიღებენ კომინტერნისა და ევროპის რადიო სადგურებიდან.

**ქართულ არტიტა კორპორაცია დღევანდელ დასწყეიტა,** აღძრას შუამდგომლობა, რათა ქართული სტენის მაღალნიკიერ და დიდად დამსახურებულ მსახიობ ქალს მკო საფაროე-ანაშვიდის მიეცეს არსებული სახალხო არტიტის სახელწოდება.

**წითელ თეატრში.** ვახტანგ გარბაკის რეჟისორობით 26 აპრილს წითელ თეატრში დაიდგა რომენ როლანის პიესა „ბასტილის აღება“. მის შესახებ რეცენზია იქნება ჩვენი ურნალის შემდეგ ნომერში.

**სიბინოვის გასტროლები.** სპეშაბათს 28 აპრილს საოპერო თეატრში დამთავრდა სახალხო არტიტის სობინოვის გასტროლები, მისი მონაწილეობით გაიმართა ექსი სპექტაკლი. ხალხი ყოველთვის მრავლად ესწრებოდა.

**„ფაუსტი“ სიმუხრად.** 29 აპრილს სხ. ოპერაში პირველად სიმუხრ ენაზე დაიდგა ოპერა „ფაუსტი“.

**ვარდინის მოხსენება.** ორშაბათს 27 აპრილს პროფ.კემირთა დარბაზში ამხ. ვარდინმა წაითხა მოხსენება ლიტერატურაზე, მოხსენებას ბევრი ხალხი დაესწრო და გამოიწვია ცხარე კამათი რომელმაც გასტანა ლანის ორ საათამდე.

**კიევის „დუმკას“ კონცერტები.** კიევის კაპელა „დუმკამ“ რუსთაველის თეატრში გამართა რამდენიმე კონცერტი; კონცერტები დასწრული საზოგადოებაში აღდროვნებას იწყვედა.

**ახალი კინო-სურათი.** საქ. სახინმრეწვი ამ დღეებში გამოუშვეს ახალ კინო-სურათს „საათმა დაკრა“ დადგმა რეჟისორ ბარსისა. მთავარ როლებში გამოიღა—კლემენტარა ჯამი და ქიაურელი.

**სოფრომ მაღლობლიშვილის-ავადმყოფობა.** დამსახურებული მწერალი ს. მაღლობლიშვილი მეშვიდე თვეამდე ავად არის ყელის ანთებით.

**სეზონის დასრულება.** ტფილისის ყველა თეატრებში უკვე დასრულდა სეზონი.

**გვონ პეტრის გასტროლები.** ტფილისში დაწყოს სახელგანთქილი პინისტის გვონ პეტრის გასტროლები: მან სამი კონცერტი უკვე გამართა მკრე თეატრის დარბაზში.

**„სასკრიპო ტენისის ხელეწევა“.** ტფილისის სხ. კონსერვატორიის მასწავლებელმა გროსმანმა დაამთავრა თავისი შრომა „სასკრიპო ტენისის ხელეწევა“ რომელიც კონსერვატორიის საბკომ მოიწონა.

**სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში** 4 მაის პროფ. ხელიონი მართავს კონცერტს თავის კლასას ლაზბ სტუდენტთა სასარგებლოდ.

**ურნალი „მნათობა“.** გამოვიდა ურნალი „მნათობა“ მორივე № 3 (11).

**პროფ. შალვა ნუცუბიძის მოხსენება პროფ. შალვა ნუცუბიძის მოხსენება,** რომელიც უნდა გამართოლიყო 29 აპრილს „ტარ“-ში თემაზე: „ქართული ინტელიგენცია და საბკოთა ხელისუფლება“ გადიადო. დღეცალკე იქნება გამოცხადებული.

**ბაჩანას ახალი პოემა.** აპრილის 26-ს, ხელოვნების სასახლოში პოეტმა ბაჩანამ წაითხა ახალი ორიგინალური პოემა წაწლობა. პოემა „მეტად ორიგინალურია, როგორც სიუჟეტით ისე არქიტექტონიკით. დაწერილია რეალისტურ მანერით და ასახავს ფშველ ყოფის და ტრადიციის შინაგან რეველიუციას. პოემა გამოვა ცალკე წიგნათ. 250 გვერდი.

## რ უ ს მ ი ი

**ვალერი ბრიუსოვის, სახელობის ინსტიტუტი.** ვალერი ბრიუსოვის სახელობის სამხატვრო-სალიტერატურო უმაღლეს ინსტიტუტში მუშაობა თანდათან უფრო ცხოველდება. გარდა სამეცნიერო სემინარების კვირაობით იმართება დისკუსიები სხვა და სხვა საკითხებზე, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ვარემე პირნიცი ამ ხანებში მოხსენებებით გამოვიდენ შკოლეცი თემაზე: „ფორმალური მეთოდი“, და ლეღვიჩი — „მარქსისტული კრიტიკის ძირითადი პრინციპები“ მოხსენებებმა გამოიწვეს ცოცხალი ინტერესი.

**გამოფენა.** მოსკოვში ა. ბარუშინის სახელობის სხ. თეატრალურმა მუზეუმმა მოაწყო ვ. ფედოტოვის სლოენის საპატიეცემლო გამოფენა. გარდა უმდიდრესი მეთონგრაფიისა აქ შეკრებილია მთელი რიგი საზოგადო მოღვაწეთა და ლიტერატორთა და მსახიობთა წერტილებიან განსვენებულ ფედოტოვთან.

■ **“მსკოველი მხტვრები:** ამას წინაღ მხატვართა საზოგადოებამ „მოსკოველი მხატვრები“ გამოსცენ დეკლარაცია, რომელშიც თავს აცხადებენ სინტეტურებათ.

■ **ლუნჩარსკის წიგნი თეატრზე.** რუსეთის სახელგამმა გამოცა ა. ვ. ლუნჩარსკის წიგნი: „თეატრი და რევოლუცია“. წიგნში ორი ნაწილია: 1) თეატრი რევოლუციის შემდეგ და 2) ძველი თეატრი. მერვე ნაწილში მოთავსებულია მთელი რაგი ავტორის თეორეტიული შრომებისა თეატრის საკითხების შესახებ.

■ **მოსკოვის მცირე თეატრი.** მცირე თეატრის ზამთრის სეზონი იხურება 1 მაისს. თეატრის დასი ზაფხულის განმავლობაში მოაწყობს გასტროლებს სხვა და სხვა პრაოვისციებში.

■ **სამხატვრო თეატრი.** მოსკოვის სამხატვრო თეატრის სარეპერტუარო კომისიის მიერ მომავალ სეზონში დასადგმულად მიღებულია ესილის „მიჯაჭვული ამირანი“. ამირანის როლს შეასრულებს ვ. ა. კახლოვი. დაუმთავრებელ ნამუშევრებიდან მომავალ სეზონისთვის გადატანილია „მუხრანელ გული“ ისტროვსკისა და პუშკინის—„ტუჩენ რაინდი“ და „ქეის სტუმარი“.

■ **შალაინის სახელობის სტუდია.** დაწყებულია მუშაობა სინკერის პიესის „ადრღებული ქოთანის“ დასადგმულად. რეჟისორად მიწვეულია ა. დიცი.

რეჟისორი დისკოსკი აწარმოებს მუშაობას ოპერეტა „აგეიშას“ დასადგმულად გადამუშავებული სახით.

■ **ერნსტ ტოლერის მოსკოვში.** ცნობილი გერმანელი დრამატურგი ერნსტ ტოლერის ამჟამად იმყოფება აღმოსავლეთში საიდანაც პეტინთ გამოვიღის მოსკოვში მაისში.

■ **ახალი თეატრი.** მოსკოვში გაიხსნა თეატრი სახელწოდებით „დღეს“, რომელსაც ხელმძღვანელობს ვ. ბასი.

თეატრი მიზნად ქსახავს საბჭოთა ყოფა-ცხოვრების ასახვას.

■ **„ერმიტაჟი“.** თეატრი „ერმიტაჟი“ გადავიდა შრომის კოლექტივის პირობებში. თავმჯდომარეთ არჩეულია რადინი, გამგეობაში—ზოკოვი, ლანსკი და როზანოვი.

■ **5. ფორევერი.** მოსკოვის „ელურჯი ხალათის“ კოლექტივების მიერ არჩეულია საპატრიო „ელურჯხალათიანი“.

**ი გ ზ ლ ი ს ი.**

■ **ბერნად შოუ.** ირლანდიურ დასის დირექტორის მმართველ პასუხის მიერ გამოწვეულ გაუგებრობის გასაწდავად (რომელიც ზენს უერნალშიც იყო მოთავსებული და რომელსაც ევროპის პრესა ახიდა როგორც შოუს პიესების წერისათვის თავის მინებების გადაწყვეტილებას), ბერნად შოუმ განაცხადა: მე დავსწერ კიდევ ნახევარ დიუეტს პიესებს რა თქმა უნდა თუ საკმარისად დიდას ვიცი ვიცოცხლებო.

■ **„შეღებილი გედი“** ლონდონის თეატრ-ევერიმენში“ მარტში შესდგა პრემიერა პრინცესა ბიბესკოს პირველი თეატრალური პიესის—„შეღებილი გედი“ პიესამ დიდი ინტერესი გამოიწვია, ის თარგმნილია აგრეთვე გერმანულ ენაზე და დაადგმება ბერლინის სცენაზე მარკს რეინგარტის რეჟისორობით.

**ს ს ა ნ დ ნ ი ა ვ ა**

■ **შეღების თეატრალური სიზოგადოების განცხადება.** შეღების თეატრალურმა საზოგადოებამ და მსახიობთა კავშირმა ფინანსო მიზნების მისცეს განცხადება, რომელშიაც ისინი თხოულობენ საზღვარ გარეთიდან შემოტანილ ფილმების დაბეჭდვის გადიდებას, რომელთა 90% ავსებს შეღების 1000 კინო-თეატრს. რის გამოც შეღი არტისტები დიდ შევიწროებას განიცდიან მატერიალურად. ისინი თხოულობენ, რომ კინო-თეატრები ვალდებული გახადონ ურნადათაათ პროცენტი ადგილობრივი ფილმები გაუშვან.

**ს ს ზ ა დ ა ს ს ზ ა**

რომენ როლანის დრამა დადგმულია ახალი თეატრის პირობებით რეალიზმის პრინციპებით. უბრალო ხაზებით და პირობითი მისელით ტილოსთან, ჰქენის უფრო მეტ შთაბეჭდილებას რეალიზმისას, ვიდრე დრო მოკმეული ნატურალიზმი. სცენიდან განდევნილია ზედმეტი ბუტაფორია და მეტი სარბიელი აქტს ვადაშლილი მსახიობის ემოციონალიზმის და ტემპერამენტს. განსაკუთრებით ამ მხრივ აღსანიშნავია უკანასკნელი მოქმედება, სადაც პიესის ნივთიერი განსხეულება პირდაპირ მონუმენტალურია. ყოველი მიზანსცენა, ყოველი შტრიხი ჰქენის ნერვების დაქიმვას და პიესის მსვლელობასთან ერთად, მაყურებელში იზრდება ინტერესი და ყურადღება.

კარგად არის დადგმული მასიური სცენები, სადაც მასის ფსიხოლოგია ნათლად არის გაშუქებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის მომენტები, როდესაც ხალხი-მერყევობს და როგორც იალქანი ვადადის მარჯვნივ და მარცხნივ. შეიძლება ამ მშვენიერად გამართულ მასიურ სცენებით, წარმოვიდგინოთ მუხუხი საფრანგეთის რევოლუციის დამარცხების, რომელსაც არ გააჩნდა ის სწორწინობა თავის მოქმედებაში, რომელსაც ახასიათებს თანამედროვე პროლეტარიატს.

ამ პიესის დადგმა უნდა ჩაითვალოს რეისორის დიდ გამარჯვებათ. აქ სჩანს უსათუოდ დიდი თეატრა-

ლური კულტურა. წითელ თეატრი „ბასტილის აღებაში“ და „ჯანჯი გურიაში“-თ გამოიქცა ნამდვილი შემოქმედების ასპარეზზე.

შემსრულებელთა შორის აღსანიშნავი არიან: მელიავე (გომ) იგი, როგორც ახალგაზრდა მსახიობი თავის როლს ასრულებდა დიდი დაკვირვებით და სიხალისით. მასში იყო ახალგაზრდა რაინდის გომის ნამდვილი რევოლუციონერი ვატკება.

ლოლა (მარატი) გარეგნობით ვერ გამოხატავდა მარატს. მაგრამ შინაგანი წვით, განცდით მოგვცა დიდი რევოლუციონერის ტემპერამენტი. მას აქვს კარგი დაწმენილი ხმა და თამაშის დროს იცის ზომიერება და მხატვრული სახელოა.

შესანიშნავია იარალოვი (გომონი) მან საუცხოო ტიპი მოგვცა ვაიძვერა ადამიანის. საერთოდ ტიპობა ეს მსახიობი კარგი იქნება სახასიათო როლებსთვის.

ყიასაშვილი (დე—ლონი) თავისი ცოცხალი მოძრაობით, შესაფერ ინტონაციით ჰქენდა კარგ შთაბეჭდილებას. კარგები იყვნენ: ვაგუა (ვენტომილი), მან მშვენიერი ხმა აქვს, მაგრამ სცენაზე აკლია პლასტიკურობა. კარგათ მიჰყავდათ თავიანთი როლები: კინაძეს (კონტა) გვერნიძეს (დრეფელინი) და შუათაყვას (რობესპიერი).

ერთობ წარმოადგენა მაყურებელზე დიდ შთაბეჭდილებას სტოვეს. წითელმა თეატრმა ამ პიესის დადგმით ბრწყინვალეთ დააგვირგვინა თავისი სეზონი.

ა. ლ. — დ.

# ე. გ. მ. ნ. კ. მ. ტ. რ. ი.

ევონ პეტრის კონცერტები ტბილისის, საერთოდ საქართველოს, მუსიკალურ კულტურის ისტორიაში სრულიად არაჩვეულებრივი მოვლენა არის. იოსებ პოფმანის შემდეგ თბილისის არ მოუსმენია ასეთი გენიალური და ევროპული სახელის მქონე პიანისტი. მით უფრო მეტად სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს მოვლენა რომ საერთოდ ქართველი საზოგადოება ნაკლებად დაესწრო მის კონცერტებს რაც შეიძლება ნაწილობრივ იმით აიხსნას რომ ზენში ვერ ნაკლებად არის განვითარებული ნამდვილი მუსიკალური კულტურა, თუმცა ყველა მღერის და ცეკვას. მაგრამ ამაზე სხვა დროს.

გენიალური ბეთოჰოვენი ამბობდა რომ მუსიკამ უნდა ადამიანის არსებიდან ცეცხლი გამოსთალოსო სწორედ ასეთი შთაბეჭდილება რჩება როდესაც უსმენთ პეტრის. იგი თავის ხელთ ამ ინსტრუმენტისაგან აოლს \* ხმებს. ამიტომ შეიძლება ზოგიერთებს შოპენის გადმოცემა პეტრის მიერ მშრალად, ცივად და

თავისებურ რომანტიულობას მოკლებულად გნეწოს. მაგრამ ჩვენი პერიოდული ხანა მოითხოვს პერიოდიულად გადმოცემას ეს უაღრესად სუბიექტიური და ერთის შეხედვით სრულიად მიუღებელი კომპოზიტორი ჩვენი დროისთვის, პეტრის ინტერპრეტაციით ხდება სრულიად მისაღები. ასეთი თუ შეიძლება ითქვას „ვალერი“ შოპენი ჩვენ ვერ არ მოგვისმენია არავისაგან. ევონ პეტრი დაიბადა 1881 წელს ჰანოვერში (გერმანია). მამა მისი იყო ცნობილი სკოლაკაზე დამკვრელი და თეოლოგოც უკ წამდის სწავლობდა სკოლაკაზე. შემდეგ ევონ პეტრი გახდა ტერეოზი ბუზონის მოწაფედ. ბუზონი გენიალური პიანისტი, შემქმნელი ქორტეპიანოს ახალი სკოლისა. მაგრამ მეტად სუსტი კომპოზიტორი. პეტრი იყო მისი უსაყვარლესი მოწაფე ქირაც ლისტი და ქერეოზი ბუზონი—აი ორი წყარო: საიდანაც სჩქმეს ევონ პეტრის მეტად ინდივიდუალური და თავისებური პიანისტი. მეორეს მხრივ ის ვარემოება რომ პეტრი სწავლობდა სკრი-

პაჭე, მის პიანინოზე აძღვეს რაღაც „ორკესტრალურ“ ხასიათს. ბაზ—ბუზონის „ჩაკონაში“ მავალ. გესმით სკრიპკის დამკვრელის ტონი. ბენიპოვენის სონატების ზოგიერთს პიანინოზე გესმით ძლიერტას ხმები. საერთოდ მისი პიანინოზე რაღაც თავისებურ „ორკესტრალურ“ ეფექტს იძლევა. პეტრი მოჟანდაე, პეტრი არხიტექტორია პიანინოზე.

ამ ეპოქაზე ეგონ პეტრი ბერლინის უმაღლეს მუსიკალურ აკადემიის პროფესორია. მის სახით წევრ მოგვე-

ლინა მეტად მომხადებელი, ტენიკურად დასრულებული და დიდ მუსიკალურ კულტურის და გემოვნების მქონე არტისტი-პიანისტი. შეიძლება ზოგიერთ პასაჟებში ან ტონში არ დაეთანხმოთ მას, მაგრამ ეგ უფოოდ იმიტომაც რომ ნამდვილი პიანისტი, დიდი პიანისტი, არ მოგვისმენია და ამ მხრივ უსათუოდ პეტრი რჩება მუდამ გამართლებული.

მ. ა.—ლი.

## ქუთაისის თეატრის აკადემიური დრამა

სეზონის დასასრული

„ლატავრა“

ხუთშაბათს აპრილის 30, ალბათ სეზონის დასასრულის გამო ვიხილეთ ის მრავალ რიცხოვანი უჩვეულო საზოგადოება, რომელიც შეიძლება ვთქვათ სახელმწიფო აკადემიურ თეატრს თავის სეზონის განმავლობაში არ უნახავს, გარდა თითო ოროლა შემთხვევისა.

წლებადნელი სეზონი ყოველ მხრიდან გამართლებული იყო: მსახიობთა შემადგენლობით, რეჟურტურით და დადგმებით. ტფილისის დრამის შემდეგ ქუთაისის დრამას პირველი ადგილი ეკუთვნის საქართველოს ქალაქების თეატრებს შორის.

30 აპრილს სეზონის დასურვის დღეს მეოთხედ დაიდგა ალ. შანშიაშვილის პიესა: „ლატავრა“ ლატავრას როლს ასრულებდა ღვინიაშვილის ქალი, მან იშვიათის სცენიურობით განასახიერა როლი.

შესანიშნავი იყო გაიძვერა ინკუბუსის როლში და მსახურებული მსახიობი ი. ზარდალიშვილი.

ეს ის გაიძვერა ინკუბუსია რომელიც ფანტაზიის მთავარ მეტოქეთ ითვლება...

ი. ზარდალიშვილი იშვიათი ოსტატობით ანსახიერებდა ინკუბუსის გაიძვერულ პარტიას...

სამი ძმანი რაინდები: ყალბებიშვილი, ძნელაძე, აბაკელია, შერჩეული იყვნენ და კარგად ანსახიერებდნენ თავიანთ როლებს...

დანარჩენები ანსაბლს ხელს უწყობდნენ...

რეჟისორმა ბარველმა ამ პიესის დადგმით და ასრულებლების შერჩევით დიდი ნიჭი გამოიჩინა.

დამდგელი და ამსრულებელნი დაჯილდოვებულნი იქმნენ ზანგარძლივი აპლოდისმენტებით.

ლალი



ქუთაისის აკადემიური დრამის დასი.

# მოსკოვის თეატრები

## III.

### მცირე თეატრი.

ჯერ კიდევ თეატრის მოხუცი სხეული არ შეუხებენია რევოლუციის ქარიშხალს.

პიესების დადგმის ტენიანვაში არავითარი ცვლილება. სულ ნაცნობი ფერები და ხაზები.

მაგარი ინტერესით მიდიოდა „ლალატი“.

ალ. სუშმაიააშვილმა ზურგი შეებრუნა ოთარ-ბეგს და მიესალმა ანანია გლახას.

პიესის შესრულების ფონზე განსაკუთრებული ეფექტით სჩანს მსახიობი ქალი — გოგოლევა — რუქაიას როლში. „რუქაიას არ ღირსებია უკეთესი შესრულება“ — ამბობს ავტორი.

გოგოლევა — რუქაია ეს უტყუარი გამარჯვებაა მსახიობის შემოქმედი ენერჯის.

მთელ სეზონში რამოდენიმე შემთხვევა იყო რევოლუციონური ხასიათის პიესებთან დაბლოცებისა.

დაკვირვებით არის დამუშავებული რინდა — ალექსეის „რკინის კედელი“ რეჟისორი პლატონის მიერ.

... მცირე თეატრის ზემოთ გადაუხადეს 100 წლის იუბილე.

განათლების კომისარი ლუნაჩარსკიმ ღამაში სიტყვით დაავიროვინა ზეიმი.

მეიფიხობდნენ კი სთქვა: „ჩვენ მხოლოდ ინფორმაციის სახით აღწინაშავეთ მცირე თეატრის იუბილეს“.

ლუნაჩარსკიმ არ მიიღო ასეთი ჭდაფსება“ თეატრის დასმხარებისა და განაცხადა: „რუსული კულტურისათვის მცირე თეატრი და ოსტროვსკი აუცილებელი იყო, ის საჭიროა დღესაც, თანადროულ პირობებში, მხოლოდ აუცილებელია [რეპერტუარის შეცვლა, განახლება. ამაში კი ჩვენ, დრამატურგები უნდა დავებნაროთ“.

მოსკოვის ყველა თეატრებში გაიმართა მცირე თეატრის საპატივისცემლო წარმოდგენები. იუბილე დამთავრდა ქალაქში საზეიმო ბანკეტით სამხატვრო თეატრში.

## IV.

### ამერული თეატრი.

ხელშეძლენაელობს ალექსანდრე. თაიროვი.

თეატრი დაიკლებულია სოციალიზმის. ხელშეძლენაელობს არ აინტერესებს პიესის შინაარსი, მისი იდეა; ის სრულიად ანგარიშს არ უწყებს დრამატურგს.

ნეო-რეალიზმის ლოზუნგი თაიროვის ესმის, როგორც სრულიად მოწყვეტა თეატრისა ყოველგვარი „სიცრულისაგან“.

ვინც თეატრში ზის, მან უნდა იცოდეს, მას უნდა ახსოვდეს, რომ მის წინაშე მსახიობია, რომელიც მას აწვინებს არტიკულურ ხელოვნებას; როგორც ლუნაჩარსკი აღნიშნავს თაიროვმა ენერჯიულია მოახვიდა მსახიობს მისი მოხმარება და სხეულთი სარგებლობა, თვით აკრომატიზმადე. — ე. მსახიობის გარეშე ამოცანები.

თაიროვის განზრახვა იყო სასცენო მოედანზე გამოეყვანა სანის ვირტუოზები. თაიროვის სკოლის მსახიობი არ ბნავს სინამდვილეს, სოციალისტის რეალობას, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ დაშორდა სამხატვრო და მცირე თეატრები...

კამერულ თეატრის ათი წლის არსებობის აღსანიშნავად გაიმართა იუბილე.

იუბილემდე დასიდან გავიდა მსახიობი წყრეთელი, რომელიც დღეს ახალ დრამატულ თეატრში და კინოში მუშაობს.

როდესაც ოპერის დიდი თეატრის სცენაზე კამერული თეატრის დას ესმოდა თბილი და ღამაში სიტყვები მოლოცვის, ამ დროს პარტერში ღრმა დაღონებით იჯდა მსახიობი წყრეთელი, რომელიც, როგორც ჩვეულებრივ დამსწრე და მსმენელი, უცქერდა ზემის იმ თეატრის იუბილეს „გამო, რომელთანაც ის იყო დაკავშირებული თითქმის დღიდან მისი აღმოცენებისა. მაგრამ საზოგადოებამ მინჯე შენიშნა ზღვა ხალხში დამწუხრებული წყრეთელი, გამშავებული ტაშის ცემით მოსწყვიტა იგი პარტერის და სცენაზე გამოიყვანა, რასაც მოჰყვა დაუსრულებელი ოკეცია.

თაიროვი მუშაობს გაბედულად, ენერჯიულად, თამამად და სიყვარულით.

„სამხატვრო თეატრმა ვერ შექმნა მსახიობი“ სწერდა იგი და თვითონ არის გატაცებული ამ დიდი მისით შექმნას „ნამდვილი მსახიობი“.

მე გმონია თაიროვს უფლება აქვს სთქვას, რომ მას კამერულ თეატრში ამ ვამად ჰყავს ორი დიდი მსახიობი: კოონენი და არკადინი. თეატრის იუბილზე ჩერნოიაროვმა სთქვა: „თუ მცირე თეატრი — შიჭკუნის სახლია, კამერული თეატრი — კოონენის ვილაა“.

კოონენი მეტად დაკვირვებული და შეგნებული მსახიობია, დიდ ტემპერამენტით; ყოველთვის საერთო შრომაში, პიესის ღირსეული შესრულების პროცესში მას ხელს უწყობს მსახიობი არკადინი.

მუშათა თეატრალური პრესისის წარმომადგენელი ჩერნოიაროვმა თავის მისაღმება შენდგი სიტყვებით დამთავრა: „იუბილეს დღეს, ვულოცავ რა ყველას, მე განსაკუთრებული სიყვარულით და პატივისცემით ვესალმები მსახიობ არკადინს“.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თაიროვმა თავის თეატრში ოსტროვსკი ამეტყველა. მან დაამუშავა და დადგა მისი „ქარიშხალი“.

„თაიროვი მივიდა ფსიქოლოგიური, იდეურად — ვალნავეებული სოციალიზმადე, ის მიუახლოვდა რიალიზმს“ — ატყდა ყვირი პრესაში, როდესაც თეატრში დაიდგა ოსტროვსკი.

თაიროვის მიერ ოსტროვსკის დრამა ვაგებული იყო როგორც რუსული ტრავედი.

„თუ—სწერდა ლენინარსკი—ოსტროვსკის დადგმა გა-  
მოწვეული იყო თაიროვის სურვილით—ეჩვენება საზო-  
გადოებისათვის, რომ მისი თეატრის მსახიობებს შეუ-  
ძლიათ თამაში ისე, როგორც სამხატვრო და მცირე  
.თეატრის- რეალისტებს, მე მგონია. ის უკვე დარწმუნდა,  
რომ არა, არ „შესძლებიათ“.

სასურველია ლენინგრადის მუშა კორესპონდენტის  
აზრი კამერულ თეატრზე—ჩვენ შეიძლება ვიყოთ მეიერ-

ხოლდის მიმდევრები, მაგრამ არ შეიძლება არ უცნოთ,  
რომ თაიროვმა შესძლო ერთ-ერთი პირველი ადგილის  
დაკავება თანადროული .თეატრალური ნოვეტორების  
რიცხვში. ამაშია მისი უდიდესი დამსახურება“.

მაშინ, როდესაც მოსკოვმა არ მიიღო თაიროვის  
მიერ დამუშავებული ოსტროვსკი, ლენინგრადის აუდი-  
ტორია თანაგრძნობით შეხედა მას და განსაკუთრებით  
კოონენს—კატერინას როლში. მ. ლვამიჩაია

# კ ი ნ ო

## ვინ არის ღამნაშავე

საქართველოს სახეინმრეწვი უკვე შეუდგა მუშაობას  
ახალი სურათის „ვინ არის ღამნაშავეს“ დასადგმელად.  
სცენარი შედგენილია ალ. წუწუნავას მიერ ნინო ნაკა-  
შიძის პიესის მიხედვით. სურათი იღებება ალ. წუწუნავას-  
რეჟისორობით.

კვირას 10 მაისს მოხდა აღნიშნულ სურათის ცენ-  
ტრალური ადგილის გადაღება, ამ სურათისათვის სპე-  
ციალურად გაკეთებულ სამ არენინა- ცირკ-იპოდრომიში.

სცენა ხატვას გურულ მოჯირითეთა ცხოვრებას ამე-  
რიკაში, რომელიც გამოდიოდენ ცირკებში საჯირითოდ.  
გადაღება დაიწყო დილის 11 საათიდან და გაგრ-  
ძელდა მზის ჩასვლამდე. დაესწრო აუარებელი მყურე-  
ბელი და თუმცა ცირკი ძლიერ დიდი იყო მაინც ყველა  
ყურების მსურველთა შეშვება შეუძლებელი ვახდა.  
სურათში მონაწილეობას იღებდენ ასზე მეტი ბა-  
ლეტის მსახიობები ბალეტმისტერ სერგეევის ხელ-  
მძღვანელობით.



ახალი კინო სურათის „ვინ არის ღამნაშავეს“-სათვის სპეციალურად  
გაკეთებული ცირკი—იპოდრომი

გამოცემა-საქ. საქცინტრეწვისა.

რეჟისორი ალ. წუწუნავა.

დოღმა და ჯირითში მონაწილეობას იღებდა 800 ცხენოსანი. გამოვიდენ გურული მოჯირითენი, ამერიკული „კოეზიოი“, ინდოელები და სხე მოჯირითეთა შორის ერჩიოდენ ცოლ-ქმარი კვიტაშვილები (გურულები, რომელნიც ნამდვილად იყვნენ ამერიკაში და თამაშობდენ ნეე-იორკის და სხვა ქალაქების დიდ ცირკებში), შესანიშნავი იყო აგრეთვე ირაკლა ერისთავი.

მთლიანად სანახაობა საუცხოო იყო და იმიტომაც მაყურებლები სანამ არ გათავდა გადაღება აღვილიდან

არ დაძრულან, თუმცა მეტად დიდხანს მოუხდათ მცხუნავე მზეზე ყოფნა.

სურათის გადაღებაში მონაწილეობას იღებდენ საბ. კინარეჟის თითქმის ყველა რეჟისორები, თანამეშენნი და თანამშრომელნი.

სურათს იღებდა ერთი და იმავე დროს სამი ოპერატორი: ზაბოზღავეი, ენგელსი და პოლიუკევიჩი.

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ეს სურათი იქნება საქ. სახკინმრეწვის მორიგი გამარჯვება.

6.

# მნაბგრული ლიბერბურა

## ს ო ვ ნ ბ ა

გულს მიხალისებს სოფელი  
 მიწაზე დაკერა ბარისა;  
 არ ჩამორჩენა უნაში,  
 ეენახში შედგმა სარისა.  
 დაცვა შრომელი მარჯვენის—  
 ვერ სთქვან არაჲ მდალისა!

გუთანს რომ გლეხი გაველებს,  
 გადაიშვეებს ანუელს,  
 მერე რომ ღამეს გაათვის,  
 და მთვარეს შესცქერს გაღეულს,  
 მურია თვის დარაჯობს,  
 ნადირს არ უშვეებს გარეულს.  
 ეელით ტოროდას გალობას  
 ხონბის ყივილთან არეულს.  
 მაშინ ჩვენც წამოვიშლებით,  
 ისევ ეხნავთ იმავ ანუელს.

საფხულში მზე რომ დააქერს,  
 ომი ჩაღდება ჩართული:  
 ეენახი, ქალო, სამკელი,  
 ურემი ძნებით დართული,  
 არ იცი რომელს მიხედო,  
 ხარ ყველაფერში გართული.  
 ამ დროს სოფელში იხილე  
 მიწასთან ბრძოლა ქართული.

ვიცოცლებ, მუდამ ვიმღერებ,  
 შევაქებ ქოხებს ალიზებს:  
 სოფლის ფერადი ცხოვრება,  
 მუდამ გულს წამიხალისებს!  
 შრომის მარჯვენა გულუხვი  
 უბეს სიამით ამივსებს,  
 მაშინ ავმალდე მგოსანი,  
 გლეხიც თუ ქებას მაღირსებს!

სანდრო. შანშია შვილი

პ. ბ. ზინკაძისა

# პრეფაქციის პიუნი.

(მელოდრამა 5 მოქ. 8 სურათი. კლეროასოტის რომანტიდან).

(გაგრძელება)

**დრისკოლ**—(პაუზის შემდეგ.) საქმეზე ილაპარაკეთ.  
**ფოლი**—(დამშვიდებით) მე საქმეზე ელაპარაკებ. თქენი ათისთავი ს-ეტეინის შენობის არაფრათ არ ეარტა.

**დრისკოლ**—ტომ კიტინგ? მე არასოდეს უკეთესი არ მყოლია.  
**ფოლი**—თქვენ ასე ფიქრობთ? მე კი მოვედი გირჩიით აიყვანით სხვა, მასზე უკეთესიც.

**დრისკოლ**—ეინ არის პატრონი ჩემს საქმეში, თქვენ თუ მე?

**ფოლი**—(დამწვილებით) მისტერ დრისკოლ!

**დრისკოლ**—(წამოვარდება) დაიკარგეთ აქედან! მოთმობრბასაც აქვს სახლვარი, თქვენი ადგილი პრინციფიში არა ელექტრონის საჯღომზე უნდა იყოს, სინჯ-სინჯ დიდი ხანია თქვენზე სეფლიანობს.

**ფოლი**—(აუღწყოთებლათ) ჰმ, მე სრულიად არა მაქვს დრო წავიდე იქ, შეგებულებას კი მივიღებ; არა უგვიანეს ავიცისტოს... ასე რომ თქვენ არ ვინდათ ჩემს რჩევას გაჰყვეთ?

**დრისკოლ**—არასდროს! არა!

**ფოლი**—მე კი ვფიქრობ, რომ თქვენ დამეთანხმებით... სანელაოს ვეღბ...

**დრისკოლ**—რატომ თქვენ ფიქრობთ?

**ფოლი**—იმიტომ რომ, პირობის დასრულების შესახებ თქვენ ვითაუდებთ ვადა სულ ცოტა ხნის შემდეგ თქვენ თუ მომეცით ათასი დოლარი, რომ მუშაობა არ შემეწყვიტა, ნუ თუ იმავე მიზნისათვის არ იზამთ სრულ უბრალო რამეს, რომელიც თქვენ არ გიღირთ ერთი სენტალ კი (პაუნა), როგორც ხედათ მე არ შეგმცდარვარ მისტერ დრისკოლ. ხვალე კიტინგის მაგიერ ათისათვის მოვალეობას შესრულებს დენმონ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ. (გადის).

**დრისკოლ**—(დადის ალღეგებული, რეს ზარს. მოუვდება მაგდის და სწერს. შემოდის რუფ.) შისს არდოლდ, ვთხოვთ ტელეფონით გამომიხახოთ დევი და უბრძანოთ ხელავე მოვიდეს ჩემთან ტომ კიტინგი.

**რუფ**—ტომ კიტინგ შეთხვევით აქ არის მისტერ. მას ერთი საათია, რაც სურს თქვენი ნახვა ერთი საქმის გამო.

**დრისკოლ**—აქ არის? მით უკეთესი. შემოვიდეს ჩემთან. რუფ—ამ წუთში. (გადის, ცოტა პაუნის შემდეგ შემოდის ტომ).

**დრისკოლ**—დამბრძანდით (განაგრძობს წერას. ტომ დაჯდება მის არდოლდმა სთქვა, რომ თქვენ გასურდათ ჩემი ნახვა.

**ტომ**—დახს, მსურს.

**დრისკოლ**—მე ძალიან მეჩქარება, ამიტომ ნება მომეცით უწინარეს ყოვლისა მოვახსენოთ ის, რაც მე მაქვს თქვენთან.

**ტომ**—გთხოვთ.

**დრისკოლ**—რას ფიქრობდ ფოლის შესახებ?

**ტომ**—(ფრთხილათ) მე შემხედნივა მავაზე უარესი.

**დრისკოლ**—მაშასადამე თქვენ ჯოჯობებში ყოფილსართ? ივენი შეხედულება მასზე ჩემზე უფრო უარესი ყოფილა, ეს არის ჩემთან იყო და მომთხოვა თქვენი სამსახურიდან დათხოვა.

**ტომ**—(თავს ძლივს იკავებს) შერე თქვენ რას ფიქრობთ?

**დრისკოლ**—რას ვფიქრობ? მეც არ ვიცი რას ვფიქრობ, ეს თქვენი ბრალია, კავშირის. რათ დააყენეთ ასეთი კაცე კავშირის სათავეში?

**ტომ**—მაშ, თქვენ გინდათ დამითხოვოთ?

**დრისკოლ**—მაშ, სხვა რა უნდა ვქნა?

**ტომ**—ნუ თუ მე კუდათ ემუშაობ?

**დრისკოლ**—მუშაობის შესახებ მე არას ვამბობ. თუ თქვენთვის ეს საინტერესო არის, მე შენიძლია საჯაროთ ვანვაცხადო, რომ მე არას დროს არ მყოლებია ისეთი ათისათვი, რომელთანაც მუშებს ისე კარგათ ემუშავონ, როგორც თქვენთან.

**ტომ**—ისე რომ თქვენ მე მოთხოვთ იმისათვის, რომ ასე ვიბრძანებს თქვენ ფოლი?

**დრისკოლ**—გულახდილათ უნდა ესთქვა, რომ ეს მართალია. მაგრამ რა უნდა ვქნა? მე მის ხელთა ვარ.

**ტომ**—(ბრაზისაგან თვალბიდან ცეცხლის ნაპერწყვლებს ანევს) მის ხელთა ხარ? იხ, რატომ? ნუ თუ არ შეგიძლიათ ებრძოლოთ!

**დრისკოლ**—მე კი ესინჯე... მაგრამ...

**ტომ**—თქვენ, დამქირავებლები ყოველთვის ასე მოქმედობთ, თქვენ მოგებაზე უფრო ფიქრობთ, ვინემსაკუთარ ღირსებაზე.

**დრისკოლ**—(აღღეგებით) თქვენ, ყმაწყვილო, უნდა იცოდეთ ვისთან ლაპარაკობთ!

**ტომ**—(იღწყოთებული) ვისთან? იმ კაცთან, რომელიც ქუჩაში მისტურებს მხოლოდ იმისათვის, რომ ის მშობარა არის და არ მუშუღია დაიკვას უფლება და სიმართლე.

(შემდეგი იქნება)

# მუშათა კლასი და ხელოვნება

## კლემანოვის კლუში.

კვირას 3 მაისს ტე. საქონ. სადგურის დრამატიული წრის მიერ მსახიობ. ვასო კობელის რეჟისორობით საშუალო სოფელ პატარაქელის ჩუღუტფონდის სასარგებლოდ დაიდგა პ. ჩხივიძის რეჟოლოჟიკონური პიესა

„უდაბნოც სტირის“ ტრაგედია 5 მოქ. პიესაზე კენ არაფერს ვიტყვით, რადგან იგი სუსტია და ტენიხურად მიუღლომელი, მაგრამ ამ საღამოს იგი დაიდგა შემოკლებით და შესწორებით კობელის მიერ. დადგმის მხრივ ლამაზია I და V სურათი. ამ სურათებზე ეტყობა უფრო მეტი ენერგია დაუხარაჯეს დამდგემლს. თიავარ

როლებს ასრულებდნენ ალ. ქვარელი (გიორგი) მისი თამაში გატაცებულია და მგრძნობიარე, მაგრამ დიქცია მოისუსტეს.

დ. ლარიანი (რაქდენი) ეს ახალგაზრდა სცენის მოყვარე მეტად დადიკრებულია და შესაფერისად ასრულებს ნაიკის როლს, ხოლო ხმა ვერ უწყობს ხელს.

კ. ქალიანი (ელენე) კარგი იყო, შ. რამიშვილს (დრეჟკინი) არა უშავდა ლენერტის როლში. წარმოდგენას ხალხი ბევრი დაესწრო და ნასიამოვნებები დარჩენ.

კიზირა.

### საპურთალოს სახ. სახლში

კვირას 29 აპრილის ქართულ საარტილერიო ლეგიონის და მესამე თამბაქოს ქარხნის დრამატული წრის მიერ გაიმართა წარმოდგენა დაიდგა დ. კონჭაძის მოთხრობიდან (სურამის ციხე) გადმოკეთებული პიესა მონაწილეობას იღებდნენ: თამარ იოსელიანი (ვარლუა), რ. კიზირია (დურმიშანი), მ. ციციაშვილი (ოსმან ალა), მ. ჯაფარიძე, (ვაიანე), რ. ჩიკვაძე (ცხვირი).

ზემო-აღნიშნული ამხანაგებში განსაკუთრებით საუკუსოვით ასრულებდნენ როლს თ. იოსელიანი, მ. ციციაშვილი და მ. ჯაფარიძე.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დრამ-წრე საუცხოოთ ყოფილა მომზადებული სასცენო დარგში, მსუბუხათ, რომ ერთგულად ეყარებიან ამ საქმეს ყველგან ჩინებულიად მუშაობენ ჩვენს სახალხო სახლებში. წარმოდგენები ძალიან ხშირად ტარდება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელად ჩინებულად ჩატარდა წარმოდგენები საბურთალოს სახალხო სახლში.

ა. პორფირის შვ ლ

## პროფმოკრაობა და ხელოვნება

### საქართველოს პროფკავშირთა მეორე კულტკომუნკენ-ციანზე მიღებული რეკომენდაციები

რეზოლუციამ საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტკავშირების მუშაობის შესახებ.

მოსიშინა რა მოხსენება ამხ.კელძისა, საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტკავშირების შესახებ, კონფერენცია წარმოებულ მუშაობას სიულის საესებით დამატკავშირებულად. შემდეგისათვის აუცილებელია ყურადღება მიექცეს შემდეგს:

1) გაძლიერებულ იქნას მახრებისა ჯა კავშირის სხვა ორგანოების მუშაობის ხელშეწყობა.

2) მოხდეს პროფკავშირებში კულტკავშირების საქმის გამოკვევა და მიექცეს მათ სათანადო დარიცხვები.

### ფოტის კლუბი

ხუთშაბათს 6 მაისს ლენინის სახ. ცენტ. მუშათა კლუბში ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ საკველ მოქმედო მიზნით წარმოდგენილი იქნა გორელის 2 მოქმედნიანი ტრადულია „სანსონი შურის ძიება“, რომელმაც კარგი შობაქმნილება დატოვა დამსწრე საზოგადოებაზე. კარგი იყო როსტომის როლიმ ვ. ბობოხიძე აღსანიშნავია აგრეთვე ავთანდილის როლში ახალგაზრდა სცენის მოყვარე ამხ. ვ. შალამბერიძე რომელმაც საუცხოვით განასახიერა თავისი საპასუხისმგებლო როლი, სირინოზის როლი ლამაზათ შესასრულა ლიუბა მეგრელი-შვილმა, კარგი იყო მაქაქარია, დანარჩენები ანსაზღს ხელს უწყობდნენ.

სასურველია ასეთი წარმოდგენები ხშირად იმართებოდეს ფოტში.

ფოტელი საშურა

### ოპერკავშირის დრამა

მასიობათა კოლეკტივის მიერ 3 მაისს ოპერკავშირის თეატრში ვ. ბეჟუაშვილის რეჟისორობით კ. ლლინტის საბენეფისით წარმოდგენილი იქნა: „არშიყი-ნათლული“ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობა ბენეფიციანტი ლამპრიხის როლში, მის სცენაზე გამოჩენას აუდიტორია ხანძრობივი ოვაციებით ეგებებოდა—რაიც მან გაამართლა მისი უნაყოფი თამაშით. ყორვეტას როლში ექსპრომატთ გამოვიდა მსასიობი ქალი ვ. ბეჟუაშვილისა, რომელმაც ზედმიწევნით და დაეკარგებით მიუღდა მისთვის მოულოდნელ როლს და შესძლო განესახიერებია ნამდვილი ტიპი მაორშიყე ნათლულისა. კარგი იყვნენ მაჩუონინ—ბეჟუაშვილი და ბრიუშო ს. ხუროციძე. დანარჩენები ანსაზღს ხელს უწყობდნენ. პიესას ხალხი ბლომათ დაესწრო. დასასრულ ბენეფიციანტს მიესალმა მსახ. კოლეკტივის სახელით შ. კლუბტი.

ჯალია.

3) მოეწყოს რესპუბლიკის მასშტაბით კლუბების მომუშავეთა კურსები პოლიტგანათლების მთავარ მართველობასთან ერთად.

4) შემცირდეს წარმომადგენლობათა რიცხვი სხვა და სხვა ორგანოებში, რომელშიც ქმნიან არაორნალურ პირობებს ნაყოფიერი მუშაობისათვის ჩვენს კულტკავშირებისათვის.

5) შემიღებულ იქნას წარმოებითი განათლების საქმე უმთავრესად პერიფერიებში.

6) მიღებულ იქნას ზომები საკვლევდარო კამპანიების მიზნითმამდლ შემციარებისათვის, რომელშიც ხელს უშლიან ნორმალურ მუშაობას.

სამხედრო კომპარტიის სტიმბა, კეცხოველის ქუჩა № 3.

ნაველიტი 782.

ტირაფი. 1500

ს. თორგოშ.

7(25)

ს 45

ფანი 40 კაპ.

05)  
-405

# ნოვანა

## № 21



სრულიად საქართველოს სულიწმინდის მუშაობისა და განვითარების ორგანო

თბილისი  
1925

# შინაარსი:

- 1) ზამთრის სეზონის პირი ზონტზე (მოწინავე) იოსებ გედევანიშვილი  
 2) ოპერის თეატრი —ა.  
 3) მუსიკალური სეზონი —მ.  
 4) საქირბორტო საკითხი .

**დ ი ს კ უ ს ი ა :**

- 5) საბავშვო თეატრი . ი—ნ—ი.  
 6) ქართული სატირის თეატრი ფ.

**თ ე ა ბ რ ი :**

- 7) სახელმწიფო დრამის თეატრი  
 8) „მანდატი“ შალვა დადიანი.

**შ უ ს ი ა :**

- 9) ჭეთაისის მუსიკალური ტენიკუმი.  
 10) სახელმწიფო აკადემიური ოპერის გახსნა.

**კ ი ნ ო :**

- 11) ჩაპლინი მაკს ლინდერი.  
 12) წარსული მუშაობა და პერსპექტივები.

**შ ხ ა ბ ვ რ ო ბ ა :**

- 13) სამხატვრო აკადემია.

**ლ ი ბ ქ რ ა ბ უ რ ა :**

- 14) კლოდ მაკ-კევი ზანგი ქალი.  
 15) ვასილ კაზინი „კალატოზი“ ლექსი.  
 16) ზე-რეალისტები შამან დოული.

**ცი რ კ ი დ ა ს კ ო რ ბ ი :**

- 17) ხუთი წელი სახელმწიფო ცირკის ლუნარასკი.  
 18) ტელიორი—მსახიობი სოკოლოვი.

**პ რ ო ვ ი ნ ც ი ა :**

- 19) თელავის თეატრი მამო.  
 20) სოფლად საჭიროა პიესები არველაძე.  
 21) სათეატრო მუშაობა ს. ეწერაში გულშემოტიკვიარი.  
 22) „ „ სენაკში მუშკორი ნერგი.  
 23) თეატრალური ხელოვნება პროვინციაში ა. ნალი.  
 24) „წრ-ობა“—ლექსი ქუუდასპირელი.  
 25) „წითელი თეატრი“—ლექსი გვარამაძე.  
 26) სურათების გასინჯვაზე.  
 27) კინო საიდუმლო.  
 28) კინო პრესა.

- 29) ჩ რ ო ი ჩაპლინზე—ბიბლიოგრაფია.

**პ რ ო ვ მ ო ძ რ ა ო ბ ა :**

- 30) ხელოვნება მუშაკთა კონფერენცია.

- 31) „მნათობი“ ა.  
 32) კაკაბაძის „ლისიბონის ტუსალები“ ა.

**პ რ ო ნ ი ა :**

გაცხადებები.

**რეპერტუარი:** 1) კიპარენკო-დამანსკი სიმსონის როლში.

2) ილინი.

3) კლოდ მაკ-კევი.

4) საოპერო სტუდიის ქართული ორკესტრი.

5) პირე. საარტ. ლეგიონის და მესამე საბჭოთა თამბ. ქარს. დრამაწრე

ნ, სიპინდის რჩევა—სურ. ქუთათელაძის.

# ხელშეწყობა

20 ოქტომბერი 1925 წელი

რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპექტი, მუშათა სასახლე, ოთახი № 54. ტელ. 14—03.

№ 21 | სრ. საქართველოს ხელისუფლების მუშათა პრეტ, კავშირის ყოველთვიური ორგანო | № 21

## ზამთრის სეზონის მომზადება.

ზამთრის თეატრული სეზონი მიმდინარე წელს ოპერის თეატრის გახსნით დაიწყო.

მთელი ზაფხული და შემოდგომის დასაწყისი სეზონისათვის მზადდება უნდობლად. არც ერთი თეატრალური სეზონი წარსულში ისეთი გაცხივებულნი მზადებით არ დაწყებულა, როგორც ამ წელს.

აკადემიური თეატრების მმართველობამ წარსული სეზონის დასრულებისთანავე შეუდგა მზადებას; შეადგინა შესაფერის გეგმა, საჭირო ხარჯთაღირებულება და დაიწყო მსახიობთა ძეგნი. თანახმად ასეთი გეგმისა საოპერო თეატრის შემადგენლობა ამ სეზონში ახალი ცნობილი ძალებით უნდა ყოფილიყო შევსებული.

და სიმაბრუნე უნდა ითქვას, რომ მმართველობის ასეთი განზრახვა, თუმცა საესკებით არა, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში განხორციელებულათ უნდა ჩივიდა.

საოპერო დასს ამ სეზონში შეეძინა ისეთი გამოჩენილი მომღერლები, როგორც აიან: კიპარენკო, ილინა, პანკრატოვა და ბოკოვისა.

წარსულ სეზონში ყოფილ მსახიობებთან დასში მოწვეულნი არიან ცნობილი მსახიობები: პაპოვისა, ბორჩინა და სხვ. დასი შევსებული არის ადგილობრივი ახალგაზდა ძალებით, რომელთა შორის იმყოფებიან ახალგაზდა მომღერლები: ქუშინაშვილი, ვენაძე და მრავალი მომღერალი ქალი.

ბალეტის და გუნდის შემადგენლობაშიც არის ცვლილებები ახალი ძალების სახით.

ამაზიად, თუ ოპერის თეატრის ამ წლის შემდგენლობას მივიღებთ მხედველობაში ერთის მხრივ, და მეორე მხრივ, რეპერტუარს, რომელშიაც შედის ახალი ოპერები, უნდა ითქვას, რომ ამ წლის საოპერო სეზონი გამარჯვებით უნდა დასრულდეს.

რაც შეეხება ქართულ აკადემიურ დრამას, რომელიც უნდა გაიხსნეს ნოემბრის პირველ რიცხვებში, აქ უნდა ითქვას შემდეგად:

სეზონისთვის მზადება ისეთ ნორმალურ პირობებში, როგორც კონდა ოპერის თეატრის, დრამას სხვა და სხვა მიზეზების გამო არ ქაინება. მიუხედავად ამისა, ქართული აკადემიური დრამის პერსპექტივები ამ სეზონში საიმედო სხივებით არის შემოსილი. დასის ხელმძღვანელებით კვლავ რჩებიან: კ. მარჯანიშვილი და ახმეტელი, რაც სრულ გარანტიას იძლევა იმისათვის, რომ დასის შემოქმედებითი მუშაობა ახალი გამარჯვებით დასრულდეს. რეპერტუარის მხრივ ქართული დრამის ეს სეზონი უფრო საინტერესო უნდა დარჩეს, ვინამ წარსული სეზონი იყო, რადგანაც რეპერტუარში წარსულს შეტანილია რამოდენიმე ახალი და ორიგინალური პიესები. წითელი თეატრი ამ სეზონისათვის დიდ იმედებს იძლევა, როგორც შემადგენლობის, ისე რეპერტუარის მხრივ. სხვათა შორის, როგორც აკადემიური ქართული დრამა, ისე წითელი თეატრი წარსულს დადგამენ ცნობილ პიესებს „მანდატს“, რომელსაც ფართო საზოგადოება დიდი ინტერესით მოელოს.

სომხური და თურქული აკადემიური დრამები დიდი იმედით და ხალისიანობით იწყებენ სეზონს.

განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ამ სეზონში პროვინცია. არც ერთი პროვინციის ქალაქი ამ წელს უსოვნოთ არ რჩება, პირიქით ისეთი ქალაქებიც კი, სადაც არადრის ქართული დრამის სეზონი არ ყოფილა, როგორც არის ფოთი, წარსულ სეზონს ხანის. პატარა სამაზრო ქალაქებსაც კი ქართული დასის შედგენის სურვილი დიდთა აქვთ, მაგრამ მსახიობთა უყოლობის გამო ასეთი სურვილები ამ წელს განუხორციელებელი რჩება. ამ სასიამოლო მოვლენას ხელოვნების მთავარმა კომიტეტმა უსათულო ანგარიში უნდა გაუწიოს.

ჩვენი შეხედულება კი ასეთია:

ფართო საზოგადოების მოთხოვნილებებით დღეს თეატრის მიმართ უსათუოდ დიდად, მაგრამ ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას საზოგადოება მოითხოვს იმათგან, ვინც ხელოვნების საქმეებს განაგებს დღეს ჩვენში. ეს კარგათ უნდა იცოდეს ხელოვნების მთავარმა კომიტეტმა და ხელოვნების მუშათა პროფკავშირმა.

# ოპერის სემონი.

აკადემიურ თეატრებში მუშაობის ხანა იწყება. გაიხსნა სეზონი აკადემიურ ოპერაში.

მომავალი გვაჩვენებს თუ რა სახისა და რამდენად ნაყოფიერი იქნება ახალი სეზონი.

ზარზანდელი სეზონი ოპერაში არაფრით აღსანიშნავი არ არის მხატვრული მხრით. სუსტი დასი, მძიმე მატრიციალური პირობები, სეზონის დასაწყისშივე მდგომა-



კიბარეჩო-დამანსკი. (სამსონის როლში)

რეობას ართულებდა. იყენენ არა სასურველი ბოვლენებიც, რასაც არსებითად არავითარი პირდაპირი დმოკიდებულება სამხატვრო მხარესთან არ ჰქონდა, მაგრამ ერთობ საკმეის კი ართულებდა და მუშაობას აფერხებდა.—ასეთი გავრცობა რა თქმა უნდა სეზონის ნორმალურად მსვლელობას ხელს შეუშლიდა.

წელს ამ მხრით ოპერა თითქმის ბევრათ უკეთეს პირობებშია. თეატრის ადმინისტრაციას არაფერი დაუზოგავს, რომ ახალი სეზონი უზრუნველყო ყოველ მხრით. წელს შეიძლება ითქვას, რომ საოპერო დასი მოწვეულია მეტად ძლიერ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო დღევანდელ პირობებში. განსაკუთრებული ყურადღება იქნეს მიქცეული ორკესტრის და მომღერალთა შემადგენლობას. რეჟისურა ცნობილ და გამოცდილ პირთა ხელშია. განზრახულია მრავალი ახალი ოპერების დადგმა. ფასები და-

კლებულია. ერთი სიტყვით ვიმეორებთ, რომ ადმინისტრაცია არ შეუშინდა ხარჯებს, არ დაზოგა ენერჯია, ოღონდ კი სეზონისათვის შეიქმნა რაც შეიძლება ხელსაყრელი და კარგი პირობები. ესაა თვით სცენის მოწყობა (დამოკიდებული, თუ რამდენად გააბათილებენ მათზე დამყარებულ მიღწეს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ექვს გარეშეა, რომ ოპერამ, როგორც მუსიკალურმა ფორმამ, იმ სახით, როგორითაც ის ამ ეამად არის, დრო მოიჭამა. ისიც უდავოა, რომ უკანასკნელ ხანებში არამ თუ არ დაწერილა რაიმე ახალი ოპერა ახალი ფორმით, არამედ ძველი ფორმითაც კი დაწერილს ახალ ოპერას, ცოტათ თუ ბევრად ნიჟერს ზენ ვერ ვხედავთ. არც გასაკვირველია, ვინაიდან უკანასკნელი 10—15 წელიწადი ეს ჯერ იმპერიალიზმის გაშვებული თარეზია, შემდეგ საზინელი ომი, რომელმაც მთელი კაცობრიობა ლამის კატაკლიზმამდე მიიკვანა და შემდეგ რევოლუცია და სამოქალაქო ომი. ასეთ პირობებში ძნელი მოსალოდნელია ახალი ოპერა, ახალი ნაწარმოებები, რომელიც კვალს დააჩვენებდა ხელოვნების განვითარებაში.

მაგრამ თუ ვისთვისმე ჯერ კიდევ სადაოა ის რომ ოპერა როგორც მუსიკალური ფორმა მოძველებულია, იდეოლოგიის მხრით მგონია არავისთვის სადაო არ არის, რომ არსებული ოპერები სრულებით არ ეგუებიან თანამედროვეობას.

მართალია უკანასკნელ ხანებში ცდილობენ ზოგიერთი ოპერების ტექსტის შეცვლას, ვითომდა თანამედროვეობასთან დაახლოების მიზნით, მაგრამ მგონია ასეთი ცდა უნაყოფო იქნება და ყოველ შემთხვევაში სრულიად ეწინააღმდეგება ოპერის არსებითი თვისებას. ოპერაში ტექსტი და მუსიკა, რასაკვირველია ვლადარაკობთ მხატვრულად და ნიჭიერად დაწერილ ოპერაზე, ტექსტი და მუსიკა იმდენად მკიდროდ გადაბმულნი და შეგუებულნი არიან, რომ მაგალითად ტექსტი რომ წაშალო, მუსიკამ მაინც იგივე ტექსტი უნდა გიკარნახოს. კომპოზიტორი სუეტს, ტექსტს ხატავს ნორტებით, გადამოცემა შესაფერი მუსიკალური ფორმით და თუ შეუცვლი ტექსტს უსათუოდ სიყალბეს შეიტანს მოელს ნაწარმოებში. ახალი ოპერა უნდა დაიწეროს ახალი მუსიკით და ახალი ტექსტით.

და აი ერთი ოპერა ჯერ არ დაწერილა მაშასადამე ჯერჯერობით დაგერჩინია ძველი ოპერები ძველი მუსიკალური ფორმით. შეიძლება ვიკითხოთ: თუ საქმე ასეა, იქნებ სრულებით საჭიროც არ არის დღეს ოპერა, რასან ახალს არაფერს არ გვაძლევს მუსიკალური ფორმის მხრით და იდეოლოგიურად კიდევ თანამედროვეობას არ ეგუება? ზომ დღი ფული და შრომა იხარჯება ამ ოპერაზე და უკეთესი არ იქნება ის ფული და შრომა სხვას უფრო საჭირო: საკმეის მოგანმართო?

უკანასკნელი ოპერა მინცესაქიროა, ყველამ კარგად უწყის რამდენად გაღვივებულია ფ რთო მასაში მუსიკისადმი ინტერესი, მშრომელი მასა მეტად ტრენება მუსიკად და ოპერა შედარებით სხვა მუსიკალურ ფორმებთან ამ მასისთვის უფრო ადვილი გასაგებია, უფრო ადვილად

ანეთარებს მუსიკალურ გემოვნებას, ჩვეულებრივი მსმე ნელი უფრო ადვილად თვისებს მუსიკალურ ნაწარმოებს, მუსიკას, პარპონხას, მელოდიას და სხვა.

სიმონთან მაგალითად მოითხოვს მსმენელს მუსიკალურად უფრო განვითარებულს. დღეს ჩვეულებრივი მსმენლის მუსიკალურ მოთხოვნებებს დაემკაცრებოდა უფრო ოპერით შეიძლება.

გარდა ამისა მუსიკალური დარგის განვითარება, თუ გვსურს მომავალში მინიმუმ წყვედგათ წინ ნაბიჯი აუცილებლად მოითხოვს ოპერის არსებობას. აღნიშნული მდგომა-

რობა და ოპერის არსებობის საჭიროება, მოითხოვს რომ რაბან ხელთ გვაქვს მხოლოდ ძველი ოპერები, მათი შესრულება მინიმუმ მალე დონეზე უნდა იდგას. მაშასადამე გოკალიურ-მუსიკალურ და სცენიურ აღსრულებას განსაკუთრებულ ყურადღება უნდა მიექცეს.

ვიმეორებ ამ მართ თეორიის აღმინისტრაციის არაფერი დაუშვავს და ეხლა თავივე თვით თანაშრომლებზეა დამოკიდებული.

ი. გვედევანიშვილი.

### მუსიკალური სეზონი.

სამუსიკო საქმის რეორგანიზაცია, რომელსაც დღემდის სისტემატიური ხასიათი ჰქონდა შეიძლება თავის არსებით მომენტებში საბოლოო დამთავრებულთ ჩაითვალოს. ხელოვნების დარგებში ყველაზე უფრო განვითარებულია მოვლენით აუცილებლად მუსიკა უნდა ჩაითვალოს შემოქმედების ახალი ფორმები მუსიკაში. საუკუნეთა განმავლობაში სრულიად უცხო ამზავი იყო. მუსიკა განაგრძობდა ძველი გზით და ტრადიციული რუტინით სვლას ტრადიციისა და რუტინა იმ ზომ ორგანიულად შესისწავრობებოდა უფრო მუსიკალურ შემოქმედებასთან, რომ ყოველგვარი ნოვატორული იდეა სასტიკ წინააღმდეგობასმ და შეურთავებლობას ეჯახებოდა. ვიგნერის ისტორია აშუბლულების ცოცხალი ილუსტრაციაა. მიუხედავად თვის კონსერვატიზმისა, მუსიკაზე აღდგოთ ვეგან თავის რევოლუციონერ გავლენას ახდენს ახალი პოლიტიკური წესწყობა. ამით აისწნება ის გარემოება, რომ უდიდესი კომპოზიტორი და ამავდროს უდიდესი რევოლუციონერი რიჩარდ ვიგნერი აქტიურ მონაწილეობასღებულობს რევოლუციონერ მოძრაობაში, შეიარაღებული გამოსდის აღდგენის აჯანყებაში, რომ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარებით შექმნას ობიექტიური ფონი, რომელზეც გაიშლება მუსიკალური შემოქმედების ახალი ფორმები.

საბჭოთა სინამდვილე საუკეთესო ნიადაგია ხელოვნების ყოველი დარგის და მთ შორის მუსიკალაც ყოველ მხრივით ვაშლისა და განვითარებისათვის. ჯერ კვირებით რასაკვირველია ნაადრევია რაიმე დაპირაკი საბჭოთა მუსიკის მიხვედებზე; მაგრამ ძლიერი ტენდენცია მისი რევოლუციონერი მხრივ გაჯანსაღების საუკეთესო გარანტია იმისა, რომ საბჭოთა სინამდვილე ადრე თუ გვიან, მაგრამ აუცილებლად შექმნის ახალ ფორმებს მუსიკალური შემოქმედებისას, სადაც განვიხილო იქნება ახალი ურთიერთობა და ახალი დამინანი.

ჩვენს ქვეყანაში ხელოვნების ახა: ო ტემპით ამტკიცებულა, ახალი იდეებით განათება შეიძლება მიტყას უკვე ცოცხალი ფაქტია: განსაკუთრებით ეს ითქმის თეატრზე (დრამა) და ნაწილობრივ პოეზიაზეც. მუსიკა კერძოდ და სამუსიკო საქმე საზოგადოთ ძველს ფარგლებს არ სცილდებოდა. ამ გარემოების ხელს უწყობდა თავით ორგანიზაცია სამუსიკო განათლების. წყვენიერდამა რეორგანიზაცია ერთიანად შესცვალა სამუსიკო საქმის მთავარი ცენტრისა—კონსერვატორიის სტრუქტურა და გარდა შესა-

ძლებელ მინიმუმამდე შემოკლებისა, გადახალისდა სამოსწავლო გეგმა; განზრახულია გოკალიური ასამბლის, ვირტუტის და მოწაფეთა სიმფონიური ორკესტრის ორგანიზაცია, ამასთანავე წყვილი უფსოთ მუშაგადა რევოლუციონერი რეპერტუარი, ოამც ცენტრალური ადვოლი უნდა დაიკავოს კონსერვატორიის სასწავლო გეგმაში; მოკლეთ 1925—26 წლის მუსიკალურ სეზონს სახელმწიფო კონსერვატორია ხვდება სრულიად გაჯანსაღებული. ამ რეორგანიზაციას პოლიტიკუთათ ის მნიშვნელობა აქვს, რომ სამუსიკო საქმის დაახლოვება სინამდვილესთან ბუნებრივად შექმნის ნოყიერ ნიადაგს ამ სინამდვილის მუსიკალურად განცდის და მით ახალი მუსიკალური ფორმების შექმნის შესაძლებლობისას. ყველაზე უფრო სამუსიკო რუტინა თავს ამკადანებს საოპერო ხელოვნებაში. მაგრამ ამ მიმართულებითაც სწრაშობს ენერგიული მუშაობა: სიდედა ახალგაზრდობისაგან საოპერო სტუდია თავისი ორკესტრით და ვუნდით, რომლის (სტუდია) მიზანი არის დაძლევა საოპერო ხელოვნების ჩვეულებრივი ფორმებისა და მით საოპერო ხელოვნების სრულიად ახალ გზაზე დაყენება. ის ახალგაზრდულთ თავდაუზოყება და გულწრფელი სიყვარული საქმისადმი, რაიც ახასიათებს სტუდიას საუკეთესო გარანტიაა მისი საბოლოო გამარჯვებისა.

განზრახულია მივიღო რიგ ცნობილ გასტროლოორ პიანისტების მოწვევა. ტენსიკური დაბრკოლება ამ მხრივ ძლიერია: მთავარ სახელოვნო საქმის განკარგულებაში გადმოდის დღეი საკონცერტო დარბაზი, სადაც საშუალება ექნება ჩამოსულ გასტროლოორებს გაამართონ კონცერტები.

მუსიკალურ თბილისს შეემატა ერთი მეტის მეტათ ნიჭიერი და ახალგაზრდული ენერგიით სასცე პიანისტი ქალი—ლარისა ჭეთათელაძე, რომელმაც მიიღო ლიკეოეში უმაღლესი მუსიკალური განათლება საქვეყნოთ ცნობილ ხელოვანთან გალსტონთან. სულ პატარა ხანში ჩვენ მივისმენთ ამ ახალგაზრდა პიანისტკას მთელ რიგ კონცერტებს.

კომპოზიტორი მღვიმენთ უბუცესი ჯუჯე თეორეტიულ ბრძოლას უცხადებს მუსიკის დახამებულ ფორმებს და სწერს გამოკლებას მუსიკალური შემოქმედებაში ახალი გზების შესახებ; თავის პრინციპიალურ შეხედულებათა საილოუსტრაციოთ ის სწერს ახალ ოპერას „ამირანინი“, რომლის ორი აქტი უკვე დამთავრებულია. ჩვენს ნი-

ქვირი კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი ასრულებს თავის კომპოზიციას ოპერის „სიციხისუბანი“-ს სახელით.

სახალხო კომპოზიტორი ხაქი აბაშიანი, რომლის ოპერებში „შექმნეს მთელი ვიქტორია“ და „საბურთალოს მთელი“ განვითარებაში, სწორედ ახალს ოპერას „ლიტურა“ ს, რომლის ერთი აქტი უკვე დამთავრებულია. კომპ. მელ. ბალანჩავაძემ უკვე დასრულდა თავისი „თამარ-ცხელი“ რომელიც შეტანილია წლებქვეყნის საბჭოთა რეპერტუარში. ერთი სიტყვით მუსიკალური თბილისი ყოველმხრივ განვითარებულია და უნდა ვფიქრობოთ, რომ წლებქვეყნის მუსიკალური სფეროც ასეთივე იქნება.

ეს რაც შეეხება თბილისს.

პროვინციაც არ არის უწყობადადგომით დატოვებული: იხსნება მთელი რიგი სასულიერო სკოლებისა. ქუთაისის

სამუსიკო ტენიკეში ისე გაჯანსაღდა, რომ ის არის იდუაური ტონის მიძევე მთელი დასავლეთ საქართველოსი. განზრახულია მივიღო რიგი სიმფონიური კონცერტების მოწყობა პრაგისში.

აკადემიური გუნდი სრულიად ახალ პრინციპებზე ყალიბდება. განზრახულია აგრეთვე სამუსიკო კოლეჯის გადახალისება.

თბილისის მუშათა უბნებში გახსნილია სამუსიკო სასწავლებლისი. ერთი სიტყვით მუსიკალური კულტურა მუშათა კლასთან დაახლოვებულია.

ასეთიან მოკლებულ სქემა და პერსპექტივა მუსიკალური სფეროსი:

# ს ა შ ი რ ბ ო რ ო ტ ო ს ა კ ი თ ს ი

მართლაც რომ საქართველოში საკითხია ის საკითხი, რომელსაც ეხლა ჩვენ ვესურს ლაპარაკი. ეს საკითხი არის—თეატრის საკითხი პროვინციისში.

ერთი მხრივ სასახლო მოვლენად უნდა ჩითვათ თბილისის ის გარემოება, რომ თითქმის ყოველ პატარა დაბა-ქალაქში და სულს თეატრისთვის განსაკუთრებული შინაგნები და აუღეს ნაღვ ალარ დაჩვენება არც ერთი სთველი სადაც თეატრი არ იქნება აგებული. ეს უკვე იმის მაჩვენებელია რომ ხალხი, მისსა, გამოიღის ფართე ასპარეზზე, გარკვევით და მტკიცეთ აღდება განათლების და გათვითცნობიერების ვახზე.

მეორე მხრივ ამ ფრიად საყურადღებო მოვლენასთან წინ გველდება სამუშაო ფაქტები. ყოველ ქუთაისიდან, ყოველ მახაჩკალა, სოფლიდან და ქალაქიდან მოვედის საჩივრები. დაგვხვარეთ დასის შედგენაში, გამოვიგზავნეთ მსახიობები, რეჟისორები, გაიღეთ სუბსიდი და სხვა. ასეთი მოთხოვნები ჩვენ სამართლიანად და მიზანშეწონილად მიგვჩანია, მაგრამ ისინამდვილეში რღვენი ვერც ერთი ეს მოთხოვნა ვერ დაგვიკმაყოფილებია.

მიზეზი? მიზეზი გახლავთ ის, რომ ჩვენ არა გვაყვს მომხმადებელი, პროფესიონალი მსახიობები, არტისტული ძალები, დღეს ჩვენში სანალო, რომ ემით ვერ ნახათ უფრო მსახიობი. ამ უკანასკნელ ხანებში არტისტული ძალების მოთხოვნა იმდენად გაიზარდა, რომ თითქმის ყოველ ქალაქს სურს საკუთარი პროფესიონალი დასი იყოს. ეს უსათუოდ ბუნებრივია. სერობილი თეატრის შესაქმნელად საჭიროა პროფესიონალი მსახიობების კადრი და არა სცენის მოვეყარეთა სხვა და სხვა გავუყვები რომელთაც ხალხურის მერტი არა მოაქვთ რა. სურვილი სცენაზე შესვლისი კი ბევრს აქვს, ბევრს აქვს ნიჭი, ენერჯიკი, საქმისადმი სიყვარულიც, მაგრამ წინ ელობებთ მოუშხმადებლობა, უსკოლობა, სათანადო პროფესია და ვარჯიშობა ურომლისოდ ვერც ერთი სცენის მუშაე თეატრში ვერ იხეირებს და ვერ მოვიკრანს სარგებლობას.

რათ ვინდებ ცარიელი შინაობები თუ კი ამ შინობებს ვერ გამოვიყენებთ და ვერ შექმნით ნამდვილ თე-

ატრს? პროვინციის თეატრებს ჩვენ თითქოს სხვათაშორისობით ვეკლებით და იოლის გზით გვიდა ვაეყვანობ ხოლმე საქმე, მაშინ როდესაც ცენტრისთვის, ტფილისისთვის აუარებელ გასართობებისთვის ეხარჯათ აუარებელ ფულებს, მხოლოდ პროვინციის ცის ანაბარს ვტოვებთ და ვეუბნებით: თქვენი საკუთარი ძალ-ღონით ირჩინეთ თავიო. ეს დიდი შეცდომაა! და ეს რაც შეიძლება სჩქებოდ უნდა გამოსწორდეს და მიეცეს განსაკუთრებული ყურადღება.

ჩვენი აზრით მხატვრული წარმოდგენები პროვინციისთვის უფრო საჭიროა. ნურავინ ნუ იფიქრებს რომ რომელიმე გაუნათლებელ გლეხს ან მუშას არ ჰქონდეს გაგების უნარი, დაფასების ალღო და სხვა. პირიქით, კულტურულ დახალ საფეხებზე მდგარი ხალხის დაპრობა უფრო ძნელია, ვიდრე კულტურულ ადამიანის, რომელსაც მოზებრებული აქვს ყოველივე, დარღუნებული აქვს გრძნობები და ეძებს მხოლოდ სანახაობებს და გასართობებს.

პროვინციის თეატრების აუდიტორია უფრო მოთუთია ვიდრე დიდი ქალაქების აუდიტორია. ერთ სათუფირებელმა ნაბიჯმა, ერთ გადაჯარბებულ ხაზმა შეუძლიან პროვინციის დიდი ზიანი მოუტანოს და სასულდამით თეატრის ხალხს თეატრი. ეს კი მაშინ, როდესაც თეატრისადმი ღრულია პროვინციისში მეტად დიდი დღეს და თეატრის უფრო მეტი გასავალი აქვს ვიდრე კინოს. (მაგალითისთვის თუ გინდა აიღეთ სახითი).

მაშასადამე, არსებულ საქმის მდინარეობა მოითხოვს დაუყოვნებლივ გაუმჯობესებას, წინააღმდეგ შემთხვევაში თეატრის საქმე პროვინციისში განწირულია და საღალატადა.

რა საშუალებებს უნდა მივმართოთ? უწინარის ყოვლისა პროვინციის თეატრებს ცენტრიდან უნდა დაგვხანეთ ინსტრუქტორ-ხელმძღვანელები—რეჟისორები და ერთხელ და სამუდამით მოსპონ ის ხალხურა, რომელიც გამეფებულია დღეს პროვინციისში. შეძლებს დაგვარად დასი შედგენილი იქნეს მომეტებულ ნაწილად პროფესიონალებით და განიდევნონ ისეთი ხალხი ვინც თეატრს მხოლოდ ზედმეტ ხორკათ ახსი. ნა-

თქამია: "უბატრონო ეკლესიას—ეშმაგები დეპატრონე-  
ბიანო" ეს ანდაზა თეატრზე ზედ გამოჭრილია. აკი მაინც  
ბეჭერი დეპატრონა უბატრონი თეატრის და თავის პი-  
რად, ეგოსტურ საქმეებს აკეთებს: რამდენია ისეთი სტე-  
ნის მოყვარე, რომელიც ოლონდ თითონ იტერბუგოს  
სტენაზე და სხვას ვეღვაფერო წყალს წაღია. აი ასეთი  
პირი თეატრიდან უნდა კეტით გაევაღობო. ეს ერთი. და-  
სის საკითხი. მეორე. რეპერტუარი. ერთხელ და სამუდა-  
მით უნდა მოისპოს ის ძველი პიესები რომელიც არამც  
თუ ენა წინადაც, პირველად გამოსვლის დროს, მხატვ-  
რული მხრივ არაფერის არ წარმოადგენდნენ. მის მავიე-  
რად ჩვენ რას ვებღავეთ? ისევ იმ ძველის-ძველ პიესებს,  
ძველის-ძველ ვოდევილებს, რომელიც დადგმულა ასჯერ  
და ათი ათასჯერ და არავითარი სარგებლობა არ მოუ-  
ტრნია. ასეთი პიესებით ჩვენ ხალხს თეატრს შევამუღლებთ.  
მაგრამ უსათუოდ თქვენ იტყვიან: თქვენ მიერ დასა-  
ხლებელი მიზნები კარგია, მაგრამ შესრულება? ვინ გა-  
ვეყრებებს ყოველივე ამას? დიან, საქმე მიზანის დასახვა  
არ არის, საქმე შესრულება, სიტყვა ვანზორციელების  
თხოულობს, პრაქტიკულ ნაბიჯებს.

ეს შესრულება, ეს ვანზორციელება, ეს პრაქტიკუ-  
ლი ნაბიჯები მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ სასცენო  
ხელოვნების დარგს დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ.  
ეს ყურადღება კი უნდა გამოიხატოს მით, რომ უნდა  
დაავარსოთ ხეირიანი დრამატული სკოლა, სტუდია სა-  
დაც გამოიწვევებინო ახალგაზრდა მსახიობები და რომელიც  
მოვეცემს კადრს პროფესიონალ მსახიობებისას, რეჟისო-  
რებისას, ინსტრუქტორ-ხელმძღვანელებისას და სხვა.

მოსკოვში განსვენებულმა რეჟისორ ვახტანგ მუქე-  
ლოშვილმა დააარსა ქართული დრამატული სტუდია. ეს

სასიხარულო მოვლენა იყო. სტუდიაში სწავლობდნენ ახალ-  
გაზრდები, რომელნიც იმედია სამშობლო სცენას გაუწევენ  
მალე დახმარებას. აქა-იქ შეიქნა ჭრჭილი და სტუდიაში  
მიკეტვის შესახებ. ეს ქართველური ნაკლია. ყოველივე  
ახალ საქმეს საშინაოდ ჩავეჯივოთ ხოლმე. დაკვიტვა კი არა  
პირიკით, კიდევ უნდა გავფხავართ ხალხი კოდნის და  
სწავლის შესახებინდ. ჩვენ დღეა ქალაქშიაც არსებობს სა-  
ხელმწიფო დრამატული სკოლა. ამასაც განსაკუთ-  
რებულ ყურადღება უნდა მიექცეს და მიზნულად უნდა  
იყოს ახალგაზრდა ძალები რომელნიც ამოავსებენ ჩვენი  
თეატრის იმ ნაკლს, რომლის შესახებ ზევით გვქონდა  
ლაპარაკი. მხოლოდ საქურია ამ სტუდიის გადახალისება,  
მასწავლებელთა შემადგენლობის შევსება და გაუმჯობე-  
სება.

შემდეგ რეპერტუარი. უსათუოდ ხალხი პიესებით. და  
ისეთი პიესები რომელიც ხატავენ ჩვენ თანამედროვე  
ყოფა-ცხოვრებას. რასაკვირველია, საქურია ჯერ ორიგი-  
ნალური პიესები, მაგრამ თუ შესაფერი პიესები სათანა-  
ოდ ღირსებით ჯერ არ იწერება, მომავლდნენებულ ცოდათ  
არ ჩაგვეთვლებოთ თუ მივმართავთ თარგმნილ პიესებს, თუ  
ფართე გზას გაუხსნით ინსცენირავენ და სხე.

და ბოლოს: პროფესიონალ თეატრებისთვის სკკურია  
თანხის გაღება. აღწერილობი ამსკომების ბიუჯეტი თე-  
ატრის საქმეებს ვერ გაუღდება. ზერეღეთ, სხვის სანაბა-  
რათ, შინაურულთ თეატრის საქმე არც გავეთვებო და  
არც გავეთლება. თეატრს მუდამ და ყოველთვის გვირგე-  
ბა მფარველობა და სხვა ვერაინ ვერ გაუწევის ამ მფარ-  
ველობის თუ არა ჩვენი ხელსუფლება.

# რისტუსი



## საბავშვო თეატრი

დიდი ხანია რაც ლაპარაკია საბავშვო თეატრის  
დაარსების შესახებ ჩვენში, მაგრამ დღემდე იგი საქმედ  
ვერ ქვეულა. ამ რამდენიმე წლის წინადა იყო ცდა ასეთ  
თეატრის შესაქმნელად, მაგრამ საქმე მალე ჩაყვდა. ვანა-  
თლების კომპარატმა წელს რაღაცა ვანზორბა, მაგრამ  
როგორც ეტყობა კიდევ ეს საკითხი ღიათ დარჩა. საკითხი  
კი ფრიად სერიოზულია და არ იცდის ვადადებას.

რუსეთში დღეს თითქმის ყოველ ქალაქში დაარსდა  
საბავშვო თეატრები. მოსკოვში სპეციალური კურსებიც  
კი მოეწყო, რომელიც ერთგვარ ხელმძღვანელობას უწევს  
პროფინციას. ნატალია საცი, განსვენებულ კომპოზიტორ  
ილია საციის ასული დღეს მხოლოდ იმ აზრით არის  
ბატაკებული, რომ სამუდამო საბავშვო თეატრის მე-  
რად დიდ საქმეს საბავშვო თეატრისას. ჩვენში, კატეგო-  
რულად, ვადაწვევით უნდა დაისახოს ეს საკითხი და  
უნდა დადებითად ვადაწყდეს. საბავშვო თეატრი საქურია.  
საქურია ისევე როგორც დიდებამის ნამდვილი თეატრი,

მაგრამ როგორა უნდა იყოს საბავშვო თეატრი? რა-  
საკვირველია, ჩვენ ამ პატარა წერილში ვერ ამოწურავთ  
საკითხს, მაგრამ ერთ რამესთვის კი ვინდა მივაქციოთ  
ყურადღება. საბავშვო თეატრის უფრო მეტ ყურადღებას  
იიხიოს და უფრო ვაცოცხლები სათითაო ვიდრე დიდი  
თეატრი. ეს იმიტომ, რომ თვით საბავშვო თეატრის აუ-  
დიტორია, ბავშვთა აუდიტორია—მეტად სათუთია და  
მასთან დიდი გამოცდილებით და დავიკრებთ უნდა მი-  
სკლა.

ახლა თვით საბავშვო თეატრის პიესების შესრულება-  
ზე აქ უფრო მეტი სულიერი პერიპეტეზები არის საჭირო,  
უფრო კარგი ანაზღობა და შესრულება, რადგან ეს უწევს  
გამოკვლევითა, რომ ბავშვის მოტყუება მსახიობობით,  
შინაგანი დაჯერება, უფრო მწერი საქმეა ვიდრე დიდი  
დამაინასა.

ბავშვთა სამყარო ვაცოცხლები რთულია ვიდრე ჩვე-  
ნი. მის როგორც აჩვენებ ამ სამყაროს ისე ვლინდებოდა  
სამუდამოდ მის შესხივებაში. ამიტომ საბავშვო თეატრს  
დიდი აღზარდობითი მნიშვნელობა აქვს და იგი მორ-  
ლური მხრივ წარმოადგენს დაუფასებელ საგანძურს.

საბავშვო თეატრის დაარსებასთან ერთად უნდა ვიზრუნოთ თვით საბავშვო თეატრის არტისტებზე. აქ ჩვეულტყობი არტისტები არც გამოდგებიან და ეს არც იმას ნიშნავს, რომ საბავშვო თეატრში უსათუოდ ბავშვებმა უნდა ითამაშონ.

როგორც ზევითა ვთქვით: საბავშვო აუდიტორიის მოტყუება მსახიობობით მეტად მწელი და რთული საქმეა, მაშასადამე, რომ ჩვენ ბავშვი დივაჯუროთ, ჩვენ უნდა გავივითოთ ბავშვისპსიხოლოგია. ეს კი ისეთი სიმწელეა რომელიც წინ რთულ ამოკანებს გვიყენებს. მაშასადამე, ჩვენ სერიოზული მუშაობა გვმართებს—ბავშვებთან დაახლოება და მისი გულის პასუხის გაგება. საბავშვო თეატრის არტისტი უფრო გრძნობიერი, უფრო ინტუიტიური უნდა იყოს ვიდრე დიდი თეატრის, რადგან საბავშვო თეატრში ერთი გადაჭარბებული ხაზი, ვადამეტებული შტრიხი საქმეს გააფუჭებს და გაყალბებს იმ მცნებას, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს საბავშვო თეატრი.

ასეთ რთულ, გადაუდებელ და მეტის-მეტად ფრიად საჭირო საკითხის გადადგმა აღარ შეიძლება და ჩვენ სპეკიროდ მიგვანია ამ დიდ საქმის მოგვარებას შეუდგენენ მცოდნე და ამ საქმეში დაინტერესებული პირები. ხელმძღვანელობას კი რასაკვირველია იყისრებს განათლების სახალხო კომისარიატი.

—ნ—ა.

### საქართველო

თეატრი უსათუოდ ფეს და ფეს უნდა მისდევდეს ჩვენ ცხოვრებას და მისი ამსახველი უნდა იყოს. ჩვენ გამოგვიჩა ერთი მხარე თეატრის, რომელიც შეიძლება



# თეატრი

## სახელმწიფო დრამის მოგვასალი სკოლი.

ჩვენ თანამშრომელთან საუბრის დროს, რუსთაველის თეატრის გამგემ ანჭ. ს. ამალაობელმა განაცხადა შემდეგი:

სახელმწიფო დრამის რეპერტუარი ადგილია ექვლეტიურ პრინციპზე. რეპერტუარში არ არის გაბატონებული, რომელიმე მიმართულების პიესები. იქ, შესაძლებლობის ფარგლებში, ადგილი აქვს დათმობილი სხვადასხვა სახისა და ხასიათის ნაწარმოებს. რეპერტუარი უმთავრესად სამ ხაზილად აყუფა: კლასიკური პიესები, თანამედროვე—ნათარგმნი და ორიგინალური.

უკანასკნელი უმთავრესად შედის ერთი მხრივით

იყოს მასრი მახვილი თანამედროვე თეატრის უარყოფითი მხარეების.

სატრა არამც თუ ჩვენ უარყოფითი მხარეებს ატარებს სასტიკ ქარ-ციცხლში, ამავიღობს ჩვენ გონებას, ახალისებს ჩვენ ვენტურას, ბადებს ჯანსაღ სიცილს და იუმორს. ასეთი სატრა უნდა შეიქრას ჩვენ თეატრში. ან უნდა სპეციალურად დაარსდეს ასეთი თეატრი, ეს იქნება თეატრი კომედიის და სატრის. თანამედროვე რევოლუციის მაჯისცემა მოითხოვს ასეთ თეატრის დაარსებას. იგი უნდა შექმნას სწორედ რევოლუციონერმა პათოსმა და საამისოდ მასალას ბევრს მისცემს.

რასაკვირველია, პირველ ხანებში ბევრი დაბრკოლებები გადაგველოგება წინ. განსაკუთრებით რეპერტუარის მხრივ. მაგრამ აქაც შეიძლება ჯერჯერობით თარგმნილი ლიტერატურის მიმართად.

სატრული თეატრი ფართე ასპარეზზე გადაუშლის სატირულ ლიტერატურის განვითარებას და აგრეთვე იმ ლიტერატურის გამოყენებას, რომელიც ჩვენ ხელთ არის. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება, დაუშრეტელ მასალას იძლევა სატირულ ლიტერატურის შესაქმნელად, მხოლოდ ეს უკანასკნელი კი თხოულობს—განსცენიერებას, გათეატრალებას.

საქიროა ამის შესახებ დავფიქრდეთ და საძირკველი ჩაუყაროთ ახალ თეატრს, რომელიც იქნება ახალი როგორც თავისი შინაარსით, ისე თავის ფორმის მიმართულებით.

სატრული თეატრი ჩვენ უნდა ვაშენოთ მუშათა კლუბებში. ამ კლუბებმა უნდა განსაკუთრებით შეუწყონ ხელი ასეთ თეატრის განვითარებას და ასეთ თეატრს დარწმუნებული ვარ მომავალი ექნება.

3.

რევოლუციონერი, ხოლო მეორე მხრით ყოფ-ცხოვრების პიესები.

კლასიკური პიესებიდან უკვე მზად არის «ამალტი»-უმთავრეს როლი გამოდის ახალგაზრდა მსახიობი უშ. ჩხიძე. იმავე როლში გამოვა მსახიობი გ. დავითაშვილი. ნათარგმნი პიესებიდან მზადდება «კაცი—გალიაში». პიესა სატირის ხასიათისაა ბურჟუაზიულ საზოგადოებაზე ორიგინალური პიესებიდან მზადდება გრ. კობაქიძის «ლამარა». პიესა იძლევა მთიელთა ყოფა ცხოვრებას, მოქმედ პირათ გამოყენილია თვით ვაჟა-ფშაველა. საინტერესო რიტში მოცემულია მისი სიცოცხლე და ცხოვრება.

ორგინალური პიესათა რიცხვში არის პ. კაკაბაძის «ლსაბონის ტუსალები» და აზიანის «დღეგრეტრია» პირველი რევოლუციონერი პიესაა. ის ლსაბონის მიწის ძვრის ღონეზე გაშლილი.

მეტად მოხდენილად გამოყენებულია ისტორიული ფაქტი მიწის ძვინისა და აჯანყების, ავტორის მიერ მძლავრ დინამიკაში მიცემული სოციალური და გეოლოგიური სტრუქტურის სიმბოლო (მიწის ძვინა და ამბოხება). მეორე პიესა «დესტრუქტა». მოხდენილი სატარია ჩვენ საზოგადოებაზე დაწვებული მეფის დროიდან და გათავებულია არსებული წყობილებით. პიესაში მიცემულია ჩვენი ყოფა-ცხოვრების ტიპები და პოლიტიკური პორტრეტები კარკიტურულ ფორმებში.

შზადლება ის. გედევანიშვილის „სინათლე“ მე-2 ნაწილი. ამ პიესას კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება და თავის დროზე დიდი აყვარდება დაიმსახურა მან. გასულ სეზონშიაც „სინათლე“ პირველი ნაწილი ერთი საყვარელი პიესა იყო პუბლიკისათვის.

